ა. დონინი

ადამიანები კერპები და ღმერთები

ნარკვევი
რელიგიის ისტორიიდან

გამომცემლობა
„ განათლება“
თბილისი — 1965

2
2 (09)
დ 744

როგორ წარმოიშვა რელიგია? როგორ მოხდა, რომ პირველყოფილ ადამიანთა პრიმიტიული რწმენა მთელ მსოფლმხედველურ სისტემებად გადაიქცა? წიგნი „ადამიანები, კერპები და ღმერთები", რომელიც მარქსისტული პოზიციებიდან ხსნის რელიგიური წარმოდგენებისა და სარწმუნოების ძირითად ეტაპებს, პასუხობს ამ კითხვებზე.

წიგნის ავტორია იტალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი, საზოგადოება „იტალია—სსრკ" გენერალური მდივანი. რელიგიის ისტორიის დიდი სპეციალისტი ა. დონინი მდიდარი ფაქტიური მასალის საფუძველზე დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ ქრისტიანობა განსაკუთრებული, ზებუნებრივი მოვლენა, „ღვთიური ზეშთაგონება" კი არ არის, არამედ სხვა რელიგიური მიმართულებების მსგავსად ამქვეყნიურ ფესვებზეა აღმოცენებული და გაპირობებულია განსაზღვრული ეპოქით. წიგნი დაწერილია სადა, ხატოვანი ენით.

ა. დონინის ორიგინალური და ღრმა გამოკვლევა სასარგებლო იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის — ათეიზმის პროპაგანდისტებისათვის, უმაღლესი სასწავლებლებისა და ტექნიკუმების მასწავლებელთა და სტუდენტთათვის, პარტიული და საბჭოთა აქტივისათვის.

მეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი

რელიგიის ისტორიის მეცნიერული კვლევა შედარებით დიდი ხანი არაა რაც დაიწყო, იტალიაში კი იგი სულ ახლახან ჩაისახა. მის განვითარებას ჩვენს ქვეყანაში ყოველთვის ხელს უშლიდნენ ერთი მხრივ თეოლოგიურ სკოლათა მოძღვრებანი, რომლებიც რელიგიას თვლიან „ზეშთაგონებად" და მიიჩნიათ, რომ რელიგიის ისტორია ასე თუ ისე გვაშორებს ამ თავდაპირველი ზებუნებრივი ჩარევისაგან, ხოლო მეორე მხრივ აბსტრაქტული პოზიტივიზმის წარმომადგენელთა ცრურწმენანი. ეს უკანასკნელნი არც თუ ისე იშვიათად ვარდებიან ბანალურ ანტიკლერიკალიზმში, როცა მასების რწმენას განიხილავენ როგორც უვიცობისა და ცრუმორწმუნეობის შედეგს, მოტყუებას, რომელსაც მეტ-ნაკლებად შეგნებულად იყენებენ მღვდელმსახურთა კასტები.

იტალიის იდეალისტური სკოლის ქედმაღლური, აგდებული დამოკიდებულება ხალხისადმი და მისი განვითარების ხელოვნური შეფერხება, რაც ხელს უშლის გულუბრყვილო რწმენიდან აზროვნების უფრო მაღალ სტადიაზე გადასვლას, გამოხატულებას პოულობს აგრეთვე მუდმივ მისწრაფებაში ჩაშალოს ყოველგვარი ორიგინალური გამოკვლევა რელიგიის დარგში; იდეალისტური სკოლები კმაყოფილდებიან მხოლოდ და მხოლოდ პირველყოფილი ადამიანის ცნობიერების შესწავ-

ლით[1]. ცნობილია, რომ 1908 წელს ბენედეტო კროჩე იქამდე მივიდა, რომ გაამართლა ვატიკანის მიერ კათოლიკური მოდერნიზმის დევნა, მოდერნიზმისა, რომელიც მეტად არათანაზომიერულად და გაუბედავად, მაგრამ მაინც ცდილობდა გზა გაეკაფა ადამიანის რელიგიური განვითარების გამოკვლევის უფრო მეტი კონკრეტიზაციისათვის. ასეთი მდგომარეობა აბლაც მძიმე ტვირთად აწევს მთელს ჩვენს კულტურას და აძლიერებს ეკლესიის მონოპოლიას რელიგიის ისტორიის შესწავლის დარგში.

ამავე დროს რელიგიის, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ყველაზე საყურადღებო და ყოვლისმომცველი ფორმის ისტორია ასახავს თვით საზოგადოების ისტორიას. სწორედ ამიტომ რელიგიის ისტორია მეცნიერებად ვერ იქცეოდა მანამ, სანამ თვით საზოგადოებრივი ცხოვრების შესწავლა არ მიიღებდა მეცნიერულ ხასიათს.

როცა ადამიანებს არ შეეძლოთ ბუნებისა და საზოგადოებრივი მოვლენების ახსნა, მათ რელიგიურ წარმოდგენებში ასე თუ ისე მაინც ხდებოდა გარემომცველი სინამდვილის გაცნობიერება. „რელიგია, — აღნიშნავდა ფ. ენგელსი 1878 წელს, — ხომ სხვა არ არის რა, თუ არა მხოლოდ იმ გარეგანი ძალების ფანტასტიკური ანარეკლი ადამიანების თავებში, რომლებიც ადამიანების ყოველდღიურ არსებობაზე ბატონობენ“.[2]

ადამიანებს ბუნების მოვლენები, რომლის კანონებს. ჯერ კიდევ არ იცნობენ, წარმოუდგებათ ბრმა და ყოვლისშემძლე ძალებად. ადამიანი ისწრაფვის წესჩვეულებებით იმოქმედოს მათზე და ბოლოს და ბოლოს თანდათან აპიროვნებს მათ.

„შიშმა შექმნა ღმერთები“, — ვკითხულობთ ჩვენ ძველი რომაელი პოეტის ერთ-ერთ კარგად ცნობილ ფრაგმენტში[3], ამ მტკიცებაში უეჭველად არის ჭეშმარიტების მარცვალი,

[1] იხ. ანტონიო გრამშის შენიშვნები მის „ციხის რვეულებში“ (Б. Грамши. Избранные произведения, т. 3, М., 1959, გვ. 19).

[2] ფრ. ენგელსი. ანტი-დიურინგი, სახელგამი, 1952, გვ. 376.

[3] „Primus in orbe deos, fecit timor. ardua coelo — Fulmina cum caderent“. — ეს გამოთქმა (მას მიაწერენ პეტრონიუსს ან სტაციუსს), რომელიც ლენინს უყვარდა, გვხვდება ლ. ფოიერბახის „ლექციებში რელიგიის არსის შესახებ“.

რადგან პირველყოფილ სამყაროში არ შეიძლებოდა ყოფილიყო გამოუცნობის წარმოდგენის უფრო ადრეული ფორმა, ვიდრე შიში. მაგრამ შიში მიწიერი ბატონის მიმართ ისტორიულად წინ უძღოდა შიშს ზეციური ბატონის მიმართ. იგი წარმოიშვა მაშინ, როცა ბუნების ძალებთან ერთად აღმოცენდნენ ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობანი, რომლებიც, თითქოსდა, ოდითგანვე ბატონობდნენ ადამიანზე ისევე მიუწვდომლად, როგორც თვით ბუნება. ადამიანი ძრწოდა ჩაგვრის, ტკივილისა და სიღარიბის წინაშე. სწორედ ამაშია რელიგიის ნამდვილი სოციალური ფესვები, და მისი ისტორიული შესწავლის დროს ეს მხედველობაში უნდა გვქონდეს.

მაგრამ თანამედროვე მეცნიერებამ რელიგია უნდა განიხილოს არა მარტო როგორც ადამიანის უკიდურესი არარაობის ასახვა იდეოლოგიაში, არამედ როგორც პროტესტის გამოხატულებაც მისი ფაქტიური უბადრუკობის წინააღმდეგ, რომელიც არ გაქრება მანამ, სანამ ადამიანი არ გახდის თავის საზოგადოებრივ ურთიერთობას ისევე გონიერს, როგორი ურთიერთობაც მას სურს ჰქონდეს ბუნების ძალებთან.[1]

მასების რელიგიური რწმენა ხშირად გამოხატავს სამართლიანობის ელემენტარულ მოთხოვნილებას, დედამიწაზე სიკეთისა და ბედნიერების წყურვილს. დიდ რელიგიურ მოძრაობებში, ისეთებში, როგორიცაა ებრაელთა მესიანობა, საიდუმლოებათა კულტები, პირველ საუკუნეთა ქრისტიანობა და შუა საუკუნეების ერესები, გამოსჭვივის ჭეშმარიტი და გარკვეული რევოლუციური განწყობილება, რომელთა ხასიათიც შენარჩუნებულია მაშინაც კი, როცა მორწმუნეთა სასოება მიპყრობილია იმქვეყნიური, ილუზორული ან ნამდვილად რეაქციული გამოსავალისაკენ.

1. მარქსიზმი და რელიგია

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ მარქსიზმი არ აპირებს რელიგიის განადგურებას, როგორც საერთოდ — გულუბრყ-

[1] ეს აზრი ჯერ კიდევ ახალგაზრდა მარქსმა გამოთქვა თავის ნაშრომში „ჰეგელის სამართლის ფილოსოფიის კრიტიკისათვის. შესავალი“.

ვილოდ თუ ანგარებით — ამტკიცებენ ამ თემაზე გამართულ პოლემიკაში. მარქსიზმი ესწრაფვის ახსნას რელიგიის წარმოშობა, მისი ფუნქცია საზოგადოების ისტორიაში.

მარქსისტები არ გმობენ არც რელიგიას, არც მორალს, არც ფილოსოფიას.

ისინი უბრალოდ თვლიან, რომ არ არსებობს აბსტრაქტული „მარადიული ჭეშმარიტებანი", რომ ადამიანთა ცხოვრების პირობებისა და მათი საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლასთან ერთად იცვლება აგრეთვე მათი წარმოდგენები და იდეები. მოკლედ რომ ვთქვათ, იცვლება მათი შეგნებაც. ასე იყო ანტიკური ეპოქიდან ფეოდალურ ეპოქაზე გადასვლისას, როცა ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს ძველი რელიგიები შეიცვალა ქრისტიანობით; ასე იყო ახლად ჩასახული ბურჟუაზიის რევოლუციური ბრძოლის ეპოქაში, როცა კათოლიკურ რელიგიას წინ აღუდგა პროტესტანტული რეფორმა, განმანათლებლობა, სინდისის თავისუფლება. კიდევ უფრო არსებითი ცვლილებები მოხდება საზოგადოების უმცირესი ნაწილის მიერ უმეტესი ნაწილის ექსპლუატაციის გაქრობასთან ერთად, მას შემდეგ, რაც ბურჟუაზიის ძალაუფლება მუშათა კლასის ხელში გადავა.

მაგრამ ძველი იდეები საბოლოოდ გაქრებიან მხოლოდ მაშინ, როცა მთლიანად იქნება აღმოფხვრილი ყველა ანტაგონისტური კლასობრივი წინააღმდეგობა და მათი გადმონაშთები ადამიანთა შეგნებაში; ასეთი ცვლილებები, რასაკვირველია, არ შეიძლება მოხდეს ადმინისტრაციული გზით, იგი მოითხოვს ხანგრძლივ ისტორიულ და სოციალურ გარდაქმნებს.

ენგელსი „ანტი-დიურინგში" დასცინოდა გერმანელ ჭკუისკოლოფ ფილოსოფოსს, რომელიც ამტკიცებდა, რომ ახალ საზოგადოებაში რელიგია თითქოსდა გაუქმებული იქნება დეკრეტითო.

გაბატონებული კლასები, რომლებიც რელიგიაში არსებითად ეძებენ თავიანთი ამქვეყნიური ინტერესების დაცვას, ადამიანებს უბიძგებენ ერთმანეთთან ბრძოლისაკენ იმქვეყნიური ხვედრისათვის, რათა თავისუფლად ყელიფონ ისინი ამ ქვეყნად.

როგორც ცნობილია, ლენინი უაღრესად მკაფიოდ განმარტავდა 1905 წლის რევოლუციის პერიოდის თავის ერთ-ერთ სტატიაში, რომ „ამ ქვეყნად სამოთხის დასამყარებლად ჩაგრული კლასის ამ ნამდვილი რევოლუციური ბრძოლის ერთიანობას ჩვენთვის უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე პროლეტარების აზრთა ერთიანობას ზეციური სამოთხის შესახებ“.[1] ჩვენ ვხედავთ, რა მოხდა საბჭოთა კავშირში და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებში, რომლებიც მტკიცედ დგანან მარქსისტული მოძღვრების ნიადაგზე. ამ ხალხთა ტრადიციული რელიგიები არა თუ გაუქმდა, არამედ აქაურ ეკლესიებს გარანტირებული აქვთ სრული თავისუფლება, და, პირველ რიგში, თავისუფლება გაბატონებული კლასის ინტერესებისათვის სამსახურის სამარცხვინო მოვალეობისაგან, სამსახურისა, რომლის შემწეობითაც მათ მორჩილებაში ჰყავთ მოსახლეობის დიდი უმრავლესობა.

ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ სახელმწიფოებს სრულიად არ აინტერესებთ თეოლოგიური პრობლემები და არასოდეს არ უცდიათ, რომ რელიგიისათვის „ახალი ფორმა“ მიეცათ.

სოციალიზმი რელიგია კი არ არის, არამედ ცხოვრებისა და სამყაროს მეცნიერული გაგებაა. სოციალისტური მუშათა კლასის დროშაზე აწერია არა რელიგიის მოსპობის აბნეული ლოზუნგი, არამედ ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის მოსპობის პროგრესული ლოზუნგი.

2. თანამედროვე სტატისტიკური მონაცემები

სტატისტიკური მონაცემები დედამიწაზე რელიგიის თანამედროვე განაწილების შესახებ რელიგიის ისტორიკოსისათვის მხოლოდ შედარებით არის საინტერესო.

ჯერ ერთი, ასეთ მონაცემებს აკლიათ სერიოზული ფაქ-

---

[1] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 10, გვ. 88.

ტობრივი დასაბუთება. გავრცელებულ სახელმძღვანელოებში ადამიანი ითვლება მუსლიმანად, ქრისტიანად, ბუდისტად ან კონფუციანელად მისი ეროვნული კუთვნილებისა და მოქალაქეობის შესაბამისად ისე, რომ სრულიად არ არის მხედველობაში მიღებული იმ გარემოს ხასიათი, რომელშიც მას უხდება ცხოვრება, და ჩვენი დროის ესა თუ ის კონკრეტული იდეოლოგია, განსაკუთრებით იქ, სადაც იქმნება ახალი პირობები ცივილიზაციის უმაღლეს ფაზაზე გადასასვლელად.

შემდეგ, ეს სტატისტიკური მონაცემები სრულიად არ ითვალისწინებენ ცალკეული რელიგიების განვითარების პროცესს. მაგალითად, თუ შევადარებთ თანამედროვე კათოლიციზმსა და ადრინდელ ქრისტიანობას, ისინი ორი სხვადასხვა რელიგიაა. ჩვენს დროში განსხვავება ქრისტიანობის მრავალ ნაირსახეობას შორის (კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, მართლმადიდებლობა) უფრო მეტია, ვიდრე მთლიანად ქრისტიანობასა და სხვა დიდ რელიგიებს შორის, რომლებიც წარმოიშვნენ მონათმფლობელობიდან ბატონყმობასა და ფეოდალიზმზე დაფუძნებული საზოგადოების ეკონომიური ორგანიზაციის სხვადასხვა ტიპებზე გადასვლის პერიოდში (ბუდიზმი, დიასპორის ებოქის იუდაიზმი, მისტიკური კულტები, ისლამი და სხვ.).

და ბოლოს, ამ მონაცემებს ახასიათებს დედამიწის მოსახლეობის სტატისტიკური გამოკვლევის უკიდურესი უზუსტობა. უკანასკნელი ომის წინ დედამიწის მოსახლეობა შეადგენდა დაახლოებით 2 მილიარდ კაცს. ახლა კი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სტატისტიკა ითვლის 2 მილიარდ 500 მილიონზე მეტს, უფრო ზუსტად 2 მილიარდ 700 მილიონ კაცს. მაგრამ ეს უმთავრესად საორიენტაციო გამოთვლაა, რომელიც მხოლოდ პირობითად შეიძლება მივიღოთ.

მით უმეტეს, არაზუსტი და სადავოა მონაცემები სხვადასხვა კულტებზე, რომლებიც მოქიშპე ეკლესიების პრესტიჟს შეეხება.

არენსის „კათოლიკური მისიების სახელმძღვანელოში“

1925 წელს მოტანილია შემდეგი ციფრები ყველაზე მეტად გავრცელებული რელიგიების შესახებ.[1]

კათოლიკები .	. 300 მლნ
პროტესტანტები	. 230 „
მართლმადიდებლები	. 140 „
ბუდისტები და სხვა რელიგიის მიმდევრები აღმოსავლეთ აზიაში (ალბათ, დაოსები, კონფუციანელები, სინთოისტები და სხვანი)	. 490
მუსლიმანები	. 250 „
ბრაჰმანისტები (ინდუისტები) .	. 240 „
დანარჩენნი (წარმართები)	. . 115 „

ასევე კრიტიკულად უნდა მივუდგეთ უფრო გვიანდელ ცნობებსაც, თუმცა ისინი ერთგვარ წარმოდგენას გვაძლევენ ჩვენი დროის ძირითადი რელიგიების შედარებით გავრცელებაზე და გვეხმარებიან თავიდან მოვიშოროთ ბევრი ცრურწმენა და აკვიატებული აზრი.

სწორედ ამ მიზნით მოგვყავს შემდეგი ცხრილი, რომელიც 1955—1956 წლებს ეკუთვნის:

პირველყოფილი კულტები (ტოტემიზმი, ანიმიზმი, ფეტიშიზმი)	50 მლნ
ინდუისტები (და სიკხები) . .	240 „
კონფუციანელები (და დაოსები) .	300 „
ბუდისტები . . .	500 „
იუდეველთა რელიგია	10 „
ქრისტიანები . .	780 „
კათოლიკები .	400 „
პროტესტანტები .	240 „
მართლმადიდებლები	120 „
ნესტორიანელები, კოპტები, ეთიოპები და სხვ.	20
მუსლიმანები (სუნიტები და შიიტები	400
სინთოისტები	20 „
არამორწმუნენი	200 „
ს უ ლ	2500

თვალში გეცემათ ამ რელიგიური დაყოფის მიკერძოებული ხასიათი.

[1] იხ. A. Anwander. Les religions de l'humanité. Paris. Payot, 1955, გვ. 15—16.

ნამდვილი პირველყოფილი კულტები ამჟამად მეტად ძნელია ადგილად გვხვდებიან, რადგან უფრო განვითარებული საზოგადოების გავლენა ხშირად ეტყობა თვით ავსტრალიელ ტომებს და აფრიკისა და სამხრეთ ამერიკის ტყეებში მცხოვრებთ, რომელთაც პირველყოფილნი ჰქვიათ. მეორე მხრივ, ტოტემიზმის, პირველყოფილი მაგიის, ანიმისტური და ფეტიშისტური სარწმუნოებების ელემენტები, როგორც ჩვენ შემდგომ დავინახავთ, შემორჩენილია ყველა რელიგიაში, რომლებიც უფრო გვიანდელ ისტორიულ ეპოქებში წარმოიშვნენ.

ჩვ. წ. აღ.-მდე VII—VI საუკუნეთა დიდი რეფორმატორების — ბუდას, კონფუცის და ისრაელ წინასწარმეტყველთა ლეგენდარული ირანელი თანამედროვის ზოროასტრის ძველი რელიგია ამჟამად ითვლის 100 ათასზე მეტ მიმდევარს პარსებს შორის ინდოეთში, ბომბეის რაიონში. მაგრამ მათი ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა, რასაკვირველია, არ შეიძლება განისაზღვროს ციფრებით, რომლებიც საერთო სტატისტიკის სხვა ციფრებში ინთქმებიან. მორწმუნეთა შორის ინდოეთში უხსოვარი დროიდან გავრცელებული კულტები მხოლოდ პირობითად შეიძლება მოვაქციოთ ერთ რუბრიკაში ინდუიზმისა ან ბრაჰმანიზმის სახელწოდებით, ვინაიდან მასობრივ რელიგიათა გავლენამ, რომლებიც ამ ქვეყანაში გაცილებით მოგვიანებით წარმოიშვნენ ანდა გარედან შემოიჭრნენ ბუდიზმის ან ისლამის სახით, ღრმად შეცვალა ძველთაძველი ველური იდეოლოგია.

იმპერატორის კულტთან დაკავშირებული იაპონური სინთოიზმი ჯერ კიდევ 1900 წელს ამაყობდა თავისი ტაძრებით; მათი რიცხვი 3 ათასს აღემატებოდა, მაგრამ 1945 წლის სამხედრო და სოციალურმა კატასტროფამ სასიკვდილო დარტყმა მიაყენა ერის მთელ რელიგიურ სტრუქტურას, რითაც მოგებაში დარჩნენ არასახელმწიფოებრივი ეკლესიები და მოძღვრებები, რომლებიც სამყაროსა და საზოგადოების უფრო რაციონალურ გაგებას ეყრდნობიან. მსგავსი მაგალითები მრავლად შეიძლებოდა მოგვეყვანა.

რა შეიძლება ითქვას რუბრიკაზე „არამორწმუნენი“? მასში სტატისტიკოსები იოლად და უზრუნველად ათავსებენ

ბურჟუაზიულ რაციონალისტ-უღმერთოებს, რომელთა რიცხვიც ძნელი დასადგენია, და ყველა კომუნისტს.

მარქსისტული მსოფლმხედველობის მიხედვით, სამყაროს რელიგიური ასახვა უეჭველად უნდა გაჰქრეს მაშინ, „როცა ადამიანთა პრაქტიკული ყოველდღიური ცხოვრების ურთიერთობა გამოხატული იქნება განუწყვეტლივ როგორც გამჭვირვალე და გონივრული დამოკიდებულება ადამიანებისა ერთმანეთთან და ბუნებასთან".[1] მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნავდით, იდეოლოგიური და, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური გადმონაშთები დიდხანს განაგრძობენ არსებობას და უფრო ღრმად აქვთ გადგმული ფესვები, ვიდრე მათი წარმოქმნელი საზოგადოების ეკონომიურ და სოციალურ სტრუქტურას.

მარქსიზმი შეუთავსებელია რელიგიური რწმენის რაიმე ფორმასთან, მაგრამ ყველა, ვინც იბრძვის კომუნიზმის დროშის ქვეშ, დედამიწაზე ეკონომიური ექსპლუატაციისა და სოციალური ჩაგვრის მოსასპობად, როდი უარყოფს თავის რელიგიურ შეხედულებებს. მეორე მხრივ, წლითიწლობით მშრომელთა, ახალგაზრდა მუშათა და ინტელიგენტთა, ქალთა და მამაკაცთა სულ უფრო მეტი რაოდენობა მიდის სამყაროსა და სიცოცხლის წმინდა მეცნიერულ გაგებამდე, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც არსებობს ან იქმნება საზოგადოება ანტაგონისტური კლასების გარეშე.

უფრო საგულისხმო და, ასე ვთქვათ, თავისი ფორმით სინამდვილესთან უფრო ახლოა რელიგიის გავრცელების იგივე ცხრილი, რომელიც გამოხატავს პროცენტებს და არა აბსოლუტურ ციფრებს:

პირველყოფილი კულტები	2
ინდუისტები (და სიკხები) . . .	9,6
კონფუციანელები (და დაოსები)	12
ბუდისტები . .	20
იუდეველთა რელიგია	0,4
ქრისტიანები .	31,2
კათოლიკები	16

[1] კ. მარქსი. კაპიტალი, ტ. I, 1954, გვ. 105.

პროტესტანტები .	. 9,6
მართლმადიდებლები	. 4,8
ნესტორიანელები, კოპტები, ეთიოპები და სხვ.	. 0,8
მუსლიმანები . .	. 16
სინთოისტები .	. 0,8
არამორწმუნენი .	. 8

ეს შედარებითი მონაცემები საშუალებას გვაძლევენ გავაკეთოთ ზოგიერთი დასკვნა, რომელიც ინტერესს .არ არის მოკლებული.

უპირველეს ყოვლისა, ჩვენ ვხედავთ, რომ ამჟამად ქრისტიანულ რელიგიას დედამიწის მოსახლეობის ერთ მესამედზე ნაკლები მისდევს.

მაგრამ სინამდვილეში ეს რიცხვი უფრო ნაკლებია, რამდენადაც უამრავი ქალი და კაცი, რომლებსაც ოფიციალური სტატისტიკა თვლის ქრისტიანული სარწმუნოების მიმდევრებად, არავითარ რელიგიას არ მისდევენ. ეს ხალხი მეტისმეტად გაოცდებოდა, როცა გაიგებდა, რომ ისინი მორწმუნეთა შორის ჩარიცხეს. გარდა ამისა, ძნელია იმის თქმა, რომ ქრისტიანთა პროცენტი ოდესმე გაიზარდოს. კოლონიურმა რევოლუციებმა და ეროვნულ-განმათავისუფლებელმა მოძრაობამ ჩინეთში, ინდოეთში, ბირმაში, ინდონეზიაში, არაბეთის ქვეყნებში, აფრიკაში ბოლო მოუღეს კათოლიკური და პროტესტანტული მისიების მხრივ სხვა სარწმუნოების ადამიანთა ქრისტიანულ სარწმუნოებაზე მოქცევას, არა იმიტომ, რომ მათ „სამოციქულო" საქმიანობას წინააღმდეგობას უწევენ ან სდევნიან, არამედ იმიტომ, რომ ბევრი მისიონერის მოღვაწეობას, მიუხედავად მათი კეთილი განზრახვისა, ასობით მილიონი ადამიანი უკავშირებს კაპიტალისტური ძარცვის შემოჭრას. ჯერ მისიონერი, შემდეგ ვაჭარი და მის უკან ზარბაზნები — აი, კოლონიური პოლიტიკის სამასწლიანზე მეტი ისტორია.

ამგვარად, ახალ მოქცევათა გამო დიდ ცვლილებებს როდი უნდა მოველოდეთ. თუმცა ხდება სხვადასხვა ორიენტაციის მორწმუნეთა ჯგუფების შინაგანი გადაჯგუფება: პროტესტანტიზმიდან კათოლიციზმზე გადასვლა — შეერთებულ შტატებში, კათოლიციზმიდან მართლმადიდებლობაზე — ზოგიერთ

ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მაგრამ საერთო პროცენტი ქრისტიანობისა არ იცვლება. სტატისტიკიდან გამომდინარეობს, რომ კათოლიკები და მუსლიმანები მრავალსაუკუნოვანი მეტოქეობისა და დროდადრო ულმობელი ბრძოლების შედეგად რიცხობრივ წონასწორობამდე მივიდნენ. მათი ძალები ძირითადად გათანაბრდნენ: დაახლოებით დედამიწის მოსახლეობის მეექვსედია თითოეულ ბანაკში. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ეს თანაფარდობა, ყველა სხვა ცვლილებების მიუხედავად, არ უნდა შეიცვალოს.

ბუდისტები, ყველა მათი ნაირსახეობის ჩათვლით დაახლოებით ერთი მეოთხედით უფრო მრავალრიცხოვანი არიან, ვიდრე კათოლიკე-ქრისტიანები, ისინი ორჯერ მეტნი არიან, ვიდრე პროტესტანტები, რომლებიც უმთავრესად თავმოყრილი არიან შეერთებულ შტატებში, ინგლისში, გერმანიაში, სკანდინავიის ქვეყნებსა და ავსტრალიაში (ევანგელისტების, ლუთერანების, ანგლიკანების, კალვინისტების, მეთოდისტების, ბაპტისტების, პრესვიტერიანების, ადვენტისტებისა და სხვების ჩათვლით).

და ბოლოს, უნდა გავიხსენოთ, რომ იუდეველთა სარწმუნოების მიმდევარნი გერმანიაში ნაციზმის გაბატონებამდე შეადგენდნენ 16 მილიონზე მეტ ადამიანს, რომელთაგან 10 მილიონზე მეტი ევროპაში ცხოვრობდა. ამჟამად, მსოფლიო ებრაული კონგრესის გამოანგარიშებით, მათი რიცხვი 10 მილიონამდე შემცირდა, ამათგან 4 მილიონი ცხოვრობს ევროპაში (2 მილიონი საბჭოთა კავშირში) და დაახლოებით 800 ათასი — პალესტინაში.[1] რასისტულმა ბარბაროსობამ, რომელსაც იტალიაში მხარს უჭერდნენ და „თეორიულად ასაბუთებ-

---

[1] ა. დონინის აქ მოჰყავს სტატისტიკის ის მონაცემები, რომლებსაც არ დაეჯერება (როგორც თვითონ ავტორიც აღნიშნავს, ისინი მეტად პირობითი არიან). ამა თუ იმ რელიგიის მიმდევართა რაოდენობა განისაზღვრებოდა ადამიანთა ეროვნული კუთვნილებით. მაგალითად, საბჭოთა კავშირში 2 მილიონი ებრაელია და არა იუდეველთა სარწმუნოების მიმდევარი. იგივე შენიშვნა უნდა გავაკეთოთ მართლმადიდებლების შესახებაც: ეს რაოდენობა გამოხატავს, ალბათ, სსრ კავშირის რუს მოსახლეობას. — რ ე დ.

დნენ" პოლიტიკანთა, უნივერსიტეტებისა და ფაშისტურ ცრუმეცნიერთა ბილწი ჯგუფები, სიკვდილის ბანაკებში, გაზის კამერებში, ციხეებსა და დამწვარ სახლებში გაანადგურა 6 მილიონზე მეტი ადამიანი, რომელთა სარწმუნოებაც იუდაიზმი იყო.

3. ყალბი ისტორიიდან ჭეშმარიტი ისტორიისაკენ

როგორი კრიტერიუმებით უნდა ვიხელმძღვანელოთ, რომ რელიგიის ჩვენი კლასიფიკაცია შეესაბამებოდეს საზოგადოების ისტორიული განვითარების კანონებს?

თეოლოგებისათვის, რა ფორმის რელიგიასაც არ უნდა განიხილავდნენ ისინი, გამმიჯნავი ხაზი ყოველთვის ერთი და იგივეა: მხოლოდ ჩემი რელიგიაა ჭეშმარიტი, ყველა დანარჩენი ყალბია. ასე მსჯელობს ბუდისტი ბერი, ყურანის განმმარტებელი, სინთოისტი მღვდელი, პროტესტანტი მქადაგებელი, იეზუიტი მოძღვარი. ასეთი შეხედულება ადამიანებში უცბად როდი შეიქმნა, ის გამომუშავდა დიდი ხნისა და თანდათანობითი განვითარების შედეგად.

ყოველი კაცი ცდილობს წარმოსდგეს მუდმივი, უცდომელი და აბსოლუტური ჭეშმარიტების სამოსელში.[1] როცა კლასებად დაყოფილ საზოგადოების წევრებს მათთვის ცნობილი საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობანი იდეოლოგიის სფეროში გადააქვთ, მათ არ შეუძლიათ წარმოიდგინონ სხვაგვარი თავისუფლება, სხვანაირი სამართლიანობა, მორალი და რელიგია, თუ არა თავიანთი თავისუფლება, საკუთარი სამართლიანობა, მორალი და რელიგია.

---

[1] რელიგიური მოძღვრება ყოველთვის ეყრდნობა კლასობრივი ინტერესებისადმი აშკარა შეგუებას; ამას მკაფიოდ ადასტურებს კათოლიკეთა გამონათქვამები. თავის წერილში „XXII კათოლიკური კვირეულისადმი", რომელიც 1958 წლის 21 სექტემბერს გაიხსნა ბარში, პიუს XII-მ ასეთი აზრი გამოთქვა: „მაცხოვრის მოძღვრება მთლიანად შეესაბამება კლასებად დაყოფასა და კლასობრივ განსხვავებას". და დაუმატა, რომ ეს განსხვავებანი „არ თრგუნავენ ადამიანს, არამედ, პირიქით, განამტკიცებენ და პატივს სცემენ მას, ხელს უწყობენ მისი პიროვნების შემდგომ სრულყოფას". — რ ე დ.

მაგრამ ის ხალხები, რომლებსაც არასწორად უწოდებენ პრიმიტიულს[1] და რომელთათვისაც ჯერ უცნობია საზოგადოების კლასობრივი დაყოფა, სრულიადაც არ არიან მტრულ დამოკიდებულებაში მეზობელი ტომების კულტებისადმი. ამ ხალხებისათვის ყველა კულტის წყარო სინამდვილეა. რელიგიური განვითარების ამ სტადიაზე იმ სიმბოლოს ხელში ჩაგდება, რომელიც ტომის ღვთაებას წარმოადგენს, ამავე დროს ნიშნავს მეტოქე ღვთაების მიმხრობას, ამ ღვთაების მხრივ დაცვისა და მხარდაჭერის უზრუნველყოფას.

ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურის ჩამოყალიბების დაწყებასთან ერთად რელიგიის ეს თვისება იცვლება, მაგრამ სავსებით არ ქრება.

ასე, მაგალითად, ყველაზე ძველი ბიბლიური ტექსტებიდან ჩანს, რომ ებრაელთა ტომობრივი ღვთაება სინამდვილეში არც ერთიანი იყო და არც ერთადერთი. იუდეველები მოვალენი იყვნენ მხოლოდ მისთვის გაეწიათ საკულტო წესჩვეულებითი სამსახური, მაგრამ სინამდვილეში ეჰვქვეშ არ აყენებდნენ სხვა ღმერთების — ბაალის ან ოდესღაც პალესტინის მფლობელ ქანაანელთა ტომების ღმერთების ჭეშმარიტებასა და რეალობას. მხოლოდ უფრო გვიან პერიოდში, როცა ქვეყანა საბოლოოდ ებრაელთა ხელში მოექცა, უცხო ღმერთები დაქვემდებარებულ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ და ბოლოს და ბოლოს გაიგივებულნი იქნენ გამარჯვებული ტომის ღვთაებისადმი მტრულად განწყობილ დემონებთან. მაგრამ ხალხის წარმოდგენაში ეს ღვთაებანი მაშინაც კი ნამდვილად არსებობდნენ.

რელიგიური შეუწყნარებლობა ყველა თავისი სავალალო

---

[1] ტერმინი „პრიმიტიული" ხალხები, კულტები და სხვ. გავრცელებულია დასავლეთის სამეცნიერო ლიტერატურაში და შეესაბამება ჩვენს ტერმინს „პირველყოფილს". ეს ტერმინი ზუსტი არ არის და მას თვითონ ა. დონინიც იწუნებს. ამიტომ ამ წიგნში „პრიმიტიული" ყველგან თარგმნილია სიტყვით „პირველყოფილი". — რ ე დ.

და სისხლიანი შედეგით, რომელიც ცნობილია უძველესი დროიდან და უფრო მეტად მძვინვარებს ჩვენს დროში ვიდრე ოდესმე, წარმოადგენს კლასობრივი საზოგადოების ნაყოფს და სრულიად არ არის დამახასიათებელი ისეთი საზოგადოებისათვის, რომლისთვისაც უცხოა ჩაგვრა და ექსპლუატაცია.

არანაკლებ პირობითია თეოლოგების მიერ რელიგიების დაყოფა მ ო ნ ო თ ე ი ს ტ უ რ ა დ, რომლებსაც ახასიათებთ ერთი ღმერთის რწმენა, და პ ო ლ ი თ ე ი ს ტ უ რ ა დ, რომლებიც ასევე ცნობილნი არიან კერპთაყვანისმცემლობისა და წარმართობის სახელით.

მისიონერების რამდენიმე თაობამ, რომლებიც აგროვებდნენ აბნეულ და ერთმანეთის საწინააღმდეგო ცნობებს პირველყოფილი ხალხების ცხოვრებასა და ზნე-ჩვეულებებზე და თავიანთი აპოლოგეტიკური წარმოდგენების შუქზე განმარტავდნენ მათ, შექმნეს კაცობრიობის რელიგიური განვითარების თავისებური მწიგნობრული ისტორია. ისინი ისწრაფვოდნენ რადაც უნდა დაჯდომოდათ ყველასათვის თავს მოეხვიაო „ზეშთაგონების" ქრისტიანული გაგება. მათ მიზნად დაისახეს დაემტკიცებინათ, რომ ყველა ხალხის ცივილიზაციის საფუძველია რაღაც „უმაღლესი არსების" რწმენა, რომლის სხვადასხვანაირი განმარტება დამოკიდებულია სხვადასხვა ადგილზე, ენასა და მდგომარეობაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ მხოლოდ მოგვიანებით, ზნეობის დაცემასთან დაკავშირებით წარმოიშვა კერპების კულტი, ციური მოვლენებისა და ცხოველთა თაყვანისცემა. უდიდესი ისტორიული რელიგიების მონოთეიზმი, როგორც ისინი უწოდებენ იუდაიზმს, ქრისტიანობასა და ისლამს, სხვა არაფერია თუ არა პირველყოფილი რწმენისაკენ დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა.

ეს თეორია შრომების მთელ სერიაში აქვს ჩამოყალიბებული ერუდიტის პრეტენზიის მქონე ცნობილ კათოლიკე ეთნოგრაფს პროფ. ვ. შმიდტს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში ასწავლიდა ვენისა და ფრიბურგის უნივერსიტეტებში და სარგებლობდა „ისტორიულ-კულტურული სკოლის"

უდიდესი წარმომადგენლის სახელით, სკოლისა, რომელიც ღმერთის იდეის წარმოშობას იკვლევდა.[1]

ეს თეორია ისწრაფვის დაამტკიცოს ის, რაც უკვე წინასწარ აღიარებულია დამტკიცებულად და სრულიად არ ითვალისწინებს რელიგიური იდეოლოგიის ხასიათს. სხვათა შორის, ამგვარ შეხედულებას საერო მეცნიერთა შორისაც ბევრი მომხრე ჰყავს.

როცა ადამიანები ცხოვრებისა და საზოგადოების „საიდუმლოების" ახსნას ცდილობდნენ, მათ განკარგულებაში ყოველთვის იყო მხოლოდ ის განსაკუთრებული საშუალებანი, რომლებიც მათი არსებობის რეალურ პირობებს ასახავდნენ. როცა ადამიანი ჯერ კიდევ მეტად ახლოს იყო ცხოველურ მდგომარეობასთან, მას არ შეეძლო შეემჩნია საკუთარი არსებობის წინააღმდეგობა და თავისი დამოკიდებულება ბუნების ძალთაგან. ამ ეპოქაში შეუძლებელი იყო რელიგიური ცხოვრების რაიმე გამოვლენა.

საჭირო შეიქნა ხანგრძლივი პროცესი, რათა ადამიანს რელიგიურ წარმოდგენებში აესახა საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები. ბუნების ძალთა მრავალფეროვნება, რომელიც უსუსურ ადამიანს ჩაგრავდა, უხვად წარმოშობდა ღმერთებს. მაშასადამე, ის, რასაც პოლითეიზმს უწოდებენ, შეესაბამება რელიგიური განვითარების უფრო ძველ სტადიას. და მხოლოდ მას შემდეგ, რაც წარმოიშვნენ პირველი მონათმფლობელური მონარქიები ეგვიპტეში, ასურეთსა და ბაბილონში, მექსიკასა და პერუში, ხმელთაშუაზღვისპირეთსა და ცენტრალური და აღმოსავლეთი აზიის უდიდესი მდინარეების ხეობებში, თანდათანობით ჩამოყალიბდა პირველი მონოთეისტური რელიგიური წარმოდგენები.

---

[1] W. Schmidt. Der Ursprung der Gottesidee 12 ტომად (1912—1955 წლები). ვ. შმიდტის მიერ გამოცემულია იტალიაში ერცელი „სახელმძღვანელო რელიგიის შედარებითი ისტორიისა", მე-4 გამოცემა. ბრეშია, 1949 წელი. ამავე შეხედულებას ქადაგებს უგო ბიანკის წიგნიც (Ugo Bianchi. Problemi di storia delle religioni. Roma, Universale „Studium", გვ. 56, 1955).

ადამიანებმა თვით შექმნეს ღმერთები მსგავსად და ხატად თავისა. ერთი ზეციური უფლის იდეა ვერ წარმოიშვებოდა იმაზე ადრე, ვიდრე კონკრეტულად არ განმტკიცდებოდა ერთი ხელისუფალის ბატონობა დედამიწაზე.

რელიგიის თითქმის ყველა სხვა დაყოფა ემყარება მეორეხარისხოვან იდეოლოგიურ და მორალურ ნიშნებს, და მათ არსებითი მნიშვნელობა არა აქვთ. ასეთია, მაგალითად, რელიგიის დაყოფა ბუნებრივ და ისტორიულ რელიგიებად, რაც ბუნებისა და ისტორიის ურთიერთობის უცნაური გაგების მაჩვენებელია[1]; ანდა გარეგნულად თითქოსდა უფრო მეცნიერული დაყოფა: ტომობრივ (პირველყოფილ ხალხთა, კელტების, სლავების, გერმანელების, ლათინების და სხვ.), ნაციონალურ (სპარსეთის, ეგვიპტის, ბაბილონის, საბერძნეთის, რომის, ინდოეთის, ჩინეთის, მექსიკის, იაპონიისა და სხვ.) და მსოფლიო (იუდაიზმი, ბუდიზმი, ქრისტიანობა და ისლამი) რელიგიებად.

შეუძლებელია რელიგიის ჭეშმარიტად მეცნიერული კლასიფიკაციის გატარება რელიგიური იდეოლოგიის წარმოშობისა და საზოგადოების სხვადასხვა ფაზაში მისი განვითარების სწორი გაგების გარეშე. ამრიგად, უნდა ვიმსჯელოთ მხოლოდ პირველყოფილი საზოგადოების, მონათმფლობელობის, ფეოდალიზმისა და კაპიტალისტური საზოგადოების რელიგიებზე.

ვინც გვერდს აუბვევს ამ კრიტერიუმს, მიუხედავად თავისი მეცნიერული მომზადებისა, აუცილებლად მივა რელიგიის ისტორიის გაყალბებამდე.

---

[1] რელიგიის დაყოფა ბუნებრივ, ანუ თავისუფალი სუბიექტურობის რელიგიებად (საბერძნეთი, რომი, იუდაიზმი), და აბსოლუტურად დასრულებულ რელიგიებად (ქრისტიანობა) გვხვდება ჯერ კიდევ ჰეგელთან.

როგორ წარმოიშვება რელიგია

რელიგია ადამიანთან ერთად როდი წარმოიშვება. ასობით და შეიძლება ათასობით საუკუნის განმავლობაში დედამიწაზე, რომლის ასაკიც, ალბათ, 2 მილიარდ წელს უდრის, ცხოვრობდნენ ადამიანები, რომლებიც ცხოველების მსგავსად იკვებებოდნენ ბალახით, ფესვებით, მცენარეული წვენით, ლოკოკინებითა და მწერებით, დახეტიალობდნენ გამყინვარებამდელი პერიოდის თბილ და ნესტიან ტყეებში.

ისინი ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ცეცხლს, არ ჰქონდათ ტანსაცმლისა და საცხოვრებელი ბინის მოთხოვნილება.

შრომის პირველი იარაღი, რომელმაც გამოიწვია ნამდვილი გადატრიალება ადამიანის როგორც ფიზიკურ განვითარებაში, ისე ცხოველთა სამყაროდან მის გამოყოფაში, იყო ხელი. ის პროცესი, რომელსაც ანთროპოლოგებმა უწოდეს ხელის აღმოჩენა, ხელისა, რომელიც ერთდროულად გახდა შრომის პროდუქტიც და იარაღიც, დაეხმარა ადამიანის ძირითადი ნიშნების — აზროვნების, ენისა და სხეულის ვერტიკალური მდგომარეობის წარმოშობას.

1. პირველყოფილი ურდო

მთელი გამყინვარებამდელი პერიოდის განმავლობაში ადამიანები ცხოვრობდნენ მცირე ჯგუფებად ათი-თორმეტი კაცის შემადგენლობით. თანამედროვე სოციოლოგებმა ამ ჯგუფს

დაარქვეს პირველყოფილი ურდო და შემდეგ გამოჰყვეს მისი არსებობის ორი ძირითადი სტადია — ველურობის მდგომარეობა და ბარბაროსობის მდგომარეობა.

ამ ეპოქაში არ არსებობდა შრომის დანაწილება, გაბატონებული იყო უწესრიგო სქესობრივი ურთიერთობა, არ იყვნენ ბელადები. ურდოს ეკონომიკა იქმნებოდა მითვისებით და არა წარმოებით. ადამიანები აგროვებდნენ კენკრასა და ნაყოფს, მოლუსკებსა და მწერებს. მხოლოდ იშვიათად თუ ნადირობდნენ წვრილფეხა ცხოველებზე. ადამიანს ჯერ კიდევ არ შეეძლო შეეგნო თავისი კავშირი სხვა ადამიანებთან, ბუნებასთან და, მაშასადამე, არ შეეძლო აესახა ეს ურთიერთობა რელიგიურ წარმოდგენათა რაიმე, თუნდაც ყველაზე მარტივი და პრიმიტიული ფორმით. „იმისათვის, რომ რელიგია წარმოშობილიყო, საჭირო იყო უფრო ფართო საზოგადოებრივი ბაზა, უფრო რთული საზოგადოებრივი ურთიერთობა".[1]

რელიგიის არსი გამოვლენილ უნდა იქნეს მატერიალური სამყაროს ფორმებში, რომელსაც შეესაბამება ადამიანის იდეოლოგიური განვითარების თითოეული ფაზა. პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენები ძილზე, სიზმარზე და სიკვდილზე გვიჩვენებენ თუ როგორ წარმოიშვა რელიგიური ფანტასტიკა, ადრეული წარმოდგენები სულზე. მაგრამ ეს წარმოდგენები რომ აღმოცენებულიყვნენ, საჭირო იყო წარმოქმნილიყო „პირველყოფილი თემი", რომელმაც შესცვალა ადრეული ნახევრად ცხოველური მდგომარეობა. ეს პერიოდი ხასიათდებოდა მთელი რიგი შრომის იარაღების აღმოჩენით. საკვების შემთხვევით მოპოვებას მიემატა ნადირობისა და თევზაობის ორგანიზებული, თუმცა ჯერ კიდევ პრიმიტიული ფორმები[2] და ბოლოს, საჭირო გახდა, რომ ადამიანები გადასულიყვნენ ნახევრად ბინადარ მდგომარეობაზე სხვადასხვა სახის თავშესაფრებსა და გამოქვაბულებში, სადაც მათ შეეძლოთ ჩაფიქ-

---

[1] Ш. Эншлен. Происхождение религии. М., ИЛ, 1954, გვ. 31.

[2] იხ. A. C. Blanc. Origine e sviluppo dei popoli cacciatori e raccoglitori. Roma, 1956.

რებოდნენ ცხოვრების მოვლენებს, სიკვდილის საიდუმლოებას, სიზმრად ნახულ ცხოველებსა და ადამიანებს, როგორც თავიანთ „ორეულებს“.

გამყინვარების დროინდელმა ატმოსფერულმა და გეოლოგიურმა ძვრებმა ადამიანები შერეკა გამოქვაბულებში და ხელი შეუწყო მათ მიერ თავდაცვისა და სიცოცხლის შენარჩუნების ახალი საშუალებების ძიებას. ადამიანებმა ისწავლეს შემთხვევით წარმოშობილი ცეცხლის შენარჩუნება, შემდეგ გაიგეს თუ როგორ გაეკვესათ ნაპერწკალი, რათა თვითონ აენთოთ ცეცხლი. დაიწყო სანადირო იარაღის მისაღებად ქვის დამუშავება. ადამიანები ძველებურად ერთად ნადირობდნენ უზარმაზარ ცხოველებზე—მამონტებზე, გიგანტ მარტორქებზე, ისტორიამდელ ირმებზე, რომლებსაც სიცივე ადამიანთა სადგომებისაკენ ერეკებოდა.

ერთად მოპოვებული ნადავლი წარმოადგენს საერთო საკუთრებას. მხოლოდ მაშინ, როდესაც ადამიანმა შექმნა უფრო სრულყოფილი იარაღები, ისეთები, როგორიცაა ჩუგლუგი, ისარი, ლითონის წვერიანი შუბი და, ბოლოს, ბრინჯაოს ცული, დაიწყო ინდივიდუალური ნადირობა და ისახება საკუთრების იდეა, რომელიც საგნებიდან გადადის ადამიანებზე და დასაწყისს აძლევს პირველყოფილი კომუნიზმიდან ახალ, კერძო საკუთრებაზე დაფუძნებულ ეკონომიკაზე გადასვლას.

2. პირველყოფილი თემი და ტოტემიზმი

არსებობს ხუთი ძირითადი მეცნიერება, რომელთა შემწეობითაც ვსწავლობთ პირველყოფილი საზოგადოების რელიგიას, მის წარმოშობასა და განვითარებას:

წ ი ნ ა ი ს ტ ო რ ი უ ლ ი დ რ ო ი ს ა რ ქ ე ო ლ ო გ ი ა, რომელიც სწავლობს ძეგლებს, სამარხებს, მათ სამყოფელ ადგილებს და განსაკუთრებით სხვადასხვა ეპოქის შრომის იარაღებსა და იმ ცვლილებებს ადამიანის ცხოვრებაში, რასაც შრომის იარღების თანდათანობითი გაუმჯობესება იწვევდა;

ა ნ თ რ ო პ ო ლ ო გ ი ა, რომელიც სწავლობს ადამიანის

ბიოლოგიური ტიპის სახეცვლილებებს საზოგადოების სტრუქტურის ცვლილებებთან კავშირში მთელი რიგი ისტორიული ეპოქების განმაელობაში;

ლინგვისტიკა, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვყოთ კაცობრიობის ისტორიის ცალკეული პერიოდები, რომლებიც ენობრივ, როგორც დამწერლობით, ისე ზეპირმეტყველებითს ფორმებში არიან ასახული;

ფოლკლორისტიკა, რომელიც იკვლევს ლეგენდებს, მითებს, წესჩვეულებებსა და ტრადიციებს, კულტურული თვალსაზრისით სუსტად განვითარებული საზოგადოების ჰეშმარიტ ლიტერატურას;

ეთნოგრაფია, ერთადერთი მეცნიერება, რომელსაც ჩვეულებრივ მიმართავენ ხოლმე რელიგიის ისტორიის წყაროების შესწავლისას.

ლუის ჰენრი მორგანის შრომა „უძველესი საზოგადოება", რომელიც მიეძღვნა პირველყოფილი საზოგადოების ისტორიას, წარმოადგენდა მთელი რიგი ეთნოგრაფიული გამოკვლევების ამოსავალ პუნქტს. დასკვნები, რომელიც მარქსმა და ენგელსმა გააკეთეს მორგანის ფუნდამენტური შრომის საფუძველზე, განსაკუთრებით ცნობილ ნაშრომში „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", რომელიც 1884 წელს გამოაქვეყნა ენგელსმა, დადასტურებულია შემდეგში გამოქვეყნებულ გ. ჩაილდის, დ. ტომსონის, ს. ა. ტოკარევისა და სხვა თანამედროვე საბჭოთა მკვლევარების შრომებში.

ეთნოგრაფიულ მონაცემებს ასევე დიდი მნიშვნელობა აქვთ რელიგიური იდეოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი თვისების, კერძოდ, საზოგადოების განვითარების მარად ცვალებად ფაზებში მის გადმონაშთთა სიმტკიცის გამოსარკვევად.

მრავალსახოვანი წესჩვეულებები, რომლებიც პირველყოფილ საზოგადოებაში გარკვეული ეკონომიური და სოციალური პირობების მეშვეობით ჩაისახნენ, უცვლელად ან უმნიშვნელო ცვლილებებით გადავიდნენ შემდგომი ეპოქების რელიგიაში.

საკმარისია გავიხსენოთ ზიარების წესჩვეულება, რომელიც

შემორჩა ქრისტიანულ საიდუმლოებათა ფორმით, არუნტას ტომის ინტიჩიუმის საგაზაფხულო ტრაპეზი ცენტრალურ ავსტრალიაში, რომელსაც აქვს ჩვენს დრომდე შემორჩენილი ზიარებისა და დასაფლავების ცერემონიის ყველა ძირითადი ნიშანი, თუმცა აღარ გააჩნია ძველებური მაგიური შინაარსი, გლოვის წესჩვეულება და სხვ.[1]

პირველყოფილი საზოგადოების ისტორია მოიცავს მრავალ ათეულ ათას წელს დაწყებული ქვის ხანის პირველი პერიოდიდან, ანუ ადრეული პალეოლითიდან, როცა ცხოვრობდა ნეანდრეტალელად წოდებული ადამიანი, თვით ბრინჯაოს ხანამდე, რომელიც მოიცავს მეორე ათასწლეულს ჩვენს წელთაღრიცხვამდე. პირველყოფილი საზოგადოების კვალი შემორჩენილია ისეთ ხალხებში, რომლებიც ჯერ კიდევ ნახევრად ველურ მდგომარეობაში იმყოფებიან, მაგალითად, ავსტრალიელებში.

პირველყოფილი საზოგადოება ჯერ კიდევ არ იცნობს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ კლასებს და, მაშასადამე, არა აქვს რაიმე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია. მას აერთიანებს სისხლით ნათესაური, სქესობრივი, ასაკობრივი კავშირები. ამასთან, ეს კავშირები წარმოიქმნებიან იმ ურთიერთობის წყალობით, რომელიც განპირობებულია ზოგიერთი ასაკობრივი ჯგუფის სპეციალიზაციით ნადირობისა და თევზაობისათვის პრიმიტიული იარაღების დამზადებასა და გამოყენებაში. ბუნებრივია, რომ ადამიანის კოლექტიური ცხოვრების ამ უძველესი ეპოქის რელიგიაც დამყარებულია ნათესაურ წარმოდგენებზე, სქესობრივ და ასაკობრივ განსხვავებაზე და გადატანილია არარსებულ სამყაროში, შეთხზულ ურთიერთობაში; მათში გამოხატულია ადამიანის უძლურება ბუნების ძალთა წინაშე, მისი ურწმენობა ხვალინდელი დღისადმი.

---

[1] იხ. ამის შესახებ დ. ფრეზერის წიგნი: «Золотая ветвь», რომელშიც გამოკვლეულია მაგიის, მითებისა და წესჩვეულებათა წარმოშობა პირველყოფილ საზოგადოებაში. გამომცემლობა „Атеист", 1928.

ეს მისტიკური, სისხლით და ტომით ნათესაური კავშირი გამოხატულია ტერმინით „ტოტემი“ ან „ტოტამი“, რაც ჩრდილოეთ ამერიკის ინდიელთა ერთ-ერთი ტომის ალგონკინურ ენაზე ნიშნავს „ძმასთან“ ან „დასთან ნათესაობას“. ეს ტერმინი პირველად გამოყენებულ იქნა 1791 წელს იმ რელიგიურ წესჩვეულებათა გამოსახატავად, რომლებიც ახასიათებს კლანის სოციალური ცხოვრების ბუნდოვან და წინააღმდეგობრივ გამოვლენებს.[1]

ტოტემიზმი, რომელიც წარმოიშვა ქვედა პალეოლითის პერიოდში, წარმოადგენს ადამიანთა საზოგადოების რელიგიის პირველ ფორმას.[2] ამიტომ მისი შესწავლა საჭიროა იმისათვის, რომ ავხსნათ ნეანდერტალური ეპოქიდან დაწყებული პირველყოფილი საზოგადოების წესჩვეულებანი და მითები.

3. მიცვალებულთა კულტი

რელიგიის ისტორიის საკითხებზე დაწერილი თითქმის ყველა ტრაქტატი პირველყოფილი ადამიანის სარწმუნოების გადმოცემას იწყებს იმით, რაც, ჩვეულებრივ, მიცვალებულთა კულტის სახელწოდებით არის ცნობილი.

მაგრამ ის, რომ მკვდრის დამარხვა უძველესი წესჩვეულებაა, შესაძლოა, იმდენად უძველესიც კი, რომ მას სათავე აქვს თვით პრეისტორიის დასაბამთან, კიდევ არ გვაძლევს საფუძველს ვამტკიცოთ, რომ ის თავიდანვე დაკავშირებულია მიცვალებულის სულის არსებობის რწმენასთან, გარკვეული წესჩვეულებებით მისი შეწყალებისა და პატივისცემის მოვალეობასთან.

---

[1] I. Long. Voyages and travels of a n Indian interpreter and trader London, 1791. სიტყვა „ტოტემი“ (წარმოშობილია „ოტოტემანი“-დან) ხშირად გვხვდება ოჯიბვას ტომის ინდიელებში.

[2] საბჭოთა მეცნიერებაში ამაზე სხვა შეხედულების არიან. ს. ა. ტოკარევს მიაჩნია, რომ არ შეიძლება მივცეთ უპირატესობა მაგიას, ტოტემიზმს, ფეტიშიზმს ან ანიმიზმს, რადგან ისინი ერთდროულად არსებობენ. ფ. პ. ფრანცევი ვარაუდობს, რომ პირველყოფილი რელიგია ყველაზე ახლოა ფეტიშიზმთან. — რ ე დ.

განსხვავება სულსა და მატერიას შორის, მაშასადამე, სხეულსა და სულს შორის უცნობია პირველყოფილი საზოგადოებისათვის. ამ განსხვავების წარმოდგენა ისახება მხოლოდ მაშინ, როცა ოჯახი, ენგელსის თქმით, „იხლიჩება" და სამუშაოთა განაწილებაზე დამყარებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია ადგილს უთმობს სხვადასხვა სახის კერძო დაგროვებასა და პირველ კლასობრივ განსხვავებაზე დამყარებულ გვაროვნულ-თემურ წყობილებას.

წინაისტორიული ეპოქის არქეოლოგიური მონაცემები და ეთნოგრაფიული გამოკვლევები ადასტურებენ, რომ მკვდრის დამარხვის წესჩვეულება პირველ ხანებში პასუხობს მხოლოდ ერთ მოთხოვნილებას: უზრუნველყოს მიცვალებულის მატერიალური სიცოცხლის გაგრძელება. გვამს ათავსებდნენ გულაღმა ქვის ორ ფილას შორის, ან მოკუნტულ მდგომარეობაში შემოკეცილი ფეხებით, მძინარე ადამიანის პოზაში, მის ჩვეულებრივ ტანისამოსში; მას თან ატანდნენ საკუთარ იარაღს და სხვადასხვა ნივთებს. სავსებით შესაძლებელია, რომ ამ ზნე-ჩვეულებამ განაპირობა ქვის პრიმიტიული დამუშავების განვითარება და ბიძგი მისცა ხელოვნების პირველი ნიმუშების შექმნას.

პირველყოფილ ადამიანებს ეგონათ, რომ გარდაცვლილი განაგრძობს ცხოვრებას. ამიტომ მის ნეშტს ღებავდნენ წითლად. ნადირობა უკვე ბადებდა სიცოცხლისა და სისხლის კავშირის იდეას.[1] დასაფლავების დროს მიცვალებულის სხეულს ღებავდნენ თხევადი ან ფხვიერი წითელი ყანგმიწით. ბევრ სამარხში აღმოჩენილ ნეშტებს აშკარად ატყვიათ ამ წესჩვეულების კვალი. ამგვარი წესჩვეულებანი დღემდეა შემორჩენილი. ზოგიერთი ხალხი მიცვალებულებს ახლაც ისეთ კუბოში მარხავს, რომელიც შეღებილია წითლად ან დაფარუ-

---

[1] სულის გაგება როგორც სუნთქვისა (რ უ ა ჰ — ებრაულად; პ ს ი უ ქ ე — ბერძნულად; ა ნ ი მ ა, ე. ი. „ქარი" — ლათინურად შეიძლება დაკავშირებული იყოს იმ ტომთა დაკვირვებასთან, რომლებიც თევზას ჰერას ეწეოდნენ. ხედავდნენ, თევზი როგორ უსუსურად ყლაპავდა პირით ჰაერს, როგორ იგუდებოდა და კვდებოდა ნაპირზე.

ლია წითელი ფერის ქსოვილით. ვიდრე წმ. პეტრეს ტაძარში დიდი პონთიფიკის ნეშტს დაასვენებდნენ, იგი მოათავსეს წითელ მაუდში გახვეულ კუბოში.

გლოვის ჩვეულებრივი ნიშანი ჩვენს დროში — შავი ფერია, იშვიათად — თეთრი (მაგალითად, ბანტუს ზანგებთან). ეს ადათი სულ სხვა წარმოშობისაა. როდესაც ჩაისახა იდეა წმინდისა და უწმინდურისა და მიცვალებულებსაც მიაწერეს ვნების მომტანი ძალა, წარმოიშვა მოთხოვნილება აღენიშნათ განსაკუთრებული ფერით საგნები, ადამიანები და ადგილები, რომლებისაც ასე ძლიერ ეშინოდა ადამიანს იმის გამო, რომ ისინი გარდაცვლილის შეხების კვალს ატარებდნენ. აქედან გამომდინარეობს ტანსაცმლისა და მორთულობის გამოცვლა გლოვის პერიოდში. ჩვეულ ცხოვრებას რომ დაბრუნებოდა, პირველყოფილ ადამიანს უნდა გაევლო აგრეთვე განსაკუთრებულ განმწმენდ წესჩვეულებათა პროცედურა.

შენტონის მიდამოებში აღმოჩენილ წინაისტორიულ სამარხში, იმ ადგილას, სადაც მიცვალებულის ცხვირ-პირი უნდა ყოფილიყო, აღმოჩნდა წითელი ფხვნილით ავსებული ღრმული. იმ ცხოველმყოფელი ძალის მეშვეობით, რომელსაც ჟანგმიწას მიაწერდნენ, გარდაცვლილს შეეძლო „სუნთქვა". სხვა შემთხვევაში გვამს მარხავდნენ კოცონთან ახლოს, რომ მიცვალებული არ დატანჯულიყო სიცოცხლის შენარჩუნებისათვის საჭირო სითბოს უქონლობით. ამავე მიზანს ემსახურებოდა საშმელ-სასმელის შეწირვა და ცხოველთა პატარა ქანდაკებების ჩატანება საფლავში.

ალბათ, ცხოველებსაც ხოცავდნენ და ადამიანებთან ერთად მარხავდნენ, რადგან ეგონათ, რომ ისინი კვლავ გამოადგებოდათ მათ. შაპელ-ო-სენში, საფრანგეთში, საძარხის ახლოს ნახეს ცხოველის ძვლები. ეს შეიძლება იყო სამგლოვიარო ნადიმის ნარჩენები, რომელიც ტარდებოდა იქვე იმ ანგარიშით, რომ მიცვალებულიც ილებდა მასში მონაწილეობას.

ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ პირველყოფილი საზოგადოების ეპოქის დასასრულამდეც კი ადამიანის მსხვერპლად შეწირვის არავითარი დამაჯერებელი ნიშანი არ მოგვეპოვება. ამ წესჩვეულებაზე, რომელიც უ-

ლებლივ ყველა ძველი ხალხის დამახასიათებელია, არსებობს ფაქტებითა და დაწვრილებითი მასალებით მდიდარი სამეცნიერო ლიტერატურა, რომელსაც ხშირად კრიტიკულად ვერ უდგებიან. პირველყოფილი საზოგადოება უკვე იშლებოდა და იწყებოდა კლასების ფორმირება — საზოგადოების დაყოფა მქონებელ ფენად და დამონებულ მუშებად, როცა ადამიანებს, ქალებსა და მამაკაცებს ცოცხლად მარხავდნენ ანდა ხოცავდნენ მათი მეპატრონის დამარხვის დროს (ასევე ქვრივებს — მათი ქმრების დამარხვისას, ამასთან, საინტერესოა, რომ მატრიარქატის დროს არ აღინიშნება მამაკაცების მსხვერპლად შეწირვა მათი ცოლების დაკრძალვის შემთხვევაში, რადგან ამ ეპოქაში ჯერ კიდევ არ არსებობდა მეუღლის საკუთრება).

უფრო გვიანდელ ეპოქაში, რომელიც ხასიათდება კერძო საკუთრების წარმოშობით და კლასობრივ ფენებად დაყოფით, ხდებოდა ჩვენთვის ცნობილი ადამიანის მსხვერპლად შეწირვა, დაწყებული მექსიკელი აცტეკების და იუკატანელი და გვატემალელი მაიას ტომის ზნე-ჩვეულებებით და ფინიკიელებით, მთელი სემიტური მოდგმის ხალხებით, მათ შორის პალესტინის ებრაული ტომებით დამთავრებული.

მართალია, უფრო ადრეულ პერიოდში ვხვდებით წესჩვეულებითი კანიბალიზმის ნიშნებს, რომელიც თვით ჩვენამდეც კი იყო გავრცელებული ყველა პირველყოფილ ხალხებს შორის.[1] მიცვალებულის (როგორც ამას ამტკიცებს ე. წ. „ცირცეის თავის ქალა") ანდა მოკლული ცხოველის თავის ქალადან განსაკუთრებული საშუალებით, ხშირად ძალიან რთული ოპერაციით ამოჭქონდათ თავის ტვინი; შემდეგ მას ჭამდნენ, რათა შეეძინათ გარკვეული თვისება[2]. მაგრამ ყო-

[1] საკულტო კანიბალიზმი საკმაოდ იყო გავრცელებული სულ დიდი ასი წლის წინათ აფრიკის კონტინენტზე, ოკეანეთსა და სამხრეთ ამერიკაში. ამჟამად მისი გადმონაშთები შემორჩენილია ცენტრალურ და დასავლეთ აფრიკის ზოგიერთ სექტაში. ესენი არიან ეგრეთ წოდებული „ადამიანი-ავაზები", რომელთა შესახებაც კოლონიზატორები მეტისმეტად გაზვიადებულ ხმებს ავრცელებენ.

[2] იხ. P. Wernert. Le culte des crânes à l'époque paléolithique (in Gorce et Mortier. Histoire générale des religions. Paris, 1948, 1 vol., გვ 54—72).

ველივე ამას არაფერი აქვს საერთო ადამიანის მსხვერპლთშეწირვასთან. აზრი იმის შესახებ, რომ ერთი ადამიანის სიცოცხლე მსხვერპლად შეეწირათ მეორე ადამიანისათვის მისი სიკვდილის მომენტში, არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო მანამ, ვიდრე თვით სიცოცხლეშივე არ გახდა ზოგიერთი ადამიანი მეორე ადამიანის მსხვერპლი დამონებისა და დამორჩილების საფუძველზე.

ამრიგად, უძველეს დროში ადამიანის დამარხვის წესჩვეულებას არა აქვს ნამდვილი რელიგიური ხასიათი. მატერიალური ცხოვრება, როგორც პირველყოფილ ადამიანებს ეგონათ, განაგრძობს არსებობას საფლავშიც. ადამიანის შეგნება ჯერ კიდევ არ იცნობს „სულის" საიქიო ცხოვრებას.

4. მაგია და რელიგია

სანამ ტოტემიზმის დეტალურ აღწერაზე გადავიდოდეთ, საჭიროა განვსაზღვროთ სხვა მოვლენის ნამდვილი ადგილი, რაზეც, საერთოდ, ეყრდნობიან, როდესაც ცდილობენ განასხვავონ ხალხის ცრურწმენები რელიგიური რწმენისაგან, რომელიც, თითქოსდა, ამა თუ იმ ისტორიული ეპოქის რეალური პირობების მიუხედავად, „სულიერი" ცხოვრების უფრო მაღალი მომენტია. ლაპარაკია მაგიისა და რელიგიის ურთიერთკავშირსა და მათ შორის თითქოსდა არსებულ განსხვავებაზე.

სინამდვილეში წარმოუდგენელია მაგიისა და რელიგიის ცნების მთლიანად გათიშვა. ყოველი კულტი შეიცავს მაგიურ პრაქტიკას: ყოველგვარი ლოცვები, დაწყებული პირველყოფილიდან თანამედროვე რელიგიებამდე, არსებითად წარმოადგენს გარემო სამყაროზე ზემოქმედების გულუბრყვილო და ილუზორულ ფორმას. შეუძლებელია მაგიისა და რელიგიის დაპირისპირება მეცნიერებასთან კავშირის გაწყვეტის გარეშე.

ადამიანსა და ბუნებას შორის უხსოვარი დროიდან დამყარებულ ურთიერთობას ყოველთვის ჰქონდა ორმხრივი ხასიათი: ერთი მხრივ, ყოვლისშემძლე ბუნების ბატონობა უსუსურ ადამიანზე და, მეორე მხრივ — ზემოქმედება ბუნებაზე, რომლის განხორციელებაც სურდა ადამიანს, — თუნდაც პირველ-

ყოფილი საზოგადოებისათვის ღამახასიათებელ, შეზღუდულ და არასრულყოფილ ფორმებში, — რისთვისაც იგი იყენებდა შრომის იარაღებს, თავის საწარმოო ძალებსა და მთელ თავის უნარს.

ამ ორი, თითქოსდა გარეგნულად შეუპირისპირებელი ძალის ურთიერთმოქმედება განსაზღვრავდა სხვადასხვა ხერხის განვითარებას, რის მეოხებითაც პირველყოფილი ადამიანი ილტვოდა მოეხდინა მის მიერ მოგონილი ზემოქმედება ბუნებაზე. სწორედ ეს ხერხები წარმოადგენენ მაგიურ პრაქტიკას.

ნადირობის მაგიური გამოსახულება ჩრდილოეთ აფრიკის გამოქვაბულის კედელზე

ნადირობის ხერხების იმიტაციას ხელი უნდა შეეწყო თვით ნადირობის წარმატებისათვის. სანამ კენგურუს საძებრად წავიდოდნენ, ავსტრალიელები რიტმულად ცეკვავენ ეპოდენ სასურველი მსხვერპლის ნახატის გარშემო, რაზედაც დამოკიდებულია ტომის არსებობა.

თუ კაროლინის კუნძულების მცხოვრებთ სურთ, რომ ახალშობილი კარგი მეთევზე გამოვიდეს, ისინი ცდილობენ მიაბან ახლად მოჭრილი ჭიპლარი პირაგუას ან ნავს.

სახალინისა და კურილიის მკვიდრნი აინუს ტომიდან, აგრეთვე იაპონიის კუნძულ ჰოკაიდოს მცხოვრებნი იჭერენ დათვის ბელს, რომელსაც თავისი რძით კვებავს კლანის ერთ-ერთი ქალი. რამდენიმე წლის შემდეგ დათვს ახრჩობენ ან კლავენ ისრებით. შემდეგ ხორცს ერთად ჭამენ წმიდა ტრა-

ეზის დროს. მაგრამ სარიტუალო მსხვერპლშეწირვის წინ ისინი ევედრებიან დათვს ჩქარა დაბრუნდეს დედამიწაზე, ისევ დააჭერინოს თავი ადამიანებს და კვებოს ისინი, რომლებმაც იგი გაზარდეს.

ამგვარად, ჯადოსნური პრაქტიკა თავისი წარმოშობით არა თუ ეწინააღმდეგება რელიგიას, არამედ, პირიქით, ერწყმის მას. მართალია, მაგრამ ჯერ არ არის დაკავშირებული რომელიმე სოციალური ხასიათის პრივილეგიებთან (პირველყოფილ საზოგადოებაში ყველას შეუძლია სცადოს „ზემოქმედების მოხდენა" ბუნების ძალებზე). მაგრამ ძალიან ადრე იწყებენ დაწინაურებას კლანის ცალკეული წევრები, რომლებიც ჩემულობენ განსაკუთრებულ უნარს ამ დარგში.

5. ზებუნებრივის წარმოშობა

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პირველყოფილი საზოგადოება ხასიათდება ცხოვრების, ბუნებისა და სოციალური ურთიერთობის გულუბრყვილო მატერიალური გაგებით. ელემენტარული მოთხოვნილება პირველი ადამიანებისა, რომლებიც ერთად ფლობდნენ და არ იცნობდნენ არსებობის საშუალებათა კერძო მითვისებას, თანაბრად კმაყოფილდებოდა ან არ კმაყოფილდებოდა. ბუნებისა და ადამიანის ისტორია მთლიანობაში იყო შერწყმული, მეორე, თითქოს, აგრძელებდა პირველს.

თვით სიკვდილი წარმოდგენილია სიცოცხლის გაგრძელებად. ჯერ კიდევ არ არსებობს „მატერიასთან" დაპირისპირებული „სულის" იდეა. სულისა და სხეულის დუალიზმის წარმოდგენა ჩნდება საზოგადოების განვითარების უფრო გვიან პერიოდში, როგორც ადამიანთა ცხოვრებაში მომხდარი ფენებად დაყოფის გამოხატულება. იმის გამო, რომ ახალი წარმოებითი ურთიერთობანი სულ უფრო მეტად განაპირობებდნენ გარკვეული უმცირესობის ბატონობას და ქმნიდნენ წინააღმდეგობას გაბატონებულ და ჩაგრულ კლასებს შორის, იქმნება იმის აუცილებლობა, რომ სხვა სფეროში, სხვა სამყა-

როში და, ბოლოს, სხვა სიცოცხლეში ყოფილიყო დაკმაყოფილებული ის მოთხოვნილებანი, რომლებსაც სიცოცხლის უსამართლობის პირობებში ვერ იკმაყოფილებდა არსებული სოციალური ორგანიზაციის ყველა წევრი.

ეს ეხება ადამიანის სიცოცხლის არა მარტო ეკონომიურ და სოციალურ პირობებს, არამედ მის მორალურ და სულიერ მოთხოვნილებებსაც.

ადამიანსა და ბუნების ძალებს შორის არსებული წინააღმდეგობა, რომელიც საფუძვლად უდევს პირველყოფილ საზოგადოებას, თავისთავად საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ავხსნათ იმქვეყნიური იდეის წარმოშობა და მით უმეტეს წარმოდგენა „ბოროტებაზე", „შეცოდებასა" და „ხსნაზე". ნათესაურ, ასაკობრივ და სქესობრივ განსხვავებაზე დაფუძნებულ წინააღმდეგობებს ჯერ კიდევ არა აქვთ კლასობრივი ხასიათი და ცხოვრებიდან განდგომის არავითარი ნამდვილი რელიგიური ფორმა არ წარმოუშვიათ. აუცილებელი იყო, რომ ადამიანებს თავის თავზე ეგრძნოთ შეზღუდვა, რომელიც საზოგადოების ახალმა სტრუქტურამ თავზე მოახვია მათ ყოველდღიურ ცხოვრებას.

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა აღინიშნოს, რომ ერთი საზოგადოებრივი წყობიდან მეორეზე გადასვლის დროს ადამიანები ასე თუ ისე შეიცნობდნენ ახლად განვითარებულ ძალებს და, მართალია, ბუნდოვნად და მეტაფიზიკურად, მაგრამ მაინც ახერხებდნენ გაეგოთ ის მჭიდრო კავშირი, რაც სოციალურ სტრუქტურასა და მორალს შორის არსებობდა. „რომ არ არსებობდეს კანონი, არ იქნებოდა არც შეცოდება", — ნათქვამია უძველესი ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთ დამახასიათებელ დოკუმენტში, რომელიც ახალ აღთქმაში წმიდა პავლეს მიეწერება.[1] მაგრამ საზოგადოების კლასებად დაყოფის გარეშე არ იარსებებდა კანონებიც.

---

[1] რომაელთა, თავი 5, გვ. 13 და შემდეგ. თანამედროვე კრიტიკა თელის, რომ პავლეს მთელი ეს ეპისტოლე წარმოადგენს გვიანდელ დამახინჯებულ ჩანამატს, რომელიც მეორე საუკუნის შუა წლებზე ადრე არ უნდა მომხდარიყო. მაგრამ ეს არ ამცირებს ჩვენი აზრის სოციოლოგიურ მნიშვნელობას.

იმქვეყნიური იდეის წარმოშობა სავსებით ნათელია. ის არ იბადება ადამიანთან ერთად, როგორც მოთხოვნილების გამოვლენა, რომელიც თითქოსდა ყოველთვის არსებობდა და იარსებებს, არამედ ადამიანის შეგნებაში ჩნდება როგორც იმ რღვევის შედეგი, რომელიც ადამიანის არსებობაში შეაქვს საზოგადოების კლასობრივ ფენებად დაყოფას.

ამ მომენტიდან დაწყებული წარმოდგენა იმქვეყნიურზე და მორალურზე ჩამოსცილდა თავის პირვანდელ საფუძველს და წარმოუდგა ადამიანს როგორც თავისთავადი და დამოუკიდებელი; მისი ისტორიული განვითარება წარიმართა სულ სხვა მიმართულებით, ვიდრე იმ ეკონომიური და სოციალური ძალებისა, რომლებმაც ის წარმოქმნეს, მაგრამ ამ წარმოდგენების ხვედრი ყოველთვის მჭიდრო კავშირშია იმ სოციალურ სტრუქტურის ხვედრთან, რომლის დროსაც ის წარმოიშვა.

მკაცრად რომ მივუდგეთ, რელიგიურობის პირველი ფორმები არც კი შეიძლება ჩაითვალოს რიტუალური პრაქტიკის გამოვლენად, რომელიც დამყარებულია რაიმე „ზებუნებრივ" წარმოდგენაზე და ამდენად უპირისპირდება ადამიანის ნორმალურ საყოფაცხოვრებო წესჩვეულებებს. ურთიერთობა ადამიანსა და მის ტოტემს — ცხოველს, მცენარეს ან ბუნების მოვლენას შორის არ სცილდება პრიმიტიული მ ა ტ ე რ ი ა ლ ი ს ტ უ რ ი მსოფლმხედველობის საზღვრებს, რომლის დამახასიათებელი უაზრობანი შემონახულია შემდგომი ეპოქების სარწმუნოებაში. თვით მაგია პირველ ხანებში წარმოგვიდგება როგორც ადამიანის თავისებური მატერიალური ძალდატანება ბუნებაზე ან საზოგადოებაზე გარკვეული ხელშესახები შედეგების მისაღებად.

სიმბოლო, ჯადოსნური ან რელიგიური წესჩვეულება სინამდვილის ექვივალენტად იქცევა.

ცხადია, „იდუმალ ძალაზე" წარმოდგენას, როგორც განსაკუთრებულ მოვლენას, რომელიც სცილდება ბუნების კანონებს და მოითხოვს ზეციურ ძალთა ჩარევას, ადგილი არა აქვს ასეთ რელიგიურ და სოციალურ ვითარებაში.

პირველყოფილი ადამიანისათვის ყველაფერი ერთნაირად ბუნებრივი და ზებუნებრივია, მაგრამ არაფერი არ არსებობს „უსასწაულოდ“. თვით სასწაულის იდეა მოითხოვს ბუნების გარკვეული კანონების ცოდნას, მათ განმარტებას ეპოქის შესაძლებლობათა შესაბამისად. განსაკუთრებით საჭიროა ელემენტარული, მაგრამ მაინც ისეთი მოთხოვნილებების არსებობა, რომელთა ნორმალურად დაკმაყოფილება არ შეიძლება ისეთ საზოგადოებაში, რომლის არსებობის საშუალებები უკვე არ წარმოადგენენ საერთო საკუთრებას.

მაგალითისათვის გავიხსენოთ სასწაულები სახარებიდან, რომლებიც, სხვათა შორის, არ განსხვავდებიან იმ სასწაულებისაგან, რომლებიც მონათმფლობელობიდან ფეოდალიზმზე გადასვლის დროის სხვა რელიგიების (ბუდიზმი, დაოსიზმი, ისლამი და სხვ.) დამაარსებლებს მიეწერებათ.

პურის გამრავლება, თევზის საოცარი ჭერა, წყლის ღვინოდ გარდაქმნა, გლახაკთა განკურნება—ყველა ეს სასწაული გულისხმობს ხალხის ჩაგრული ფენების დაუკმაყოფილებელ მისწრაფებას უკეთესი ცხოვრებისაკენ, შეძლებულ ფენებთან თანასწორობისაკენ. გაბატონებული კლასების მონოპოლიის დროს ფიქრიც კი არ შეიძლებოდა პურის სიუხვეზე. ამის გამო მხოლოდ „სასწაულებრივ“ ჩარევას შეეძლო შეეცვალა ის მდგომარეობა, რომელიც წარმოუდგენელი იყო ადრე, პირველყოფილ საზოგადოებაში. იმის შეგნება, რომ ცხოვრებაში განუწყვეტლივ არსებობს დაუკმაყოფილებელი მოთხოვნილებები, გადაიქცევა იდეოლოგიის ფორმად და წარმოქმნის ამ წინააღმდეგობის წარმოსახვითსა და ფანტასტიკურად გადაწყვეტის წარმოდგენას.

სულ სხვა მოთხოვნილებებს უპასუხებენ შეძლებულ ფენათა სასწაულებრივი წარმოდგენები, აღმოცენებულნი ისტორიის სხვადასხვა პერიოდში.

ეს, უპირველეს ყოვლისა, არის მისწრაფება უზრუნველყოფილ იქნეს მტკიცე გაბარჯვება მტერზე, იმ ოჯახთა ძალაუფლებისა და უპირატესობის გაძლიერება, რომლებიც უკვე

ბატონობენ ამა თუ იმ ტომზე ან მთელ ხალხზე. ამ მისწრაფებას შეეფერება სასწაულებიც: ქვის წვიმა რომაელებთან და ბიბლიურ მოთხრობაში ამორეელთა დამარცხების შესახებ; იესო ნავინის მიერ მზის გაჩერება; ურჩხულის დაბადება; სასწაულებრივი განკურნება, რასაც სვეტონიუსი იმპერატორ ვესპასიანეს მიაწერს და სხვ.

მთავარია ჩაგრულ კლასებზე შთაბეჭდილების მოხდენა, მათი დარწმუნება იმაში, რომ ზედმეტია ყოველგვარი წინააღმდეგობის გაწევა, უაზროა ყოველგვარი გამოსვლა ბატონების წინააღმდეგ, რომლებსაც მხარს უჭერენ თვით ზეციური ძალებიც კი.

„ზებუნებრივი“ ძალების ჩაყენება გაბატონებული კლასების სამსახურში ყოველთვის შეგნებულად როდი ხდება, თუმცა, ამ შემთხვევაში შეგნებულობის ელემენტს მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს.

IV საუკუნის მეორე ნახევარში, როცა რომის იმპერია ახალი საზოგადოებრივი და ეკონომიური ძალების დარტყმით იშლებოდა და თავის რელიგიურ გამოხატულებას ქრისტიანობის წარმოშობაში პოულობდა, ჩვენ ვხედავთ, როგორ იქმნება ათასგვარი „სასწაული“, რომელთა შემწეობითაც წარმართული სამყარო ზებუნებრივის სფეროში ცდილობდა განემტკიცებინა პოლიტიკურ და ეკონომიურ ცხოვრებაში დაკარგული უპირატესობა.

ამ ეპოქის ისტორიკოსები მოგვითხრობენ წარმართულ ქანდაკებებზე, კერპებზე და წმინდანებზე, რომლებიც თრთოდნენ თავიანთ კვარცხლბეკებზე, ახელდნენ და ხუჭავდნენ თვალებს, ტიროდნენ სასწაულებრივი ცრემლებით და ოფლად იღვრებოდნენ. ეპიდავრში, დელფოსში, ათენში, ტიბერნის კუნძულებზე მრავლდება ტაძრები, სამლოცველოები; მრავლად გვხვდება მსხვერპლად შეწირვა „ზეგარდმოვლენილ განკურნების“ სამადლობლად. მაგრამ ანტიკური სამყარო განწირული იყო, მთელ ამ სასწაულებრივ ხრიკებსა და ღვთისმოსაობას არ შეეძლო ხელი შეეშალა ძველი საზოგადოების ნანგრევებზე ახალი კლასობრივი ორგანიზაციის აღ-

მოცენებისათვის, რომელიც დასავლეთ ევროპასა და მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთში უფრო ფართო ფენების მოთხოვნილებებს უპასუხებდა.

7. სიმაკი და წმ. ამბროჯიო

ამ მხრივ მეტად დიდმნიშვნელოვანია ის პოლემიკა, რომელსაც ადგილი ჰქონდა IV საუკუნის ბოლოს რომაული წარმართობის უკანასკნელ დამცველებსა და ახალი, ქრისტიანული საზოგადოების წარმომადგენლებს შორის.

ერთნიც და მეორენიც იზიარებდნენ „ზებუნებრივის" იდეას. ორივეს სწამდა სასწაულის შესაძლებლობა და ობიექტური რეალობა. და მაინც იყო შემთხვევები, როცა ქრისტიანული აზრის გამომხატველებს უნებლიეთ რელიგიის სფეროში გადაჰქონდათ ის მტრობა, რასაც ამ დროს სოციალური ძალები ამეღავნებდნენ ერთიმეორის მიმართ დედამიწაზე, წარმოებითსა და კლასობრივი ურთიერთობის დარგში და ამასთან ისე მარჯვედ აკრიტიკებდნენ სასწაულებს, რომ ახლა თავზარდაცემულნი თვითონვე უარს იტყოდნენ ამ კრიტიკაზე.

ჩვ. წ. 382 წელს, იმპერატორის ედიქტით, სენატის დარბაზში, გაუქმებულ იქნა გამარჯვების სამსხვერპლო და ქანდაკება — ძველი სახელმწიფოებრივი კულტის ერთ-ერთი ყველაზე საპატივცემლო სიმბოლო. მომდევნო წელს მოკლულ იქნა იმპერატორი გრაციანე. სასტიკი მოუსავლიანობა შიმშილით იმუქრებოდა. ეს უკვე საკმარისი იყო ძველი რელიგიის ოფიციალური დამცველებისათვის, რომ ამ მოვლენათა ტრაგიკული ჯაჭვი ღმერთების შურისძიებად გამოეცხადებინათ. რომის ქალაქისთავი სიმაკი გაგზავნილ იქნა მილანში, ახალ იმპერატორ ვალენტინიანე II-სთან, გამარჯვების სასწაულმოქმედი ქანდაკების აღდგენის სათხოვნელად.

ჩვენ ახლაც ინტერესით ვკითხულობთ სიმაკის სიტყვას, წარმოთქმულს იმ დრომდე გაბატონებული ძველი რელიგიური წარმოდგენების დასაცავად. განსაკუთრებით საინტერესოა წმ. ამბროჯიოს პასუხი, რომელიც სახელმწიფო ბიუროკრა-

ტიულ აპარატში სწრაფი კარიერის შემდეგ მილანის ეპისკოპოსი გახდა.

რომი იმიტომ განდიდდა, ამტკიცებს სიმაკი, რომ ღმერთები ყოველთვის მფარველობდნენ მას. მან თავისი რელიგიის წყალობით მსოფლიო რომის კანონებს დაუმორჩილა. ღმერთებმა შეაშინეს გალები და სასწაულებრივად გარეკეს ისინი კაპიტოლიუმიდან, ღმერთები ჰანიბალს ახლოს არ უშვებდნენ რომის კედლებთან. თუ დაემხობა გამარჯვების ქანდაკება, ესე იგი ღვთაება, რომელიც ყველაზე უფრო უწყობდა ხელს რომის განდიდებას, დაიღუპება მთელი საზოგადოება. რელიგია უნდა შეფასდეს იმ სამსახურით, რომელიც მას შეუძლია ადამიანს გაუწიოს.

თავის ყოფილ დიდებას რომი სასწაულებსა და გაბატონებული რელიგიის წესჩვეულებებს როდი უნდა უმადლოდეს. პასუხობდა მილანის ეპისკოპოსი. რომს დიდება შეუქმნა არა ღმერთებისადმი მსხვერპლად შეწირულმა ცხოველებმა, არამედ მეომრების გმირობამ და ძალამ. ამაშია რომის რესპუბლიკის მიერ მოპოვებულ გამარჯვებათა საიდუმლოება. ღმერთებმა კი არ დაიცვეს რომი ჰანიბალისაგან, არამედ სციპიონ აფრიკელის ლეგიონებმა. რას შვრებოდა იუპიტერი, როცა გალებმა რომი დასწვეს? ანდა რატომ გადაწყვიტა ამ დიდებულმა ღვთაებამ ბატების ენაზე ლაპარაკი? და, ბოლოს, განა ორივე მხარე ერთსა და იმავე ღმერთებზე არ ლაპარაკობდა? თუ ღმერთებმა გაიმარჯვეს, მაშინ როგორ უნდა დავუშვათ, რომ ისინი კართაგენელებთან დამარცხდნენ? და თუ მათ სინამდვილეში უნდოდათ რომის გადარჩენა, რატომ არ გადასწყვიტეს ეს კანთან ბრძოლამდე, რათა აეცდინათ რომაელებისათვის მდინარეებად დაღვრილი სისხლი და ნანგრევების გორები?

წმ. ამბროჯიო, რასაკვირველია, აღშფოთდებოდა, ვინმეს რომ ეთქვა მისთვის, რომ იგივე კრიტიკა, რომელიც მან ასე ბრწყინვალედ მიმართა წარმართული რელიგიის წინააღმდეგ, შესაძლებელია ერთ მშვენიერ დღეს არანაკლებ ეფექტურად მიმართულიყო ახალი რელიგიისა და ახალი სახელმწიფოებრივი ეკლესიის წინააღმდეგ. მილანის ეპისკოპოსი აბუჩად იგ-

დებდა რომაელთა გულუბრყვილობას, დასცინოდა მათ იმისათვის, რომ ამ უკანასკნელებს სასწაულები სწამდათ, მაგრამ მისი კრიტიკა სიმძაფრეს ჰკარგავს, როგორც კი გავიხსენებთ იმ სასწაულებრივ ამბებს, რომლებითაც თანდათან უხვად იკსებოდა ქრისტიანული ლიტერატურა.

8. სასწაულის წარმოდგენის ევოლუცია

ღმერთების ქანდაკებები დაანგრიეს და მოიშორეს; მათ ადგილებზე ახალი წმინდანები გაჩნდნენ. იქ, სადაც აღმართული იყო უძველესი ხალხური ღმერთების ტაძრები, აღმოცენდნენ წმინდანებისა და ღვთისმშობლისადმი მიძღვნილი ახალი კულტის ტაძრები. ბრძოლა ორ რელიგიურ ფორმას შორის — მხოლოდ ეპიზოდია საზოგადოების ორ ფორმას შორის ბრძოლისა. „Curiosum Urbis" („ქალაქის ღირსშესანიშნაობანი"), დედაქალაქის თავისებურ უძველეს მეგზურს, მოჰყავს 423 წარმართული ტაძრის დასახელება, რომლებიც რომში არსებობდნენ IV საუკუნის დასასრულს. ჩვენს დროში ეკლესიათა რაოდენობა დაახლოებით იგივეა.[1]

სახელმწიფოებრივი ეკლესიის კლასობრივი ხასიათი კიდევ უფრო ნათელი ხდება შუა საუკუნეებში.

საინტერესოა გავიხსენოთ, რომ შუა საუკუნეების რელიგიურ ლიტერატურაში ადრეული ქრისტიანობის თითქმის ყველა „წმინდანი" განიცდის სოციალურ სახეცვლილებას. ისინი ხდებიან აზნაურები ან წარჩინებულთა და გავლენიან პირთა შვილები, განთქმული ადამიანები, რომლებიც სასწაულების დახმარებით და ღმერთის არაჩვეულებრივი კეთილგანწყობილების წყალობით განადიდებენ იმ სოციალურ ფენებს,

---

[1] მეორე საუკუნის მეორე ნახევარში მარკ ავრელიუსი ფრონტონისადმი წერილში ასე აღწერს ქალაქ ანანს, რომელიც შემდეგ პაპების სამყოფელი, სემინარიებისა და მონასტრების ცენტრი გახდა: „ეს პატარა ქალაქია, რომელშიც აუარება რელიგიური სახლები და ტაძრებია. არ არის არც ერთი ქუჩა, რომელზეც არ იყოს ტაძარი, სამსხვერპლო და სამლოცველო".

რომლებმაც გაბატონებული მდგომარეობა დაიკავეს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში. „შეშლილნი“ და ყველა ისინი, ვინც იმ დროს გაბატონებული ცრურწმენებით „ეშმაკის“ იარაღს წარმოადგენდა, პირიქით, თითქმის ყოველთვის გამოსული იყვნენ ყველაზე დაბალი ფენებიდან: ღარიბი მოქალაქეებიდან, ყმა გლეხებიდან, სხვადასხვა დარგის შეგირდებიდან, მაწანწალებიდან. რელიგიური წარმოდგენების სფეროში არსებული ასეთი დიფერენციაცია ასახავდა რეალური ცხოვრების პირობებს.

- ეი ამიტომ, შუა საუკუნეების დასასრულს, ფეოდალური საზოგადოებიდან ბურჟუაზიულ საზოგადოებაზე გადასვლის პერიოდში, ისევე როგორც სიმაკის დროს, კვლავ შეიმჩნევა „სასწაულმოქმედებათა“ სიუხვე.

1524—1527 წლებში, როდესაც კარლოს V-ს ჯარები ნიაღვარივით შოედვნენ იტალიას და ჩვეულებრივი საომარი ნგრევის გარდა თან მოიტანეს ახალი სოციალური და პოლიტიკური შეხედულებების ჩანასახები, რომელთაც თავიანთი გამოხატულება ჰპოვეს გერმანიაში იმ დროს მომხდარ ლუთერანულ რეფორმებში, დაიწყეს ლაპარაკი პირველ რელიგიურ გამოსახულებებზე, რომლებიც ახელდნენ და ხუჭავდნენ თვალებს ბრეშიაში, ნოსტრა სენიორა დელა გრაციეს ეკლესიაში, ერთ-ერთ პისტოისტურ სამლოცველოში და რომის მაცხოვრის ეკლესიაში („თვალცრემლიანი მადონა“). ეს სასწაულები მრავლდებიან და იქცევიან საზოგადოებრივ ბრძოლაში ზებუნებრივის გამოყენების ერთ-ერთ ტიპიურ გამოვლენად.

1796 წლის ივნისიდან 1797 წლამდე, როცა საფრანგეთის ჯარებმა დაიწყეს პაპის სახელმწიფოს ოკუპაცია და საეჭვო გახადეს პაპების ამქვეყნიური ძალაუფლების თვით ცნება, რელიგიურ გამოსახულებათა სასწაულმოქმედების ასზე მეტ შემთხვევას ითვლიდნენ, განსაკუთრებით რომში, ნიშნად იმისა, რომ ღმერთი ჯითომდა ფეოდალური სამყაროს მხარეზეა ღვთისმშობლის გამოსახულებები და ქანდაკებები მოძრაობაში მოდიოდნენ, მათი თვალები ცოცხლდებოდნენ და ტიროდ-

ნენ სასწაულებრივი ცრემლებით, ქანდაკებები რაღაც იდუმალი ძალით ოფლად იღვრებოდნენ.[1]

იგივე ხდებოდა 1799 წელს, რომსა და ნეაპოლში ფრანგების შემოსვლის შემდეგ. ამ დროს ეკუთვნის ცნობილი შემთხვევა წმ. ჯენაროს არმომხდარი სასწაულისა. ამ საოცრების მარცხი უნდოდათ განემარტათ, როგორც წმინდანის პროტესტი ბურბონების სახელმწიფოში ფრანგების შემოჭრის წინააღმდეგ. გენერლების შამპიონესა და მაკდონალდის ჩარევის შემდეგ „ზეცა ფრანგების მხარეზე აღმოჩნდა" და სასწაულიც დასრულდა. მსგავსი სასწაულები ხდებოდა 1850—1851 წლებშიც, პიუს IX-ს გაძევებიდან დაბრუნებისთანავე, რომის 1849 წლის გმირული რესპუბლიკის განადგურების შემდეგ.

ერთი კი უნდა ითქვას: არავითარ საოცრებას არასდროს არ შეეძლო ხელი შეეშალა საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური სტრუქტურის განვითარებისათვის, ცხოვრების უფრო მაღალი საზოგადოებრივი ფორმებისაკენ მისი მსვლელობისათვის.

---

[1] პიუს VI-მ დანიშნა სპეციალური კომისია, რომ დაემტკიცებინა ამ საოცრების ჭეშმარიტება და შემოიღო „სასწაულმოქმედ ღვთისმშობლის" დღესასწაული. ერთ-ერთი ექიმი, ვიღაც მარკეტი, რომელიც გამოძიებას აწარმოებდა, დააპატიმრეს და წმ. ანჯელოს ციხეში ჩასვეს, მას ბრალად ედებოდა თაღლითობა და პოლიტიკურ შეთქმულებაში მონაწილეობა.

ᲨᲝᲨᲔᲛᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲣ

ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲠᲘ ცხოვრება თავისთავად არ შეიძლებოდა „ობიექტურად გამოვლენილიყო მითებსა და წესჩვეულებებში“, როგორც ამას ფრანგული სოციოლოგიური სკოლის სხვადასხვა წარმომადგენლები ამტკიცებენ დიურკჰეიმიდან დაწყებული ლევი-ბრულამდე.[1] სოციალური წინააღმდეგობების გარეშე საზოგადოება ვერასოდეს ვერ მისცემდა დასაბამს რელიგიურ „განსხვისებას“.

როცა პირველყოფილი თემი, რომელიც დამყარებული იყო თავისი წევრების ერთნაირ მონაწილეობაზე პროდუქტების მოპოვებასა და განაწილებაში, ირღვევა და ადგილს უთმობს კერძო საკუთრებისა და მოსახლეობის ფართო ფენების ჩაგვრის რეჟიმს, ამქვეყნიურ ცხოვრებაში მომხდარი ყველა ცვლილება პოულობს ასახვას იდეოლოგიურ სფეროში.

ამ პერიოდამდე ადამიანის რელიგიური წარმოდგენა ვერ სცილდებოდა იმ წარმოსახვით ნათესაურ კავშირს, რაც პირველყოფილ ადამიანსა და განსაზღვრულ ცხოველებსა და მცენარეებს შორის არსებობდა და რომლებითაც პირველყოფი-

[1] იხ., უპირველეს ყოვლისა, E. Durkheim. Les formes élémentaires de la vie religieuse. Paris, 1912.

ლი ჯგუფი იკვებებოდა (ისეთები, როგორც, მაგალითად, კურდღელი, კუ, კენგურუ, მაჩვზღარბი, ტახი, არწივი, გველა, დათვი, ირემი, სხვადასხვა სახის კენკრა და ბალახები, ხეები და სხვ). მაგრამ ოჯახების ფენებად დაყოფამ და კლასების წარმოშობამ გაორებამდე მიიყვანა იდეოლოგია, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა. ამან დასაბამი მისცა სხვადასხვა შეხედულებებს ერთი მხრივ ბუნებაზე, და, მეორე მხრივ — მოვლენათა იმ სფეროზე, რომელიც ამიერიდან ზებუნებრივად იქნა აღიარებული.

მანამ ადამიანი ირწმუნებდა იდუმალი და ძლიერი ძალების არსებობას, რომელთაც შეეძლოთ კეთილისმყოფელი ან არასასურველი გავლენა მოეხდინათ მისი ცხოვრების მსვლელობაზე, საჭირო იყო, რომ ასეთ ფანტასტიკურ ურთიერთობაზე წარმოდგენა რეალიზებული ყოფილიყო საზოგადოების ახალი სტრუქტურით განსაზღვრულ დამორჩილების რეალურ პირობებში. ამ მომენტიდან დამოკიდებულებისა და დამორჩილების გრძნობა ყველა რელიგიის დამახასიათებელი ნიშანი ხდება. ეს გრძნობა მხოლოდ მაშინ გაქრება, როცა მისი წარმომშობი პირობები მოისპობიან.

სწორედ ამ დროს ყალიბდება წარმოდგენა შეცოდებასა და მონანიებაზე, მიუღწეველ სულიერ იდეალზე, რომელიც უპირისპირდება მატერიალური ცხოვრების სევდიან და უიმედო სინამდვილეს, რომელიც ადამიანთა მოდგმის უდიდეს ნაწილს თავის ხვედრად მიაჩნია დედამიწაზე. ამგვარ პირობებში თვით შრომაც კი, რომელიც პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანის ცხოვრების ნორმალური რიტმის ნაწილს წარმოადგენს, სასჯელად იქცევა. მონათმფლობელობის ეპოქის ყველა რელიგია მუშაობის აუცილებლობას განმარტავს როგორც შეჩვენებას, როგორც ერთხელ ნაგემი ბედნიერების დაკარგვით გამოწვეულ ტანჯვას. „ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა“...[1] — უუბნება ღმერთი პირველ ადამიანს.

ადამის ლეგენდაში, როგორც ყველა სხვა მსგავს მითში, რომლებიც ცდილობენ ახსნან ტანჯვისა და უსამართლობის

[1] დაბადება, გ. ით.

წარმოშობა, უკვე ნათლად ჩანს კლასობრივი შეხედულება ცხოვრებაზე, რაც უცნობია რელიგიური იდეოლოგიის პირველყოფილი ფორმებისათვის.

1. ცხოველი-ნათესავი

ტ ო ტ ე მ ი ზ მ ი რელიგიის ყველაზე ძველი ფორმაა, რომელიც კი არსებულა კაცობრიობის ისტორიაში კლასების წარმოშობამდე.

რას ნიშნავს ზუსტად „ტოტემი"? ეს სიტყვა, როგორც ჩვენთვის უკვე ცნობილია, აღნიშნავდა ნათესაურ კავშირს ადამიანთა გარკვეული ჯგუფის წევრებსა და წარმოსახულ ან ფაქტიურ წინაპარს შორის. უფრო გვიან ეს კავშირი გავრცელებულ იქნა ცხოველებზე და მცენარეებზე, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანს სიცოცხლის შენარჩუნებაში.[1] თვით ამ წარმოდგენათა გაფართოება წარმოადგენს განსაზღვრულ რელიგიურ პროცესს. ტოტემური წარმოდგენებიდან თავის დროზე ვითარდება კულტი ცხოველთა, მცენარეთა და ბუნების მოვლენებისა, რომლებიც ადამიანის მთელ ცხოვრებას განსაზღვრავენ.

ხშირად ამტკიცებენ, რომ ტოტემიზმი არ შეიძლება ჩაითვალოს რელიგიურ მოვლენად, რამდენადაც ადამიანთა ამა თუ იმ ჯგუფის მითიური ნათესავი და მფარველი ჯერ კიდევ არ არის აღიარებული ზებუნებრივად და არც ღვთაებასთან არის გაიგივებული. ამ თვალსაზრისის მომხრენი, რომელთაც მხარს უჭერენ თეოლოგები და ზოგიერთი სწავლული-რაციონალისტი (მაგალითად, ფრეზერი, რომელმაც უაღრესად არიგდარია ეს საკითხი), ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ უზენაესი არსების იდეა ვერ განმტკიცდებოდა მანამ, სანამ საზოგადოება ანტაგონისტურ კლასებად არ დაიყოფოდა.

საზოგადოებაში, სადაც შრომის დანაწილება ნათესაურ

---

[1] გეომორფიული ტოტემის შემთხვევები (მთები, კლდეები, ქვები და სხვანი) იშვიათია და თითქმის გაუგებარია. ისინი, უეჭველია, უფრო გვიანდელ ისტორიულ პერიოდში წარმოიშვნენ, რელიგიური განვითარების ფეტიშისტური სტადიის ფასაწყისში.

ურთიერთობაზე და ასაკობრივ განსხვავებაზეა დამყარებული, ბუნებრივია, ნათესაური ურთიერთობა იქცევა რელიგიური კავშირის ძირითად სახეობად.

ცხოველი, რომელზეც დამოკიდებულია კლანის გამოკვება, ამავე დროს მიჩნეულია ჯგუფის ნათესავად. ამ კლანის წევრები არ ჭამენ მის ხორცს, ზუსტად ისევე, როგორც ერთი და იგივე ჯგუფის მამაკაცები და ქალები არ ქორწინდებიან ერთმანეთზე. ეს აკრძალვა გამოიხატება პოლინეზიური წარმოშობის სიტყვით — „ტაბუ" („ტაპუ"), რომელიც პირველად გაიგონა მეზღვაურმა კუკმა ტანგაში (1771 წელს). ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობაა — „გამოყოფილი", „თავიდან მოცილებული". პირველყოფილ საზოგადოებაში „ტაბუ" არის ყველაფერი, რაც, პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით, საშიშია. სიტყვამ მოიტანა და უნდა შევნიშნოთ, რომ სიტყვა „ტაძრის" ეტიმოლოგიაში (ბერძნული tèmenos, ლათინური templum), რაც არ უნდა შორს ყოფილიყვნენ ბერძნები და რომაელები ავსტრალიის კონტინენტიდან, გამოსჩვივის ადამიანის ჩვეულებრივი საქმიანობისაგან „მოცილებული" ადგილის იგივე მოტივი.[1]

ფროიდის სკოლა ამდაგვარ წარმოდგენებს ფსიქოანალიზის პოზიციებიდან ხსნიდა აკრძალვის სექსუალური მოტივებით (იხ. ფროიდის ნაშრომი „ტომები და ტაბუ"). ასეთი ინტერპრეტაცია პირველ ხანს სტიმულს აძლევდა მომავალ გამოკვლევებს, შემდგომში კი დაიკავა მისთვის შესაფერისი უმნიშვნელო ადგილი პირველყოფილი ადამიანის მითიური კომპლექსების შესწავლის დარგში. კ. გ. იუნგის „კოლექტიური შეუგნებლობის" თეორია და „წმინდანის", „ღვთაებრივის", „ჯადოსნურისა" და „საშინელების" გაგება, რასაც პროტესტანტი თეოლოგი რ. ოტტო გვაწვდის, ძირითადში სწორია, მათი დადებითი შინაარსის კვალობაზე ხსნიან ტაბუს პრაქტიკას.

ტაბუ ვრცელდება ავადმყოფებზე, გვამებზე, უცხო ტომის წარმომადგენლებზე, ქალებზე — მათი ცხოვრების გარკვეულ

---

1 ინდოევროპული ფუძე tem შეიცავს მოცილების, გამოყოფის მნიშვნელობას. — რ ე დ.

ფიზიოლოგიურ პერიოდში, და საერთოდ ყველა საგანზე, რომელიც პირველყოფილ ადამიანს არაჩვეულებრივად ეჩვენება. მოგვიანებით ამავე კატეგორიაში ექცევიან ბელადები, მონარქები და ქურუმები. ის, რაც არის ტაბუ,—ხელშეუხები და სენის მატარებელია; თუმცა აღსანიშნავია, რომ ამ წარმოდგენებმა წარმოშვეს ზოგიერთი გამაჯანსაღებელი და გამწმენდი აკრძალვა.

ყველა ეს რწმენა თავის ახსნას პოულობს სხვადასხვა საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობის ფორმებში. კეთილისა და ბოროტის, სასულიეროსა და საეროს, ნებადართულისა და აკრძალულის იდეა წარმოშვა არა რელიგიამ, არამედ საზოგადოებრივმა პრაქტიკამ, რომელმაც შექმნა ლეგენდებში და მითებში გამოხატული სამყარო. მაგრამ წარმოშობის შემდეგ ამ წარმოდგენებმა გაიარეს დამოუკიდებელი განვითარების გზა. ის დასკვნა, რომ ამა თუ იმ წარმოდგენამდე ადამიანი მიიყვანა ცხოვრებისა და წარმოების წესის ხასიათმა და არა აზროვნების წესმა, სრულებითაც არ ნიშნავს იდეოლოგიის კონკრეტული მნიშვნელობის უგულებელყოფას ან რელიგიის საკითხების ახსნას უბრალო ეკონომიური ცნებებით.

2. განდობის წესჩვეულებანი

პირველყოფილი საზოგადოების რომელ მკვლევარს შეუძლია უარყოს საზოგადოებრივ წარმოებით ურთიერთობათა გადამწყვეტი მნიშვნელობა?

ადამიანთა ჯგუფი ცხოვრობს ნადირობით, რომელიც საზოგადოების განვითარების აუცილებელი ეტაპი იყო ყველგან. მაგრამ მსხვერპლის ხელში ჩასაგდებად საჭირო იყო ნადირობის მეტად რთული ხელოვნების ცოდნა, რომლის იდეოლოგიური გამოხატულება შეიმჩნევა ეგრეთ წოდებულ განდობის წესჩვეულებებში, რომელიც ჯერჯერობით მხოლოდ მამაკაცებს ეხება. ეს არის ჭაბუკის განწმენდა, განდობა და მონადირეთა წრეში შეყვანა.

საწესჩვეულებო ზეიმის დროს, რომელიც ხშირად კვირე-

ბით გრძელდება, განდობილი სიმბოლურად კვდება, რათა კვლავ აღდგეს, დაუბრუნდეს ახალ ცხოვრებას და შეძლოს შეასრულოს თავისი მოვალეობანი საზოგადოების წინაშე. ჩვენ ჯერ კიდევ შორსა ვართ მონანიებასა და ცხონებაზე წარმოდგენისაგან, რაც მხოლოდ მონათმფლობელობის განვითარების უმაღლეს სტადიაზე აღმოცენდა, როცა დედამიწაზე განუხორციელებელი ხსნა გადატანილ იქნა მოგონილ, იმქვეყნიურ სამყაროში. მაგრამ ჰაბუკის გადასვლა უფრო საპასუხისმგებლო კატეგორიაში, მის ასაკთან და მიღებულ ჩვევებთან დაკავშირებით, შეიცავს იმ წესჩვეულებათა იდეების ჩანასახებს, რომლებიც შემდგომ განვითარდებიან „მისტერიებში" და თვით ქრისტიანობაში.

ბუნებისა და კოლექტივის წინაშე უძლური, პირველყოფილი ადამიანი რთული და ხშირად მძიმე ცერემონიალის საშუალებით აიგივებს თავის თავს ცხოველ-წინაპართან, თავის ტოტემთან, რაც საბოლოო ანგარიშში ადიდებს მის დამოკიდებულებას ბუნებასა და საზოგადოებრივ გარემოზე. წესჩვეულებებიდან, კულტის დეტალებიდან თანდათან აღმოცენდება მისწრაფება სინამდვილის განმარტებისა მითებისა და გადმოცემების საშუალებით.

რელიგიური იდეოლოგიის პირველი ფორმების განვითარების პროცესის აღდგენისას ყოველთვის საჭიროა მოვერიდოთ ადამიანისათვის ისეთი საზრუნავისა და რწმენების მიწერას, რომლებიც შესაძლებელია აღმოცენდნენ საზოგადოების განვითარების მხოლოდ შემდგომ ფაზებში.

უდავოა, როცა ჩვენ ვცდილობთ ვიმსჯელოთ იმ ეპოქის წესჩვეულებებსა და შეხედულებებზე, რომელშიც ჯერ კიდევ არ არსებობდა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია, გვიძნელდება განთავისუფლება ძველი წარმოდგენების ტვირთისაგან, რაც თავის გამოხატულებას პოულობს თვით ენაში, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ ყველა ამ საკითხზე. ეს ისევე ძნელია, როგორც ახლა იმ ცვლილებათა აღწერა, რაც ადამიანის ხასიათში, მორალში და აზროვნებაში მოხდება კლასების გაქრობასთან და ისეთი საზოგადოების დამყარებასთან.

ერთად, როცა თავისუფლება და თანასწორობა ისეთი საეჭვო გამოთქმა ალარ იქნება, როგორც ახლაა.

მაშ ასე: სწორედ აქ, დედამიწაზე უნდა გავიგოთ ზეცა.

ვ. ცხოველი-წინააპარი

მაგალითად, როცა კ ულ ტ ზ ე ვლაპარაკობთ, ჩვენ შემოგვაქვს ისეთი ცნება, რომელსაც არ შეიძლებოდა აზრი ჰქონოდა ადამიანთა საზოგადოების განვითარების უძველეს სტადიაზე.

თვით კულტის ეტიმოლოგიური[1] იდეაც ხომ მიწის დამუშავების პრაქტიკასთან არის დაკავშირებული და გულისხმობს ისეთ საზოგადოებას, რომელშიც წარმოებული ურთიერთობა უკვე ემყარება პრიმიტიული მიწათმოქმედების ფორმას და შრომის შესაბამის განაწილებას მოხუცებსა და ახალგაზრდებს შორის, განსაკუთრებით ქალებსა და მამაკაცებს შორის.

ამ პერიოდში თემი სწორედ ქალებს ავალებდა საჭმლის დამზადებასთან ერთად მინდვრის სამუშაოებს, ხილისა და მცენარეების მოყვანას; ამავე დროს მამაკაცები ძველებურად ეწეოდნენ ნადირობას. პირველყოფილი საზოგადოების ისტორიის ამ პერიოდს მიეკუთვნება ქალის დაწინაურება საზოგადოებაში, რაც მატრიარქატის ეპოქის დამახასიათებელია.

ამ ეპოქის კვალი შემორჩა არა მარტო რელიგიურ ცხოვრებას, ხალხურ ტრადიციებსა და ენას, არამედ ბევრი თანამედროვე ხალხის წესჩვეულებებსაც მალაკის ნახევარკუნძულზე, ინდოეთში, სუმატრაზე, ახალ გვინეაში, ესკიმოსებთან, ნილოსის ტომებს შორის, კონგოში, ტანგანიკაში, ანგოლასა და სამხრეთ ამერიკაში.

მატრიარქატის ეპოქა საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ რატომ ახასიათებთ ნაყოფიერების ჩვენთვის ცნობილ უძვე-

---

[1] იტალიური სიტყვა culto, „კულტი", წარმომდგარია ლათინური არსებითი სახელისაგან cultus — „დამუშავება" (მიწისა, ბაღისა) და ამასთან ერთად „წარმოქმნა", „განცალკევება", „ცხოვრების ნირი" და სხვ., აგრეთვე „ღმერთების თაყვანისცემა" — რ ე დ.

ლეს წესჩვეულებებს, უპირველეს ყოვლისა, ქალის კულტი, ანდა ქალის ატრიბუტები (ქალის ანატომიის დეტალების სქემატური გამოსახულება, მაგიური ეულვარული კულტები და სხვ.).

ვიდრე ადამიანი დასამუშავებელ მიწას დაიმორჩილებდა, საზოგადოებამ განვლო არსებობის საშუალებათა შეგროვების პერიოდი, რომელსაც ყველა თანასწორი უფლებით ეწეოდა, ნადირობის, მესაქონლეობისა და მწყემსობის პერიოდი. სანამ შრომის დანაწილება ხდებოდა ასაკობრივი და ნათესაური ურთიერთობის ჩარჩოებში, ინდივიდისა და ტოტემის კავშირს ჯერ კიდევ არ შეეძლო მიეღო ჰეშმარიტი კულტის ხასიათი.

ადამიანთა ყოველი ჯგუფი უფრო მსხვილი გაერთიანებების ფარგლებში — ტერმინები კ ლ ა ნ ი და ტ ო მ ი გულისხმობენ საკმაოდ განვითარებულ სოციალურ ორგანიზაციას — ეწევა ნადირობას ერთ გარკვეული სახის ცხოველზე: გარეულ ღორზე, ირემზე, გველზე, დათვზე, კენგურუზე. მაგრამ საზოგადოებაში, სადაც საზრდოს მოპოვებისას ცალკეული ადამიანი დამოკიდებულია სხვაზე, ეს ცხოველი ბოლოს და ბოლოს უკვე აღარ გამოიყოფა ამ ჯგუფისაგან — იგი ხდება მისი სიმბოლო, მისი მფარველი, და ბოლოს, წინაპარი.

რთული ცერემონიები ბიოლოგიურ კავშირზე წარმოდგენას თანდათან გარდაქმნიან წარმოსახვით კავშირად. ამდაგვარი წარმოდგენებისაგან თანდათან წარმოიშვება წინაპართა კულტი, რომელიც შესაძლებელია შედარებით უფრო მაღალი სოციალური დიფერენციაციის პირობებში და შემორჩა ინდოეთის, ჩინეთის, აფრიკისა და პოლინეზიის სხვადასხვა ხალხებში. ეს სოციალური პრაქტიკა მამის კულტის ფორმით ფართოდ იყო გავრცელებული ჩინეთში და რომში, სადაც თაყვანს სცემდნენ სახლის ღვთაებას.[1] ეს კულტი იმპერატორის

---

[1] ლარი და მანი (lari და mani) — გარდაცვლილთა სულები. Dies parentales (მოსაგონარი დღე) — რომაული დღესასწაულია, აღინიშნებოდა 13-დან 21 თებერვლამდე, უპირატესად მიძღვნილი იყო წინაპართა პატივსაცემად.

გვარის თაყვანისცემის ფორმით ახლაც გვხვდება იაპონურ სინთოიზმში.

ამა თუ იმ ტოტემური ჯგუფის ადამიანი თავის ცხოველ-წინაპარს განსაკუთრებული მოკრძალებით ეპყრობა. მაგალითად, ისინი, ვინც დათვზე ნადირობენ, ერიდებიან მისი ხორცის ჭამას, განსაკუთრებით წმიდა მარხვის პერიოდში, და იკვებებიან იმ ჯგუფის მონადირეთა ნანადირევით, რომლებსაც სხვა ტოტემი ჰყავთ. ადამიანთა ერთობა, რაც დაშლილი პირველყოფილი ურდოს ადგილზე ჩამოყალიბდა, წააგავს დიდ კოოპერატივს, რომელშიც ყველა უნდა ზრუნავდეს სხვისი საზრდოსათვის და თავის მხრივ სხვებზეა დამოკიდებული არსებობის საშუალებათა მოპოვებაში.

ამგვარად, სოციალურ-ეკონომიური ფაქტორები იძლევიან იმ უცნაური წესჩვეულებებისა და აკრძალვების ახსნას, რომელთა განსამარტავად ხშირად მიმართავენ ხოლმე ფანტასტიკურ მონაგონებს.

4. საქორწინო და სასურსათო აკრძალვები

განვიხილოთ ეგზოგამიური ქორწინების წესები;[1] როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს, ეგზოგამია პრაქტიკულად გამოიყენება იმ პატარა ჯგუფის გარეთ, რომელსაც პირველყოფილი ადამიანი ეკუთვნოდა.

ბევრი ამტკიცებს, რომ ეგზოგამიის კანონი, რომელიც სასტიკად კრძალავს სქესობრივ კავშირს ერთი ჯგუფის შიგნით, წარმოადგენდა სისხლთაღრევის საშიშროებისაგან დაცვის სტიქიურ საშუალებას; ზოგს კი ჰგონია, რომ ეს იყო ქალის მოტაცების უძველესი ფორმის ოფიციალური კურთხევა. ვინც ასე მსჯელობს, აშკარად მიაწერს პირველყოფილ ადამიანს ისეთ იდეოლოგიურ პროცესებს, რომლებიც უფრო მახლობელ დროში განვითარდნენ.

---

[1] ეგზოგამია (ბერძნულიდან exo — „გარეთ“ და „gamos“ — „ქორწინება“) — წესჩვეულება, რომელიც კრძალავს ქორწინებას ადამიანთა გარკვეული ჯგუფის შიგნით. — რ ე დ.

ერთი ტოტემური ჯგუფის ადამიანი ეძებს საცოლეს სხვა ჯგუფებში (ამასთან მუდამ ერთი უფრო დიდი სოციალური გაერთიანების ფარგლებში, რომლებშიც ეს ჯგუფები შედიან, ვინაიდან ეგზოგამიაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ კლანთან დამოკიდებულებაში, ტომში არსებობს მხოლოდ ენდოგამია.[1] ეს, უპირველეს ყოვლისა, იმაზეა დამოკიდებული, რომ ამ გზით გაფართოებული ნათესაური ურთიერთობა იწვევს არსებობის საშუალებათა მნიშვნელოვან გაუმჯობესებას. მარტივად რომ ვთქვათ, ერთი კლანის ქალიშვილის მითხოვება მეორე კლანის წევრზე ნიშნავს ახალი სახეობის საკვებით უზრუნველყოფას. ეს სტიმული მანამდე შემორჩა, ვიდრე აკრძალული იყო ცხოველ-ნათესავის — ტოტემის ხორცის ჭამა.

ეგზოგამიის წყალობით ადამიანთა ჯერ კიდევ უმნიშვნელო და მცირერიცხოვანი ჯგუფი უფრო მრავალრიცხოვანი და შინაგანად უფრო შემჭიდროვებული ხდება. „ჩვენ გაძლევთ ჩვენს ქალებს და მოგვყავს თქვენები; ვიცხოვრებთ თქვენთან და გავხდებით ერთი ხალხი", — ნათქვამია ბიბლიაში.

ასეთივე სურათი იშლება ჩვენს წინაშე სხვადასხვა სასურსათო აკრძალვების შესწავლისას.

რელიგიის ისტორიკოსები დღემდე განაგრძობენ დავას იმის თაობაზე, თუ როგორ წარმოიშვა ღორის ხორცის ჭამის აკრძალვის წესჩვეულება — არაბებიდან მოდის იგი, თუ სჯულის მიმდევარი ებრაელებიდან. ამ რელიგიურ აკრძალვაში ისინი ხედავენ სანიტარული დაცვის თავისებურ სტიქიურ და შეუგნებელ ღონისძიებას. თითქოს ღორის ხორცი იმიტომ იყო აკრძალული, რომ იგი შეიცავს ინფექციურ დაავადებათა გამომწვევს, განსაკუთრებით ცხელ ქვეყნებში, და დაკვლისთანავე იხრწნება. ასეთ თვალსაზრისზე დგას ისეთი მკვლევარი, როგორიცაა რენანი, რომ არაფერი ვთქვათ თეოლოგიურ ისტორიკოსებზე, — მათ თვალში ყველა მოვლენა განგების მიერ არის შექმნილი.

მაგრამ პირველყოფილ ადამიანს ოდნავი წარმოდგენაც კი

[1] ენდოგამია (ბერძნულიდან endon — „შიგნით" და gamos — „ქორწინება") — წესჩვეულება, რომელიც კრძალავს ქორწინებას ადამიანთა გარკვეული ჯგუფის გარეთ. — რედ.

არა აქვს ჰიგიენაზე. მაგალითად, იგი დარწმუნებულია, რომ ავადმყოფობას იწვევს გარკვეული მორალური და სოციალური დანაშაულებანი და არა რაიმე ფიზიკური მოწამვლა. ღორის ხორცის ჭამის აკრძალვა უბრალოდ შედეგია იმ ფაქტისა, რომ სემიტურმა ხალხებმა, როგორც ყველა სხვა ხალხმა, გაიარა ტოტემიზმის ეპოქა და თავდაპირველად ღორი და ტახი თავის ნათესავ-ცხოველად, წმიდა ცხოველად მიაჩნდათ. ამისდა შესაბამისად ისინი წარმოადგენდნენ ტაბუს ყველა მონადირისათვის. შემდგომში წარმოდგენა ამ უძველეს მოვლენაზე გაქრა, მაგრამ აკრძალვა დარჩა და დაკანონებულ იქნა რელიგიის მიერ, ხოლო მისი გამართლებისათვის გამოიგონეს ფანტასტიკური ახსნა.

ებრაელი ერის ისტორია, ბუნებრივია, არ განსხვავდება ყველა სხვა ხალხის ისტორიისაგან, რომლებმაც რელიგიური განვითარება განიცადეს. ებრაელთა „საღვთო წერილი", რომელიც საფუძვლად დაედო ქრისტიანულ და მუსლიმანურ რელიგიებს, შეადგინეს მაშინ, როცა პალესტინამ თავის სოციალურ და ეკონომიურ განვითარებაში უკვე გაიარა პირველყოფილი თემური წყობილების სტადია და წარმოიშვა კლასობრივი საზოგადოება. კლასებთან ერთად ჩაისახა აგრეთვე წარმოდგენა ზებუნებრივსა და ღვთაებრივზე, უზენაეს არსებაზე.

ბიბლიაში მაინც ხშირად ვხვდებით ძველი წარმოდგენების გადმონაშთებს, რომლებიც წინაპარი-ცხოველის ეპოქას განეკუთვნება. საკმაოა გავიხსენოთ მოსეს სჯულის მიერ დაგმობილი მოზვრისა და ხბოს კულტი, ანდა გველის თაყვანისცემის რიტუალი, რომელსაც მოგვიანებით კვლავ ვამჩნევთ ადრეული ქრისტიანობის ზოგიერთ სექტაში.

ძველი ბერძნების ზეესი, ვიდრე პერსონიფიცირებული ღმერთი გახდებოდა, ზუსტად ასევე რიგრიგობით იყო მოზვერი, არწივი, გედი. ცხოველ-წინაპრიდან ცხოველ-ღმერთზე გადასვლა აიხსნება საწარმოო ძალების განვითარებით, რამაც გარდაქმნა პირველყოფილი თემი და დასაბამი მისცა საზოგადოების ისტორიის შემდგომი ფაზის — მონობის ეპოქის განვითარებას.

გარდასული ეპოქების კვალს მეცნიერი მხოლოდ მიწის ქვეშ როდი პოულობს.

თუ გათხრების დროს ნაპოვნი ძველთაძველი შრომის იარაღები, საყოფაცხოვრებო და გაცვლა-გამოცვლის საგნები, ხელოვნების ქმნილებანი ადასტურებენ საზოგადოების მიერ თანდათანობითი განვითარების ეტაპებს, არანაკლები მნიშვნელობა აქვს ამ ეტაპების კვალსა და მათზე მოგონებებს, რომლებიც ხალხის ტრადიციებში, ენასა და რელიგიებში მეღავნდება.

აურაცხელ ლეგენდებში, რომლებიც დღემდე მრავალი ხალხის ფოლკლორშია შემონახული, შეიძლება შევნიშნოთ ძველი ზნე-ჩვეულებებისა და ცალკეულ სოციალურ წყობათა გავლენა. იცვლება რომელიმე ისტორიული ეპოქა. მაგრამ ადამიანთა მეხსიერებაში იგი თითქოს ქვავდება და გადადის მომდევნო ეპოქებში ხშირად გაუგებარი ჩვევებისა და ტრადიციების სახით. ენა თავისებური საბადოა, რომელშიც ინახება კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა ეპოქის საზოგადოებრივი გამოცდილება და იდეები. სიტყვის წარმოშობის ისტორიის გამოკვლევა ამ თვალსაზრისით ნაკლებ მნიშვნელოვანი როდია, ვიდრე ნამარხთა და არქეოლოგიურ განათხართა შესწავლა.

ყოველი იდეოლოგია ყოველთვის ჩამორჩება მის წარმოშობ სინამდვილეს; მაგრამ უმთავრესად რელიგიას ახასიათებს ისეთი რთული მოვლენა, როგორიცაა გაქვავებულობა და ადვილად შემგუებლობა, რომლებიც აისახა სულ სხვადასხვა ეპოქების მითებსა და სარწმუნოებაში.

ქრისტიანული რიტუალი სავსეა სხვადასხვა ცხოველთა შესახებ სიმბოლიკითა და თქმულებებით, რომლებიც შესულია პოეზიის, ხელოვნების ფონდში და თეოლოგიურ მოძღვრებებშიც კი. კრავი და მწყემსი, სასწაულებრივი თევზაობა კატაკომბების მკვიდრთა და ქრისტიანობის პირველ აპოლოგეტთა თქმულებებში, „სული-წმიდასთან“ გაიგივებული მტრედი, თქმულება მაცდუნებელი გველის შესახებ — ყოვე-

ლოვე ეს ის თემებია, რომლებიც ამჟამად ქრისტიანული რჯულთმოძღვრების განუყოფელ ნაწილად იქცნენ. მაგრამ ყოველივე ეს ბევრ სხვა რელიგიაშიც გვხვდება და სულაც არ წარმოადგენენ მარტო მდიდარი პოეტური ფანტაზიის ნაყოფს. ხელოვნებამ შემდგომში გადაამუშავა საზოგადოების ისტორიის იმ პერიოდის რეალური მასალა, როცა ეს ცხოველები გარკვეულ ურთიერთობაში იყვნენ ადამიანებთან.

ამ სიმბოლოს ჩასახვა რომ ავხსნათ, საჭიროა კვლავ დავუბრუნდეთ ტ ო ტ ე მ ი ზ მ ი ს ფაზას.

ებრაელები ჯერ კიდევ მითიურ ბიბლიურ პერსონაჟს იესო ნავინს უწოდებდნენ „თევზის ძეს". „წმიდა" თევზებს დღესაც ამრავლებენ ედესისა და ტრიპოლის ზოგიერთ საგუბარში სირიის სანაპიროებთან, იმ ადგილებთან ახლოს, სადაც პირველად დაიწყო სამოციქულო ქადაგებანი. ეს უეჭველად უძველესი ადგილობრივი ტოტემური კულტის კვალია. მაგრამ როცა პირველმა ქრისტიანებმა იესო ქრისტე „ჩვენს თევზად" გამოაცხადეს, წარსულის ამ გამოძახილმა უკვე დაკარგა ყოველგვარი კავშირი უძველეს რელიგიურ კულტთან, ამიტომ იგი სხვანაირად უნდა აიხსნას.

ლათინურ-აფრიკანული ეკლესიის დამაარსებელი ტერტულიანე ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნის ბოლოს ქრისტიანებს ახასიათებდა, როგორც „თევზებს, რომლებიც ჩვენს თევზს იესოს მისდევენ"; მას ეგონა, რომ სწორად განმარტავდა კატაკომბების კედლებზე გამოსახულ ბევრ ნახატს, როგორც ნათლისღების სიმბოლოს: „წყალში დავიბადენით და მხოლოდ წყალშია ჩვენი ხსნა". მაგრამ ასეთი ახსნა-განმარტება თავიდან ბოლომდე ფანტაზიის ნაყოფია. სხვები წერდნენ, რომ თევზის სახე წარმოიშვა აკროსტიქიდან „ichtùs" („იხტუს"), რომელიც ერთი ბერძნული ლოცვის („იესო ქრისტე ძე მაცხოვრისა") საკმაოდ რთული ფრაზის დასაწყისი ასოებისაგან შედგება. ამავე დროს ბერძნულად „იხტუს" ნიშნავს „თევზს". ამრიგად, აქაც მდიდარი ფანტაზიის ნიადაგზე ვდგევართ.

სინამდვილეში კი, სანამ ქრისტიანულ სიმბოლიკაში შევიდოდა, თევზი იყო ტოტემი პალესტინის სხვადასხვა ტომებისა, რომლებიც მეთევზეობას ეწეოდნენ. საზოგადოებრივი

ცხოვრების უფრო განვითარებულ ფორმებზე გადასვლის შემდეგ ეს ტოტემი გარდაიქმნა პერსონიფიცირებულ ღმერთად. იმავე ეპოქის ბევრ სხვა რელიგიაში გვხვდებიან ღვთაებანი, რომლებსაც თევზის თავები აქვთ. სამართლიანია ის აზრი, რომ აქედან უნდა მოდიოდეს სამარხვო ტაბლისა და პარასკევობით თევზის ჭამის წესჩვეულება. საქმე ისაა, რომ როცა პირველდაწყებით აკრძალვას თან მოჰყვა თავდაპირველ ტოტემურ ურთიერთობაზე წარმოდგენის დაშლა, ხოლო წმიდა ტაბლა ადამიანებს სასიცოცხლო მოთხოვნილებად წარმოუდგათ, ღვთაების ხორცის ჭამა გადაიქცა რიტუალური მღვდელთმსახურების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფორმად.

ასევე შეიძლება განვმარტოთ „წმიდა“ ცხოველის — მტრედის ქრისტიანული ფოტიკი მცირე აზიასა და მთელ რიგ სლავურ ტომებში, ანდა გველისა, რომელიც უდაბნოში მცხოვრებ ისრაელთ იდუმალ ღვთაებად მიაჩნდათ და ხშირად „ბოროტ ძალასთან“ აიგივებდნენ, — აგრეთვე ცხვრის, კრავისა და ვაცის მოხსენიება. ცნობილია „განტევების ვაცის“ უძველესი ტოტემური ტრადიცია, რომელიც კვლავ ცოცხლდება ებრაელი ხალხის ისტორიაში. მთელი ტომის ცოდვებით სავსე ცხოველი უდაბნოშია ტომის ფიერ გაძევებული და იქ ღაფავს სულს. ამით ტომი თავს აღწევს ღვთის რისხვასა და სასჯელს.

და აი ამ სტადიაზე ჩვენ უკვე ვამჩნევთ საზოგადოებრივ სტრუქტურაში მომხდარ ღრმა ცვლილებებს.

6. ცხოველ-ტოტემიდან ცხოველ-ღმერთამდე

სავსებით შესაძლებელია, რომ ცხოველ-ტოტემზე განსაკუთრებულმა ზრუნვამ ხელი შეუწყო ცალკეულ ცხოველთა მოშინაურებასა და გამრავლებას.

მართლაცდა იმ შაგიური წესჩვეულებისათვის, რომელიც ხელს უწყობდა ნადირობას, და სარიტუალო ტაბლისათვის, რომელიც ბოლოს და ბოლოს მორწმუნეთა კოლექტიურ ზიარებად იქცა, — ყოველივე ამისათვის ადამიანებს უნდა ჰყოლოდათ, გალიაში ან საჩეხეში, „წმიდა“ ცხოველები. თუ ასე-

თი ახსნა სწორია, მაშინ ჩვენ საქმე გვაქვს ერთ-ერთ ტიპიურ შემთხვევასთან, როცა იდეოლოგია უკუგავლენას ახდენს ეკონომიურ სტრუქტურაზე და ერთგვარად ცვლის თავდაპირველ წარმოებით ურთიერთობას.

მაგრამ ცხადია, რომ საზოგადოების პირველი, მონადირეობაზე დამყარებული ფაზიდან მესაქონლეობაზე და მიწათმოქმედების ადრინდელ ფორმებზე გადასვლა განისაზღვრება არა რელიგიური მოტივებით, არამედ შრომის ახალი იარაღების განვითარებით და ადამიანთა შორის ახალი ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობის ჩამოყალიბებით.

მიწათმოქმედების წარმოშობა, რაც თან მოჰყვა მიწის დამუშავებისათვის საჭირო პირველი უხეში სასოფლო-სამეურნეო იარაღების აღმოჩენას, ნიშნავდა ტოტემიზმზე დამყარებული კულტურის რღვევას და მოსპობას. მაგიური ცეკვა, რომელსაც თითქოს ხელი უნდა შეეწყო ნადირობის წარმატებისათვის, შეცვალა ნაყოფიერების სხვადასხვა წესჩვეულებებმა, ვულვარულმა და ფალოსურმა კულტებმა, რომლებიც მხოლოდ ნიადაგის ნაყოფიერებისათვის ხელსაყრელ კულტებად ითვლებოდნენ და არაფერს ბაკქანალიურს არ შეიცავდნენ.

წინაპარი ცხოველის თაყვანისცემა თანდათან ითქვიფება ბუნების თაყვანისცემაში. ეს მეტად ნელი პროცესია, რომელშიც მრავალ ეტაპს განასხვავებენ.

მაგრამ ყველა ტოტემი ცხოველი არ იყო. ზოგიერთი რაიონის ფაუნის სიღარიბე და ადამიანთა გაერთიანებული ჯგუფების რაოდენობის ზრდა უკვე წინათაც იწვევდა იმას, რომ ცხოველთა ცალკეულ ორგანოებსა და ნაწილებს ტოტემის სუროგატად იყენებდნენ. ასეთია, მაგალითად, კენგურუს სქელი გავა (ავსტრალიაში) ანდა ზოგიერთი ცხოველის კუდები. სხვა შემთხვევაში ტოტემად თანდათან, ასიმილაციის გზით იქცეოდა ხოლმე ბალახი, ბოსტნეული, მცენარეულობა. როცა ტოტემის როლში გამოდიან უსულო საგნები და ბუნების მოვლენები, ეს იმას ნიშნავს, რომ საზოგადოების წიაღში არსებითი ცვლილებები დაიწყო. მონადირე ჯგუფებს შორის ყალიბდება შრომის დანაწილების ახალი ფორმა; ჩნდება სპე-

ციალიზაცია, რაც საფუძვლად უდევს ხელოსნობას; იწყება მიწის დამუშავება და საზოგადოების ცხოვრებაში სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება მზეს, ქარს, წვიმას, მთვარეს, ღრუბლებს.

ცხოველი-წინაპარი, ჯერჯერობით მისთვის დამახასიათებელი ცხოველის სახით, თანდათან იძენს ბუნების მოვლენების დამახასიათებელ თვისებებს. მწყემსი და მიწის მუშა ახალ ურთიერთობაში არიან ატმოსფერულ მოვლენებთან, რომლებიც განუწყვეტლივ ახდენენ გავლენას მათ შრომაზე. ტოტემს სულ უფრო ხშირად გადააქვს თავისი სამყოფელო დედამიწიდან მაღლა — ცაზე, მთებში, ღრუბლებში. ადამიანის ფანტაზია ქმნის განსახიერებულ ძალებს, რომლებიც, მისი აზრით, წარმართავენ ადამიანისა და ბუნების განვითარებას.

აქ ჩვენ ვამჩნევთ სხვა პროცესს. შრომისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის ახალი ფორმების წარმოშობასთან ერთად ჩნდება კერძო საკუთრება, კლასები და ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

ცხოველი-ტოტემის გარდასახვა ცხოველ-ღმერთად, რომელსაც ასევე შეუძლია ვნების მიყენება და ამიტომ უნდა გაიუვნებლონ და გული მოულბონ, — წარმოადგენს ახალი საზოგადოებრივი სტრუქტურის რელიგიურ ასახვას.

ანიმიზმი და ფეტიშიზმი

რელიგიურ რწმენათა კრიტიკა უძველესი დროიდან დაიწყო. მეექვსე საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ბერძენი პოეტი და ფილოსოფოსი, ელეატური სკოლის ფუძემდებელი ქსენოფანე წერდა:

ხარს ან ლომს, ან ცხენს კაცივით რომ ხელი ჰქონოდა,
რომ შესძლებოდა წერა, როგორც ადამიანებს,
ცხენნი ღმერთს ცხენებს ამსგავსებდნენ და ხარის სახეს
უძღვნიდნენ ხარნი... ყველა თვისი ჯიშის მიხედვით
მისცემდა ღმერთებს თავის სახეს და გარეგნობას.

შავ-პაპუებად თვლიან ღმერთებს ეთიოპელნი,
თრაკიელთ ქერად მიაჩნიათ, ცისფერთვალებად[1].

შესაძლებელია სწორედ ეს მიუდგომელი ანალიზი იყო მიზეზი ქსენოფანე კოლოფონელის ნაწარმოებთა მოსპობისა. გაბატონებული კლასი არ შეიძლებოდა ლმობიერად მოპყრობოდა ღმერთების გამასხარავებას, ღმერთებისა, რომლებსაც იგი მიმართავდა თავისი ბატონობის დაკანონებისა და კურთხევისათვის, მას, მით უმეტეს, არ შეეძლო ეპვი შეეტანა ღვთაების რეალობაში.

მსგავსი ხვედრი ეწია სოკრატემდელი პერიოდის თითქმის ყველა ფილოსოფოსს, რომლებიც ბუნებისა და საზოგადოების ახსნისას გამოდიოდნენ არა ზეციური, არამედ ამქვეყნიური წარმოდგენებიდან. მათი თხზულებებიდან შემორჩა მხოლოდ ტენდენციური ციტატები და იშვიათი ფრაგმენტები.

[1] „ელადის მუზა“, 1963, გვ. 89.

ერთ-ერთი მიმართულების გამომხატველმა ტერმინმა „სოფისტურმა“ ბოლოს და ბოლოს საძრახისი შინაარსი მიიღო. ბევრით არ განსხვავდება ათენის მმართველი წრეების მიერ სოკრატეს სიკვდილით დასჯის მოტივებიც.

ჩვენს დროში შესაძლებელია სამოქალაქო მინისტრებისა და ჯარის სარდლების დასჯა იმისათვის, რომ მათ უდანაშაულო ხალხის სისხლში აქვთ გასვრილი ხელები; მაგრამ თუ ამგვარი ბრალდება მიმართულია რომელიც გნებავთ სარწმუნოების უმაღლეს საეკლესიო პირთა წინააღმდეგ, რომლებსაც არანაკლები პასუხისმგებლობა ეკისრებათ ომისა და აგრესიის პოლიტიკის გატარებისათვის, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ თვითონვე მოხვდებით საბრალმდებლო სკამზე.

როცა ღვთაება შექმნილია, კლასობრივი საზოგადოების ადამიანს, ჩვეულებრივ, უცოდველად და კრიტიკისათვის მიუწვდომლად მიაჩნია ყველა ის, ვინც ღვთაების ნების მატარებლად და განმმარტებლად გამოდის.

ქსენოფანეს დაკვირვება მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა საზოგადოებაში უკვე დამთავრდა დაბალი ფენების დამორჩილება გაბატონებული კლასების მიერ. მაგრამ მითოლოგიური გამოსახულებანი ადამიანისა და ადამიანის მსგავსი ნიშნებით გვხვდება ადრეც, ტოტემისტური თემის დაშლის პირობებში.

ღვთაება, რომელიც გარეგნულად მთლიანად არაჩვეულებრივი ძალლონის მქონე ადამიანის მსგავსია, მხოლოდ მაშინ ჩნდება, როცა დედამიწაზე ყალიბდება ბელადის, ბატონისა და მბრძანებლის ძალაუფლება.

განვიხილოთ ღმერთების ერთი რომელიმე უძველესი გამოხატულება.

რელიგიურ ხელოვნებაში ღმერთები ყოველთვის წარმოდგენილია სამსახეობით — ადამიანის სხეულით, ცხოველის თავით, კუდით ან ფეხებით და ბუნებისა და ზეციური მოვლენების სხვადასხვა სიმბოლოებით. ცხოველის ნიშნები მოწმობენ რელიგიის ტოტემისტურ ფაზას; ბუნების სიმბოლოები (მზე, მთვარე, ვარსკვლავები, ქარი, წვიმა, ცეცხლისა და პირველყოფილი სამუშაო იარაღების ჩაუთვლელად) გვაკავშირებენ მომდევნო სტადიასთან, საზოგადოების უფრო განვითა-

რებულ, ნადირობის ფორმებზე, მეთევზეობასა და მიწათმოქმედებაზე გადასვლასთან.[1] დაბოლოს, ღმერთის ადამიანური სახე მიუთითებს საზოგადოების ახალი ფაზის მოახლოებაზე, ან დამკვიდრებაზე, სადაც პრივილეგირებულ უმცირესობას მითვისებული აქვს აბსოლუტური ხელისუფლება, ხოლო ხალხის უმრავლესობა გადაქცეულია მონებად ან ფაქტიურად დაქვემდებარებულ ადამიანებად.

ქვის ეპოქის გამოქვაბულებში აღმოჩენილია პრიმიტიული ნახატები,[1] რომლებზედაც გამოსახულია ხელები. ჯერ კიდევ ამ გაურკვეველ გამოსახულებებში არაფერი არ არის იდუმალი, ვინაიდან ხელი წარმოადგენდა ადამიანის პირველ სამუშაო იარაღს.

უძველეს დროსთან შედარებით ახლო, მაგრამ ჩვენგან მაინც ათეული ათასწლეულით დაშორებულ სტადიაზე ჩვენ ვამჩნევთ იმავე კედლებზე ცხოველთა — ირმებისა და ბიზონების, სპილოების, ანტილოპების, ძაღლებისა და, მხოლოდ გაცილებით მოგვიანებით, ცხენების რეალისტურ გამოსახულებებს. ამ ნახატებს, რომლებიც ხშირად შესანიშნავი ოსტატობით არის შესრულებული, მიეწერებოდა მაგიური ძალა. ნანადირევი ჯერ კიდევ ადვილად უსხლტება ადამიანს ხელიდან, და ნადირობა რომ გაიადვილოს, ის გამოხატავს ისრებით გარშემორტყმულ, დაჭრილ ანდა ხაფანგში გაბმულ ცხოველს და სჯერა, რომ ამით სინამდვილეში[2] განახორციელებს გამოსახულს.

სამხრეთ საფრანგეთიდან ესპანეთამდე, ატლანტიკის სანაპიროდან შავ აფრიკამდე, აღმოსავლეთ ევროპიდან ჩინეთამდე' წინაისტორიული ეპოქის გამოქვაბულები ინახავენ ჩვენთვის უძვირფასეს ცნობებს, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-მდე 40—50 ათასწლეულს მაინც განეკუთვნებიან. ამასთან სამხრეთ აფრი-

[1] მატრიარქატმა ამ თვალსაზრისითაც დატოვა განსაკუთრებით დამახასიათებელი კვალი. მზე—მამრობითი ღვთაებაა ინდოევროპელ ხალხებში, მაგრამ მდედრობითია — სინტოისტებში; ზეცა — ღმერთია ჩინეთში და ქალღმერთი ეგვიპტეში; მთვარე წარმოადგენს ქალღმერთს საბერძნეთში და ღმერთს გერმანელებთან და იაპონელებთან და სხვ.

[2] H. Breuil. Quatre cents siécles d'art pariétal. Les cavernes ornées de l'âge de la renne. Montignac, 1952,

კის კლდის ფერწერა ფერებითა და სტილით საოცრად ჰგავს აღმოსავლეთ ესპანეთში არსებულ გამოსახულებებს, რაც ადასტურებს ზემო პალეოლითიდან დაწყებული ევრეთ წოდებული საერთო კულტურის ფართოდ გავრცელებას.[1] ლასკოს განთქმულ გამოქვაბულში ნაპოვნი დანახშირებული ფრაგმენტების ანალიზი, რომელიც აღმოაჩინეს საფრანგეთში 1940 წელს ვეზერის ახლოს, პერიგორში, შესაძლებლობას გვაძლევს დავათარიღოთ იგი ჩვ. წ. აღ.-მდე დაახლოებით 13500 წლით. მაგრამ ნახშირბადის რადიაქტიული იზოტოპების გამოყენების მეთოდი ჯერ კიდევ არ არის საესებით სრულყოფილი. გამოქვაბული, ჩანს, მრავალი ათეული საუკუნით ადრე წარმოადგენდა ბუნებრივ თავშესაფარს.

იმის კვალობაზე თუ როგორ ვცილდებით ქვის საუკუნეს და ვუახლოვდებით ბრინჯაოსა და რკინის საუკუნეებს — ჩვ. წ. აღ.-მდე 5000 და 1500 წლებს შორის, ცხოველთა ნახატებს ემატება შრომის ზოგიერთი ძირითადი იარაღის მკაფიო გამოსახულებანი. ისინი მიგვითითებენ ტექნიკურ აღმოჩენებზე, რომელთაც გარდაქმნეს საზოგადოების ისტორია. ასეთებია ორპირა ცული, შუბი, ბორბალი, კავი, ფარცხი, სახნისი. წარმოების საშუალებათა განვითარების შესწავლა ამავე დროს ნიშნავს რელიგიური იდეოლოგიის შესწავლას, რომელიც დამახინჯებულად ასახავს — რაც მისთვის დამახასიათებელია — ადამიანის გზას ცივილიზაციის უფრო მაღალი ფორმებისაკენ.

სინამდვილეში ეს საგნები სულ უფრო ღრმად იჭრებოდნენ მაგიისა და კულტის სფეროში.

ორპირა ნაჯახისა და ჩუგლუგის სიმბოლური გამოსახულება გვხვდება მთელ ხმელთაშუაზღვისპირა სამყაროში ვეტულონიის ეტრუსკული ნამარხებიდან ფარსამდე, სადაც ის მოგვიანებით გახდა სიმბოლური ატრიბუტი ადგილობრივი ღვთაების თარქუსი, რომელიც ცნობილი იყო ლიდიიდან კარიამდე და კრეტამდე.[2]

---

[1]. L. Frobenius. Storia della civiltà africana. Torino, Einaudi, 1950, გვ. 263 და შემდეგ.

[2] ვეტულონია — ქალაქი ეტრურიაში (თანამედროვე ჩრდილო იტალია); ფარსი მდებარეობს თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე. ლიდია — უძველესი სახელმწიფო მცირე აზიის დასავლეთში (თანამედროვე თურქეთში), რომლის ცენტრშიც მდებარეობდა კარია. — რ ე დ.



პრეისტორიული მაგია
სცენა პირველყოფილი ადამიანის ცხოვრებიდან, დახატული გამოქვაბულ ლასკოს კედლებზე

ჩუგლუგი მოგვიანებით გახდა აგრეთვე სახელმწიფოებრივი ხელისუფლების ერთ-ერთი სიმბოლო. მაგრამ ვიდრე კულტის საგანი ან ხელისუფლების სიმბოლო გახდებოდა, ორპირა ნაჯახი იყო ნეოლითის ადამიანის შრომისა და ძირითადი საბრძოლო იარაღი, რითაც აღინიშნა ნეოლითის ეპოქიდან ბრინჯაოს ეპოქაზე გადასვლა.

მითოლოგია ცოცხლად ინახავს ხსოვნას უძველეს იარაღებსა და პირველყოფილ წარმოების საშუალებებზე: აქილევსის შუბზე, რომელიც თესალიაში მიღებულია როგორც რელიქვია, აგამემნონის კვერთხზე ხერონეაში,[1] მემნონის მახვილზე ნიკომედიაში, პიროსის ფარსა და ტანაკვილის სართავზე რომის ფიდეს იუპიტერის ტაძარში, რომულის ორალზე. იგივე შეიძლება ითქვას მუსიკალური ინსტრუმენტების მიმართ: გავიხსენოთ ორფევსის ლირა, მარსის ფლეიტა, იდუმალებათა კულტის წინწილა და დაფი.

---

[1] თესალიდა — ქალაქია ლიკიაში (ნახევარკუნძული მცირე აზიის სამხრეთ დასავლეთში); ხერონეია — ქალაქია ბეოტიაში, ძველ საბერძნეთში.

ზოგიერთი უმნიშვნელოვანესი იარაღისადმი უხსოვარი დროიდან თაყვანისცემამ კიდევ უფრო ღრმა კვალი დატოვა.

ბორბალს პირველყოფილი ადამიანის თვალში არაჩვეულებრივი თვისებები აქვს, — იმდენად დიდია ის უპირატესობა, რომელსაც ის იძლევა, რომ ძალიან ადრე ხდება მისი გაიგივება მზის დისკოსთან, რომლის მადლიანი გავლენა აწესრიგებს სასოფლო სამუშაოებს. ახლაც კი ხშირად ანგარიშს არ ვაძლევთ ჩვენს თავს, თუ რა დიდი და მრავალფეროვანია წარსულის კვალი ჩვენს ენაში. მაგალითად, იტალიაში ერთი და იგივე სიტყვით — „raggio" აღნიშნავენ ბორბლის შანებს და მზის სხივებს.[1]

არ უნდა დავიიწყოთ, რომ უბრალო ბორბალს აქვს ოთხი შანა, ისინი ერთიმეორის მიმართ მართ კუთხეებს ქმნიან. ეს გამოსახულება გვხვდება ბრინჯაოს ხანის მორთულობასა და განძეულობაზე. აქედან მოდის ჯვრის სიმბოლიკა, რომელიც პირველ ხანებში დაკავშირებულია მზის კულტთან.

ამრიგად, ტექნიკის განვითარება აგრეთვე დიდ მნიშვნელოვან როლს ასრულებს რელიგიური იდეების ისტორიაში.

1. შანის თეორია

ცხოველთა სამყაროსა და ბუნების ძალებზე ადამიანის შემდგომი ამაღლების კვალობაზე მაგიურ რელიგიურ გამოსახულებებთან ერთად ვითარდება იდეალი იდუმალი ძალისა, რომელიც გარს მოიცავს საზოგადოებას და პირველ რიგში იმ საგნებსა და უხეშ იარაღებს, რომლებსაც ადამიანები მუდმივად ხმარობენ.

პირველყოფილი საზოგადოების რელიგიის თითქმის ყველა ფორმაში აღინიშნება რწმენა ისეთი ძალისადმი, რომელიც ამიერიდან მთლად შატერიალური არაა, თუმცა მხოლოდ მა-

[1] იტალიურ ენაში ორივე ეს ცნება ერთი და იგივე სიტყვით „raggio" გამოიხატება („რადჟო") და წარმოშობილია ლათინურიდან („radius") („რადიუსი"), საიდანაც მოდის „რადიაცია", ე. ი. გამოსხივება. იგივე მოვლენა აღინიშნება სხვა რომანულ ენებშიც (მაგალითად, ფრანგული „rayon", ესპანური „rayo", პორტუგალიური „raio", რუმინული „raza" და სხვ.) — რ ე დ.

ტერიალურ სხეულებში გამოვლინდება. მელანეზიის ტომებში ამ ძალას ეწოდება „მანი“. სხვა ხალხებში, რომლებიც ანალოგიურ პირობებში ცხოვრობენ, იგი ცნობილია სხვადასხვა სახელწოდებით. ამ ტერმინს, რომელიც პირველად იხმარა პროტესტანტმა მისიონერმა კონდრიქტონმა 1891 წელს, დიდი წარმატება ჰქონდა ეთნოგრაფებში, მაგრამ შემდეგ დაიწყეს მისი ბოროტად გამოყენება, იმ მიზნით, რომ შეეკოწიწებინათ ათასგვარი თეორიები რელიგიურ რწმენათა ასახსნელად წმინდა იდეალისტური განმარტებების საფუძველზე.

მელანეზიური საზოგადოება სულაც არაა იმდენად პირველყოფილი, როგორც საერთოდ ჰგონიათ, ამასთან არ არის გამორიცხული მასზე უფრო განვითარებული რელიგიების — ისლამის, ბუდიზმისა და, ბოლოს, თვით მისიონერული ქრისტიანობის გავლენა.[1] მანის, ე. ი. უსახო საშიში ძალის ცნება, ძალისა, რომელიც ბუდობს ქვებში, მცენარეებში, იარაღებში, ცხოველებში, მეომართა სხეულებში, და მოგვიანებით, უპირველეს ყოვლისა ბელადთა სხეულებში, გავრცელებულია მსოფლიოს ისეთ ნაწილებში, რომლებიც ერთმანეთისაგან დიდად არიან დაცილებული. ასეთია ვაკანდას, მანიტუს, ორენდას ცნებები ჩრდილო ამერიკის ინდიელთა ტომებში, ცნება ტინხი ანამიტებში (ვიეტნამელებში), ტონდისა — ბატაკთა ტომებში, რომლებიც ცხოვრობენ ინდონეზიის კუნძულების მთიან რაიონებში, კამისა — იაპონელებში, ბრაჰმანისა — ინდუიზმში, იდუმალი ელისა — ძველ ებრაელებში და, ბოლოს, ყბადაღებული ნუმინებსი — რომაელებში. ყოველივე ეს — უსახო, გაუფორმებელი, ბუნებაში გათქვეფილი ძალებია, როლებსაც ადამიანი შემთხვევით შეიძლება შეეხოს, შეურაცხყოს ისინი და ამისათვის სასტიკად დაისაჯოს. ამ მოვლენის ახსნა შეიძლება არა გეოგრაფიით, არამედ საზოგადოების სტრუქტურით.

ჩვენ ჯერჯერობით განვიხილავთ უფრო ადრეულ სტადიას, რომელიც წინ უსწრებდა სულებისადმი რწმენის წარმო-

[1] მელანეზიის არქიპელაგი დასახლებულია ანთროპოლოგიური თვალსაზრისით უძველესი შავკანიანი ხალხით („მელანეზია“ ნიშნავს „შავთა კუნძულს“), ხუპუპა თმის გამო მათ „პაპუასებსაც“ უწოდებენ.

შობას. მანის ცნება ადამიანის მიერ სამყაროს არასრულყოფილი შემეცნებიდან კი არ მომდინარეობს, არამედ შედეგია ადამიანის უსუსურობისა მისი გარემომცველი სამყაროს წინაშე იმ პერიოდში, როცა პირველყოფილი თემი იწყებს გარდაქმნას უფრო რთულ ორგანიზაციად და წარმოიშვებიან მთელი რიგი ახალი სოციალური ჯგუფები.

მაგრამ საზოგადოების კლასებად დაყოფა ჯერ არ მომხდარა. მხოლოდ სოციალური დიფერენციაციის პირობებში შეიძლება წარმოიშვას წარმოდგენა სულებზე, რომლებიც თავისუფლად ლივლივებენ ჰაერში, ბინადრობენ ტყეში, წყალში, უდაბნოში, მთებში და ხეობებში, სულებზე, რომელთაც შეუძლიათ კეთილისმყოფელად ან დამღუპველად იმოქმედონ ადამიანის ცხოვრებაზე. გარდა ამისა, ახალ წარმოებით ურთიერთობათა საფუძველზე, რომელიც წარმოიშვება თემის შიგნით, ადამიანები გარკვეულ ცხოველებს, ამა თუ იმ საგნებს, ბუნების მოვლენებს ან ხეებს[1] მიაწერენ თვისებებს, რომლებიც მხოლოდ ამ საგნებისათვისაა დამახასიათებელი.

ამიტომ მანის თეორია მისაღებია მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი საშუალებას გვაძლევს ავხსნათ ადამიანის შეგნებაში საზოგადოებრივი და ეკონომიური სინამდვილის რელიგიურ ფორმებში ასახვა.

2. სული-ტოტემი და სული-სუნთქვა

წარმოდგენა სულებზე და სულისადმი რწმენა ყველა თანამედროვე რელიგიური რწმენის განუყოფელი ნაწილია.

რასაკვირველია, ძნელია ისეთი რელიგიის წარმოდგენა, რომელიც თავის მოძღვრებას სულიერი სამყაროსა და ბუნე-

---

[1] იმ ხალხების რელიგიურ მითოლოგიაში, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში ტყეებში ცხოვრობდნენ, ისეთები, როგორიც არიან კელტები, გერმანელები, სლავები, ეკვატორული აფრიკისა და მდინარე ამაზონის აუზის მკვიდრნი, — აყვავებისა და ზოგჯერ კი სიუხვის სიმბოლოებად ხშირად გვხვდება ხეები. საშობაო ნაძვის ხე, სამაისო ხე და საფრანგეთის რევოლუციისდროინდელი „თავისუფლების ხეც“ ამ რწმენის ფოლკლორულ გადმონაშთს წარმოადგენენ.

ბის ურთიერთდაპირისპირებაზე არ ამყარებდეს. ამ თვალსაზრისით მოგვს, მღვდელსა და იდეალისტ ფილოსოფოსს შორის არსებითი განსხვავება არ არსებობს. ბ. კროჩეს თეორია, რომელიც სულს თვლის კაცობრიობის ისტორიის წარმმართველ ძალად, — ღვიძლი დაა ჯადოქრის გულუბრყვილო პრეტენზიისა, რომელიც ადამიანის გარემომცველ იდუმალ სულიერ ძალთა დამორჩილებას ლამობს.

ჩრდილო და ცენტრალური აზიის ხალხების (ესკიმოსები, ტუნგუსები, მონღოლები და სხვ.) ყბადაღებული შამანი, რომელსაც ევალება სულების სამყაროსთან ურთიერთობის უზრუნველყოფა, საკვლევით ჰგავს ეკვატორული აფრიკის ჯადოქარს, ბაბილონელ მოგვს, ებრაელ კოგენს და სხვ. შამანობა სულაც არ წარმოადგენს მხოლოდ ცალკეული ხალხებისათვის დამახასიათებელი „ბუნებრივი" რელიგიის ერთ-ერთ სახეობას, — ეს არის მთელი კაცობრიობის რელიგიური განვითარების საერთო ფაზა.[1]

მეცნიერები განაგრძობდნენ მიზეზისა და შედეგის აღრევას და შექმნეს ანიმიზმის თეორია. ინგლისელმა ანთროპოლოგმა ე. ტეილორმა 1867 წელს ლონდონის კონფერენციაზე და შემდეგ შრომაში „პირველყოფილი კულტურა" პირველად ჩამოაყალიბა სისტემატიზებული სახით მოძღვრება ანიმიზმის შესახებ. ტეილორი სულს უკვე არ თვლის სიცოცხლის მატარებლად, როგორც ამას სჩადიან თეოლოგები, მაგრამ იგი სინამდვილეში გამოდის ძველი თეოლოგიური შეხედულებებიდან.

[1] ზოგიერთები მხოლოდ და მხოლოდ „შამანური ექსტაზის" ეპიზოდს ხედავენ ლასკოს გამოქვაბულის კედლებზე აღმოჩენილ ნახატში; ეს ერთ-ერთი უძველესი წინაისტორიული გამოსახულებაა ადამიანისა, რომელიც ბაკქანალურ პოზაში გაქვავებულია მარტორქასა და ბიზონს შორის (იხ. „Lascaux ou la naissance de l'art. Editions Albert Skira". Genève 1955). მაგრამ ის ფაქტი, რომ ადამიანი გამოსახულია ფრინველის თავით (და არა ნიღბით), ადასტურებს იმას, რომ აქ ჯერ კიდევ არ ვართ გამოსული ტოტემისტური საზოგადოების ფარგლებიდან, როგორც გამოქვაბულ პეშ-მერლში. ლას პენიას ალტამირისა და ორნოსის გამოქვაბულების ადამიანები დახატულია მაიმუნის სახით, კუდით. სხვა შემთხვევებში ადამიანს აქვს ძაღლის ფეხები და გროტესკული თევზის ანდა ბაყაყის თავი და ა. შ.

რას წარმოადგენს ტეილორის მოძღვრება, რომელიც ათეული წლების განმავლობაში გაბატონებული იყო რელიგიის ისტორიის დარგში და სხვადასხვა სახელწოდებით (ანიმატიზმი, პრეანიმიზმი, ლოგიკური პრეანიმიზმი და სხვ.) ახლაც დიდ გავლენას ახდენს პირველყოფილი საზოგადოების შესწავლაზე, მიუხედავად იმისა, რომ ტეილორის ეს თეორია მკაცრად იქნა გაკრიტიკებული უკანასკნელ წლებში?

ტეილორს მიაჩნია, რომ კულტურული განვითარების ადრეულ სტადიაზე ადამიანის გონება ბიოლოგიურ მოვლენათა ორი კატეგორიით არის გატაცებული: უპირველეს ყოვლისა ყოველივე იმით, რაც განასხვავებს ცოცხალსა და მკვდარ სხეულს, სიფხიზლის, ძილის, სიკვდილის, ავადმყოფობის მიზეზით, და შემდეგ, ადამიანურ ფორმათა ბუნებით, რომელსაც იგი სიზმარსა და მოჩვენებებში ხედავს. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ ყოველ ადამიანში არსებობს „ცხოველმყოფელი და სულიერი საწყისი". ტეილორის ეს შეხედულება საჭიროებს ზოგიერთ ახსნა-განმარტებას.

ტეილორის მიხედვით, პირველყოფილი ადამიანი, რომელიც ცდილობს გაიგოს ისეთი მოვლენები, როგორიცაა ძილი, სიკვდილი, სიზმარი, ექსტაზი, მოჩვენება, თითქოსდა იქამდე მიდის, რომ წარმოიდგენს სხეულიდან გამოყოფილ და დამოუკიდებლად არსებულ „მეორე სასიცოცხლო საწყისს" — ადამიანის სულს, მის ორეულს, რომელსაც შეუძლია დატოვოს სხეული არა მარტო დროებით, სიზმარში, არამედ სამუდამოდაც, სიკვდილის მომენტში. ეს „სიცოცხლის საწყისი" საერთოდ გაიგივებულია სუნთქვასთან, შესუნთქვასთან და ამოსუნთქვასთან (ლათინური სიტყვა animus, საიდანაც მოდის ტერმინი „ანიმიზმი", წარმოიშვა ქარისა და ჰაერის ცნებასთან დაკავშირებულ ბერძნულ ánemos-დან. სული აგრეთვე შეიძლება ყოფილიყო დაკავშირებული მაჯისცემასთან, გულთან, ღვიძლთან, თვალებთან და სხვა ორგანოებთან).[1]

[1] ალგონკინელთა ზოგიერთი ტომის წარმოდგენით სული მოთავსებულია მიწაზე ან კედელზე დაცემულ ადამიანის ჩრდილში. კარიბელთ სწამთ, რომ იგი მოთავსებულია ადამიანის ვენებისა და გულის პულსაციაში. ორეგონის მკვიდრთ ჰგონიათ, რომ სული ადამიანის სხეულს ყოველ ნაწილში შეიძლება იმყოფებოდეს.

ტეილორის იმავე თეორიის მიხედვით, ადამიანებს ეს დუალიზმი ანალოგიით უნდა გაევრცელებინათ სხვა ცოცხალ არსებებზე და აგრეთვე უსულო საგნებზე. მათი წარმოდგენით ცხოველების, მცენარეებისა და ციური სხეულების განსულიერება ისევე როგორც ადამიანისა, თანდათან ხდება. იმ ფაქტს, რომ პირველყოფილი ადამიანი მთლიანად დამოკიდებული იყო ბუნების მოვლენებზე, როგორც ტეილორი ფიქრობს, უნდა წარმოეშვა კეთილი, ე. ი. სასარგებლო, და ავი სულების იდეა. ასე გამოდის, რომ რელიგიასთან ერთად თითქოს მორალიც წარმოიშვა.

თავისი უბრალოების გამო ეს თეორია XIX საუკუნის მეორე ნახევრის ანთროპოლოგებსა და სოციოლოგებს უცბად დამაჯერებლად მოეჩვენათ, და მართლაც, ის სინამდვილეში ბევრ საყურადღებო ელემენტს შეიცავს. მაგრამ თავისთავად მას არ შეუძლია ახსნას რელიგიური გრძნობის წარმოშობა, რაზეც პრეტენზიას აცხადებენ ანიმისტები.

ბ. ანიმიზმის კრიტიკა

ვიდრე ფიქრს, ოცნებასა და თეორიულ აზროვნებას დაეწყებდა, ადამიანს ჯერ უნდა ეცხოვრა. რელიგიურობის ყველაზე უძველესი ფორმები ჩაისახა არა აბსტრაქტული აზროვნების პროცესში, არამედ ადამიანთა არამყარი და წინააღმდეგობებით აღსავსე ურთიერთობაში, რაც პირველყოფილი საზოგადოების წიაღში არსებობის საშუალებათა ერთობლივი მითვისების ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ყალიბდებოდა და რასაც ჯერ კიდევ არ ჰქონდა შესაფერი იდეოლოგიური გამოხატულება.

სიზმრად ნახული ადამიანი რომ ორეულად მიეღოთ, ადამიანებს ახალ პირობებში უნდა ეცხოვრათ: საჭირო იყო ბინადარი ცხოვრება, ადამიანთა გარკვეული კავშირ-ურთიერთობა, ერთგვარი მწარმოებლური საქმიანობა, სანადირო და სათევზაო იარაღებისა და საშინაო სამუშაო ინსტრუმენტების გამოგონება.

ადამიანს რომ რაღაც იდუმალ და ცხოველმყოფელ ძალა-

ზე ეფიქრა, მას, უპირველეს ყოვლისა, საკუთარი გამოცდილებით უნდა წარმოედგინა ეს „ცხოველმყოფელი ძალა“, რაც მის ხელებს შეეძლო მიენიჭებინა საგნებისა და იარაღებისათვის. ადამიანის წარმოდგენით, როგორც ხელს მოჰყავდა მოძრაობაში ქვა, ჯოხი, თავდაცვის იარაღი, ასევე სასწაულთმოქმედი ძალა შეიძლებოდა გადასულიყო ადამიანის სხეულში უსულო საგნებიდან. აქ ჩვენ საქმე გვაქვს ახალი საწარმოო ძალების გავლენით მეტად განვითარებულ ეკონომიურ და სოციალურ სტადიასთან, რომელიც საზოგადოების თანდათანობით გარდაქმნის მრავალათასწლიან პერიოდს მოიცავს.

ეთნოგრაფიულმა ძიებამ დაადასტურა, რომ ზოგიერთ ხალხს, მაგალითად, მექსიკელ კორებს და კამერუნელ ბალებს არ ჰქონდათ რაიმე სიტყვა „სულის“ გამოსახატავად. ისეთი ხალხების, როგორიც არიან, ვთქვათ, ევები, ეგვიპტელები, ესკიმოსები, ბუნდოვანი წარმოდგენა ადამიანში რამდენიმე სულის თანაარსებობაზე პრაქტიკულად უარყოფს სულთან დაკავშირებულ ერთიან „ცხოველმყოფელ საწყისს“.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ თევზის ჭერას, როცა ადამიანი თევზის სიკვდილს აკვირდებოდა, შეეძლო მიეყვანა ადამიანი სულისა და სუნთქვის გაიგივებამდე. მონადირე ჯგუფები კი, პირიქით, სულს აიგივებდნენ სისხლთან. აქედანაა სისხლიანი ხორცისადმი ზიზღი, რაც თაობიდან თაობებში გადადიოდა სემიტებსა და სხვა ხალხებში. მეორე მხრივ, აქედანვე მოდის ველური ზიარების წესჩვეულება, სისხლიდან „ცხოველმყოფელი ძალის“ შეძენის მიზნით.

ტოტემისტური თემის ისტორიაში სულზე წარმოდგენა მხოლოდ მაშინ წარმოიშვა, როცა პირველყოფილი ადამიანის პრაქტიკის განმსაზღვრელ საგანთა ურთიერთობა აღიქვება როგორც ადამიანთა ურთიერთობა. მაგრამ როგორც კი იდეოლოგიის სფეროში მოექცევა, ეს წარმოდგენა თეითმყოფი ხდება და იწყებს თავისი წარმომშობი მიზეზებისაგან დამოუკიდებლად არსებობას. წინააღმდეგობა სულსა და სხეულს შორის ზუსტი თეოლოგიური ნიშნებით არის დახასიათებული ზოროასტრის დუალისტურ მოძღვრებასა და მაზდეანურ რელიგიაში, იგი გამოიხატება სინათლისა და წყვდიადის, მატე-

რიალური სამყაროს და სულიერი სამყაროს, სიკეთისა და ბოროტის ბრძოლით — სხვა სიტყვებით, აჰურა მაზდასა (ორმუზდსა) და აჰხრა მაინუს (არიმანს), ე. ი. ღმერთსა და სატანას შორის ბრძოლით. სულისა და სხეულის დაპირისპირება არსებითად ყველა რელიგიის დამახასიათებელია იმ მომენტიდან, როცა თვით საზოგადოებრივი სტრუქტურა გაორდა.

ამ მეთოდოლოგიური მიდგომის ჩარჩოებში და ამ შესწორებებით ანიმიზმის თეორია მაინც ინარჩუნებს ერთგვარ მნიშვნელობას რელიგიური იდეოლოგიის წარმოშობის კვლევისათვის.

ეს თეორია გვეხმარება იმის გაგებაში, თუ როგორ გადალახა ადამიანმა ტოტემისტური თემის შეზღუდული და მეტისმეტად კონკრეტული ეკონომიკის ფაზა და დაასახლა სამყარო აჩრდილებით, რომლებიც დღემდე სულს უდგამენ ყოველგვარ რელიგიურ რწმენას. სულები და ფუძის ანგელოზები, ანგელოზები და ეშმაკები წარმოიქმნებიან პირველყოფილი საზოგადოების უკანასკნელ პერიოდში, როცა პატრიარქალური პასუხისმგებლობის გრძნობასა და ტექნიკური სპეციალიზაციის ადრეულ ჩანასახებზე დამყარებული საზოგადოებრივი განსხვავებანი ადგილს უთმობენ ახალი, არაადამიანური შრომის იარაღის — მონის გაჩენასთან დაკავშირებულ განსხვავებას.

როგორც მონის არსებობა გულისხმობს ბატონის არსებობას, ასევე სულზე წარმოდგენა გულისხმობს კლასობრივი ჩაგვრის არსებობას.

4. ტოტემიდან ფეტიშამდე

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ რელიგიის ისტორიის გავრცელებულ სახელმძღვანელოებში რელიგიური იდეოლოგიის წარმოშობისა და განვითარების რეალური მონაცემები თითქმის ყოველთვის მოქცეულია ამა თუ იმ კონცეფციის მკაცრ ჩარჩოებში; ეს კონცეფციები კი თავის მხრივ საზოგადოების გარკვეული ეპოქის ნაყოფს წარმოადგენენ.

მაგალითად, სამყაროს შექმნის იდეა სრულიად უცნობია პირველყოფილი ადამიანისათვის და ისახება მხოლოდ კა-

ცობრიობის ისტორიის შედარებით გვიანდელ სტადიაზე, რამ-დენადმე მსგავსი მითების საფუძველზე. და ეს სრულებითაც არ არის გასაკვირი, რადგან ადამიანს რომ რაიმე ზებუნებრივი ძალისთვის მიეწერებინა „შემოქმედის“ უნარი, ამისათვის საჭირო იყო ჯერ თვითონ მიეღო წარმოების გამოცდილება, თუნდაც არასრული და არასრულყოფილი ფორმით, რასაც მისი პირველი შრომის იარაღები განსაზღვრავდნენ.

მოუწესრიგებელი და გაუპიროვნებელი შრომა პირველ-ყოფილი საზოგადოების პირველ სტადიაზე ადამიანს არ აძ-ლევდა საშუალებას მისულიყო ინდივიდიალური „შემოქმე-დის“ იდეამდე. კლანის შიგნით დამყარებული ურთიერთობა ეს იყო ურთიერთდამოკიდებულებაზე ანდა, უკიდურეს შემ-თხვევაში, წარმოშობასთან დაკავშირებული ურთიერთობა. ისეთი სახელწოდებები, როგორიცაა „კენგურუს შვილები“, „მგლის შვილები“, „მუხის შვილები“ და, ანალოგიურად, „ქვის შვილები“, „ცულის შვილები“, „ცის შვილები“, თა-ვისთავად მეტად მჭევრმეტყველია[1]. იგივე სახელწოდებანი, რომლებიც მოწმობენ უძველესი ტიპის საზოგადოებრივი ორ-განიზაციის არსებობას, ალბათ, აღნიშნავდნენ როგორც ადა-მიანთა გაერთიანებას, ისე ადამიანთა მთელი ჯგუფის ნათე-საურ კავშირს სულიერ ან უსულო საგნებთან. გავიხსენოთ, რომ ეტრუსკების ენაში სიტყვა „კლანი“ ნიშნავს „ვაჟ-შვილს“ და ამ სიტყვის მრავლობითი რიცხვი „კლენარ“ ნიშ-ნავს „შთამომავლობას“ (დაბოლოება „არ“ გამოხატავს გეო-ლოგიური ან მცენარეული საგნების ჯგუფურ რიცხვს).

პირველყოფილ თემში, რომელმაც ჯერ კიდევ ვერ გაწყვი-ტა გარემო სამყაროსთან დამაკავშირებელი ჭიპლარი, ადა-მიანი არ უსვამდა თავის თავს კითხვას—„ვინ შექმნა ყოველ-ივე ეს“, ანდა „ვინ შექმნა სამყარო“ და არც შეეძლო დაესვა

---

[1] ლათინურ ლეგენდაში, მგლის მიერ გამოკვებილი ორი ტყუპი ძმის რომულისა და რემის შესახებ, უდავოდ ვლინდება ტოტემისტური მატ-რიარქალური საზოგადოების თქმულების გამოძახილი. მისი გადმონაშ-თები ჩვენს თანამედროვე გვარებშიც არის შემორჩენილი: ირლანდიური გვარი მაკ-კეხტი ნიშნავს „ტახის შვილს“, ინგლისური გვარი ვულფსონი ნიშნავს „მგლის შვილს“ და ა. შ.

ეს კითხვა. თუმცა მას მეტად ბუნდოვნად მიაჩნდა, რომ წარმოშობილია არსებობის იმ საშუალებებიდან, რითაც განპირობებულია მისი ჭეშმარიტი არსებობა. მისი დამოკიდებულება ბუნებასთან გაცილებით „მეცნიერულია", თუ შეიძლება ასე ითქვას, ვიდრე შემდგომი ეპოქების ადამიანებისა, რომლებიც გართულნი იყვნენ ზეციური, ზებუნებრივი ახსნის ძიებით.

უფსკრულმა, რომელიც გაჩნდა კლასობრივი საზოგადოების სასტიკ სინამდვილესა (ეს „მატერიაა") და ხალხის დიდი ნაწილისათვის მიუღწეველი სხვაგვარი არსებობის, იდეალური ბედნიერებისა და კეთილდღეობის (ეს „სულია") ახალ იმედებს შორის, უაღრესად დაამახინჯა ადამიანთა მთლიანი წარმოდგენა ბუნებასთან მათი ურთიერთობის შესახებ.

წარმოების საშუალებათა გარდაქმნისა და სრულყოფის საფუძველზე, რომლის წყალობითაც ადამიანთა ნაწილი უზრუნველყოფდა თავის პრივილეგიურ მდგომარეობას თემის მიმართ, მკვეთრად იცვლებოდა იდეოლოგიური ზედნაშენიც.

ამ დრომდე ერთადერთ სოციალურ უთანასწორობას წარმოადგენდა უხუცესთა თაყვანისცემა მათი პირადი თვისებებისა და გამოცდილებისათვის, რასაც საერთო თანხმობა ედო საფუძვლად. ჯერ კიდევ არ არსებობდა ადამიანთა ჯგუფის ერთი ნაწილის მიერ მეორე ნაწილის ექსპლუატაცია. და როცა კოლექტიური ხელისუფლება ბელადის ხელისუფლებამ შეცვალა, რელიგიურმა შეხედულებებმა სრულიად ახალი ორიენტაცია მიიღეს.

ქვის ხანის უკანასკნელ პერიოდში და ბრინჯაოს ეპოქის დასაწყისში წარმოშობილმა ახალმა საწარმოო იარაღებმა გზა გაუხსნეს ინდივიდუალურ ძალადობასა და ისეთ წარმოებას, რომელიც ნაკლებად საჭიროებდა ადამიანთა კოლექტიურ მონაწილეობას. ახლა უკვე არა მთელი თემი, არამედ მისი ესა თუ ის წევრი, რომელიც შეიარაღებულია განსაკუთრებული იარაღებით და სარგებლობს განსაკუთრებული პრივილეგიებით, გამოდის „მწარმოებლის" როლში და ამა თუ იმ საგნებისა და დანარჩენი საზოგადოებისათვის ახალი ცხოვრების პირობების „შემქმნელის" როლში. ბიოლოგიური დამოკიდებულების უბრალო ურთიერთობა მხოლოდ ამ პერიოდიდან

უთმობს ადგილს წარმოდგენებს პასიური დამოკიდებულებისა და დამორჩილების შესახებ.

შუღლი, რომელიც უკვე ვლინდება ადრე ნათესაურ ურთიერთობაში მყოფ მეზობელ ტომებს შორის, გადადის რელიგიური რწმენის სფეროში: „დევი", რომელიც სანსკრიტში აღნიშნავს კეთილდღეობის ღვთაებას, ირანულში იქცევა „დევად" („დევები") — ბოროტ სულად; ამავე დროს სახელი აჰურა, რომელიც პირველყოფილ ირანულ კულტებში სინათლისა და სიკეთის ღვთაებრივი საწყისია, სანსკრიტში მიეწერება დემონ აზურას. თავდაპირველად კი ინდოელები და ირანელები ერთი ტომობრივი გაერთიანება იყო.

ხის ფეტიში დასავლეთ აფრიკიდან, რომელშიც ჯადოსნობის მიზნით ჩარჭობილია ბანები და ლურსმნები

განვითარების პროცესში ტოტემმა დაკარგა თავისი პირვანდელი ნიშნები და გადაიქცა ბატონად, კლანის ბელადად, „შემოქმედად", რომლის გულის მოსაგებად საჭიროა ახალი ტიპის მაგიური წესჩვეულებანი. სხვანაირად რომ ვთქვათ, ტოტემი ძველებურად ინარჩუნებს ცხოველთაგან, მცენარეთაგან და ბუნების მოვლენებისაგან თავის წარმოშობის განმასხვავებელ ნიშნებს, მაგრამ ამავე დროს იძენს ნიშან-თვისებებს, რომლებიც სულ უფრო აახლოებს მას ტომის ბელადთან, იღებს ადამიანის სახესა და ხასიათს და გარკვეული დროის შემდეგ კერპად იქცევა.

ტერმინი „ფეტიშიზმი" ქვის, მცენარის, ცხოველის კულტებისა და პერსონიფიცირებული ღვთაების პირველ გამოხატულებათა მიმართ მშვენივრად გადმოგვცემს რელიგიუ-

რი განსხვისების პროცესს, ადამიანთა შორის რომ ხდება სოციალურ განსხვისებასთან ერთად.

პორტუგალიური სიტყვა „feitiço" („ფეიტიხო") ნიშნავს „ამულეტს", „თილისმას" და აქედან ხალხურ ენაში — მაგიას, ჯადოქარს, მკითხავს. პორტუგალიელმა მეზღვაურებმა და ვაჭრებმა, რომლებიც კონტაქტში იყვნენ პირველყოფილ ადამიანებთან მათ მიერ დაპყრობილ დასავლეთ აფრიკის სანაპიროებზე (ლოანგი), ფეტიშები შეარქვეს ყველა საკულტო საგანს, რომლებსაც ადგილობრივი მკვიდრნი ატარებდნენ ქრისტიანული თილისმების მსგავსად, აგრეთვე იმ საგნებს, რომლებსაც ისინი თაყვანს სცემდნენ რელიგიური ცერემონიის დროს და რომელსაც მიაწერდნენ მხოლოდ მათი სულებისათვის დამახასიათებელ ზებუნებრივ ძალას.

5. ტერმინის წარმატება

მრავალრიცხოვანი არქეოლოგიური მონაცემები მოწმობენ, რომ ადამიანის ქვის ან ხის გამოსახულების წარმოშობამდე ხალხს ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჰქონდა ხეებისა და კლდეების ფეტიშები. ამ ეპოქის მრავალრიცხოვანი ნიშნები შემორჩენილია საფრანგეთის, ინგლისის, შოტლანდიისა და სკანდინავიის ქვეყნების წინაისტორიულ ძეგლებში, რომლებსაც არასწორად თვლიან დრუიდული კულტების ძეგლებად; ეს უკანასკნელნი მხოლოდ კელტური ტომების შემოჭრის შემდეგ წარმოიშვნენ.[1]

[1] კელტური ხალხების — ირლანდიელების, გალების, ჩრდილო იტალიელების და მცირე აზიის ცენტრის (გალატია) მოსახლეობის რელიგია უმნიშვნელოდ განსხვავდება სხვა ხალხების რელიგიებისაგან, რომლებიც სოციალური განვითარების იმავე დონეზე იმყოფებოდნენ, როგორიც არიან გერმანელები, სლავები და თვითონ ლათინები. რომაელები, რომლებიც ტაბებოდნენ თავიანთ ცირკებში მოწყობილი ხოცვა-ჟლეტით, კელტების წესჩვეულებებს საშინლად თვლიდნენ. იმპერატორმა კლავდიუსმა აკრძალა ადამიანის მსხვერპლად შეწირვა — უკვე განვლილი ეტაპის გადმონაშთი, რომელსაც კელტები იშვიათად მიმართავდნენ ხოლმე (უზარმაზარ კერპებს ავსებდნენ ტყვეებით, მონებითა და დამნაშავეებით და საზეიმოდ წვავდნენ, როგორც ეს ხდებოდა კართაგენის ტაძრებში). სიტყვა „დრუიდი" კელტურად ნიშნავს „ისინი, ვინც იციან", ვისაც სპეციალური გამოცდილება აქვს, ისეთი როგორც ბღვდლებს სხვა რელიგიებში.

გარკვეული წესით დაწყობილ ანდა ადამიანის ფორმის მსგავსად უხეშად გამოთლილ უძველეს გიგანტურ ქვებს (მენჰირები) უეჭველად ჰქონდათ მაგიური ხასიათი და შესაძლოა დაკავშირებული იყვნენ პირველყოფილი ფალოსის კულტთან. ამ ქვებს საფრანგეთში მრავალი საუკუნის განმავლობაში თაყვანს სცემდნენ ქრისტიანობის გავრცელების შემდეგაც. შემთხვევითი არ იყო, რომ ნანტის საეკლესიო კრება 658 წელს იძულებული გახდა მიეღო გადაწყვეტილება მენჰირების მიწაში ჩამარხვისა და მათ ადგილზე, მორწმუნეთა სურვილის შესაბამისად, სამლოცველოების აგების შესახებ.

ქვის კულტი შეიმჩნევა ყველა ხალხში ძველი აღთქმის დროიდან.[1] ქაბადან დაწყებული — „წმიდა" აეროლითით მექაში, იმ ადგილას, სადაც არაბული ტომების რწმენით ცხოვრობდა მუჰამედი — ყველგან ვხედებით ამის მრავალრიცხოვან და დამაჯერებელ დადასტურებას. ახლა შეიძლება გრაფიკულად აღვადგინოთ როგორც პირველი დაუმუშავებელი ქვების ევოლუცია, რომლებიც ჯერ კიდევ მოკლებული არიან რაიმე განმასხვავებელ ნიშნებს, მაგრამ უკვე თაყვანისცემის საგნებად არიან ქცეული, ისე ელიფსის, კონუსის ან კუბის სახით ჩამოთლილი კლდეებისა და, ბოლოს, ისეთი ქანდაკებებისა, რომლებიც ადამიანს ან მის სასქესო ორგანოებს მოგვაგონებენ. ეს ქანდაკებები იპოვეს სამხრეთ საფრანგეთის მეგალითურ სამარხებში და ლიგურიის ზოგიერთ უძველეს რაიონში, სპეციის ყურის სანაპიროების შიდა ნაწილში.[2]

„წმიდა" ქვებიდან სხვა უფრო დამუშავებულ საგნებამდე მხოლოდ ერთი ნაბიჯია. მარჯნის მანიაკებს, მედალიონებს, ავგაროზებს ჯერ კიდევ ატარებენ ისეთი ადამიანები, რომლებიც თავიანთ თავს კულტურულად თვლიან, სინამდვილეში კი ყოველივე ეს ფეტიშებია.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფრანგმა მეცნიერმა

---

1 იხ. ისაია, ნზ, მუხ. ე.: „რომელი ეეედრებოდეს კერპთა ხეთა ქვეშე ვარჯოეანთა, დამფლეელნი შვილთა თქვენთანი სუეთა შინა და შორის უეალ კლდეთასა".

2 E. Sereni. Comunitá rurali nell'Italia antica. Roma, Edizioni Rinascita, 1955, გვ. 234, 265, 272 და შემდეგ.

ჯ. დე ბროსსმა გამოაქვეყნა წიგნი სახელწოდებით: „ფეტიშისტური ღვთაებების კულტის შესახებ“, რომელშიც ფართო პოპულარიზაცია გაუკეთა ტერმინ „ფეტიშს“. მას შემდეგ ფეტიშის ცნება შესწავლილ იქნა მრავალჯერ თვით ტეილორისა და სპენსერის გამოკვლევებამდე და საბჭოთა ეთნოგრაფიული სკოლის მიერ მის მეცნიერულ დასაბუთებამდე.

უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „ფეტიში“ ყველას ერთნაირად როდი ესმის.

იმ დროს, როცა თეოლოგები ფეტიშიზმს სახავენ რელიგიური გრძნობის დეგრადაციის გარკვეულ საფეხურად, რომელიც პირველი „გამოცხადების“ შემდგომ დაიწყო, რაციონალისტ-ისტორიკოსთა დიდი ნაწილი საწინააღმდეგო შეცდომას უშვებს. ისინი ფეტიშიზმის ფაზას ყველაზე უძველესად თვლიან რელიგიის ისტორიაში.[1] ჭეშმარიტება კი ის არის, რომ ფეტიშიზმი არ წარმოადგენს არც „აზროვნებისა და მორალურ ღირებულებათა კლასიფიკაციის ყველაზე დაბალ საფეხურს“, როგორც ამას თეოლოგიური სახელმძღვანელოები ამტკიცებენ, და „არც პირველ ნაბიჯს სულიერი განვითარების გზაზე“, როგორც ეს სოციოლოგიური ინტელექტუალიზმით გამსჭვალულ მკვლევარებს ჰგონიათ.

ფეტიშიზმის დასაწყისით შევდივართ რელიგიური იდეის განვითარების ახალ, დიდ ფაზაში, რომელიც კლასობრივი დიფერენციაციის წარმოშობას შეესაბამება. კაცობრიობა აქამდე უცბად როდი მისულა, იგი თანდათანობით მივიდა იმ საკვანძო მომენტამდე, როცა ტოტემი უკვე ტოტემი კი აღარ არის, არამედ ღვთაებად იქცევა.

ღვთაებრივის ცნება მტკიცდება ადამიანთა შეგნებაში, როგორც გაბატონებული კლასის ჩამოყალიბების შედეგი.

---

[1] ო. კ ო ნ ტ ი ფეტიშიზმს თვლის რელიგიის პირველ ფორმად, რელიგიის იმ სტადიად, რომელსაც მან „თეოლოგიური“ უწოდა. მას თითქოს მოჰყვა „მეტაფიზიკური“ და შემდეგ „პოზიტიური“ სტადიები. სამი სტადიის მისი ფანტასტიკური კანონი დღემდე ახდენს გავლენას ბევრ ნაშრომზე რელიგიის ისტორიის დარგში.

ავსტრალიელი ტომების წესჩვეულებები და კულტები

ქალბატონობის ისტორიის პირველ ეტაპზე რელიგიური იდეების ჩასახვისა და განვითარების გამოსაკვლევად რომ მხოლოდ ის ძუნწი არქეოლოგიური და ლინგვისტიკური მონაცემები გვქონოდა ხელთ, რომლებიც ჩვენს დრომდე შემორჩენენ, მეტისმეტად ძნელ მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით.

ის ცნობები, რომლებსაც შედარებით ახლო დროის ისტორიკოსები გვაწვდიან, და ფოლკლორი, ალბათ, იმდენად დახმარებას არ გაგვიწევდნენ, რამდენადაც არევ-დარევას შეიტანდნენ ადამიანთა აზრებში. საზოგადოების სოციალურ-ეკონომიური სტრუქტურის ცვლილების კვალობაზე საუკუნიდან საუკუნეში არსებითად იცვლება მის მიერ წარმოშობილი იდეოლოგიაც. ვაცი და გველი ჩვენს დროში სატანის სიმბოლოებია, კრავი, მტრედი და თევზი დაკავშირებულია კეთილ ღმერთმაცხოვრის მითთან. ვის შეეძლო დაენახა ამ ცხოველების გაიგივებაში ბოროტსა და კეთილ სულებთან უძველესი პერიოდის გამოძახილი, როცა ყველა კლანი თავის თავს ამა თუ იმ ცხოველს უკავშირებდა?

ათასეული წლები გავიდა, მაგრამ ახლაც, სოციალური ცივილიზაციის კარიბჭესთან, გვაროვნული წყობილების ეპოქაში წარმოშობილი იდეები რელიგიის საშუალებით კვლავ ახდენენ ადამიანზე გავლენას.

როცა ქვეყნიერების ძველმა, ევროპიელებისათვის ცნობილმა საზღვრებმა გაფართოება იწყო, როცა განხორციელდა პირველი დიდი მოგზაურობანი და აღმოჩენილ იქნა ახალი კონტინენტები, ჩვენთვის თანდათან ცნობილი გახდა პირველყოფილი ისტორიის სურათის ნაწილი. მაგრამ ის პირველი დასკვნები, რომლებიც ევროპელმა მოგზაურებმა და კოლონიზატორებმა გამოიტანეს ამერიკის, სამხრეთ აფრიკისა და სამხრეთის ზღვების ხალხებთან შეხების შედეგად, არასწორი აღმოჩნდა, რადგან ისინი ამახინჯებდნენ ისტორიულ პერსპექტივას. ტერმინს „პირველყოფილს" უთავბოლოდ ხმარობდნენ. მაგალითად, მას ერთნაირად მიაწერდნენ როგორც აცტეკებსა და ინკებს, ისე ჩრდილო ამერიკის ინდიელებსა და ავსტრალიელ ტომებს. დაიწყო დიდი არევ-დარევა, რაც ჯერ კიდევ იგრძნობა რელიგიის ისტორიის უმეტეს ტრაქტატებში. ერთმანეთში ურევენ იმ ხალხთა კულტებსა და წესჩვეულებებს, რომლებიც განსხვავდებიან არა ქანის ფერითა და საცხოვრებელი ადგილით, არამედ ცხოვრების წესით.

მაგალითად, ავიღოთ აცტეკები. როცა ესპანელი დამპყრობლები გამოჩნდნენ, მათ, ისე, როგორც ძველ ეგვიპტელებს, ასურელ-ბაბილონებს ან ეგეოსებს, უკვე ჰქონდათ განვითარებული მონათმფლობელური საზოგადოება. მათ წარმოდგენებს არაფერი საერთო არ ჰქონდა პირველყოფილი ხალხების წარმოდგენებთან, პირიქით, ისინი მოწმობენ, რომ მათი კულტები და ხელოვნება საოცრად ჰგავდა ყოველივე იმას, რაც ჩვენთვის ცნობილია ნილოსის, მესოპოტამიისა და ძველი საბერძნეთის რელიგიების შესახებ. ასეთი მსგავსების ასახსნელად ერთმანეთისაგან ასე დაშორებულ ხალხთა კავშირზე ფიქრიც კი ზედმეტია.

თუ ეგვიპტური პირამიდები და კოლუმბამდელი ამერიკის ზოგიერთი ნაგებობა არქიტექტურისა და სტილის მხრივ ასე საოცრად ჰგვანან ერთმანეთს, აქ ლეგენდარული მატერიკი, რომელიც, თითქოსდა, ოკეანის ადგილას, ამერიკასა და ევროპას შუა იყო გადაჭიმული, არაფერ შუაშია, და არავისთ-

ვის არის საჭირო ატლანტიდის მითის გაცოცხლება. ასეთი მსგავსებანი ისე უნდა განვმარტოთ, როგორც მაღალ ადგილებთან დაკავშირებული სოციალური სისტემისა და რელიგიური პრაქტიკის ანალოგიური ასახვა[1].

ცივილაზატორები — სხვა სიტყვებით, ჰოლანდიის, ესპანეთის, პორტუგალიის, ინგლისის, საფრანგეთისა და ამერიკის აღმავალი სავაჭრო ბურჟუაზიის წარმომადგენლები,— ახალი მიწების ძებნის დროს სიკეთისა და პროგრესის გავრცელებაზე ზრუნვით როდი ხელმძღვანელობდნენ. ისინი ემორჩილებოდნენ ექსპლუატაციისა და მოგების კანონს, რომელიც, მას შემდეგ, რაც საზოგადოება კლასებად დაიყო, ყოველთვის იყო ისტორიის მამოძრავებელი ძალა.

მთელი ერები, რომელთა შესწავლასაც უდიდესი მნიშვნელობა ექნებოდა ეთნოგრაფიის, ანთროპოლოგიისა და სოციოლოგიისათვის, უმოწყალოდ იქნენ გაჟლეტილი დამპყრობლების მიერ.

1823 წელს ჰავაის კუნძულებზე ჯერ კიდევ ითვლებოდა 142 ათასი მცხოვრები; ახლა კი მკვიდრი მოსახლეობა 25 ათასსაც არ აღემატება; ახალ ზელანდიაში 1852 წელს 120 ათასი მაორი ცხოვრობდა; ახლა მათგან 40 ათასი თუ დარჩა. კუკის დროს ტაიტის მკვიდრი მოსახლეობა 100 ათასს აღემატებოდა; ამჟამად მათგან მხოლოდ რამდენიმე ათასიღა დარჩა. განსაკუთრებით შემაძრწუნებელია ტასმანიის მკვიდრი მოსახლეობის სრული გაქრობა; ტასმანიელები უხსოვარი დროიდან იზოლირებულად ცხოვრობდნენ და მათი საზოგადოებრივი სტრუქტურა ყველაზე ახლოს იდგა ტოტემისტურთან. ძალადობამ, ექსპლუატაციამ, ავადმყოფობამ, ნარკოტიკებმა და ალკოჰოლმა, რომლებიც ბრიტანელმა კოლონიზატორებმა შემო-

---

[1] ატლანტიდის შესახებ ჯერ კიდევ პლატონი ფანტაზიორობდა „ტიმეისა" და „კრიტის" დიალოგებში. თუმცა ზოგიერთმა თანამედროვე გეოგრაფმა წამოაყენა ჰიპოთეზა უძველესი სეისმური ზონის არსებობის შესახებ ევროპასა, აფრიკასა და ამერიკას შორის. მათ მიაჩნდათ, რომ გრენლანდია, კანარისა და აზორის კუნძულები — სეისმური მოქმედებას უკანასკნელი ნიშნებია ამ ზონაში.

იტანეს ამ დიდ კუნძულზე, სულ ერთიანად შემუსრა ამ უძველესი ცივილიზაციის წარმომადგენლები.

იქ, სადაც მოსპობისა და ნაძალადევი ასიმილაციის ამ პოლიტიკის გატარება გაძნელებული იყო ბუნებრივი პირობების გამო, განსაკუთრებით ცენტრალური ავსტრალიის მონადირე ტომებში, ტოტემისტური იდეოლოგიის დამახასიათებელი ნიშნები თითქმის ხელშეუხებელი სახით შემორჩა; ისინი წარმოადგენენ კაცობრიობის რელიგიური განვითარების ცოცხალ მაგალითს, მისი განვითარების თვით თანამედროვე ფორმებამდე. 1899 და 1927 წლებს შორის გამოქვეყნებული სპენსერისა და ჯილენის გამოკვლევები, რომლებიც საგრძნობლად შეავსო და განავითარა საბჭოთა ეთნოგრაფიამ, უპირველეს ყოვლისა ს. ტოკარევის შრომებმა ავსტრალიისა და მელანეზიის საზოგადოებაზე, საშუალებას გვაძლევს უფრო მკაფიო წარმოდგენა ვიქონიოთ იმაზე, თუ როგორი იყო რელიგიური ცხოვრების პირველი ფორმები კაცობრიობის ისტორიის გარიჟრაჟზე.

2. ავსტრალიური ტოტემიზმი

ტოტემიზმის ნაშთებს შეიძლება შეეხვედეთ აფრიკაში, აგრეთვე აზიისა და სამხრეთ ამერიკის სხვადასხვა ნაწილში. მაგრამ ტოტემიზმის ისეთი ფორმა, რომელიც გართულებული არაა უცხო გავლენით, მხოლოდ ავსტრალიაში შემორჩა, თუმცა ძნელი წარმოსადგენია, რომ ამას დღემდე შერჩენოდეს წმინდა სახე.

ყველაზე დიდი სიძნელეები წარმოიშვა იმის შედეგად, რომ მისიონერები, ვაჭრები და თვითონ ბურჟუაზიული ეთნოგრაფები, რომლებიც ლაპარაკობდნენ და კვლავ განაგრძობენ ლაპარაკს ტოტემიზმის შესახებ, ავსტრალიელ ტომთა საწარწმუნოებას საკუთარი ცრურწმენებისა და რელიგიური დოგმების პოზიციებიდან აღწერენ. ქრისტიანი მღვდლები იმთავითვე უნერგავდნენ აბორიგენებს ერთღმერთიანობის ელემენტებს, ხოლო შემდეგ თვითონვე განმარტავდნენ ზოგიერთ ადგილობრივ წარმოდგენასა და წესჩვეულებას, როგორც მონო-

თეიზმის გამოვლენას. ამიტომაც, თუმცა ეს ერთადერთი მიზეზი არ არის, უნდა უარვყოთ კლერიკალური თეზისი იმის შესახებ, რომ ტოტემისტურ ტომებს თითქოსდა ოდითგანვე ჰქონდეთ „უზენაესი არსების“ ბუნდოვანი წარმოდგენა. ეს წარმოდგენა დამახასიათებელია განვითარების გაცილებით გვიანდელი ფაზისთვის.

ამ შენიშვნებით ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ავსტრალიის წყალობით ტოტემიზმი უკვე აღარ წარმოადგენს გამოუცნობ ფურცელს რელიგიის ისტორიაში, უფრო მეტიც, — იგი ცივილიზაციის ისტორიის ცოცხალი ფურცელია.

საქმე გვაქვს კაცობრიობის ისტორიის იმ პერიოდთან, როცა არსებობის საშუალებათა უშუალო მითვისებიდან, როგორც ეს ცხოველთა სამყაროში ხდება, ადამიანი გადადის ნადირობის სტადიაზე, რომელიც უკვე გულისხმობს გარკვეული ორგანიზაციის შედარებით განვითარებულ ფორმას. პირველყოფილი ურდო იცვლება გვაროვნული კლანით. წარმოების პირველ საშუალებათა განვითარება და გამოყენება ხელს უწყობს კლანების კონცენტრაციას იმ ადგილებში, სადაც ხელსაყრელია ნადირობა, რაც ხელს უწყობს ტომის ჩამოყალიბებას.

ავსტრალიის ტომობრივ საზოგადოებაში მამაკაცები ეწევიან ნადირობას, ქალები კი სოფელში რჩებიან და თანდათან სპეციალდებიან მინდვრის სამუშაოებში. ახალგაზრდების განდობის წესჩვეულებრივი ცერემონიები ისევე ხშირია, როგორც აფრიკისა და მდინარე ამაზონის ეკვატორულ ტყეებში. ხანგრძლივი წვალებისა და მძიმე გამოცდის შემდეგ, სხვადასხვა დასახიჩრებათა და თავზეხელაღებული გამბედაობის გამოვლენის შემდეგ ჭაბუკს იღებენ მონადირეთა წრეში. მსგავსი წესჩვეულება არსებობს ქალიშვილების მიმართაც, როცა ისინი მიაღწევენ სქესობრივი სიმწიფის ასაკს. წარმოიქმნება პირველი საიდუმლო კავშირები, რომელთა წესჩვეულებების ვინმესთან გამქღავნება, გარდა განდობილთა გარკვეული ჯგუფისა, სასტიკად არის აკრძალული. ზუსტად ასეთსავე აკრძალვებს ვხვდებით შემდგომში საბერძნეთის, მცირე აზიისა და რომაული სამყაროს იდუმალებათა რელიგიებში.

ყოველ კლანს ჰყავს თავისი ტოტემი—ცხოველი ან მცენარე, რომელთანაც ჯგუფის წევრები ისე ძლიერად არიან დაკავშირებულნი, რომ გეგონებათ, თითქოს, სინამდვილეში ეს ცხოველი ან მცენარე მათი მშობელი იყოს და ეს ხალხი მისგან იყოს წარმოშობილი. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ავსტრალიურ ტოტემთა უმეტესი ნაწილი წარმოდგენილია ცხოველებით და მცენარეებით, რომლების საჭმელად გამოყენებაც შეიძლება[1]. ეს გარემოება გვეხმარება გავიგოთ ნამდვილი წარმოშობა ამ კავშირისა, რომელსაც იდეოლოგიის სფეროში გადააქვს ის, რაც პირველად მატერიალური დამოკიდებულებების ურთიერთობას შეადგენდა. სხვა ტოტემები, ისეთები, როგორიცაა ქვები, ლითონები, ბუნებრივი და ატმოსფერული მოვლენები, შეიქმნა უფრო გვიან. ეს იყო ადრინდელი შეხედულებებისაგან გარკვეული გადახრის პროცესი.

ერთი კლანის წევრებს ავსტრალიაში არ შეუძლიათ თავიანთი ტოტემის ჭამა და ერთმანეთთან შეუღლება. მთლიანად ტომი რაღაცით ჰგავს პრიმიტიულ კოოპერატივს: ყველა შოულობს თავის საკვებს იმ ტოტემის წყალობით, რომელზედაც მეზობელი კლანის წევრები ნადირობენ. ქორწინება, რომელიც ტომის შიგნით ხდება, საბოლოო ანგარიშში, წარმოადგენს კლანის წევრებისათვის საზრდოს გადიდების კიდევ ერთ გზას.

3. ნინაპართა კულტი

ავსტრალიური ტოტემიზმი, ბუნებრივია, განსხვავდება ნამდვილი, მთლიანად ჩამოყალიბებული კულტისაგან იმით, რომ ჯგუფის ყურადღება მიპყრობილია ისეთ ობიექტზე, რომელიც არსებითად არ განსხვავდება კლანის წევრებისაგან: ეს ღმერთი კი არ არის, არამედ მხოლოდ ნათესავია. მას ლოც-

---

[1] 700-ზე მეტი ტოტემიდან, რომლებიც ავსტრალიურ ტომებში გვხვდება, მხოლოდ 56 წარმოადგენს უსულო. საგანს ანდა ბუნების მოვლენას (ქარი, მზე, წყალი, ქვები, ვარსკვლავები).

ვებით კი არ მიმართავენ, არამედ უბრძანებენ. კოლექტივის ნება-სურვილი გამოიხატება მაგიის საშუალებით. ეს წესჩვეულებები დამახასიათებელია ისეთი საზოგადოებისათვის, რომელიც მჭიდროდ აკავშირებს ყველა თავის წევრს და ჯგუფს მთლიანად მოგონილ წინაპართან, როგორც მათი არსებობის ძირითად საფუძველთან.

კლანის წევრები ყოველწლიურად იკრიბებიან თავისებურ წმიდა მოქმედების სანახაობაზე, რამაც ხელი უნდა შეუწყოს ჯგუფის ზრდა-განვითარებასა და წარმატებას. ჩვეულებრივ ასეთ ცერემონიას წარმოადგენს ცეკვა, რომელშიც გადმოცემულია ამა თუ იმ ცხოველის მოძრაობა, ხასიათი, ხმა, ანდა რომელიმე მცენარის ზრდის პროცესი. ეს დამოკიდებულია ტოტემზე, რომელთანაც კლანის წევრები თავის თავს აიგივებენ..

არუნტას ტომის კულტის ტიპიური ფორმა, როგორც ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, ცნობილია ინტიჩიუმას სახელწოდებით. რთულ მიმიკურ წარმოდგენებში, რომლებიც დაკავშირებულია ჯგუფის რიცხობრივი ზრდის ამოცანასთან, უკვე ჩასახულია ზიარების მისტიკური და ჯადოქრული ფორმა. გაზაფხულზე საზეიმო მსვლელობის შემდეგ ერთ-ერთი უხუცესთაგანი ჰკლავს ტოტემურ ცხოველს — ამ შემთხვევაში კენგურუს — და ანაწილებს მის ხორცს კლანის ყველა წევრს შორის. წმიდა ტრაპეზი სრულდება პრიმიტიულ ევქარისტულ მსხვერპლთშეწირვის ფაზების შესაბამისად, ისე როგორც მღვდელმსახურების დროს. შემდეგ მიწაზე ხატავენ კენგურუს და დებენ აღთქმას, რომ მთელი წლის განმავლობაში არ ჭამონ მისი ხორცი. კლანის წევრები ღამეს ათევენ, ისინი სევდიანი სიმღერებითა და ცეკვით აღნიშნავენ თავიანთი მითიური წინაპრის გმირობასა და სიკვდილს.

ამ წესჩვეულებაში უკვე შეიძლება გამოვიცნოთ თემის კეთილდღეობისათვის თავგანწირული ზოგიერთი ლეგენდარული გმირის მოხსენიებისა და შეგონების ცერემონიის ძირითადი ნიშნები. უფრო განვითარებულ ტომებში ყოველწლიური წესჩვეულება არ განისაზღვრება მხოლოდ ცხოველის



ახალი გვინეის ხალხების „სულთა სამლოცველო“

ფიზიოლოგიური აქტივობის გამოხატვით, რათა ადამიანებმა უკეთ მოაშენონ ან დაიპირონ იგი, არამედ წარმოადგენს ზეიმს იმ ტოტემის ცხოვრების სხვადასხვა მოვლენის აღსანიშნავად, რომელსაც დიდ წინაპრად თვლიან. ჩვენ ვეახლოვდებით უხუცესთა, წინაპართა კულტს, რომელიც სულ უფრო მკაფიო ფორმას იღებს იმისდა მიხედვით, თუ როგორ იკვეთება უსახო მასიდან ბელადის ფიგურა.

ცნობილია, რომ ტომობრივი საზოგადოების ეს წარმოდგენა ე ყ რ დ ნ ო ბ ა ადამიანთა შორის არსებული ეკონომიური და საზოგადოებრივი ურთიერთობის გაგებას და ყ ა ლ ი ბ დ ე ბ ა ბუნების მთელი სამყაროს თეორიად. ამ წარმოდგენის მიხედვით, როგორც საზოგადოება შედგება სხვადასხვა კლანისაგან, რომელთაგან თითოეული დაკავშირებულია განსაზღვრულ ტოტემთან, ისე გარემო სამყაროა დაყოფილი იმავე მოდელის მიხედვით. ტბის წყალი პირველყოფილი ავსტრალიელის ენაში გამოყოფილია იმ ფლორასა და ფაუნასთან ერთად, რომლებიც ამ წყალში ცხოვრობენ. ხეების სხვადასხვა სახეები დაჯგუფებულნი არიან იმ ფრინველებთან ერთად, რომლებიც ამ ხეებზე იკეთებენ ბუდეებს, ანდა მღრღნელებთან, რომლებიც მათი თესლით იკვებებიან.

ამრიგად, ტოტემიზმი წინაკლასობრივი საზოგადოების ადამიანის მთელი გამოცდილების იდეოლოგიური სისტემატიზაციის ჭეშმარიტად უძველესი ფორმაა რელიგიის, ხელოვნებისა და სამყაროს პრიმიტიული გაგების დარგში.

აქედან იწყება იმ ხალხების რელიგიის ისტორიული განვითარება, რომლებიც შედიან კერძო საკუთრების, პირადი ხელისუფლებისა და მონათმფლობელობის რეჟიმის ფაზაში.

ძველი ეგვიპტის რელიგია

რელიგიის ყოველგვარი ისტორია არის შედარებითი გამოკვლევა, ე. ი. სხვადასხვა სარწმუნოების როგორც საერთო, ისე განსხვავებული ელემენტების კრიტიკული შეპირისპირებაა.

რელიგიის ყოველგვარი ისტორია არის იდეათა ისტორია, მაგრამ ისეთი იდეებისა, რომლებშიც არაპირდაპირად და დამახინჯებულად აირეკლება გარკვეული საზოგადოებრივ-ეკონომიური ფორმაციები და საზოგადოების გარკვეული შეხედულებები.

რელიგიები იმდენი როდია, რამდენიც ტომი, ხალხი ან ეროვნება დედამიწაზე. მათი რიცხვი შეესაბამება ყველა ხალხის ისტორიის ძირითად ეპოქებს. არ არსებობს ერთი რელიგია ეგვიპტელებისა და ბაბილონელებისა, ბერძნებისა ან ებრაელებისა, ინდუსებისა ან ჩინელებისა, არამედ არის წინაკლასობრივი პერიოდის რელიგია, შემდეგ მონათმფლობელური პერიოდის და ფეოდალური პერიოდის რელიგია ეგვიპტესა და მესოპოტამიაში, საბერძნეთსა და პალესტინაში, ინდოეთსა და ჩინეთში. არ არსებობს ერთი ქრისტიანული რელიგია, არამედ არის იმდენი ფორმა ქრისტიანობისა, დაწყებული მისი ჩასახვიდან და დამთავრებული კათოლიციზ-

მით და პროტესტანტიზმით, რამდენი საზოგადოებრივი წყობის ეპოქაც გაიარეს ქრისტიანულმა თემებმა ორი ათასი წლის განმავლობაში.

ამ ერთადერთი სწორი თვალსაზრისის მიხედვით სრულიად არ აქვს მნიშვნელობა იმას, თუ რომელი ქვეყნის რელიგია შეისწავლება. ყველა ქვეყანაში რელიგიები, რომლებიც პირველყოფილი საზოგადოების ეპოქას მოსდევენ, ხასიათდებიან მსგავსი ნიშნებით, როგორი მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანიც არ უნდა იყოს მათი გამოვლენის ფორმები.

რელიგია გამოირჩევა ერთი მეტად მნიშვნელოვანი თავისებურებით: რელიგიურ იდეებს და ინსტიტუტებს, უფრო მეტად, ვიდრე ხელოვნებას, ლიტერატურას და მთელ პოლიტიკურ ცხოვრებას, აქვთ იმის ტენდენცია, რომ ერთი ეპოქიდან მეორეში გადავიდნენ და იარსებონ მაშინაც კი, როცა მათი წარმომშობი მიზეზები უკვე წარსულს ჩაბარდა.

იდეოლოგიის განვითარება — ჩვენ ყოველთვის გავიმეორებთ ამას — არ შეიძლება პირდაპირ და უსიტყვოდ გავაიგივოთ საწარმოო ძალების განვითარებასთან, რაც საფუძვლად უდევს ისტორიას.

ისტორიული მატერიალიზმი წარმოადგენს კვლევის ერთადერთ მეთოდს, რომელიც საშუალებას გვაძლევს მთელი სისავსით აღვადგინოთ ადამიანთა ცხოვრება და აზროვნება. მაგრამ ის არ არის ისეთი რეცეპტი, რომლითაც შეიძლებოდეს მარად განვითარებადი ცხოვრების შეცელა რაიმე სქემით.

1. ნილოსის ველი

ამრიგად, ყველაზე უძველესი ეროვნული რელიგიის პრობლემა და ცალკეული კულტების განვითარების ხაზის თანამიმდევრული გადმოცემისათვის ამოსავალი პუნქტის არჩევა მეტისმეტად პირობითია.

საქმე ის არის, რომ ჩვენს ხელთაა ცნობები რელიგიის იმ ფორმების შესახებ, რომლებიც მათი ევოლუციის მეტად განვითარებულ სტადიას მიეკუთვნებიან და უკვე წინამორბედი ეპოქების მრავალი გადმონაშთით და წესჩვეულებებით არიან

გართულებული. ისტორიულისა და წინაისტორიული პერიოდების განსხვავება განპირობებულია იმით, რომ ჩვენ მეტად ცოტა რამ ვიცით ადამიანთა თემის წარმოშობის შესახებ და სრულიად უსუსურია ძველი კვლევა-ძიების მეთოდები.

მაგრამ არის ერთი მიზეზი, რომელიც გვაგულიანებს—სწორედ ეგვიპტიდან დავიწყოთ იმ ხალხების რელიგიის ვანვითარების ისტორია, რომლებიც ამიერიდან ამ მეორე, ისტორიულ ფაზაში შევიდნენ.

იმისგან განსხვავებით, რაც ხდებოდა ტიგროსისა და ევფრატის ველებზე მესოპოტამიაში ანდა ყვითელი მდინარის ხეობაში, ჩინეთში, ნილოსის ველის ცხოვრება ხასიათდება ზოგიერთი თავისებურებით, რომლებსაც უძველესი დროიდან დღევანდლამდე სერიოზული ცვლილებები არ განუცდია. ეგვიპტური რელიგიის შესწავლა, რომაელთა დაპყრობების პერიოდიდან არაბთა შემოსევამდე, საშუალებას გვაძლევს დავაკვირდეთ, თუ შედარებით პატარა ტერიტორიაზე როგორ ვითარდებოდა ტომობრივი და გვაროვნული ორგანიზაციის საზოგადოებრივი ცხოვრების პრიმიტიული ფორმები იმ მომენტამდე, ვიდრე მონათმფლობელური წყობილების წიაღში დაიწყებოდა ფეოდალური საზოგადოების ელემენტების ჩასახვა. კაცობრიობის ისტორიაში ჩვენს თვალწინ ჩაიარა არქეოლოგიური, ლინგვისტიკური და ლიტერატურული მონაცემებით უხვად ილუსტრირებულმა სამმა ეპოქამ.

ჩვენ უკვე ვთქვით, რომ, როცა უშუალო დოკუმენტაცია არ არსებობს, ეგვიპტური მითოლოგიის გამოკვლევა საშუალებას გვაძლევს შევავსოთ დიდი ხარვეზები (არასდროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ღმერთების „წმიდა ოჯახის" ისტორიის რთულ პერიპეტიებში აისახება ადამიანთა „მიწიერი ოჯახის" ურთიერთობა და კონფლიქტები).

ეგვიპტე — ეს არის ერთი მდინარე, რომელიც ყოველ წელს მუდმივად რწყავს თავის ველს და უხსოვარი დროიდან ანაყოფიერებს მიწის ვიწრო და გრძელ ზოლს, რომელიც მომწყვდეულია მზისაგან გადაბუგულ ორ უდაბნოს შორის — დასავლეთით ლიბიის, ხოლო აღმოსავლეთით გრანიტის მაღლობებს შორის. სოფლის მეურნეობის საჭიროებანი აიძულებ-

და პირველ მკვიდრთ, დაწყებული ნეოლითური პერიოდის დამლევიდან, ჯგუფებად დასახლებულიყვნენ პატარა ცენტრებში და კოლექტიურად ეშრომათ, რაც აადვილებდა ცენტრალიზებული ხელისუფლებისა და მაღალკვალიფიციური ტექნიკური და პოლიტიკური აპარატის წარმოშობას. ჰეროდოტე, რომელმაც ეს ქვეყანა ჩვ. წ. აღ.-მდე V საუკუნეში ინახულა, უკვე აღნიშნავდა თავისი „ისტორიის" მეორე წიგნში, რომ ეგვიპტეს სამართლიანად უწოდებენ „ნილოსის საჩუქარსო".

მიწათმოქმედთა შორის წყლის განაწილების რეგულირებისათვის, ქაოსური წყალდიდობების საშიშროების მოსპობისათვის საჭირო იყო გრანდიოზული ერთობლივი სამუშაოების წარმოება, სხვადასხვა თვეებში და სეზონში მდინარის დინების შესწავლა, და ამ ცოდნის თავის დროზე პრაქტიკაში გამოყენება. მაგრამ ყოველივე ამის განხორციელება შეიძლებოდა მხოლოდ მაშინ, როცა შეიქმნა შესაფერისი პირობები იმისათვის, რომ თავის ძალაში დარწმუნებულ და ქმედით გაბატონებულ კლასს დაემორჩილებინა მონათა აურაცხელი მასები, რომლებსაც შეეძლოთ საირიგაციო სამუშაოების შესრულება.

იაფი მუშახელის მოპოვების მიზნით, ეგვიპტისა და მესოპოტამიის გაბატონებული ფენები ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე ათასწლეულიდან განსაკუთრებით ხშირად მიმართავდნენ ომებს. დაპყრობითმა ომებმა შესაძლებლობა მისცა პირველ ცენტრალიზებულ მონარქიებსა და მსხვილ მიწათმფლობელურ არისტოკრატიას დიდი საირიგაციო სამუშაოებისათვის უხვად ჰყოლოდათ მონები. კერძო საკუთრების წარმოშობამდე ბედუინი დაპყრობლების სასტიკი კანონების თანახმად, რომლებიც ჩაწერილია ბიბლიის ძველ თავებში, ტყვეებს ხოცავდნენ და მსხვერპლად სწირავდნენ. ახლა კი მათ სიცოცხლეს უნარჩუნებენ, თავისუფლებას კი ართმევენ.

ქვის ეპოქის უკანასკნელ პერიოდში დასახლებანი, რომლებიც უმთავრესად ნადირობითა და თევზის ჭერით ცხოვრობენ, ლითონის აღმოჩენისა და ბრინჯაოსა და სპილენძის დამუშავების წყალობით თანდათანობით გარდაიქმნებიან ტიპიურ ეგვიპტურ სოფლებად, რომლებმაც კეთილად გადაიტა-

ნეს ხელისუფალთა განუწყვეტელი ცვლა და უცხოელთა დაპყრობები. ამ პირველმა პოლიტიკურმა ოლქებმა, რომლებსაც ბერძნებმა „ნომები“ უწოდეს (სიტყვა „ნომი“ ერთდროულად ნიშნავს ქალაქსაც და მის კანონსაც), მალე დაიწყეს შინაომები. წყაროების თანახმად მათი რიცხვი მერყეობდა 36-დან 50-მდე. უფრო გვიანაც კი, როცა ზოგიერთი მათგანი გაერთიანდა ნამდვილ ქალაქ-სახელმწიფოდ, ხოლო შემდეგ მეტნაკლებად დამოუკიდებელ თეოკრატიულ მონარქიებად, ამ ქალაქების რელიგიურ სიმბოლოებსა და საკულტო წესჩვეულებებში მუდამ ისმოდა კაცობრიობის ევოლუციის ადრეული საფეხურების გამოძახილი.

მხოლოდ ტოტემიზმის გვიანდელ ფორმას, რომელიც გამოცალკევდა ცხოველის, მცენარისა და ბუნების მოვლენების კულტისგან, შეუძლია ახსნას რელიგიის წარმოშობა ეგვიპტეში.

2. მონარქები და ქურუმები

სარწყავი სისტემის და სოფლის მეურნეობის მძლავრმა განვითარებამ წინასწარ განსაზღვრა შრომის დანაწილება, რომელიც ქვის ხანის დასასრულიდან დაიწყო, დანაწილება სამუშაოს მწარმოებლებსა და წარმოების ორგანიზატორებს შორის.

ისტორიკოსებმა დაუჯერეს ეგვიპტელი ქურუმის მანეფონის მიერ ჩვ. წ. აღ.-მდე IV საუკუნეში შეთხზულ ლეგენდას, რომელიც ეგვიპტეში მონარქიის დასაწყისად თვლიდა ჩვ. წ. აღ.-მდე 3400 წელს. მან სქემატურად დაჰყო ეგვიპტის ისტორია ძველ, შუა და ახალ სამეფოებად და ცალკეული მმართველობანი გააერთიანა ოცდათერთმეტ დინასტიაში. ახალი სამეფო მთავრდებოდა თითქმის რომაელების მიერ ეგვიპტის დაპყრობის წინ. მონარქიის დაწყებამდე მანეფონი ცნობდა მხოლოდ ლეგენდარულ არსებებს, ღმერთებს და ნახევრად ღმერთებს.

უახლესი გამოკვლევები საშუალებას გვაძლევს ბრინჯაოს ხანა აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში მივაკუთვნოთ ჩვ. წ. აღ.-მდე 3300 წელს. მაგრამ ნამარხებში აღმოჩენილი დიდი ძეგლები, რომლებმაც სახელი გაუთქვეს ეგვიპტის ისტო-

რიას, გვაიძულებენ ვივარაუდოთ შრომის ორგანიზაციის და საზოგადოების ხელმძღვანელობის განსაზღვრული ფორმების არსებობა. ეს ფორმები მრავალი საუკუნის განმავლობაში უნდა ჩამოყალიბებულიყო. ტაძრების გარშემო ჯგუფდებოდნენ გონებრივი შრომის წარმომადგენლები (ასტრონომები, მათემატიკოსები, არქიტექტორები, მოანგარიშეები, გადასახადების ამკრეფნი და გადამწერნი), რომლებიც საზოგადოების ახალი მოთხოვნილებების პირობებში ნაკლებ როდი იყვნენ საჭირო, ვიდრე ფიზიკურად მომუშავენი. ქურუმობის სახით ფარაონს ჰყავდა ძვირფასი აპარატი გვაროვნული საზოგადოების დაშლის შედეგად აღმოცენებული სახელმწიფოს მართვისათვის.

ადრინდელი ტომების წესჩვეულებანი, რომლებიც უკვე დავიწყებული იყვნენ ყოველდღიურ ცხოვრებაში, რელიგიაში შემორჩნენ. შემთხვევითი არ არის, რომ ეგვიპტის პანთეონის ყველა უძველესი ღვთაება წარმოდგენილია ცხოველის სახით, მაგალითად, შეკარდენის (ღმერთი ჰორი), ცხვრის (ხნუმ), ხარის (ჰაპი, აპისი მემფისში), ხბოს (ატონი), ძროხის (ხატორი), ცხვრის (ამონი, ანუ ამმონი თებეში, ხარსაფეტი ჰერაკლეოპოლში, ოზირისი მენდესში), ტურის (ანუბისი, რომელსაც რომაელები გამოხატავდნენ ძაღლად), ძერას (ნეხებტი), კატის (ბასტი), ნიანგის (შებეკი), გველის (სეთი), ლომის, მორიელის, ბუზის და სხვათა სახით. ჩვენ საქმე გვაქვს ქვეყნის მრავალფეროვან ფაუნასთან: შინაურ და გარეულ ცხოველებთან, ქვეწარმავლებსა და მტაცებელ ფრინველებთან. ეს მოვლენა მტკიცედ ახასიათებს ეგვიპტის რელიგიის მთელ ისტორიას. ამან ისე გააკვირვა ბერძნები, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა საბერძნეთში ცხოველის კულტმა დაჰკარგა თავისი ყოველგვარი მნიშვნელობა და წმიდა პირობითობად გადაიქცა, რომ მათ დაიჯერეს, თითქოს ყოველივე ამაში იმალებოდა საიდუმლო და ღრმა მოძღვრება. გეოგრაფი სტრაბონი, რომელიც ეგვიპტეში მოგზაურობდა ავგუსტეს დროს, გაკვირვებული აღნიშნავს, რომ ცხოველებისადმი თაყვანისცემა არა თუ ქრება ხალხის მასებში, არამედ ყველგან განუწყვეტლივ ძლიერდება.

ხეებს შორის, რომლებიც ცოტაა ნილოსის ველზე, ყვე-



ეგვიპტის ძირითად ღვთაებათა პროფილები და სიმბოლოები:
1— ამონი, 2 — ანუკის, 3 — ანუბის, 4 — ბასტი, 5 — შუ, 6 — ხარაქტეს, 7 — ხარსაფეს, 8 — ხატორი, 9 — დიადი ჰორი, 10 — ჰორიბიჭუნა, 11 — იხიდა, 12 — ხნუმ, 13 — ხონსუ, 14 — მოინტუ, 15 —მუტ.

16 — ნეფერტუმ, 17 — ნეიტი, 18 — ნებბეტი, 19 — ნეფტიდა, 20 — ონურის, 21 — ოზირისი, 22 — უაჯიტი, 23 — პტახი, 24 — სატის, 25 — სებეკი, 26 — სეხმეტი, 27 — სელკის, 28 — სეთი, 29 — სოკარი, 30 — ტოტი

ლაზე ხშირად ტოტემისტურ ხასიათს იღებს პალმა და ეგვიპტური ლეღვის ხე (სიკომორი). ეს უკანასკნელი თავდაპირველად დაკავშირებული იყო ღვთაებასთან, რომელიც ცნობილია სიკომორის ხატორის სახელწოდებით.

მაგრამ პირველი კომუნების გადასვლა ტოტემიზმიდან გვაროვნული წყობილების რელიგიაზე მთელი სიცხადით გამოვლინდა იმ ეტაპზე, როცა ეგვიპტის ღმერთებმა მიიღეს იმავე ფრინველების, ოთხფეხებისა და ქვეწარმავლების სახე, მხოლოდ ადამიანის სხეულით და. მხეცის თავით, ანდა, პირიქით, ცხოველის სხეულით და ადამიანის თავით. ტოტემი გადაიქცა პერსონიფიცირებულ ღმერთად, როცა საზოგადოების მაღალ ფენებში გამოჩნდა ბატონის ფიგურა.

ცხოველ-ფრინველის დამახასიათებელი გამოსახულებები, რომლებიც უფრო გვიანი საუკუნეების სამარხებში გვხვდება, ასევე უეჭველად წარმოადგენენ უძველესი ტოტემისტური სარწმუნოების გადმონაშთს, რომელიც ანიმისტურ წარმოდგენებს შეერწყა. გარდაცვლილის სული, ეგვიპტურად ბა, ანუ ბაი, ზოგჯერ მოხატულობებზე გამოსახულია როგორც ფრინველი ადამიანის თავით, რომელიც მუმიის გულზე ან ხეზე ზის და ცნობისმოყვარეობით შესცქერის საკუთარ დამარხვას.

ბავშვი ჰორი სპილოს ძვლის მედალიონზე

ეგვიპტური ნომების ბედუკულმართობანი ზუსტად გამოვლინდა მათი მფარველი ღვთაებების ისტორიაში.

აი, მაგალითად, ჰორის და სეთის ბრძოლა. მეტოქეობა ამ ორ ღვთაებას შორის — შევარდნისა და გველის მუდმივი ბრძოლის გამოხატულება — საფუძვლად უდევს უძველეს ეგვიპტურ ლეგენდას. ჰორის თავდაპირველად თაყვანს

სცემდნენ მხოლოდ ნილოსის ქვემო წელში, მის შესართავთან ახლოს. ნადირობიდან მიწის დამუშავებაზე გადასვლის შემდეგ ჰორი გადაიქცა მზის ღვთაებად და მისი კულტი გავრცელდა მთელ რიგ მახლობელ ეამორჩილებულ სოფლებსა და ქალაქებში, რომლებსაც ხარკი ჰქონდათ დადებული. ს ე თ ი ს კულტი დიდი ხნის განმავლობაში შემოისაზღვრებოდა ნილოსის სათავით, შემდეგ კი იგი გახდა მთელი ზემო ეგვიპტის თვითმპყრობელთა მფარველი. პოლიტიკური ბატონობისათვის ბრძოლა ნილოსის დელტისა და ზემო ეგვიპტის მეფეებს შორის ჩვენთვის ცნობილია მხოლოდ მითოლოგიის სახით, როგორც შუღლი ორ ღვთაებას შორის, რომელთა მფარველობითაც ჩამოყალიბდა ორივე სამეფო.

როცა ეს სამეფოები გაერთიანდნენ ერთი სკიპტრის ქვეშ — ეს მოხდა დაახლოებით მეოთხე ათასწლეულის შუა რიცხვებში ჩვ. წ. აღ.-მდე, — ჰ ო რ ი და ს ე თ ი შერიგებულნი აღმოჩნდნენ: იმ ეპოქის ერთი დედოფლის ტიტული ნიშნავს: „ის, რასაც ჰვრეტს ჰ ო რ ი-ს ე თ ი“, ესე იგი ქვემო და ზემო ეგვიპტის ღვთიური მბრძანებელი.

დელტის დინასტიის საბოლოო გამარჯვების გამო ჰორი ხდება ქვეყნის პირველი ეროვნული ღმერთი. მის მიერ შემუსრული მეტოქე გაიგივებულია მზის სხივთა ბრწყინვალებით დამარცხებულ ბნელეთის ძალებთან. როცა ვრცელდება აღმოცენებისა და უხვი მოსავლის სიმბოლო ღვთაების გარდაცვალებისა და აღდგომის სოფლური წესჩვეულებანი, მაშინ ს ე თ ი სულ უფრო მეტად განასახიერებს ადამიანისადმი მტრულად განწყობილ ბოროტ ძალებს. ამავე დროს ჰ ო რ ი იძენს მაცხოვრის ნიშნებს, ის იტანჯება, კვდება და მკვდრეთით აღდგება, რათა იხსნას კაცობრიობა.

8. ეხნატონის ვიერ ჩატარებული მზის კულტის რეფორმა

მზის კულტი დამახასიათებელია იმ პერიოდის ყველა რელიგიისათვის, როცა ადამიანები მიწის დამუშავებაში შრომის ახალი იარაღების გამოყენებით მოიპოვებენ არსებობის საშუალებას. ლაპარაკია სტადიურ კულტზე, რომელიც უფრო

ადრეული ღვთაების ყველა გარდასახვას მოიცავს. ჰორი, ღმერთი-შევარდენი, დასაწყისში ხდება ზეცის ღმერთი; მისი შევარდნული თვალი იქცევა ზეციურ თვალად, ე. ი. მზედ. ბოლოს და ბოლოს თვითონ ჰორი გაიგივდება მზესთან რ ა-ს, ანუ რ ე-ს სახელწოდებით. ღმერთი-მზე საკმაოდ ადრე იღებს ადამიანურ სახეს და გარდაიქმნება ღმერთ-ბატონად.

ამ მითოლოგიურ სამოსელში, რომელიც უფრო მეტად არის მოწყვეტილი სინამდვილეს, რელიგია ასრულებს ისეთ როლს, როგორიც დამახასიათებელია მისთვის კლასობრივ საზოგადოებაში: იგი ამართლებს ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციის ამა თუ იმ ურთიერთობის არსებობას.

უძველეს ღვთაებათა შორის, რომლებიც თავიანთი განვითარების რომელიმე პერიოდში ღმერთ-მზის ნიშნებს ატარებდნენ, ჩვ. წ. აღ.-მდე მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში გამოირჩევა სამი: რ ა, ანუ რ ე, ჰელიოპოლისში, ა მ ო ნ ი თებეში და ა ტ ო ნ ი, ანუ ა ტ ე ნ ი იმ რაიონიდან, რომელიც სოფელ ელ-ამარნას აკრავს. ატონს გამოხატავდნენ დისკოს სახით, რომელსაც ყველა მიმართულებით ჰქონდა გაშლილი მრავალრიცხოვანი ხელები (მზე და მისი სხივები).

პოლიტიკური რყევების შედეგად, რამაც გამოიწვია ხელისუფლების კონცენტრაცია თებეს დინასტიის ხელში, ციურ არსებათა ოჯახშიც დამყარდა ისეთივე გარკვეული იერარქია, როგორც დედამიწაზე. ამონმა დაიმორჩილა სხვა უმნიშვნელოვანესი ღვთაებანი და მიიღო მათი კულტების ატრიბუტები. თებესა და ჰელიოპოლისის ქურუმები ახლა უკვე საგალობელს უმღერენ ამონ-რ-ს, როგორც ღვთაებრივი დინასტიის დამაარსებელს, ადამიანებისა და ღმერთების მამას, რომელსაც ბერძნები ზევსთან აიგივებდნენ.[1]

---

[1] ჩვ. წ. აღ.-მდე 332 წელს, როცა ალექსანდრე მაკედონელმა ეგვიპტე დაიპყრო, განთქმული ორაკულის ამონის ქურუმები სპარის საზღვარზე მდებარე სივას ოაზისიდან არწმუნებდნენ ხალხს, რომ ახალი თვითმპყრობელი — შვილია ღმერთ ზევს-ამონისა, რომელიც სასწაულებრივად შობა დედა ოლიმპიამ. მთელი სერია მითებისა, რომლებიც ზებუნებრივი თვისებებით დაჯილდოებულ არსებათა სასწაულებრივად ჩასახვის წარმოდგენაზეა დამყარებული, შემდგომში ეგვიპტური გადმოცემებიდან ქრისტიანულ რელიგიაში გადავიდა.

თეოლოგია იხრება მზიური მონოთეიზმისაკენ. მზიური მონოთეიზმი არის გამოხატულება ცენტრალიზებული მონარქიისა, რომელმაც თავის უმაღლეს განვითარებას XII დინასტიის დროს მიაღწია (2000—1800 წლები ჩვ. წ. აღ.-მდე). ერთი ბატონია დედამიწაზე— ერთი ღმერთია ზეცაზე. სხვა ღმერთები კმაყოფილდებოდნენ მეორეხარისხოვანი როლით, როგორსაც, მაგალითად, კათოლიკურ რელიგიაში ასრულებენ ანგელოზები და წმინდანები.

თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჰეშმარიტი მონოთეიზმი წმინდა სახით არასდროს არსებობდა. ებრაელები, რომლებსაც შეცდომით თვლიან უპირატესად მონოთეისტურ ხალხად, მივიდნენ ერთი ეროვნული ღმერთის — იაჰვეს წარმოდგენამდე, მაგრამ მათ არანაკლებ მტკიცედ სჯეროდათ სხვა ხალხთა ღვთაებების რეალური არსებობა, ისეთების, როგორც, მაგალითად, ბაბილონელების ღმერთი მარდუკი და ფინიკიელების ბაალი.

თავიანთი ღმერთის გამოსახულებით შთაგონებულმა თებეს იმპერიის ფარაონებმა მოიგერიეს, ალბათ, მცირე აზიიდან წარმოშობილი ჰიქსოსების მომთაბარე ტომის შემოსევა და სახელმწიფო საზღვრები სირიამდე გადასწიეს. თუთმოს III-მ ამონ-რას უზენაესი ქურუმი სახელმწიფოებრივი რელიგიის მესვეურად აქცია და მისცა უფლება მსჯავრი დაედო ყველა ადგილობრივი ღვთაების ქურუმებისათვის. სამხედრო ტყვეთა უმეტესი ნაწილი ღმერთს შესწირეს, ე. ი. გადაეცა ქურუმებს და მონებად აქციეს. უდიდესი მამულები, ეგვიპტის მთელი ტერიტორიის ერთ მესამედზე მეტი, სავაჭრო ცენტრებთან, ეთიოპიის, პალესტინისა და ლიბიის ვრცელ ტყეებთან და სასოფლო-სამეურნეო სავარგულებთან ერთად ეკლესიას უწყალობეს.

ქურუმთა კასტა ისე გაძლიერდა, რომ თვითონ ფარაონმა იგრძნო ამის საშიშროება. საკუთარი ხელისუფლების გასამტკიცებლად ამენხოტეპ IV (ჩვ. წ. აღ.-მდე 1375—1358) შეეცადა დაეშხო ღმერთი ამონ-რა და შემოეღო მზის მეორე ღვთაების — ატონის კულტი, როგორც ერთადერთი სახელმწიფოებრივი რელიგია.

ეხნატონის ქანდაკება კარნაკში

ამ რეფორმას უპირველეს ყოვლისა აშკარა პოლიტიკური ღ. სოციალური მნიშვნელობა აქვს და მხოლოდ მეორე რიგში — რელიგიური.

წარმოებდა ბრძოლა მმართველი კლასის სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის: ღმერთების ბრძოლა მხოლოდ ადამიანთა ბრძოლის ასახვა იყო.

ამენხოტეპ IV-ემ დედაქალაქი გადაიტანა თებედან ოთხასი კილომეტრით სამხრეთით, შუა ეგვიპტის უდაბნოში და დაარქვა მას ახეტატონი, ე. ი. „ატონის ჰორიზონტი". მან ააგო საუცხოო ტაძრები მზიური დისკოს ღმერთის საპატივცემლოდ, მოსპო ძველი რელიგიის ყოველგვარი კვალი, დაამწყვდია სასულიერო პირნი და ამონ-რას სახელის დავიწყების მიზნით დაანგრია ყველა ტაძარი, თვით მამამისის, ამენხოტეპ III-ის მიერ კარნაკში და ლუქსორში აგებული ტაძრებიც კი, ვინაიდან, მაგიური კანონების თანახმად, სახელის მოსპობა ნიშნავს ამ სახელის მატარებელი ადამიანის მოსპობას. მან თვითონაც შეიცვალა სახელი, რომელიც ნიშნავდა „ამონის სიმშვიდეს" და დაირქვა „ეხნატონი", ე. ი. „ატონის კეთილდღეობა".

შემორჩა ერთი მეტად საინტერესო ლიტერატურული დოკუმენტი, რომელიც შეეხება მონოთეიზმისაკენ მიდრეკილ ამ რეფორმას, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ფარაონის ყველა ქვეშევრდომი არა მარტო ეგვიპტეში, არამედ დაპყრობილ ქვეყნებშიც. ლაპარაკია „მზის ჰიმნზე", რომელსაც თვით ეხნატონს მიაწერენ.

ღვთაება განდიდებულია როგორც ერთადერთი და უზენაესი, რომელმაც შექმნა ყოველივე არსებული; ამ ჰიმნის სიტყვები ძალიან მოგვაგონებენ ებრაული ბიბლიის ჰიმნებს:

მშვენიერია შენი სახე ცის ჰორიზონტზე,
ო ცოცხალო ატონ, სიცოცხლის საწყისო!
როცა შორს დგები აღმოსავლეთის ცისკიდურზე,
მთელ დედამიწას აცისკროვნებს ნათელი შენი...
შენ სხივებს აფრქვევ შენითვე შექმნილს...
შენ შეუერთდი მთელ სამყაროს საყვარელი შვილის წყალობით!
შენი სხივები არ ტოვებენ დედამიწას როცა შორსა ხარ,
ზენიტში მყოფი საით წახვალ, არავინ უწყის...
შენ ჩემს გულში ხარ,
სხვა არავინ არ გიცნობს შენა,
გარდა შენი ეხნატონისა, შენი შვილისა.
მას გაუმეღავნე შენი ზრახვები და ძლიერება

მსგავსება ძველი აღთქმის ზოგიერთ ფსალმუნთან (განსაკუთრებით 103—104) და თვით ქრისტიანულ ტერმინოლოგიასთან ჭეშმარიტად გასაოცარია.

სინამდვილეში, სწორედ ამ ფარაონის ეპოქაში, ე. ი. XIV საუკუნეში ჩვ. წ. აღ.-მდე, პირველად ისტორიაში ჩნდება ებრაელთა მოხსენიება ჰაბირუს სახელწოდებით იერუსალიმის მმართველის ერთ-ერთ პატაკში ეგვიპტის ფარაონის მიმართ, რომელიც სხვა მრავალ წერილთან ერთად ნაპოვნია ტელ-ალ-ამარნაში ეხნატონის სასახლის ერთ-ერთ ოთახში.

ფარაონის სიკვდილის შემდეგ ძველი დევნილი კულტები კვლავ აღდგნენ და ატონიზმი სასტიკად ჩაახშეს. მზიური დისკოს ღმერთის პატივსაცემად ახალ დედაქალაქში აგებული ტაძრები დედაქალაქისა, სადაც ნაპოვნი იყო სამეფო არქივი, დაანგრიეს, ხოლო ეხნატონისათვის ესოდენ ძვირფასი ღვთაების სახელი სასტიკად აკრძალეს.

4. ხალხური მითები და ოფიციალური კულტი

რელიგიის ისტორიის სახელმძღვანელოში მუდამ ვხვდებით ერთსა და იმავე მტკიცებას სხვადასხვა რელიგიური მითების ერთი ისტორიული წყაროდან წარმოშობის შესახებ.

მაგალითად, მითი კატასტროფული მიწისძვრებით, კოკის-

პირული წვიმებით ან წყალდიდობით ადამიანთა მოსპობის შესახებ, გვხვდება ეგრეთ წოდებული ინდოევროპული შტოს ბევრ ხალხში სპარსელებიდან ბერძნებამდე, თუ, რასაკვირველია, არაფერს ვიტყვით ბაბილონელებზე, ეგვიპტელებზე და ებრაელებზე. აქედან გამომდინარეობს იმის ცდები, რომ რეალისტურად ახსნან ისინი როგორც გამყინვარების ბოლო პერიოდის გრანდიოზული ბუნებრივი მოვლენების მოგონება, ან არა და ეცადონ როგორმე დაამტკიცონ მსოფლიო წარღვნის ისტორიულობა.

აი ამ გზით კვლავ ხელიხელჩაკიდებულნი არიან აბსტრაქტული რაციონალიზმი და თეოლოგია.

სინამდვილეში მსოფლიო წარღვნისა და ნოეს კიდობნის ისტორია ზუსტად ისევე მიეკუთვნება ლეგენდების სფეროს, როგორც წითელქუდასა და თოვლიას ისტორია. შესაძლებელია, რომ ამ გადმოცემათა ხალხურ ტრადიციებში შემონახულია დიდ უბედურებათა გამოძახილი, რომლებმაც განსაკუთრებით შეაძრწუნეს ჩვენი შორეული წინაპრების წარმოდგენა, მაგრამ მითის წარმოშობა განპირობებულია კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ფაზასთან მისი გარკვეული კავშირით. ლეგენდა ადამიანთა ბიწიერებით განრისხებული ღმერთის მიერ დედამიწის მცხოვრებთა ამოწყვეტის შესახებ დამახინჯებულად ასახავს ერთი მხრივ ბელადებისა და აბსოლუტურ მბრძანებელთა დესპოტური მმართველობის დამყარებას, ხოლო მეორე მხრივ — იმ წინააღმდეგობას, რომელიც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია ხალხში ახალი ფორმის ძალაუფლებას საზოგადოების ერთი ეპოქიდან მეორეზე გადასვლის დროს.

თვით მოტივი წარღვნისა წმინდა წყლის შემთხვევითობაა. მას საფუძვლად უდევს იდეა იმ ადამიანთა დასჯისა, რომლებიც უკვე აღარ სცემენ პატივს ბელადის ავტორიტეტს და მისი სახით ღმერთს. ამ განმარტებას კარგად ადასტურებს ანალოგიური ზოროასტრული მითი, რომელშიც დამღუპველად მოქმედებს არაჩვეულებრივად ცივი ზამთარი, ვინაიდან ირანის უწყლო რაიონებში არ შეიძლებოდა წარმოშობილიყო

კოკისპირული თავსხმის იდეა. ეგვიპტეში, სადაც ნილოსის ადიდება ყოველთვის უდიდეს სიკეთედ ითვლებოდა, ხალხს მუსრს ავლებდა ღვთაება, რომელსაც ლომის თავი ჰქონდა და რომელიც ძველი ღმერთის რ ა-ს გულისთვის შურს იძიებდა და მოსვენებას არ აძლევდა ლტოლვილებს მთის თავშესაფარებსა და გამოქვაბულებში.

იგივე უნდა ითქვას იმ განსხვავებაზე, სახელმძღვანელოების ავტორები რომ ხედავენ საზოგადოების მაღალი ფენების, კერძოდ ეგვიპტის მაღალი საზოგადოების სარწმუნოებასა და მასების ცრუმორწმუნე ღვთისმოსაობას შორის.

კლემენი, მსოფლიო რელიგიების ანთოლოგიის ავტორი, ეგვიპტისადმი მიძღვნილ თავში იზიარებს ჰიუნტერ როდერის მტკიცებას: „პირამიდების ლიტერატურული ტექსტები ასახავენ წარმოდგენას გარდაცვლილთა უცოდველობაზე, მათ მისწრაფებას უბიწოებისა და ღმერთთან მსგავსებისაკენ. მხოლოდ ღატაკთა ცუდად დაწერილ დოკუმენტებში ვხვდებით ცოდვების ერთგვარ შეგნებასა და სინდისის ქენჯნას, წარმოდგენას აღსარებასა და შეწყალებაზე, ამასთან ერთად იმედს, რომ ჩაგრულთა გიდებას შეისმენს ღვთაება“.

ეს დაკვირვება, თავისთავად, სავსებით ზუსტია, მაგრამ მისი არსი რომ ახსნან, ისტორიულ-რელიგიურ პრობლემათა მკვლევარებმა ხელი უნდა აიღონ ძველ სქემებზე, რომლებიც ერთიმეორისაგან თიშავენ რწმენასა და ცრუმორწმუნეობას, რელიგიასა და მაგიას. პირამიდების წარწერებისა და პაპირუსებზე დაწერილ უბრალო ლოცვებს შორის განსხვავება უპირველეს ყოვლისა კლასობრივია და არა მორალური ან ფილოსოფიური.

საზოგადოებრივი ზედნაშენის სხვა ფორმებთან შედარებით რელიგიაში უხსოვარი დროიდან უფროა შემორჩენილი პირველყოფილი საზოგადოების დაშლის შედეგად ადამიანთა ცხოვრებაში აღმოცენებული ყველა წინააღმდეგობა. ბუნებრივია, რომ მაგიური წესჩვეულებანი, რომლებიც ერთ დროს საერთო იყო მთელი ტომისათვის, ბოლოს და ბოლოს დიფერენცირებას განიცდის და ეს პროცესი მიმდინარეობს გაბა-

ტონებული და ჩაგრული კლასების ფორმირების პარალელურად.

ჯერჯერობით სხვა რელიგიებზე არაფერს ვიტყვით და მოვიყვანთ მხოლოდ ფუტ მურას აზრს ეგვიპტურ რელიგიაზე მისი „რელიგიის ისტორიის“ პირველი ტომიდან: „რაც უფრო მეტად ხდება ტაძრების კულტი მბრძანებელთა და ქურუმთა პრივილეგია და რაც უფრო მეტად იღებს მასში მონაწილეობას ხალხი როგორც მაყურებელი, მით უფრო ხშირად მიმართავს რიგითი ადამიანი ღმერთებს, რომლებიც შესული არ არიან სახელმწიფოებრივ კულტში“.

თუმცა ეს შენიშვნაც საჭიროა წაღმა დავაყენოთ, რომ ჭეშმარიტი გახდეს.

ტომის წევრები ტოტემისტური მსხვერპლად შეწირვის დროიდან მიეჩვივნენ წესჩვეულებათა შესრულების დროს, რომლებიც ქურუმთა ინტერესებისათვის ტარდებოდა, მაყურებლის როლში ყოფნას, მსგავსად იმისა, როგორც ახლა კათოლიკები ესწრებიან ღვთისმსახურებას. მაგრამ კლასობრივი საზოგადოების დამყარების შედეგად იყოფა თვითონ წესჩვეულებებიც: ამიერიდან ოფიციალური კულტი რელიგიის დარგში სანქციას ამლევს მებატონეთა ხელისუფლებას, იმ დროს, როდესაც მოსახლეობის ძირითადი მასები სულ უფრო მეტად ვარდებიან დამორჩილებულ მდგომარეობაში, რაც გამოხატულებას პოულობს თავდაპირველი კულტის ახალ საწესჩვეულებო ფორმებად გარდაქმნაში.

5. ნაყოფიერების კულტებიდან სამიწათმოქმედო კულტებისაკენ

ნაყოფიერების კულტებიდან სამიწათმოქმედო კულტებზე გადასვლა განსაკუთრებით მკაფიოდ ვლინდება იმ გარდაქმნებში, რასაც ამ კულტების წესჩვეულებებთან და მსხვერპლშეწირვასთან დაკავშირებული ღვთაებები განიცდიან ეგვიპტეში. ღმერთი ოზირისი თავდაპირველად ქვემო ნილოსის ერთერთი ტომის მხოლოდ ტოტემი იყო, ალბათ, ცხვარი ან ხარი, და უკვე იმთავითვე ყურადღების ცენტრში უნდა ყოფილიყო

მაგიური მსხვერპლშეწირვების დროს. ამ მსხვერპლშეწირვებს უნდა გაემრავლებინათ ტოტემური ცხოველი, რომელსაც პირველყოფილი საზოგადოება იცნობდა ნეოლითის დროიდან, ჩვ. წ. აღ.-მდე 10 ან 15 ათასი წლიდან. ეს წესჩვეულება გრძელდებოდა ბრინჯაოს ხანის დასაწყისამდე (დაწყებული ფალოსური წესჩვეულებიდან ქალის ღვთაების კულტამდე, რომელიც განასახიერებდა ადამიანურ ნაყოფიერებას და ცნობილი იყო ბერძნებში ღმერთების დიდი დედის სახელით). თუმცა მართებული არ იქნება, რომ მარტო სამიწათმოქმედო მსხვერპლშეწირვებზე ვილაპარაკოთ, ამ სიტყვის ვიწრო გაგებით, რამდენადაც სიკვდილისა და აღდგომის წესი, რომელიც მსხვერპლად შეწირული ცხოველის კულტთან არის დაკავშირებული, ნაყოფიერების წესჩვეულების ფორმით გვხვდება აგრეთვე მონადირე ხალხებში მანამდე, სანამ ისინი მიწის დამუშავებაზე გადავიდოდნენ.

ყოველ შემთხვევაში აშკარაა, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებასთან და ნილოსის ადიდების კეთილმყოფელ გავლენასთან ერთად ცხოველის სახით მიღებული ღმერთი ოზირისი მეტად ადრე იქნა გაიგივებული განსაზღვრულ ბუნებრივ მოვლენებთან.

უძველესი ხელოვნების ძეგლებიდან და წარწერებიდან დაწყებული ოზირისი ხან მზესთან არის დაკავშირებული, ხან თესლის სულთან, ხან კი თვით ნილოსთან არის გაერთიანებული. და ვიდრე ადამიანის სახით წარმოგვიდგებოდა, იგი უკვე ითვლებოდა ყოველგვარი ბუნებრივი განახლების სიმბოლოდ, იმ ძალად, რომელიც აწესრიგებს წელიწადის დროთა ცვალებადობას და მცენარეთა სიცოცხლეს. მასთან ძღვნად მიჰქონდათ მოსავლის პირველი კონები, მოსავლისა, რომელიც მას ეკუთვნოდა, რათა „გამოესყიდათ“ დანარჩენი და გამოეყენებინათ საკვებად. იგივე რიტუალური მნიშვნელობა აქვს პირველი შვილის მსხვერპლშეწირვას, რომელსაც ბიბლია ებრაელების მიერ ეგვიპტელებისგან გადმოღებულ წესჩვეულებად თვლის. ოზირისი კვდება და ცოცხლდება ყოველდღიურად, როგორც მზე; იგი კვდება და აღდგება წლის შესაფერის დროს, მსგავსად თესლისა; მისი სიმბოლური მოწამებრივი სი-

მიცვალებულის გულის აწონვა საიქიოს მბრძანებელ ოზირისის სამსჯავროზე.
მხატვრობა მიცვალებულთა წიგნიდან

კვდილი და აღდგომა გადაიქცა ადამიანთა ნაწილისათვის, რომელიც დამოკიდებული იყო ამ ღვთაებაზე, სიცოცხლის საწინღრად. ასე წარმოიშვება, ჩანასახობრივ ფორმებში, ღმერთის მოსანანიებელი სიკვდილის იდეა, რომელსაც ჩვენ მოგვიანებით შევხვდებით თითქმის ყველა რელიგიაში და საბოლოო ანგარიშით ქრისტიანობაშიც. იმ მომენტიდან, როცა ოზირისი გახდა ლეგენდის პერსონაჟი, მისი ხატება ვითარდებოდა და სულ უფრო მდიდრდებოდა მრავალფეროვანი მოტივებით.

სოფლის მეურნეობის სრულყოფა შესაძლებელი გახდა წარმოების ახალი იარაღების აღმოჩენების წყალობით, რომლებიც თავის მხრივ სტიმულს აძლევდნენ გაბატონებული კლასის და ჩაგრულ მუშათა მასების ფორმირებას. აი სწორედ ამ დროს ხდება ოზირისი ემირი, მითიური პირველი მეფე, რომელმაც გამოიგონა და ასწავლა ადამიანს მიწათმოქმედების ხერხები და ამავე დროს განსაზღვრა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო საზოგადოებრივი წყობილება. არ უნდა დავივიწყოთ, რომ წესჩვეულება, სხვანაირად რომ ვთქვათ, პირველადი ფორმა, რომელსაც ტექნიკა იღებდა საზოგადოებაში, ყოველთვის წინ უსწრებს მითს, და არა პირიქით.

მეფის სახით ღვთაებად გარდაქმნილი ოზირისი იღებს ფა-

რაონის ყველა დამახასიათებელ ნიშანს: იგი მბრძანებლობს. ბატონობს, განაგებს ბუნებას ზუსტად ისევე, როგორც თვითმპყრობელი მბრძანებლობს საზოგადოებას. მას მოჰყავს ცოლად თავისი და იზიდა, ფარაონისათვის შესაფერისი ადათწესებით, რომელიც მომდინარეობს მატრიარქატის უძველესი კანონიდან და რომლის მისწრაფებასაც წარმოადგენს ერთი ოჯახისათვის მიწის შენარჩუნება. ღვთაებრივ ცოლ-ქმარს შეეძინათ ვაჟი ჰორი, რომელსაც ეგვიპტურ მითოლოგიაში წილად ხვდა უბრწყინვალესი კარიერა. და რადგან ყოველი სამიწათმოქმედო ღვთაების ცხოვრებაში მთავარია დაკრძალვის მოტივები (საქმე ის არის, რომ, ხალხის წარმოდგენაში, მზე ყოველ საღამოს ეშვება ჩრდილთა სამეფოში, ხოლო მთესველის მიერ მიწაში ჩაგდებული თესლი მიწისქვეშ ელოდება თავის აღდგომის საათს), ამიტომ ოზირისი მალე ხდება ბნელეთის სამეფოს მფარველი. მასთან გაიგივებულია ყველა ფარაონი; მასთან ერთად ყველა ეგვიპტელი მშრომელი, რომელიც მონის მდგომარეობამდეა მიყვანილი, ისევე, როგორც ხალხის დიდი უმეტესობა, იმედოვნებს ოდესმე აღსდგეს უკეთესი ცხოვრებისათვის.

შემდგომში ამ ღვთაების კულტმა დიდი გავლენა მოახდინა ბერძნულ-რომაულ სამყაროზე.

აშკარაა, რომ ოზირისის წესჩვეულებებსა და მითებში ჩვენ ვხვდებით ქრისტიანული იდეოლოგიის პირველადი ფორმების მრავალ მოტივს. სხვანაირად არც შეიძლებოდა: ორივე რელიგია, მართალია, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ადგილას ჩაისახა, მაგრამ ეს მოხდა ერთსა და იმავე ვითარებაში, ისეთ საზოგადოებაში, რომელიც აგებული იყო მონათმფლობელობის პრინციპებზე.

0. პირამიდები და მიცვალებულთა წიგნი

აზრი იმის შესახებ, რომ ადამიანის იმქვეყნიური ბედ-იღბალი განისაზღვრება იმით, თუ როგორ იქცეოდა იგი ამქვეყნიურ ცხოვრებაში, წარმოიშვა ცივილიზაციის ისტორიის შედარებით გვიანდელ პერიოდში.

ამ წარმოდგენის ნიშნებს ჩვენ ვერ ვხვდებით ვერც ასუ-

რულ და ბაბილონურ, ვერც ჩინეთის და ვერც ებრაულ რელიგიებში თვით წინაქრისტიანულ პერიოდამდეც კი. მოძღვრება სულის უკვდავების შესახებ, რაც საფუძვლად უდევს რწმენას საიქიო სასჯელის ან მისაგებელის შესახებ, ისრაელთა შორის გავრცელდა მხოლოდ II საუკუნეში ჩვ. წ. აღ.-მდე, ბერძენ-სირიელთა შემოსევის წინააღმდეგ მაკაბეელთა დიდი აჯანყების პერიოდში. თავდაპირველად ეს მოძღვრება მიმართული იყო ქურუმთა კასტისა და პალესტინის მმართველი დაჯგუფებების ოფიციალური წარმომადგენლების წინააღმდეგ.

მორალი ყოველთვის ვითარდებოდა საზოგადოების გაბატონებული ფენების ინტერესების შესაბამისად. სანამ საზოგადოების სტრუქტურის ძირითად პრინციპს წარმოადგენს ადამიანთა დაყოფა მონებად და მონათმფლობელებად, სიკეთედ ითვლება მხოლოდ ის, რაც მოსწონს ბატონს, რაც როგორც სიცოცხლეში, ისე საფლავში ემსახურება მისი ძალაუფლების განმტკიცებას. ადამიანის რაიმე სოციალური და სულიერი განთავისუფლების იდეის წარმოშობისათვის საჭირო იყო, რომ მონობის მკაცრი კანონი შეჯახებოდა პირველ დაბრკოლებებს და წინააღმდეგობებს საწარმოო ძალთა განვითარებისა და მონის განთავისუფლების, მისი კოლონად და ყმად გადაქცევის გზაზე. მაგრამ განთავისუფლებისა და ხსნის ეს იმედი, რომელიც გადატანილი იყო იმქვეყნიურ სამყაროში, უცვლელად ტოვებდა დამორჩილებისა და ექსპლუატაციის ურთიერთობას ამ ქვეყნად.

იმის თქმა, რომ ქრისტიანობამ გამოიწვია მონათმფლობელობის მოსპობა, როგორც ამას ხშირად ამტკიცებენ დაქირავებულ მონობაზე დამყარებული საზოგადოების დამცველები, — ნიშნავს არაფრის თქმას. სწორედ ასევე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ ნავი, რომელიც მდინარის მიმართულებით მიცურავს, იტაცებს წყლის იმ ნაკადს, რომელიც თვით ნავს იკავებს.

საზოგადოებრივი წყობილების და ადამიანთა მორალური და რელიგიური წარმოდგენების უმჭიდროეს კავშირს ადასტურებს ის ევოლუცია, რომელიც განიცადა ეგვიპტელთა რწმენამ გარდაცვლილთა მიერ სიცოცხლის გაგრძელებისადმი.

ეგვიპტელი მწერლები კალმებითა და პაპირუსის
გრაგნილებით ხელში

ჩვენს ხელთაა ამ რწმენების მრავალრიცხოვანი დამაჯერებელი ცნობები, დაწყებული ჩვ. წ. აღ-მდე მეხუთე ათასწლეულიდან და დამთავრებული რომის დაპყრობათა ეპოქით. სწორედ ეგვიპტეში, მას შემდეგ, რაც მონათა დიდი მასების მფლობელობაზე დამყარებულმ- საზოგადოებრივმა სისტემამ თავის უმაღლეს განვითარებასა და გაფურჩქვნას მიაღწია, რომლის მსგავსი არ ახსოვს არცერთ უძველეს სახელმწიფოს, მონობა ყველაზე ადრე ჩავარდა წინააღმდეგობაში ახალი საწარმოო ძალების განვითარებასთან და მათ ახალ მოთხოვნილებებთან. ამიტომაც ისტორიკოსს არ უნდა გაუკვირდეს თუ რელიგიურ იდეოლოგიაში ამჩნევს ისეთ წარმოდგენებს და სახეებს, რომლებიც გაცილებით გვიან უნდა წარმოშობილიყვნენ.

მონათმფლობელობის ნიშნები ეგვიპტეში შეინიშნება ძველი სამეფოდან დაწყებული, ჩვ. წ. აღ-მდე მესამე ათასწლეუ-

ლიდან, მაგრამ მან მხოლოდ შუა სამეფოს ბოლოდან, ათი საუკუნით გვიან, მოიპოვა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მონური შრომა ფართოდ იყო გამოყენებული ტაძრების, აკლდამების და ძეგლების მშენებლობის დროს, მაგრამ ეგვიპტური მონათმფლობელობა არც სოფლის მეურნეობაში და არც საზოგადოებრივ ცხოვრებაში არასდროს ატარებდა იმ, როგორც ამბობენ, „კლასიკურ ხასიათს", როგორიც მას ჰქონდა რომში და საბერძნეთის ზოგიერთ რაიონში.

ეგვიპტეში მონის მკვლელი ისევე ისჯებოდა სიკვდილით, როგორც თავისუფალი ადამიანის მკვლელი; ეგვიპტეში არ შეიძლებოდა მონის მუდმივად მფლობელობა, როგორც საგნისა, როგორც უბრალო „მოლაპარაკე იარაღისა"; მას შეეძლო ჰყოლოდა ოჯახი და ჰქონოდა ცოტაოდენი ქონება. მისი ბედიღბალი, ყოველ შემთხვევაში გვიანდელ ელინისტურ პერიოდამდე, უფრო ჩამოჰგავს ღატაკი თავისუფალი ადამიანის ხვედრს, ვიდრე მონისას, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. თუ მონა გათავისუფლდებოდა მეპატრონისაგან, ის იურიდიულად თავისუფალი ხდებოდა მთელი მოქალაქეობრივი უფლებებით.

სატაძრო მონები განსაკუთრებული პრივილეგიებით სარგებლობდნენ. მათ ათავისუფლებდნენ უმძიმესი სამუშაოებისაგან. ფარაონს არ შეეძლო გამოეყენებინა ისინი თავის გიგანტურ მშენებლობებზე, რომლებიც მრავალი ათასი ადამიანის სიცოცხლე ჯდებოდა. ისინი ეკუთვნოდნენ ღვთაებას და მხოლოდ მის სამსახურში იმყოფებოდნენ როგორც საკულტო წესჩვეულებების შესრულებაში, ისე მიწათმოქმედებაში, მეჯოგეობასა და ხელოსნობაში.

ნილოსის ველის მიწათმოქმედების ეკონომიკა, რომელიც დაკავშირებული იყო მდინარის ადიდებასთან და მის რეგულირებასთან, ცხადია, საგრძნობლად ვითარდებოდა მონათმფლობელობის წყალობით, რადგან საგუბარებისა და კაშხალების აგების დროს მშენებლების განკარგულებაში იყო მუშათა დიდი რაოდენობა. ამავე დროს სოფლის მეურნეობის პროგრესი ამ პირობებში ხელს უწყობდა ინდივიდუალურ შესაძლებლობათა და ნიჭის განვითარებას. სულ უფრო მრავლ-

ცოლ-ქმრის ფრინველი-სულები უსერეტის საფლავის ქვაზე თებეში

დებიან სოციალური ფენები, რომლებიც ქურუმთა მეომრული კასტებისა და ფარაონთა გარშემო ყალიბდებიან და ეწევიან შინაომს ძალაუფლებისათვის. აქედანვე იწყება საზოგადოებრივი დაშლის ნელი პროცესიც; ეს პროცესი მორალსა და რელიგიაში იმით გამოიხატა, რომ მონები და ღატაკნი ოცნებობენ სამართლიანობაზე, რომელმაც უნდა მოუტანოს მათ უკეთესი ცხოვრება ამქვეყნად თუ არა, იმქვეყნად მაინც.

ახლა რამდენადმე დაწვრილებით განვიხილოთ, თუ რა ევოლუცია განიცადა საფლავებზე ნაშენმა ნაგებობებმა ეგვიპტელებში.

ჩვ. წ. აღ.-მდე მეხუთე ათასწლეულის ყველაზე ძველ სამარხებში სჭარბობს ისეთი წარმოდგენა, თითქოს გარდაცვლილი მატერიალურად აგრძელებს სიცოცხლეს, უჩვეულო და უცნაურ არსებობას, რომელსაც ისეთივე მოთხოვნილებები განსაზღვრავენ, როგორიც მიწიერ ცხოვრებას. გარდაცვლილებს, მათ შორის წარჩინებულებსაც, მარხავდნენ კვადრატულ საფლავებში, უდაბნოს საზღვართან; მათთან ერთად ათავსებდნენ სანოვაგით და სასმელით სავსე ქვის ან თიხის ჭურჭლებს. იარაღს, სანადირო საჭურველს, საოჯახო ნივთებს და ხანდახან

თიხის პატარა ფიგურებს, რომლებიც მიცვალებულის შინაურებსა და მოსამსახურეებს გამოხატავდნენ. ეს იყო სარიტუალო გამოძახილი ძველად არსებული ადამიანის მსხვერპლშეწირვისა, რომელიც მეომრებისა და ბელადების საფლავებზე სრულდებოდა მონათმფლობელური ეპოქის პირველ ხანებში.

შემდგომში საალმშენებლო ხელოვნების საერთო განვითარების გავლენით დაიწყეს ამ საფლავების კედლების ქვებით ამოშენება, სანამ არ გაჩნდა ნამდვილი მიწისქვეშა აკლდამები ხის სახურავებით.

აკლდამის სახურავზე და მასში ჩამავალ კიბეებზე აწყობდნენ მძიმე ქვებს. ეს იმიტომ კი არ ხდებოდა, რომ გვამი დაეცვათ უამინდობის, გარეული მხეცებისა და მძარცველებისაგან, არამედ იმიტომ, რომ ხელი შეეშალათ, რათა რიცვალებული ზემოთ არ ამოსულიყო და ხელმეორედ კოცხლებში არ მოსვედრილიყო, რითაც დაირღვეოდა საზოგადოების ერთ-ერთი ძირითადი კანონი: ტაბუ. ყოველგვარი დასაფლავება, თუნდაც თანამედროვე ფორმებით, უპირველეს ყოვლისა წარმოადგენს სხვა სამყაროში გადასვლის, კურთხევის წესჩვეულებას.

მიცვალებულის სხეული რომ ყოველთვის საუკეთესო მდგომარეობაში ყოფილიყო, დაიწყეს გვამის შიგნეულობის გამოღება; ცხედარს უნდა გაევლო ბალზამირების რთული პროცესი, მას მჭიდროდ ახვევდნენ სელის ქსოვილში. მუმიას სახეზე ადებდნენ ტილოს ნიღაბს; კუბოს, თვალების პირდაპირ, უკეთებდნენ ორ ნახვრეტს, რომ მიცვალებულს შეძლებოდა მზის დანახვა, უტოვებდნენ აგრეთვე გამოსასვლელ კარებს. ასეთი სამარხები მხოლოდ მდიდრებისა და მბრძანებელთათვის იყო განკუთვნილი. მონებისათვის, უბრალო მშრომელებისათვის, ხელოსნებისა და ღარიბთათვის სოციალური პირობები არც საიქიოში იცვლებოდა; თუ მათ თავიანთი მეპატრონეების ახლოს მარხავდნენ, ეს იმიტომ, რომ უკეთ მომსახურებოდნენ თავიანთ ბატონებს.

პირამიდები, რომლებიც ასე აოცებდნენ ხალხს, თავისთავად სხვა არაფერს წარმოადგენდნენ, თუ არა ამ სახის დასაფლავების ვარიანტს; ისინი წარმოიშვნენ IV დინასტიის დროს,

ე. ი. ჩვ. წ. აღ.-მდე მესამე ათასწლეულის დასაწყისიდან და განკუთვნილნი იყვნენ სამეფო პირთათვის. პირამიდების პირველი ფორმა — საფეხურებიანი კოშკი, ჰგავს ბაბილონურ კოშკებსა და მექსიკური აცტეკების ნაგებობებს. გადიოდა დრო, იხვეწებოდა ტექნიკა, საფეხურები გასწორდა, პირამიდებმა მიიღეს თავისი ჩვეულებრივი სახე.

ყველაზე დიდი პირამიდები IV დინასტიის პირველმა სამმა მეფემ ააგო. მათგან ყველაზე უძველესი მიეკუთვნება ჩვ. წ. აღ.-მდე დაახლოებით 2800 წელს. მაგრამ კედლებით და სახურავებით გადატიხრული შიდა გალერეები და სამარხი კამერები იეროგლიფური წარწერებით აღმოჩენილია მხოლოდ შედარებით გვიანდელ პირამიდებში, რომლებიც დაახლოებით 2500 წელს არიან აშენებული. მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ იმის გასაგებად, თუ როგორ ჰქონდათ წარმოდგენილი ეგვიპტელებს საიქიო ცხოვრება.

ამ წარწერების ძირითადი მოტივი ის არის, რომ ღმერთები მხოლოდ მბრძანებელთ, სამხედრო და მიწისმფლობელ არისტოკრატიას იღებენ საიქიოში, და უკანასკნელთ შეუძლიათ გახდნენ ზეცის ბინადარი ღვთაებანი. ზეცის კარი, პირამიდების ტექსტების მიხედვით, იღება მხოლოდ ფარაონებისათვის. ბევრი დრო გავიდა, სანამ უბრალო მოკვდავებს საშუალებას მისცემდნენ მგზავრების სახით ფეხი შეედგათ „მზიურ ხომალდზე". მაგრამ მაშინაც კი მათი იმქვეყნიური მოგზაურობა მეტისმეტად განსხვავდებოდა საიქიოში მათი ბატონების მგზავრობისაგან, ეს მგზავრობა მუდამ დაკავშირებული იყო გარდაცვლილთა საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების თავისებურებებთან.

მ ი ც ვ ა ლ ე ბ უ ლ თ ა წ ი გ ნ ი ს რთულ და არც თუ ისე ძველ კომპილაციაში, რომელშიც აისახა ეგვიპტის დასაფლავების წესჩვეულებათა და ათეულ თაობათა სარწმუნოების ევოლუცია, ვხედავთ ამ კლასობრივი დიფერენციაციის გამოძახილს. მდაბიო ხალხის უკანასკნელი თავშესაფარი ხშირად განისაზღვრება, როგორც „ლერწმის ველი": ეს არის ისეთი ქვეყანა, რომელიც, ნილოსის დელტის ბევრი რაიონის მსგავსად, დასერილია არხებით. ამ მითიური ქვეყნის მკვიდრნი



გრანდიოზული პირამიდა გიზეში (ეგვიპტე)

განაგრძობენ მიწის დამუშავებას ისევე, როგორც ამას ყოველთვის აკეთებდნენ სიცოცხლეში; აქაური მიწა გამოირჩევა შესანიშნავი ნაყოფიერებით და ხორბლის არაჩვეულებრივი მოსავლით, როგორც პირველი ქრისტიანების აღწერილობაშია ღვთის სასუფეველი. ასე გამოიყურება მიწათმოქმედის, მშრომელის, მონისა და ლატაკის მარადიული ოცნება, სანამ ისინი შეიგნებენ თავიანთ მდგომარეობას, რასაც თანამედროვე მრეწველობის განვითარებით წარმოშობილი გარკვეული პირობები განსაზღვრავენ, და სანამ მონაგონი ცხოვრების შექმნიდან არ გადავლენ ახალი საზოგადოებისათვის ბრძოლის ორგანიზაციაზე, საზოგადოებისა, რომელშიც არ იქნება პრივილეგიები და ჩაგვრა.

საიქიოზე ეგვიპტური წარმოდგენის კლასობრივი საფუძველი უფრო ნათელი გახდება, როცა გავითვალისწინებთ თუ როგორ არიდებდნენ თავს ასეთ საზრუნავს სიკვდილის შემდეგ დიდებულები და მდიდრები, რომლებიც ჯერ კიდევ დაშვებულნი არ იყვნენ ზეცაზე როგორც ბატონები, მაგრამ



აცტეკური პირამიდა ორი საფეხურით (მეხიკოს მახლობლად)

უკვე გათავისუფლებულნი იყვნენ „ლერწმის ველზე“ მუშაობისაგან. ისინი ზომებს იღებდნენ, რომ მათთან ერთად დაემარხათ ქვისა და თიხის პატარა ქანდაკებები, რომლებიც გამოხატავდნენ გლეხებს ბარითა და სხვა სასოფლო-სამეურნეო იარაღით, იმ მიზნით, რომ ისინი იმ ქვეყნადაც ემუშავებინათ თავიანთ სასარგებლოდ.

ექსპლუატაციაზე დამყარებული წყობილება სიცოცხლის საზღვრებსაც კი არ უწევს ანგარიშს!

ეგვიპტური რელიგიის ჩვენს მოკლე მიმოხილვაში ოზირისისა და იზიდას სახელებს თავიდანვე ცენტრალური ადგილი უკავიათ. მაგრამ ამ ორი წმინდანის მნიშვნელობა შორს სცილდება ძველი ეგვიპტის საზღვრებს. რომის რესპუბლიკის გვიანდელი პერიოდიდან დაწყებული იზიდას და მისი ღვთაებრივი მეუღლის კულტში, რომელიც გავრცელებული იყო მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, ყოველთვის ხედავდნენ ხსნის ტიპიურ რელიგიურ ფორმას, რომელიც მისაწვდომი იყო ყველა მორწმუნისათვის, განურჩევლად იმისა, თუ რომელ სქესს, ეროვნებას ან სოციალურ კლასს ეკუთვნოდნენ ისინი.

ბერძნულ-რომაული საზოგადოების წიაღში იზიდას კულტი თავისუფლად შეგვიძლია გამოვყოთ როგორც ხსნის რელიგია, რომელიც რამდენიმე საუკუნით ადრე წარმოიშვა, ვიდრე ქრისტიანობაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს. მეზღვაურებმა, ვაჭრებმა და მონებმა გაავრცელეს ხსნის რელიგია ათენში, სიცილიისა და სამხრეთ იტალიის ნავსადგურებში, პოცუოლში, პომპეიში და თვით რომში. ჩვ. წ. აღ.-მდე 59 და 48 წლებს შორის ამ რელიგიის წარმატება იმდენად საშიში გახდა რომის ხელისუფალთა თვალში, რომ სენატმა განკარგულება გასცა ყველაზე სასტიკი ზომებით დაეთრგუნათ იგი. რომაელთა მრავალგზის ნაქები რჯულშემწყნარებლობა ლიბერალური ისტორიკოსების მონაგონია. პირველი ქრისტიანების დევნა სულაც არ არის გამონაკლისი და შემთხვევითი მოვლენა. ის უნდა გავიგოთ სხვა რეპრესიული ზომების შუქზე, რომელსაც რომის გაბატონებული კლასები მიმართავდნენ ჯერ კიდევ იმპერიამდელ პერიოდში, სახელმწიფოებრივი რელიგიის დაცვისა და ყოველგვარ საშიშ სიახლეთა განდევნის მიზნით.

მაინც რა იყო ეს სიახლე და ეს საშიშროება?

რატომ იყო, რომ რომაელი სენატორები — როგორც ერთ დროს დიონისეს კულტს (ბაკქანალიებს) არაერთხელ მოეპყრნენ, ჩვ. წელთაღრიცხვამდე 58, 54 და 48 წლებში, იძლეოდნენ ბრძანებას გაეძევებინათ იზიდას ქანდაკება და მასთან დაკავშირებული ღვთაება კაპიტოლიუმიდან, დაენგრიათ სა-

კურთხევლები, საკერპენი, სამლოცველოები, რაც ყოველთვის იწვევდა ქალაქის მონათა აჯანყებებს.

ქალღმერთი იზიდას, ოზირისისა და მათი შვილის ჰორის კულტის გავრცელებას თავისთავად საერთო არაფერი აქვს სენატის ამ გადაწყვეტილებასთან. მართალია, ძველი ეგვიპტის ღვთაებებიდან მხოლოდ ძალიან ცოტას თუ შეეძლო გასტოლებოდა იზიდას ლეგენდარულ ციკლს იმ როლით, რომელსაც ისინი ასრულებდნენ გადმოცემებში. პირამიდების ეპოქიდან პტოლემეებამდე, რომლებიც რომაელთა დაპყრობამდე ქვეყნის უკანასკნელი დამოუკიდებელი ხელისუფალნი იყვნენ, არც ერთი მითი არ მოიხსენიება წარწერებში, მატიანეებში და პაპირუსებში ისე ხშირად, როგორც იზიდას მითი. მაგრამ რომაელები ხომ ყოველთვის უყოყმანოდ ავსებდნენ თავის პანთეონს თავიანთ საჭიროებებთან შეგუებული დაპყრობილ ხალხთა ეროვნული ღვთაებებით.

ჭეშმარიტება ის არის, რომ იზიდას კულტში, ისევე როგორც დიონისეს და აღმოსავლურ ღვთაებათა კულტებში, თუმცა ბუნდოვნად და გაურკვეველად, მაგრამ მაინც ასახული იყო კლასობრივი მოტივები.

ლეგენდა უდაბნოში დაისის ქამს გარდაცვლილი ღმერთისა, რომელსაც დიდხანს ეძებდა მეუღლე, სიცოცხლე დაუბრუნა მას და კვლავ გაამთელა მისი დაფლეთილი სხეული. მიეკუთვნება „მზიური მითების“ ლეგენდების ფაზას, რომელიც-თან მოჰყვა სამიწათმოქმედო კულტურის წარმოშობას.

მცენარეთა ყოველწლიურ ცვლასთან დაკავშირებული იზიდას კულტი ჯერ კიდევ ატარებს მაგიური ძალდატანების ნიშნებს. მსხვერპლშეწირვაზე დამყარებული შესაბამისი წესჩვეულების მეშვეობით, რომელიც მცენარეულობის სიმბოლოს წარმოადგენდა, ადამიანი ისწრაფვოდა უზრუნველეყო უხვი მოსავალი. საზოგადოების განვითარების ამ პერიოდში მაგია ასრულებს თავისებური ტექნიკის ფუნქციას, იმ გულუბრყვილო და პრიმიტიული მატერიალისტური ფორმების შესაბამისად, რაც პირველყოფილი ადამიანის ფსიქოლოგიის დამახასიათებელია.

რელიგიის ისტორიკოსების მიერ უკანასკნელ ორ საუკუ-

ნეში შეკრებილი ძვირფასი მონაცემების ობიექტური შესწავლა საშუალებას გვაძლევს ვამტკიცოთ, რომ ხსნის იდეა, სიკვდილისა და ცოდვებისაგან თავის ხსნა, რომელიც ახლა ყველა სახის რელიგიის განუყოფელი ნიშანია, სრულიად უცხოა ყველაზე უძველესი წესჩვეულებებისა და მითებისათვის.

ამგვარი წარმოდგენების სრული ჩამოყალიბება ხდება მხოლოდ მონათმფლობელური საზოგადოების უმაღლესი განვითარების ეპოქაში, მონების დიდი აჯანყებების ჩახშობისა და ამ ქვეყნად შესაძლო განთავისუფლების იმედის შეთხზულ სამყაროში გადატანის შემდეგ.

ღმერთის ან გმირის სიკვდილი, რაც სიმბოლიზებულია მისთვის სამსხვერპლოდ დაკლული ცხოველით, ამიერიდან არა მარტო უზრუნველყოფს მინდვრების ახალ აყვავებას და ბუნების აღორძინებას, არამედ ანიჭებს თავისუფლებასა და უკვდავებას იმას, ვისაც სურს თავი დააღწიოს ძველ ცხოვრებას, რათა მოიპოვოს ახალი. ჩვენ არ უნდა გაგვაკვირვოს იმან, რომ ამგვარი წესჩვეულებები ასე მიმზიდველი იყო საზოგადოების ღარიბი ფენებისათვის, მონებისათვის, სასოწარკვეთილთა და თვით გაბატონებული კლასის მერყეევი და დაეჭვებული წარმომადგენლებისათვის.

ეგვიპტურ მითოლოგიაში ღმერთი ოზირისი უშუალოდ დაკავშირებულია დასაფლავების წესჩვეულებებთან და ბოლოს და ბოლოს მფარველობს ღარიბებსაც და მდიდრებსაც: არა მარტო ფარაონებსა და უფლებამოსილებს, არამედ ხელოსნებსა და მონებსაც. როცა პლატონი თავის დიალოგ „ფედრაში" გვიხსნის, რომ ხელით შრომა შეჰფერის მხოლოდ დამოკიდებულ მდგომარეობაში მყოფ ადამიანებს და რომ ეგვიპტელები ხელოსნობის წარმოშობას მეტად გონივრულად უკავშირებენ ოზირისს, ხოლო ხელოვნებისას კი — ღმერთ ტოტს[1], ის უნებლიეთ ადასტურებს იზიდას მეუღლის როლის ამ არსებით ცვლილებას იმ პერიოდში, როცა გაღატაკებულ შორწმუნეთა შორის დაიწყო მომწიფება ღმერთის სიკვდილისა და ხსნის ლეგენდამ.

როგორც კი იზიდას საიდუმლოებას ზიარებული იმქვეყნი-

[1] ანგარიშის და წერის ღმერთი, შემდგომში — სიბრძნის. — რ ე დ.

ურისა და ზებუნებრივის ბანგს მიეცემოდა, თავის მისწრაფებას უკეთესი მომავლისაკენ, როცა არ იქნებოდა ექსპლუატაცია და ჩაგვრა, თავისუფლებისა და სამართლიანობის ძიებას კულტის ფორმით გამოხატავდა. ეს საკმარისი იყო რომის სენატის არისტოკრატიის აფორიაქებისათვის, რომელიც, ბუნებრივია, რელიგიის, მორალის, ოჯახისა და სამშობლოს მტრად თვლიდა ყველას, ვინც უსიტყვოდ არ იღებდა, თვით რელიგიურ წარმოდგენებშიც კი, კლასობრივი საზოგადოების კანონებს.

ქალღმერთ იზიდას, ღვთაებრივი ბავშვის დედის, გამოსახულება, რომელიც ძუძუს აწოვებს თავის ხელზე მწოლიარე პატარა ჰორს, გვაგონებს ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს ქრისტიანულ გამოსახულებას. ჯერ კიდევ ენგელსი აღნიშნავდა, რომ იზიდას კულტი, რომელიც არაჩვეულებრივად გავრცელდა ქრისტიანობის წარმოშობის ეპოქაში, თითქმის მთლიანად გადავიდა მარიამის კულტში, როცა „ანგარიშიანმა მღვდლებმა თავიანთი წმინდანების სახით პოლითეისტურ გლეხობას დაუბრუნეს თავისი მრავალრიცხოვანი ღმერთები — მფარველები“...[1]

იზიდა ძუძუს აწოვებს ღვთაებრივ ჩვილს ჰორს

უახლესი გამოკვლევები საშუა-

[1] ფ. ენგელსი, წერილი ბერნშტეინს 1882 წლის 10 მარტს
К. Маркс и Ф. Энгельс, соч., т. XXVII, გვ. 201.

ლებას გვაძლევს უფრო ფართო მასშტაბით გავატაროთ ასეთი ანალოგიები.

მზის დაბადების საპატივცემლო ზეიმების შესახებ ეგვიპტეში ბევრი მასალა დააგროვა ნორდენმა. ნორდენი მოგვითხრობს, რომ ეგვიპტის ალექსანდრიაში ზამთრის ნაბუნიობის გამო გამართულ ზეიმზე, 25 დეკემბრის ღამეს, ქრისტიანული მითის ჩამოყალიბებაზე ბევრად ადრე, გამოჰფენდნენ უკვდავი ბავშვის, იზიდას პირმშოს ქანდაკებას, რომელსაც მიესალმებოდნენ მხიარული რიტუალური შეძახილებით: „გაიხარეთ! ყოველად უწმიდესმა დაჰბადა, სინათლემ გაიმარჯვა“.[1] მსგავსი ზეიმები ტარდებოდა 6 იანვრის ღამეს ახალი წლის დაწყების ნიშნად (ეპიფანიოსის ზეიმი). IV საუკუნის მეორე ნახევრის დოკუმენტები მოწმობენ, რომ 25 დეკემბერს მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში ზეიმობდნენ მზის დაბადების დღეს, რომელიც ყოველწლიურად უბრუნდებოდა ახალ ცხოვრებას, მაგრამ ახლა გაიგივებული იყო სპარსულ ღვთაება მითრასთან — ხსნის მზესთან — გავლენიანი რელიგიის ცენტრალურ სახესთან, რომელიც შეიძლება შევადაროთ ქრისტეს.[2]

ეგრეთ წოდებულ „იზიდას ლიტანიობას“ თითქმის მთლიანად ამსგავსებენ ღვთისმშობელ მარიამის კულტის ლიტანიობას („დილის ვარსკვლავი“, „ზღვის ვარსკვლავი“, „სიბრძნის შუაგული“, „ზეცის კარი“ და სხვ.). იზიდას რელიგია ეგვიპტიდან გავრცელდა იმ დროისათვის ცნობილ მთელ მსოფლიოში; ეთიოპიიდან შორეულ ბრიტანეთამდე. იგი განსაკუთრებით პოპულარული იყო მეზღვაურებში, მეომრებში, ვაჭრებში, ხელოსნებში და მონებში. იზიდას კულტი ყველაზე მნიშვნელოვანია ხსნის იმ კულტთაგან, რომლებიც ისტორიაში პირველი, ქრისტიანული ტიპის რელიგიების წარმოშობას მოასწავებდნენ.

ფითრის ზეიმმა, რომელსაც გალიის დრუიდები აღნიშნავდნენ ზამთრის ნაბუნიობის დღეს, ჩრდილოული ელემენტები შეიტანა მზის ქება-დიდებაში, ისეთები, როგორიცაა მა-

---

[1]. E. Norden, Die Geburt des Kindes. Geschichte einer religiösen Idee, Leipzig, 1924.

[2]. F. I. Dolgen. Sol salutis. Münster, 1920.

რად მწვანე ნაძვის ხე გერმანელებში, რომელიც ახალი წლის დადგომის მომენტში მარად განუწყვეტელი სიცოცხლის სიმბოლო იყო. სწორედ ყველა ამ მითისა და წესჩვეულების შერწყმით წარმოიშვა 25 დეკემბრის ქრისტიანული დღესასწაული ისრაელიდან მოსული მესიის საპატივცემლოდ, რომელსაც თან მოჰქონდა ფითრის რტო და ტრადიციული საშობაო ნაძვის ხე.

ასურეთი და ბაბილონი

როცა პირველად ეგვიპტურ რელიგიაზე ვლაპარაკობთ, ხოლო შემდეგ კი ბაბილონურზე, ბერძნულზე და იუდაურზე, ისე, თითქოს საქმე ეხებოდეს სავსებით განსხვავებულ რელიგიებს, ჩვენ მხოლოდ და მხოლოდ მასალის გადმოცემის გაადვილების სურვილი გვამოქმედებს. ყველა ქვეყნის რელიგიას, რასაკვირველია, აქვს თავისი დამახასიათებელი ნიშნები, მაგრამ რელიგიის სწორი დიფერენციაცია არ შეიძლება დამყარებულ იქნეს მხოლოდ ეროვნულ ნიშნებზე. მთავარი და განმსაზღვრელი საზოგადოებრივი წყობილებაა.

რელიგიის ჭეშმარიტად მეცნიერულმა ისტორიამ ჩვენს დროში უნდა დააყენოს აგრეთვე უკლასო სოციალისტური ცივილიზაციის გამოკვლევის პრობლემა, ცივილიზაციისა, რომლის დროსაც რელიგია აღმოიფხვრება ადამიანთა შეგნებიდან, მაგრამ აღმოიფხვრება თანდათან, დიდი მოგვიანებით, რაც იმით აიხსნება, რომ ამ იდეოლოგიურ ზედნაშენს ახასიათებს დიდი გამძლეობა და გაყინულობა.

ამ შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ სხვადასხვა რელიგიის შესწავლას შეიძლება შევუდგეთ ეროვნული და გეოგრაფიული ნიშნების მიხედვით ძველი დაყოფის შესაბამისად,

მით უმეტეს, რომ ლინგვისტიკური და ეთნიკური მოვლენები ყოველთვის თავისებურად აისახებოდნენ სხვადასხვა ხალხის რელიგიური იდეოლოგიის განვითარებაში.

1. ბაბილონაშთური ეთნოგრიული მოვლენები რელიგიაში

ზედმიწევნით სრული ლიტერატურული დოკუმენტაციის წყალობით ბაბილონური და ასურული ცივილიზაცია ახლა ყოველმხრივ ცნობილია ჩვენთვის.

ეპოქა, რომელსაც ჩვენ ვეხებით, მოიცავს თითქმის სამი ათას წელს, ჩვ. წ. აღ.-მდე 3500-დან 538 წლამდე, როცა კიროსმა, რომელსაც ებრაელები მიესალმებოდნენ როგორც განმათავისუფლებელ-მესიას, ერთი დარტყმით მოუღო ბოლო ძველ კულტურას. მაგრამ მისი გავლენა შორს გასცდა ამ პერიოდს და თავისი კვალი დაამჩნია იუდაიზმის, ქრისტიანობისა და ისლამის ჩამოყალიბებას.

ის ტრადიციული შეხედულება, რომელსაც მიაჩნია, რომ მესოპოტამია (შუამდინარეთი) წარმოადგენდა ძველი მსოფლიოს თითქმის ყველა რელიგიის აკვანს, რა თქმა უნდა, მოკლებულია ჭეშმარიტებას. მაგრამ ბაბილონური მითოლოგიის ზემოქმედება მსოფლიოს ამ რაიონის რელიგიური იდეოლოგიის განვითარებაზე ეჭვს არ იწვევს.[1]

ბაბილონელები და ასურელები ასე თუ ისე მუდმივად სახლობდნენ თანამედროვე ერაყის ტერიტორიაზე. ბაბილონელები იმყოფებოდნენ ერაყის სამხრეთ ნაწილში, ტიგროსისა და ევფრატის შესართავთან, რომლებიც შესაძლოა ერთ დროს ცალ-ცალკე უერთდებოდნენ სპარსეთის ყურეს; ასურელები კი ცხოვრობდნენ ჩრდილო რაიონებში, ტიგროსის ზემო წელში. მათი ცივილიზაცია წარმოიშვა იმის შედეგად, რომ მოხდა უთვალავ ტომთა და ტომობრივ გაერთიანებათა შერწყმა, რომლებიც ათასწლობით ცხოვრობდნენ ორივე მდინარის ნაპირებზე, ისე როგორც ეს მოხდა ნილოსის ნაყოფიერ ველზე.

პირველი ისტორიული ცნობები მესოპოტამიაზე მიეკუთვნება იმ პერიოდს, როცა კლასობრივი დიფერენციაციის პრო-

---

[1] იხ. Sabatino Moscati. Le antiche civiltá semitiche. Bari, Laterza, 1958.

ცესმა ღრმად მოიკიდა ფეხი ტომობრივ გაერთიანებებში. გაბატონებული კლასის გამოყოფამ გამოიწვია სახელმწიფოს შექმნა. ამის შედეგად ჩამოყალიბდა პირველი ცენტრალიზებული იმპერიები. შუამდინარეთის კულტურის შექმნაში მონაწილეობა მიიღო ორმა ხალხმა — შუმერებმა, რომლებიც კავკასიურ ან, შესაძლოა, ურალ-ალტაურ ეთნიკურ და ენობრივ ჯგუფს მიეკუთვნებიან, და აქადელებმა — სემიტური წარმოშობის ხალხმა, რომელმაც საბოლოო ანგარიშით უპირატესობა მოიპოვა პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში.

სწორედ შუმერებმა მისცეს ბაბილონელებს ლურსმული დამწერლობა, რომელსაც ფართოდ იყენებდნენ მთელ მსოფლიოში, კავკასიიდან ეგვიპტემდე, სანამ იგი არ გამოდევნა ფინიკიურმა ალფაბეტმა.[1] ხოლო მათმა ენამ, რომელიც აღნაგობით დიდად განსხვავდება სემიტური ენისაგან, არა მარტო მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა იმ ხალხების რელიგიურ ტერმინოლოგიასა და ლექსიკაზე, იურისპრუდენციასა და ლიტერატურაზე, რომლებიც მოგვიანებით დასახლდნენ ასურეთისა და ბაბილონის ტერიტორიაზე, არამედ საუკუნეების განმავლობაში უცვლელად რჩებოდა, როგორც ქურუმების, ბატონებისა და კულტურული კლასის ენა, მაშინაც კი, როცა ხალხთა ფართო მასებს აღარ ესმოდათ იგი. შუმერულ ენას ისეთივე ბედი ეწია, როგორც ამჟამად კათოლიკურ რელიგიაში ლათინურს — მღვდელმსახურთა საკულტო ენას, რომელიც დიდი ხანია გაუგებარია მორწმუნეთა მასებისათვის.

ეს გარემოება დამატებით სიძნელეებს უქმნის მათ, ვინც ხელს ჰკიდებს ასურულ-ბაბილონური რელიგიის შესწავლას.

ხშირად წარმოშობით და კულტურით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებულ ხალხებში შეიძლება შევხვდეთ სულ სხვადასხვა ეპოქაში წარმოშობილ უამრავ ერთმანეთის მსგავს მითს და წესჩვეულებას, ისე, რომ ხშირად ძნელი ხდება მათში გარკვევა. ქრისტიანული კალენდრის გადმოცემებში ხშირად გვხვდება წმიდანები, რომელთა ცხოვრების ეპიზოდები

---

[1] Harmut Schmökel. I Suméri. Firenze, Sansoni, 1959 („Le piccole storie illustrate", n. 2).

და შეხედულებები მთლიანად ნასესხებია ბერძნულ-რომაული მითოლოგიიდან და სხვა რელიგიებიდან. გავიხსენოთ, მაგალითად, შუასაუკუნეობრივი ღვთისმოშიშური ცხოვრება ორი წმინდანისა, ვარლაამისა და იოდასაფისა, რომელიც ბუდას ცხოვრების აღწერიდან არის გადმოკეთებული. მაგრამ მთელი ეს აღრევა არაფერია იმასთან შედარებით, რაც ასურულ-ბაბილონურ მითოლოგიაში ხდება.

სემიტური ლეგენდები აღმოცენდნენ პირვანდელ შუმერულ საფუძველზე, ამასთან მათში ჩვეულებრივ ბევრია ნასესხები მესოპოტამიის მეზობელი ხალხების — ელამიტების, ხეთების, ეგვიპტელების, ირანის ზეგანისა და მცირე აზიის მცხოვრებთა რელიგიებიდან. ბაბილონური და ასურული მითების ორიგინალური ფორმების დადგენისათვის საჭიროა ერთხელ კიდევ გადავხედოთ იმ ხალხების პოლიტიკურ და სოციალურ ისტორიას, რომლებიც პერიოდულად ბატონობდნენ იმ ტერიტორიაზე, რომელსაც ტიგროსი და ევფრატი რწყავდა.

უძველესი ისტორიული დოკუმენტები, რომლებიც მოგვითხრობენ ასურულ-ბაბილონურ საზოგადოებაზე, უკვე მოწმობენ კლასობრივ დიფერენციაციას. ჩვენი საუკუნის დასაწყისში აღმოჩენილი ჰამურაბის კოდექსი, რომელიც მიეკუთვნება ჩვ. წ. აღ.-მდე დაახლოებით 2000 წელს, მოსახლეობას ყოფს სამ კატეგორიად: თავისუფლებად, ნახევრად თავისუფლებად და მონებად. ამგვარი განსხვავება გვხვდება ბაბილონის აქადური კანონების ტექსტებშიც, რომლებიც სულ ცოტა ორი საუკუნით უფრო ძველია, და მეფე ლიპიტ-იშთარის შუმერული სამართლის წიგნში, რომელშიც ასახულია ძველი თეოკრატიული სახელმწიფოს იურიდიული ნორმები. საჯარო სამართლის ყველა ეს კრებული, რომლებსაც დიდ ტერიტორიაზე იყენებდნენ, გვიხატავენ იმ საზოგადოების სურათს, რომელიც უკვე დიდად განსხვავდება პირველყოფილი თემისა და თვით გვაროვნული წყობილებისაგანაც.

ადათებითა და წესჩვეულებებით გარკვეულ ცხოველებთან (ლომი, ძაღლი, ხარი, ცხვარი, თხა, ვირი, ცხენი, არწივი, ყვავი, ტახი, მორიელი, გველი, კუ) დაკავშირებული ტოტემისტური

ფრთოსანი ხარი ადამიანის თავით, ანუ ქერუბიმი, აშურნაზირპალ II-ის სასახლეში

კლანის ფაზა ახლა დიდი ხანია განვლილი პერიოდია. ამან ბევრი ზერელედ მოაზროვნე ისტორიკოსი ისტორიული პერსპექტივების საბაილო დარღვევამდე მიიყვანა. ისინი ამტკიცებენ, რომ ისტორიული პერიოდის ბაბილონის რელიგიურ ცხოვრებაში ცხოველებს უპირავთ მეორეხარისხოვანი ადგილი, რაც ვერ შეედრება იმ განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომელიც მათ ჰქონდათ ეგვიპტელთა რელიგიაში.[1]

საქმე ეს როდია. ტომობრივი წარმოდგენებისაგან განთავისუფლების პროცესი აისახება არა მარტო კანონმდებლობაში, არამედ რელიგიაშიც. ცხოველთა დამახასიათებელი ნიშნები შემორჩენილია ღმერთების გამოსახულებებში, ზოგიერთი ტოტემი გარდაიქმნება ღმერთ-მფარველად, ზოგი კი — ეშმაკად. ქერუბიმები, ფრთოსანი ხარები, რომლებსაც ბაბილონური ტაძრების შესასვლელებთან დგამდნენ, რათა დაეფარათ ისინი ბოროტი სულებისაგან, გარდაიქმნენ ებრაული და ქრისტიანული მითოლოგიის ანგელოზებად. პირველად სერაფიმებიც კი გველები იყვნენ. ყველაზე საშიში დემონი ლამაშთუ, რომელიც აწვალებს ადამიანს და უგზავნის მას ციებ-ცხელებასა და სხვა დაავადებებს, ძველ ხალხს წარმოდგენილი ჰყავდა როგორც ტოტემების მთელი კოლექცია, რომელსაც ჰქონდა ლომის თავი, ძაღლის კბილები, ავაზას თათები, ღრიალებდა როგორც ჯიქი, თათებში ეჭირა

[1] G. Furlani. La civiltá babilonese e assira. Roma, Instituto per l'Oriente, 1929, gg. 132—183.



ტიგლათფალასარ III-ის დროინდელ ასურელ დამპყრობთა მიერ ალყაშემორტყმულ ქალაქის კედლებს გარეთ სარზე ჩამოცმული სამხედრო ტყვე მონები

გველი, ხოლო ღორი და შავი ძაღლი გულმკერდს უღრღნიდნენ მას.

რელიგიური რწმენა იცვლებოდა იმდენად, რამდენადაც ძირფესვიანად იცვლებოდა საზოგადოების ეკონომიური სტრუქტურა. მონობამ ასურეთსა და ბაბილონში თავიდანვე მიიღო გაცილებით სასტიკი ხასიათი, ვიდრე ეგვიპტესა და პალესტინაში, თუმცა მას არასდროს არ მიუღია საბერძნეთისა და განსაკუთრებით რომისათვის დამახასიათებელი კლასიკური ფორმა.

ამ ქვეყნებში სამიწათმოქმედო სამუშაოებს ყოველთვის უმთავრესად ასრულებდა თავისუფალი, მაგრამ გაღარიბებული და ჩაგრული მშრომელი, მაგრამ მონური შრომა აქ უფრო იყო გავრცელებული, ვიდრე ნილოსის ველზე. რაც შეეხება ქალაქის ეკონომიკას, მასში მონათმფლობელობის როლი

იქიდან ჩანს, რომ ეშნუნის აქადური კანონების 59 მუხლიდან, რომლებიც შედგენილია პირველი ბაბილონური დინასტიის დროს ხელისუფლების სათავეში მოქცეული ამორეელი სემიტების მიერ, 15 მუხლი — მეოთხედი ნაწილი — განიხილავს მონებისა და მხევლების საკითხს. მონები გაყოფილია ორ ჯგუფად: ერთი ეკუთვნის მონარქს, მეორე კი —კერძო პირებს. ჯერჯერობით სიტყვაც არ არის სატაძრო მონებზე, და ეს გასაგებიცაა: რელიგია თან მისდევს საზოგადოებრივ პრაქტიკას, იგი არ უსწრებს მას. შემდეგ, მართლმსაჯულების თვალსაზრისით განსხვავდებოდნენ ადგილობრივი მონები და უცხოელები, სამხედრო ტყვეები. მონას არ შეეძლო ჰქონოდა ქონება, მონის გაყიდვა ისევე შეიძლებოდა, როგორც საგნისა, ანდა სამუშაოდ გასესხება. მხევლის მიერ გაჩენილი ბატონის შვილები კანონიერად ითვლებოდნენ და ოფიციალური ქმრის გარდაცვალების შემდეგ მხევალს შეეძლო გამხდარიყო მეპატრონის კანონიერი ცოლი. ისინას შუმერული კოდექსი გამოსყიდვის და განთავისუფლების პირველადს ფორმებსაც კი გულისხმობს; მბრძანებელს, რომელმაც ნიპურის მოქალაქენი გაათავისუფლა მონობისაგან, მხსნელს უწოდებდნენ.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ამ უძველესი კანონმდებლობის ორი დეტალი, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს სხვა ხალხების რელიგიურ პრაქტიკაზე.

პირველი ეხება სიმამრის სამსახურში მყოფი სიძის მონად ქცევას. შუმერული სამართლის წიგნის ბილალამას 25-ე მუხლი გვაუწყებს (თუკი მისი თარგმანი სწორია): „სიძე თავისი სამუშაო ძალით უნდა ემსახუროს სიმამრს, რათა შეავსოს გამოსასყიდი თანხის დანაკლისი". ეს კანონი გვაგონებს ბიბლიურ ეპიზოდს შესაქმეთა წიგნიდან (თავი 29), რომელშიც იაკობი ლაბას ემსახურება შვიდ წელს, რათა ცოლად მოიყვანოს მისი ქალიშვილი.

კანონის მეორე თავისებურება კიდევ უფრო მნიშვნელოვანია: იმავე მართლმსაჯულების 51-ე მუხლი ითვალისწინებს, რომ ადგილობრივ მონას არ შეუძლია წავიდეს სახლიდან ბატონის ნებართვის გარეშე. ჰამურაბის კანონის მიხედვით ამ

მუხლის დამრღვევი სიკვდილით ისჯება. აქ უდევს სათავე ძველი სამყაროს მონათა და ღატაკთა საუკუნეობრივ ოცნებას — ერთ მშვენიერ დღეს აღმოჩნდნენ ისეთ ქალაქში — იქნება ეს დედამიწაზე თუ ზეცაზე, რომელსაც არ ექნება კარები. ზეციური იერუსალიმის ფანტასტიკურ აღწერაში, რომელიც ერთნაირად მახლობელია ბერძნულ-რომაული სამყაროს მონებისა და ჩაგრულებისათვის ქრისტიანული ერის გარიჟრაჟზე, ამაღელვებელი გულუბრყვილობით არის ასახული ისაიას ძველი მოჩვენება: „და ბჭენი მისნი არ დაეღშნენ დღისი, რამეთუ ღამე მუნ არა იყოს“.[1]

ასეთია იმ ადამიანთა აზროვნების ღრმა გარდაქმნების პირველი ნიშნები, რომლებიც ტიგროსისა და ევფრატის ველზე ცხოვრობდნენ კლასობრივი საზოგადოების ჩამოყალიბების ეპოქაში.

2. მითი პირველი ადამიანის შექმნასა და შეცოდებაზე

ლეგენდა პირველ ადამიანზე, მის შექმნაზე, მის თავდაპირველ ბედნიერებასა და შეცოდებაზე, გაბატონებულია ბაბილონური რელიგიის განვითარების ამ სტადიაზე.

შეუძლებელია იმის თქმა, რომ მსგავსი წარმოდგენები ეგრეთ წოდებულ ლეგენდარულ პირველშობილ ადამიანზე სხვა ხალხებს არ ჰქონდათ! ყოველგვარი რელიგია თავის განვითარების გარკვეულ მომენტში გამოიმუშავებს მითებს ადამიანის წარმოშობის შესახებ და ყველა ამ მითს, რასობრივ და კულტურულ თავისებურებათა მიუხედავად, რაღაც აქვთ საერთო. მაგრამ რამდენადაც თქმულება ადამზე და ევაზე ძველ აღთქმაში გადმოსულია ბაბილონური მითებიდან, რომლებსაც ებრაელები გაეცნენ გაძევებისა და ტყვეობის პერიოდში და რომელთა საფუძველზეც შეიქმნა ბიბლიის თანამედროვე ტექსტი (რომელიც ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნეშია შედგენილი), მეცნიერთა ყურადღებას, განსაკუთრებით ლურსმული დოკუმენტების აღმოჩენის შემდეგ, ძველი აღმოსავლეთის სწორედ ეს ლეგენდა იპყრობს. მაგრამ საჭიროა მაინც აღინიშნოს, რომ

[1] გამოცხადება იოანესი, 21, 25.

კათოლიციზმის აპოლოგეტები უკვე ჩვენი საუკუნის დასაწყისში გამოთქვამდნენ აზრს პანბაბილონური ისტორიული სკოლის უკიდურესობათა წინააღმდეგ.[1]

პირველყოფილმა თემმა არ იცის მითი ზებუნებრივი და ყოვლისშემძლე არსების მიერ ადამიანის შექმნის შესახებ, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ სოციალური ევოლუციის ამ საფეხურზე ზებუნებრივი და ყოვლისშემძლე არსებანი ჯერ კიდევ არ არსებობენ ადამიანის შეგნებაში. პირველყოფილი ადამიანის წარმოდგენით ადამიანი ბუნებრივი ნაყოფია ცხოველის ან მცენარისა, ვისი წყალობითაც კლანი ქმნის საკვების მარაგს, და მხოლოდ განვითარების შედარებით მაღალ საფეხურზე იღებს ჯგუფის ურთიერთობა წინაპრისაგან დამოკიდებულების ფორმას.

შექმნის იდეა იბადება მხოლოდ მაშინ, როცა საზოგადოებრივ ცხოვრებაში კონკრეტულად და რეალურად წარმოიშვება მატერიალური საგნების მწარმოებელი, გამომგონებელი, შემქმნელი, აგრეთვე ადამიანთა და საგანთა მფლობელი. ადამის შექმნის ლეგენდის ორი ვერსიის ერთ-ერთ ვერსიაში „და შექმნა ღმერთმან კაცი მტვრისა მიმღებელმან ქვეყნისაგან"[2] ნათქვამია, რომ იგი გამოძერწილ იქნა ისევე, როგორც თასი ან ქოთანი, რომელიც გაკეთებული იყო თიხისაგან მეთუნის მიერ.[3] დაკარგული სამოთხის ბაბილონური თქმულების მთავარი იდეა ტყუილად როდი ჩამოყალიბდა მონობის ეპოქაში, მონათა სასტიკი ექსპლუატაციის არსებობის ეპოქაში.

სამყაროს შექმნის ბაბილონურ ლეგენდაში, რომელიც მოგვითხრობს ბელ-მარდუკის ბრძოლაზე ურჩხულ ტიამატთან, გამარჯვებული ღვთაება გადაწყვეტს შექმნას ადამიანი, რომელსაც გამოძერწავს ძვლებისა და სისხლის ნარევისაგან, რათა დედამიწაზე ვიღაცას შეეძლოს ემსახუროს ღმერთებს. ეს წარმოდგენა, რომელიც საკმაოდ უჩვეულოდ გვეჩვენება,

---

[1] იხ. F. Delitzsch, Babel und Bibel. Leipzig, 1902.

[2] შესაქმე, ბ. ზ.

[3] ბაბილონური მითის ერთ-ერთ ვარიანტში ღმერთი-მეთუნე ეს ადამიანებს თიხისგან ქმნის.

სინამდვილეში მხოლოდ კლასობრივი საზოგადოების ერთ-ერთ ძირითად ნიშანს გამოხატავს რელიგიურ იდეოლოგიაში. ჩვენგან საკმაოდ შორსაა დრო ნინევიის ასურული მბრძანებლის აშურბანიპალისა, რომლის ბიბლიოთეკისთვისაც ჩვ. წ. აღ.-მდე VII საუკუნეში გამოჭრეს შვიდი ფირფიტა, რომლებიც შეიცავდა სამყაროს შექმნის მითს, მაგრამ ახლაც კი შეკითხვაზე „რისთვის იყო შექმნილი ადამიანი" კათოლიკური კათეხიზმო ყოველთვის იმავე პასუხს იძლევა.

აშკარად თვალში გეცემათ ბიბლიის პირველი წიგნების მსგავსება ბაბილონურ ეპოსთან, რომელიც ცნობილია სახელწოდებით „ენუმა ელიშ" („როცა ზევით") — მოთხრობის დასაწყისი სიტყვების მიხედვით.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ მითი მარდუკის შესახებ იშლება შვიდ ეტაპად, შვიდი ფირფიტის შესაბამისად, მსგავსად შესაქმეთა წიგნის პირველი თავისა სამყაროს შექმნის შესახებ, რომელიც შვიდი დღის განმავლობაში ხდება. და ისევე როგორც ბიბლიაში ადამიანი მეექვსე დღის ბოლოს იქმნება, ასევე მეექვსე ფირფიტა, რომელმაც მთლიანად ვერ მოაღწია ჩვენამდე, მოგვითხრობს იმაზე, რომ მარდუკი შეუდგა ადამიანის შექმნას.

მიწიერი სამოთხე მისი ცხოველმყოფელი ხით, ქერუბიმებითა და გველებით ასევე დამახასიათებელია ბაბილონური თქმულებებისათვის. ისტორია ადამიანისა, რომელსაც ერთხელ შეეძლო თავიდან აეცდინა სიკვდილი და დაჰკარგა ეს შესაძლებლობა გველის მიზეზით, მოთხრობილი იყო მეორე „წმიდა" მესოპოტამიურ ტექსტში, გილგამეშის პოემაში, რომელიც დაწერილი იყო თორმეტ ფირფიტაზე. უძველესი ინტერპრეტაცია მითისა ცდუნების შესახებ ასევე გვხვდება ერთ ბაბილონურ ბეჭედზე, რომელიც გამოხატავს ხის ორივე მხარეს ერთმანეთის პირდაპირ მჯდომარე ორ ადამიანს და ერთ-ერთი ფიგურის წინ აღმართულ გველს.

რაც შეეხება ლეგენდას წარღვნის შესახებ, იგი იმდენად ჰგავს გილგამეშის ეპოსის ერთ-ერთ ეპიზოდს, როგორც ამაში მოგვიანებით დავრწმუნდებით, რომ იძულებული ვართ ვიეარაუდოთ პირდაპირი ლიტერატურული ნასესხობა.

თუმცა, საჭირო არაა მხოლოდ სესხებას ვხედავდეთ იქ, სადაც ანალოგია უფრო შეპირობებულია საზოგადოებრივი წყობის მსგავსებით და არა მარტო ისტორიული და გეოგრაფიული ურთიერთშეხებით. ბაბილონური უღლის ქვეშ მყოფ ებრაელებს არ შეეძლოთ ასე უცბად შეესისხლხორცებინათ უცხო ქვეყნის მითოლოგიის ძირითადი იდეები, მათი შეგნება რომ უკვე არ ყოფილიყო ჩამოყალიბებული ტანჯვისა და კლასობრივი ჩაგვრის პირობებში.

ენგელსის შრომის „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა" ერთ-ერთი ბრწყინვალე გვერდი მიძღვნილია მომაკვდავი მონობისადმი, რომელმაც „დატოვა თავისი შხამიანი ნესტარი მწარმოებლური შრომისადმი თავისუფალთა ზიზღის სახით"[1]. იგივე დამოკიდებულება შრომისადმი რელიგიურ ფორმებში გამოხატულია სემიტურ მითში პირველი ადამიანის გაკიცხვის შესახებ, რომელმაც დაარღვია თავისი ბატონის ბრძანება. ამ ადამიანმა იგემა აკრძალული ცხოველმყოფელი ხის ნაყოფი, რომელიც ადამიანს ღმერთის მსგავსს ხდის, და განდევნილ იქნა ედემიდან, ნეტარების ბაღიდან[2]; ეს მითი გვხვდება თითქმის ყველა ხალხში. თავისი ურჩობისათვის ღმერთმა ადამს მუდმივი შრომა მიუსაჯა. „და გამოხადა იგი უფალმან ღმერთმან სამოთხისაგან საშუებლისა, საქმედ ქვეყნისა, რომლისგანაც მოღებულ იქმნა"[3], და უთხრა მას ღმერთმა „ოფლითა შენისათა შჭამდე პურსა შენსა".[4] მართლაც, პირველყოფილი საზოგადოების დაშლასა და კერ-

---

[1] ფ. ენგელსი, «ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა"; ასეთია ის „მანკიერი წრე", რომელშიც რომის იმპერია აღმოჩნდა, როცა მონობა უკვე ხელსაყრელი აღარ იყო. მონათა შრომა გახდა „ეკონომიურად შეუძლებელი, თავისუფალთა შრომა, მორალის თვალსაზრისით მიჩნეული იყო საზიზღრობად" (იქვე). მხოლოდ წარმოების ურთიერთობაში მომხდარ რევოლუციას, რომელმაც გზა გაუხსნა კოლონატსა და ფეოდალურ ბატონყმობას, შეეძლო გადაეწყვიტა ეს წინააღმდეგობა. ქრისტიანობა აქ არაფერ შუაშია.

[2] იხ. დაბადება, გ. კგ.

[3] იქვე, გ. კდ.

[4] იქვე, გ. ით.

ძო საკუთრებაზე დაფუძნებული რეჟიმის დამყარებასთან ერთად ყველაზე მძიმე სამუშაოები, ხელოსნის შრომა და შრომა საერთოდ, ბოლოს და ბოლოს, ჩაგრულთა ხვედრი გახდა და ამიტომაც მას ისე უყურებდნენ, როგორც დასჯის საშუალებას. კლასიკურ ბერძნულ ენაში ტერმინი ბანაუსოს ნიშნავს როგორც ფიზიკურად მომუშავეს, ისე უსიამოვნო და მდაბალ ადამიანს.

პირველი ადამიანის შეცოდების მითი რელიგიურ სახეებში გამოხატავს ამ განწირვას შრომისათვის და ამ ზიზღს შრომისადმი. შრომის რეაბილიტაცია მოხდება მხოლოდ მაშინ, როცა მოხდება საზოგადოების მთლიანი გარდაქმნა, ე. ი. როცა მოისპობა ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაცია.

ვ. ღმერთი-უფალი

პირველყოფილი თემური წყობილების დაშლის შემდეგ სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ის საზოგადოება, რომელშიც მთავარი ფიგურა მეპატრონე, მესაკუთრე იყო. იცვლებოდა ბაბილონისა და ასურეთის ღმერთების სახელები და გაჩოსახულებები, მაგრამ ყველა მათ ამ ტიპის საზოგადოება ჰქმნიდა.

შუმერული წარმოშობის ღვთაებათა სახელების დიდი ნაწილი წარმოქმნილია სიტყვისაგან „ენ", ე. ი. მბრძანებელი, უფალი, ანდა „ნინ", რაც მდედრობით სქესს გამოხატავს — თუ ლაპარაკია ქალღმერთებზე. იგივე ღვთაებანი სემიტურ ხალხებში ატარებს სახელს „ბელ" (ანდა ბაალ), რომელიც გამოხატავს მბრძანებლისადმი მონის დამორჩილების იმავე ცნებას.

ასე, მაგალითად, ერთ-ერთმა უძველესმა შუმერულმა ღვთაებამ—თამუზმა, რომელიც მცენარის, წყლის ცხოველმყოფელ ძალას და ამასთან დაკავშირებით აგრეთვე მიწისქვეშა სამეფოს გამოხატავს, პალესტინაში მიიღო გვარეობითი ეპითეტი „ადონი", „უფალი". იგივე სიტყვა ნიშნავს „ღვთაებას" ბიბლიაში, იგი შემორჩენილია ბერძნულ სამყაროშიც. ღვთაებრივი წყვილის თამუზის და იშთარის კულტი (ადონის — ასტარტა „მისტერიებში") გავრცელდა ელინისტური და რომაელი ეპოქის მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომელიც იქცა

ხსნის ერთ-ერთ რელიგიად, რამაც განსაკუთრებული გავლენა მოახდინა მონათა ყველაზე დაბეჩავებულ და იმედდაკარგულ მასებზე, ხელოსნებზე, მეზღვაურებზე და ამ მხრივ მეტოქეობას უწევდა ქრისტიანობას.

იშთარი ეშვება ჯოჯოხეთში — არალთან, ანდა შვიდი კედლით გარშემორტყმულ ჩრდილთა სამეფოში. იქ, როგორც ტუსაღნი ბნელ საკანში, საიდანაც შეუძლებელია გამოსვლა, იმყოფებიან გარდაცვლილნი და განწირული უმოქმედობისათვის. ქალღმერთს სურს გამოიხსნას იქიდან თავისი შეყვარებული — თამუზი, მცენარეთა ღმერთი, რომელიც იბადება გაზაფხულზე და კვდება მცხუნვარე ზაფხულში მომკელთა ნამგლით. მაგრამ ქალღმერთის გაქრობა იწვევს ნიადაგის უნაყოფობას, იკარგება სასიყვარულო ლტოლვა, აღარ იბადება შთამომავლობა. ბოლოს ზეცის მოციქული ახერხებს მის განთავისუფლებას და უბრუნებს ბუნებას ნაყოფიერებას.

მითის სამიწათმოქმედო ხასიათი ნათელია, ეს ხომ იგივე ლეგენდაა, რაც ორფეევსისა და ევრიდიკეს ლეგენდა თრაკიელებში, დემეტრესა და კორასი — ბერძნებში, იზიდასი და ოზირისისა — ეგვიპტელებში, სინათლისა და უბიწოების ღმერთის ბალდურას (ან ბალდერას) სიკვდილის ლეგენდა ჩრდილოეთის ხალხების რელიგიურ თქმულებებში. ვინაიდან ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნებში გაზაფხულის მზე მალე ჩადის, რომელიღაც ბოროტი გენიის სურვილით, ახალგაზრდა ტევტონი თავადის — უდინისა და ფრიგის ვაჟიშვილის ბალდურას სიცოცხლე უეცრად წყდება.

ასურულ-ბაბილონურ ძეგლებში და წარწერებში ღმერთები გვევლინებიან უდიდეს მბრძანებლებად, მიწის კერძო მესაკუთრეებად, მონარქებად, რომლებიც ყველაფერში ჰგვანან მესოპოტამიის მთავრებსა და მეფეებს. ყოველ დასახლებულ ცენტრს ჰყავს თავისი საკუთარი ღმერთი, და მისი პრესტიჟი იზრდება ან ეცემა ქალაქის ბედ-იღბალთან დაკავშირებით. ღმერთებს ჰყავთ ცოლ-შვილი, მომსახურეთა მრავალრიცხოვანი ამალა, ცხოვრობენ მშვენიერ დარბაზებში, ტაძრებში და იქ იღებენ ვასალებს, მსგავსად თვითმპყრობელისა, რომელთანაც მისი ქვეშევრდომნი მოდიან. ღმერთების ადამიანური

სახე ეჭვს არ იწვევს, მაგრამ მითოლოგიაში და ხელოვნებაში ისინი ჯერ კიდევ დაკავშირებული არიან განსაზღვრულ ცხოველებთან, ბუნების ძალებთან და სხვადასხვა ზეციურ სხეულებთან (მზესთან, მთვარესთან, პლანეტებთან, ვარსკვლავებთან). ღმერთების კავშირს ასტრალურ კულტებთან იმდენად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ბაბილონელებში, რომ გამოიწვია რელიგიისა და ასტროლოგიის ჭეშმარიტი ურთიერთშერწყმა.



ლომზე მდგომი ბაბილონის ქალღმერთი იშთარი ლოცვა-კურთხევის ნიშნად ზეაპყრობილი ხელებით

განსხვავებული ატრიბუტების თავის მოყრა ერთ ღვთაებაში ყოველთვის მოწმობს ახალი სოციალური ეპოქის დაწყებას. ღვთაებაზე ანთროპომორფული წარმოდგენები სჭარბობდა მაშინ, როცა საზოგადოების კლასობრივმა წყობამ ზოგიერთი ადამიანი ჩაგრულთა და ღარიბთა ფართო მასებთან შედარებით, პრივილეგირებულ მდგომარეობაში ჩააყენა. სწორედ მაშინ ღმერთმაუფალმა თავისთავში გააერთიანა რელიგიური ცხოვრების ყველა ნიშანი.

ერთხელ კიდევ გავიხსენოთ ი შ თ ა რ ი, ბაბილონური საზოგადოების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ღვთაება, მეომართა და სიყვარულის მფარველი ღმერთი, რომელიც იმდენად პოპულარული იყო სემიტურ ხალხებში, რომ მისი სახელი

ბოლოს და ბოლოს სიტყვა „ქალღმერთის“ სინონიმი გახდა. ეს ღვთაება ერთი შეხედვით გვაგონებს კლასიკური სამყაროს ღმერთებს — ბერძნების აფროდიტეს და ლათინების ვენერას. მაგრამ რამდენი მრავალფეროვანი ელემენტია შერწყმული ამ სახეში!

იშთარის უძველესი სიმბოლო, უფრო ძველი ვიდრე თვით შუმერები არიან, იყო ძროხა, რომელსაც განთიადის ქალღმერთის სახით ვხედავთ ვედურ რელიგიაში და „წმიდა“ ცხოველის სახით თანამედროვე ნეობრაჰმანურ ინდუიზმში. აქ ჩვენ ჯერ კიდევ საქმე გვაქვს ტოტემთან, როგორც პირველყოფილი ადამიანის მითიურ წინაპართან. მესაქონლეობის ჩანასახოვანი ფორმების განვითარებასთან ერთად მესოპოტამიის მონადირეებისა და მომთაბარეების გ ვ ა რ ო ვ ნ უ ლ ი წყობილების წიაღში თვით ღვთაება იქცევა ჯოგებისა და იალაღების მფარველად. სწორედ ამ სახით გაიცნეს შუმერულმა ტომებმა იშთარი.

ახალი საწარმოო ურთიერთობების აღმოჩენებმა წარმოშვეს ახალი ფორმები შრომის განაწილებისა, რომელიც ხელს უწყობს ბინადარ ცხოვრებას და მიწის დამუშავებას, გზას უხსნის საზოგადოების დაყოფას დამმონებლებად და დამონებულებად, განსაზღვრავს მონობის განვითარებას. ქალღმერთი-ძროხა გარდაიქმნება ქალღმერთ-მბრძანებლად. შუმერები არქმევენ მას „ინანს“, „მინდვრების პატრონს“ და, ალბათ, „ზეცის მეუფესაც“. მას ჯერ კიდევ არა აქვს ადამიანის გარეგნობა, მაგრამ უკვე ცხოვრობს ზეცაში და გაიგივებულია პლანეტა ვენერასთან, „ცისკრის ვარსკვლავთან“ აისისა და დაისის ქალღმერთთან. ის ეხმარება ადამიანებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში, ხელს უწყობს ჩასახვასა და დაბადებას. ამ თვისებებთან არის დაკავშირებული იშთარის ეტიმოლოგია, რომელიც სემიტურ ენაზე უნდა ნიშნავდეს „ის, რაც იძლევა ნაყოფიერებას“.

გავიდა თანდათანობითი გარდაქმნების საუკუნეები და აი, წარმოებით ურთიერთობათა ცვლილებებზე ურიცხვ დაკვირვებათა დაგროვების შედეგად მოხდა თვისობრივი ნახტომი.

დედამიწაზე წარმოიშვა მბრძანებელი, აღმოცენდა სახელ-

მწიფო, ომები და თავდასხმები ჩვეულებრივი მოვლენა გახდა
პლანეტა ვენერა გადაიქცა სასახლის მფლობელად, სიყვარუ
ლის მფარველი გახდა ომის ქალღმერთი. მსგავსი ცვლილებ
განიცადა უძველესმა იტალიურმა ღვთაებამ მარსმა. პირველ
ხანებში მარსი მფარველობდა მინდვრის სამუშაოებს და არ
ომის სისხლიან ხელოვნებას. მეომარი ქალღმერთის როლში
იშთარი ზოგჯერ გამოსახულია წვერებით, იგივე მოვლენ
აღინიშნება ბერძნულ აფროდიტეს ისტორიაში.

ამ დროიდან ძველი ტოტემისტური ღვთაება სრულიად და-
ეიწყებულია, ხოლო ახალი ქალღმერთი ცოცხლობს და მოქ-
მედებს მითოლოგიაში მისი წარმომშობი ეკონომიური და
სოციალური პირობებისაგან დამოუკიდებლად.

4. პოლითეიზმი და მონოთეიზმი

ქრისტიანულ ერამდე მეცხრამეტე საუკუნეში ჰამურაბმა,
მესოპოტამიის ერთ-ერთი ქალაქის მბრძანებელმა, დაიპყრო
მეზობელი მიწების დიდი ნაწილი და თავი „სამყაროს მეფედ"
გამოაცხადა. ახალი დედაქალაქი, ბაბილონი, გადაიქცა ძველი
აღმოსავლეთის ერთ-ერთ ძლევამოსილ სახელმწიფოს ცენტ-
რად და მისი ღმერთი მ ა რ დ უ კ ი, რომელიც აქამდე უმნიშ-
ვნელო და შეუმჩნეველი ფიგურა იყო ასურულ-ბაბილონურ
პანთეონში, უცბად გახდა „მსოფლიო ბატონობის" პრეტენ-
დენტი.

ერთ-ერთი ლურსმული წარწერიანი ფირფიტა, რომელიც
ჩვ. წ. აღ.-მდე XVII ცოტა 1800 წელს მიეკუთვნება, გვაცნობს
ამ ქვეყნის სხვადასხვა ღმერთებს, რომლებიც ძლევამოსილი
ბაბილონური ღმერთის მრავალ თვისებას ატარებენ და მის
სხვადასხვა ფუნქციას ასრულებენ: „ნ ე რ გ ა ლ ი არის ომის
მარდუკი; ე ნ ლ ი ლ ი არის მთავრობის მარდუკი; ნ ე ბ ო არის
ვაჭრობის მარდუკი; ა დ ა დ ი არის წვიმის მარდუკი და სხვ".
ლაპარაკია არა მონოთეისტური რწმენის დამკვიდრებაზე, რო-
გორც ამას გულუბრყვილოდ ამტკიცებს რელიგიის ზოგიერ-
თი ისტორიკოსი, არამედ იმის ლიტურგიულ აღიარებაზე, რომ
ერთი ღმერთი, რომელიც ყველა ღმერთს აღემატება, ჩაისახა

ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ჩამოყალიბებულ ადამიანთა ურთიერთობის წყალობით.

ხოლო როცა ბაბილონის იმპერია ასურელების ხელში აღმოჩნდა, დამორჩილებული ხალხების ყველა ღვთაების მეთაურად და „სამყაროს მპყრობელად" გამოცხადებულ იქნა მათი ღმერთი მშვილდისრითა და დამპყრობლის სამკაპით შეიარაღებული წვერებიანი „აშური", რომელსაც მანამდე თაყვანს სცემდნენ მისივე სახელწოდების ქალაქში.

სამუდამოდ უნდა ავიღოთ ხელი ძველ თეორიაზე, რომელიც ამტკიცებს, რომ კაცობრიობა თითქოს თანდათან გადავიდა ერთი ღმერთის რწმენაზე რელიგიის რაციონალობის ზრდის პროცესში. რელიგიის ფესვები გადგმულია ადამიანთა ცხოვრების ეკონომიურ და სოციალურ პირობებში და არა თვით რელიგიასა და მორალში. ტოტემისტური თემის დაშლამ და საზოგადოების კლასებად დაყოფამ მესოპოტამიაშიც გამოიწვია გადასვლა ღმერთ-ცხოველიდან და ღმერთ-ბუნებიდან ღმერთ-უფალზე. სიტყვა „მარდუკის" მნიშვნელობაში, რომელსაც ძველად განმარტავდნენ როგორც „მზის ხბოს", აშკარად გამოვლინდა ორი განვლილი ფაზის—ტოტემიზმისა და ბუნების კულტის — წარმოდგენები. მაგრამ ბაბილონელების ღმერთებმა ზეცაზე ბატონობის პრეტენდენტობა დაიწყეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამომჟღავნდა მეფე ჰამურაბის პრეტენზია დედამიწაზე ბატონობისა.

დაახლოებით ამავე გზით ვითარდებოდა ებრაელების რელიგიაც.

ბაბილონის ტყვეობის პერიოდში ყველაზე განვითარებული ფორმა იყო მ ო ნ ო ლ ა ტ რ ი ა (ერთთაყვანისმცემლობა), ანუ ერთი ღმერთის კულტი, და არა ერთადერთი ღმერთის არსებობის აღიარება, ე. ი. მ ო ნ ო თ ე ი ზ მ ი. ადამიანები მტკიცედ იყვნენ დარწმუნებული სხვა ერების ღმერთების, მათ შორის მარდუკის არსებობაშიც. რაც შეეხება ქრისტიანულ რელიგიას, მისთვის დამახასიათებელი სამების რწმენით, წმინდანების, ღვთისმშობლისა და ანგელოზების კულტით, მართლაც ძნელია მთლად მონოთეისტური ვუწოდოთ. მუჰამედი ტყუილად როდი თვლიდა ქრისტიანებს პოლითეისტებად (ყურანი, სურა 5, 116).

მეორე მხრივ, რელიგიის ისტორიაში ჩვენ ვერ ვიპოვით გამათანაბრებელ პოლითეიზმს, რომელშიც ყველა ღვთაებას ერთნაირი ძლიერება ჰქონდეს. ჩვეულებრივ ღმერთების კლასიფიკაცია ხდება იმ მკაცრად დამყარებული იერარქიული რიგის თანახმად, რომელიც ადამიანთა შორის შრომის საზოგადოებრივი განაწილების რელიგიურ ასახვას წარმოადგენს. ჩვენამდე მოღწეულ ბევრ დოკუმენტში მთავარ ღმერთებთან ერთად ჩამოთვლილი არიან მათი მინისტრები, შვილები და მონები. ღმერთების როლები და სხვადასხვა ფუნქციები მკაცრად არის განაწილებული და ზუსტად შეესაბამება ბაბილონის სამეფო კარის თანამდებობებს. ეგრეთ წოდებული „დიდი ფიცარი სჯულისა", რომელიც თორმეტი სვეტისაგან შედგება, როგორც ჩანს, 2500-ზე მეტ ღმერთის სახელს ითვლიდა.

შეტაკებები ქალაქებსა და ხალხებს შორის განუწყვეტელ ცვლილებებს იწვევენ უკვდავთა სამყაროში.

ბაბილონელთა მონათესავე ყველა სემიტურ ტომობრივ გაერთიანებაში (ქანაანელები, ფინიკიელები, სირიელები, არამეელები, ებრაელები, არაბები) ღმერთი არის მბრძანებელი (ბაალი), მეფე (მელექი), ბატონი (ადონი), უმაღლესი ხელისუფლება (ელ, ელოჰიმ), მმართველი (ილაჰ, არტიკლით ეს სიტყვა იქნება „ალ ილაჰ", „ალლაჰ", ე. ი. „ღმერთი"). ქურუმები უკმაყოფილო იყვნენ, რომ მარდუკი პოლიტიკური მოტივებით გახდა უმაღლესი ღვთაება და ძალღონეს არ იშურებდნენ, რომ მისი უპირატესობისათვის თეოლოგიური ხასიათიც მიენიჭებინათ. ბაბილონის ღმერთმა ჩაყლაპა ყველა ტიტული, თავისთავში გააერთიანა მესოპოტამიის თითქმის ყველა ღვთაებისა და მითის ფუნქციები, ისევე, როგორც ცხერის საახით გამოხატულმა მზის ღვთაება ამონმა ეგვიპტის ახალი დედაქალაქის თებეს აღზევების ეპოქაში. ნინევიის რელიგიური ტექსტები აშურბანიპალის ბიბლიოთეკიდან, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-მდე VII საუკუნეს მიეკუთვნება, გადაკეთებულ იქნა მარდუკის თეოლოგიურ მეთაურობასთან შეგუების მიზნით, ე ა, წყლისა და შეთქმულების მბრძანებელი, მისი მამა გახდა, ი შ თ ა რ ი, ცისკარი, გადაიქცა მის ერთ-ერთ მეუღლედ. ნ ე ბ ო, დამწერლობისა და ვაჭრობის ღმერთი, რომელიც ერთ

დროს მარდუკზე უფრო განთქმული იყო, უნდა დაკმაყოფილებულიყო მსოფლიოს ძლიერი „მბრძანებლის“ ვაჟიშვილისა და მაცნეს როლით.

ასევე გადაკეთდა რელიგიური პოემები, რომლებიც ქურუმებმა შეადგინეს ადგილობრივი ღმერთების საპატივცემლოდ, უპირველეს ყოვლისა სამყაროს შექმნის, დაკარგული სამოთხისა და შრომისა და სიკვდილის წარმოშობის მითები. ამ თქმულებების ცენტრში, რომლებმაც სხვადასხვა ვერსიით მოაღწიეს ჩვენამდე, ამიერიდან მოქცეულია დიდი მარდუკი, მძლეველი ურჩხულ ტიამატისა, რომელიც ყველა სულიერზე ადრე არსებობდა და განასახიერებდა ბნელეთისა და წყლისაგან შემდგარ ქაოსს — ზუსტად ისე, როგორც ეს ბიბლიის პირველ სტრიქონებშია.

ებრაელებს ამ გადმოცემებიდან აქვთ ნასესხები თითქმის ყველა თავისი მითი, რომლებიც შეუფარდეს თავიანთ რელიგიურ მოძღვრებას და თითქმის უცვლელად შეინარჩუნეს დღემდე.

6. გილგამეში და ნარღვნის ლეგენდა

უნდა ითქვას, რომ ვიდრე მარდუკი საბოლოოდ გაიმარჯვებდა, მითოლოგიასა და თეოლოგიაში არსებობდა ეპიკური პოემა ფორმეტ წიგნად, ანუ თორმეტ ფირფიტად, რომელიც მოგვითხრობს მესოპოტამიის გმირის გილგამეშის საგმირო საქმეებზე; ეს გმირი მეტად ახლოა ბერძნულ პრომეთესთან.

ამ ეპოპეაში ლაპარაკია უძველესი შუმერულ-აქადური საწყაროს ღვთაებაზე, რომელსაც ჯერ კიდევ ბაბილონელებამდე სცემდნენ თაყვანს. ის ფაქტი, რომ ჩვენამდე მოაღწია ამ მითის ოთხმა სხვადასხვა ვარიანტმა მარტო სემიტურ ენაზე, თუ არ ჩავთვლით ხეთურსა და მითანურ ვარიანტებს, მოწმობს ამას, რომ მთელი წინა აზია იცნობდა ამ უძველეს ლეგენდას, რომლის შედგენაც ჩვ. წ. აღ-მდე სულ ცოტა XXV საუკუნეს მიეკუთვნება.

ამ პოემის სახელწოდება „სხა ნა გბა იმურუ“ ნიშნავს — „ის, ვინც ყველაფერს ხედავდა“. გილგამეში ორი მესამედით

ლმერთია, ერთი მესამედით — ადამიანი. ეს გმირი მართლაც ყველაფერს ხედავს და ყველაფრის მცოდნეა, ის იტანჯება კაცობრიობის სიყვარულით და მეტად სახიფათო გმირობას იჩენს, ცდილობს მიაღწიოს უკვდავებას და გააგებინოს თავის ხალხს, თუ რა იყო ქვეყნად წარღვნამდე. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს წარღვნის აღწერა მეცხრე ფირფიტაში.

მესოპოტამიური ლეგენდა წარღვნის შესახებ წარმოადგენს განრისხებული ღვთაების მიერ ქვეყნის დანგრევის მრავალრიცხოვანი მითის ერთ-ერთ ვარიანტს. შურისძიებისა და ადამიანთა მოდგმის განადგურების წყურვილი დრამატული ფორმით გამოხატავს საზოგადოების დაპირისპირებულ კლასებად დაყოფის შედეგად წარმოშობილ წინააღმდეგობებს — უსამართლობისა და მწუხარების ერთადერთ მიზეზს. გადმოცემები კაცობრიობის გაწყვეტის შესახებ გვხვდება თითქმის ყველა ხალხში სულ სხვადასხვა ფორმით იმ პერიოდში, როცა მონობის სისტემა საბოლოოდ არ არის ჩამოყალიბებული, მაგრამ რომელმაც უკვე მიაყენა სასიკვდილო დარტყმა პირველყოფილი თემური ცხოვრების წყობას.[1] რაიმე კლასობრივი შეგნების უქონლობა იწვევს პროტესტის გამოხატვას ფანტასტიკურ და თეოლოგიურ ფორმებში. თავის მხრივ ლეგენდა აძლიერებდა მონების ექსპლუატაციასა და ჩაგვრას.

თუმცა, თავდაპირველად, ბაბილონური ლეგენდა მოგვითხრობს არა მთელი კაცობრიობის, არამედ მხოლოდ მდინარე ევფრატზე მდებარე ერთ-ერთი ქალაქის შურუპაკის მოსახლეობის განკიცხვაზე.

სხვათა შორის, არავითარ საჭიროებას არ წარმოადგენს, რომ ეს ლეგენდები ჩავთვალოთ თუნდაც ძალიან შორეული,

---

[1] ამერიკული ეროვნების მაიას მითოლოგიის თანახმად, რომელიც ევროპელების მისვლამდე იუკატანის ნახევარკუნძულისა და თანამედროვე გვატემალას ტერიტორიაზე ცხოვრობდა, ქვეყნის აღსასრული უკვე ოთხჯერ დადგა, ამასთან, ერთხელ — დიდი წყალდიდობის შედეგად, მსგავსად „მსოფლიოს წარღვნისა". სხვა მიზეზები იყო ვულკანების ამოფრქვევა, გარეულ მხეცთა შემოსევები და ა. შ. და ამ უბედურებებს ყოველთვის განრისხებული ღვთაებანი გზავნიდნენ.

გამყინვარების ბოლო პერიოდში მომხდარი განუწყვეტელი წვიმებისა და სეისმური კატასტროფების მოგონებებად. მითების ახსნა უნდა ვეძებოთ არა ბუნების, არამედ საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიაში, რომელიც ყალიბდებოდა ადამიანთა შორის შრომის იარაღებისა და საწარმოო საშუალებათა აღმოჩენებისა და სრულყოფის შედეგად. მხოლოდ ამაშია ადამიანის ჭეშმარიტი „ბუნება“ და არა სხვა რამეში.

ბაბილონელი დევგმირი, ურუკის მბრძანებელი გილგამეში, რომელიც უკვდავების ძიებაში თავის მეგობარ ენკიდუსთან ერთად მოგზაურობდა, რომელიც ამ ყარიბობის დროს გარდაიცვალა, ხვდება თავის ძველ წინაპარს და სთხოვს მას მოუყვეს მსოფლიო წარღვნაზე, რომელსაც მხოლოდ ის გადაურჩა. როცა ღმერთების საბჭომ გადაწყვიტა დაენგრია ქალაქი შურუპაკი, ღმერთებმა შთააგონეს მის ერთ-ერთ მკვიდრს უტნაპიშტიმს, ბაბილონელ ნოეს, აეშენებინა გემი, რომელიც ჩაიტევდა მის ოჯახს, მსახურთ, რამდენიმე შინაურ და გარეულ ცხოველს და ზოგიერთ ხელოსანს. ეს გემი, საზღვაო ტივტივას მსგავსად, კარგად უნდა გაეფისათ. იგი საკმაოდ მოზრდილი უნდა ყოფილიყო, რომ ეტარებინა „ყველა ცოცხალ არსებათა ნაშობი“ („ორ-ორი მამალი და დედალი ყოვლისაგან ხორცისა, რომლისა თანა არს სული სიცოცხლისა“,—შომავალში ნათქვამი იქნება ბიბლიაში).[1] და ღმერთებმა მიუთითეს ბარკასის ზუსტი ზომა, როგორც ეს ბიბლიური კიდობნის ლეგენდაშია.

როცა ხომალდის აშენება დამთავრდა, ამოვარდა საშინელი ქარიშხალი და შვიდი დღე და შვიდი ღამე წვიმდა. წყლის ზვირთებმა შთანთქეს დედამიწა და ყველა ადამიანი დაიღუბა. როცა ქარიშხალი ჩადგა და წყალი დაეცა, ბარკასი მიადგა ნასირის მთას, რომელიც მოსულისა და ტიგროსის აღმოსავლეთით მდებარეობს თანამედროვე ქურთისტანში, შუმერების სამშობლოში. ის, რომ წარღვნის ლეგენდა დაკავშირებულია კავკასიიდან მოსულ ამ უძველეს ეროვნებასთან, მოწმობს აგრეთვე ბიბლიურ გადმოცემაში მოხსენიებული არარატის მთა

[1] დაბადება, ზ., იე.



თიხის ფირფიტის ნატეხი აშურბანიპალის ბიბლიოთეკიდან, რომელზეც მსოფლიოს წარღვნის "ლეგენდის ასურული ვარიანტია"

სომხეთში, რომელიც საბჭოთა კავშირისა და თურქეთის საზღვარზე მდებარეობს.

წარღვნიდან ექვსი დღის შემდეგ უტნაპიშტიმმა გაუშვა მტრედი, მაგრამ მან ვერ იპოვნა მიწა და უკან დაბრუნდა ხომალდზე. იგივე მოუვიდა ზღვის მერცხალსაც. მესამედ აფრინდა ყვავი. მან დაინახა, რომ წყლიდან ჩნდება მიწა, გაფრინდა საკვების საძებნელად და ვეღარ დაბრუნდა. მაშინ უტნაპიშ-

ტიმი ხომალდიდან ნაპირზე ჩამოვიდა, მთის მწვერვალზე მსხვერპლი და ღვინო შესწირა ღმერთებს. ღმერთები „ბუზებივით“ მოფრინდნენ საჭმლის სუნზე (ბიბლიური ღმერთიც ხარობს მსხვერპლშეწირვის სურნელებით)[1]. ბელმა და ეამ გმირს უკვდავება უწყალობეს ჯილდოდ.

საკმარისია ეს მოთხრობა შევადაროთ ბიბლიური დაბადების წიგნის წარღვნის ისტორიის ორ ვარიანტს (თავი ზ—ც), რათა დავრწმუნდეთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ძველი ბაბილონური მითის ლიტერატურულ დამუშავებასთან, რომელიც ოდნავ სახეშეცვლილია იუდეველთა რელიგიასთან შეგუების მიზნით.

ი. ბაბილონური ტაძრები-ზიგურატები

ბერძენმა ისტორიკოსმა ჰეროდოტემ, რომელიც ჩვ. წ. აღ.-მდე V ს. იმყოფებოდა მესოპოტამიაში, დაგვიტოვა ბაბილონისა და მისი ძეგლების დაწვრილებითი აღწერა იმ სახით, როგორიც ისინი იყვნენ სპარსეთის მიერ ბაბილონის დაპყრობის პერიოდში ძველი იმპერიის დაცემის შემდეგ. უკანასკნელ ათწლეულში წარმოებულმა გათხრებმა ძირითადად დაადასტურა ჰეროდოტეს, ამ ყურადღებიანი და ჭკვიანი მოგზაურის, მიერ დაგროვილი ცნობები.

მაგრამ ჰეროდოტეს დროს ქალაქი უკვე აღარ იყო ის, რასაც იგი წარმოადგენდა ჰამურაბის ძველი სამეფოს დროს (ჩვ. წ. აღ.-მდე 1958—1916 წწ.) ან თუნდაც ნაბუქადრეზარის (ბიბლიაში იგი წოდებულია ნაბუქოდონოსორად, ჩვ. წ. აღ.-მდე 604—562 წლები) მიერ განხორციელებული აღდგენის პერიოდში სპარსეთის მიერ დაპყრობის წინ. მის ადრინდელ ბრწყინვალებაზე მაინც მოწმობდნენ დიდი კედლები, დიდებული ბრინჯაოს კარებები ევფრატისაკენ და განსაკუთრებით ტაძრები მათი შვიდსართულიანი კოშკებით.

ამ ტაძრებში კონცენტრირებული იყო ქვეყნის ეკონომიური და ფინანსური ცხოვრება (მიწების და მონების ყიდვა-გა-

[1] იხ. დაბადება, ც., კ.

ყიდვა, ფულის სესხება და სხვ.), აქვე ყალიბდებოდა კულტურა, არსდებოდა სკოლები და ბიბლიოთეკები, ისე როგორც ეს ქრისტიანულ შუასაუკუნეებში ხდებოდა.

ქურუმები გაერთიანებულნი იყვნენ უძლიერეს რელიგიურ ორდენებში, მათი იყო დამწერლობის მონოპოლია. ისინი აწარმოებდნენ ანგარიშებსა და განაგებდნენ სასამართლოს, მაგრამ მათი ძირითადი საქმიანობა იყო ღმერთებისადმი განუწყვეტელი მსხვერპლშეწირვები, ისე, როგორც ამას ადგილი ჰქონდა საბერძნეთსა და რომში. ტაძრებთან სპეციალურად ზრდიდნენ ხარებს, კრავებს, ირმებსა და განსაკუთრებით ღმერთის „წმიდა" ცხოველს — ცხვარს, თვით ღმერთიც ხომ ცხვრის სახით იყო გამოხატული. სამსხვერპლო ცხოველები უნაკლო უნდა ყოფილიყვნენ, მათ სპეციალურად უვლიდნენ. მოსანანიებელ ფსალმუნებს მრავალრიცხოვანი შელოცვებით მღეროდნენ წესჩვეულების განსაკუთრებულად საზეიმო მომენტებში. შემდგომში ამ ლოცვათა უმრავლესობა შევიდა ებრაულ რელიგიურ რიტუალში.

ბაბილონური ტაძრის დამახასიათებელი ფორმა იყო შვიდსაფეხურიანი პირამიდა, ეს საფეხურები სიმბოლურად გამოხატავდნენ შვიდ ზეციურ სხეულს (მზე, მთვარე და იმდროისათვის ცნობილი ხუთი პლანეტა). მარდუკის დროინდელი „ცამდე აზიდული" უდიდესი გოდოლი (მისი სიმაღლე იყო 90 მეტრი, საძირკვლის სიგრძე ასევე 90 მეტრი) ებრაელებმა ჩათვალეს თავაშვებული ზვიადობის გამოვლენად, რამაც წარმოშვა მითი ღვთით მოვლენილი რისხვის — ენათა აღრევის, ეგრეთ წოდებული „ბაბილონის გოდოლის" შესახებ. სინამდვილეში ეს კოშკები, სხვათა შორის, ხელს უწყობდნენ ვარსკვლავებზე და ზეციურ მოვლენებზე დაკვირვებას. ამ პერიოდში ასტრონომიული მეცნიერება იმდენად განვითარდა, რომ თვით სახელწოდება „ქალდეი", ე. ი. „ბაბილონელი ქურუმი", ბერძნებში „ასტროლოგისა" და „ვარსკვლავთმრიცხველის" სინონიმი გახდა. ბორშიპას ტაძრის კოშკის ნანგრევებზე ახლაც ჩანს ცაურ სხეულთა ფერების კვალი: ოქროსი—მზისა, ვერცხლის—მთვარისა, შავი ფერი — სატურნისა, მუქი წითელი — იუპიტერისა,

ღია წითელი—მარსისა, ყვითელი—ვენერასი, ლურჯი—მერკურისა.

ამგვარი გოდოლები ხიბლავდა რელიგიური განვითარების ერთნაირ სტადიაზე მყოფი უძველესი ხალხების წარმოდგენას აზიაშიც, აფრიკაშიც, ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაშიც. გამორიცხული არ არის, რომ პირველ ხანებში ამის მიზეზი იყო რამდენადმე გულუბრყვილო მისწრაფება—აეგოთ ხელოვნური მთები, „მაღალი ადგილების კულტის" გასაგრძელებლად იქ, სადაც დანალექი წარმოშობის უკიდეგანო ვაკეში არ მოიპოვებოდა არც ერთი ამაღლებული ადგილი. სავსებით შესაძლებელია, რომ ასეთი გოდოლების პირველი მშენებლები მესოპოტამიაში იყვნენ შუმერები, რომლებიც, როგორც ეტყობა, კავკასიის მთიანი რაიონებიდან მოვიდნენ და თან მოიტანეს მთის მწვერვალებზე ღმერთების თაყვანისცემის ჩვეულება.

მაგრამ ადამიანებმა ძალიან ადრე დაიწყეს ამ გადმონაშთის ფანტასტიკური განმარტება, რასაც მოწმობს მითი ბაბილონური გოდოლის შესახებ.

ებრაელი ხალხის ფართო ფენები ბაბილონელთა ლიტერატურასა და რელიგიას ეცნობიან ჩვ. წ. აღ-მდე 596 წლიდან, ე. ი. ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის დაპყრობისა და პალესტინიდან მესოპოტამიაში სამხედრო ტყვეების უდიდესი მასების გადაყვანის შემდეგ. მონობაში ჩავარდნილი ებრაელები იძულებული იყვნენ ემუშავათ ბაბილონის აღდგენაზე. გასაკვირი არ არის, რომ ისინი ფოლკლორში გამოხატავდნენ თავის უკმაყოფილებას და სიძულვილს ახალი მეპატრონეებისადმი, რომლებსაც ისინი ორმაგად ვერ იტანდნენ, როგორც ბატონებსა და როგორც უცხოელ დამპყრობლებს.

აი როგორ აღწერს ჰეროდოტე ერთ-ერთ მთავარ გოდოლს, რომელიც წარწერაში მოხსენიებულია ეტემენანკის სახელწოდებით:

„ტაძრის შუაგულში დგას მასიური გოდოლი, რომელსაც სიგრძე და სიგანე ერთი სტადია აქვს; ამ გოდოლზე დგას მეორე, მეორეზე—მესამე და ასე გრძელდება რვამდე. გოდოლზე ასასვლელი გაკეთებულია გარედან, იგი წრედ ერტყმის

მთელ გოდოლს, გოდოლის ასასვლელის შუა გზაზე არის დასასვენებელი ადგილი სკამებით; გოდოლზე ამსვლელები აქ ჯდებიან დასასვენებლად; უკანასკნელ გოდოლზე არის დიდი ტაძარი, ტაძარში კი დგას მშვენიერად მორთული დიდი სარეცელი და მის წინ ოქროს მაგიდა. არავითარი კერპი ტაძარში არ არის. ტაძარში ღამის გათევის უფლება არავის აქვს, ერთი ადგილობრივი მკვიდრი ქალის გარდა, რომელსაც ყველა ქალისაგან ირჩევს ღვთაება. ასე მოგვითხრობენ ქალდეველები, ამ ღვთაების ქურუმები.

ისინი კიდევ ამბობენ, რაც, თუმცა მე არ მჯერა, თითქოსდა ღვთაება ეწვევა ხოლმე ტაძარს და ისვენებს სარეცელზე; ზუსტად ასევე ხდება ეგვიპტის თებეში, ეგვიპტელების გადმოცემით; იქაც, თითქოს, წვება ქალი თებეს ზევსის ტაძარში, ამავე დროს არც ბაბილონელ და არც თებელ ქალს საერთოდ არა აქვს არავითარი კავშირი მამაკაცთან".[1]

ამ აღწერილობის მიხედვით, ბაბილონის ეტემენანკის გოდოლში ხდებოდა „მისტიკური ღამეების" ზოგიერთი წესჩვეულების აღსრულება. ეს იყო ძირითადი ნიშანი იმ კულტისა, რომელიც მოწოდებული იყო სტიმული მიეცა მიწის ნაყოფიერებისათვის.

7. მარდუკის პატივსაცემი საადგილმამო მისტერიები

პირველ ხანებში მისტიკური წესჩვეულება სიმბოლო იყო ქალღმერთისა და მისი მეუღლის შეხვედრისა, რომლებსაც ქურუმი ქალი და სატაძრო მონა განასახიერებდნენ. მოგვიანებით ბაბილონის ღმერთი მარდუკი, რომელსაც მაღალი თანამდებობის ქურუმი ასახიერებდა, თვითონ ირჩევდა თავის მეუღლეს კულტისადმი მიძღვნილ მხევალთაგან, და გოდოლის ყველაზე მაღალ დარბაზში იმართებოდა მოსანანიებელი ქორწინება. ამ უძველესი ბაბილონური მისტერიების წესჩვეულება ითვალისწინებდა სარიტუალო სქესობრივი კავშირის შემდეგ მონის ან მხევლის მოკვლას.

[1] Геродот. История, в девяти книгах. Пер. Ф. Г. Мищенко. М., 1888, т. I, გვ. 181—182.

შემდგომში წარმოდგენას ნაყოფიერებაზე, რაც საფუძვლად უდევს ამ მისტიკურ ქორწინებას, შეუერთდა წარმოდგენა მცენარეთა განახლებისა და წლის დროთა ცვლის შესახებ. მიწის ნაყოფთა მსგავსად, რომლებიც, თითქოსდა, ზამთარში კვდებოდნენ და კვლავ ცოცხლდებოდნენ გაზაფხულზე, ბუნების ძლიერების სიმბოლო ღვთაებრივი წყვილი ასევე სწირავდა თავს, რათა გაენაყოფიერებინა მიწა და კვლავ დაბრუნებოდა განახლებულ ცხოვრებას. ამიტომ არ უნდა გაგვაკვირვოს იმ გარემოებამ, რომ ამგვარ კულტებში მიღებული იყო ადამიანთა მსხვერპლად შეწირვა; ამ რიტუალის მსხვერპლნი პირველ რიგში ხდებოდნენ სატაძრო მონები; მხოლოდ მოგვიანებით დაწესდა ცხოველთა სარიტუალო შეწირვა (ღმერთებისადმი მიძღვნილი ხარების, თხებისა და კრავების სახით).

მარდუკის მისტერიებს ზეიმობდნენ ჯერ კიდევ კლასიკურ ეპოქაში, რათა განსაკუთრებულად საზეიმო ხასიათი მიეცათ საახალწლო დღესასწაულისათვის, რომელიც გაზაფხულის დასაწყისს ემთხვეოდა. ეს მისტერიები იმართებოდა ნისანის პირველ თორმეტ დღეს, რომელსაც შეესაბამება ჩვენი მარტი და ებრაული ნისანი — პასექის დღესასწაულის თვე.

ჩვენთვის ახლა ცნობილია იმ პასქალური დღესასწაულის მთელი წესჩვეულება, რომელიც აკიტუდ იწოდებოდა, იწყებოდა დღესასწაულის მეორე დღეს და მეხუთე დღეს მთავრდებოდა. მაგრამ სხვადასხვა ისტორიული წყაროებით დღესასწაულის სხვა დღეებიც კარგად არის ჩვენთვის ცნობილი. ამ დღეობათა კულმინაციურ წერტილად მთელი დამაჯერებლობით შეგვიძლია ჩავთვალოთ ღმერთის სიკვდილისა და აღდგომის მისტერია, რომლის დროსაც ბაბილონში, ისევე, როგორც ქრისტიანული აღდგომის ვნების კვირაზე, ყოველწლიურად თავს იყრიდა მესოპოტამიის მოსახლეობის ყველა სოციალური ფენისა და რელიგიის უამრავი წარმომადგენელი.

მარდუკის მთავარი ტაძრიდან პროცესია მიემართებოდა ქალაქის ბოლოს მდებარე ტაძრისაკენ. ოთხი დღის ლოცვისა და გამწმენდი მსხვერპლშეწირვების შემდეგ ჰკლავდნენ ცხვარს და ადამიანთა ყველა ცოდვითა და უწმინდურებით დამძიმებულ მის გამოშიგნულ და გატყავებულ ხორცს მდინარეში აგ-

დებდნენ, რათა დინებას წაეღო იგი და ბოროტებისაგან განეწმინდა ქალაქი. მეექვსე დღეს იწყებოდა ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ფაზა წესჩვეულებისა — ბელ-მარდუკის ქანდაკების წინაშე თვითმპყრობელის დამცირებისა და შემდეგ „მეფე-მონის“ მსხვერპლად შეწირვის ცერემონიალი. სოციალური კავშირები, რომლებიც თავს იჩენდნენ მონათმფლობელური საზოგადოების უმაღლესი განვითარების პერიოდის რელიგიებში, და შემდეგაც სჭარბობდნენ ელინისტური და რომაული სამყაროს მისტერიებში, ზემოაღწერილ წესჩვეულებებში ჯერ კიდევ დაჩრდილული არიან სამიწათმოქმედო კულტის გადმონაშთებით. ღმერთის სიკვდილის სარიტუალო მომენტში კლასობრივი ურთიერთობა თითქოს დანგრეულია, მონები ერთი დღით ბატონები ხდებიან. მათ მინიჭებული აქვთ სრული თავისუფლება; ქალაქი შეპყრობილია რაღაც საკარნავალო ზეიმით, როგორც ლუპერვალის დღესასწაულის დროს რომში, რომელსაც ლაციუსის უძველესი ტოტემის მგლის საპატიცემლოდ ზეიმობდნენ და რომელიც შემდგომში ახალი გვაროვნული საზოგადოების მფარველი ღმერთი გახდა. თვითონ მონარქს, რომლის მონაწილეობა ზეიმში საკულტო აუცილებლობას წარმოადგენდა, ერთი დღით სცვლიდა მონა, რომელიც სკიპტრასა და გვირგვინს ატარებდა. მაგრამ ამით როდი ამოიწურება მსგავსება ქრისტიანულ რელიგიასთან. როგორც კი მთავრდებოდა ზეიმი, კლასობრივი ბატონობის რკინის კანონი თავის უფლებებში შედიოდა: „მეფე-მონას“ სასიკვდილოდ სცემდნენ კეტებით და ხეზე ჰკიდებდნენ.

ამ საპასექო დღესასწაულს, რომელსაც ამავე სახით აღნიშნავდნენ ასურეთ-ბაბილონის თითქმის ყველა ქალაქში, პირდაპირ მივყავართ ქრისტიანული სახის ხსნის კულტებთან.

საბერძნეთის ორი რელიგია

Мცდახუთი საუკუნე გავიდა საბერძნეთის ლიტერატურის აყვავების დროიდან, მაგრამ ჰომეროსის, ჰესიოდეს, ესქილესა და ჰეროდოტეს ნაწარმოებებში ასახული ღვთაებანი დღემდე შედიან ჩვენს კულტურულ მემკვიდრეობაში, ამასთან უფრო მეტად, ვიდრე ადრინდელი ქრისტიანული საზოგადოების ლეგენდარული სახეები.

საშუალო სკოლის მოსწავლეს იტალიაში ადვილად აპატიებენ, თუ მან არ იცის ქრისტესა და მისი მიმდევრების ისტორია, მაგრამ თუკი ის ურევს ზევსისა და პლუტონის, ზღვის ღმერთის პოსეიდონისა და ომის ღმერთის არესის საომარ და სასიყვარულო თავგადასავალთა პერიპეტიებს — ამას უკვე აღარ აპატიებენ. ბერძნული ღმერთების რთული ოჯახური ურთიერთობანი, მათი მეგობრობა და მეტოქეობა, როგორც ეტყობა, უფრო მეტად აინტერესებს ჩვენს მმართველ წრეებს, ვიდრე ცხოვრება და რჯულთმოძღვრება ახალი აღთქმის პერსონაჟებისა, რომლებიც შემდგომში ღვთაებრივ ან ღმერთის მსგავს არსებებად იქცნენ.

მრავალ საინტერესო დაკვირვებას შეიძლებოდა დაედასტურებინა იდეოლოგიის ჩამორჩენა საზოგადოების ისტორიულ-ეკონომიური განვითარებისაგან.

ელინური ხელოვნების არაჩვეულებრივი პოეტურობა, ან-

ტიკურ ოსტატთა ქანდაკებების სილამაზე ჯერ კიდევ ვერ ხსნიან იდეოლოგიის გადმონაშთურ ხასიათს. იდეოლოგიის ლიტერატურული და მხატვრული მხარეები ყოველთვის მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ მისი ძველი ფორმების შენარჩუნებაში, განსაკუთრებით იტალიაში; ეს ახლაც იგრძნობა. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია შემოვიფარგლოთ მხოლოდ ამ ფაქტით, რითაც სავსებით კმაყოფილდება ხალხური ტრადიციების ბევრი მკვლევარი.

საქმე ისაა, რომ ბერძნულ ოლიმპოზე ღვთაებები ჰყვაოდნენ მონათმფლობელური საზოგადოების უმაღლესი განვითარების პერიოდში, როცა უკიდურესად გამწვავდა წინააღმდეგობა რაიმე თავისუფლებასა და პირად ღირსებას მოკლებული საზოგადოების დიდ უმრავლესობასა და პრივილეგიურ უმცირესობას შორის. ჰომეროსისა და ფიდიასის ღმერთები წარმოშვა ანტიკური სამყაროს გაბატონებული კლასების რელიგიურმა შემოქმედებამ, და ამიტომ ისინი შეუგნებლად შეითვისეს ფეოდალური ეპოქისა და თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების გაბატონებულმა კლასებმა.

1. ოლიმპოს ღმერთების ქრისტიანიზაცია

მიაქციეთ ყურადღება: აქ ლაპარაკი იქნება არა მხოლოდ იმ ნელ პროცესზე, რომელმაც გამოიწვია ძველი წარმართული დღესასწაულების ქრისტიანულ ყაიდაზე გარდაქმნა ანდა წინანდელი ბერძნულ-რომაული, კელტური, ტევტონური, სლავური, ბუდისტური და თვით სომხური[1] ღვთაებების შეცვლა წმინდანებით. საქმე ეს როდია.

1910 წელს ფოლკლორის პრობლემების ერთ-ერთმა მკვლევარმა — დ. კ. ლოუსონმა გამოაქვეყნა თანამედროვე საბერძნეთის რელიგიურ ტრადიციებში ბერძნული მითოლოგიის

---

[1] როცა სომხეთის მეფემ ტირიდატ III-ემ 303 წელს ქრისტიანობა მიიღო (მაშასადამე, კონსტანტინეს ედიქტამდე ათი წლით ადრე), ძველი ღმერთი ვანატური იქცა წმიდა იოანე ნათლისმცემლად, ხოლო სომხური ვენერა — ანაიტი — ღვთისმშობელ მარიამად.

გადმონაშთური მოვლენების მთელი სერიის კარგად დოკუ-
მენტირებული და დასაბუთებული აღწერა. უძველეს დემეტ-
რეს, ღმერთის დიდ დედას ხალხურ კულტში, ამჟამად თაყვანს
სცემენ როგორც წმინდა დემეტრეს, ამასთან მისი სახელის
უკან არ იმალება ისტორიული პირი. ქვესკნელის მდინარე სტი-
ქსის მებორნე ქარონი გადაიქცა ქიროსად — სიკვდილის ანგე-
ლოზად; მზიური ღვთაება ჰელიოსი გარდაიქმნება წმინდა ილი-
ად, ლეგენდარულ ბიბლიურ პერსონაჟად, თუმცა თვითონ მი-
სი „ზეცაზე ასვლა" წარმოადგენს ძველი „მზიური მითის"
გადმონაშთს.[1]

ეს მოვლენა არც იტალიაშია იშვიათი და განსაკუთრებულ
ახსნა-განმარტებას არ საჭიროებს. ვნების მომტანი ღმერთების
დაყვანა დემონებამდე და კეთილი ღვთაებებისა — წმინდანე-
ბამდე ან ანგელოზებამდე ყველა რელიგიაში ხდებოდა. საკ-
მარისია გავიხსენოთ, რომ ძველი აღთქმის მოხუცი და მოწყე-
ნილი ბაალ ზევუვი, რომელიც ბუზების ღმერთი იყო ქანაა-
ნელებში, ებრაულ და შემდეგ ქრისტიანულ რელიგიაში ბელ-
ზებელად — ეშმაკების მეთაურად — იქცევა.

შენიშვნა, რომელიც ჩვენ ზემოთ გავაკეთეთ იმაზე, რომ
ძველი საბერძნეთის ღვთაებანი ჩვენს კულტურაში განაგრ-
ძობენ არსებობას, შეეხება რელიგიური იდეოლოგიის მეორე
მხარეს, რომელსაც საერთოდ გვერდს უვლიან მკვლევარნი.

რელიგიურ იდეოლოგიაში ილუზორულად და დამახინჯე-
ბულად აისახება კაცობრიობის განვითარების ძირითადი ეპო-
ქების საზოგადოებრივი კლასების რთული ურთიერთდამოკი-
დებულებანი. მაგრამ ერთხელ წარმოშობილი იდეები დამოუ-
კიდებლად იწყებენ განვითარებას და შეუძლიათ ზემოქმედება
მოახდინონ თვით საზოგადოების სტრუქტურაზე. როცა მო-
ნათმფლობელური ეკონომიკიდან ფეოდალურზე გადასვლის
ეპოქაში გაბატონებული კლასის იდეოლოგია ქრისტიანული
რელიგიური მითოლოგიით შეიმოსა, ღმერთების ძველი სამ-
ყარო მთლიანად როდი იქნა დამსხვრეული, როგორც ეს სა-

---

[1] A. C. Bouquet. Comparative religion („Pelican Books", n. A 69), III ed., 1969, ეგ. 26.

ზოგადოების ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობილებას დაემართა. ბერძნული და რომაული ღვთაებანი კვლავ ცოცხლობდნენ პოეზიაში, თქმულებებში, ხელოვნებაში. მართალია, დასაწყისში მათ დევნიდნენ, მაგრამ აღორძინების ეპოქაში კვლავ აღდგნენ და სავაჭრო და სამრეწველო ბურჟუაზიის წარმომადგენელთა ინტელექტუალური სამყაროს შემადგენელ ნაწილად იქცნენ. ჩვენი დროის მსხვილ ქრისტიან ფინანსისტს სწამს მხოლოდ კაპიტალის უსამღვდელოესობა, მაგრამ იგი ჯერ კიდევ იფიცებს იუპიტერის სახელს, ხოლო ოლიმპოს რიღაცით ამსგავსებს გაიდიალებულ კაპოკოტს.[1]

საეკლესიო და ფეოდალურ წრეებში მრავალი საუკუნის განმავლობაში ლათინური და ბერძნული მიაჩნდათ ღმერთთან სალაპარაკო ერთადერთ ენებად. ვერ ვიტყვით, რომ ეს ტენდენცია სავსებით გაცამტვერებული იყოს ჩვენს დროში: იგი ახლაც თავს იჩენს ხოლმე ძველი ენების შესწავლისადმი კლასობრივი მიდგომის სხვადასხვა ფორმით.

ბიზანტიელი და ბულგარელი ბერები, რომლებიც IX საუკუნეში შეუდგნენ „საღვთო წერილის“ სლავურ ენაზე თარგმნას, ხშირად აწყდებოდნენ დაუძლეველ სიძნელეებს. მორავიაში კირილესა და მეთოდეს მოწაფეებს სდევნიდნენ „სამენოვნების ერესისათვის“, ვინაიდან მათ მიაჩნდათ, რომ ღმერთის სამსახური შეიძლება არა მარტო ბერძნულ და ლათინურ ენებზე, არამედ სლავი ხალხების ენებზეც. გვიანი შუასაუკუნეების და ახალი დროის დასაწყისშიც კი ერეტიკულ მოძრაობებს ხშირად ახშობდნენ ცეცხლითა და მახვილით, ქრისტიანული რელიგიის ლიტურგიული ტექსტების „ვულგარულ“, ე. ი. ხალხურ ენებზე თარგმანის ცდებისათვის. იან ჰუსი 1415 წელს ცოცხლად დაწვეს კონსტანცაში იმისათვის, რომ ჯიუტად ცდილობდა ჩეხურ ენაზე ქადაგებას, ხოლო მარტინ ლუთერი, როგორც კონტრრეფორმაციის იდეოლოგები ამტკიცებდნენ, თვით ეშმაკმა წააქეზა, რომ გერმანულ ენაზე ეთარგმნა ბიბლია!

აზრი იმის შესახებ, რომ ღმერთი ლათინურ ენაზე უკეთ

---

[1] იტალიის პრეზიდენტის საზაფხულო რეზიდენცია — რ ე დ.

შეისმენს მორწმუნის ლოცვებს, განსაკუთრებით გავრცელებულია კათოლიკეთა შორის.

არც იმან უნდა გაგვაკვირვოს, რომ საბერძნეთის დიდი ღმერთები, ოლიმპოელები, რომლებიც გამოხატავენ ძველი საზოგადოების მმართველი ფენების ცხოვრებასა და აზრებს, მეტი პოპულარობით სარგებლობენ თანამედროვე კულტურული ბურჟუაზიული საზოგადოების წრეებში, ვიდრე ელინური კულტურის ყველაზე ბრწყინვალე ეპოქის დამცირებულ და დაჩაგრულ, დამონებულ და განწირულ მასებში. ზევსი, არესი, პლუტონი, პოსეიდონი თავიანთი ღვთაებრივი მეუღლეებითა და შეყვარებულებითურთ, თავიანთი პაჟებითა და კარისკაცებითურთ მებატონეთა ღმერთები იყვნენ. მხოლოდ მათთვის იყო განკუთვნილი უჭკნობი სილამაზისა და უკვდავების მომნიჭებელი ღმერთების ულუფა — ამბროზია, როგორც მას ჰომეროსი უწოდებდა, და ამრიტა, როგორც იგი უძველეს ვედურ მითებში იწოდებოდა. შესაწირავები, რომლებიც ტაძრებში ღმერთებისათვის მიჰქონდათ, იყო ტაბუ; მათ მიიჩნევდნენ ანათემად; საკმარისი იყო მათ შეხებოდით, რომ ღმერთების რისხვა გამოგეწვიათ.[1] მათ მდიდრულ სეფედარბაზებში ხდებოდა სამართლისა და სასჯელის აღსრულება. ათენში აკროპოლის თხემზე მდებარე არესის ტაძარი — ა რ ე ო პ ა გ ი — უმაღლეს ტრიბუნალს დაემსგავსა. მოგვიანებით იგი აგრეთვე ფილოსოფიური აზროვნების ცენტრი გახდა.

ხალხის ჩაგრულ ფენებს ყველა ეს ღმერთი შორეულ და უცხოდ ეჩვენებოდა. და რამდენადაც ადამიანები თავიანთ დაქვემდებარებულ სოციალურ მდგომარეობას შეიგნებდნენ, იმდენად სულ უფრო და უფრო ნაკლებად კმაყოფილდებოდნენ ანტიკური ღმერთებით.

მონათმფლობელური საზოგადოება არც მონოლითურია

---

[1] ბიბლიის ბერძნული თარგმანი (ჩვ. წ. აღ.-მდე 300—200 წ.) სიტყვა ა ნ ე თ ე მ ი თ გადმოსცემს ებრაულ ტერმინს ჰ ე რ ა მ, რაც ტომობრივი ღმერთის იაჰვესადმი შეწირულ საგნებს გამოხატავდა. აქედან მისი მეორეული მნიშვნელობა „შეუხებელი", „შეჩვენებული" და, ბოლოს, „მოკვეთა", რაც ჩვენს დრომდე შემორჩა.

და არც ერთიანი. მისი წევრების სოციალური მდგომარეობა განსაკუთრებით მრავალფეროვანია: გაპარტახებული გლეხიდან გაღარიბებულ ვაჭრამდე, ჯარისკაციდან ავანტიურისტამდე და არამზადამდე, ნახევრად თავისუფალი ხელოსნიდან თავისუფალ მოქალაქემდე, რომელიც თავის მხრივ ოცნებობს მონათა მფლობელი გახდეს. და მაინც ყველა ამ კატეგორიის ადამიანს რაღაც აერთიანებდა ერთ რელიგიაში. ამ გამაერთიანებელ ელემენტად იქცა მონათა მასების იდეოლოგია.

2. სოციალური დუალიზმი—რელიგიური დუალიზმი

დავიწყოთ რაფაელე პეტაცონის კაპიტალური შრომით ბერძნული რელიგიის შესახებ.[1] პროფესორი პეტაცონი, რომელიც 1924 წლიდან ასწავლიდა რომის უნივერსიტეტში რელიგიის ისტორიას, ერთ-ერთი დიდი სპეციალისტია თავის დარგში, და რაც მთავარია, მის წიგნში ძვირფასი ცნობებია შეგროვილი.

იშვიათი გამონაკლისის გარდა, იტალიაში რელიგიის საკითხების კვლევის დონე საშინლად დაბალია იმასთან შედარებით, რაც კეთდება ამ დარგში საფრანგეთში, ინგლისში, გერმანიაში და შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირზე, რომ არაფერი ვთქვათ. ეკლესიას იტალიაში აქვს თითქმის აბსოლუტური მონოპოლია რელიგიისა და ქრისტიანობის ისტორიის სწავლებისა იმ მცირეოდენ სახელმწიფო უნივერსიტეტებშიც კი, სადაც ეს საგნები ჯერ კიდევ არ არის გაუქმებული.

როცა საქმე რელიგიას ეხება, ის პერიოდული გამოცემებიც კი, რომლებიც თავიანთი მიუდგომლობით კეკლუცობენ, მხოლოდ საეკლესიო ავტორებს მიმართავენ, როცა კი რელიგიაზე ჩამოვარდება ლაპარაკი. თითქოსდა ცოტა იყვნენ აშკარად კლერიკალური უნივერსიტეტების კათედრები, ჟურნალები და გაზეთები. ამ მხრივ საყურადღებოა რუბრიკა „იტალია ეკითხება" მილანის ერთ-ერთ უდიდეს ილუსტრირებულ ჟურ-

[1] Raffaele Pettazzoni. La religione nella Grecia antica fino ad Alessandro („Collezione di studi religiosi, etnologici e psicologici", n. 21). Torino, Einaudi. 1953.

ნალში. იეზუიტები და ანაფორიანი ან სამოქალაქო ტანსაცმლიანი პატივცემული თეოლოგები ბიბლიის პირველი თავების თანახმად კომიკურად მსჯელობენ იმაზე, თუ ადამიანის სხეულის რომელ ნაწილში იმალება სული, ადამის შვილების ქორწინების ან „უმზეო სინათლის“ შესაძლებლობათა შესახებ. აი ნიმუში განსაცვიფრებელი სისულელისა![1]

არა, იტალია ამას როდი კითხულობს.

კრიტიკულად მოაზროვნე და ცნობისმოყვარე იტალიელ მუშებს, გლეხებსა და ინტელიგენტებს სურთ, რომ რელიგიის კვლევა ავიდეს მეცნიერების მიერ უკანასკნელი ასი წლის მანძილზე მიღწეულ დონემდე და საბოლოოდ გაწყვიტოს კავშირი თეოლოგიასა და იდეალიზმთან. ამ მიმართულებით გარკვეულ მიღწევას წარმოადგენს ზემოხსენებულ პეტაცონის გამოკვლევები; იტალიაში მათ განსაკუთრებული ადგილი უჭირავთ მოდერნისტული სკოლის ხანმოკლე აყვავების დროიდან.

პეტაცონი თავის ძველი საბერძნეთის რელიგიის ისტორიაში მხოლოდ მიუთითებს რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ურთიერთობაზე, როგორც კავშირზე „რელიგიასა და საზოგადოების ეკონომიურ სტრუქტურას შორის“ (გვ. 17), მაგრამ ჯერ კიდევ არ ხდის ამ აზრს მთელი თავისი კვლევის გამოსავალ პუნქტად, თუმცა მის შრომაში უკვე იგრძნობა მისწრაფება სწორი გზით წარმართოს კვლევა-ძიება და კლასობრივი პოზიციებიდან გააშუქოს ძველი საბერძნეთის საზოგადოების რელიგიური განვითარება, რომელსაც ახასიათებს „ოლიმპიელი“ ღმერთებისა და „სახალხო“ ღმერთების დუალიზმი.

ამასთან დაკავშირებით უნდა აღვნიშნოთ, რომ, როცა ბერძნული სამყაროს ან სხვა ცივილიზაციების დუალიზმზე ელაპარაკობთ, ჩვენ მხედველობაში გვაქვს არა მარტო ძირითადი წინააღმდეგობა — წინააღმდეგობა მონებსა და მონათმფლობელებს შორის. ის, რასაკვირველია, წარმოადგენს განმსაზღვრელ ფაქტორს, რომელიც დაკავშირებულია კაცობრიობის ისტორიის მთელი მეორე ფაზის წარმოების წესთან. მაგრამ ჩვენ

[1] იხ., მაგ., „ეპოქა“, 1951 წ., 18 ივლისი.

გავაუბრალოებდით საკითხს, თუ არ აღვნიშნავდით, რომ ამ ფუძემდებლური წინააღმდეგობის შიგნით იხლართება მრავალი სხვა წინააღმდეგობრივი მოვლენა, რომლებმაც გარკვეული გავლენა მოახდინეს ადამიანის ცხოვრებასა და აზროვნებაზე.

მონობის ეპოქის ქრონოლოგიური მიჯნები იცვლება ერებისა და კონტინენტების მიხედვით. როცა ჩვ. წ. აღ.-მდე IV ს. და ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნეებში ხმელთაშუაზღვისპირეთში მონათმფლობელურმა წყობილებამ უმაღლეს განვითარებას მიაღწია, ინდოეთში, მესოპოტამიაში, ეგვიპტესა და სპარსეთში უკვე დაიწყო მისი დაცემა. ამ პერიოდში ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში მონათმფლობელობა ჩასახვის პროცესში იყო, ხოლო აფრიკისა და აზიის ძირითადი ნაწილი ჯერ კიდევ არ იყო გამოსული ტიპიური პირველყოფილი გვაროვნული წყობილების ჩარჩოებიდან. ამავე პერიოდში ჩინეთში უკვე მთავრდებოდა და დამთავრდა კიდეც ფეოდალურ ფორმაციაზე გადასვლა.[1] უთანაბრო განვითარების კანონი სწორია არა მარტო კაპიტალიზმისათვის, არამედ აგრეთვე ადრეული საზოგადოებრივი კლასობრივი სტრუქტურებისთვისაც.

ისტორიის ჭეშმარიტად მეცნიერულმა პერიოდიზაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს აგრეთვე სხვა ფაქტორებიც. მესოპოტამიაში, ნილოსის ველზე, ჩინეთში, ინდოეთში მონათმფლობელობა ჩაისახა ქვისა და ბრინჯაოს ეპოქების პრიმიტიული შრომის იარაღების ბაზაზე, რომლებიც ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფდნენ შრომის საკმაო ნაყოფიერებას, იმ დროს, როცა შრომის ნაყოფიერების არაჩვეულებრივი აყვავება კლასიკური პერიოდის საბერძნეთში, ელინისტურ სა-

---

[1] ჩინელი მეცნიერი გო მო-ჟო მონობის დასასრულს თავის ქვეყანაში მიაკუთვნებს ჩვ. წ. აღ.-მდე V—IV საუკუნეებს. კონფუცის მოძღვრება უთუოდ წარმოადგენს იმ ფორმაციისაგან ძირეულად განსხვავებულ იდეოლოგიურ გამოხატულებას საზოგადოებისა, რომელმაც დასავლეთში წარმოშვა ქრისტიანული იდეოლოგია. მეორე მხრივ, იგი გადაკრიფ უარყოფს აზრს „მარადიული ფეოდალიზმის" შესახებ ჩინეთში და პირველყოფილ თემური წყობილებიდან უშუალოდ ფეოდალურ წყობაზე გადასვლას. იხ. მისი «Китайское рабовладельческое общество».

ხელმწიფოებში, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენდნენ, და, ბოლოს, რომში, მნიშვნელოვნად აიხსნება რკინის იარაღების წარმოშობით.

საბერძნეთში მონობის არსებობის პირველი ზუსტი ცნობები მიეკუთვნება ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეორე ათასწლეულის ბოლო პერიოდს. უახლესი გამოკვლევები საბოლოოდ გაშიფრული პილოსისა და კნოსის „ხაზოვანი დამწერლობა B"-სი გვიჩვენებს, რომ ტერმინი „დოულოსი"[1] („მონა") კრეტა-მიკენის საზოგადოებაში ხმარებაში იყო ჩვ. წ. აღ.-მდე 1400 წელზე ადრე. თუმცა ჯერჯერობით ლაპარაკია ნახევრად საშინაო პატრიარქალური ტიპის მონობაზე, ისევე როგორც რომის ისტორიის პირველ საუკუნეებში, და არა იურიდიულად განმტკიცებულ მდგომარეობაზე. იმდროინდელ სოციალურ პრაქტიკას უფრო მეტად შეესაბამება ტერმინი „იოკეტეს" — „მსახური", ვიდრე დოულოს. ტერმინი „იოკეტეს" შეესატყვისება ლათინურ „ფამულს". ასე უწოდებდნენ მსახურს, რომელიც მეპატრონესთან ოჯახში ცხოვრობდა. იოკეტესები ჯერ კიდევ არ წარმოადგენდნენ საზოგადოების მწარმოებლურ ძალას.

ჩინეთში მონათმფლობელობის უძველესი ფორმა ასევე საშინაო მონობა იყო; მონებად უმეტეს წილად ტყვე ქალებს აქცევდნენ. ერთ-ერთი ყველაზე ადრინდელი ჩინური იდეოგრამა, რომელიც აღნიშნავდა მონას, შედგენილი იყო ნიშნებით „ხელი და ქალი" („მოტაცებული ქალი") და „ქალი და დამცირება" („დამონებული ქალი"). შესაძლებელია, უძველესი რომაული გადმოცემა ამორძალების მოტაცების შესახებ

---

[1] მიკენურ ფირფიტებზე ამ სიტყვის ფორმაა „დოერო". მაგრამ ეს შედეგია ბერძნული „დოულოსის" სქემატური გამოსახულებისა. სემიტური წარმოშობის ალფაბეტი გამოყენებულ იქნა ბერძნულ ენაში მხოლოდ VIII საუკუნეში ჩვ. წ. აღ.-მდე. კრეტა-მიკენური დამწერლობა ამოკითხულ იქნა მ. ვენტრისისა და ჯ. ჩედვიკის მიერ. (იხ. M. Ventris, J. Chadwick. Evidence for greek dialect in the Mycenaean Archives, „Journal of Hellenistic Studies". London, 1953, vol. LXXIII, გვ. 84 და შემდეგ).

მონათმფლობელობის იმავე ეტაპის გამოძახილი იყო, რომელსაც კონფუციმდელ ჩინეთში ვხედავთ.

ყოველ შემთხვევაში, ერთი უეჭველია: როცა მომწიფდა პირობები ნამდვილი მონობის ფორმირებისათვის, რომაელები იძულებულნი იყვნენ ესესხებინათ სხვა ხალხებისაგან ტერმინი „მონა“, რომელიც მათ არ ჰქონდათ. იგი მათ ეტრუსკული ენიდან აიღეს. ეს სიტყვა — „სერვუს“ (servus) იგივე მნიშვნელობისაა, რაც ბერძნული „დოულოს“.

საბერძნეთში მონობის პატრიარქალური ფორმები გავრცელებული იყო ჰომეროსის დროიდან თვით კლასიკური ეპოქის დასაწყისამდე. „ილიადა“ და „ოდისეა“ მოგვითხრობენ მწყემსთა მეფეებისა და სამხედრო არისტოკრატიის პერიოდის შესახებ, რომელიც ის-ის იყო იწყებდა გარდაქმნას მიწათმოქმედ არისტოკრატიად. ეს ეპოქა წინ უძღოდა გვაროვნული წყობილების წარმოშობას.

მონას იმედი ჰქონდა გამოსყიდვისა, და მას სულაც არ სჭირდებოდა სულიერ, ზებუნებრივ ხსნაზე ოცნება. დრაკონის კანონებში (ჩვ. წ. აღ.-მდე 621 წ.) ისე, როგორც ძველ ეგვიპტურ და ებრაულ კანონმდებლობებში, მონის მკვლელობა ჯერ კიდევ გათანაბრებულია თავისუფალი ადამიანის მკვლელობასთან.

ჩვ. წ. აღ.-მდე V საუკუნის დასაწყისისათვის ათენში, სპარტასა და მცირე აზიაში, სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში ძირითადი იყო წინააღმდეგობანი მდიდრებსა და ღარიბებს შორის და არა თავისუფლებსა და მონებს შორის, ე. ი. წინააღმდეგობანი ევპატრიდებსა (პატრიციებსა) და ქალაქისა და სოფლის მშრომელებს შორის, მიწათმოქმედებსა, ხელოსნებსა, ვაჭრებსა და ურიცხვ წვრილ მწარმოებელს შორის, რომლებიც ყოველწლიურად ღატაკდებოდნენ და მდიდრების ბრჭყალებში ვარდებოდნენ. მთელი ეს პერიოდი ხასიათდება შეტაკებებით ღარიბებსა და მმართველ ფენებს შორის, მსგავსად იმ ხანგრძლივი შუღლისა, რასაც ადგილი ჰქონდა რომში პატრიციებსა და პლებეებს შორის. სავსებით ბუნებრივია, რომ ღარიბების ღვთაებებიც განსხვავდებოდნენ მებატონეთა ღმერთებისაგან.

დამახასიათებელია, მაგალითად, ტერმინ „დემიურგის“ განვითარება, რომელიც ბერძნულში არათავისუფალის, მონისაგან განსხვავებით ნიშნავდა მხოლოდ და მხოლოდ „ხელოსანს“, „მუშას“, თავისუფალ მშრომელს. ძალიან მალე ამ სიტყვამ დაბალ ფენებში მიიღო „სამყაროს ოსტატის“, ღმერთის — სამყაროს შემქმნელის მნიშვნელობა. მეორე მხრივ, პლატონი დიალოგ „ტიმეიში“ ამ სიტყვას დამამცირებელი მნიშვნელობის ელფერს აძლევდა. ნეოპლატონიზმის და გნოსტიციზმის ფილოსოფიაში დემიურგი გვევლინება უმდაბლეს ღვთაებად, რომელმაც შექმნა მატერიალური სამყარო და რომელიც შთაგონებული იყო მანამდე არსებული განზრახვით, „იდეით“, ისევე როგორც იქცევა ყოველი ხელოსანი. აქედან ერთი ნაბიჯია მის მავნე არსებად გარდაქმნამდე, რომელიც დამნაშავეა ქვეყნის მწუხარებასა და უსამართლობაში. ადრინდელი ქრისტიანობის ზოგიერთი მიმდინარეობა დემიურგს აიგივებდა იაჰვესთან, ძველი აღთქმის ბოროტ ღმერთთან, რომელიც კეთილ ღმერთს, ქრისტეს უპირისპირდება. ასე მთავრდება ეს პროცესი. შრომის პრესტიჟის დაცემას მოჰყვება ღვთაების დამცირება.

საბერძნეთში წარმოების მონათმფლობელური წესის განვითარებაში ჰეშმარიტი თვისებრივი ნახტომი მოხდა მხოლოდ სოლონისა და კლისთენეს კანონმდებლობათა შემდეგ (ჩვ. წ. აღ.-მდე 592—508 წლებს შორის). ამ პერიოდში საზოგადოების დაბალი ფენების გაღატაკება უკიდურესობამდე მიდის. სწორედ ამ დროს იწყება მონათა რიცხვის ზრდა მამულებსა და სახელოსნოებში, სოფლებსა და ქალაქებში, სანამ წინააღმდეგობა ორ ძირითად კლასს შორის — მონებსა და მონათმფლობელებს შორის მთავარ წინააღმდეგობად არ იქცა, სანამ მან არ დაჩრდილა ყველა დანარჩენი წინააღმდეგობა და არ გადმოინთხა მონათა აჯანყებებში, რომლებიც ქრისტიანულ ერამდე III საუკუნეში დაიწყო.

წარმოების მონათმფლობელური წესის გაბატონებამ გამოიწვია თავისუფალ ხელოსანთა, მაღაროელთა და მიწათმოქმედთა რიგების შემცირება; ასეთ პირობებში თანდათან იზრდებოდა ზიზღი ფიზიკური შრომისადმი.

ჯერ კიდევ პლუტარქე აღნიშნავდა, რომ სოლონის დროს, რომელიც „ხელოსნობისა და ხელოვნების მფარველი“ იყო, შრომა სასჯელად არ ითვლებოდა და არც ხელოსნობა ნიშნავდა დაბალი კლასის წარმომადგენლობას.[1] მაგრამ უკვე ვრცელდება წარმოდგენა ფიზიკურად მშრომელი ადამიანის სიმდაბლესა და პრიმიტიულობაზე, რომელსაც არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეს ცხოვრების ინტელექტუალურ ფორმამდე ამაღლებისა. პლატონი სოფლელებსა და ვაჭრებს ადარებს „სტომაქს“, რომელსაც აქვს მხოლოდ საჭმლის მონელებისა და სხვა ქვენა ფუნქციების უნარი. პლატონის მიხედვით ყველა ისინი შეადგენდნენ რკინის წოდებას, რომელიც ემორჩილება ოქროს (ფილოსოფოსები, სახელმწიფოს ბელადები) და ვერცხლის (მეომრები და ხალხის დამცველები) წოდებას. დიალოგებში „კანონები“ და „სახელმწიფო“ პლატონი დაბალ წოდებას მთლიანად ართმევს პოლიტიკურ უფლებებს.[2] არისტოტელეს მიხედვით, „წმინდა მეცნიერება“ შესაძლებელია აღმოცენდეს მხოლოდ მაშინ, როცა ადამიანი სრულიად განთავისუფლებულია ყოველგვარი პრაქტიკული საქმიანობისა და საზრუნავისაგან.[3] რაც შეეხება მონებს, რომლებსაც ასე საჭიროებდნენ ტექნიკური დარგები, არისტოტელე მათ განიხილავდა როგორც გასულიერებულ იარაღს.[4]

ხელოსანი ადამიანისა და მოაზროვნე ადამიანის ურთიერთდაპირისპირებას, რაც დაკანონდა გონებრივი და ფიზიკური შრომის წინააღმდეგობით და რამაც ყველაფერს, თვით ჩვენ-

---

[1] Rodolfo Mondolfo. Lavoro manuale e lavoro intellettuale dali'antichitá al Rinascimento; in „Critica Sociale“. Milano, 1950, გვ. 10. იხ. აგრეთვე B. Farrington. Head and Hand in ancient Greece. London, 1947.

[2] იხ. აგრეთვე დიალოგი „გორგია“. სამი კლასი (ოქროსი, ვერცხლისა და რკინის) შეესაბამება პლატონის მიერ ჩამოყალიბებულ სულის იერარქიის სამ მხარეს: გონიერებას, ემოციალობას, ნებელობას. ამ ტრიქოტომიამ შემდგომში ძლიერი გავლენა იქონია ადრინდელი ქრისტიანობის იდეოლოგიაზე და კერძოდ პავლეს მოძღვრებაზე სულისა და სხეულის შესახებ.

[3] იხ. მეტაფიზიკა I, 2; Никомахова Этика, X, 7.

[4] Аристотель, Политика, II.

სკოლის[1] ორგანიზაციასაც კი დაამჩნია თავისი კვალი, გარკვეული კლასობრივი ხასიათი აქვს და არ გაქრება, ვიდრე არ მოისპობა ყოველგვარი დაყოფა კლასებად, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში.

ჩვ. წ. აღ.-მდე V საუკუნეში ათენში ყოველ სრულწლოვან მოქალაქეზე მოდიოდა 18 მონა და ორზე მეტი ხიზანი. 90 ათას თავისუფალ ადამიანზე, ქალებისა და ბავშვების ჩათვლით, მოდიოდა 365 ათასი მონა და 45 ათასი აზატი და უფლებაჩამორთმეული უცხოელი — მეტეკები.[2] ერთი საუკუნის შემდეგ, ჩვ. წ. აღ.-მდე 332 წელს, აღწერამ გვიჩვენა მხოლოდ ოდნავ მეტი — 20 ათასი თავისუფალი (აქედან 9 ათასი მდიდარი, რომელთაც 2 ათასი ანდა მეტი დრაჰმა ჰქონდათ და 12 ათასი ნაკლებად შეძლებული). მთელ დანარჩენ მოსახლეობას, თითქმის ნახევარ მილიონს შეადგენდნენ მონები და დაბეჩავებული მშრომელები. მონებისა და ხიზანთა პროცენტი კიდევ უფრო იზრდება ელინისტურ ეპოქაში და აღწევს უდიდეს ციფრს ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნესა და ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნეს შორის, როცა, უკანასკნელ სარწმუნო გამოანგარიშებათა[3] თანახმად, მთელი რომის იმპერიის 60—70 მილიონი მოსახლეობიდან ჭეშმარიტად თავისუფლად ითვლებოდა 2 მილიონი კაცი, ე. ი. 3 პროცენტი.

მაშასადამე, არ უნდა გაგვაკვირვოს დიონ ქრიზოსტომის ნამდვილმა გოდებამ, რომელიც ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნის დასაწყისში წერდა: „რატომ და რისთვის იბადებიან ერთნი მონებად, ხოლო მეორენი კი თავისუფლებად?“ პრივილეგირებულთა პასუხი საკმაოდ გაბედულად ისმოდა: „როგორც ბოლქვი ვერ ამოიყრის ვარდს, ისე მონა დედა ვერ შობს თავისუფალ ადამიანს“ (თეოგნიდე მეგარელი).

---

[1] სკოლების დაყოფა კლასიკურად და ტექნიკურად გაბატონებულია იტალიაში XIX საუკუნის ბოლოდან (იხ. Dina Bertone Jovine. La scuola italiana dal 1870 ai giorni nostri. Roma, Editori Riuniti, 1958.

[2] იხ. ფ. ენგელსი. ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა, 1953, გვ. 163.

[3] S. W. Baron. A social and religious history of the Jews. New York, Columbia University Press, 1952, vol. I, chap. VI, note 7.

ასეთია ფაქტობრივი მონაცემები; აქედან უნდა გამოვდიოდეთ, როცა ვცდილობთ ავხსნათ ორი მიმართულება, რომლებიც წითელ ზოლად გასდევს ძველი საბერძნეთის კულტების მთელს ისტორიას. უნდა აღინიშნოს, რომ საბერძნეთის რელიგიურ დუალიზმს მეცნიერთა უმეტესობა ხსნის იმით, რომ ელინურ ნიადაგზე მოხდა ორი სხვადასხვა, ხმელთაშუაზღვისპირეთისა და მისი შემცველი ინდოევროპული, ცივილიზაციის (რელიგიების) შერწყმა. მაგრამ ეთნიკურ ელემენტს, რომელიც დაკავშირებულია შემოსევებთან და ხალხთა გადასახლებებთან, მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს და სოციალურ დუალიზმს ემორჩილება.

თვით ინდოევროპული საზოგადოების წიაღში — თუ ამგვარ ტერმინს რაიმე აზრი აქვს — შეიმჩნევა ორი ტიპის რელიგია: მებატონეთა რელიგია და ჩაგრულთა რელიგია. ჯერ სავსებით ნათელი არ არის, თუ როგორი იყო მოსულ ხალხთა ცხოვრების ყაიდა იმ მომენტში, როცა ისინი საბერძნეთში შემოიჭრნენ, და ეს გარემოება ხელს უშლის ისტორიკოსს ახსნას ის კლასობრივი დიფერენციაცია, რომელმაც უკვე ჰომეროსის პოეზიაში ჰპოვა თავისი ასახვა.

8. ცხოველები ბერძნულ მითოლოგიაში

იდეათა „ნისლოვან“ სფეროში ოდითგანვე დამახინჯებულად აისახებოდა ხოლმე ადამიანთა ნამდვილი ურთიერთობა, მათი იმედები და ოცნება. ყოველთვის აღვილი როდია იმ პროცესის აღდგენა, რომლის საშუალებითაც ყველა ეს გამოფიტული სახე კვლავ უბრუნდებოდა დედამიწას, თითქოსდა ხელახლად გაცოცხლებულნი მითებისა და გამოცხადების ფორმით.

ვნახოთ, როგორ როლს ასრულებენ ცხოველები ბერძნულ მითოლოგიაში, რომლებიც ამა თუ იმ ღვთაებებთან დაკავშირებით ასე ხშირად გვხვდებიან ლეგენდებში, დაწყებული კრეტას ეპოქიდან. ასეთია შგელი ლიკეის ზევსის კულტში, მტრედი, რომელიც გამოხატულია კნოსის ქალების ქანდაკებების გვერდით, და შემდეგ არტემიდას და აფროდიტეს ქანდაკებე-

ბთან ერთად, ხარი და ზევსი, ასკლეპიას ვეველი და ჰერას ფარ-შევანგი, ბუ, ათენის ქალღმერთის თხის ტყავი (ეგიდა) და სხვა მრავალი. ისტორიკოსის წინაშე დგას საკითხი: საჭიროა თუ არა ამ ცხოველების განხილვა როგორც ტოტემიზმის გაღმონაშთებისა, ე. ი. როგორც კვალი საზოგადოების განვითარების იმ სტადიისა, როდესაც ესა თუ ის ცხოველი განსაკუთრებულ, „წმიდა" ურთიერთობაში ითვლებოდა ადამიანთა გარკვეულ ჯგუფთან?

ასეთ კითხვაზე ჩვეულებრივ პასუხი ყოველთვის უარყოფითია, ამიტომ მეცნიერები ყოველთვის ახლებურად ცდილობენ მის ახსნას.

ამავე დროს სურათი სავსებით ნათელი და საკმაოდ დამახასიათებელია. პეტაცონი პირდაპირ ლაპარაკობს ამის შესახებ ზემოთ ხსენებულ წიგნში. ასე, მაგალითად, სერიფის მცხოვრებნი ზღვის კიბორჩხალას თვლიდნენ „წმიდანად", და თუ თავიანთ ბადეს ცოცხალ კიბორჩხალას ამოაყოლებდნენ, მას უკანვე აგდებდნენ ზღვაში, ხოლო მკვდარს კი მარხავდნენ.

კარიის მოსახლეობას მიაჩნდა, რომ მორიელი საშიშია ადგილობრივ მცხოვრებთათვის, უცხოელთათვის კი უვნებელია[1]. უეჭველად მსგავს წარმოდგენებს მიეკუთვნება „შესაწირი რქები" კუნძულ კრეტას მოხატულობაში, რომელიც ისე უნდა გავიგოთ, როგორც გამოსახულება შესაწირი ცხოველისა ღვთაებასთან ერთად, რომლისთვისაც ის არის შეწირული.

ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიამდელ ეპოქაში ხ ა რ ი იყო ერთ-ერთი ყველაზე უფრო მეტად გავრცელებული ტოტემი. როცა ეგეოსის საზოგადოება გვაროვნულ ფაზას გასცდა, ხარი გახდა ღვთაების სიძლიერის ერთ-ერთი სიმბოლო, ხოლო მის რქებს, როგორც ძალის ნიშანს, ცალკე სცემდნენ თაყვანს. ებრაულ რელიგიაში რქები დიდი ხნის განმავლობაში იყო იაჰვეს კულტის ერთ-ერთი განმასხვავებელი ნიშანი. თვით ეგვიპტურ ხელოვნებაში იზიდას გამოსახულებას შეადგენდა მზის დისკო, რომელსაც ორი რქა ჰქონდა.

---

[1] R. Pettazzoni. La religione nella Crecia antica, cit. გვ. 31—32.

იგივე აზრი აქვს ძველი ბერძნული ფოლკლორის დამახასიათებელ მითიურ არსებებს, ნახევრად ადამიანებს-ნახევრად ცხოველებს: კენტავრებს, ჰარპიებს, სირინოზებს და „ცხოველ-პეპელას", რომლებიც უმართებულოდ მიაჩნიათ უშუალოდ ეგვიპტელებისაგან ნასესხებად.

დაშლის პროცესში მყოფი ტოტემისტური საზოგადოება მთელ ქვეყანას აჩრდილებითა და ლანდებით ავსებდა.

ზღვისპირეთის ხალხს სწამდა, რომ არსებობს ქალი თევზის კუდით, რომელიც აჯადოებს და ლუპავს მეზღვაურებს. ახლახან ერთმა უნგრელმა მეცნიერმა ამ ცრუ რწმენას მიუძღვნა საინტერესო გამოკვლევა[1]. თუმცა საჭირო არაა დავეყრდნოთ სიტყვა „სირინოზის" ფუძის წარმოშობას სემიტური „სირ"-ისგან („sir" — „მოჯადოება"), როგორც ამას ავტორი აკეთებს, იმიტომ, რომ, ჯერ ერთი ამ ლეგენდის ფინიკიური წარმოშობა უეჭველად სარწმუნო როდია, ხოლო, მეორე მხრივ, მსგავსი მოვლენების მიზეზი ყოველთვის სოციალური ხასიათისაა; ძალიან იშვიათად თუ შეიძლება რომელიმე სარწმუნოების ახსნა ერთი რელიგიიდან მეორეში ამა თუ იმ ტერმინის უბრალო და უშუალო გადასვლით.

ზევსის დაბადების მითში ძნელი არ არის გამოვიცნოთ მთელი ტოტემისტური ციკლი. თხა რძით კვებავს ღმერთს, ღორი იცავს მას, ფუტკარი აჭმევს თაფლს და სხვ. ზევსის კულტს ასევე მიეკუთვნება მუხა, აპოლონს — დაფნა, დიონისეს — ვაზი. პითაგორიელებს ეკრძალებოდათ ცერცვის ჭამა და შამლის მოკვლა. ბერძნულ ღვთაებათა ატრიბუტების რიცხვში შედის ქარი, წვიმა, ელვა, ქუხილი, ცეცხლი, წყალი, ღრუბელი, ქარიშხალი და ზღვა.

რა დასკვნა უნდა გამოვიტანოთ ყოველივე ამისაგან? ჩვენ მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საბერძნეთში, ისე როგორც საერთოდ პირველყოფილ საზოგადოებაში, არსებობდა რელიგიური განვითარების ისეთი დონე, როცა ცხოველები, მცენარეები, ატმოსფერული მოვლენები გაიგივებული იყვნენ კლანის ფუძემდებლებთან. როგორც კი შეიცვალა ცხოვრება და

[1] K. Marot. The Sirens, „Acta Ethnographica Academiae Scientiarum Hungariae, ტ. VII, გამოც. 1, 1—2, 1968.

არსებობის საშუალებათა მოპოვების პირობები, ადამიანებმა დაჰკარგეს ტოტემთან თავიანთი კავშირის წარმოდგენა, მაგრამ ახალი რელიგიური ფორმების მითოლოგიას შემორჩა ამ კავშირის მოგონებათა ანარეკლი.

4. მატრიარქატის მითოლოგიური გამოხატულებანი

საბერძნეთის ისტორიის გარიჟრაჟზე ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა ქალღმერთის კულტს. მისი გამოსახულება თითქმის ყველგან არის ნაპოვნი და მას უსაფუძვლოდ აიგივებენ „მიწის დედის“ სახესთან.

როგორც ეთნოგრაფიულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რწმენა, რომ დიდი ქალღმერთი გაბატონებულია მამაკაც ღვთაებებზე, გავრცელებული იყო პირველყოფილი საზოგადოების ერთ-ერთ საფეხურზე, როცა ქალს მინდობილი ჰქონდა ძირითადი სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები, რაც ხელს უწყობდა მას, რომ მამაკაცთან შედარებით, რომელიც ნადირობასა და მეთევზეობას მისდევდა, სოციალური და პოლიტიკური უპირატესობა მოეპოვებინა. ჩვენ ვლაპარაკობთ ჯერ ნაკლებად შესწავლილ და უაღრესად საინტერესო მოვლენაზე ხმელთაშუაზღვისპირეთის ისტორიაში — მატრიარქატზე.

ბახოფენის პირველი გამოკვლევიდან „დედის უფლება“, რომელიც 1861 წელს გამოქვეყნდა, საბჭოთა მეცნიერის კოსვენის ფუნდამენტალურ შრომამდე „მატრიარქატი“, თითქმის ერთი საუკუნე გავიდა. მატრიარქატის მნიშვნელობას კაცობრიობის ისტორიაში ხან აზვიადებდნენ, ხან კი მეტისმეტად უაზროდ უარყოფდნენ თავისებური მამაკაცური შოვინიზმის გამო, ანდა აღიარებდნენ მის გავრცელებას მხოლოდ „დაბალ“ და, რაც კიდევ უფრო უარესია, „არაარიულ“ რასებში. მონოგამიური ქორწინება, საზოგადოების განვითარების ძველი პერიოდის უწესრიგო სექსუალურ ურთიერთობასთან შედარებით, უთუოდ კაცობრიობის პროგრესს მოწმობს. მაგრამ ამავე დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამან გამოიწვია ქალის დამონება, ქმრისადმი დამორჩილება, რაც გამოხატულია ყველა კლასობრივი სახელმწიფოს რკინის კანონებში.

ფ. ენგელსი აღნიშნავდა, რომ კლასობრივ საზოგადოებაში „ყოველი პროგრესი ამავე დროს შეფარდებითი რეგრესიცაა, რადგან ერთთა კეთილდღეობა და განვითარება მეორეთა ტანჯვისა და ჩაგვრის ხარჯზე ხორციელდება"[1]. ავიღოთ თუნდაც ის მდგომარეობა, რომელშიც აღმოჩნდნენ პირველი მუშები, როცა მანქანების გამოყენება დაიწყეს, ანდა თანამედროვე მუშის მდგომარეობა კაპიტალიზმის სამყაროში წარმოების ავტომატიზაციის პერიოდში.

სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ოკეანეთის ზოგიერთ ნაწილში ახლაც არსებობენ ხალხები, რომლებშიც ქალი განაგებს ოჯახს და ხელმძღვანელობს საზოგადოებას. ანტიკურ სამყაროში მატრიარქატის გადმონაშთები შემჩნეულია ყველგან: ევროპასა და აზიაში, ატლანტიკის ოკეანის ნაპირებიდან ინდის ხეობამდე, მაგრამ მატრიარქალური საზოგადოების ორგანიზაციის კვალი ამ ეპოქაში უკვე აწეწილია მითოლოგიური ტრადიციებით.

მატრიარქალური წყობილების ასახსნელად საკმარისი როდია იმის თქმა, რომ მთელ რიგ ხალხებში ბავშვები ეკუთვნიან დედებს და უნდა ეკუთვნოდნენ თავისი ოჯახის კლანს, სადაც ისინი უნდა აღიზარდონ. ყოველივე ეს ძველ თემში შესაძლებელია დედის უფლების გარეშეც.

საქმე ის არის, რომ პირველყოფილმა ადამიანმა არ იცის მამაკაცის როლი განაყოფიერებაში. ეთნოგრაფებმა სპენსერმა და ჟილერმა ავსტრალიაში ყოფნის დროს აღმოაჩინეს, რომ არუნტას ტომის წევრებმა სრულიად არაფერი იცოდნენ ამის შესახებ[2]. არუნტას ტომის წევრებს მიაჩნდათ, რომ ქალს შე-

---

[1] ფ. ენგელსი. „ოჯახის, კერძო საკუთრებისა და სახელმწიფოს წარმოშობა", 1953, გვ. 87.

[2] E. Durkheim, Les formes élementaires de la vie religieuse. Paris, 1912, გვ. 343 და შემდ. კუნძულ პონაპას მცხოვრებლებმა იციან ხუთი სიტყვა, რომელიც ნიშნავს „ძმას", მათ არ იციან არცერთი სიტყვა „მამის" მნიშვნელობისა. მათ იციან თავისი დედა — და ეს საკმარისია. ბერძნული სიტყვა „ადელფოს" — „ძმა" სიტყვასიტყვით ნიშნავს „იგივე კალთიდან დაბადებულს" (იხ. G. Thomson, The prehistoric Aegean. London, Lavrence and Wishart, 1950).

იძლება ჩაესახოს ნაყოფი, თუკი ის ჭამს განსაკუთრებულ ფესვებს ან ხილს, ან მცენარეების კვირტებს, ანდა, ბოლოს ამა თუ იმ ქვასთან შეხების შედეგად. ჩვენს ხალხურ ტრადიციებშიც შემორჩა რწმენა ეგრეთ წოდებული სასაწაულმოქმედი ქვებისა და მრავალი სპეციალური შეჭამანდისა, რომლებიც სპეციალურად პატარძლისათვის არის განკუთვნილი. გამორიცხული არ არის, რომ მეცხოველეობის განვითარების პერიოდში მხოლოდ შინაურ ცხოველებზე დაკვირვებამ გაუადვილა ადამიანებს შამობის გაგება.

ქალის პირველი პრიმიტიული ქანდაკებები ზემო პალეოლითსა და უფრო გვიანდელ პერიოდში, ქანაანელებში, ეგვიპტელებში, ბაბილონელებში, ეგეოსებში, და ბოლოს ინდის ხეობის ოსტატურად გაკეთებული პატარა ქანდაკებები, — ერთი სიტყვით, ყველა უძველესი გამოსახულება, უპირველეს ყოვლისა, მიძღვნილია ნაყოფიერების ცოცხალი განსახიერების — დედისადმი.[1] გავლენისა და პრესტიჟის წყარო — დედობა, თითქოს ფარულად შეიცავდა უძლიერეს მაგიურ თვისებებს, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ მივყავდით სამოქალაქო ხელისუფლებამდე. ღვთაება გამოისახებოდა შიშველი, არაჩვეულებრივად განვითარებული სხეულით, ღვთაების ხელები ჩვეულებრივ ან გადაჭდობილია, ან ზემოთ არის აპყრობილი ლოცვა-კურთხევის ნიშნად; ასე გვიხატავენ ღვთისმშობელს მდაბიო ხალხის სამლოცველოებში; მის თავზე მტრედები სხედან, ტანზე გველები ეხვევიან — ყოველივე ეს ტოტემისტური ფაზის განვლილი კვალია.

და მხოლოდ მაშინ, როცა დედა-ქალღმერთი ასევე გარდაიქმნება უდიდეს ქალღმერთად, მფარველად და მბრძანებლად, რომელიც სათავეში უდგას ყოველივე არსებულს, შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა ქალის უპირატესი გავლენის შესახებ, რადგან მხოლოდ ამ გავლენას შეეძლო წარმოექმნა წარმოდგენა ამგვარ ღვთაებაზე.

---

[1] J. Przyluski. La grande déesse. Introduction a l'étude comparative des religions. Paris, Payot, 1950, გვ. 48 და შემდ., ცხრ. I.

ეს ძლიერი ღვთაებანი ატარებენ სხვადასხვა სახელებს ხმელთაშუაზღვისპირეთისა. და სამხრეთ აზიის ხალხებში: ანაიტი — ირანსა და სომხეთში, ათარგატი — სირიაში, ათხთარი — არაბეთში, მა — კაპადოკიაში, კიბელა — ფრიგიაში (რომელიც რომაელებმა მეორე პუნიკური ომის დროს გადაიტანეს დასავლეთში და დაარქვეს „ღმერთების დიდი დედა"), ტანაისი — ანატოლიაში, ნანაი და ასტარტა — პალესტინაში, ტანიტი — კართაგენში, არტემიდა — ეფესოში, ტურანი — ეტრუსკებში, ტეტი — პირველ ბერძენ მეზღვაურებში, ადიტი — ძველ ინდოეთში.

აი როგორ ახასიათებს რიგვედა ინდოეთის დიდ ქალღმერთს:

ადიტი — ზეცაა, ადიტი — ატმოსფეროა.
ადიტი — დედაა, მამა და შვილი.
ადიტი — არსია ხუთი ფორმით და ყველა ღმერთი.
ადიტი — ყველაფერია, რაც დაიბადა და დაიბადება.

სიცოცხლისა და ნაყოფიერების წყარო, მატრიარქალური ხალხების ღვთაება იმ დროს გაიგივებული იყო წყალთან, წყაროსთან, მდინარესთან. ძველად სკვითები მდინარე დონს უწოდებდნენ ტანაისს — მცირე აზიის დასავლეთი ნაწილის დიდი ქალღმერთის სახელს. დაახლოებით ასევე აიღეს დუნაის ზემო დინების სახელი კელტებმა. რუსულ ხალხურ პოეზიაში ვოლგას ახლაც სათუთად დედას უწოდებენ. ეტიმოლოგიური კავშირია აგრეთვე სახელებს ტანაისსა და დანაიდს (50 ქალიშვილი) შორის; ამ ქალიშვილთა შესახებ წინაელინური მითი მოგვითხრობს, რომ ისინი შორეული ეგვიპტიდან ესტუმრნენ არგოსს, რათა გაეთვითცნობიერებინათ მისი მკვიდრნი მიწის მორწყვის ეგვიპტურ საიდუმლოებაში. ყველა მათგანმა, ერთის გარდა, მოკლა თავისი ქმარი — ეს, შესაძლოა, მატრიარქალური ეპოქის სასტიკი გადმონაშთის გამოძახილი იყოს.

მართლაც დიდ ქალღმერთს უყვარს სისხლი — სიმბოლო ნაყოფიერებისა და სიცოცხლის საწყისისა. მოგვიანებით იგი იქცევა მეომარ ღვთაებად, ომებისა და სისხლისღვრის მბრძა-

ნებლად. გვიანკლასიკურ ეპოქამდე მას მსხვერპლად სწირავდნენ ადამიანებს, და მხოლოდ შემდგომში ეს მსხვერპლშეწირვები შეცვლილ იქნა ასოთდაშავებით და თვითგვემით. კიბელის ქურუმები, ფრიგიის დედა-ქალღმერთები, ველური რიტუალური წვალებით, ფლეიტითა და დაირით აღნიშნავდნენ თავიანთ დღესასწაულს — 24 მარტს. რომაულ კალენდარში ამ რიცხვმა მიიღო სახელწოდება „სანგვის" (sanguis"), რაც „სისხლის დღეს" ნიშნავს. ამ დღესასწაულის წესჩვეულებანი მოგვაგონებენ სააღდგომო მსხვერპლად შეწირვის მრავალ დამახასიათებელ ნიშანს, რაც გაზაფხულის ბუნიობასთან არის დაკავშირებული.

კიბელისა და ატისის ქურუმები თავის თავს უწოდებდნენ „მეტრაგურტაის", რაც „გლახაკ დედებს" ნიშნავს. ისინი სოფლიდან სოფელში ვირით ატარებდნენ ქალღმერთის გამოსახულებას და მოწყალებას თხოულობდნენ.

მინოსის ეპოქაში ქურუმის მოვალეობებს თვითონ ქალები ასრულებდნენ.

გამორიცხული არაა, რომ მატრიარქატის გადმონაშთები იმალება აგრეთვე ამორძალების, ამაყი მეომარი ქალების მითში, რომლებიც მარცხენა ძუძუებს იჭრიდნენ, რათა უკეთ ეომათ, — თუმცა თვით ამ დეტალში მამაკაცის უპირატესი როლი იგრძნობა.

ქალღმერთი ა თ ი ნ ა დასაწყისში იყო სასოფლო სამუშაოების მფარველი დიდი მატრიარქალური ღვთაება. გვაროვნულ წყობილებაზე გადასვლის შემდეგ იგი გადაიქცა ქალაქელთა მფარველად, გახდა ქალწულური უმანკოების სიმბოლო და ფავისი მნიშვნელობით მეორე ადგილი დაიკავა ზევსის შემდეგ. ასე, მაგალითად, ათენის პართენონის ტაძარი მიეძღვნა მას როგორც ქალწულისადმი პატივისცემის ხარკი. ირანულ ენაზე დიდ ქალღმერთს ერქვა ა ნ ა ი ტ, ე. ი. „უწმიდესი". ირანის ზეგნიდან მისი კულტი გავრცელდა სხვა ქვეყნებში; იგი განსაკუთრებით დამკვიდრდა სომხეთში, სადაც მას მრავალრიცხოვანი საკერპე აუგეს. მის დღესასწაულს აღნიშნავდნენ 15 ნავასარდს (აგვისტოს), ზუსტად ქრისტიანული ღვთისმშობლის დღესასწაულის დღეს.

მიწათმოქმედების, ტყეებისა და მთვარის ქალღმერთმა — ეფესოს ა რ ტ ე მ ი დ ა მ, რომელსაც რომაელები დიანასთან აიგივებდნენ, ასევე ღრმა კვალი დატოვა ადრინდელი ქრისტიანობის ისტორიაში. გადმოცემის თანახმად, ქალწულმა მარიამმა თავისი სიცოცხლის უკანასკნელი წლები ხომ სწორედ ეფესოში გაატარა. მისი კულტის პირველი გამოვლენა დაკავშირებულია დიდი ქალღმერთის თაყვანისცემასთან მთელ ამ რაიონში, — და ეს უკვე მას შემოეგ მოხდა, რაც ადამიანთა შეგნებაში წარიხოცა ყოველგვარი მოგონება მატრიარქატზე.

საზოგადოებრივი ორგანიზაციის ეს ფორმა ქრება, როცა პრიმიტიული მიწათმოქმედება და წვრილი მესაქონლეობა — ძველი მიწათმოქმედი თემის სიმდიდრის ძირითადი წყაროები — ადგილს უთმობს უფრო განვითარებული შრომის ტექნიკას. ფარცხისა და კავის გამოგონებასთან ერთად მიწის დამუშავების კულტურა იცვლება, სამიწათმოქმედო სამუშაოებზე ქალს სცვლის მამაკაცი, რომელიც უკეთ მართავს გამწევ საქონელს. ხარ-კამეჩის გამოყენება გარდაქმნის მიწის დამუშავების ყველა სახეს. მეცხენეობა ხელს უწყობს საომარი ხელოვნების განვითარებას, აქლემებისა და ჯორების გამოყენება შესაძლებელს ხდის საქონლის გადაზიდვას საქარავნო გზებით ადრე მიუწვდომელ, მთებითა და უდაბნოებით გარშემორტყმულ შორეულ ადგილებში. ჩნდება მიწის მუშა და მეომარი, ჩნდება ვაჭარი.

მეტალურგიის ჩასახვა ხელს უწყობს ამ პროცესს — მამაკაცი ადნობს და ამუშავებს ოქროს, სპილენძს, ბრინჯაოს, რკინას. ყოველ ალმოჩენას, ყოველ ტექნიკურ სიახლეს საზოგადოება მიჰყავს სოციალურად უფრო რთული პატრიარქალური საზოგადოებისაკენ. ნაყოფიერების ქურუმი ქალიდან ინიციატივა გადადის ქურუმ-ჯადოქრის ხელში. ზეცაში, ისევე როგორც დედამიწაზე, წინააღმდეგობრივი და თანდათანობითი პროცესის შედეგად დიდი ღმერთი ჯაბნის დიდ ქალღმერთს.

საყოველთაო პატივისცემით გარემოსილმა უძველესი ბერძნული რელიგიის გოროზმა მეთაურმა, ყოველივე არსებულის მფლობელმა და მხეცების მბრძანებელმა ქალღმერთმა თავისი

ატრიბუტები შეიცვალა მაშინ, როცა შეიცვალა საზოგადოებრივი პირობები და წარმოებაში მამაკაცი დაწინაურდა.

ნაყოფიერების ქალღმერთი აფროდიტე, რომელიც ჰესიოდეს მიერ ჩვენამდე მოტანილი პოეტური თქმულებით ზღვის ქაფიდან დაიბადა, „ზეციურიდან“ პ ა ნ დ ე მ ო ს ა დ, „ხალხურად“ გადაიქცა და იძულებული შეიქმნა დაეცვა საქორწინო კავშირი, ახალი, პატრიარქალური ოჯახის მკაცრი კანონები. პირველ ხანებში იგი წარმოგვიდგება მამაკაც ღვთაებასთან ერთად, რომელსაც ჯერჯერობით დაქვემდებარებული მდგომარეობა უჭირავს, — ეს მისი ვაჟიშვილი ან მეუღლე. შემდგომში ღმერთი — მეუღლე თუ შვილი— ხდება დამოუკიდებელი, განამტკიცებს თავის პირველობას და იწყება ოლიმპოელი ღმერთების ახალი სისტემატიზაცია.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალი აღმოჩნდება მამაკაცის მორჩილებაში. ასეთივე გარდაქმნები ხდება რელიგიურ ზედნაშენშიც. მითოლოგიაში დედა-ქალღმერთი ადგილს უთმობს მამა-ღმერთს. ეს არის ბერძნების ზ ე ვ ს ი-პ ა ტ ე რ ი, რომაელების ი უ პ ი ტ ე რ ი.

5. მონათა კულტები. დემეტრე და დიონისე

საბერძნეთის ორი ყველაზე პოპულარული ღვთაება იშვიათად, ისიც გაკვრით მოხსენიებულია ჰომეროსის პოემებში, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-მდე IX—VIII საუკუნეებს მიეკუთვნება და რომლებმაც მაღალი პოეტური სახეებით შემოგვინახეს ოლიმპოს ღმერთების სრული აღწერილობა.

ეს ორი ღვთაება მონათმფლობელების ღმერთებთან შედარებით სრულიად სხვა რელიგიურ სამყაროს ეკუთვნოდნენ და თავიდანვე სულ სხვა ეკონომიურ და სოციალურ ვითარებასთან იყვნენ დაკავშირებული. მათი ისტორია, მათი კულტები და სეზონური დღესასწაულები ბევრ რამეში წინ უსწრებენ ქრისტიანულ რელიგიას. ბერძნული კულტების თვით სახელებიც კი მოგვაგონებენ ქრისტიანული გადმოცემების ზოგიერთ

ტიპიურ ნიშანს: დემეტრე — ღ მ ე რ თ ი ს დ ე დ ა და დიონისე—ძ ე ღ ვ თ ი ს ა[1].

ბუნდოვანი და ხშირად წინააღმდეგობრივი ტრადიციული ხალხური წარმოდგენები, რა თქმა უნდა, ეკლესიის მამებისა და მის „სწავლულთა“ მიერ სისტემაში მოყვანილი თხზულებების მსგავსი თეოლოგიური ტრაქტატები როდია. ხალხური რწმენის საფუძველზე იქმნებოდა აბნეული წარმოდგენა ქრისტეზე და მის მოციქულებზე, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა ახალ აღთქმაში.

როცა გვაროვნული წყობილება ჩაისახა, განვითარდა კერძო საკუთრება, გაძლიერდა სახელმწიფო და ხალხი ნახევრად დამონებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა, რელიგიური მისტიციზმი სულ უფრო მეტად ხდებოდა დამცირებული მშრომელის თავშესაფარი.

ჰესიოდესათვის, რომელსაც კლასიკური პერიოდის ისტორიკოსები ჰომეროსის თანამედროვედ[2] თვლიდნენ, ქვეყანა უკვე დაყოფილია ბატონებად, რომლებიც განაგებენ მოქალაქეთა ცხოვრებას, და ღარიბებად, რომლებიც მოკლებულნი არიან მოქალაქეობრივ უფლებებს. რელიგიაც ოლიმპოს კულტებად და მონათა კულტებად გაიყო.

ოლიმპელი ღმერთები კარგნი არიან მდიდრებისათვის, ღარიბებისათვის კი მათ უბედურება მოაქვთ. აი როგორ მოგვითხრობს ჰესიოდე „ღმერთების საჩუქარზე“ — ყოველგვარი

---

[1] სიტყვა „დემეტრეს“ ეტიმოლოგია სანდო არ არის, მაგრამ უკვე კლასიკურ პერიოდამდე მის თაყვანისმცემელ ხალხის წარმოდგენაში სახელის მეორე ნაწილი (დე-მეტერ) ნიშნავდა „დედას“ (ბერძნული სიტყვა „მეტერ“ სანსკრიტულიდან „მატარ“, აქედანაა რუსული „мать, „Mutter“). რაც შეეხება „დიონისეს“, ჩვენ აქ ხელთა გვაქვს უფრო სოლიდური მონაცემები. ფრაკო-ფრიგიულ ენაზე „ნუსოს“ ნიშნავს „ძეს“, როგორც ბერძნული სიტყვა „კ ო უ რ ო ს“. აქედან „დიო-ნის“ და „დიოს-კოუროს“ ერთი და იგივე მნიშვნელობის არიან („ძე ღვთისა“). სხვათა შორის ამ ღვთაების სახელი გვხვდება ჩვ. წ. აღ-მდე მე-2 ათასწლეულის ერთ-ერთ კრეტულ ფირფიტაზე.

[2] ჰეროდოტე ამტკიცებდა, რომ ორივე ჩემამდე 400 წლის ადრე ცხოვრობდნენო («История», II, 53).

უბედურებით სავსე ჭურჭელზე, რომელიც ადამიანებს ვერაგმა ქალღმერთმა პანდორამ გადასცა:

. არ მოაგონდა
ეპიმეთესაც გაფრთხილება პრომეთეესისა,
რომ ზეესისაგან ჯილდო მას არ უნდა მიეღო
და უარერყო, რომ კაცთ ვნება აშორებოდათ.
ადამიანთა მოდგმა წინათ ისე ცხოვრობდა,
რომ მწუხარება არ უწყობდა, არც მძიმე საქმე,
არც ავი სენი, დამღუპველი მოკვდავთა მოდგმის.
ქალმა ახადა ხუფი ყუთსა და მოეფინა
უკედავებას სენი, ათასგვარი უბედურება.
სავსეა იმით ხმელეთი და ზღვის კიდეგანი.
კაცთათვის მოაქვს სნეულებას დღისით თუ ღამით
მწუხარება და სიკვალილ და თვითნებურად
უჩუმრად მოდის: ზეესმა ხმა მას არ მიანიჭა.[1]

ღარიბი, ამბობდა ჰესიოდე, მდიდრის ხელშია „როგორც ბულბული მიმინოს კლანჭებში", ადამიანები, რომლებიც განაგებენ მართლმსაჯულებას, მხოლოდ „ძღვენის შემსანსვლელები" არიან. ჰესიოდე ოცნებობს დაკარგულ „ოქროს ხანაზე", თანასწორობისა და უცოდველობის ხანაზე, რომლის შესახებ გადმოცემებმაც შემდგომში ასეთი დიდმნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ელინური და რომაული საზოგადოების ყველაზე შეძლებულ ფენებში ანტიკური საზოგადოების იდეოლოგიური კრიზისის ეპოქაში, როცა ქრისტიანობა ისახებოდა.

ბერძნული საზოგადოების განვითარების ამ ფაზაზე დედაქალღმერთი, დიდი ქალღმერთი დემეტრე იქცა აგრეთვე დედად ქალღმერთის სახით; ასე გამოისახებოდა იგი ნახევრად აკრძალულ ხალხურ კულტებში.

ამის ახსნა შეუძლებელია ერთი რომელიმე ხალხის სიჭარბით, როგორც ხშირად ამტკიცებს ზოგიერთი მეცნიერი, რომელიც დემეტრეში ორი ღვთაებრივი სახის შერწყმის ახსნას ცდილობს. ამ მოვლენას, რა თქმა უნდა, ადგილი ჰქონდა საბერძნეთში შემოსევებისა და ხალხთა გადასახლებების შედეგად, რომლებიც ხდებოდა ჩვ. წ. აღ-მდე მეორე ათასწლე-

[1] ჰესიოდე. სამუშაონი და დღენი (VII ს. ჩვ. წ. აღ.- მდე), კრებულში, „ელადის მუზა", 1963, გვ. 61.

ულის დამლევამდე, მაგრამ მისი გავლენა მეორეული და შემთხვევითი ხასიათისაა. წარმოების წესისა და ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობის შეცვლა — აი ამ მოვლენის ჭეშმარიტი მიზეზი.

ის, რომ „ძე ღვთისა“ პირველ ხანებში ხშირად იცვლებოდა ხალხურ თქმულებებში „ღვთის ასულით“, — როგორც, მაგალითად, დემეტრესა და კორას მითში (ეს სახელი ნიშნავს „გოგონას“), ასევე შეიძლება მატრიარქატის გადმონაშთი იყოს. მაგრამ ხალხურ რწმენაში მალე ჩნდება სახე „ძე ღვთისა“ — ჭაბუკი დიონისესი, მცენარეულობის მფარველისა, მცენარეულობისა, რომელიც ადამიანთა ცხოვრებად გარდაისახება (ბაკქი ბერძნებში, ლიბერი რომაელებში). მას სთხოვენ დახმარებას და მხარდაჭერას ყველაზე ღარიბები, ყველაზე დაჩაგრულები. სწორედ ამიტომ ძლიერნი ამა ქვეყნისანი ზიზღით უყურებდნენ დიონისეს კულტს.

ღმერთი — „განმათავისუფლებლის“ დიონისური რელიგიის გავრცელების ისტორია დაწყებული ჩვ. წ. აღ-მდე VII საუკუნიდან — ესაა ისტორია ბრძოლის, დევნისა და რეპრესიებისა, რომლებიც აისახნენ ლეგენდებსა და პოეზიაში, ისე როგორც ეს ხდებოდა ქრისტიანული რელიგიის აღმოცენების პერიოდში.

ადრინდელი იუდაიზმი

ძნელია შეგუება იმ აზრთან, რომ ებრაელი ხალხის რელიგიასა. და ქრისტიანობას შორის ისტორიული თვალსაზრისით გაცილებით უფრო ნაკლებ მჭიდრო კავშირია, ვიდრე ადრინდელ ქრისტიანობასა და სხვადასხვა ხსნის კულტებს ანდა მისტიკურ კულტებს შორის, რომლებიც ბერძნულ-რომაული წარმართობის წიაღში ჩაისახნენ ანტიკური ეპოქის უკანასკნელ საუკუნეებში. კიდევ უფრო ძნელია იმის შეგნება, რომ იუდაიზმი და ქრისტიანობა არ არის ერთი რელიგიის განვითარების ორი ფაზა და რომ ერთი არც იდეოლოგიურად და არც ქრონოლოგიურად არ გამომდინარეობს მეორისაგან. მიუხედავად ამისა, ისინი წარმოადგენენ ორ პარალელურ რელიგიას, რომლებმაც უმაღლეს განვითარებას მიაღწიეს ათასი წლის მანძილზე — ჩვ. წ. აღ-მდე VI საუკუნიდან ჩვ. წ. აღ-ით VI საუკუნემდე, მონათმფლობელური წყობილებიდან ფეოდალიზმზე გადასვლის პერიოდში.

ბუნებრივია, რომ ბიბლიის პირველმა თავებმა შექმნეს ხალხში რწმენა ებრაული რელიგიის უძველესი წარმოშობისა, რამდენადაც ამ ხალხის ისტორია ძველ აღთქმაში დაკავშირებულია სამყაროს შექმნის ლეგენდასთან.

რა თქმა უნდა, ყველა რელიგია ჩემულობს პირველშობილობას, ესწრაფვის დამტკიცოს, რომ იგი დედამიწაზე სიცო-

ცხლესთან ერთად წარმოიშვა. მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რომ უძველესი ებრაული ტექსტები, რომლებიც ეყრდნობიან ადრე არსებულ გადმოცემებსა და მითებს, საკმაოდ მოგვიანებით აღმოცენდნენ და ატარებენ წინამორბედი ეგვიპტური, ასურული, ბაბილონური, უგარიტული, სპარსული და აგრეთვე ბერძნული გავლენის ნიშნებს. ძველი აღთქმის წიგნები —დაბადება, გამოსვლათა და სხვ. — არ შეიცავენ ებრაელი ხალხის წარმოშობის რაიმე უშუალო დოკუმენტაციას. ისინი მხოლოდ იმას გვამცნობენ, თუ რას ფიქრობდნენ მის წარმოშობაზე პალესტინაში ჩვ. წ. აღ-მდე VI და IV საუკუნეებს შორის, ე. ი. თითქმის კლასიკური ბერძნული ლიტერატურის აყვავებისა და ლათინური ლიტერატურის ჩასახვის პერიოდში.

ამასთან ერთად ახლო და შორეული აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის თითქმის ყველა სხვა ხალხის დოკუმენტური ისტორია რამდენიმე ათასწლეულით უსწრებს ამ პერიოდს.

1. პალესტინა

მიუხედავად გავრცელებული აზრისა, ირკვევა, რომ ებრაული რელიგია შედარებით მოგვიანებით ჩამოყალიბდა.

მისი წარმოშობა მეტად რთული პროცესია, და მასში მონაწილეობა მიიღეს აღმოსავლეთის სულ სხვადასხვა ცივილიზაციის ხალხებმა: ფინიკიელებმა, ასურელებმა, ბაბილონელებმა, შუმერული კულტურის მემკვიდრეებმა, ეგვიპტელებმა, ეგეოსებმა და ხეთებმა, თუ არაფერს ვიტყვით ეგრეთ წოდებულ ინდოევროპულ ტომებზე, რომელთა როლიც ისრაელის ადრინდელ ისტორიაში, შესაძლოა, უფრო მნიშვნელოვანი იყოს, ვიდრე აქამდე მიაჩნდათ.

პირველი დოკუმენტები, რომლებშიც მოხსენიებულია ებრაელები, მიეკუთვნება ჩვ. წ. აღ-მდე XIV საუკუნეს. პალესტინაში მცხოვრები ხალხის კოლექტიური სახელი ისრაელი პირველად გვხვდება ჩვ. წ. აღ-მდე დაახლოებით 1225 წლის ერთ-ერთ ეგვიპტურ წარწერაში.

სულ სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე და სხვადასხვა ცივი-

ლიზაციის ხალხები და ტომები, ერთნი სემიტური (ქანაანელები, ფინიკიელები), ხოლო მეორენი ინდოევროპული წარმოშობისა (ფილისტიმელები) - უკვე ათეული საუკუნეების განმავლობაში სახლობდნენ პალესტინაში, ვიდრე ებრაელები იარაღით ხელში შეიჭრებოდნენ დედამიწის ამ ნაწილში, რომელიც გადაჭიმულია ხმელთაშუაზღვის ნაპირებზე და ერთი მხრივ ესაზღვრება არაბეთის უდაბნო, ჩრდილოეთიდან სირიის ტერიტორიაზე მდებარე მთის კალთები (ერმონის მთები), ხოლო სამხრეთიდან — ეგვიპტის განაპირა რაიონები (იდუმეას უდაბნო). პალესტინას ორად ჰყოფს მდინარე იორდანე, რომლის სათავეც ერმონის მთებშია, გაივლის ტიბერიადის ტბას და ერთვის მკვდარ ზღვას.

თვით სახელწოდება პალესტინა, რომელიც პირველ ხანებში ერქვა ახლანდელი ქალაქის ჰაიფის გარშემო მდებარე პატარა რაიონს, ხოლო შემდეგ მთელ ამ ქვეყანას დაერქვა, სიტყვასიტყვით ნიშნავს „ფილისტიმელების ქვეყანას" („პელიშტიმ").

ებრაელების მიერ პალესტინის დაპყრობა თითქმის ზუსტად დაემთხვა ბედუინთა ტომების მასობრივ გადასახლებებს, რომელიც ჩვ. წ. აღ-მდე XII საუკუნეში მოხდა. ეს გადასახლებანი მოწმობენ ადამიანთა დიდი ჯგუფების გადასვლას მომთაბარეობიდან ბინადარ ცხოვრებაზე, შრომის ახალი (ლითონის) იარაღების გამოგონების შედეგად მესაქონლეობასა და პრიმიტიულ მიწათმოქმედებაზე გადასვლას. ამავე დროს მიეკუთვნება ჰიქსოსების შემოჭრა, რომლებზეც ჯერჯერობით ძალიან ცოტა რამაა ცნობილი, აგრეთვე დორიული გადმოსახლებანი საბერძნეთში და ჩვენი ნახევარკუნძულის დასახლება იტალური ტომებით.[1]

ამ პერიოდში ყალიბდება მონათმფლობელური წყობილების ნიშნები, რომლებიც ჯერ კიდევ სუსტადაა განვითარებული მომთაბარე ხალხებში, რომლებიც იძულებული არიან განუწყვეტლივ იცვალონ ადგილსამყოფელი და რომელნიც საზ-

---

[1] იხ. S. Moscati. I predecessori d'Israele. Studi sulle piú antiche genti semitiche in Siria e Palestina. Roma, 1956.

რდოს მოპოვების მცირე საშუალებებს ფლობენ, მაგრამ ეს ნიშნები უფრო მეტად არის გავრცელებული იმ ხალხებში, რომლებიც სისტემატურად ეწევიან მიწათმოქმედებას.

ამის გამო არაერთხელ უთქვამთ, რომ ებრაელთა „წმიდა წიგნების“ მიხედვით მონათა ცხოვრების პირობები ისე მძიმე როდია, როგორც ბერძნებსა და, განსაკუთრებით, რომაელებში.

გამოსვლათა წიგნში (კა, ბ-ია) მონათმფლობელობის კანონები საფუძვლად უდევს მთელს სამოქალაქო კანონმდებლობას. ისინი ითვალისწინებენ ყველა ებრაული ტომიდან გამოსული მონის განთავისუფლებას შვიდი წლის მონობის შემდეგ, თუკი ისინი თვითონვე არ იტყვიან უარს თავისუფლებაზე. ეს ის შაბაშის წელია, „მეშვიდე წელი“, რომელზეც მოგვიანებით ამდენი ლაპარაკი იქნება ებრაელების რელიგიურ ისტორიაში (ეს არ უნდა ავურიოთ საიუბილეო წელთან, ე. ი. მიწების პერიოდულ განაწილებასთან, რაც ყოველ შვიდ წელიწადს და ნახევარ საუკუნეში ერთხელ ხდებოდა), რომელიც სამყაროს შექმნისა და დასვენებისათვის განკუთვნილ მეშვიდე დღეზე წარმოდგენასთან ერთად შევა ადრინდელი ქრისტიანობის ტრადიციაში, ექვსი ათასი წლის ტანჯვის შემდეგ დედამიწაზე თავისუფლებისა და მშვიდობის ათასწლიანი დამკვიდრების მოლოდინის ფორმით („ბატონისათვის ყოველი დღე წელიწადია, და წელიწადი — ათასი წელი“, — განმარტავენ ყველა დროის თეოლოგები).

ებრაული ტომის თავისუფალი ადამიანის მონად გაყიდვა მხოლოდ ერთ შემთხვევაში შეიძლებოდა: თუ იგი არ აბრუნებდა თავის მიერ მოტაცებულ ნივთებს. „არა თუ არ აქუნდეს მას რათა მცა ზღო, განყიდონ იგი ნაპარეევისა მისთვის“[1]. ამ კატეგორიას მხოლოდ შემდგომში დაემატნენ ის ადამიანები, რომლებმაც ვალის გადახდა ვერ შეძლეს. ჩრდილოეთ სამეფოში ვალგადაუხდელი კაცის შვილები მონებად იყიდებოდნენ (წიგნი მეოთხე მეფეთა, დ. ა-ზ), ხოლო სამხრეთ სამე-

---

[1] გამოსელათა, კბ. გ.

ფოში მამა მოვალე იყო გაეყიდა შვილები, რათა დაეკმაყოფილებინა კრედიტორები (ესაიასი, ა).

ებრაული რელიგიური კანონი პირდაპირ მოითხოვდა ტყვეობაში ჩავარდნილი და მონადქცეული ტომის წევრის გამოსყიდვას. თუ ებრაელი მონა ნაყიდი ჰყავდა წარმართს, იგი აუცილებლად უნდა გამოესყიდა მის ნათესავებსა და მთელ თემს. ზოგიერთი რაბინი ამ დაკანონებულ მფარველობას შემდგომში წარმართ მონებზეც ავრცელებდა, უფრო მეტად, ვიდრე ამის ნებას ბიბლიური მითითება იძლეოდა. „ნუ გადასცემ სხვას მონას, რომელიც შენთან ეძებს თავშესაფარს", — ასეთია იუდეველთა მეორე ადათი, რომელიც სათანადოდ ვერ განვითარდა ძველად.[1]

ამგვარად, ებრაელი ხალხის ცხოვრებაში მონობა ჯერ კიდევ არ გამხდარა საზოგადოების განმსაზღვრელი დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი. ამან შეუწყო ხელი მძლავრად განვითარებული ეროვნული სოლიდარობის გრძნობის ჩასახვას ისრაელში, რომელიც თვით კლასობრივ წარმოდგენებზე მაღლა იდგა, და შემდგომში გაძლიერებულ იქნა სამხედრო მარცხის, გაძევებისა და რასიული დევნის შედეგად. მაგრამ ამ მოვლენის ახსნა არ შეიძლება რელიგიური და მორალური თავისებურებებით. საქმის არსებით მხარეს შეადგენს იმ კანონთა და ადათთა შენარჩუნება, რომლებიც ჩამოყალიბდნენ ისრაელის ისტორიის ადრინდელ პერიოდში, როცა მომთაბარეობა და მეცხოველეობა სჭარბობდა.

ებრაელთა დამოკიდებულება ომში დატყვევებულ ანდა საერთოდ უცხო წარმოშობის მონებთან, რა თქმა უნდა, სულ სხვანაირი იყო.

საქურუმო კოდექსი მოსეს მესამე წიგნისა (ლევიტელთა, კე, მდ-მგ), გადამუშავებული VI საუკუნის გარიჟრაჟზე მოსეს კანონების მეორე წიგნად, მოწმობს ებრაელი მონის გარკვეულ შემწყნარებლობას, მაგრამ ყველა დანარჩენზე ამბობს:

---

[1] ებრაელთა შორის მონობის ისტორიის შესახებ შეიძლება წავიკითხოთ ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებული შესანიშნავი ნაშრომი S. W. Baron. A. social and religious history cf the Lews.

„და მონანი და მხევალნი რაოდენნი გეხსნენ შენ ყოველთაგან წარმართთა რომელნი არიან გარემოს შენსა, მათგან მოიგნეთ მონა და მხევალი. და ძეთაგან მსხმეთასა რომელნი არიან თქვენ შორის, ამათგან მოიგნეთ და ნათესავთაგან მათთა, რაოდენნი იყვნენ ქვეყანასა თქვენსა იყუნეთ თქვენდა სამკვიდრო. და განუყვნეთ იგინი ძეთა თქვენდა, შემდგომად თქვენსა, და იყვნენ იგინი მონა თქვენდა საუკუნოდ, ხოლო ძმანი თქვენი ძენი ისრაელისანი, კაცად კაცადმან არ დაქეჯნოს შრომათა შინა"[1].

ასეთი მონის მკვლელობას ბიბლია არ თვლის დანაშაულად, მაშინ როცა თავისუფალი ადამიანის მკვლელი სიკვდილით ისჯება. სხვისი მონის მოკვლის შემთხვევაში საკმარისი იყო მეპატრონისათვის ზარალის ასანაზღაურებელი თანხის გადახდა. გათხოვილ ქალთან ცხოვრებისათვის თავისუფალ კაცს ჩაქოლვა ელოდა, მაგრამ თუკი ის მხევალთან ცხოვრობდა, სხვისი უფლების დარღვევას ადვილად ანაზღაურებდა გარკვეული თანხით. მონათა განთავისუფლების შემთხვევები მეტისმეტად იშვიათი იყო. ქურუმები არ ურჩევდნენ ებრაელებს მონათა განთავისუფლებას, რამდენადაც თავდასხნილები უნდა შეეფარებინათ როგორც ახლადმოქცეულნი (პროზელიტები) და თავისი უფლებებით მათ შეეძლოთ გატოლებოდნენ ნამდვილ ებრაელებს (დაბადებით ებრაელებს).

კიდევ ერთხელ შევნიშნავთ, რომ მონებისადმი ამ განსხვავებული დამოკიდებულების მიზეზი უნდა ვეძიოთ საზოგადოებრივ პრაქტიკაში და არა აბსტრაქტულ მორალსა და რელიგიაში.

2. ბედუინები და მომთაბარენი

პირველყოფილი ებრაული ტომები, მსგავსად ბედუინებისა, რომლებიც დღემდე არაბეთის უდაბნოში ცხოვრობენ, მომთაბარე ტომები იყვნენ. ისინი განუწყვეტლივ მიიწევდნენ სანაპიროსაკენ, ეძებდნენ ისეთ მიწებს, სადაც შესაძლებელი იქნებოდა დამკვიდრება, და დაძაბულ ბრძოლებს აწარმოებ-

[1] ლევიტელთა, კე, მდ-მე.

დნენ ამ ადგილების მკვიდრ მოსახლეობასთან, რომლებიც მესაქონლეობასა და მიწათმოქმედებას ეწეოდნენ.

ამ ტომების მეომრულ ხასიათზე ლაპარაკობს მათი სახელების ეტიმოლოგია. ისრაელი, ანუ, უფრო ზუსტად, „შვილნი ისრაელისანი" (კრებითი მნიშვნელობით) — ამ ხალხის ერთ-ერთი უძველესი სახელია. იგი, ალბათ, ნიშნავს „ის, ვინც იბრძვის", „ის, ვინც იმარჯვებს", „მებრძოლი". ბიბლიური გადმოცემის თანახმად, ეროვნულმა გმირმა იაკობმა, რომელიც თორმეტი ტომის მამად ითვლებოდა, თავისი სახელი ისრაელად შეიცვალა მას შემდეგ, რაც გაიმარჯვა ღვთის ანგელოზთან და მგონი თვით ღმერთთან ბრძოლაში[1]. მაგრამ ეს ამ სახელის მხოლოდ შითოლოგიური ახსნის ცდაა, რაც შემდგომში ფაქტებით არ მართლდებოდა.

ტერმინი „ებრაელი", რომელიც საერთო ხმარებაში შედარებით მოგვიანებით შემოვიდა, შესაძლებელია, აგრეთვე ნიშნავდა „მომთაბარეს", მრავალი მეცნიერის მიერ ამჟამად მიღებული ეტიმოლოგიის თანახმად, ანდა, როგორც სხვები თვლიან, „ის, ვინც მდინარის გაღმა ცხოვრობს" („იერი"), ე. ი. მდინარე იორდანის გაღმა — პალესტინაში ან ევფრატისა — მესოპოტამიაში. ამ სახელს უწოდებდნენ მომთაბარე კლანებს, რომლებიც უდაბნოდან მოიწევდნენ პალესტინის ტყიანი, ნაყოფიერი და მორწყული მიწებისაკენ.[2]

რაც შეეხება სახელწოდებას იუდეა, რომელიც, ზუსტად რომ ვთქვათ, ისრაელის მხოლოდ ერთ-ერთ ტომს — იუდას, ანდა იეჰუდას ეკუთვნოდა, ბაბილონელების მიერ სამხრეთი სამეფოს განადგურების შემდეგ მთელ ებრაელ ხალხზე იქნა გავრცელებული. აღსანიშნავია, რომ ძველად ამ სახელს არ ჰქონდა ის სულელური, დამამცირებელი იერი, რაც მან

---

[1] დაბადება, ლ. ბ, კზ და შემდ.

[2] შესაძლებელია სწორედ ესენი იყვნენ ის ჰაბირები (ჰაბირი, ან ჰიბირუ), რომლებზეც მოგვითხრობენ ჩვ. წ. აღ.-მდე XIV საუკუნის ამენხოტეპ IV-ის დროინდელი ტელ-ელ-ამარნას ეგვიპტური ფირფიტები. შდრ. S. A. B. Mercer. The Tell el-Amarna Tablets. 1939, 2 vol., და J. Bottero Le probléme des Habiru a la IV-e Rencontre Assyriologique Internationale. 1954.

ბევრ ახალ ენაში მიიღო. კლასიკურმა ლიტერატურამ იუდეის სახელწოდებით გაიცნო ებრაელი ხალხი, ხოლო ტერმინი „იუდაიზმი“ წარმოადგენს ამ ხალხის რელიგიის ყველაზე გავრცელებულ სახელწოდებას; ეს რელიგია ყალიბდებოდა ძველი სამყაროს VII—VI საუკუნეებიდან, როცა ებრაელმა ხალხმა ეროვნული დამოუკიდებლობა დაკარგა.

3. ებრაული მონოთეიზმი

გავრცელებულია აზრი — და არა მარტო ნაკლებად განათლებულ ადამიანებში, — რომ ებრაელი ხალხი თავიდანვე ერთ ღმერთს სცემდა თაყვანს, ე. ი. მისი სარწმუნოება მონოთეისტური იყო, მაშინ, როცა ყველა დანარჩენი ხალხი მრავალ ღმერთს სცემდა თაყვანს (პოლითეიზმი). ასეთი შეხედულება მოკლებულია ყოველგვარ ისტორიულ საფუძველს.

კიდევ ერთხელ უნდა გავუსვათ ხაზი, რომ კაცობრიობის რელიგიური განვითარების ისტორია არ იცნობს არც პირველყოფილ პერიოდს, როცა ადამიანებს თითქოსდა სწამდათ რაღაც „უზენაესი არსება“, არც მომდევნო „დამახინჯებებს“, რომლებმაც, როგორც ამტკიცებენ, გამოიწვიეს პრიმიტიული ანიმიზმი და ფეტიშიზმი, ანდა კერპთაყვანისმცემლობა. რაფაელე პეტაცონის ახალმა ვრცელმა გამოკვლევამ „სიბრძნე ღმერთისა“[1] საბოლოოდ უკუაგდო ეს ხელოვნური კონსტრუქცია, რომელიც გაპირობებულია კლერიკალური და არა მეცნიერული ინტერესებით. არასდროს არ არსებობდა „გაბატონებული მონოთეიზმი“, რომელიც თითქოსდა შემდგომში გადაგვარდა სულების, მცენარეთა და ცხოველთა კულტად, ხოლო ანტიკური ეპოქის ბოლოს კვლავ დიდის ამბით დამკვიდრდა იუდეველთა სარწმუნოების წყალობით. ყოველივე ეს წმინდა წყლის ფანტასტიკაა, მაგრამ ასეთ მონაჭორებს დღესაც სერიოზულად ასაღებენ ხოლმე იტალიაში.

ებრაული რელიგიის ისტორია საშუალებას გვაძლევს მკაფიოდ გავარჩიოთ ყველა დანარჩენ ღმერთზე გაბატონებული

[1] Raffaele Pettazzoni. L'onniscienza di Dio. Torino. Einaudi, 1955 („Coll. di studi religiosi, etnologici e psicologici“, გვ. 24).

ერთი ღმერთის წარმოდგენის ჩამოყალიბების გზები. ეს წარმოდგენა წარმოიშვება ისრაელი ხალხის სხვადასხვა ტომებში პირველი მონარქიული დაწესებულებების წარმოქმნის მომენტში. მრავალ ბელადთაგან გამოიყო ერთი, მრავალ ღვთაებათა რწმენიდან თანდათან ყალიბდება იდეა ერთი უზენაესი არსებისა, რომელიც დასაწყისში სხვებზე ძლიერად ითვლება (ეს არის ეგრეთ წოდებული ენოთეიზმი, ანდა, უკეთ რომ ვთქვათ, მონოლატრია—ერთი, მესვეური ღმერთის კულტი), ხოლო შემდგომში იგი იქცევა ერთადერთ ღმერთად, რომელიც ყველა დანარჩენს გამორიცხავს (მონოთეიზმი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით).

თუ საერთოდ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ისტორიული მოვლენები არასდროს არ შეიძლება წარმოვიდგინოთ მეტისმეტად განყენებულ სქემებად, ჩვენ მაინც შეგვიძლია ვთქვათ, რომ რელიგიური ევოლუციის ეს სტადია პალესტინაშიც შეესაბამება იმ პერიოდს, როცა ხდებოდა მონათმფლობელური საზოგადოების სხვადასხვა ფორმებზე გადასვლა, როცა მრავალი ათასი წლის განმავლობაში შექმნილი საწარმოო საშუალებებისა და იარაღების განვითარება თანდათანობით იწვევს დამორჩილების გარკვეულ ურთიერთობას ადამიანებს შორის. ლითონის გამოდნობისა და დამუშავების გაუმჯობესება, რკინის სახნისის გამოყენება, სოფლის მეურნეობის პროგრესი, სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის განმტკიცება და დაპყრობითი ომების ფართო გაქანება — აი ის მოვლენები, რომლებსაც უნდა მივმართოთ საბოლოო ანგარიშით, რათა გავიგოთ, თუ როგორ აღმოცენდნენ და ვითარდებოდნენ ადამიანთა საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ეს ახალი პირობები. ეს არ უნდა ნიშნავდეს იმას, რომ ებრაელი ხალხის იმდროინდელი მორალური, ფილოსოფიური და რელიგიური იდეები წმინდა ეკონომიურ და საწარმოო მოვლენებზე დავიყვანოთ. იდეოლოგია გამოხატულებაა და არა ფორმა ეკონომიკისა.

მონოთეისტური შეხედულებები მანამდე ვერ გაბატონდებოდა ისრაელთა ცნობიერებაში, ვიდრე ეს უკანასკნელნი საკუთარი გამოცდილებით არ შეიცნობდნენ მონარქიული წყო-

ბილების დამახასიათებელ ეკონომიურ და სოციალურ ორგანიზაციას. მაგრამ ერთი ღმერთის რწმენა, რომელსაც ასე მხურვალედ იცავდნენ VII—VI საუკუნეების „წინასწარმეტყველნი", შემდეგში ვითარდებოდა მისი წარმომშობი მიზეზებისაგან დამოუკიდებლად; მან გარკვეული დამოუკიდებლობა მიიღო და ბოლოს და ბოლოს თავის მხრივ ღრმად იმოქმედა ებრაელთა საზოგადოების ისტორიაზე და თვით სტრუქტურაზე.

იუდაიზმის განვითარების პროცესი — ჩვ. წ. აღ.-მდე 935 წელს მონარქიის დამყარებიდან ქრისტიანობის აღმოცენებამდე — დამაჯერებლად ადასტურებს ისტორიის ამ ობიექტურ კანონს.

ებრაელმა ხალხმა იმთავითვე გაიარა რელიგიური ცხოვრების ყველა სტადია, რომლებიც თან სდევენ პირველყოფილი საზოგადოებიდან მონათმფლობელურ მეურნეობაზე თანდათანობით გადასვლას. ცხოველების, მცენარეების, ბუნების, მდინარეებისა და წყაროების კულტები, რომლებიც დამახასიათებელია ტომობრივი საზოგადოების ტ ო ტ ე მ ი ს ტ უ რ ი ფაზისათვის, ნათლად გამოსჩვივის ბიბლიის. ყველაზე უძველეს ნაწილში. სწორედ ამ ეპოქას მიეკუთვნება მომთაბარე ხალხის — რომელიც უმთავრესად მონადირეობასა და მესაქონლეობას ეწეოდა — დამახასიათებელი რიტუალური ადათები, ისეთები, როგორიცაა საჭმლის აკრძალვა და წინდაცვეთის წესი, ეს უკანასკნელი ხალხის წარმოდგენაში ებრაელობის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად იქცა, თუმცა იგი, როგორც წესი, გავრცელებულია არაბებსა და ტროპიკული და ეკვატორული აფრიკის ტომებს შორის[1].

გ ვ ე ლ ი და ხ ა რ ი — აი ორი ცხოველი, რომლებმაც ყველაზე ღრმა კვალი დატოვეს ისრაელის რელიგიურ ცხოვრებაში.

ფველი, როგორც ტოტემი და ნაყოფიერების ღვთაება, პირველ პლანზე იყო მთელს პალესტინაში. ბიბლიურმა გადმოცე-

[1] მთელი ამ განყოფილების შესახებ მკითხველს ვურჩევთ მეცნიერული თვალსაზრისით ძვირფას და მსუბუქი სტილით დაწერილ ნაშრომს:

R. Kreglinger. La religion d'Jsrael. II ed., Bruxelles, 1926 („Etudes sur l'origine et le développement de la vie religieuse". III).

მებმა შემოინახეს გველის კულტის გამომხატველი ბევრი საბუთი — დაწყებული ადამის ცდუნებიდან მოსეს „ბრინჯაოს გველამდე", რომელიც მეფე ეზეკიამ დაანგრია ჩვ. წ. აღმდე VIII საუკუნეში. გველის სახელს სარაფს ჩვენ ვხედავთ სიტყვა „სერაფიმში" (ფრთოსანი ანგელოზი, რომელიც იცავს უფლის ტახტს). სავსებით შესაძლებელია, რომ წითელ სკივრში, მსგავსად იმისა, როგორიც მოგვიანებით არაბებს ჰქონდათ ხმარებაში, პირველ ხანებში ცოცხლად ინახავდნენ ღმერთ იაჰვეს სიმბოლოს, უდაბნოში შობილ გველს, რომელსაც თანამიმდევრულად აიგივებდნენ ხართან, ქართან, ცეცხლთან, ქვასთან, მთასთან, წყაროსთან. ყოველ შემთხვევაში, ზუსტად არის ცნობილი, რომ ღმერთ იაჰვეს პირველ ქურუმთა სახელები — ლევიტები დაკავშირებულია გველის კულტთან. არაბული ტერმინი ლ ა ვ ა ჰ, რომელიც ნიშნავს „გაშლას", „დაგრეხვას", „ცოცვას", „ხოხვას", და ცნობილი სიტყვის „ლევიაფანის" ეტიმოლოგიას (ძირითადი ებრაული მითების ღმერთი-დრაკონი) იმავე მოვლენამდე მივყევართ.

რაც შეეხება ხ ა რ ი ს კულტს, მისი საკითხი უფრო ნათელია. უდიდესი ქურუმი ამ კულტისა, რომელიც გავრცელებული იყო სინას ნახევარკუნძულის ჩრდილოეთით, იყო თვითონ აფონი, მოსეს ლეგენდარული ძმა. მოგვიანებით ბიბლიაში ზიზღით ლაპარაკია მხოლოდ ხ ბ ო ზ ე, მაგრამ ფაქტად რჩება ის, რომ ჯერ კიდევ მეფეთა ეპოქაში იაჰვეს სიმბოლო, წმიდათა წმიდა, იყო ხარის მოოქროვილი გამოსახულება; რომელიც მხრებზე მოჰქონდათ საზეიმო სვლის დროს და მორწმუნეთათვის თაყვანის საცემლად ასვენებდნენ.[1] ნაყოფიერების ხარის მსგავსი ღმერთის კულტი, რომელიც გავრცელებულია მთელ ხმელთაშუაზღვის აუზში, როგორც ეტყობა, ებრაელებში ისე განვითარდა, რომ მეორე სჯულისაში (ლ. ბ. მ. იზ) თვითონ მომაკვდავი მოსე, ისრაელთა თორმეტ ტომს რომ აკურთხებდა, იოსების პირმშოს, რომელიც „ვითარცა რქანი მარტორქასი", „მშვენიერი ზვარაკის" სახელწოდებას ანიჭებს. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს დავეჭვდეთ იმ ახს-

---

[1] იხ. 1 წიგნი მეფეთა, 12. მ. 28. 2 წიგნი მეფეთა, 10 მ. 29; 17. მ; 16.

ნაში, რომელსაც საერთოდ აძლევენ ხოლმე მოსეს უცნაურ გამოსახულებას. მხატვრობაში — შუბლზე რქებით, როგორც ეს მიქელ-ანჯელოს ქანდაკებაშია. ამტკიცებენ, რომ ეს აიხსნება ლათინურ ენაზე ბიბლიის იმ ადგილის („რამეთუ დიდებულ იყო ფერი მისისა პირისა")[1] უმართებულო თარგმნით, რომელსაც ვულგატა გადმოგვცემს ასე: „მოსეს სახე დამშვენებული იყო რქებით". მართალია, ორივე სიტყვა — „რქა" და „სხივი" ებრაულ ენაში ერთი და იგივე თანხმოვნებით გამოიხატება და შესაძლებელი იყო სიტყვების აღრევა, მაგრამ ყველაზე უფრო საფიქრებელია, რომ ეს გამოთქმა დაკავშირებული იყო ტოტემისტურ გადმონაშთებთან, რომლებიც შემდგომში გაუგებარნი და იმდენად შეურაცხმყოფელი გახდნენ, რომ საჭირო გახდა ერთი და იგივე სიტყვის სხვადასხვანაირად წაკითხვა.

პირველყოფილი ხალხების ტიპიურ ღვთაებებთან ერთად ებრაულმა ტომებმა, როცა ისინი ჯერ კიდევ არ იყვნენ გამოსული არაბეთის უდაბნოს საზღვრებიდან, ხიფათითა და მოულოდნელობით აღსავსე ცხოვრების პროცესში გამოიმუშავეს მომთაბარეთათვის დამახასიათებელი სხვა სარწმუნოება. ეს არის წარმოდგენა იდუმალ ძალებზე, რომლებზედაც ლაპარაკობენ ხან მხოლოობით, ხან მრავლობით რიცხვში. ეს ძალები თან სდევენ ტომს მოგზაურობის დროს და იმყოფებიან ზურგზე მოკიდებულ ბარდანებში, ისინი იქ არიან ხანგრძლივი შესვენების დროსაც (ეს ის არის, რასაც ბიბლიაში უწოდებენ ე ლ, ე ლ ო ჰ ი მ ს). ბიბლიის კრიტიკოსებმა შეძლეს განესხვავებინათ ებრაული რელიგიის უძველეს გადმოცემათა ორი ძირითადი ტექსტი, რომლებიც ერთი და იგივე მითიდან გამომდინარეობენ — ისინი, რომლებიც ღვთაებას ელოჰიმს უწოდებენ, და მეორენი, რომლებიც ხმარობენ იაჰვეს სახელს. ძნელია იმის დადგენა, რომელია მათ შორის უძველესი, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გადაკეთებებს, რაც ამ ტექსტებმა განიცადეს განდევნისა და მის შემდეგ, ქურუმთა კასტისა და წინასწარმეტყველთა გავლენით V—IV საუკუნეებში.

ტერმინი ე ლ სხვა ღვთაებების სახელებთან ერთად აღმო-

[1] გამოსელათა, 34, 29

ჩენილია თიხის ფირფიტებზე; ისინი დაწერილია უგარიტულ ენაზე და აღმოჩენილია შეფერის მიერ 1923—1933 წლებში რას-შამრაში, პალესტინის ჩრდილო რაიონში. ეს წარწერები მიეკუთვნება ჩვ. წ. აღ.-მდე XIV საუკუნეს. ზოგჯერ ღმერთის სახელი, ალბათ, შორეული მატრიარქატის დროიდან, თან სდევს ქალის სახელს[1]. მეორე სახელის — იაჰვეს ზუსტი ფორმა დანამდვილებით ვერ იქნა დადგენილი, ვინაიდან გვიანდელ ეპოქამდე, თვით ქრისტიანობის წარმოშობამდე ებრაულ ტექსტებში ამ სახელს წერდნენ ფინიკიური ალფაბეტის ასოებით, მაშინ როცა ყოველდღიურ ცხოვრებაში იგი უკვე შეცვალა კვადრატულმა დამწერლობამ, რომელიც დღემდე შემორჩა. ამ უძველეს სახელს მისი მაგიური მნიშვნელობის გამო საიდუმლოდ წარმოთქვამდნენ. შესაძლებელია იგი ყღერდა როგორც იაჰუ (Jahu) ანდა როგორც ეჰო (Joho); ეს ყღერადობა აღინიშნება ზოგიერთ წესჩვეულებათა ფორმულებში, მაგალითად „ჰალელუ-ია" („დიდება უფალს") და ებრაელთა ისტორიის ბევრ საკუთარ სახელში, მაგალითად, ისეთში, როგორიცაა ეჰო-შუა (Jeho shua) — „ღმერთის დახმარება", რომელსაც ახლა არაზუსტად გამოვთქვამთ როგორც იესოს. ღმერთის სახელის მეორე ფორმა იყო ი ა ო (Jao), რომელსაც ალექსანდრიის ანტიებრაული წრეების მცდარი ეტიმოლოგია ეგვიპტურ სიტყვა „ეიო"-ს („ვირს") უკავშირებს. აქედან გამომდინარეობს მდაბიო აზრი იმის შესახებ, რომ ებრაელები თაყვანს სცემდნენ ღვთაებას, რომელსაც ვირის თავი ჰქონდა. ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნეში ამგვარი დანაშაული უკვე ქრისტიანებს წაუყენეს. როცა პომპეუსი 63 წელს იერუსალიმის ტაძარში შეიჭრა, გაკვირვებული დარჩა, რომ ვერ ნახა იქ ღვთაება ვირის გამოსახულებით, რადგან მას გაგონილი ჰქონდა, რომ ასეთი გამოსახულება წარმოადგენდა იუდეველთა რელიგიის დამახასიათებელ ნიშანს. შესაძლოა „იაჰვეს" ფორმა მიღებულ იქნა თეოლოგიური ეტიმოლოგიის გავლენით იმის გამო, რომ ადამიანები ცდილობდნენ ღვთაების

[1] იხ. ახალი გამოკვლევა J. G r a y. The legacy of Canaan. The Ras Shamra texts and their relevance to the old Testament (ჟურნალ „Vetus Testamentum" დამატება, V, 1957).

სხეულის დაახლოებას ზმნის — „ყოფნის“ ერთ-ერთ ფორმასთან: „ის ვინც არის“.

ამ ღმერთს სხვებსავით ჰყავდა ზეციური მეუღლე. მისი ისტორია თვით წინასწარმეტყველთა რეფორმების ეპოქამდე არსებითად არ განსხვავდება დანარჩენი ღმერთების ისტორიისაგან, რომლებიც მომთაბარე მესაქონლეობის ეპოქაში ერთმანეთს ენაცვლებოდნენ ანდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, საზოგადოების სტადიალური განვითარების შესაბამისად საუკუნეებიდან საუკუნეებში იცვლებოდნენ. გავიხსენოთ, რომ ძველ აღთქმაში მწყემსის ცხოვრება განსაკუთრებული პატივისცემით სარგებლობს, და საყოველთაოდ მიღებული ფორმულა, რომელიც ფართოდ იყო გავრცელებული ქრისტიანულ წრეებში, ღვთაებას ადარებს „კეთილ მწყემსს“. მხოლოდ ჩვ. წ. აღ.-ით III საუკუნეში, როცა მესაქონლეობამ უკვე კარგა ხნით ადრე დაჰკარგა ადრინდელი პრესტიჟი, ვიღაც რაბინმა მიაქცია ყურადღება იმ წინააღმდეგობას, რაც არსებობდა სახელწოდება „მწყემსსა“, რომლითაც მოხსენებულია ღმერთი ბიბლიაში, და იმ უპატივცემლობას შორის, რომლითაც ამიერიდან ეს ხელობა სარგებლობდა[1].

რაც შეეხება სახელ იეჰოვას (იტალიურად ჯოვას) ფორმას, მისი წარმოშობა საკმაოდ ნათელია და აიხსნება უბრალო ტრანსლიტერაციით.

ყოველთვის, როცა „საღმრთო წერილში“ ღვთაების სახელის აღმნიშვნელი ოთხი თანხმოვანი JHVH იყო ხმოვნების გარეშე, რომლებიც დამატებულ იქნენ ქრისტიანული ერის დასაწყისიდან მრავალი საუკუნის შემდეგ — ებრაელი ქურუმი ან ჩვეულებრივი ღვთისმოსავი მკითხველი იცავდა უხსოვარი დროიდან დაწესებულ აკრძალვას წარმოეთქვა სახელი გვაროვნული ღვთაებისა, რომელიც ხმამაღალი კითხვის დროს იცვლებოდა ტერმინ „ადონაით“, ე. ი. „უფალო ჩემო“. შუა საუკუნეების დასაწყისში ღმერთის სახელის თანხმოვნებს შო-

---

[1] Hama ben-Hamina. Omelia sul salmo 23 (იხ. Baron, op. cit., v. I, გვ. 341).

რის ჩაურთეს ხმოვნები, რომ გაეადვილებინათ მისი წარმოთქმა. აქედანაა იაჰოვა, ანუ იეჰოვა.

რასაკვირველია, ყოველგვარ აზრს მოკლებულია ფანტასტიკური ხრიკები, რომ დააახლოონ სახელი ჯოვა (Geova) და იუპიტერი (Giove). ხალხური რწმენიდან ეს მისწრაფება დანტეს პოეზიაშიც კი შეიჭრა[1]. სახელმა იუპიტერმა (Giove) განვლო განვითარების ტიპიური ინდოევროპული გზა. იგი იწვევს „სინათლის", „ზეცის" მეუფის ცნების ასოციაციას (ფესვი „დივ" — „div", „deivo"; მისგან: სანსკრიტული „deva", ირანული „daeva", ლათინური „deus", ბერძნული „zeus" („ზევსი"), ლიტვური „diewas", პრუსიული „deiwas" ჩრდილო გერმანული „tivar"); რთული ლათინური სიტყვა ი უ-პ ი ტ ე რ ი შეესაბამება ბერძნულ ზ ე ვ ს-პ ა ტ ე რ ს, რაც დასაწყისში ნიშნავდა „ზეცა-მამას", ხოლო შემდგომ „ზეციურ მამას".

ებრაელების მოსვლამდე პალესტინაში დასახლებული ხალხების ღვთაებანი უმთავრესად მიწათმოქმედებასთან იყვნენ დაკავშირებული, რაც მოწმობდა ამ ხალხთა ბინადარ ცხოვრებას. ასეთები იყვნენ „წმიდა" ქვები, ხეები, ბუნების ძალები (მზე, წვიმა, ქარი, მწერები) და, ბოლოს, ბ ა ა ლ ე ბ ი, ანუ „ბატონები", რომლებიც შეესაბამებოდნენ „მეპატრონეებს". თაყვანს სცემდნენ აგრეთვე ამაღლებულ ადგილებს, დამუშავებულ მინდვრებს. უმაღლესი არსებისა და იდუმალი ძალებისაგან განსხვავებით, რომლებსაც თაყვანს სცემდნენ მომთაბარეები, ქანაანელებისა და ფილისტიმელების ღმერთებს ჰქონდათ ტაძრები და მათ თაყვანს სცემდნენ გარკვეული წესჩვეულებებით. ებრაელი ტომების გამარჯვებას ამ ხალხებზე ბიბლია განმარტავს როგორც პალესტინის ღვთიური ძალების გამარჯვებას მტრულად განწყობილ ბ ა ა ლ ე ბ ზ ე, რომლებიც თანდათანობით დაყვანილ იქნენ დემონებამდე

---

[1] „სალხინობელი", VI თარგმანი კ. გამსახურდიასი.

„და ვით შევკადრო იუპიტერს ღვთისაგან ხელთდასხმულს,
ჩვენი გულისთვის გოლგოთზე ჯვარზე გასულო,
მართალნი თვალნი უცხოდ ხომ არ მოგიქცევია!"

(ასე, მაგალითად, ასტარტა გადაიქცა ასტაროტად, ბაალი ზევუვი — ბელზებელად, ბელი — ბელიალად, ანუ ბელიარად და სხვ.).

მაგრამ ჭეშმარიტი ებრაული რელიგია, რომელიც არსებობდა ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში, ჩამოყალიბდა კიდევ უფრო მოგვიანებით, როცა პალესტინის დამპყრობელმა ტომებმა არსებითად შეცვალეს თავიანთი ცხოვრების ნირი და გადავიდნენ საზოგადოების ეკონომიურ-სოციალური ორგანიზაციის ისეთ ტიპზე, რომლის დროსაც, მართალია, შედარებით რბილ ფორმებში, ვიდრე ეს ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვა ქვეყნებში იყო, სჭარბობს მონათმფლობელური ურთიერთობანი.

ებრაელთა ტომები მალე გაიყენენ ორ სამეფოდ: ჩრდილოეთის — ისრაელი, ცენტრით ბეთლემში, ხოლო სამხრეთის — იუდეია დედაქალაქ იერუსალიმით, მაგრამ მეტად ეფემერული იყო მათი არსებობა. ჩვ. წ. აღ.-მდე 586 წელს, ათასობით ადამიანის ბაბილონში წასხმის შემდეგ, ებრაელთა ეროვნული დამოუკიდებელი სახელმწიფოს ისტორია პრაქტიკულად დამთავრდა. მონათმფლობელობის დამახასიათებელ სოციალურ ჩაგვრას, რომლის წინააღმდეგაც უკვე გამოდიოდნენ პირველი წინასწარმეტყველნი (ამოსი, იერემია, ესაია), ემატებოდა ეროვნული ჩაგვრის ყველაზე უხეში ფორმები.

დამპყრობელთა მიერ მონადქცეული მასების გარდა, ათეული ათასობით ებრაელი ასე თუ ისე ნებაყოფლობით წავიდა ემიგრაციაში და დამკვიდრდა ხმელთაშუაზღვისპირეთის თითქმის ყველა დასახლებულ ცენტრში, ინდოეთსა და ჩინეთშიც კი[1]. თავისუფლების დაკარგვასთან დაკავშირებით ისახება და გამომუშავდება პოლიტიკური და სოციალური მხსნელის იდეა, რომელიც არ შეიძლებოდა სხვაგვარად გაფორმებულიყო თუ

---

[1] ზოგიერთი მონაცემის თანახმად, რომლებიც შეაგროვა ბერონმ თავის „ისრაელის სოციალურ და რელიგიურ ისტორიაში", რომის იმპერიის საზღვრებში ჩვ. წელთაღრიცხვის I საუკუნეში 60—70 მილიონ ადამიანზე მოდიოდა 7 მილიონზე ცოტათი ნაკლები ებრაელი; ამათგან 4 მილიონი ცხოვრობდა პალესტინის გარეთ.

რა ახალი მეფის (მ ე ს ი ი ს), მხედართმთავრისა და ეროვნული განმათავისუფლებლის სახით.

ეს წარმოდგენა გარკვეული ევოლუციის შემდეგ, რომლის ყველა ფაზის დადგენა ძნელია, გაიგივებულ იქნა მონოთეისტურ რეფორმასთან, რამაც ებრაულ რელიგიას მიანიჭა ის ხასიათი, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში დარჩა ადამიანთა მეხსიერებაში.

4. ᲕᲘᲜᲐᲡᲬᲐᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲜᲘ ᲘᲡᲠᲐᲔᲚᲘᲗᲐᲜᲘ

ძველი გადმოცემის თანახმად, რომელიც დაადგინა და დააზუსტა არისტოტელემ, ჩვ. წ. აღ.-მდე 621 წელს ათენში გამოქვეყნებულ იქნა დრაკონის კანონები.

რომის იმდროინდელი ისტორია გახვეულია თქმულებათა ბურუსში. მაშინ აღმოსავლეთში სჭარბობდნენ მსხვილი ცენტრალიზებული მონარქიები, რომლებიც ოდითგანვე ცდილობდნენ გაევრცელებინათ თავიანთი ბატონობა დასავლეთში, საბერძნეთის ნახევარკუნძულამდე. მკაცრი კლასობრივი ბატონობის ინტერესებით შთაგონებული დრაკონის რეფორმა მოწმობს, რომ იმ დროს არსებობდა სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის უფრო განვითარებული ფორმა, ტიმოკრატია, რომელიც წარმოადგენდა ათენში მონების ფართო ფენებისა და თავისუფალი ხელოსნების საზიანოდ ჩამოყალიბებული ძველი, გვაროვნული და ახალი, ფინანსური არისტოკრატის კაეშირის გამოხატულებას. ამავე პერიოდში პალესტინის სამხრეთ სამეფოში, იუდეაში, სადაც საზოგადოებრივი ურთიერთობა ჯერ კიდევ ნაკლებად იყო განვითარებული, ყალიბდებოდა სახელმწიფოებრივი წყობილება, რომელიც ვითარდებოდა ეროვნული დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგაც რომაელთა მიერ პალესტინის დაპყრობამდე. ეს იყო თ ე ო კ რ ა ტ ი უ ლ ი სახელმწიფო, რომელსაც კონტროლსა და ხელმძღვანელობას უწევდა ქურუმთა კასტა. სწორედ ჩვ. წ. აღ.-მდე 621 წელს[1], მეფე იოსიას მეფობის მეთვრამეტე წელს, დიდმა ქურუმმა

---

1 სხვა მონაცემებით 622 წელს. — რ ე დ.

ილპიამ იერუსალიმში განაცხადა, რომ იერუსალიმის ტაძრის აღდგენის დროს „აღმოჩენილია“ გრაგნილი კანონთა წიგნისა. ამგვარი „მონაპოვრებით“, რომლებითაც სურდათ გაემართლებინათ იმდროინდელი წესჩვეულებების საწინააღმდეგო პოლიტიკური და რელიგიური რეფორმები, მდიდარია ძველი საზოგადოების ისტორია. ძნელია იმის თქმა, თუ რას წარმოადგენდა თავისთავად ეს კანონთა წიგნი. თანამედროვე მეცნიერება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აქ, ალბათ, ლაპარაკია ბიბლიის უკანასკნელ მეხუთე წიგნზე, მეორე გამოსვლაზე, რომელსაც გადმოცემა მოსეს მიაწერს.

იოსიას რეფორმამ კანონმდებლობის გზით მოსპო ყველა ნიშანი ძველი კულტებისა, რომლებიც ისრაელთა ტომებმა ქანაანელებისაგან გადმოიღეს. ტაძარი გაწმინდეს, ხოლო იმ ადგილს, სადაც ბავშვებს სწირავდნენ ბაალს, საქვეყნოდ წაართვეს საღვთო მნიშვნელობა[1]. ებრაელი ხალხი თავის მოვალეობად თვლიდა მხოლოდ ერთი — საკუთარი ღვთაებისადმი ერთგულებას, ყველა დანარჩენი გამორიცხული იყო. ისრაელსა და მის ღმერთს შორის დადებულ იქნა რაღაც შეთანხმების, ხელშეკრულების მსგავსი. ხალხმა თავისი ბედ-იღბალი იაჰვეს ჩააბარა, ღმერთმა კი, თავის მხრივ, აყვავება, ხსნა და მტერზე გამარჯვება აღუთქვა მას.

პალესტინის სამიწათმოქმედო ღვთაებების სამლოცველოები „ჰეებადან ბეერშებამდე“ გააუქმეს და უწმინდურად გამოაცხადეს. ღმერთ მელეჰის („მეფე“) სახელი ხმოვნებით შეთავსებულ იქნა სიტყვა „ბოსკეტთან“ („ნაკელი“), და წარმოიქმნა სიტყვა მოლეჰ, ანუ მოლოჰ. ამ კულტების ქურუმებს თავი მოუყარეს იერუსალიმში და დაუნიშნეს მათ განსაზღვრული თანხა ტაძრის შემოსავლიდან (მათ უწოდებდნენ „კო-

---

1. ამ საკითხზე ზედმეტი არ იქნება ძველი წიგნის—E. Ferriere. Paganisme des Hebreux jusqu'á la captivité de Babylone. Paris, 1884 — წაკითხვა. პ. ოსგუდას რომანში „შეყვარებული ცოდვილი“ (P. E. Osgood. The sinner beloved. New York,American Press, 1956) დაწვრილებით არის აღწერილი იაჰვეს ბრძოლა ცოლ-ქმარ ასტარტასა და ბაალთან — ნაყოფიერებისა და სიუხვის ღმერთებთან, რომელთა სიმბოლოები გვხვდება საშო ორგანოების გამოსახულებებში.

ჰანინებს" — მრავლობითი სიტყვა „კოჰენიდან" — „ქურუმი"). მაგრამ ისინი ჩამოაცილეს მღვდელმსახურებას, რომელსაც ასრულებდნენ მხოლოდ ლევიტელები, და განსაკუთრებით იაჰვეს „ნამდვილი" კულტის ლეგენდარული დიდი ქურუმი „სადოკის სახლის" წევრები. ამ ქურუმის სახელი დაერქვა სადოკებისა და „სადოკის შვილების" მოძრაობას, რომელიც მოხსენიებულია მკვდარი ზღვის რაიონში 1947 წელს ნაპოვნ ებრაულ მანუსკრიპტებში.

ისრაელში შეიჭრნენ ბაბილონელები, ამას მოჰყვა სპარსეთის შესევა და ისრაელის დამორჩილება, შემდეგ ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის ნანგრევებზე განმტკიცდა მისი მემკვიდრეების დინასტიები, მაგრამ მთავრობისა და კულტის ორგანიზაცია კვლავინდებურად ღმერთთან დადებული შეთანხმების საფუძველზე ვითარდებოდა.

რეფორმის თავგამოდებული გამტარებლები იყვნენ ეგრეთ წოდებული წინასწარმეტყველნი, რომლებიც ისტორიის განმარტებას ცდილობდნენ იაჰვესა და მისი ხალხის შეთანხმების მკაცრად დაცვის სულისკვეთებით. ისრაელის ყველა უბედურებასა და ყველა კატასტროფას ისინი განიხილავდნენ როგორც ერის შეცდომებითა და მისი მმართველი ფენების დანაშაულებებით გამოწვეული ღვთაებრივი რისხვის ნიშანს: წინასწარმეტყველთა ნაწარმოებები, რომლებიც ბიბლიურ საღვთო წერილებში შევიდნენ, მოკლებულნი არ არიან ლიტერატურულ მნიშვნელობას. ისინი წარმოშვეს გარკვეულმა პოლიტიკურმა და საზოგადოებრივმა მისწრაფებებმა და ხშირად გამოხატავდნენ პალესტინის ყველაზე დაჩაგრული და დამცირებული მასების აღშფოთებასა და პროტესტს.

ტომის მკაცრი კანონების წინააღმდეგ, რომლებიც აღბეჭდილია უძველეს გამონათქვამში: „მამები სჭამდნენ ისრიმსა, ბავშვებს კი კბილსა ჰკვეთავდა", პროტესტს აცხადებენ იერემია და განსაკუთრებით კი ეზეკიელი: „ყველა მოკვდება საკუთარი უკანონობის გამო; ვინც შესჭამს ისრიმს, კბილიც მას მოეკვეთება". მდიდრებისა და ხელისუფალთა გაკიცხვა საკმაოდ მკვეთრ ფორმებს იღებს. ებრაული წარმოშობის მონების ყოლა ითვლება ყველაზე დიდ ცოდვად ერის წინაშე. ამ-

გვარი დასაშაულისათვის და მონების სრულ განთავისუფლებაზე უარისთქმისათვის მეპატრონენი უნდა განადგურდნენ, თუნდაც ამას მოჰყვეს მთელი ქვეყნის გაჩანაგება.[1]

ბერძნულ-რომაული რელიგიის ორაკულების, პათიების, წინასწარმეტყველთა და სიბილებისგან განსხვავებით ისრაელი წინასწარმეტყველი (ნაბი, ნებიიმ) არც ბედ-იღბალს წინასწარმეტყველებდა და არც მომავალზე მკითხაობდა. წინასწარმეტყველის როლი შეესაბამებოდა მის სახელს, რომელიც ნიშნავდა „ის ვინც ლაპარაკობს" გარკვეული საზოგადოებრივი ჯგუფისათვის, ის ვინც შთაგონებულია ღვთაებისაგან მთელი ხალხის შესაგონებლად. და მხოლოდ კარგა მოგვიანებით, როცა წინასწარმეტყველი ქმნის მოსული მეფე-მსხნელის წყალობით ერის აღორძინებისა და მისი მომავალი განთავისუფლების რაღაც ფანტასტიკურ აღწერილობას, წინასწარმეტყველობის ცნება იძენს თანამედროვე მნიშვნელობას. ეგრეთ წოდებულ წინასწარმეტყველურ წერილებს ცვლის ახალი ლიტერატურული ფორმა, რომელიც კიდევ უფრო ახლოა ქრისტიანობის სათავეებთან. ამ პერიოდის დოკუმენტები ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნიდან შეიცავენ სახარების პროპაგანდის ძირითად მოტივებს. ლაპარაკია ა პ ო კ ა ლ ი პ ს უ რ ლიტერატურაზე.

წინასწარმეტყველთა გავლენა დაეტყო იუდაიზმის იმ ძირითად წესებს, რომლებიც შემდეგ ქრისტიანულმა ტრადიციამ გადმოიღო. ეს წესები „ათი მცნების" სახელწოდებითაა ცნობილი. მათ ჩვენამდეც მოაღწიეს. ძველი ლეგენდა გვარწმუნებს, რომ ისინი უფალმა შთააგონა მოსეს ცამეტი თუ თხუთმეტი საუკუნით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. საღმრთო სჯულის სწავლება და ამერიკული ფილმების ბავშვური ინსცენირებანი ჩვენს დროში დიდად უწყობენ ხელს დასავლეთში ძველი ბიბლიური თქმულებების გავრცელებას. თუმცა ეს არც ისე უბრალოდ ხდება, როგორც ისინი ხატავენ. რელიგიური და საზოგადოებრივი ცხოვრების ამ წესების ისტორიას, რომლებსაც გარკვეული მორალური ღირებულება ჰქონდა და სავალ-

[1] იერემია, ლდ, ზ-კა.

დებულო იყო თითოეული მორწმუნისათვის, სრულიად სხვა-დასხვა და ხშირად ერთმანეთის საწინააღმდეგო ეპოქებში გადავყავართ. ეს წესები ჩამოყალიბდა არა ერთიან თანამიმდევრულ პროცესში, არამედ რელიგიურ წესჩვეულებათა თანდათანობით გარდაქმნის შედეგად. პირველ რიგში უნდა შევნიშნოთ, რომ ებრაულ ტექსტში არსად არ არის ლაპარაკი „ათ მცნებაზე", იქ ლაპარაკია „ათ სიტყვაზე", რაც სრულყოფილად გადმოგვცემს ბერძნულ სიტყვას „დეკალოგო" — „ათსიტყვეული", რომელიც „სამოცდაათი განმმარტებლის" თარგმანიდან ფილონ ალექსანდრიელმა ისესხა, ხოლო ამ უკანასკნელისაგან კი პირველმა საეკლესიო მამებმა.[1] ლაპარაკია იქ საზეიმო სიტყვებზე, რომლებიც თითქოსდა იაჰვემ წარმოთქვა სინას მთაზე (იქ, შესაძლებელია, ჰამლოცველო იყო) და რითაც ღმერთმა ჰამოკავშირეო ხელშეკრულება განამტკიცა თავის ხალხთან. ისრაელთ აღუთქვეს მას განსაკუთრებული მორჩილება, მისგან კი ჰანაცვლოდ მიიღეს პალესტინის დაპყრობისა და მისი შენარჩუნების გარანტია.

ბიბლიის პირველ ხუთ წიგნში ეს ხელშეკრულება სხვადასხვანაირად და ერთმანეთის საწინააღმდეგოდ არის გადმოცემული. თუმცა, ვიდრე მათ შეეხებოდეთ, სჯობს ის გამოვარკვიოთ, თუ რა მოვლენებმა წარმოშვეს ეს ლეგენდა.

როცა დეკალოგოს გამოქვეყნების ლეგენდა წერილობით სახეს იღებდა, ებრაელები უკვე ასეული წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ „აღთქმული ქვეყნის" ყველაზე ნაყოფიერ მიწებზე. ამ ტერიტორიის მკვიდრი მოსახლეობა, რომელთა მეშვეობითაც მოსულები გაეცნენ მიწათმოქმედებას და მიწათმოქმედთა ღმერთების კულტს, დამორჩილებულ იქნა, ხოლო მისმა დიდმა ნაწილმა ასიმილაცია განიცადა. მაგრამ საჭირო იყო ამ მიწების ფლობის კანონიერი უფლების დადასტუ-

[1] კერძოდ, ბერძნულ ბიბლიაში ეს სიტყვა იხმარება მხოლოდ მრავლობით რიცხვში: „დეკალოგოი", ასევე გამოიყენა იგი ფილონმაც; მხოლოობით რიცხვში ეს სიტყვა („დეკალოგოს" ანალოგიურად სიტყვისა „ბიბლოს", „წიგნი"), პირველად კლემენტ ალექსანდრიელთან და ტერტულიანესთან („სულის შესახებ" — „De anima", XXXVII) გვხვდება. კლასიკურ ლიტერატურაში მსგავსი ხმარება, ალბათ, არ გვხვდება.

რება ღვთაების მიერ სანქცირებული ზუსტი ხელშეკრულებით. აქედან წარმოსდგება ის როლი, რომელსაც გადმოცემა მიაწერს ისრაელის ტომობრივი მითოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას გმირს — მოსეს, როგორც დამპყრობელსა და კანონმდებელს.[1]

თქმულება ამბობს, რომ ეგვიპტის მონობიდან განთავისუფლების მესამე თვეს მოსე ავიდა სინას ნახევარკუნძულის ერთ-ერთ მწვერვალზე, სადაც ახლა ებრაელები არაბებს ესაზღვრებიან. და ელვასა და ჭექა-ქუხილში, ბურუსში გახვეულმა (ეს შესაძლოა გამოძახილი იყოს ვულკანთა რომელიმე უძველესი ღვთაებისა) ღმერთმა იაჰვემ მოსეს თანდასწრებით საკუთარი ხელით ამოკვეთა აღთქმის ტექსტი ქვის ორ ფირფიტაზე, რომლებმაც მას შემდეგ მიიღეს სახელწოდება: „ფიცარნი ქვისანი"[2] ან „სჯული და მცნებანი"[3].

მაგრამ ისრაელის „გულმაგარი" ხალხი მომთაბარეებისა და მესაქონლეთა ტომობრივ ღმერთს ამჯობინებს პალესტინის მიწათმოქმედთა ღვთაებებს, რომელთა შორისაც არის დიდი ქურუმის აარონის ხარის მსგავსი ღმერთი. შეურაცხყოფილი კანონმდებელი ნამსხვრევებად აქცევს კანონთა ფირფიტებს და ღვთაებრივი რისხვით ემუქრება თავის ტომებს. მაგრამ თუ იაჰვე — ეჰვიანი ღვთაებაა,[4] იგი ამავე დროს მოწყალეცაა, როგორიც შეფერის მეუფეს თავისი მონების მიმართ. ის უბრძანებს მოსეს გამოჭრას ამავე ფორმის ორი სხვა ქვის ფირფიტა და კვლავ საკუთარი ხელით ამოჰკვეთს მათზე თავის აღთქმებს.

---

[1] არაფერი არ იძლევა იმის უფლებას, რომ მოსე ისტორიულ პიროვნებად ჩავთვალოთ (იხ. კრეგლინგერი, ისრაელის რელიგია, გვ. 56, შენიშვნა). მისი სახელი ეგვიპტური წარმოშობისაა (მეშუ, ანუ მოშე). იგი ნიშნავს არა „წყლიდან გადარჩენილს", არამედ რომელიღაც გარკვეულ ღვთაების „ძეს" (მაგალითად, ამონ-მოშე, ათონ-მოშე, პტახ-მოშე და სხვ. ამის მსგავსი). გეოგრაფი სტრაბონი ლეგენდას ლეგენდას უმატებდა, მოსეს შესახებ დიდი გულთბილობით წერდა და გამოსახავდა მას სტოიკოს ფილოსოფოსთა მსგავსად („География", XVI, 2, 35).

[2] იხ. გამოსვლათა, თავი კდ.

[3] იხ. მეორე სჯულისა, თავი თ.

[4] იხ. გამოსვლათა, თავი ღდ.

ამ ლეგენდარული მოვლენის მეორე ვერსიის თანახმად, მეორე დეკალოგი თითქოს მოსემ ამოკვეთა ქვაზე თვით ღმერთის კარნახით.[1] თუმცა ეს უარიანტები სერიოზულად არასდროს არ ყოფილა საჩოთირო მორწმუნეთა ღვთისმოსაობისათვის. შემდეგ ყველა ვერსიაში მოთხრობილია, რომ ახალი ფირფიტები მოთავსებულ იქნა კიდობანში, რომელმაც აწ და მარადის მიიღო სახელწოდება „კიდობანი გამოცხადებისა"[2].

როგორია აღთქმის ეს ათი სიტყვა, ანუ რიტუალური ნორმები?

კიდევ ერთხელ უნდა გავიმეოროთ, რომ არსებობს მათი სხვადასხვა ვარიანტები. მაგრამ ბიბლიური ტექსტების კრიტიკამ საშუალება მოგვცა გამოგვეყო პირველი ვარიანტი, რომელიც მესაქონლე კლანების ხანას მიეკუთვნება და გადმოცემულია გამოსვლათა წიგნის 34-ე თავში. ეს თავი შეიცავს ეგვიპტიდან ისრაელთა გამოქცევის რომანტიკულ აღწერას.

აი როგორ უნდა გამოიყურებოდეს ეს ტექსტი თავის უძველესი ფორმით:

1. შენ არ უნდა სცე თაყვანი სხვა ღმერთს, გარდა უფლისა.

2. ნუ გაიხდი ღმერთებად კერპებს.

3. ყოველთვის დაიცავი დღესასწაული უცომეობისა ხსოვნად შენი გამოსვლისა უდაბნოდან (ებრაული ტერმინი „პესაჰ" ბერძნულ ენაში „პასჰად" გადაიქცა, საიდანაც წარმოდგა იტალიური „pasqua").

4. ყოველივე პირველქმნილი — ჩემია. გამოისყიდე შესაწირავით ყოველი პირველშობილი მსხვილი თუ წვრილი საქონლისა და „ყოველი პირმშო ძენი შენი".

5. არასდროს გამოცხადდე ჩემთან ხელცარიელი.

6. წელიწადში სამჯერ უნდა გამოცხადდეს მთელი მამრობითი სქესი უფლის წინაშე... (მესაქონლეთა სამი დღესასწაული: გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის).

---

[1] იხ. გამოსვლათა, თავი ლდ.

[2] გამოსვლათა, „—"ლზ.

7. არასდროს დაღვარო ჩემი შესაწირავის სისხლი სამლოცველოსთან (მოგონებანი სისხლის წმინდა ხასიათთან დაკავშირებული ძველი რიტუალური აკრძალვებისა).

8. დილამდე ნუ გადასდებ ჩემთვის შემოწირულის შეწმას (რათა არ გამოიფიტოს მაგიური ძალა, რომელიც ღმერთისათვის შეწირულ ყველა ცხოველს აქვს).

9. შენი მიწის პირველი ნაყოფი მიიტანე იაჰვეს ტაძარში.

10. „არ შეაგბო კრავი სძითა დედისა თვისისათა" (ესეც ძველი რიტუალური აკრძალვაა, რომელიც მაგიურ ფორმაში არის გადმოცემული ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნის ფირფიტაზე, და რომელიც ნაპოვნია კალაბრიაში, მაგნა გრაციას სამარხში: „კრავო, მე ჩავვარდი რძეში", ე. ი. მსურს გავხდე უკვდავი).

როცა ებრაელებმა გაიარეს მომთაბარეობის სტადია და ბინადარი მიწათმოქმედნი გახდნენ, მათ შეითვისეს კერძო საკუთრებასა და უფრო მკაცრ რელიგიურ დებულებებზე დამყარებული საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ნორმები. სწორედ ამ პერიოდს მიეკუთვნება ის დეკალოგი, რომელმაც სახე შეუცვალა ყველა ძველ ადათ-ჩვეულებებს, რომლებიც იმ დროისათვის გაუგებარნი გახდნენ, და დაუმატა მათ მორალური თვალსაზრისით უფრო შინაარსიანი ახალი წესები, მაგრამ არც ისინი გამოდიოდნენ მონათმფლობელური საზოგადოების ნორმების ჩარჩოებიდან.

ახალი „ათი სიტყვა" — ძველებრაულ ენაზე „თორა", ებრაელი ხალხის კანონი, — გაერთიანებულია ორი ერთმანეთისაგან ოდნავ განსხვავებულ ტექსტში, რომელიც ჩვ. წ. აღ.-მდე VII—IV საუკუნეებს მიეკუთვნება. მათ შორის უფრო უძველესი მოყვანილია მეორე სჯულისაში (თავი 5, მუხ. 6—18). იგი შეეხება ზოგიერთ სოციალურ საკითხს და შესაძლებელია უშუალო კავშირში იყო რელიგიურ პროგრამასთან და მორალურ რეფორმასთან, რომელსაც წინასწარმეტყველნი მოითხოვდნენ. მეორე კი, რომელიც შესულია გამოსვლათაში (თავი 20, მუხ. 2—17), ზნეჩვეულებრივ-დამრიგებლური ხასიათისაა და, ალბათ, ქურუმების მიერ არის შედგენილი უფრო-გვიანდელ პერიოდში, ბაბილონელების მიერ იერუსალიმის დაპყრო-

ბიდან (ჩვ. წ. აღ.-მდე 586 წლიდან) ასი ან ორასი წლის შემდეგ.

აი ეს ტექსტი მისი ახალი სახით:

1. „ნუ იყოფინ შენდა სხუა ღმერთი ჩემსა გარე" — ეს რიტუალური მონოთეიზმის დამამტკიცებელია და არა თეოლოგიურისა. დე სხვა ხალხებს ჰყავდეთ თავიანთი ღმერთები, ებრაელებმა არავითარი ფორმით არ უნდა სცენ მათ თაყვანი.

2. „არა იქმნე თავისა შენისა კერპნი გამოქანდაკებულნი, არცა მსგავსი ყოვლისავე, რომელ არს ცასა შინა ზესკნელს, და არცაღა რომელ არს ქვეყანასა ზედა ქუესკნელ, და რომელ არს წყალთა შინა ქუე". კერპთაყვანისმცემლობის უარყოფა გულისხმობს ადამიანისა და ცხოველის გამოსახულების დაგმობას. მრავალი საუკუნის შემდეგ ეს აკრძალვა მუსლიმანურ რელიგიაშიც გადავიდა.

3. „ნუ ჰფუცავ სახელსა უფლისა ღუთისასა შენისასა სიცრუვით". მან, ვინც იცის ღვთაების საიდუმლო სახელი, შეუძლია გამოიყენოს ის მაგიური ძალა, რომელსაც იგი იძლევა, და აქედან გამომდინარე, აუცილებელია ხელი შეეშალოთ უცხოელებს დაეუფლონ ამ სახელის საიდუმლოებას.

4. „დაიცვენ დღე იგი შაბათისა და წმიდა ჰყო იგი". უფრო ძველ ვარიანტში ყოველკვირეული დასვენების წესი დაკავშირებულია იმასთან, რომ ეგვიპტეში გატარებული მონობის წლების მოგონების ნიშნად, ებრაელი ვალდებული იყო დასვენება მიეცა მონისათვის ყოველ მეშვიდე დღეს. კიდევ უფრო გვიანდელ ტექსტში, რომელიც ქურუმების გავლენას გამოხატავს, ამ აღთქმის ახსნას თეოლოგიური ხასიათი აქვს: თვითონ იაჰვე ქვეყნის შექმნის მითში მეშვიდე დღეს ისვენებდა.

სიტყვა „შაბათი" (ებრაული სიტყვა „შაბბათ") თითქმის უეჭველად წარმოშობილია ბაბილონური „შაბათთუ"-დან, რაც ნიშნავს „მთვარის მოვანების დღესასწაულს" (რეგულარულად ზეიმობდნენ აგრეთვე ახალი მთვარის დღესასწაულსაც). ბაბილონელებმა იგი შუმერებისაგან გადმოიღეს, ბაბილონელებისაგან — ქანაანელებმა, მაგრამ მეშვიდე დღეს იგი, როგორც ჩანს, იუდეველებმა შეუფარდეს. ბაბილონელები თავს იკავებდნენ მუშაობისაგან ორი თვის — ელულისა და მარკესვანის

„არა ბედნიერ“ დღეებში — 7, 14, 21, 28 რიცხვებში. VII საუკუნის ებრაელი წინასწარმეტყველების ჩაგონებით, ეს რიცხვები დასვენებისა და სამადლობელი დღეებია როგორც ბატონების, ისე მონებისთვისაც. რომაელ მონათმფლობელებს, რომლებსაც კარგად ესმოდათ მონათა იდეოლოგია, ამგვარი სარწმუნოება უცნაურად ეჩვენებოდათ. სენეკა ჩიოდა, რომ „ასე ადამიანური შრომის მეშვიდედი იკარგებაო“, ტაციტი კი სთვლიდა, რომ შაბათის დასვენება მოწმობს ებრაელთა მიდრეკილებას სიზარმაცისაკენ! ამ ადათის წარმოშობა რომ განემარტათ, უმატებდნენ აგრეთვე მის ფანტასტიკურ კავშირს პლანეტა სატურნთან.[1] აქედანაა შაბათის სახელწოდება ზოგიერთ თანამედროვე ევროპულ ენაში, მაგალითად ინგლისურში — „სატურნის დღე“[2].

იმასთან დაკავშირებით, რომ იმპერიის პირველ საუკუნეებში გავრცელებული იყო მზე- ღმერთის კულტი, ქრისტიანები მომხრენი იყვნენ დასასვენებელ და სალოცავ დღედ მიეღოთ „უფალი მზის“ დღესასწაული — კვირა, რომელიც ამიერიდან მიძღვნილ იყო ახალი ღვთაებისადმი — იესოსადმი (dies domenica[3]). ამას საფუძვლად ედო არა მარტო ებრაული ადათის უარყოფის სურვილი, არამედ რელიგიური პრესტიჟის მოტივებიც. მაგრამ ამ ახალ ადათზე გადასვლა დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული; პროტესტანტული სარწმუნოების ზოგიერთი ნაირსახეობის მიმდევარნი ახლაც კი დასვენების დღედ შაბათს თვლიან — „მეშვიდე“ დღის მიხედვით (მაგალითად, მეშვიდე დღის ადვენტისტებმა 1846 წელს ამე-

---

[1] Тацит, Истории, V, 2, 4. შაბათის ევოლუციის შესახებ ნახეთ ზემოთ ციტირებული ბერონის წიგნი და სასარგებლო წიგნი ამერიკული სერიიდან „Signet Key Books“ — A. Powell Davies. The Ten commandements. New York, 1936.

[2] ძველი წარმოდგენები კვირის დღეების კავშირისა ციურ სხეულებთან სხვა დღეების სახელწოდებებშიც შემორჩნენ. იგივე ინგლისურ ენაში კვირა — Sunday — „მზის დღე“, ორშაბათი — Monday — „მთვარის დღე“ და მრავალი ამის მსგავსი — რ ე დ.

[3] ლათინურად „დღე ღვთისა“. შეცვლილი ფორმით ეს სიტყვა გადმოვიდა თანამედროვე რომანულ ენებში. — რ ე დ.

რიკაში შექმნეს მიმდინარეობა, რომელიც მიზნად ისახავდა ბიბლიური წინასწარდასახულობის ზუსტად შესრულებას ქრისტეს მეორედ მოსვლის მოლოდინში).

5. „პატივ უყავ მამასა შენსა და დედასა შენსა", რომ შენც დღეგრძელი იყო, უმატებს ორივე ბიბლიური ვერსია.

6. „ნუ კაც კლავ". ებრაულ ტექსტში სიტყვასიტყვით ნათქვამია „ნუ მოჰკლავ", ანუ ნუ მოჰკლავ შ ე ნ ი კლანის წევრს; მტრების მკვლელობა, ბავშვებისა და ქალების ჩათვლით, არა თუ დაშვებულია, არამედ ამას კატეგორიულად ბრძანებს ღმერთი იაჰვე. სხვათა შორის ყურანის მეექვსე აღთქმა გვაუწყებს: „არავინ არ მოჰკლა იმათგან, ვისი მოკვლაც ალაჰმა აგვიკრძალა, თ უ ა რ გ ა ქ ვ ს ა მ ი ს ა თ ვ ი ს ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი მ ი ზ ე ზ ი". ადრეულ ბედუინთა ტომების მკაცრ კანონთან შედარებით აქ ცივილიზაციისაკენ წინ გადადგმული ნაბიჯია.

7. „ნუ იმრუშებ", რაც ებრაული კანონის თანახმად ნიშნავს: ნუ შეაცდენ გათხოვილ ან დანიშნულ ქალს, მას შემდეგ რაც მისი სასყიდი უკვე გადახდილია.[1] გაუთხოვარი ქალის ან მხევლის შეცდენა — ეს მრუშობა არ არის. საქმე ეხება არა მორალს, არამედ საკუთრების უფლების დარღვევას. მხევალის შეცდენის შემთხვევაში მის მეპატრონეს უფლება ჰქონდა მოეთხოვა ფულადი ანაზღაურება.

8. „ნუ იპარავ".

9. „ნუ ცილსა სწამებთ მოყუსისა შენისა ზიმართ: მოწმობითა ტყუილისათა".

10. „ნუ გული გითქვამნ ცოლსა მოყუსისა შენისასა, ნუცა გული გითქვამს სახლსა მოყუსისა შენისასა, ნუცა ქვეყანასა მისსა, ნუცა მონასა მისსა, ნუცა მხევალსა მისსა, ნუცაღა კარსა მისსა, ნუცა კარაულსა მისსა, ნუცა ყოველსა საცხოვარსა მისსა, ნუცა ყოველივე რა ცა იყოს მოყუსისა შენისა".

ებრაული ტერმინი „გული გითქვამს" ნიშნავს „ესროლო მზერა რაიმეს", ამიტომ გამორიცხული არ არის, რომ ეს აღთქმა დაკავშირებულია „გათვალვასთან", ანუ რწმენა იმისა, რომ

---

[1] იხ. გამოსვლათა, თავი კბ, მუხლი — ივ.

შესაძლებელია ავნო ადამიანს მისი ქონების მითვისების უსამართლო სურვილით და მიითვისო კიდეც ის ჯადოსნობის საშუალებით. ასევე აღნიშნული იყო, რომ დეკალოგის ყველაზე უფრო ძველ ტექსტში ქალი უბრალოდ არის ჩამოთვლილი ქონების ყველა სხვა სახეობებთან ერთად, მაშინ როცა მეორე სჯულისაში იგი გამოყოფილია ცალკე კატეგორიად, ასე რომ კათოლიკურმა ეკლესიამ მეათე აღთქმა გაპყო ორ ნაწილად, თუმცა, წინასწარ გააერთიანა ორი პირველი და მოაცილა კერპთაყვანისმცემლობის დაგმობა, რომელმაც, ერთი მხრივ, უკვე დაკარგა მნიშვნელობა, და მეორე მხრივ — აღმოჩნდა წინააღმდეგობაში მორწმუნეთა რელიგიურ პრაქტიკასთან, რომლებიც თაყვანს სცემდნენ ღვთაებებისა და წმინდანების გამოსახულებებს.

ამ უკანასკნელი შენიშვნით ჩვენ დავამთავრებთ და მოვაგონებით მკითხველს, რომ „ათი აღთქმის" ქრისტიანული ფორმულირება რამდენადმე განსხვავდება ზემოთ მოყვანილისაგან. მისი ახალი ტექსტი ეკუთვნის წმ. ავგუსტინეს და შედგენილია ჩვ. წ. აღ.-ით V საუკუნის გარიჟრაჟზე. მაგრამ შემდგომ ეს ვარიანტიც გადაკეთებულ და შემოკლებულ იქნა კათოლიკური კატეხიზმოსათვის ტრიდენტის საეკლესიო კრებაზე XVI საუკუნეში (განყ. IV, კანონი 19).

მას შემდეგ აღთქმათა ტექსტის რამდენადმე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა.

5. მესიის მოლოდინი

ებრაული რელიგიის შესწავლის დროს ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მოვლენას — ტერმინების მ ე ს ი ა ნ ო ბ ი ს ა და ქ რ ი ს ტ ი ა ნ ო ბ ი ს ეკვივალენტურობას. მათი მსგავსება ლინგვისტიკური თვალსაზრისით არ მოითხოვს მტკიცებას, რადგანაც სიტყვა „ქრისტე" წარმოდგება ბერძნული ზმნიდან ქ რ ი ო, „წასმა", იგი ზუსტი თარგმანია ებრაული სიტყვისა „მაშიაჰ", ე. ი. „მირონცხებული", „მეფე", „მესია".

ძველ აღთქმაში ასე იწოდებიან ეროვნული ბელადები,

ქურუმები და წინასწარმეტყველები, რომლებსაც საზეიმოდ აქვთ მინიჭებული ეს წოდება თავსა და ტანზე არომატული ზეთისცხებით — ასე სრულდებოდა განდობის მაგიური წესჩვეულება. მაგრამ ძალიან მალე, როცა მონარქიული წყობილება გაბატონდა, ტერმინის მნიშვნელობა ვიწროვდება: „მესია" ხდება სინონიმი თვითმპყრობელისა, მეფისა, მით უმეტეს, რომ ებრაული ტრადიციების მიხედვით მონარქს ქურუმის ფუნქციებიც ეკისრებოდა.[1]

როცა ჩვ. წ. აღ.-მდე IV—III საუკუნეებში ექსორიაში მყოფ, განსაკუთრებით მცირე აზიასა და ეგვიპტეში მცხოვრებ ებრაელებს დასჭირდათ სიტყვა „მაშიაჰის" თარგმნა ხმელთაშუაზღვისპირეთის მოსახლეობის ენაზე, ე. ი. ბერძნულ ხალხურ კოინეს ენაზე, მათ გამოიყენეს ერთადერთი სიტყვა, რომელსაც შეეძლო -სიტყვასიტყვით გადმოეცა უძველესი ცნება, — „ქრისტე" და სამღვთო წერილების საფუძველზე დაიწყეს ფანტაზიორობა რჩეულის, ქრისტეს, დავითის შთამომავლის მეორედ მოსვლის შესახებ, რომელმაც, მსგავსად ამ უდიდესი მეფისა, რომელმაც ოდესღაც გააერთიანა ისრაელის ხალხი, თითქოს გაანთავისუფლა იგი მტრებისაგან და აღადგინა „სამეფო".

და მაინც ეს ფაქტი სცილდება უბრალო ეტიმოლოგიური შეპირისპირების ფარგლებს და შეუძლებელია მისი შეზღუდვა წმინდა ისტორიული კვლევის ჩარჩოებით. აქ ჩვენ საქმე გვაქვს იდეათა სამყაროში ადამიანის ეკონომიური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ურთიერთობის ძირითადი გამოცდილების ასახვის პროცესის ერთ-ერთ ტიპიურ გამოხატულებასთან.

რომის იმპერიის წარმოშობის პერიოდში, რომელიც ზოგიერთმა ისტორიკოსმა მხოლოდ მრავალი საუკუნის შემდეგ მიიჩნია ქრისტიანული ლეგენდის წარმოქმნის პერიოდად, — ებრაელმა ხალხმა დაჰკარგა დამოუკიდებელი ცხოვრების ყოველგვარი შესაძლებლობა. ძველი ცივილიზაციის ის ნაწილი, რომელიც არსებობდა ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზში, უც-

[1] იხ. დაბადება, თავი—იდ, მუხლი—იც.

ზოელთა უღელქვეშ მოექცა. ებრაელებმა ვერ აიცილეს საერთო ხვედრი. პალესტინის გეოგრაფიული მდებარეობის გამო, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა აღმოსავლეთის დიდი მონარქიების შეტაკებების ადგილს, ებრაელთა დამოუკიდებლობა მოსპობილ იქნა უკვე ჩვ. წ. აღ.-მდე VII—VI საუკუნეებში, და ამიერიდან აქ ერთი დამპყრობლის უღელი მხოლოდ მეორის ბატონობით იცვლებოდა.

ასურელები, ბაბილონელები, მიდიელები, სპარსელები, ალექსანდრე მაკედონელი, ელინისტური სირიის მფლობელნი თანამიმდევრულად ბატონობდნენ პალესტინაში და ღრმა კვალს ტოვებდნენ ისრაელის ხალხის საზოგადოებრივ, ეკონომიურ, კულტურულ და რელიგიურ ცხოვრებაში. პალესტინის საზოგადოების ყველაზე მდიდარი ფენების მხარის დაჭერით რომაელ დამპყრობთა რკინის ხელმა ორმაგი— ეკონომიური და ეროვნული ჩაგვრის რეჟიმი დაამყარა.

უნდა ითქვას, რომ მთელი ამ ხანგრძლივი დროის განმავლობაში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა არასდროს შეწყვეტილა და ხშირად დამპყრობელთა წინააღმდეგ შეიარაღებული ამბოხებისა და სახალხო აჯანყების ხასიათს იღებდა. ზუსტად იმ დროს, როცა, გადმოცემით, იესო უნდა დაბადებულიყო, რომაელ პროკურატორ საბინის ლეგიონს იერუსალიმში მოულოდნელად თავს დაესხნენ აჯანყებულნი, ხოლო პალესტინის სხვადასხვა მხარეში თავიანთი დამქაშების—მეჯოგეების, ღატაკი მოქალაქეებისა და მონების დიდი ნაწილის მიერ სამი სახალხო ბელადი გამოცხადებულ იქნენ „ისრაელის მეფეებად“ (ე. ი. მესიად, ქრისტედ). სირიელი ლეგატი კვინტილი ვარონი ჩაერია ამ არეულობაში. მან სისხლის მორევში ჩაახშო აჯანყება და დაშინების მიზნით ბრძანა ჯვარს ეცვათ ორი ათასი აჯანყებული — ასე ისჯებოდნენ იმ დროს გაქცეული მონები და აჯანყებულნი. მსგავსი მოვლენებით სავსეა იმ დროის ისტორია. ყოველივე ეს განამტკიცებდა ებრაელ ხალხში რწმენას, რომელიც წარმოშობილი იყო ხუთი-ექვსი საუკუნით ადრე, რომ მხოლოდ ზებუნებრივი ძალის ჩარევას, წარმოდგენილს ზებუნებრივი და ღვთაებრივი წარმოშობის „მეუფის“ სახით, შეუძლია დაუბრუნოს ამ ქვეყანას დამოუ-

კიდებლობა და უზრუნველყოს ღარიბთა და ჩაგრულთა კეთილდღეობა და სამართლიანობა დედამიწაზე.

წინასწარმეტყველნი უხსოვარი დროიდან ჰქადაგებდნენ ემანუელის მეორედ მოსვლის რწმენას (ემანუელი სხვა მესიანური ტიტულია, ნიშნავს — „ჩვენთან არს ღმერთი"). ასე იყო ჩვ. წ. აღ.-მდე 453 წელს სირიელ-ევფრაიმელ დამპყრობთა უკუქცევასთან დაკავშირებით, და ჩვ. წ. აღ.-მდე 701 წელს ასურელი ტირანის დამარცხების შემდეგ; რაგორც ესაიას არაკანონიკური წიგნი მოგვითხრობს, ბაბილონის ტყვეობაში მყოფი, იგი მიესალმებოდა სპარსეთის მეფეს კიროსს, როგორც მესიას, რომელმაც დაამარცხა მიდიელები და ბაბილონს ემუქრებოდა[1]. ჩვ. წ. აღ.-მდე 538 წელსაც ებრაელებმა უცხო ქვეყნის მეფე მიიჩნიეს თავისებურ მხსნელად, იარაღად, რომელიც იაჰვემ გამოიყენა, რათა დაებრუნებინა თავისი ხალხისათვის იერუსალიმი.

ხალხურ შეგნებაში ასე ნელ-ნელა ხდებოდა მესიანური წარმოდგენების გარდაქმნა ახალ პოლიტიკურ და საზოგადოებრივ წარმოდგენათა საკვანძო მომენტად.

დევნილ და მთელ იმ დროისათვის ცნობილ მსოფლიოში გაფანტულ ებრაელებს ყოველთვის ჰქონდათ უკეთესი მომავლის რწმენა და „ღვთაებრივი სასუფეველის" იმედი, რასაც ადამიანები უნდა განეწმინდა ბოროტებისაგან.

მესიანური იმედები აღმოცენდნენ პოლიტიკურ-რელიგიური განთავისუფლების მოლოდინის ნიადაგზე. პირველ ხანებში ეს იდეები მხოლოდ იუდეველთა შორის იყო გავრცელებული, მაგრამ შემდეგ სხვა ქვეყნებსაც მოედო, სადაც სულ სხვადასხვანაირად წარმოედგინათ ხსნა, მისთვის დამახასიათებელი მისტიკური ფორმებით, როგორც სიღატაკისაგან, მატერიალური და სულიერი ჩაგვრისაგან, მონობისაგან განთავისუფლება.

და აი, ებრაულ ხალხურ პოეზიაში მესია უკვე გამოდის როგორც ვინმე, რომელმაც: „რამეთუ იხსნა გლახაკი ძლიერისაგან, და დავრდომილი რომლისა არ იყო მწე"[2], მას მიმართავენ

---

[1] იხ. I. Coppens, R. de Langhe. L'attente du Messie. Bruges, 1954.

[2] დავითნი. ფსალმუნი ოა, იბ.

ტანჯულნი, რათა „იხსნას სულნი მათი“ „აღნადგინებისაგან და სიცრუვისაგან“.[1] მის სამეფოში იქნება საყოველთაო თანასწორობა, აყვავება და დოვლათი, „იყოს სიმტკიცე ქვეყანასა შინა თავსა ზედა მთათასა, ზეშთა ამაღლდეს უფროს ლიბანისა ნაყოფი მისი, და ყვავოდიან ქალაქით გამო ვითარცა თივა ქუეყანისა“[2].

ასეთია სამარადისო ოცნება ღატაკისა, რომელმაც უკეთესი ცხოვრების ჭურვილი რელიგიურ ილუზიად გარდაქმნა.

ესაიას არაკანონიკურ წიგნში შეკრებილი ტექსტები მიეკუთვნება მესოპოტამიაში განდევნის წლებს; ეს ტექსტები შემდეგ არის გადამუშავებული. მათში მესია იდეალიზებულია წამებული მონის სახით, ეს არის „მონა ღვთისა“[3], ის, რომელმაც ჩაგვრითა და წამებით მიიღო მისია დაუბრუნოს ადამიანებს სამართლიანობა და კვლავ მისცეს ხალხს ბედნიერება და ჭეშმარიტი ღმერთის შეცნობის უნარი. ებრაელი ხალხი თითქოსდა მოწოდებულია ამ არაჩვეულებრივი როლისათვის კაცობრიობის ისტორიაში.

თალმუდში გადმოცემული მოძღვრების თანახმად, მთელ მსოფლიოში ებრაელთა გაფანტვის ჭეშმარიტი მიზეზი იყო „ბედისწერის გეგმის“ განხორციელება, რომელსაც უნდა ჩაეგონებინა ყველასათვის ადამიანთა შორის მშვიდობისა და ძმობის იდეა იაჰვეს ერთადერთ ღმერთად აღიარების საშუალებით. ჰებრაიზმის ჭეშმარიტი აღსარების უკანასკნელის წინა ნაწარმოები, რომელიც ეკუთვნის მოშე-ბენ-მაიმონის, ანუ მაიმონიდის კალამს, გარდაცვლილს ჩვ. წ. აღ.-ით 1204 წელს, ე. ი. თომა აქვინელზე რამდენადმე ადრე, აცხადებს: „ჭეშმა-

---

[1] დავითნი. ფსალმუნი ოა, იდ.

[2] იქვე, ივ.

[3] „ებედ იაჰვე“. ზუსტი თარგმანი ებრაული სიტყვა „ებედ“— „მონა“ („schiavo“) და არა „სერვ“ („servo“) — „ყურმოჭრილი მონა“, „ყმა“, როგორც დაიწყეს ხმარება ბიბლიის ლათინური თარგმანის გავლენით, სადაც იხმარება ტერმინი „სერვუს“ („servus“). იხ. C. R. North. The suffering servant in Deutero-Isaiah. Oxford University Press, 1948.

რიტი რწმენით მწამს მესიის მოსვლა და, თუმცა ის სულ მუდამ გადაიდება, ვუცდი მას ყოველ დღე".

წარმოდგენა მესიის დახმარებით ხსნაზე, ცხადია, რელიგიური ფორმებით, რელიგიის ენით გამოიხატებოდა. ამით იგი ხელს უწყობდა სინამდვილისგან ადამიანთა დაცილებას, მიჰყავდა იგი ერთი ოცნებიდან მეორისაკენ და ბოლოს და ბოლოს წინააღმდეგობების ფანტასტიკური ამოხსნის ძიებებთან, რომლებსაც არ შეეძლოთ შეეცვალათ ცხოვრების არსებული პირობები. ამით ერთხელ კიდევ გამოიხატა ტრაგედია იმ სოციალური ფენებისა, რომლებიც წარმოებისა და ეკონომიური ორგანიზაციის ახალ ფორმებს არ ქმნიდნენ, ნათლად არ ჰქონდათ შეგნებული თავიანთი მონური მდგომარეობა და ამიტომაც არ წარმოადგენდნენ ჭეშმარიტ რევოლუციურ ძალებს.

როგორც აღმოსავლურ-ბერძნული წარმართობის საფუძველზე აღმოცენებული ხალხური კულტები პირდებოდა მონებსა და ჩაგრულებს იმქვეყნიურ თავისუფლებას, რაზედაც ყოველდღიური ცხოვრება უარს ეუბნებოდა მათ ამ ქვეყნად, ისე მესიის შესახებ ებრაული მოძღვრება პასუხობდა საზოგადოების ყველაზე ჩაგრული ფენების სანუკვარ იმედებს. იგი აგრეთვე გამომდინარეობდა ანტიკური სამყაროს პოლიტიკური და ეკონომიური ორგანიზაციის სასტიკი დაგმობიდან. და ბოლოს, მესიანობამ წარმოშვა აპოკალიფსური იუდაისტურ-ქრისტიანული საღვთო წერილები, რასაც სამართლიანად შეიძლება ეწოდოს ძველი დროის „ოპოზიციური ლიტერატურა".

რომაელმა დამპყრობლებმა თავიდანვე გაითვალისწინეს ამ ლიტერატურის ოპოზიციური ხასიათი. აქედან გამომდინარეობს მათი ზიზღი, თითქმის სიძულვილი ებრაელი ხალხისადმი, რაც ასახულია ლათინურ ლიტერატურაში ციცერონიდან ტაციტამდე, კვინტილიანედან სვეტონიუსსა და სენეკამდე. ეს სიძულვილი, ისევე, როგორც უკანასკნელი ათეული წლების რასისტული ანტისემიტიზმი, აშკარად სოციალური წარმოშობისაა. „მონების საზიზღარი თავყრილობა" — ასე უწოდებდა

ებრაელებს ტაციტი.[1] ამ კლასობრივ მსჯელობას მოგვიანებით, იმპერიის პირველ საუკუნეებში, ჯერ კიდევ მანამდე, სანამ ანტიკური სამყაროს დაღუპვის შემდეგ ქრისტიანული ეკლესია იქცა ახალი მმართველი კლასების იდეოლოგიის ორგანიზებულ გამოხატულებად, შეუერთდნენ თვით ქრისტიანები.

0. ბიბლიის ზოგადი ისტორია

ძველი სირიული ქალაქისა და სავაჭრო ცენტრის ბ ი ბ ლ ო ს მიხედვით, სადაც წარმოებდა პაპირუსის გაყიდვა და სადაც, შესაძლოა, პირველად იქნა გამოყენებული ალფაბეტური დამწერლობა, შეარქვეს სახელი იმ საწერ მასალას (ბერძნულად „ბიბლიონ"), რომელიც შეჰქონდათ ეგვიპტეში. შემდეგ ეს სახელწოდება გავრცელდა ხელნაწერთა გრაგნილებზე.

ჩვენი ერის დასაწყისში სიტყვა ბ ი ბ ლ ი ა (საშუალო სქესის არსებითი სახელის „წიგნის" მრავლობითი რიცხვი) უკვე ნიშნავდა „ხელნაწერთა კრებულს", „ბიბლიოთეკას". მაგრამ მალე ამ ტერმინმა ბერძნულად მოლაპარაკე ქრისტიანებისათვის მიიღო მხოლოდ მათი „წმინდა" ტექსტების კრებულების მნიშვნელობა. საშუალო სქესის მრავლობითი რიცხვის არსებითი სახელი ხალხურ ლათინურში იქცა მდედრობითი სქესის არსებით სახელად და მხოლოობით რიცხვად ბ ი ბ ლ ი ა დ. ამ ფორმით იგი გადმოვიდა იტალიურში და თითქმის ყველა თანამედროვე ენაში.

ამრიგად, ბიბლია, უწინარეს ყოვლისა, წარმოადგენს ებრაული რელიგიის „წმიდა" ტექსტების კრებულს, და შემდგომ, მთელ რიგ სხვა ნაწარმოებებთან ერთად, ქრისტიანთა „საღვთო წერილს". სწორედ ეს აქვთ მხედველობაში, როცა ლაპარაკობენ მის უფრო ძველ ნაწილზე — ძ ვ ე ლ ა ღ თ ქ მ ა-

---

[1] „Despectissima pars servientium", და აგრეთვე „taeterrima gens" „საძაგელი ტომი". სენეკა, რომელსაც არ მოსწონდა შაბათის საზეიმო დასვენება, რამდენადაც იკარგებოდა ადამიანური შრომის მეშვიდედი, გამოსთქვამს უფრო ძლიერად: „Sceleratissima gens" („ბოროტმოქმედი ტომი", „დამნაშავეთა ტომი"). სტოიკოს ფილოსოფოსში იმალება მონათმფლობელი.

ზე, რომელიც მიღებულია ორივე რელიგიის მიერ, და უფრო გვიანდელ ნაწილზე—ახალ აღთქმაზე, რომელიც აღიარებულია მხოლოდ ქრისტიანების მიერ.

ეს საინტერესო გამოთქმა „ძველი“ და „ახალი“ აღთქმა საჭიროებს განმარტებას.

სიტყვა აღთქმა სრულიადაც არ წარმოადგენს მთელი ამ კრებულის თავდაპირველ სათაურს არც ებრაულ ენაზე, რომელზედაც დაწერილია მისი უძველესი ნაწილი, არც ბერძნულზე, რომელზედაც დაწერილია ქრისტიანული ნაწილი. მაშ საიდან არის ეს სახელწოდება?

ებრაელებს ჰქონდათ ტერმინი ბერით, რომელიც ნიშნავს „შეთანხმებას“, „მოლაპარაკებას“ და აგრეთვე „კავშირს“ ხალხთა შორის ურთიერთობაში. ებრაული რელიგიის უმნიშვნელოვანესი მოვლენა, როგორც ჩვენ უკვე ვნახეთ, იყო ტომობრივი ღვთაების საზეიმო კავშირი თავის ხალხთან, რომელიც დადებული იყო ერის წინამძღოლთა შუაკაცობის მეშვეობით. „მე, და სხვას არავის, მიმიღებთ თქვენს ერთადერთ ღმერთად, და მე, იაჰვე, გპირდებით დაცვას და მფარველობას და შეძლებისდაგვარად სამემკვიდრეოდ მოგანიჭებთ სხვა მიწებზე ბატონობას ან, ყოველ შემთხვევაში, კონტროლს“.

ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელთა, განსაკუთრებით ექსორიაში მყოფთა შორის, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-მდე 331 წელს ალექსანდრე მაკედონელის მიერ დაარსებულ ეგვიპტურ ქალაქში ცხოვრობდნენ, ტერმინი ბერით გადმოიცემოდა ბერძნული სიტყვით დიატეკე, რომელიც ნიშნავდა „ხელშეკრულებას“, „კავშირს“; მას აგრეთვე ჰქონდა მეორე, მემკვიდრეობით ნაანდერძევის, ცალმხრივი ვალდებულების მნიშვნელობაც, რასაც ლათინურ ენაში გამოხატავს სიტყვა testamentum — „ანდერძი“, „აღთქმა“. როცა ჩვ. წ. აღ.-ით II—III საუკუნეებში ხელი მოჰკიდეს ბიბლიის ლათინურ ენაზე თარგმნას, ღმერთსა და რჩეულ ხალხს შორის ძველი მოლაპარაკების რელიგიური მნიშვნელობა დაიკარგა და ამიერიდან სიტყვა „აღთქმას“ („testamentum“) უწოდებდნენ ბიბლიის როგორც ძველ, ისე მის გვიანდელ ნაწილსაც.

ძველი აღთქმის შემადგენელი ნაწილების რაოდენობა იცვლებოდა საუკუნიდან საუკუნემდე, ვიდრე რაბინების საეკლესიო კრებამ, რომელიც ჩვ. წ. აღ.-ით 90—100 წლებს შორის შედგა, საბოლოოდ არ შემოსაზღვრა იგი 22 ტექსტით, ებრაული ალფაბეტის ასოთა რიცხვის მიხედვით. თუმცა წიგნებად დაყოფაში ზოგიერთი ცვლილების შეტანის შემდეგ ტექსტები 27 გახდა, რაც შეესაბამებოდა იმავე 22 ასოსა და პლუს ხუთ საბოლოო ნიშანს, რომლებსაც გაკრულ ებრაულ ხელნაწერში თავისებური ფორმა აქვთ.

ამგვარი ანგარიში თავისთავად გვაიძულებს ვიფიქროთ მაგიურ და სიმბოლურ მანიპულაციებზე, მით უმეტეს, რომ ახალი აღთქმის ტექსტების რიცხვი უდრის იმავე ალეგორიულ ციფრს — 27.

თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს წიგნები პირველად ბერძნებმა დაასათაურეს, ხოლო შემდეგ კი ლათინებმა, მაშინ, როცა ებრაულ კრებულში ყოველი წერილი ცნობილია მხოლოდ იმ პირველი სიტყვით, რომლითაც იწყება ესა თუ ის გრაგნილი, ძველი აღთქმის თავდაპირველი ტექსტების ნუსხა შემდეგი იქნება:

ა) კ ა ნ ო ნ ი (თორა): დაბადება, გამოსვლათა, ლევიტელთა, რიცხვთა და მეორე სჯულისა (ხუთი წიგნი).

ბ) წ ი ნ ა ს წ ა რ მ ე ტ ყ ვ ე ლ ნ ი (ნებიიმ): წიგნები ადრეულ წინასწარმეტყველთა (იესო ნავინისა, მსაჯულთა და რუთისა, I და II სამუელისა, I და II მეფეთა)[1] და უფრო გვიანდელი წინასწარმეტყველთა (წინასწარმეტყველებისა ესაიასი, იერემიასი, ეზეკიელისა და თორმეტი მცირე წინასწარმეტყველნი, რომელნიც ერთ წიგნში არიან შეკრებილნი);

გ) ს ა ღ ვ თ ო წ ე რ ი ლ ე ბ ი, ანუ ჰაგიოგრაფები (ქეთუბიმ): დავითნი, იგავნი სოლომონისნი, წიგნი იობისა, ქებათა ქება მეფის სოლომონისა, გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი, ეკლესიასტე, ესთერისა, წინასწარმეტყველება და-

---

[1] ქრისტიანულ ბიბლიაში I და II წიგნი სამუელისა შეესაბამება I და II წიგნს მეფეთა, და I და II წიგნი მეფეთა — III და IV წიგნს მეფეთა. — რ ე დ.

ნიელისა, I და II წიგნი ეზდრასი (ანუ წიგნები ეზდრასი და ნეიმიასი)[1], I და II ჟამთააღმწერელი (ბერძნულ-მართლმადიდებლურ და კათოლიკურ ტექსტებში მას ეწოდება „პარალიპომენონ"[2].

ამ ტექსტების გარდა, არსებობს ბევრი სხვაც, რომელთაც ბერძნულად მოლაპარაკე ებრაელები ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნის ბოლოდან აღარ აღიარებდნენ. მაგრამ მათაც და ქრისტიანებმაც შემოინახეს იგი კრებულის ბოლოს აპოკრიფების, ანუ საიდუმლო ტექსტების სახელწოდებით. მათი რიცხვი დაახლოებით თორმეტია: წიგნი ტობიასი, წიგნი ივდითისა, წიგნი სიბრძნისა სოლომონისა, III და IV წიგნი ეზდრასი, წიგნი ბარუქისი, ეპისტოლე იერემიასი, ლოცვა მანასესი, აღთქმანი 12 პატრიარქისა, I და II წიგნები მაკაბელთა, აგრეთვე ზოგიერთი დამატება დანიელისა და ეზდრას წიგნებისადმი არამეულ ენაზე. ამ ტექსტებთან დამოკიდებულების ებრაული კრიტერიუმი არის ის, რომ ღმერთს შეეძლო ლაპარაკი მხოლოდ ებრაულ, და არა არამეულ ენაზე, ხალხურ დიალექტზე, და მით უმეტეს ბერძნების, ამ უზიარებელთა ენაზე.

კათოლიკები აპოკრიფებს ახლაც ზეშთაგონებულად თვლიან, მაშინ როცა ებრაელებმა და პროტესტანტებმა ამოიღეს იგი კანონიდან, ანუ „საღვთო წერილების" ოფიციალური სიიდან, ამიტომაც ეწოდება ამ წიგნებს დეიტეროკანონიკური"[3].

საკითხს ბიბლიის ღვთაებრივი შთაგონების შესახებ, რომელიც ისტორიული თვალსაზრისით მოკლებულია ყოველგვარ აზრს, გარკვეული რელიგიური მნიშვნელობა აქვს.

ყოველ რამდენადმე განვითარებულ რელიგიას აქვს თავისი ზეშთაგონების ტექსტები. ყურანი (არაბული სიტყვიდან

---

[1] დაყოფა, რომელიც შეესაბამება ბერძნულ ტექსტს — რედ.

[2] ქართულ ძველ აღთქმაში იგი იწერება „პრალიპამენონად", — ქართ. გამოც. რედ.

[3] ტექსტების ზუსტი დაყოფა კანონიკურად და არაკანონიკურად მოხდა მხოლოდ ჩვ. წ. აღ.-ით IV საუკუნეში. მისი შესაბამისი დაყოფა პროტოკანონიკურად და დეიტეროკანონიკურად შემოღებულია XVI საუკუნეში სიქსტ სიენელის მიერ.

„ყურა'ან“ — „კითხვა“), მუსულმანური ლეგენდის თანახმად, შეიცავს ზეცაზე გამოსახულ ღმერთის სიტყვას, რომელიც ანგელოზმა ჯებრაილმა (გაბრიელმა) გადაუშალა მუჰამედს. სრულებით არ არის გასაკვირი, რომ თვით ბიბლიის სიტყვებიც კი უშუალოდ ღმერთს მიეწერება; გასაკვირია ის, რომ მსგავსი წარმოდგენა მეორდება სხვა მხრივ ყოველად ღირსშესანიშნავ ისეთ შრომაში, როგორიცაა იტალიური ენციკლოპედიური ლექსიკონი, რომელიც უკანასკნელ წლებში გამოქვეყნდა ცნობილი სპეციალისტების რედაქციით. აი სადამდე მივიდა იტალიური კულტურის შემგუებლობა ფაშისტური რეჟიმის ოცდახუთწლიანი და კლერიკალების ხანგრძლივი ბატონობის შემდეგ!

ბიბლია შეიცავს მიამიტსა და საინტერესო მოთხრობებს სამყაროსა და ადამიანის შექმნაზე, პირველ ცოდვაზე, წარღვნაზე — მითებზე, რომლებიც დამახასიათებელია აღმოსავლეთის ყველა რელიგიისათვის და რომლებიც ებრაულ სარწმუნოებაში მეზობელმა ხალხებმა შეიტანეს.

ამ ზღაპრული მხარის გარდა, ბიბლიაში ჩვენ ვნახულობთ მდიდარ მასალას ძველი ებრაული საზოგადოების ცხოვრებასა და ეკონომიკაზე: მის უძველეს კანონებზე, რომლებიც უკვე იმ ეპოქაშივე გახდნენ გაუგებარნი და ამიტომაც მათ ფანტასტიკურად განმარტავდნენ; აქ გვხვდება ცნობები იმ ხალხების ისტორიაზე, რომლებთანაც ისრაელს ყოველთვის ჰქონდა ურთიერთობა.

სამასწლიანი გაცხრილვისა და შერჩევის შემდეგ — ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნის ბოლოდან იმპერატორ იუსტინიანეს ეპოქამდე ა ხ ა ლ ი ა ღ თ ქ მ ი ს სახელწოდებით შეგროვილია ოცდაშვიდი საღვთო წერილი, რომლებიც შეეხებიან იესოსა და მის პირველ მოციქულებსა და მოწაფეებს. ასეთებია:

ა) წმიდა ოთხთავი (სახარებანი მათესი, მარკოზისი, ლუკასი და იოანესი), ბერძნული სიტყვიდან „ევანგელიონ“ — „კეთილი ამბავი“, „კარგი ამბავი“. იგი შეიცავს ოთხ სხვადასხვა და ხშირად წინააღმდეგობრივ თხრობას ქრისტეს, ანუ ებრაელი ხალხის დიდი ხნის ნანატრი მესიის ცხოვრების შესახებ.

ბ) ს ა ქ მ ე წმიდათა მოციქულთა;

გ) კ ა თ ო ლ ი კ ე ე პ ი ს ტ ო ლ ე ნ ი: ცამეტი, რომელიც მიეწერება პავლეს, ერთი — იაკობს, ორი—პეტრეს, სამი—იოანეს, ერთი—იუდას (მაგრამ არა გამცემლური) და ერთი ეპისტოლე პავლესი ებრაელებისადმი;

დ) ა პ ო კ ა ლ ი ფ ს ი ს ი, ე. ი. „გამოცხადება" გრანდიოზულ მოვლენათა შესახებ, რომლებსაც პირველი ქრისტიანები ყოველდღიურად ელოდნენ, ქვეყნის დასასრულის და ახალი ერის დადგომის აღწერილობით.

ასეთია ის ორი ძირითადი ნაწილი ბიბლიისა, რომელიც დედამიწის მოსახლეობის თითქმის ერთ მესამედს „წმიდა" წიგნად აქვს აღიარებული.

მონათა დიდი აჯანყებების რელიგიური ასპექტები

ძველი საზოგადოების გაბატონებული ფენების რელიგია მონებს ამ ქვეყნად ოფიციალური კულტის წყალობის გარეშე აყენებდა და ისინი საიქიოშიც მოკლებულნი იყვნენ ყოველგვარ, როგორც ინდივიდუალურ, ისე კოლექტიურ ნეტარებას.

ბერძნულ-რომაული სამყაროს მდიდარი პერსონისათვის თვით ცხოვრების გაგრძელების იდეა მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმქვეყნიურ სამყაროში კლასების შენარჩუნების იდეასთან. მდიდარს ეგონა, რომ მონა იმ ქვეყანაშიც გაუწევდა სამსახურს ან სამუდამოდ დაჰკარგავდა უკვდავების ყოველგვარ პრეტენზიას. მონას კი არავითარი იმედი აღარ რჩებოდა არც ამ, არც იმ ქვეყანაში.

აი რით აიხსნება არაოფიციალური რელიგიების წარმატება და სწრაფი გავრცელება მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნიდან. დიონისეს და დემეტრეს, კიბელასა და ატის, ატონისა და იზიდას, მითრასა და ქრისტეს მიმდევრებს შეეძლოთ ზიარებოდნენ თავიანთ კულტებს ყოველგვარი კლასობრივი განსხვავების მიუხედავად. სხვათა შორის, ამან შეიტანა პირველი ბზარი მონათმფლობელური საზოგადოების შენობაში. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონებისა და მონათმფლობელების ურთიერთობა არ შეიცვალა, მაგრამ, ამავე დროს, როგორც ამას რელიგია ქადაგებდა, ყველანი ერთ წამში თანასწორნი ხდებოდნენ.

ამაშია წმიდა პავლეს ცნობილი წარმონათქვამის ჭეშმარიტი აზრი: „რამეთუ რავდენთა ქრისტეს მიმართ ნათელ-იდეთ, ქრისტე შეიმოსეთ. არა არს ჰურიაება, არცა წარმართება. არ არს მონება, არცა აზნაურება; არა არს რჩევა მამაკაცისა, არცა დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ"[1], რომელსაც ძალიან ხშირად განმარტავენ როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობის დარგში ადრეული ქრისტიანობის პროგრესული და განმათავისუფლებლური ხასიათის დადასტურებას.

პროგრესულობა და განმათავისუფლებლური განზრახვები ქრისტიანობისა, ისევე როგორც სხვა უძველესი მონათა რელიგიებისა, შეზღუდული იყო ირრეალური სამყაროთი. ძველებურად უცვლელი რჩებოდა კლასები, ან იცვლებოდა ურთიერთობა მონებსა და მონათმფლობელებს შორის. მონათმფლობელური წყობილება იწყებდა ლპობას, ეს მართალია; მალე იგი შეცვალა კოლონატმა და ახალმა ფეოდალურმა ურთიერთობამ, მაგრამ ყველაფერი ეს ხალხის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით ხდებოდა და მით უმეტეს არა რელიგიური იდეოლოგიის წყალობით.

ამ ცვლილებებში ქრისტიანობა ოდნავადაც არ არის დამნაშავე.

იგი თვითონ იყო გამოხატულება ადამიანთა შეგნებაში ეკონომიური და საზოგადოებრივი რღვევისა, რომელიც მონათმფლობელური საზოგადოების შიგნით ხდებოდა.

1. აგზანუებები აზიაში, სიცილიასა და იტალიაში

ქრისტიანობის მიერ უძველესი კლასიკური ხანის ოფიციალურ რელიგიათა გამოდევნის ისტორიულ პროცესში გაცილებით უფრო დიდი როლი შეასრულა მილიონობით ჩაგრუ-

---

[1] გალატელთა მიმართ. თავი 3. მუხ. 27—28. ეს აზრი ძალიან ხშირად გვხვდება ახალი აღთქმის ტექსტებში, რომლებიც წმიდა პავლეს მიეწერება (რომაელთა მიმართ., თავი 10, მუხ. 12; კორინთელთა მიმართ., თავი 7, მუხ. 20—23; თავი 12, მუხ. 13 და სხვ.).

ლი და დამორჩილებული მონების მრავალსაუკუნეობრივმა გამოცდილებამ, რომელიც მათ დააგროვეს ყოველდღიურ ცხოვრებასა და კლასობრივი ბრძოლის დარგში, ვიდრე ადრეული ქრისტიანობის იდეებმა. არასწორია, თითქოს, მონები ყოველთვის მორჩილად იტანდნენ არაადამიანურ ჩაგვრას. ძველი დროის ისტორიკოსები ცდილობდნენ მოესპოთ ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკანასკნელ საუკუნეებში მომხდარი მონათა გმირული აჯანყებების ყოველგვარი კვალი, განსაკუთრებით იმ „დიდი შიშის" შემდეგ, რომელიც რესპუბლიკის კრახის წინ განიცადეს რომაელებმა სპარტაკთან ბრძოლის დროს. მაგრამ მათ ვერ შეძლეს მთლიანად დაემალათ სიმართლე, და ჩვენ ახლა შეგვიძლია აღვადგინოთ იგი.[1]

მართალია, ეს აჯანყებები ატარებდნენ სტიქიურ ხასიათს და არასდროს ისახავდნენ საზოგადოებრივ გადატრიალებაზე მაღალ მიზანს, რაც არ სცილდებოდა უბრალო მოქცევის სფეროს, რომლის დროსაც მონები უნდა ქცეულიყვნენ ბატონებად და ბატონები კი — მონებად. ეს აიხსნება მონების კლასობრივი შეგნების განუვითარებლობით. მაგრამ სხვანაირად არც შეიძლებოდა, ვინაიდან არ არსებობდა ახალ საწარმოო ძალთა განვითარების პირობები. მხოლოდ იმ კლასს, რომელსაც თავის განთავისუფლების დროს თავისუფლება მოაქვს სხვებისათვის და სახავს ახალ გზებს ტექნიკური, ეკონომიური და კულტურული პროგრესისათვის, შეუძლია იმედი ჰქონდეს, რომ ჩამოიცილებს წარსულის მძიმე ტვირთს.

ეს გახდა აგრეთვე ერთ-ერთი მიზეზი იმისა, რომ ძველი დროის მონათა ყველა აჯანყება, შეიარაღებული კონფლიქტების გარდა, იწვევდა მისტიციზმისა და რელიგიური განწყობილების გაძლიერებას. რაც უფრო მკაცრად სჯიდნენ აჯანყებუ-

---

[1] მონათა აღშფოთების თითქმის ყველა პირდაპირი მაჩვენებლის გაქრობა მეტად აოცებს კლასიკური ისტორიოგრაფიის ყველა შემსწავლელს; ეს არ შეიძლება აიხსნას მარტოოდენ შემთხვევითობით (იხ. Emanuele Ciaceri. Esame delle fonti delle guerre servili. Catania, 1907). ჯერ კიდევ ნაკლებად ცნობილ აჯანყებათა კარგ აღწერას შეიცავს წიგნი G. Walter. Les origines du communisme (Judaïques, chrétiennes, grecques et latines). Paris, Payot, 1931.

ლებს მათი ბატონები, მით უფრო მეტად ეძებდნენ მასები თავშესაფარს წესჩვეულებებსა და მითებში, რომლებიც მათ საიქიოში მაინც ჰპირდებოდა განთავისუფლებას.

ამას ადასტურებს ყველა აჯანყება, დაწყებული ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნიდან თვით ჩვ. წ. აღ.-მდე 135 — 101 წლების სიცილიის ომებამდე, 133—130 წლების არისტონიკეს დიდი აჯანყება მცირე აზიაში, სპარტაკის აჯანყება სამხრეთ იტალიაში (74—71) და სკვითი მონების აჯანყება სავმაკის მეთაურობით შავი ზღვის სანაპიროზე.[1]

მიზეზები, რომლებმაც ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნეში გამოიწვიეს მონათმფლობელობის ადრინდელ ურთიერთობათა გარდაქმნა ტიპიურ რომაულ მონურ სისტემად, დაკავშირებულია მონათა უდიდესი მასების კონცენტრაციასთან იტალიაში, სიცილიაში, მცირე აზიაში, ჩრდილოეთ აფრიკასა და ხმელთაშუაზღვისპირეთის აუზის სხვა ტერიტორიებზე. რამდენიმე სიტყვა მათ შესახებ.

მსხვილი მიწათმფლობელობის (ლატიფუნდიები) განვითარებამ და წვრილი გლეხური საკუთრების დაცემამ განაპირობეს მოთხოვნილება იაფ მონურ მუშა ხელზე. პირველი პუნიკური ომის შემდეგ გაძლიერებული სამხედრო დაპყრობები და პროვინციების სისტემატური ძარცვა გაბატონებულ ფენებს ხელში უგდებდა ბრძოლებში შეპყრობილ ასეულ ათასობით სამხედრო ტყვეს და იმ ადამიანებს, რომლებიც სხვადასხვა მეკობრული დალაშქვრებისა და გადაუხდელი ვალების გამო ჰკარგავდნენ თავისუფლებას.

ომი იქცევა ბაზარზე იაფი მონების მიწოდების ნორმალურ საშუალებად; ცოცხალი საქონელი, რომელიც თავდაპირველად იშვიათი იყო და მხოლოდ სახლში და ხელოსნობაში იყენებდნენ, ახლა ადვილად ხელმისაწვდომი ხდება. ამ გარემოებას დაემატა სოფლის თავისუფალი მშრომელების გაღატაკება და ქალაქის ნახევრად პროლეტარიატის მსგავსი ფენების წარმო-

[1] ეს აჯანყებანი სათანადოდ არის გაშუქებული საბჭოთა ისტორიკოსების ს. ჟებელევისა და ს. კოვალიოვის (1934), ა. მიშულინის (1936), ს. პროტასოვასა (1950) და საბჭოთა ისტორიული სკოლის ბევრი სხვა წარმომადგენელის შრომებში.

შობა, რაც არაჩვეულებრივად ამწვავებს ყველა საზოგადოებრივ ურთიერთობას და ანიჭებს მათ დაუსრულებელი შინაბრძოლების ხასიათს. მაგრამ ძირითად წინააღმდეგობად რჩება ანტაგონიზმი მონებსა და მათ მფლობელებს შორის.

კატონი ჰიგიენურ პირობებს ქმნიდა ცხოველთა შესანახად, მაგრამ ერთ სიტყვასაც არ ამბობს ავადმყოფი მონის მკურნალობაზე. ვარონი ჩამოთვლის ი ა რ ა ღ ი ს სამ სახეობას: მოლაპარაკენი (მონები), ნახევრად მოლაპარაკენი (ხარები) და უსიტყვონი (შრომის იარაღები). თვით გააზატებულიც კი ხშირად იძულებული იყო მეპატრონის სახლში ყოფილიყო ან გასამცლელო ეხადა მისთვის. მონათმფლობელისათვის, რომელსაც დიდად არ აწუხებდა სინდისის ქენჯნა, ხშირად მონის განთავისუფლება ხელსაყრელი იყო.

მონათა საარსებო პირობები, განსაკუთრებით იმ მამულებში, სადაც ინტენსიურად მისდევდნენ მიწათმოქმედებას, უმძიმესი, თითქმის აუტანელი იყო. პურის ნატეხი, ცოტაოდენი ნარჩენი ღვინო და ერთი მუჭა ზეთისხილი — აი მონის მთელი ულუფა. მონათმფლობელური სისტემის თეორეტიკოსები, იმისათვის, რათა გაეწიათ ტანსაცმლის ეკონომია, ლატიფუნდიების მფლობელებს ურჩევდნენ მონებისათვის მიეცათ „ტუნიკა და მოკლე წამოსასხამი“, რომელიც ერთიდან მეორეს გადაეცემოდა.[1] მეპატრონის სახლში დაბადებული მონა („ვერნა“) მას ეკუთვნოდა და ყოველთვის შეიძლებოდა გაეყიდა. მას მკაცრი სასჯელი და მხეცური წამება ემუქრებოდა ყოველგვარი ურჩობისათვის. დამორჩილება ან ამბოხება — აი მონის ერთადერთი ალტერნატივა.

---

[1] იხ. კ ა ტ ო ნ ი. მიწათმოქმედების შესახებ (De agricultura), 56, 59. სახარების ლეგენდაში, რომელიც საესეა მონათა ცხოვრების გამოძახილებით, ხშირად მკაცრი პირობები იდეალიზებულია. ასე, მაგალითად, იესო ურჩევს თორმეტ მოციქულს არაფერი ატარონ თან: „ნუცა ეაშკარანსა გზასა ზედა, ნუცა ორსა სამოსელსა, ნუცა კუერთხსა (მათე, თავი 10, მუხლი 10), და განსაკუთრებით „ნუცა ორი სამოსელი გაქუნ“ (ლუკა, თავი 9, მუხ. 3). ამავე აზრს ავითარებს მარკოზიც: „და ამცნებდა მათ, რა თა არარა მიიღონ გზასა ზედა, გარნა კუერთხი ხოლო... და რა თა ესხნენ სანდალნი, და ნუცა შემოსად ორი სამოსელი“ (თავი 6, მუხ. 7—9).

ტიტე ლივიუსი თავისი „ისტორიის“ XXXII, XXXIII, XXXIV წიგნების ზოგიერთ ადგილას იხსენიებს ლაციუმის, სეტიის, ნორბების, ცირცეების, ეტრურიის, კალაბრიისა და აპულიის მონათა აღშფოთების ცალკეულ ეპიზოდებს, რომელთაც ადგილი ჰქონდათ მეორე პუნიკური ომის შემდეგ, რის შედეგადაც რომის სამფლობელოებში თავი მოიყარეს უმეტესად პუნიკური ან სირიული წარმოშობის მონათა დიდმა მასებმა.[1] ჩვეულებრივ სასჯელს ამბოხის ჩახშობის შემდეგ წარმოადგენდა ბელადებისა და მოთავეების გაროზგვა და ჯვარზე გაკვრა. ზოგიერთ ადგილებში ხდებოდა მონათა მასობრივი ჟლეტა — 500 მოკლული პრენესტში, 7 ათასი—სამხრეთ იტალიაში ჩვ. წ. აღ.-მდე 185 წელს, 400 ჯვარცმული—მინტურნოში და ა. შ.

უფრო ხშირად მოიხსენიებიან არა აჯანყებები მთელი ამ სიტყვის მნიშვნელობით, არამედ ადგილობრივი შეთქმულებები, რომლებსაც იმ დროს (ჩვ. წ. აღ.-მდე 199 წელს) აწყობდნენ ტყვე კართაგენელები, ჯარისკაცები და სამხრეთ იტალიასა და ჩრდილოეთ აფრიკაში შეპყრობილი მშვიდობიანი მცხოვრებლები. ამ მონების მეხსიერებაში ჯერ კიდევ ნათლად ცოცხლობდა დაკარგულ თავისუფლებაზე მოგონება; რელიგიურ განწყობილებებს ამ დრომდე ჯერ კიდევ არ ეჩინათ თავი.

მაგრამ უკვე სიცილიის ორ აჯანყებაში, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო ასეულ ათასობით მონამ და რომლებმაც უდიდესი ზიანი მიაყენეს რომაელებს და შეძლეს ორმოცი წლის განმავლობაში მოეგერიებინათ იმ დროის საუკეთესო მხედართმთავრების შემოტევა, ჩვენ მთელ რიგ ახალ მოვლენებს ვხვდებით.

დიოდორე სიცილიელის თხზულების შემორჩენილ ფრაგმენტებში, რომელმაც თავისი „ბიბლიოთეკისათვის“ გამოიყე-

---

[1] ჯერ კიდევ პლატონი თავის „კანონებში“ (VI, 777c) მფლობელებს ურჩევდა არასდროს შეეგროვებინათ ერთ ადგილას ერთი ტომის მონები.

ნა მონების უტყუარი დოკუმენტები,[1] რომლებიც შემდგომში მთლიანად დაიკარგა, აჯანყების ბელადები გამოხატულნი არიან როგორც მეფე-წინასწარმეტყველნი (ზოგიერთს ადარებენ იოანნე ნათლისმცემელს და იუდეველთა გადმოცემების შესაბამისად თვით ქრისტესაც კი). ისინი მიმართავენ ყოველნაირ სასწაულებს და აცხადებენ „ახალ სამეფოს", რომელიც ბევრი რამით ჰგავს ბიბლიური ლიტერატურისა და უძველესი ქრისტიანული საღვთო წერილების „მესიის სამეფოსა" და „ცათა სასუფეველს".

ჩვ. წ. აღ.-მდე 135 წლის პირველი სიცილიური აჯანყების ლეგენდარული სირიელი წინამძღოლი ევნუსი, ღმერთის სახელით ქადაგებისა და სიზმრების ახსნის ნიჭის წყალობით, მსგავსად პალესტინელი წინასწარმეტყველებისა, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა. მასთან ერთად ჩვენ ვხედავთ იმავე ტომის წინასწარმეტყველ ქალს, რომელიც გათვითცნობიერებული იყო აღმოსავლურ მისტერიებში, კერძოდ დიდი ღვთისმშობლის კულტში. ევნუსი თავის თანამებრძოლებს ბრძოლასა და ტყვეობაში „სირიელებს" უწოდებდა და არწმუნებდა მათ, რომ აჯანყების წინ თვით „სირიელმა ღვთაებამ" უწინასწარმეტყველა მას ბრწყინვალე მესიანური მომავალი. ქალაქ ენნის დაპყრობისა და ყველაზე საძულველი მონათმფლობელების ამოწყვეტის შემდეგ მან მეფედ გამოაცხადა თავი და დაირქვა ანტიოქოსი, რომელიც მშვენივრადაა ცნობილი მთელს აღმოსავლეთში.

ჩვ. წ. აღ.-მდე 104 წლის მეორე სიცილიური აჯანყების მე-

---

[1] გახსაკუთრებით, ყოფილი სიცილიელი მონის, ცეცილი კალაკატელის წერილები, რომელსაც ორივე აჯანყების მსხვერპლის რიცხვი, ატენეის თანახმად, მილიონამდე აპყავს, რაც აჯანყებულებისადმი თანაგრძნობით გამოწვეული გადაჭარბებაა. დიოდორე იძენს ცნობებს გრაქხუსების მტრის პოსიდონი აპამეელისაგანაც. დიოდორე, რომელიც სიცილიელი იყო და აგირაში ცხოვრობდა, დაინტერესებული იყო ყველა ამ მოვლენით, რომელსაც მიუძღვნა 34—36 წიგნები თავისი „ბიბლიოთეკისა". ჩვენამდე მისი შრომის მხოლოდ ნაწყვეტებმა მოაღწია, რომლებიც ბიზანტიელი ავტორების, უწინარეს ყოვლისა, ფოტიას ნაწარმოებშია შემონახული.

თაურები სალვიუსი და ათენიონი — პირველი სირიული და მეორე კი სიცილიური წარმოშობისა — ცხოველთა შიგნეულობისა და ვარსკვლავების მიხედვით მკითხაობის დიდი მცოდნენი იყვნენ. ახალი მოძრაობა განსხვავდება მისი წინამორბედი, ლათინურ-იტალური ტიპის აჯანყებისაგან და იღებს ჩვენთვის ცნობილი ღვთაებრივი წინამძღოლის მისტიკური მოლოდინის ხასიათს, მეფისა, რომელსაც წინასწარდასახული აქვს დიდება და მოსანანიებელი სიკვდილი. აჯანყებულთა ბედი ტრაგიკული იყო: ყველა ისინი ან ბრძოლის ველზე დაეცნენ, ან რომაულ გალერებზე აღმოჩნდნენ. მათმა სიკვდილმა თავიდანვე მიიღო სიმბოლური მნიშვნელობა, რომელიც ხელს უწყობდა იმას, რომ მითების სფეროში გადაეტანათ ყოველივე ის, რაც რეალური და რამდენადმე მაინც კლასობრივი იყო მათ სისხლისმღვრელ ბრძოლაში.

თანამედროვე ისტორიკოსებმა დაადგინეს, რომ „ძველი სამყაროს უშესანიშნავესი ყმაწვილის" (მარქსი) თრაკიელი სპარტაკის ბანაკში იმყოფებოდა თრაკიელი წინასწარმეტყველი ქალი, რომელიც იცნობდა ბაკქურ მისტერიებს, სხვანაირად რომ ვთქვათ, თრაკიაში წარმოშობილ დიონისეს კულტს. თვლიდნენ, რომ მას, პირველ ქრისტიან წინასწარმეტყველთა მსგავსად, შეეძლო მიეღო განსაკუთრებული ზეშთაგონება. წინასწარმეტყველი მუდამ აჯანყების მეთაურთან ერთად იყო და, ალბათ, მასთან ერთად დაიღუპა. შესაძლებელია, რომ ძირითადი განსხვავება სპარტაკის გარშემო დარაზმულ აჯანყებულთა აღმოსავლურ ბირთვსა და გალურ-გერმანულ ჯგუფს შორის, რომელსაც მეთაურობდა კრისი, იყო ის, რომ პირველნი უფრო იხრებოდნენ მესიანური ხასიათის მისტიკური ხსნისაკენ, ოცნებობდნენ სამშობლოში დაბრუნებაზე, უმწიკვლო ცხოვრებაზე და გამსჭვალულნი იყვნენ საიდუმლოებათა რელიგიების სულისკვეთებით, მაშინ, როცა მეორეებს ბოლომდე სურდათ ბრძოლა რომის წინააღმდეგ და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფოს დაარსება. თუ გავითვალისწი-

ნებთ ისტორიულ პირობებს, ისინი აუცილებლად უნდა დამარცხებულიყვნენ.[1]

ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიკოსებმა საჭიროა შეისწავლონ ეს მოვლენები, მიუხედავად იმისა, რომ შეიარაღებული ბრძოლა, ომი და დამარცხებანი პირველ პლანზეა, ხოლო აჯანყების რელიგიური ასპექტი კი უკანაა დაწეული და დაჩრდილული.

ამ თვალსაზრისით კიდევ უფრო მეტად საინტერესოა არისტონიკეს წინამძღოლობით ჩვ. წ. აღ.-მდე 133 წელს პერგამში, მცირე აზიაში, მონათა აჯანყების ისტორია. იგი ოცნებობდა სახელმწიფოზე უმონებოდ და უბატონებოდ და კამპანელაზე ჩვიდმეტი საუკუნით ადრე უწოდა მას მზის სახელმწიფო.

3. „და მოვიტევენ ჩვენ თანანა მდებნი ჩუენნი"

უძველესი ქრისტიანული ტექსტების შესწავლა, რომელსაც იტალიაში პროფესიონალი თეოლოგები და ფილოლოგები აწარმოებენ, გამუდმებული ყურადღების დაძაბვას მოითხოვს იმათ მხრივ, ვისაც სურს, რომ კაცობრიობის ისტორია მონაგონიდან მეცნიერებად აქციოს.

კლერიკალური სპეციალისტების ჭირვეული პრეტენზიები იმის შესახებ, რომ მხოლოდ და მხოლოდ ისინი არიან გარკვეულნი ამ დარგში, და ბურუჟაზიული ისტორიული მეცნიერების სპეციალისტთა უგუნური გულგრილობა ერთნაირად მავნეა და თანასწორად უწყობენ ხელს საზოგადოებისა და ცხოვრების ისტორიის ერთიანი რეაქციული განმარტების ჩამოყალიბებას, რომლის გავრცელებასა და უკვდავყოფაში დაინტერესებულნი არიან მმართველი კლასები.

მაგალითისათვის ავიღოთ ერთ-ერთი ადგილი ახალი აღთქმიდან, რომელიც საფუძვლად უდევს ადრეული ქრისტიანების კოლექტიურ ლოცვას „მამაო ჩვენოს".

---

[1] ასეთია განმარტება მოვლენისა, რომელიც სოლიუსტის „ისტორიის" შემორჩენილი ნაწყვეტებიდან გამომდინარეობს. ის მიეკუთვნება სპარტაკის აჯანყებას. სხვა წყაროები — აპიანე, პლუტარქე, ლივიუსი, ფლორი, ოროზი, პატერკული — კიდევ უფრო ბუნდოვანია.

შემონახული სამი ძირითადი სახარებიდან, რომლებიც ერთი შეხედვით ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია (მეოთხე, რომელიც იოანეს მიეწერება, პირველი სამისგან აშკარად განსხვავებულ ნიშნებს ატარებს და მკვდარი ზღვის რაიონში 1947 წელს აღმოჩენილ ტექსტებთან ახლოს მდგომ ებრაულ-ელინისტური რელიგიური ლიტერატურის ერთ-ერთ ნაირსახეობას მიეკუთვნება) მხოლოდ ორი—მათესი და ლუკასი — შეიცავს ლოცვის მთლიან ტექსტს, მაგრამ მეტად ყურადსაღები განსხვავებით. „და მომიტევენ ჩუენ თანანა დებნი ჩუენნი, ვითარცა ჩვენ მიუტევებთ თანამდებთა მათ ჩუენთა", — ვკითხულობთ ჩვენ მათესთან.[1] ამ სიტყვებში საკმაოდ ზუსტად არის გადმოცემული სოციალური მოთხოვნები, რომლებიც, იმის გამო, რომ ადამიანები უძლური იყვნენ რაიმე შეეცვალათ, რელიგიურ ილუზიათა სფეროში გადაიტანეს; მაგრამ ლუკას სახარებაში კი სიტყვა „დებნი" (ვალი), რომელმაც, თუმცა, უკვე იმდროინდელ ბერძნულ ენაში მიიღო მეორეული, მორალური ხასიათის მნიშვნელობაც, შეცვლილ იქნა სიტყვით „ცოდვანი": „და მომიტევენ ჩუენ ცოდვანი ჩუენნი, რამეთუ ჩუენცა მიუტევებთ ყოველთა თანა-მდებთა ჩუენთა..."[2]

გაიგივება ამ ორი ტერმინისა — „ვალისა" და „ცოდვისა" —პირველყოვლისა რელიგიურ იდეოლოგიაში ხდება, განსაკუთრებით იუდაიზმში. თუმცა ამას უეჭველად ხელს უწყობენ სოციალური ხასიათის ახალი მოვლენები, რომლებიც იმ მომენტიდან აღმოცენდნენ, როცა ქონებრივმა ხელმოკლეობამ ღარიბი თავისუფლების დაკარგვამდე მიიყვანა, რაც დღესაც ხდება.

არა მარტო ძველი აღთქმის უძველეს ტექსტებში, არამედ ვედურ ჰიმნებშიც მონური მდგომარეობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ მიზეზად, ომთან ერთად, მევალეობას ასახელებენ. ვაჟიშვილს ჰყიდნენ მამის ვალისთვის; ბუდის დროს, ქრისტიანულ ერამდე ექვსი საუკუნით ადრე, მსგავსი

---

[1] მათე, თავი 6, მუხლი 12.

[2] ლუკა, თავი 11, მუხლი 4.

ადათი გავრცელებული იყო მთელს ინდოეთში.[1] მონების შეძენის ეს ფორმა ბერძნებსა და რომაელებში კიდევ უფრო მეტად არის გავრცელებული.[2]

საკმარისია გავიხსენოთ, რომ, როცა კაიუს მარიუსს ჩვ. წ. აღ.-მდე 105 წ. სიძნელეები შეხვდა კიმვრებთან მძიმე ომის დროს, ლაშქრისათვის მოითხოვა ჯარისკაცების ახალი წყება და პრეტორებმა მიმართეს რომის მოკავშირე მცირეაზიელ მონარქებს. მონარქებმა უპასუხეს, რომ ჯარისკაცთა შეგროვება შეუძლებელია, რადგანაც მათი ქვეშევრდომთა უმეტესობა მონობაშია მოქცეული რომაელ გადასახადთა ამკრებების მიერ. სენატი იძულებული იყო განსაკუთრებული ზომები მიეღო და ბრძანა თავისუფლება დაებრუნებინათ ვალების გამო მონობაში ჩავარდნილი, თავისუფლად დაბადებული მოქალაქეებისათვის. ნაწილობრივ ამ მდგომარეობის გამოც დაჩქარდა მეორე აჯანყების დაწყება სიცილიაში, სადაც სენატის გადაწყვეტილებამ მონებს იმედები გაუღვიძა.

მაგრამ მონათმფლობელური ურთიერთობის გარეშეც პელოპონესის ომის ბოლოდან დაწყებული სამ საუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში „მიწების გადანაწილების“ ლოზუნგთან დაკავშირებული „ვალების გაუქმების“ მოწოდება განსაკუთრებით პოპულარული იყო როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში და ამბოხებისათვის აგულიანებდა გაღატაკებულ გლეხებსა და ხელოსნებს. IV საუკუნეში დემოსთენე და სოკრატე აერთიანებენ ორივე ლოზუნგს. მისი გამოძახილი ჯერ კიდევ უკვე ჩვენი წელთაღრიცხვის გარიჟრაჟზე გვხვდება პლუტარქთან. ეს ისტორიკოსი თავის „პარალელურ ბიოგრაფიებში“ მოგვითხრობს ერთ ეპიზოდს, რომელიც თავისი რელიგიური შინაარსით საოცრად ახლოს დგას ქრისტიანულ ლეგენდასთან.

---

[1] იხ. Dov Raj. L'esclavage dans l'Inde ancienne d'après les texles palis et sanskrits, „Institut Français d'indologie“. Pondichéry, 1957, გვ. 71—73.

[2] იხ. G. Glotz. Le travail dans la Gréce ancienne. Paris, 1920;

Paul Louis. Le travail dans le monde romain. Paris, 1912.

ლაპარაკია ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნის სპარტანელ მეფე კლეომენე III-ზე, რომელმაც წამოაყენა „ვალების გაუქმების, მიწების გადანაწილებისა და ილოტების განთავისუფლების წინადადება". თავისი ქვეშევრდომების მიერ განდევნილმა, თავი შეაფარა ეგვიპტის ალექსანდრიაში, მოაწყო აჯანყება პტოლემე IV-ის წინააღმდეგ და, როცა ამ აჯანყებამ მარცხი განიცადა, თავი მოიკლა. მაგრამ სანამ თავს მოიკლავდა, კლეომენემ შეკრიბა თავისი თორმეტი მეგობარი თავისებურ „საიდუმლო სერობაზე". მწუხარედ დაიტირა ვიღაცის მიერ ჩადენილი ღალატი და მოუხმო თავის თანამებრძოლებს ხელი აეღოთ უშედეგო ბრძოლაზე, როგორც ეს, თითქოსდა, იესომ გააკეთა გეთსიმანის ბაღში. კლეომენეს გვამი ჯვარს აცვეს. ხალხმა, რომელმაც ღრმად განიცადა მისი ტრაგიკული სიკვდილი და მთელი რიგი არაჩვეულებრივი ამბები, რომელიც თან სდევდა ბელადის დასჯას, იწამა სასწაული და კლეომენე „ღვთის შვილად" (ღმერთის ვაჟიშვილად) გამოაცხადა.[1]

როგორც დიოდორე სიცილიელი მოგვითხრობს[2], სირაკუზის ტირანი აღათოკლე ეცადა წინააღმდეგობა გაეწია რომაელი დამპყრობლებისათვის და ჩვ. წ. აღ.-მდე 240 წელს ისიც შეპირდა ქალაქის ღარიბობას „ვალების გაუქმებას და მიწების გადანაწილებას" იმის სანაცვლოდ, თუ ისინი ჩაეწერებოდნენ მის ჯარში. მაგრამ სიცილიას ვერაფერი ეშველა. მდიდრების მასობრივი ელეტა, რის შედეგადაც სირაკუზში 4 ათასი კაცი მოისპო, მეტყველებს იმ აჯანყების ცეცხლზე, რომელიც ბობოქრობდა მონათმფლობელური წყობილების გარეგნულად საიმედო საფარველქვეშ, და მდიდრებისადმი იმ საუ-

[1] იხ. ბერონის ციტირებული შრომა (გვ. 251). ბერონი ამტკიცებს, რომ სპარსელებსა და ებრაელებს შორის არსებობდა საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მას შემდეგ, რაც მეფე არეიას (ჩვ. წ. აღ.-მდე 309 — 265 წლები) მიპატიჟებით სპარტაში დასახლდნენ ისრაელთა ჯგუფები. ჩვ. წ. აღ.-მდე 168 წ. დიდმა ქურუმმა იაზონმა, რომელმაც ანტიოქე IV-ეს დააღწია თავი, მოსთხოვა და მიიღო თავშესაფარი სპარტანელთაგან. გამორიცხული არ არის, რომ მეფე კლეომენე III-ის ცხოვრების ისტორიაძ დატოვა კვალი პალესტინის ხალხის მასების შეგნებაში. იხ. აგრეთვე **А. Робертсон**, Происхождение христианства, ИЛ. 1953, გვ. 107—108.

[2] Bibliotecа", XIX, 2 და შემდ.

კუნეობრივ სიძულვილზე, რომელიც უეცრად და სტიქიურად იფეთქებდა ხოლმე.

ლოცვა „მამაო ჩვენო“ იმას მოწმობს, რომ მონის მდგომარეობამდე დაყვანილი ხალხის აჯანყების უძველესი მოწოდება საბოლოოდ „განრიდებულია“ კულტისა და წესჩვეულებათა სფეროში. ეს კი ადასტურებს, რომ იდეოლოგიისა და უტოპიის სხვადასხვა სახეები, რაშიც იხატებოდა პროტესტი ძველ მსოფლიოში (მაგალითად, მითი „ოქროს ხანაზე“ რომაელებში ან მესიის მეფობა ებრაელებში), განხილულ უნდა იქნეს არა მარტო როგორც ანტიკური ეპოქის მმართველი კლასების დაცემისა და ურწმუნოების ერთ-ერთი სიმპტომი, არამედ აგრეთვე როგორც დამარცხებული, ღარიბი და დაბეჩავებული მასების სასოწარკვეთილების გამოხატულება.

4. არისტონიკეს მზის სახელმწიფო

მასების ყველა ამ ბრძოლისა და სასოწარკვეთილების ეპიზოდებს შორის შესანიშნავი და ყურადსაღებია ისტორია არისტონიკესა და მისი მონებისა, რომლებიც აჯანყდნენ მცირე აზიის იმ მზიური ღვთაებების სახელისათვის, რომლებიც ამაზე დიდი ხნით ადრე გახდნენ მონების თაყვანისცემის ობიექტად.

ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნის მეორე ნახევარში, როცა სიცილიაში ევნუსის მეთაურობით მონების აჯანყება გაჩაღდა, ამბოხებათა კერები გაჩნდა ანტიკური საზოგადოების ყველა უმნიშვნელოვანეს ცენტრში. ცეცხლი ედებოდა კარიდან კარს, სოფლიდან სოფელს, რომელიც ვრცელდებოდა და იპრებოდა საზოგადოების ყველა უჯრედში, ისევე, როგორც შემდგომში გავრცელდა ქრისტიანული იდეოლოგია, რომელსაც თან მოჰქონდა განდგომა და მორჩილება.

რევოლუციური მოძრაობის შეფერხების მიზნით მიღებულ იქნა სპეციალური ზომები, განსაკუთრებით აღმოსავლეთში, რომლებსაც უნდა შეემსუბუქებინათ მონათა მდგომარეობა. მაგრამ უკმაყოფილება ვერ იქნა ჩახშობილი, და მღელვარება გადადიოდა იტალიიდან საბერძნეთში, მცირე აზიიდან ეგეო-

სის კუნძულებზე, სადაც მეკობრე მონათა რაზმები ბატონობდნენ. შეიძლება ამ მიზეზების გამოც ერთ-ერთი პატარა მონათმფლობელური სახელმწიფოს პატრონმა მცირე აზიაში, რომლის დედაქალაქიც იყო პერგამი, ატალ III-ემ სიკვდილის წინ ჩვ. წ. აღ.-მდე 133 წელს გადაწყვიტა თავისი სამეფო დაეტოვებინა რომაელი ხალხისათვის. არსებობს ასეთი ვარაუდი. მაგრამ როგორც არ უნდა ყოფილიყო ეს, ფაქტია, რომ ვინმე არფაზე დამკვრელი ეთესელი მონა ქალის ვაჟიშვილის და, ალბათ, მეფის არაპირდაპირი ძმის, არისტონიკეს ხელმძღვანელობით მაშინვე გაჩაღდა ანტირომაული აჯანყება, რომელმაც ეროვნული და სოციალურ-განმათავისუფლებელი ომის ხასიათი მიიღო.

არისტონიკე დაგმობილ იქნა თავისუფალთა მიერ, რომლებსაც იგი მოუწოდებდა. ისინი — რომაელებში ხედავდნენ თავიანთი კლასობრივი ბატონობის გაძლიერების დამატებით გარანტიას (ისტორიაში პირველი შემთხვევა არ არის და, რასაკვირველია, არც უკანასკნელი, როცა გაბატონებული კლასების მონაპოვრის გადასარჩენად უცხოელებს სთხოვენ ჩაერიონ ქვეყნის შინაურ საქმეებში). ამის შემდეგ არისტონიკემ მიმართა დაჩაგრულებს, გაუბედურებულებს და, პირველ რიგში მონებს, რომლებსაც დაპირდა გამარჯვების შემთხვევაში შეექმნა სახელმწიფო „ბატონებისა და მონების, მდიდრებისა და ღარიბების გარეშე". რამდენად გულითადი იყო ეს დაპირებები და რამდენად იყო ნაკარნახევი ბრძოლის პირობებით, ჩვენთვის ამას მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. მასები, რომლებსაც არისტონიკემ მიმართა, მხურვალედ გამოეხმაურნენ მის მოწოდებას, და მთელი პერგამის სამეფო, რომელსაც აჯანყებულებმა „მზის სახელმწიფო"[1] შეარქვეს, მთელი ორი წლით მონების ხელში აღმოჩნდა.

---

[1] ბერძნულად—„ჰელიოპოლის". ჰეროდოტე ხმარობს ამ სიტყვას მხოლოდ ქვემო ეგვიპტის ქალაქთან კავშირში, რომელიც მიძღვნილი იყო მზის ღმერთისადმი. თუმცა, სტრაბონის დროს, ელინისტური აღმოსავლეთის ბევრი ცენტრი ატარებდა ამ სახელს.

ყველაზე არსებით ცნობებს ამ მოვლენების შესახებ ჩვენ ვნახულობთ სტრაბონთან მისი „გეოგრაფიის“ XIV თავში:

„...ეთესელებთან კუმაის ახლოს საზღვაო ბრძოლაში დამარცხების შემდეგ, ის გაიქცა სმირნიდან, თავი შეაფარა მატერიკს, სადაც საჩქაროდ თავი მოუყარა ღარიბებსა და თავისუფლებისათვის მოწოდებულ მონების ბრბოს; მან შეარქვა მათ ჰელიოპოლიტები“[1].

თვითონ „მზის სახელმწიფოს“ სახელწოდებაში უეჭველად ეღერს გამოძახილი ელინისტურ აღმოსავლეთში განსაკუთრებულად პოპულარული „მზის კულტებისა“, რომლებიც უფრო მეტად საზოგადოების დაბალ ფენებში იყო გავრცელებული. მაგრამ რელიგიური მოტივების იქით იმალებოდა გარკვეული სოციალური პროგრამა. მზის სახელმწიფო, თავისუფლებისა და თანასწორობის სამეფო, ჯერ კიდევ ადრე იყო გამოხატული ჩვ. წ. აღ.-მდე V საუკუნის მეორე ნახევრის ვინმე სოფისტის ტრაქტატში, რომელიც ცნობილი იყო სახელწოდებით —„ანონიმი ჯამბლიკოდან“. მისი უტოპიური მოძღვრების გავლენა, როგორც ჩანს, მართლაც ძალიან დიდი იყო, თუკი ის თავს იჩენდა თვით ჩვენი აღორძინების ეპოქამდეც კი.

არისტონიკეს მოწოდებას გამოეხმაურნენ აღმოსავლეთის ღარიბები და მონები, თვით შორეული თრაკიიდანაც კი, რომელიც ჰელესპონტის (დარდანელის სრუტე) იქით მდებარეობდა. და არა მარტო ისინი. არის ნიშნები აჯანყებულების კავშირისა რომაელ პლებსთან, რომლებიც მიწის რეფორმისათვის იბრძოდნენ. ტიბერიუს გრაქხუსის სიკვდილის შემდეგ მისი მეგობარი და თანამებრძოლი ფილოსოფოსი ბლოსი გადავიდა მცირე აზიაში არისტონიკესთან და იბრძოდა მის მხარდამხარ. როცა აჯანყების ბელადი მტრებს ჩაუვარდა ხელში, ბლოსმა არ ისურვა, რომ მის სიკვდილს მოსწრებოდა და თავი მოიკლა.

იმისათვის, რათა ჩაეხშოთ ეს აჯანყება, რომაელები იძულებული იყვნენ დაეცადათ სიცილიის პირველი ამბოხების დამ-

---

[1] „Геог.афия Страбона“ в семнадцати книгах, М., 1879, თავი XIV, წიგნი 1, 38, გვ. 660.

თავრებისათვის, მაგრამ მაშინაც კი მათ დასჭირდათ მონათმფლობელური სახელმწიფოების მთელი ძალების გაერთიანება.

კონსულმა პ. ლიკინიუს კრასმა მობილიზაცია გაუკეთა ნიკომედ II-ის, მითრიდატ V პონტოელის, არიარატ V-ის (კაბადოკიაში) და ფილიმონ I-ის (პაფლაგონიაში) ძალებს. მაგრამ განადგურებულ და მოკლულ იქნა მონებთან ბრძოლაში. მხოლოდ მისმა შემცვლელმა, კონსულმა მარკ პერპერნამ შეძლო დაემარცხებინა არისტონიკე ჩვ. წ. აღ.-მდე 130 წელს. იგი გაგზავნა რომში, სადაც არისტონიკე სენატის ბრძანებით დახრჩობილ იქნა ციხეში.

ადრე თუ გვიან ასევე სისხლში იქნა ჩახშობილი ყველა მსგავსი აჯანყება. პერგამის სამეფო გადაიქცა „აზიის პროვინციად". მონათმფლობელებმა და მონებით ვაჭრებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. სიცილიაში დამყარდა ტერორის რეჟიმი: ყოველ მონას, რომელსაც ხელში იარაღს უნახავდნენ, თუნდაც მას იგი თავისი ბატონის დასაცავად აეღო ხელში, წამება და სიკვდილით დასჯა ელოდა. ამბოხებულთა სამუდამო დაშინების მიზნით ქრისტემდე ასი წლით ადრე აღმართულ იქნა ჯვარი.

ავგუსტის მიერ წარმატებით შექმნილი პრინციპატი ნაწილობრივ გაპირობებული იყო მისი წინადადებით მთელს ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროში თანამიმდევრულად გატარებინათ რომაული მონათმფლობელობის ძირითადი პრინციპი: უცილობლობა და ხელშეუხებლობა მონათმფლობელის ძალაუფლებისა[1].

უდიდეს სკანდალად იქცა მეპატრონის უფლების შეზღუდვა საკუთარი მონის „უსამართლოდ" მოკვლის გამო, რომელიც უკანასკნელმა ანტონინებმა შემოიღეს ორი საუკუნით გვიან: „ის, ვინც მოკლავს თავის მონას სათანადო საფუძვლის გარეშე (sine causa), ისევე პასუხისმგებელია, როგორც სხვისი მონის მკვლელი.[2]

---

[1] იხ. ამის შესახებ შრომა: Н. А. Мѣшкин, „Принципат Августа М—Л., 1949, გვ. 408—426.

[2] Гай. Институции, I, 53.

მაგრამ ჩვ. წ. აღ.-მდე II—I საუკუნეების დიდ აჯანყებებთან დაკავშირებით ისტორიაში მაინც აღმოცენდა ზოგიერთი ახალი მოვლენა.

მიწის კრიზისი, რომელსაც რომმა საბოლოოდ თავი მაინც ვერ დააღწია და რომელიც დაიწყო რესპუბლიკური პერიოდის ბოლოს, მართალია, სამოქალაქო ომებით არ იყო გამოწვეული, მაგრამ მათ უკიდურესად გაართულეს იგი. ლატიფუნდია, როგორც მიწათმოქმედების ძირითადი ფორმა, იწყებდა დაცემას და ძალიან ადრე დაქუცმაცებულ იქნა ნახევრად დამოკიდებულ მიწათმოქმედთა კოლონების ნაკვეთებად, რისი წყალობითაც შესაძლებელი გახდა მიწის სამუშაოებზე ათასობით მონის თავმოყრით გამოწვეული საფრთხის აცილება, შემოსავალი კი გადიდდა.

მეორე მხრივ, ევნუსსა და არისტონიკეს, სალვიუსსა და სპარტაკს კიდეც რომ გაემარჯვათ, საზოგადოების ეკონომიური საფუძველი მაინც არ შეიცვლებოდა: მონათმფლობელები გახდებოდნენ მონები და ამით ისტორია წინ ვერ წავიდოდა. საზოგადოების ორგანიზაციის ერთადერთი ტიპი, რომელიც შეიძლებოდა მოეფიქრათ აჯანყებულებს, იყო ელინისტური მონარქია, რომელიც დამყარებული იყო ღვთაებრივ სამართალზე. სწორედ აქეთკენ იყო მიმართული მონათა იმედები. რომლებსაც მიწიერი წარუმატებლობანი იძულებულს ხდიდნენ ეძებნათ ფანტასტიკური, ზებუნებრივი გამოსავალი. ამის მიუხედავად, ის გმირული ფურცლები, რომლებიც მათ ჩაწერეს თავისუფლებისა და სამართლიანობისათვის ხანგრძლივი და ქანცგამომცლელი ბრძოლის მატიანეში, არ უნდა იქნეს დავიწყებული. ამავე დროს იტალიურ სკოლებში ყურადღება გამახვილებულია არა ამაზე, არამედ თვითმპყრობელთა და კონსულთა ქებათა ქებაზე, იმათზე, ვინც მთელ ძალღონეს ხმარობდა აჯანყებების ჩასახშობად. აი კლასობრივი სოლიდარობა, რომელიც არ ცნობს არც დროის ზღვარს და არც რეჟიმთა განსხვავებას!

ჯერ კიდევ ქრისტიანულ წელთაღრიცხვამდე ათასი წლით ადრე რელიგიური სიმბოლოს — ჯვრის სხვადასხვა გამოსახულებებს სულ სხვადასხვა ხალხებში ვხვდებით.

სვასტიკის ფორმის ჯვარი, რომელიც, სამწუხაროდ, ნაცისტურმა ბარბაროსობამ განადიდა, აღმოსავლეთისა და დასავლეთის ბევრ ქვეყანაში (ინდოეთიდან მექსიკამდე და იაპონიიდან შოტლანდიასა და ირლანდიამდე) გვხვდება. ჯვრის თვით იმ ფორმას, ან თითქმის ისეთს, რომელიც შემდეგ ტრადიციულად ქრისტიანული გახდა, ჩვენ ხშირად ვნახულობთ საკულტო გამოსახულებების სახით ფინიკიელებთან და ჩრდილოეთის ხალხებთან, ბერძნებთან და ცენტრალური ამერიკის ეროვნებებთან.

ამბობენ, რომ მეზღვაურები, რომლებიც კოლუმბს ჩაჰყვნენ ამერიკაში, ამ სიმბოლოს ნახვით გაოცებულნი და ჯერ კიდევ დარწმუნებულნი იმაში, რომ ინდოეთის აღმოსავლეთ სანაპიროსთან არიან, მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მათ მოსვლამდე ამ ადგილებში უკვე იყოფებოდა ლეგენდარული მოციქული წმ. თომა, „პატრონი ინდოეთისა". აი როგორ მუშაობდა მორწმუნე ხალხის ფანტაზია.

როგორ წარმოიშვა ეს სიმბოლო, რომელსაც დღესაც კი უდიდესი ადგილი უკავია მილიონობით ადამიანის შეგნებაში?

მკვლევართა მთელი სკოლა ჯვრის გამოსახულებაში, განსაკუთრებით სვასტიკის ფორმაში, მხოლოდ მზის სიმბოლოსა და მისი სხივების პრიმიტიულ გამოსახვას ხედავს. მართლაც, კაცობრიობის განვითარების გარკვეულ ეტაპზე ჯვარს, ალბათ, ჰქონდა ეს მნიშვნელობა—ჩვენ საეჭვოდ არ ვხდით ამ გარემოებას. ბერძნების მზის უძველესი ღვთაების აპოლონის სკიპტრასაც ჯვრის ფორმა ჰქონდა; იგივე შეიძლება ითქვას ჩრდილოეთის ხალხების ღმერთის—თორას ურესა და ასურულ-ბაბილონურ ღმერთ ანუს სიმბოლოზე. ეგვიპტელებთან ჯვარმა უკვდავების სიმბოლოს მეორეული მნიშვნელობა მიიღო, რაც დაკავშირებული იყო მზის მარადიულობასთან, რომელიც კვდება და კვლავ ცოცხლდება.

ამავე დროს ადამიანთა პირველი წარმოდგენები უმჭიდროეს კავშირში არიან რეალურ ცხოვრებასთან და პირველ რიგში შრომის იარაღების აღმოჩენასა და გამოყენებასთან, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი გახდა ველურობისა და ცხოველური მდგომარეობის სტადიიდან კოლექტიური ცხოვრების უფრო განვითარებულ ფორმაზე გადასვლა. ძნელი არ არის წარმოვიდგინოთ, რამდენად ბევრს ნიშნავდა საზოგადოების განვითარებისათვის ისეთი იარაღების გამოგონება, როგორიცაა ნაჯახი, ურო, ჩუგლუგი, კავი; ეს ინსტრუმენტები ბოლოს და ბოლოს რ ე ლ ი გ ი უ რ ს ი მ ბ ო ლ ო ე ბ ა დ ა ც კი იქცნენ ზოგიერთ ხალხში; ამიტომ სრულებით არ არის აუცილებელი ამ სიმბოლიკის წარმოშობა რომელიმე ცენტრს მივაკუთვნოთ, ან ერთი ქვეყნის მიერ მეორიდან გადმოღებულად ჩავთვალოთ. მხოლოდ კარგა მოგვიანებით, როცა გაქრა კავშირი ამა თუ იმ სიმბოლოსა და არსებულ სინამდვილეს შორის, წარმოიშვა ამ გამოსახულებათა იდეოლოგიური განმარტება.

ამრიგად, ადამიანები თავდაპირველად ჯვარს უკავშირებდნენ არა მზეს, არამედ ბ ო რ ბ ლ ი ს გრაფიკულ გამოსახულებას. ბორბლის განვითარება მეტად მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა საზოგადოების განვითარებაში. მან თავისებური რევოლუცია მოახდინა მიმოსვლის საშუალებებში, მსგავსად ბერკეტისა, რომელმაც შეცვალა ნაგებობათა შენების ტექნიკა. პირველი პრიმიტიული ბორბალი — ოთხი გადაჯვარედინებული მანათი—კონკრეტული ცხოვრებიდან რელიგიური აბსტრაქციის სფეროში გადავიდა როგორც დადასტურება იმ გზისა, რომელიც ტექნიკურ პროგრესში განვლეს ადამიანებმა.

არავითარი კავშირი არ არსებობს ჯვრის ქრისტიანულ კულტსა და იმ უძველეს რელიგიებს შორის, რომლებსაც იგივე სიმბოლო ჰქონდათ. თეოლოგებმა ამ ყბადაღებულ კავშირზე პოეტური ლაყბობის ქარგა მოქსოვეს და იქამდესაც კი მივიდნენ, რომ ჯვრის უძველეს კულტებში მათ ქრისტიანული რელიგიის დასაწყისის მსგავსი რაღაც დაინახეს. მაგრამ მეცნიერება ხომ თეოლოგიის გზით არ მიდის!

ქრისტიანული ჯვრის კულტი საფუძველში სულ სხვა წარ-

მოშობისაა და ამასთან ისიც კონკრეტულ საფუძველთან არის დაკავშირებული.

ბორბალთან ერთად ჯვარი წამების ყველაზე გავრცელებული იარაღი იყო, მას ანტიკურ სამყაროში იმ მონათა დასასჯელად იყენებდნენ, რომლებიც არღვევდნენ მონათმფლობელთა კანონებს. მსხვერპლს ხელებითა და ფეხებით აბამდნენ ბ ო რ ბ ა ლ ზ ე, რომელიც შემდეგ მოძრაობაში მოჰყავდათ და დიდი სისწრაფით აბრუნებდნენ მანამ, სანამ განწირული არ დაკარგავდა გრძნობას და არ მოკვდებოდა. მონას ჯ ვ ა რ ზ ე აკრავდნენ ან აჭედებდნენ ლურსმნებით, ხშირად მას სიმივით ჭიმავდნენ და ასე ტოვებდნენ, რომ საშინელი წამებით ნელ-ნელა მომკვდარიყო. სავსებით შესაძლებელია, რომ ჯვარი წამების იარაღად განვითარდა სწორედ ბორბლისაგან, რომელიც თავისი უძველესი ფორმით ორი ერთმანეთზე ჯვარედინად დამაგრებული ჭოკისაგან შედგებოდა, რათა დაემაგრებინა პრიმიტიული ხის ფერსო.

იმის გამო, რომ რელიგიაში ყოველთვის გამოიხატება ტანჯვა-წამების ცოცხალი და რეალური გამოცდილება, რაზედაც კლასებად დაყოფილ საზოგადოებაში განწირული არიან დამორჩილებული ფენები, გასაკვირი არ არის, ბორბალი და ჯვარი ძალიან მალე შეეიდნენ მითოლოგიის სფეროში. ძველი საბერძნეთის ორფისტული კულტები, რომელთა წყაროც ქალაქების განვითარების შედეგად მიწიდან აყრილ და მონებად ქცეულ მოქალაქეთა ტანჯვა-წამება იყო, ერთ-ერთ სიმბოლოდ ბორბალს იყენებდნენ. „მე გადავურჩი წამებისა და სიღატაკის ბორბალს“, — ვკითხულობთ ჩვენ ორფიზმის ერთ-ერთ სამლოცველო ფორმულაში[1]. ჯვარცმის კულტის წარმოშობა ქრისტიანობაში იმავე განწყობილებას გამოხატავს.

საუკუნეების განმავლობაში ჯვარცმა — წამება, რომელიც, შესაძლოა, ფინიკიელებმა გამოიგონეს, — გადაიქცა დამარცხებულ აჯანყებულ მონათა სიმბოლოდ. თავდაპირველად

---

[1] K e r n. Orphicorum fragmenta. Berlin, 1922, გვ. 106. დამახასიათებელია, რომ ოქროსა და სხვა საბადოების შემაძრწუნებელი საარსებო პირობები ორფისტულ მითებში ისევე გამოიხატება, როგორც ჯოჯოხეთის წამება.

ჯვარცმა სრულდებოდა უბრალო ბოძზე, რომელზეც აბამდნენ დამნაშავეს, მაშინ, როცა ახლომახლო არ იყო შესაფერისი ხე. მოგვიანებით კი ერთმანეთზე გარდიგარდმო მიბმული ძელების საშუალებით მიღებულ იქნა ჯვრის მსგავსი რამ. რომაელები მას იმდენად მკაცრ და დამამცირებელ სასჯელად თვლიდნენ, რომ აბსოლუტურად გამორიცხავდნენ მას პრივილეგირებული წოდებისათვის, თვით ღალატის უმძიმესი შემთხვევის დროსაც კი[1]. მაგრამ ამავე დროს დასჯის ამ ფორმას ისინი ფართოდ იყენებდნენ მონებისა და, საერთოდ, მათ მიმართ, ვინც ილაშქრებდა მათი უღლის წინააღმდეგ.

თავისუფალი ადამიანი არ შეიძლებოდა დასჯილიყო ჯვარცმით. რომაელები მისგან ყოველგვარ პირობებში იყვნენ გარანტირებული, თუმცა დანაშაული, როგორც ამას მოწმობს ვერესის წინააღმდეგ ციცერონის გამოსვლების სხვადასხვა ადგილები, მკაცრად ისჯებოდა. რომაელი გუბერნატორებისა და პროკურატორების თვითნებობის გამო მხოლოდ პროვინციებში ხვდებოდნენ ხანდახან ჯვარზე თავისუფალი წოდების. მაგრამ დაბალი ქონებრივი და საზოგადოებრივი მდგომარეობის ადამიანები. ჩვენი წელთაღრიცხვის მოახლოებასთან ერთად, ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნიდან იუდეასა და გალილეაში ხშირდება ჯვარცმით მასობრივად დასჯის შემთხვევები.

სამოქალაქო ომების ერთ-ერთი ისტორიკოსის მიხედვით, კრასის წინააღმდეგ უკანასკნელი ბრძოლის წინ, ჩვ. წ. აღ.-მდე 71 წლის გაზაფხულზე, სპარტაკმა ბრძანა თავისი ჯარის წინ ჯვარზე ეცვათ ერთ-ერთი რომაელი მოქალაქე და „ამით ეჩვენებინა, თუ რა მოელოდა მის ჯარს დამარცხების შემთხვევაში“.[2] ამავე დროს ის ექვსი ათასი მონა, რომლებიც მისი დამარცხების შემდეგ ტყვედ ჩაიგდეს და ერთმანეთისაგან რამდენიმე მეტრის დაშორებით განლაგებულ ჯვრებზე აცვეს აპიანის გზის გასწვრივ (ქალაქის კარებიდან თითქმის კაპუამდე),

---

[1] „ყველაზე სასტიკი და შემაძრწუნებელი იმ სასჯელთა შორის, რომელიც კი მოუგონებიათ მონებისათვის“ М. Тулий Цицерон Полное собрание речей, т. I, Спб., 1901, 169—170, გვ. 398).

[2] Appua. Н. Гражданские войны, I, 14, 119.

გაცილებით უკეთ გვაგებინებენ ქრისტიანული ჯვარცმის მითს, ვიდრე თეთლოგების მოსაზრებანი „ცხონების საიდუმლოების“ შესახებ.

უნდა ითქვას, რომ ჯვრის კულტი ადვილად არ დამკვიდრებულა თავდაპირველი ქრისტიანობის ლიტურგიებსა და ხატწერაში.

მას შემდეგ, რაც ახალი რწმენა ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველაზე უფრო დაბეჩავებული ფენებიდან გავრცელდა კულტურულად და ეკონომიურად უფრო ფართო ფენებზე, ინსტინქტური ძრწოლა, ჩვენ ვიტყოდით, კლასობრივი შიში, თითქოს აკავებდა მორწმუნეებს აშკარად განედიდებინათ ეს სიმბოლო, რომელიც ოდითგანვე იწვევდა მათში ასეთ შიშსა და სასოწარკვეთას.

„ხოლო ჩუენ ვქადაგებთ ქრისტესა ჯუარ-ცმულსა: ჰურიათა სამე საცთურ, და წარმართთა ბრძოლელე“ — ასე იყო განსაზღვრული ქრისტეს ჯვარცმისადმი დამოკიდებულება უძველეს ქრისტიანულ ლიტერატურაში[1]. როგორც მინუციუს ფელიქსის „ოქტავიუსი“ და ტერტულიანეს „აპოლოგების“ ზოგიერთი ადგილი მოწმობს, II—III საუკუნეების განმავლობაში ახალი რელიგიის მიმდევრებს ხშირად უხდებოდათ თავის დაცვა ჯვრისადმი თაყვანისცემის ბრალდების გამო. და მაშინაც კი, როცა ჯვრის გამოსახულებამ დაიწყო გამოჩენა საფლავის ქვებსა და ორნამენტებზე, დიდი ხნის მანძილზე არსად არ ვხვდებით ჯვრის მკაცრ რეალისტურ გამოსახულებას.

თავდაპირველად გავრცელდა სერია სიმბოლური და მონოგრამატიკული ნიშნებისა, რომლებისთვისაც საწყისი ფორმა იყო ბერძნული სიტყვა „ქრისტეს“ პირველი ასო—X; ის აგრეთვე აღნიშნავდა 10 რიცხვს რომაელებში. მას ეწოდა „ირიბი ჯვარი“ (მოგვიანებით ხალხში მას უწოდეს ანდრიას ჯვარი[2]) — ასევე უწოდებდნენ მსგავსი ფორმის არქიტექტურულ ელემენტებსაც. შემდეგ ამას მოჰყვა ჯვარცმის ამ ფრთხილი ქარაგმის მისტიკური ვარიანტების მთელი გამა, რომლე-

---

[1] 1 კორინთელთა, თავი I, მუხ. 23.

[2] დასავლეთში იგი ბურგუნდიულის სახელითაც არის ცნობილი.—რ ედ.

ბიც კატაკომბებში გვხვდება. რასაკვირველია, ასეთი სიმბოლიკის მიზეზია არა მარტო ის, რომ სხვაგვარად მოახროვნეთაგან დაიცვან რელიგიური საიდუმლოება, როგორც ამას საერთოდ ამტკიცებენ, და არც ხელისუფალთა მხრივ რეპრესიების გამოწვევის შიში.[1]

მოგვიანებით წარმოიშვა სინამდვილესთან უფრო ახლოს მდგარი სიმბოლოები, ისეთები, როგორიცაა ბერძნული, ანუ კვადრატული ჯვარი, რომელიც განსაკუთრებით აღმოსავლურ ქრისტიანობაშია გავრცელებული; განივი ჯვარი, რომელიც ლათინური ასო T-ს გვაგონებს (მორწმუნენი მას ანტონის ჯვარს უწოდებენ), და, ბოლოს, ლათინური ჯვარი, ანუ „crux immissa", რომელსაც კათოლიკურ და პროტესტანტულ კულტებში იყენებენ.

ყველაფერ ამასთან ერთად, IV საუკუნის ბოლომდე და V საუკუნის დასაწყისამდეც კი, ქრისტეს პიროვნება ხელოვნებაში არ უკავშირდება მისი დასჯის იარაღის გამოსახულებას. დაუძლეველი ზიზღი აკავებდა ქრისტიანებს იმისგან, რომ ქვეყნის მაცხოვარი გამოეხატათ ლურსმნებით მიჭედილი წამების სამარცხვინო ბოძზე. ჯვარცმის ჩვენთვის ცნობილი ყველაზე უძველესი გამოსახულება პაპი სელესტინე I-ის მმართველობის წლებს მიეკუთვნება (ჩვ. წ. აღ.-ით 422—432 წლები). ეს ხისგან გამოჭრილი ქანდაკება რომში, ავენტინის გორაზე აშენებულ წმ. საბინის ბაზილიკის მდიდრულად მორთულ პორტალშია.[2]

ეტყობა რაღაც მოხდა ამ ეპოქაში, რის გამოც ჯვარცმის გამოსახულება უფრო მისაღები გახდა.

საქმე ისაა, რომ ქრისტეს ჯვარზე წამების საპატივცემლოდ იმპერატორმა კონსტანტინემ გადაწყვიტა გაეუქმებინა წამების ეს წესი (როგორც ჩანს მონებისთვისაც). რეფორმა უცბად

---

[1] იხ. ახალი ნაშრომი M. S. Miller. A. book about crosses. Leiden, 1956.

[2] ზოგიერთი მკვლევარი ქრისტეს ჯვარცმის გამოსახულების გამოჩენას უფრო გვიანდელ ეპოქას უკავშირებს—VI და IX საუკუნესაც კი. აღსანიშნავია, რომ თავდაპირველად ქრისტე ჯვარზე მილურსმული კი არ გამოიხატებოდა, არამედ მხოლოდ მის ფონზე. — რ ე დ.

განხორციელებულა. ჯვარცმის შემთხვევები არაერთხელ ვ
ვდება ისტორიის ძველი პერიოდის დასასრულს, შუა საუ-
ენეებში და მასზე უფრო მოგვიანებითაც კი. მაგრამ ამიერი-
ან მჭიდრო კლასობრივი კავშირი ჯვარსა და მონას შორის
ეკარგულია, ლიტურგიებსა და თეოლოგიაში გამოჩნდნენ
ალი ფაქტორები, რომლებმაც ჯვარზე სიკვდილის ტრაგე-



ჯვრის სხვადასხვა სახეები: 1 — ძველეგვიპტური ჯვარი ყულფით; 2—ბერძნული; 3—ლათინური; 4—ლათინური T-ს მსგავსი; 5—სვასტიკა; 6— წმ. ანდრიას; 7 — პაპის; 8—ღუზისებური; 9—სახრჩობელისებური; 10—სამყურასებური; 11—ლორენის (რუსული, პატრიარქული); 12—მალტური

დიას ჩამოაშორეს ყველაფერი ის, რაც ახალ სოციალურ დაჯგუფებებს მოაგონებდა მათი რელიგიის დაბალ წარმოშობას.

უკვე პლატონისა და სოკრატესდროინდელ ძველ კლასიკურ საბერძნეთში ამა თუ იმ წმინდანის წამება მორალურად ასოცირდებოდა მონის ჯვარზე წამებასთან, და ამ მორალისტურმა ტენდენციამ დიდი ზემოქმედება მოახდინა უძველეს ქრისტიანულ ლიტერატურაზე.

ერთ-ერთ ადგილას პლატონის „რესპუბლიკაში", რომელმაც ჯერ კიდევ ვერ მიიღო სათანადო შეფასება ბერძნული აზროვნების ყველაზე უფრო შორსმჭვრეტელი მკვლევარე-

ბისაგანაც კი[1], ჩვენ ვკითხულობთ „სამართლიანი“ და, თავისთავად იგულისხმება, თავისუფალი ადამიანის აღწერას, რომელიც მარტოდ რჩება მისი მსჯავრის დამდები ხალხის წინაშე, მსგავსად ვინმე „ecce homo“[2] ტიპისა, რომელიც უსამართლობისაგან დამწუხრებული და განკიცხულია. „ასეთ წმინდანს გაროზგავენ, აწამებენ და დაადებენ ბორკილებს... მას ამოსწვავენ და დასთხრიან თვალებს, და, ბოლოს, ხანგრძლივი წამების შემდეგ გააკრავენ ჯვარზე და იგი გაიგებს, რომ ადამიანს არ უნდა ჰქონდეს წმინდანობის სურვილი, არამედ უნდა ჰგავდეს მას“[3].

აქ გადაკრული სიტყვაა სოკრატეს სიკვდილზე, და მაინც პლატონმა საჭიროდ ჩათვალა ციკუტის საწამლავი შეეცვალა ჯვარცმით.

რაღაც უფრო ღრმა, ვიდრე პლატონის ჩვეულებრივი კლასობრივი პოზიციაა, გამოსჭვივის ამ ჯვარცმული წმინდანის სახეში, თუ რასაკვირველია, ეს ადგილი მოგვიანებით არ არის ჩამატებული. ამიტომ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ რომის იმპერიის ეპოქის განათლებულმა მორწმუნეებმა პლატონის მიერ შექმნილი წმინდანის ტანჯვასა და სიკვდილში დაინახეს წინასწარმეტყველური განჭვრეტა იესოს ვნებისა და სიკვდილისა, და ამით ხელი შეუწყვეს ჯვარცმის მითის მის საშიშ სოციალურ ფესვებისაგან ჩამოშორებას, რათა იგი გადაეტანათ რელიგიური მორალის უფრო ნაკლებად მშფოთვარე სფეროში. ყოველ შემთხვევაში ნათელია, რომ არასდროს არც ერთ რელიგიას, რომელიც დამყარებული იყო ისეთ რეალურ მოვ-

---

[1] გამონაკლისს წარმოადგენს ერნსტ ბენცი (იხ. Ernst Benz. Der gekrenuzigte Gerechte bei Plato, im „Neuen Testament und in der alten Kirche.“ Mainz—Wiesbaden, 1950). ასეთივე რელიგიურ-სოციალურ წარმოდგენებს მიეკუთვნება მოძღვრება მსოფლიოს სულის ჯვარცმის შესახებ პლატონის დიალოგში „ტიმეი“.

[2] „აჰა კაცი იგი“— პილატეს სიტყვები, რომლითაც მან წარუდგინა ხალხს ქრისტე, რომელსაც თავზე ედგა ეკლის გვირგვინი (იოანე, თავი 19, მუხ. 5.). — რ ე დ.

[3] «Сочинения Платона, ч. III. «Политика или государство». Спб., 1863, 361 E—362 A.

ლენებზე, როგორიც მონების ჯვარზე წამებაა, არ შეეძლო გადაელახა იმ მიწის საზღვრები, რომელმაც ის წარმოშვა, და განვითარებულიყო მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის სხვადასხვა ხალხებისათვის გამოსადეგ ხსნის რელიგიად, რომ საუკუნეების განმავლობაში მილიონობით მონებს და ჩაგრულებს ჯვარზე სიკვდილის განდიდებაში არ დაენახათ რაღაც უფრო დიდი, ვიდრე უბრალო თეოლოგიური აბსტრაქცია.

მითი ხსნის შესახებ

ამ ასე, ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ცხოვრების პირობების შესწავლამ მონობის უდიდესი განვითარების პერიოდში თითქმის მიგვიყვანა ქრისტიანული რელიგიის ჩასახვის ეპოქასთან.

ამასთან დაკავშირებით საჭირო იქნება კიდევ ზოგიერთი მოსაზრება გამოვთქვათ, სანამ შევეხებოდეთ მოვლენის არსს, რომელიც საკმაოდაა გაშუქებული ისტორიული გამოკვლევებით, კარგადაა დასაბუთებული და მოკლებულია ყოველივე იდუმალსა და ზებუნებრივს. ამასწინანდელი არქეოლოგიური აღმოჩენები და ომისშემდგომ პერიოდში პალესტინასა და ეგვიპტეში ნაპოვნი დოკუმენტები ამტკიცებენ, რომ ქრისტიანობის ფორმირების ისტორიაში ისეთი არაფერია, რომლის ახსნაც შეუძლებელი იყოს.

პირველი შენიშვნა, რომელიც აუცილებლად უნდა გაკეთდეს, ამ ახალი რელიგიის მიჯნებს ეხება.

ისტორიული პერსპექტივის სრულიად გასაგები მოსაზრებებით ქრისტიანობაზე ჩვეულებრივ ლაპარაკობენ როგორც ისეთ რელიგიაზე, რომელშიც თითქოს თავმოყრილი და სისტემატიზებულია უძველესი რელიგიური წარმოდგენები, რო-

მელთაც ამის გამო მიიღეს „განსაკუთრებული“ და „უნიკალური“ ხასიათი. ასეთ დოგმატურ, შეიძლება ითქვას, თავდაჯერებულ შეხედულებებს აუცილებლად უნდა გავემიჯნოთ.

ადამიანები, რომლებიც ცხოვრობდნენ, შრომობდნენ, იტანჯებოდნენ და ქმნიდნენ ხმელთაშუაზღვისპირეთის ვიწრო არეში, არსებითად არაფრით განსხვავდებოდნენ იმათგან, ვინც აყალიბებდა კოლექტიურ ცხოვრებას ინდოეთსა და ჩინეთში, ევროპის ჩრდილო-დასავლეთ ქვეყნებში ან ცენტრალურ ამერიკაში. ქვეყნიერების ყველა ამ ნაწილში საზოგადოების განვითარების ამა თუ იმ ანალოგიურ ან სავსებით მსგავს ფაზას შეესაბამებოდა რელიგიური განვითარების ანალოგიური ან ხასიათით იგივე ფაზა. ქრისტიანობა სრულიადაც არ იყო რაღაც „განსაკუთრებული“; სხვა რელიგიების თანაბრად იგი ფლობს ყველა დამახასიათებელ ნიშანს, რომლებიც რელიგიაში ცხოვრების შესაბამის პირობებსა და ყველა ქვეყნისათვის ანალოგიური საზოგადოებრივი ურთიერთობის ფორმებს ქმნიან.

ადრინდელ ქრისტიანულ რელიგიაში, უეჭველია, გამოხატულებას პოულობდა, დაე თუნდაც გულუბრყვილოდ და დამახინჯებული ფორმით, საბერძნეთისა და რომის ხალხთა მასების მატერიალური და სოციალური განთავისუფლების მოთხოვნილება. მაგრამ ქრისტიანული თემები მიდიოდნენ ამ მოთხოვნილების შეგნებამდე არა ეკონომიურ და პოლიტიკურ დარგებში, არამედ რელიგიური გამონაგონის, წესჩვეულებისა და თეოლოგიის სფეროში. პირველი ქრისტიანები თავს არ გრძნობდნენ არც რევოლუციონერებად და არც სოციალურ რეფორმატორებად. მათ სასუფეველი წარმოდგენილი ჰქონდათ ღრუბლებში გახვეულ საიქიო ლეგენდად მაშინაც კი, როცა მისი გამოჩენა უნდა მომხდარიყო განახლებულ და სასწაულებრივად გარდაქმნილ მიწაზე. მიუხედავად ამისა, მათ მიერ მდიდართა ბატონობისა და მქონებელთა ხელისუფლების დაგმობა, რასაკვირველია, იყო დიდად გულწრფელი და ღრმად განცდილი: მხოლოდ ის, ვისაც არ მოსწონს არსებული წესწყობილება და უკმაყოფილოა ცხოვრების პირობებით, ესწრა-

ფვის ცვლილებებს, მაშინაც კი, როცა ისინი უტოპიური და არარეალურნი არიან.

აი, რატომ არა აქვს აზრი ჩვენის მხრივ მივმართოთ მორალისტურ განმარტებას იმისათვის, რათა რომის იმპერიის პირველ საუკუნეებში ავხსნათ შეჯახება ხმელთაშუაზღვისპირეთის ადრინდელ ქრისტიანულ თემებსა და ხელისუფალთ შორის, რომლებიც თავიანთი კლასობრივი ბატონობის დაცვისაკენ მიისწრაფვოდნენ.

კიდევ ერთ მომენტს მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას: ქრისტიანული რელიგია არ შეიძლება შევისწავლოთ ძველი აღთქმის სოციოლოგიურ პრინციპებზე დაყრდნობით: ყველაფერი პირველადი მარცვლიდან ვითარდება, რომელიც თანდათანობით მწიფდება ისტორიაში. არსებითად, ეს ითქმის ყველა დანარჩენ რელიგიაზე. მოვლენები, რომელთაც ჩვეულებრივ რელიგიური განვითარების თანამიმდევრული სტადიების დამკვიდრების განმსაზღვრელად თვლიან, ნამდვილად ერთსა და იმავე რელიგიას ეკუთვნიან; სხვა მოვლენები, რომლებიც ერთი შეხედვით შეიძლებოდა რომელიმე საერთო ნიშნით აგვეხსნა, სინამდვილეში კაცობრიობის ისტორიის სრულიად განსხვავებულ პერიოდებს მიეკუთვნებიან.

ავიღოთ, მაგალითად, ქრისტიანთა წარმოდგენა „ხსნის“ შესახებ. იგი არ რჩებოდა უცვლელი საუკუნეების განმავლობაში. ფეოდალიზმის დროს და კაპიტალისტურ საზოგადოებაში ამბავი მონანიების შესახებ სულ სხვა გამოხმაურებას იწვევდა, ვიდრე ქრისტიანული ისტორიის პირველ ხანებში. აქედან ილუზორული ხასიათი ყოველგვარი ცდებისა „დავუბრუნდეთ სათავეებს“, რაც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების რიგი მწვალებლობისათვის, პროტესტანტული რეფორმისა და სხვადასხვაგვარი მოდერნისტული მიმდინარეობისათვის. მართლაც, ქრისტიანობის იმდენი ნაირსახეობა არსებობს, საზოგადოების რამდენი ძირითადი ფორმაც იყო ისტორიის ორი უკანასკნელი ათასწლეულის მანძილზე.

რასაკვირველია, ერთი პერიოდიდან მეორეში გადასვლისას ყოველი რელიგია ისწრაფვის ჩაგონოს, რომ მისი იდეოლოგიური ბაგაჟი ცვლილებებს არ განიცდის, და ამ ფაქტიური

მემკვიდრეობითობის ფასადს იქით ფარავს სერიოზულ ცვლილებებს, რომლებიც საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნებიდან გამომდინარეობენ.

1. მისაგებელი — კლასობრივი ცნება

ჩვენს წელთაღრიცხვამდე ექვსი თუ შვიდი საუკუნით ადრე გამოჩნდნენ ახალი კულტები, რომელნიც უკლებლივ მოუწოდებენ ყველა ადამიანს, განსაკუთრებით დამორჩილებულ ფენებს, მონებს, ღარიბებსა და ქალებს. ეს კულტები ცოდვათა და სასოწარკვეთილებათაგან ხსნას აცხადებენ ინდივიდუალური და კოლექტიური წესჩვეულებების რთული და უცნაური სისტემის დახმარებით. აი რატომ უწოდებენ მათ „სოტერიოლოგიურს", ბერძნული სიტყვიდან „soteria", რაც ნიშნავს „ხსნას". მაგრამ იმის გამო, რომ მათგან მთავარს სპეციალური სარიტუალო ზიარება წარმოადგენს, მათ მინიჭებული აქვთ კულტების საყოველთაოდ მიღებული სახელი—მისტიკური ან „მისტერიოსოფიული", ბერძნული სიტყვიდან „mystes", რომელიც სწორედ „ზიარებას" ნიშნავს. მათი ისტორია, რომელიც იმავე ტიპის სხვა რელიგიების ჩასახვას ემთხვევა, ისეთებისას, მაგალითად, როგორიცაა „ბუდიზმი" ინდოეთში და „დაოსიზმი" ჩინეთში, მოიცავს ხმელთაშუაზღვისპირეთში მონათმფლობელური წყობილების უმაღლესი განვითარების ეპოქიდან ფეოდალიზმის დასაწყისზე გარდამავალ პერიოდს.

როგორც ყველა მითი, მოძღვრება „ხსნის" შესახებ, რომელიც დღემდე მძიმე ტვირთად აწევს მილიონობით მორწმუნის ცხოვრებასა და შეგნებას, ყალიბდება და მყარდება იდეათა სამყაროში, მაგრამ მისი სათავეები ფაქტებში ვლინდებიან. ადამიანს ხომ არ შეეძლო მისულიყო დანაშაულისა და მისაგებლის არსის, ცოდვისა და მონანიების, ტანჯვის დაგმობისა და ხსნის შეცნობამდე მანამ, სანამ არ შეიძენდა ჩაგვრის, წამებისა და ექსპლუატაციის ტრაგიკულ გამოცდილებას.

საზოგადოების კლასობრივი წყობის რეალური პირობები, რომლებიც პროდუქტების თანაბარი განაწილების პერიო-

დის კვალდაკვალ ჩამოყალიბდა და რომლის შემდგომაც სიმდიდრემ უმცირესობის ხელში იწყო თავმოყრა, ადამიანთა უმრავლესობას სასოწარკვეთილ მასად აქცევენ და შობენ არასრულფასოვნების, ცოდვიანობისა და გაკიცხვის გრძნობებს. მითი ხსნის შესახებ სხვა რა უნდა იყოს, თუ არა იდეოლოგიური გამოჩატულება დაჟინებითი მოთხოვნისა, გაშორდეს სევდიან სიხამდვილეს, რომელიც ხვედრი გახდა მონათმფლობელურ საზოგადოებაში მილიონობით და მილიონობით ადამიანისა, რომლებიც ოდესღაც თავისუფალნი და ბედნიერნი იყვნენ — პირველყოფილი თემისათვის დამახასიათებელ ისტორიულად განსაზღვრულ საფეხურზე — და ახლა კვლავ უფრო დიდი ძალით მიიწევენ თავისუფლებისა და ბედნიერებისაკენ.

სრულიადაც არ უნდა გვიკვირდეს ის, რომ ადამიანები მანამ არ დაეჭვებულან თავიანთი სულიერი ხსნის იმედთა ასეთ წარმოშობაში, სანამ ისტორიის ჭეშმარიტად მეცნიერულმა განმარტებამ ლეგენდებს საიდუმლოების საბურველი არ ჩამოგლიჯა და სანამ ისინი ციდან მიწაზე არ ჩამოიყვანა.

ეს მტკიცება ძნელი არაა შევამოწმოთ. საქმე ისაა, რომ ჩვენ ვერ ვპოვებთ ხსნის საკმარისად მკაფიოდ ფორმულირებულ თეორიას იმ ხალხებში, რომლებმაც წარმოებისა და საკუთრების კანონთა განვითარების განსაკუთრებული პირობების წყალობით გვერდი აუარეს კლასიკურ მონათმფლობელურ ურთიერთობაზე დაფუძნებულ საზოგადოებრივ წყობილებას, როგორც, მაგალითად, გერმანელებმა, სლავებმა, ასევე ნაწილობრივ არაბებმა, რომლებიც ერთქმის უშუალოდ გადავიდნენ ტომობრივი და გვაროვნული წყობილებიდან ფორმაციაზე, რომლისთვისაც ძირითადად დამახასიათებელია მსხვილი მიწათმფლობელობა. თვით ებრაელ ხალხში საშინაო ურთიერთობა დაფუძნებული იყო მონობის ნაკლებად განვითარებულ ფორმებზე. ამიტომაც, სანამ გ. ოლიმუშავებდა მოძღვრებას „ტანჯული მონის“ — იაჰვეს შესახებ, რომელიც თავისი თავგანწირვით გადაარჩენს მორწმუნეთა მასებს, ისრაელის ხალხს უნდა დაეგროვებინა ასურელთა, ბაბილონელთა, მიდიელთა და სპარსთა უღლის ქვეშ რეალური მონური ცხოვრე-

ბის გამოცდილება, რაც შემდგომ გაძლიერდა ელინისტური მონარქიებისა და რომაელთა დაპყრობების დროს.

მცენარეთა აღმოცენებასთან დაკავშირებულ წესჩვეულებებს (მათ შეცდომით თვლიან ხსნის შესახებ პირველადი მითის ნაყოფად) სინამდვილეში საერთო არაფერი ჰქონიათ ამ რელიგიურ-იდეოლოგიურ მიმართულებასთან. მაგიურ განთავისუფლებასა და მონანიებას შორის არსებითი განსხვავებაა. სამიწათმოქმედო წესჩვეულებათა დახმარებით ადამიანი ცდილობს შეისწავლოს გარემომცველი ბუნება და საზოგადოება. რელიგიები ხსნის შესახებ კი, პირიქით, ცდილობენ უზრუნველყონ მიწაზე მიუღწეველი ბედნიერება და სამართლიანობა იმ ქვეყნად. იმქვეყნიური მისაგებლის ილუზიამ გამოდევნა მიწიერი მისაგებლის იმედები.

წინააღმდეგობად არ უნდა მივიჩნიოთ ის, რომ გაბატონებული კლასის წარმომადგენლები მისაღებად თვლიდნენ მოძღვრებას ხსნის შესახებ და ცდილობდნენ გაცნობოდნენ ამ ახალ კულტებს. მთელი მონათმფლობელური საზოგადოება ერთიანად (და არა მარტო მონათა ცხოვრების პირობები) შობდა ძიებას ხსნისათვის. ეს პროცესი დიალექტიკური იყო და იგი ხდებოდა არა ავტომატურად. პერიოდში, როცა მონათმფლობელური მეურნეობა ხრწნას იწყებს და პრივილეგირებული ფენები თავს უშიშრად ვეღარ გრძნობენ, ზებუნებრივისადმი მისწრაფება საყოველთაო ხდება. თუმცა, ახალ რელიგიათა დევნა საბერძნეთ-რომის სახელმწიფო ხელისუფალთა მხრივ გვეხმარება ყოველგვარ თეორიულ მტკიცებაზე უკეთ გავიგოთ მისი კლასობრივი ხასიათი.

2. ტიპიური ტერმინოლოგია

მაშ ასე, დანაშაულისა და მისაგებლის წარმოდგენაში გამოხატულებას პოულობს ექსპლუატაციისა და მონობის სინამდვილე. მკაცრ კლასობრივ წინააღმდეგობათა ხლართიდან თანდათან გამოიკვეთა „მხსნელის“ იდეა, რომელიც მოწოდებულია გაათავისუფლოს სული და სხეული ტანჯვისა და დანაშაულის გამოსყიდვისაგან.

უეჭველია, თვით ტერმინი „გამოსყიდვა", „მისაგებელი", რომელიც კარგად ახასიათებს ამ ახალ მოძღვრებას, გაჩნდა მონათა ცხოვრების ჩვეულებრივი მოვლენებიდან.

ლათინური სიტყვა „redemptio" თავდაპირველად „მონის გამოსყიდვას" ნიშნავდა; ამასთან ერთად, მისი ღირებულება თვითონ მონას შეეძლო გადაეხადა ან მის მაგივრად შეეტანა მესამე პირს. ამ ერთ ჩვეულებაში მთელი ქრისტიანული მითია ხსნის შესახებ[1].

ცოდვილი ადამიანი, რომელსაც უნარი არ შესწევს განთავისუფლდეს მიუხედავად იმისა, რომ ღმერთს თავისი გამოსასყიდი თანხა გადაუხადა, საჭიროებს რომელიღაც „მხსნელის" ჩარევას, რომელიც მის მაგივრად ზღავს თავისი წამებითა და თვით სიკვდილით, — აი, რაშია სოტერიოლოგიური მოძღვრების არსი პირველი ბერძენი, ლათინი და სირიელი ქრისტიანი მწერლებისა (კირილე იერუსალიმელი, გრიგოლ ნაზიანელი, ბასილი, იოანე ოქროპირი, აფრაატ სირიელი, ამბროსი, ჯიროლამო და ავგუსტინე), რომლებმაც ქრისტიანული ლეგენდა თეოლოგიური ტერმინებით გამოხატეს. ზოგიერთ მათგანს ისე გამოუვიდა, რომ „გამოსასყიდი თანხა" ადამიანებს შეჰქონდათ სატანასთან, რომლის ძალაუფლების ქვეშ ადამიანი იმყოფებოდა, თუმცა, შემდგომ დემონს საუნჯე ხელიდან გაუსხლტა, რამდენადაც იესომ აღდგომის შემდეგ გაათავისუფლა ადამიანები გამოსასყიდისაგან.

მხოლოდ იმ საზოგადოებაში, რომელშიც მონათა განთავისუფლება ჩვეულებრივი საქმე იყო, შეიძლებოდა წარმოქმნილიყო ახალი აღთქმის რამდენიმე ადგილას ქრისტეს დამახასიათებელი გამოთქმა: „...ძე კაცისა არა მოვიდა, რათამცა იმსახურა, არამედ მსახურებად და მიცემად სული თვისი სახსრად მრავალთათვის".[2] აქ გამოჩნდა ახალი აზრი განთავისუფლების შესახებ არა მხოლოდ ფიზიკური ბოროტებისაგან. ადამიანის

---

[1] იხ. J. Toutain. L'idée religieuse de la rédemption. „Annales de l'Ecole des Hautes Etudes, Section des Sciences Religieuses". Paris, 1916—1917.

[2] იხ. მათე, თავი მე-20, მუხლი 28-ე; მარკოზი, თავი მე-10, მუხლი 45-ე.

გადარჩენა მტრებისა და ძალადობისაგან, გასაჭირისა და ეშმაკისაგან შეეძლოთ ოლიმპოს ღმერთებსაც და ისრაელის ღმერთსაც; ამიტომაც მათ ხშირად მხსნელებს უწოდებდნენ.

აღმოსავლეთის თითქმის ყველა თვითმპყრობელი პერიოდულად იღებდა იმავე ტიტულს თავისი ხალხის მხსნელის ან ღვთის კეთილისმყოფელი ნების შემსრულებლის სახით. ჰამურაბის კანონებში მეფე „სიღატაკეში ჩავარდნილი ხალხის მხსნელად" იწოდება; შუმერის სამართლის წიგნში — ლიპიტ-იშთარში კანონმდებელი წარმოგვიდგება ნიპურის, ისინისა და ურის მოქალაქეების „მონობისაგან განმათავისუფლებელის" სახით, რომელნიც ელამელი დამპყრობლების ხელში აღმოჩნდნენ[1]. მაზდეანურმა რელიგიამ შექმნა მითი ზოროასტრელი „მხსნელის", ანუ „საოშანტის" („saoshyant") შესახებ, რომელიც შემდგომ სათავეში ჩაუდგა ბოროტების სამეფოს წინააღმდეგ კეთილი საწყისის მებრძოლებს, რომლებიც ესწრაფვოდნენ აღედგინათ აჰურა მაზდას, სამყაროს მხსნელის, განუსაზღვრელი ძლევამოსილება.[2]

მაგრამ მოძღვრებას „გამოსყიდვის" შესახებ ზემოაღნიშნული აზრით ორი სრულიად სხვადასხვაგვარი წყარო გააჩნია.

ჩვენ ვხვდებით წარმოდგენებს ცოდვით ტანჯვისაგან ადამიანის განთავისუფლების შესახებ ღვთაებრივი ან გაღმერთებული არსების მიერ თვითშეწირვის საშუალებით, არსებისა, რომელიც შუამავლად „გამოდის" უზენაეს არსებასა და ადამიანთა მოდგმას შორის. თეოლოგები მართალი არიან, როცა ხაზს უსვამენ მსგავსი წარმოდგენების ორიგინალობას, მაგრამ

---

1 „მე ვარ ლიპიტ-იშთარი, რომელმაც გათავისუფლება მოვუტანე ნიპურის, ურისა და ისინის ვაჟიშვილებსა და ქალიშვილებს ჩემი წამებით მე ვიხსენი მონობისაგან შუმერისა და აქადის ვაჟიშვილები და ქალიშვილები" და ა. შ. (შდრ. გამოსვლათა, თავი მე-10, მუხლი მე-2: „მე ვარ უფალი და გამოგიყვანნე თქვენ მძლავრებისაგან ეგვიპტელთასა: და გიხსნნე თქვენ კირთებისაგან მათისა").

2 სავსებით შესაძლებელია, რომ წარმოდგენები მაზდე-მხსნელისა და იუდეველთა მესიის შესახებ ერთმანეთს სწრაფად დაემთხვნენ. ასე, მაგალითად, სახარების ერთ-ერთ ლათინურ კომენტარში „მოგვები", ზოროასტრის ქვეყნიდან რომ იყვნენ მოსულნი, საოშანტს დაეძებენ (იხ. Bouquet Comparative religion, cit., გვ. VII).

მათ, რა თქმა უნდა, არ შეუძლიათ გაიგონ, რომ ადამიანთა შეგნებაში სულიერი განთავისუფლების იდეა მხოლოდ თანდათანობით ავიწროებდა მისწრაფებებს — თავი დაეღწიათ ეკონომიური და სოციალური ჩაგვრისათვის, რომლის მოსპობა სულ უფრო ძნელი ხდებოდა ძალის ბატონობის პირობებში.

თავდაპირველად მონის განთავისუფლება არ იყო განსაკუთრებული შემთხვევა, მაგრამ იგი ბოლოს და ბოლოს ასეთი გახდა იმისდაკვალად, თუ როგორ ვრცელდებოდა და მტკიცდებოდა საკუთრების სისტემა და როგორ იყრიდა თავს მატერიალური დოვლათი რამდენიმე ადამიანის ხელში.

ძალიან ხშირი იყო „გამოსყიდვისა" და განთავისუფლების შემთხვევები ინდოეთში; განთავისუფლებული მონა დაუყოვნებლივ და შეზღუდვის გარეშე ჩაერთვოდა საზოგადოებაში. ებრაელებში მონას შეეძლო თავი გამოესყიდა: პატრონს გადაუხდიდა თავდაპირველი საყიდელი საფასურის ნაწილს შესაბამისად წელთა რიცხვისა, რომელიც მას მონობაში უნდა გაეტარებინა. ხალხთა მეხსიერებაში შემონახულია კოლექტიური განთავისუფლების მხოლოდ ერთი შემთხვევა, რომელიც დაკავშირებული იყო ისრაელის ისტორიის ერთ-ერთ მძიმე პერიოდთან. მაგრამ როგორც კი თავიდან იქნა აცილებული საშიშროება, კვლავ მოითხოვეს მონებზე საკუთრების უფლების აღდგენა. უძველესი პერიოდის საბერძნეთსა და რომში მონას შეეძლო, თეორიულად რომ ვთქვათ, საკუთარი დანაზოგით რამდენიმე წლის შემდეგ „თავი გამოესყიდა"; უფრო იშვიათად თავის დახსნაც შეიძლებოდა, თუ რომელიმე ღვთაებას მიუძღვნიდა საკუთარ სიცოცხლეს. ბოლოს, მას შეეძლო თავისივე მფლობელის ნებით თავისუფალი გამხდარიყო.[1] მიუხედავად ამისა, „თავდახსნილის" მდგომარეობა ავგუსტეს პრინციპატის დასაწყისამდე ნებას არ აძლევდა მას უფლებებით გათანაბრებოდა დანარჩენ მოქალაქეებს, მას კვლავინდებურად უფლება არ ჰქონდა აერჩია და თვითონაც არჩეული ყოფილიყო სენატში და საზოგადოებრივ ცხოვრებას ჩამოშორებული რჩებოდა.

---

[1] იხ. W. L. Westermann. The Slave system of Greek and Roman antiquity, Philadelphia, 1955.

ერთი სიტყვით, ქრისტიანობის წარმოშობის წინახანებში სრული განთავისუფლების მიღწევის შესაძლებლობა უფრო მეტად რეალური როდი იყო, ვიდრე მესაკუთრედ გახდომის შესაძლებლობა, რომელიც ამჟამად მუშას გააჩნია ბურჟუაზიულ საზოგადოებაში.

ლათინი პოეტი მარციალე ტრაბახობდა, რომ მონობიდან გაათავისუფლა თავისივე მონა დემეტრე, როცა იგი 19 წლისა სიკვდილის პირამდე იყო მისული, რათა იგი საიქიოში თავისუფალი შესულიყო.[1] ეს იმას ადასტურებს, რომ კლასობრივ ურთიერთობას ანგარიშს უწევენ, როგორც სინამდვილეს, არა მარტო ამქვეყნიურ ცხოვრებაში, არამედ საიქიოშიც.

ზედმეტი არ იქნება აღვნიშნოთ, რომ წარმოდგენა „გამოსყიდვის" შესახებ, რომელიც ადამიანის ისტორიაში შევიდა როგორც ადამიანთა ცხოვრების პროდუქტი მონობის ეპოქაში, დიალექტიკურად კანონზომიერად გამოეყო თავის ეკონომიურ და სოციალურ ფესვებს, რათა შემდგომში დამოუკიდებელი იდეოლოგიური გზით განვითარებულიყო—ამასთან, უცვლელად ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციაზე დამყარებული საზოგადოების ჩარჩოებში—იმის შემდგომაც კი, როცა გაქრნენ მატერიალური ფაქტორები, რომლებიც მონათმფლობელურ წყობილებას ახასიათებენ.

3. მისტერიათა რელიგიები

მცირე აზიაში, საბერძნეთში, სირიაში, ეგვიპტეში, პალესტინის სანაპირო ნაწილში, ჩრდილოეთ აფრიკისა და სამხრეთ იტალიის ლატიფუნდიებში, გალიასა და აგრეთვე რომში აღმოსავლური წარმოშობის უცხო ადამიანთა შორის და საზოგადოების თვით დაბალ ფენებშიც კი საიდუმლო კულტთა წინასწარმეტყველნი ქადაგებდნენ, რომ ჯერ კიდევ ყველაფე-

---

[1] „Sensit deficiens sua praemia meque patronum Dixit ad infernas liber iturus aquas". იხ. R. H. Barrow. Slavery in the Roman Empire. London, 1928, გვ. 175.

რი დაკარგული არაა, რომ არის გზა ხსნისა უსამართლობისა და წამებისაგან — ამ ცხოვრებაში თუ არა, იმ ქვეყნად მაინც —და ამ გზას წარმოადგენს პირადი და თავისუფალი მონაწილეობა გარკვეულ წესჩვეულებებში და რომელიმე სარწმუნოების მიღება. მსგავსი გათავისუფლებისათვის „გამოსასყიდის“ გადახდა ხდება ტანჯვა-წამებით, მითიური სიკვდილითა და ერთ-ერთი ღვთაების აღდგომით იმ ჭრაგალთაგან, რომელთა სახელებს ატარებდნენ ახალი კულტები.

მისტერიოსოფულმა კულტებმა შექმნეს ახალი საზოგადოებრივი გარემოს მსგავსი რამ, რომელშიც შენარჩუნებული იყო და აღორძინებას განიცდიდა ხისხლის, ერისა და კლასის ხუნდებისაგან თავისუფალი ძველი რელიგიური ცხოვრების ფორმები. ისინი იღებდნენ ყველას, ვისაც ანტიკური სამყაროს რელიგიური სტრუქტურა ათავისუფლებდა საკულტო პრივილეგიებისგან, პირველ რიგში ქალებსა და მონებს. მათი თემები, უკავშირდებოდნენ რა ერთმანეთს, ხშირად იღებდნენ შესაწირს თავდახსნილთაგან. მათი არსებობა კი კანონით იყო დაშვებული რელიგიური ხასიათის ასოციაციის, ეგრეთ წოდებული „კოლეგიების“ სახით.

ახალი კულტების მიმდევარნი უკვე აღარ ცდილობენ იგემონ უმაღლესი სიკეთე დედამიწაზე, ისინი ამას იმ ქვეყნად ელოდებიან. ადამიანის თვით არსებობას განიხილავენ როგორც მზადებას მომავალი ნეტარებისათვის, როგორც რომელიღაც გამოსაცდელ ვადას. ახლა უკვე ხსნა დაკავშირებულია წმიდა წესჩვეულებების შესრულებასთან, რომელთაც უნარი შესწევთ გაათავისუფლონ ადამიანი მიუხედავად იმისა, თუ როგორი წარმოშობისაა და რომელ სოციალურ ფენას ეკუთვნის იგი. კულტის მოთხოვნილებანი პირველ პლანზე გამოდიან, ლიტურგია, რომელიც სახელმწიფო რელიგიაში გარკვეული საზოგადოებრივი თანამდებობის პირთა საქმე იყო, ამიერიდან განსაკუთრებული სამღვდელოების ხელში გადადის, რომელიც სპეციალურადაა განპირობებული რელიგიური სამსახურისათვის. მორწმუნენი ყოველთვის და ყველაფერში უნდა ემორჩილებოდნენ მღვდლებს, რომლებიც აღჭურვილი არიან განსაკუთრებული ძალაუფლებით, რადგან სწორედ ისინი, პერი-

ოდულად რომ ანახლებენ ღმერთის სიკვდილისა და აღდგომის წესს, უფლებას აძლევენ კურთხეულთ სულიერად ღმერთთან ერთად დაიხოცნონ, რათა შემდეგ მათთან ერთად აღსდგნენ ახალ, თავისუფალ, დამოუკიდებელ და ბედნიერ ცხოვრებაში.

ერთ-ერთ ყველაზე უფრო ძველ მისტიკურ კულტს, როგორც ჩვენ უკვე ვთქვით თავში საბერძნეთის ორი რელიგიის შესახებ, წარმოადგენს თრაკიული წარმოშობის მეორეხარისხოვანი ღვთაების დ ი ო ნ ი ს ე ს კულტი.

მითებისა და ლეგენდების უმრავლესობაში გამოხატულება ჰპოვა ხსოვნამ ხელისუფალთა მხრივ დიონისეს კულტის პირველი მიმდევრების დევნის შესახებ. უკვე ჰომეროსთან (ილიადა, VI, 130) ვხვდებით ნაამბობს მეფე ლიკურგოსზე, რომელიც დასაჯეს (დააბრმავის) დიონისეს კულტის ამსახველ წესჩვეულებათა შესრულების გაკიცხვისათვის. ისტორიამ ორფევსისა, ახალ რელიგიას რომ განუდგა და დაფლითეს რისხვისაგან გახელებულმა ბაკქანტებმა, ბევრ ბერძნულ ტრაგედიაში სიუჟეტის როლი შეასრულა. თებეს მეფე პენთევსი კრძალავს ამ ღმერთის მისტერიის ზეიმს, მაგრამ დედამისი აგავე, რომელიც ღვთაების ნებით უგუნურებითაა შეპყრობილი, ჰკვეთს მას ნაწილ-ნაწილ. მეორე მითში პრეტოსის—ტირინთის მეფის სამი ქალიშვილი უარს ამბობს დიონისეს კულტს მიემხრონ, და ღმერთი აიძულებს მათ, ეროტიკული შეშლილობით შეპყრობილებმა, წარაფიდან წარაფში იხეტიალონ. ყველაზე უფრო დაძაბულ მომენტს წესჩვეულებაში წარმოადგენდა თავისებური ზიარება, ზიარება ღმერთის სხეულთან, რომელსაც სიმბოლურად თიკანი ცვლიდა. ასეთი გზით მორწმუნე ებმებოდა თვით დიონისეს ზებუნებრივი ძლევამოსილების სფეროში, იქცეოდა ადამიან-ბაკქად, კაცღმერთად. როცა ამ ახალი კულტის მიმდევართა რიცხვი უფრო და უფრო გაიზარდა იტალიის მოსახლეობის დაბალი ფენების ხარჯზე, რომის ხელისუფლებმა აღარაფერს გაუწიეს ანგარიში და ჩვ. წ. აღ.-მდე 186 წელს დიონისეს რელიგიის დამამკვიდრებელ ყველა ქურუმს აუკრძალეს ამ რელიგიის წესჩვეულებათა შესრულება ხელისუფალთა ნებართვის გა-

რეშე. ათასობით კაცი დააპატიმრეს, დიონისეს ორგანიზაციები დაშალეს, მოხდა მათი ქონების კონფისკაცია და „თანამონაწილეთა“ უმრავლესობა, როგორც კაცები, ისე ქალები, სიკვდილით დასაჯეს.

მსგავსი წარმოდგენები დამახასიათებელია ორფევსის მისტერიებისთვისაც, რომლებიც ქრისტიანულთან კიდევ უფრო ახლო ფორმებში სრულდებოდა. თვითონ ორფევსი ძველ ლეგენდებში გამოსახულია როგორც დიონისეს კულტის ერთ-ერთი მოწინააღმდეგე, მაგრამ სულ მალე იგი ხსნისა და ინქვეყნიური ნეტარების შესახებ განვითარებული მოძღვრების ცენტრში აღმოჩნდება. გმირი ეშვება ჯოჯოხეთში, მისი შემდგომი მობრუნება კი განსაზღვრავს იმათ მორალურ აღორძინებას, ვისაც იგი სწამს. მიცვალებულის მკერდზე, რომელიც სიცოცხლეში ორფევსის მისტერიებში მონაწილეობდა, თავსდებოდა ოქროს ფირფიტა მასზე ამოკვეთილი შელოცვებით, რომელიც მიცვალებულს უნდა წარმოეთქვა მიწისქვეშა სამყაროს ზღურბლთან, რათა თავისუფლად შესულიყო იქ. რამდენიმე ასეთი ფირფიტა იქნა ნაპოვნი ორფევსულ სამარხებში საბერძნეთში, კრეტასა და რომში. ორფევსის მითში დიონისე ძაგრეის, „სულებზე დიდი მონადირის“ სახელს ღებულობს.

ელევსინის მისტერიები დაფუძნებულია თქმულებაზე დემეტრესა და კორას, „დედისა“ და „ქალიშვილის“ შესახებ, რომელთა სახეებმა სამიწათმოქმედო ტიპის წესჩვეულებათა საფუძვლის როლი შეასრულეს. ნორჩი კორა, როგორც ლეგენდა ამბობს, მიწისქვეშა სამეფოს ძალების განმასახიერებელმა პლუტონმა მოიტაცა. ღრმად დამწუხრებული დედა დაეძებს მას მთელ დედამიწაზე. ელევსინის ადგილობრივი მცხოვრებნი ეხმარებიან დემეტრეს, სთავაზობენ მას საუმელს, მაგრამ ქალღმერთი ყველაფერზე უარს ამბობს, განსაკუთრებული სასმელის, კიკეონის გამოკლებით, რომელიც შემდგომ ფართოდ გამოიყენებოდა მისტიკურ წესჩვეულებებში ზიარებითი ხასიათის სასმელის სახით. და როცა კორას ყოველგვარი ძიება ამაო გამოდგა, დემეტრე წავიდა ამ ქვეყნიდან. მაშინ კი საშინელმა მოუსავლიანობამ შეაძრწუნა დედამიწა, რადგან გაქრა ძალა, რომელიც მარცვალს ზრდისაკენ უბიძ-

ებდა. შეშინებულმა ადამიანებმა ღმერთებს მიმართეს; ბოლოს პლუტონმა მიიღო ბრძანება ნორჩი კორას განთავისუფლების შესახებ, მაგრამ ამასთან მან აიძულა იგი ეგემა ბროწეულის განსაკუთრებული ნაყოფი — ეს ნაყოფი გამოიყენებოდა ჯადოსნურ წესჩვეულებებში, — რათა მას მუდმივად განეცადა სევდა და ნაღველი საიქიოს მიტოვების გამო და ყოველი ექვსი თვის შემდგომ დაბრუნებოდა მეუღლეს.

ამ მისტერიებში უკვე ყურადღებას იპყრობს ლიტურგიების დაყოფა ორ ფაზად: სამწუხარო და სამხიარულო ლიტურგიებად. როცა ქალღმერთი იმალება, მორწმუნენი მწუხარებას მიეცემიან, იწყებენ ნაღვლიან გოდებას, იყრიან თავზე ფერფლსა და რიგ შემთხვევებში მიწაზეც კი ეხეთქებიან თვით სერიოზულ დასახიჩრებამდეც. როცა ქალღმერთი ხელახლა გამოჩნდება, მიწა კვლავ იწყებს აყვავებას, აღფრთოვანება სალხინო საგალობლის ფორმით ვლინდება ამ პრიმიტიული სამიწათმოქმედო წესჩვეულებიდან განვითარდა ხსნის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული რელიგია, რომელიც ატიკიდან გავრცელდა საბერძნეთისა და რომის დიდ ნაწილზე. ყველას შეეძლო იმედი ჰქონოდა ბოროტებისა და სიკვდილისაგან ესოდენ სასურველი ხსნისა; ანტიკური საზოგადოების დამცველნი ჩიოდნენ, რომ ელევსინის მისტერიების წყალობით ყოველ „არამზადას“ ზიარების მიღების შემდეგ შეუძლია თავისთვის უზრუნველყოს საიქიოში ნეტარება“[1].

ელევსინის წესჩვეულებანი ქრისტიანობის გამარჯვების შემდგომაც დიდხანს არსებობდნენ. როცა იმპერატორმა ვალენტინიანემ 364 წელს გადაწყვიტა აეკრძალა ყველა „ღამის დღესასწაული“, მან გამონაკლისი დაუშვა მხოლოდ ელევსინის მისტერიებისათვის, რომელთა სამლოცველო მხოლოდ 394 წელს დაანგრიეს.

ი ზ ი დ ა ს ა დ ა ო ზ ი რ ი ს ი ს, ა ტ ი ს ი ს ა დ ა კ ი ბ ე ლ ი ს, ა დ ო ნ ი ს ი ს ა დ ა ა ს ტ ა რ ტ ი ს მისტერიები სხვადასხვაგვარ სოციალურ და ადგილობრივ პირობებში—ეგვიპ-

---

[1] Диоген Лаэрций, VI, 39.

ტეში, მცირე აზიაში, სირიაში—ანალოგიური ნიშნებით ხასიათდებოდნენ.

თრაკიის ზღვის კუნძულებზე დღესასწაულობდნენ ოთხი „დიდი ღვთაების"—კ ა ბ ი რ ე ბ ი ს სიკვდილსა და აღდგომას. შესაძლოა, ეს ფინიკიური სიტყვიდან იყოს, რაც ნიშნავს „ძლევამოსილს" (ღვთაება სამოთრაკიის მისტერიებში). ფრიგიასა და ლიდიაში, მცირე აზიაში, ვითარდებოდნენ მისტერიები ს ა ვ ა ც ი ი ს ა — ადგილობრივი ღმერთისა, რომელსაც ზოგიერთებრაელ ახალმოსახლეთა თემი აიგივებდა სიტყვათა თანაყოფერადობით თავის საკუთარ ღმერთთან „იაჰვე მხედრობისა" ან ს ა ვ ა ო ფ ო მ თ ა ნ, საიდანაც წარმოიშვნენ იუდაიზმისა და აღმოსავლეთის კულტთა საოცრად მსგავსი წარმოდგენები.

ბერძნული და ფინიკიური, თრაკიული და ფრიგიული, ეგვიპტური და სირიული მითების შერევა, მეორე მხრივ, წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ნიშანს ყველა ამ კულტისათვის, რომელთაც ისტორიკოსები ასე პირდაპირ სინკრეტულს უწოდებენ, რომ ხაზი გაუსვან სულ სხვადასხვა წარმოშობის მოტივთა მუდმივ დანაშრევებს, რომლებიც მაინც გაერთიანებული არიან ერთი და იგივე სოციალური და რელიგიური იდეოლოგიით. ამ კულტებისაგან წმინდა ადგილობრივი ელემენტების ჩამოშორებას ხელს უწყობდა ელინისტური და რომანული ბატონობის პერიოდში ყველა ამ ხალხის ცხოვრება ერთი და იგივე პოლიტიკური და სოციალური უღლის ქვეშ.

მთელ რომის სამყაროში განსაკუთრებული წარმატებით სარგებლობდნენ ხართან და მზესთან გაიგივებული ძველი ირანული ღვთაების — მ ი თ რ ა ს მისტერიები. იმავე წლებში წარმოიშვა და ფეხი მოიკიდა ქრისტიანულმა რელიგიამ. ორივე ეს კულტი დიდხანს მეტოქეობდნენ მოსახლეობის ერთსა და იმავე წრეებში. მითრაიზმი განსაკუთრებით იყო გავრცელებული სამხედროთა შორის; აი რატომ დარჩა მისი ნაკვალევი არა მარტო აზიასა და იტალიაში, არამედ ინგლისსა და ესპანეთშიც, დუნაიზე, რუმინეთსა და იმპერიის საზღვრებზე მდებარე პატარა გამაგრებულ ქალაქებში. მითრას კულტს ზიარებული სახელდებულ იქნა „რჯულის მეომრად", აქედან მორ-

ქალღმერთ იზიდას ჭურუმი ქალი. რომაული სკულპტურა

წმუნის ქრისტიანული სახელწოდებაც — „ქრისტეს მეომარი", რაც კონფირმაციის ქრისტიანულ წესშია დაცული.

თვით ცნება „კურთხევა", რომელიც დამახასიათებელია კათოლიციზმისათვის, ქრისტიანობაში ამ კულტებიდან შევიდა.

ინარჩუნებს რა კურთხევის წესის პირვანდელ აზრს, სიტყვა მისტერია ძალზე ადრე აღნიშნავდა ბერძნულ ხალხურ ენაში ახალი რელიგიების ძირითად წესჩვეულებებს, რაც მთავრდებოდა მონათვლის მსგავსი განბანვით წმინდა ტაბლითა და განსაკუთრებული საიდუმლო საგნების უშუალო ჰვრეტით. ძველი აღთქმის ბერძნულ თარგმანში ტერმინი „მისტერია" ათიოდეჯერ გვხვდება, მაგრამ თითქმის ყოველთვის იაჰვეს რომელიღაც „საიდუმლო განზრახვის" იდეასთან შერწყმით, იაჰვესი, რომელიც გარდმოვლენილა ღვთაებრივი სიმაღლიდან ადამიანურ გაგებამდე და იმიტომაც საიდუმლოა და მისტიკური. მხოლოდ ერთ ადგილას, სიბრძნის წიგნში, რომელიც უშუალოდ ბერძნულ ენაზე იქნა შედგენილი, გვხვდება წარმართული რელიგიური წესჩვეულებების დამოწმება. სამაგიეროდ „ახალ აღთქმაში", რომელიც ახალ ვითარებაში წარმოიშვა (ეს ვითარება კი მსგავსია იმ პირობებისა,

რომლებმაც წარმოშვეს ხსნის ყველა კულტი), ეს სიტყვა საკ ათეულზე ნაკლები არ გვხვდება და ხშირად „რიტუალური ცერემონიის“ ახალ შინაარსს იღებს, რაც ხელმისაწვდომია მორწმუნეთათვის და ხალისით სრულდება მათ მიერ.

მსგავსი გაიგივება კიდევ უფრო საგრძნობი ხდება, როცა აღმოჩნდება, რომ ძველი და ახალი აღთქმის პირველ ლათინურ თარგმანებში ტერმინი „მისტერია“ („საიდუმლოება“) ასევე იყო გადმოცემული: „კურთხევა“ („sacramentum“).

ეს სიტყვა წარმოდგებოდა რომაელების იურიდიული და სამხედრო ენიდან და ბოლოს და ბოლოს მიიღო „ფიცის“, საზეიმო ვალდებულების მნიშვნელობა, რაც ახალწვეულს თავის თავზე უნდა აეღო ჯარში შესვლის მომენტში. მაგრამ უკვე ტერტულიანე ჩვ. წ. აღ.-ის II საუკუნის ბოლოს ხმარობდა მას „ქრისტიანული წესჩვეულების“ სპეციფიკური მნიშვნელობით, ხსნის ყველა სხვა რელიგიის საკულტო სამსახურისაგან განსხვავებით. მონათვლა, მაგალითად, კურთხევაა, რომელსაც მორწმუნე ახალ ლიტურგიულ ცხოვრებაში, ახალ რელიგიურ წარმოდგენათა სფეროში შეჰყავს[1]. გამორიცხული არაა, რომ სიტყვის ასეთ გააზრებაზე გადასვლა მოხდა იმ ფიცთა გავლენით, რომელთაც მებრძოლთა წაბაძვით უთუოდ სდებდნენ მითრას კულტს ზიარებულნი.

აი, ასე გადაიქცა „ზიარება“ ქრისტიანული თემის გადამწყვეტი ეტაპის განმასხვავებელ წესჩვეულებად.

4. „ბოლნა ღვთისა“

ყველა მისტერიულ რელიგიაში, დაწყებული დიონისეს რელიგიით და დამთავრებული ქრისტიანულით, დამოკიდებულება მორწმუნეებსა და მხსნელს შორის განიხილება როგორც

---

[1] ტ ერ ტ უ ლ ი ა ნ ე. მწვალებელთა დევნის შესახებ, 40 (Tertullianus. De praescriptione haereticorum, 40). ახალი მნიშვნელობა ტერმინისა „კურთხევა“ უფრო გვიან გადასძლევს ყველა ქრისტიან ლათინ ავტორს კიპრიანედან დაწყებული და ამბროსი მილანელით დამთავრებული.

დამოკიდებულება მონასა („doûlos“ — ბერძნულად, „servus“ —ლათინურად) და მის ბატონს („kyrios“ — ბერძნულად და „dominus“ — ლათინურად) შორის. სიტყვა „მონა“ 120-ჯერ მაინც გვხვდება ახალ აღთქმაში, ამასთან ერთად მისი თარგმანი ყოველთვის არაზუსტია. რაც შეეხება პირველ ქრისტიანებს, ისინი, უეჭველად, არ სცდებიან ამ ტერმინის გაგებაში.

მონის მდგომარეობისა და ხსნის ამგვარი დაპირისპირება წარმოადგენდა თვისობრივ ნახტომს რელიგიის ისტორიაში. მას არაფერი აქვს საერთო მრავალრიცხოვან მოსაზრებებთან, რომლებიც მონათა ხვედრს ეხებიან გაბატონებული ფენების ძველ კულტებში. კლასობრივი საზოგადოების ისტორიის პირველ ეტაპზე მონას ზოგჯერ წმიდათ თვლიდნენ, რამდენადაც იგი გამიზნული ჰყავდათ საჯარო მსხვერპლად შესაწირავად ან ტაძრებში სამუშაოებზე იყენებდნენ. სწორედ ეს გარემოება გვეხმარება გავიგოთ, ვინ იყვნენ, მაგალითად, „დევა დასები“ — „მონები ღვთისა“—ინდოეთის ტაძრებში ან „ჰიეროდულები“ (ან „წმიდა მონები“) — მამაკაცები და ქალები, რომლებიც განსაზღვრულ სამიწათმოქმედო წესჩვეულებებთან დაკავშირებით საკულტო პროსტიტუციას ეწეოდნენ თითქმის ყველა აღმოსავლურ რელიგიაში[1]. როცა მისტერიის რელიგიები თავის პირველ ნაბიჯებს დგამდნენ, მონებს ადვილად როდი უშვებდნენ იმ ცერემონიებზე, რომლებშიც თავისუფალნი იღებდნენ მონაწილეობას[2].

მაგრამ მდგომარეობა არსებითად იცვლება მონათმფლობელური საზოგადოების ახალი წყობის გამოვლენისდა კვალად.

---

[1] პორტუგალიელებმა ტერმინი „დევა-დასები“, რომელიც უკვე ბუდაგოსში გვხვდება ბუდისტ ავტორთან ჩვ. წ. აღ.-ით V საუკუნეში, თარგმნეს ბაიადერებად“ („ბალერინები“)—„წმიდა“ მოცეკვავე ქალები ინდურ კულტებში. მსგავსი წარმოდგენები გვხვდება აგრეთვე ძველ აღთქმაში (მეორე სჯულისა, თავი 23-ე, მუხ. მე-18).

[2] ერთი ძველი ბერძნული წარწერა გვაუწყებს: „არც ერთი მონა დიახ რომ არ იქნება მირონცხებული“, ე. ი. არ იქნება დაშვებული კონფირმაციონული ტიპის წესჩვეულებებთან, რომელთაც მიუძღვნიდნენ მისტიკურ კულტებს (Sylloge, 653, 109).

ის გარემოება, რომ მონის განთავისუფლების საბოლოო აქტი სრულდებოდა (იმ დროის ადამიანთა წარმოდგენით) ან ტაძრის კედლებში, ან რომელიმე გარკვეული ღვთაების მფარველობით,[1] უსათუოდ აადვილებდა სხვადასხვა რელიგიის ისტორიაში ტერმინ „მონას“ ახალ მნიშვნელობაზე გადასვლას. მაგრამ გადამწყვეტი ფაქტორი იყო არა ეს მოვლენა, არამედ ის, რომ მონობაში ცხოვრების პირობები განსაზღვრულ მომენტში სახელისა და რელიგიური განდიდების საგანი გახდა. ამ ევოლუციის ნაკვალევი, ყოველ შემთხვევაში არაპირდაპირი და ფარული მაინც, ხშირად გვხვდება ლეგენდებსა და თქმულებებში. ასე, აპოლონი ადმეტეს მონა გახდა, რათა პითონის მკვლელობა გამოისყიდოს[2]. ჰერაკლეს ცხრა წლის ვანძილზე უნდა ეტარებინა მონობის უღელი, რომ გათავისუფლებულიყო ერთი თავისი შეცოდებისაგან. მეორეჯერ იუპიტერმა კვლავ ჩააგდო იგი მონის მდგომარეობაში იფიტეს მოკვლისათვის[3]. ბაბილონის ტყვეობის პერიოდში ებრაელთა წინასწარმეტყველნი ისრაელის მომავალ მხსნელს გამოხატავდნენ წამებულ მონად. ამ მითიური პერსონაჟის აღწერა გადაჭრით უწყობდა ხელს ქრისტიანული მითის ფორმირებას ღვთის შესახებ, რომელმაც ადამიანური სახე მიიღო, რათა ქვეყანა გადაერჩინა ცოდვებისაგან, უზრუნველეყო ღარიბთა და დამცირებულთა განთავისუფლება (თუ აქ არა, ყოველ შემთხვევაში სხვა ცხოვრებაში მაინც) ჯვარზე თავისი სიკვდილით, ისე, როგორც ეს მხოლოდ მონას შეეფერებოდა.

საბერძნეთ-რომის საზოგადოებაში წარმოდგენა დამონებული ადამიანის მხსნელი როლის შესახებ ისე ღრმა და გავრცელებული გახდა, რომ მან სხვადასხვა ფორმით შეაღწია პოე-

---

[1] ატისის—აღმოსავლეთის მისტიკური კულტების ერთ-ერთი მხსნელი ღვთაების „ფრიგიული ქუდი“ განთავისუფლებულმა მონებმა ჩამოიტანეს რომში როგორც თავისუფლების სიმბოლო. კეისრის სიკვდილის შემდეგ ბრუტუსმა ბრძანა გამოეშვათ ფული ორ ხანჯალშუა ფრიგიული ქუდის გამოსახულებით. საფრანგეთის რევოლუციონერებმა გამოიყენეს იგი 1789 წელს, როგორც რესპუბლიკანიზმის იდეათა გამოხატულება.

[2] Еврипид. Альцеста (Алкеста), I, 2.

[3] Софокл. Трахинянки, 248—253, 274—278.

ზიაში, ტრაგედიასა და კულტში. სენეკას ერთ-ერთ დრამატულ თხზულებაში—„ჰერაკლე ეტას მთებზე", გმირი მონის სახეს იღებს, რათა დედამიწაზე დაეშვას და ადამიანებს მშვიდობა მოუტანოს. მისი სიკვდილი სავსებით ადამიანურია, მაგრამ დღე მისი მოწამებრივი დაღუპვისა დიდების დღედ გადაიქცევა. იგი გამოაცხადებს, მსგავსად ჯვარცმული ქრისტესი: „აღსრულდა".[1] დრამის დასასრულს ჰერაკლე მაღლდება ზეცაში თავის ღვთაებრივ მამასთან.[2]

განვითარების დიდი გზა განვლო თავდაპირველად ბუნდოვანმა წარმოდგენამ ვინმე „მონა ღვთისას" შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ ბერძენ ტრაგიკოს ევრიპიდესთან გვხვდება და რომელიც უეჭველად ზიარებული იყო მისტიკურ კულტებს, სანამ იგი არ გარდაიქმნა ქრისტეს მონის ცნებად, როგორც მას გამოსახავდნენ ადრეულ ქრისტიანულ ტექსტებში[3].

მნიშვნელოვანი გარდაქმნები განიცადა წარმოდგენამ „ვალების გაუქმების" შესახებ — პროტესტისა და იმედის ამ გოდებამ, რომელსაც ჟღერა არ შეუწყვეტია პოლიტიკურ ლიტერატურაში ჩვენს წელთაღრიცხვამდე რამდენიმე ასეული წლის განმავლობაში, — სანამ იგი ცოდვათა პატიების ევანგელიკურ იდეად არ გადაიქცა. მატერიალური და მორალური მოვალეობის გაიგივება წარმოადგენს სინამდვილიდან ფანტაზიის სფეროში ადამიანური გამოცდილების გადატანის პროცესის ერთ-ერთ ყველაზე უფრო საინტერესო მხარეს.

და ბოლოს, გრძელი იყო ის გზა, რომლითაც მოხდა გარდაქმნა ფასის ცნებისა (რომლის გადახდა საჭირო იყო მონის ტყვეობიდან განთავისუფლებისათვის) ცნებად „ძე ღვთისას" სიკვდილის ფასად გამოსყიდვისა, რომელსაც ახალი აღთქმის საღვთო წერილის თანახმად უნდა გადაერჩინა ადამიანები ცოდვის ტვირთისაგან.

---

[1] იხ. იოანე, თავი მე-19, მუხლი 30-ე.

[2] იხ. M. Simon. Hercule et le Christianisme. Strassbourg 1955.

[3] Еврипид. Ион, 309. რაც შეეხება ახალ აღთქმას, მასში განსაკუთრებით თავისებურია შესავალი წერილისა რომაელებისადმი (თავი I, მუხლი I). იხ. ბერონის ციტირებული შრომა, გვ. 582, შენიშვნა 28.

ხსნის იდეამ ღრმა ფესვები გაიდგა ადამიანთა შეგნებაში. როცა ახალი ეკონომიური და სოციალური დამოკიდებულების საფუძველზე საზოგადოება გარდაიქმნებოდა ამა თუ იმ მიმართულებით, მითი მხსნელის შესახებ არ ჰქრებოდა, მსგავსად იმისა, როგორც დღემდეა შემორჩენილი პირველადელი კულტების მაგიისა და ტოტემიზმის ბევრი მხარე, მაშინ, როცა თვით პირველყოფილი საზოგადოება მრავალი საუკუნის წინ გაჰქრა.

რა თქმა უნდა, ამ გადმონაშთის ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ფეოდალური და კაპიტალისტური წყობის დროსაც ადამიანებს ამა თუ იმ ფორმით ყოველთვის თავზე ასხედან ბატონები და, მაშასადამე, ყოველთვის არის მხსნელის საჭიროება. მხოლოდ მაშინ, როცა გაქრება ანტაგონისტურ კლასებად დაყოფილი საზოგადოება, ძველი რწმენა ხსნის შესახებ ბოლოს და ბოლოს დაჰკარგავს თავის მიმზიდველ ძალას და თვით რელიგია გაითქვიფება ადამიანის სხვა წარმოდგენებში.

ქრისტიანობის ზღურბლთან

ა მჟამად ქრისტიანულ რელიგიას ყველა მისი განშტოებითა და ნაირსახეობით (კათოლიციზმი, პროტესტანტიზმი, მართლმადიდებლობა და ა. შ.) აღიარებს 780 მილიონი კაცი, უსე იგი დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით მესამედი. ქრისტიანობა, რომელიც წარმოიშვა ორი ათასი წლის წინათ ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს ანტიკური ცივილიზაციის უდიდესი აღმავლობის პერიოდში, თავისი ისტორიული განვითარების ზღვარს მიადგა, შეეჯახა რა არა მარტო სხვა დიდ მასობრივ რელიგიებს, ისეთებს, როგორიცაა ბუდიზმი, კონფუციანობა, ინდუიზმი, ისლამი და სხვ., არამედ საბუნებისმეტყველო და ისტორიულ მეცნიერებებსაც, რომლებიც ფართოდ გავრცელდნენ უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე ეგრეთ წოდებული ქრისტიანული ქვეყნების მუშათა და ინტელიგენციის ფართო ფენებში, ამასთან ეს პროცესი მიმდინარეობდა წინანდელი წარმოებითი ურთიერთობის გარდაქმნისა და ახალი კლასობრივი ურთიერთობის წარმოშობის პარალელურად.

მონათმფლობელურ საზოგადოებაშიც და ბატონყმობის დროსაც შუა საუკუნეებში, როცა ხელისუფლების საკითხში მდგომი უმნიშვნელო უმცირესობის საკუთრებად იყო აღიარებული ღვთაებრივი უფლება, ყველა ისტორია ყ ო ვ ე ლ თ-

ვის იყო, არსებითად, საღვთისტორია. ადამიანს არ ჰქონდა სარწმუნოების წარმოშობის ისტორიული ახსნა-განმარტების მოთხოვნილება იმ უბრალო მიზეზით, რომ თვით სარწმუნოება სთავაზობდა მას ისტორიის სარწმუნო განმარტებას. მხოლოდ ახალი პერიოდის გარიჟრაჟზე, ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებასთან ერთად, ტექნიკისა და მეცნიერების პროგრესთან და განსაკუთრებით ახალი, სამუშაოს მიმცემსა და პროლეტარს შორის გარეგნულად „თავისუფალი" საზოგადოებრივი ურთიერთობის განმტკიცებასთან ერთად, ადამიანი უკვე გრძნობს, რომ შეიძლება გადამწყვეტი გავლენა მოახდინოს მის გარემომცველ სინამდვილეზე, საკუთარი მარჯვენით ააშენოს ახალი ცხოვრება და ორგანიზებულ ბრძოლაში გარდაქმნას საზოგადოებრივი წყობა. და მაშინ იგი შეეკითხა საკუთარ თავს: როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო იმ რწმენათა ისტორიული ფესვები, რომლებიც მან მემკვიდრეობით მიიღო წინა თაობისაგან და რომელთა მეშვეობითაც ესმოდა მას თავისი როლი სამყაროში.

ასე გაჩნდნენ XVI საუკუნის გარიჟრაჟზე ჰუმანისტების — ერაზმ როტერდამელის, მელანქტონისა და განსაკუთრებით „სათავეებთან დაბრუნებისათვის" მოძრაობის (რომელიც წარმოიშვა რეფორმისათვის ბრძოლის ქარცეცხლში) პირველი მოკრძალებული ცდები, რათა მოენახათ ქრისტიანული რელიგიის წარმოშობისა და განვითარების რაციონალური ახსნა-განმარტება.

მაგრამ გავიდა კიდევ სამ ასეულ წელზე მეტი, ვიდრე ქრისტიანობის ისტორია ყოველგვარი დოგმატური და ზებუნებრივი მოსაზრების გვერდის ავლით ნამდვილი კრიტიკული კვლევის საგანი გახდებოდა. ამ პერიოდში ჩაგრული კლასების ბრძოლისა და განთავისუფლების იარაღის—მარქსისტული თეორიის ჩასახვამ შესაძლებელი გახადა ქრისტიანობის სათავეების პრობლემის, როგორც კაცობრიობის ნამდვილი ისტორიის პრობლემის, დაყენება, რომელიც განთავისუფლებული იყო ყოველგვარი მისტიკური და იდეალისტური ბალასტისაგან და თანაც დაცული იმ დროისათვის პოზიტივიზმისა

და ეკონომიური დეტერმინიზმის წვრილმანი ანტიკლერიკალური პოლემიკისაგან.

1840—1845 წლებში მარქსმა და ენგელსმა შეიმუშავეს დიალექტიკური მატერიალიზმისა და მეცნიერული კომუნიზმის თეორიული საფუძვლები და პრაქტიკა, რასაც ხელს უწყობდა, გარდა სხვა რამისა, ადრინდელი ქრისტიანობის შესწავლაც; ამასთან ერთად, მარქსი და ენგელსი ჰეგელის სკოლის ერთ მიმართულებას ეკამათებოდნენ. განსხვავებით ბრუნო ბაუერისაგან, რომელმაც აღადგინა ქრისტიანობის წარმოშობის ისტორია როგორც საბერძნეთ-რომისა და ებრაული ფილოსოფიის იდეოლოგიური განშტოების უბრალო პროცესი, მარქსი და ენგელსი ხაზს უსვამდნენ, რომ ყოველგვარი რელიგია, უწინარეს ყოვლისა, გამოხატავს განსაზღვრულ საზოგადოებრივ გამოცდილებას, რასაც ადამიანები აგროვებენ ერთმანეთთან ურთიერთობისას და შემდგომ ცნებებში გამოხატავენ. ბრუნო ბაუერისა და ტიუბინჰენის სკოლის (ვ. ხ. ბაური და დ. ფ. შტრაუსი) შეხედულებათა კრიტიკა, რომელიც ასი წლის წინათ გაშალეს მარქსმა და ენგელსმა, დღემდე წარმოადგენს ამოსავალ მომენტს, რომელსაც ეყრდნობა ყველა ის, ვისაც სურს სერიოზულად მოჰკიდოს ხელი ქრისტიანობის წარმოშობის შესწავლის საქმეს.

1. ებიონიტები და ღარიბები

ქრისტიანობის წარმოშობის შესწავლისათვის აუცილებელია გამოვიკვლიოთ ის გარემო, სოციალური ფენები, რომლებშიც ვრცელდებოდა სახარების ქადაგება, და ის სულიერი მოთხოვნილებანი, რომლებზედაც იგი პასუხობდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დავადგინოთ — იმ ეპოქაში გაბატონებული ეკონომიური ურთიერთობა როგორ აისახებოდა რელიგიურ მოძრაობაში, რომელიც ერთიმეორის მიყოლებით დევნიდა საბერძნეთ-რომის საზოგადოებათა ძველ კულტებს.

ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების ქრისტიანები დარწმუნებული იყვნენ, რომ ქვეყნიერება ძალიან მალე შეწყვეტს არსებობას და იმედიანად მოელოდნენ „სამყაროს“

ახალ „ხატებას“,[1] რომელიც წარმოდგენილი ჰქონდათ მ ე ს ი ი ს ს ა მ ე უ ფ ო ს (რომელზედაც ებრაელები ოცნებობდნენ) მსგავსად ან რიტუალური მონანიების თანასწორად, რაც ნაწინასწარმეტყველები იყო საბერძნეთ-რომის მისტერიათა რელიგიების მიერ. მაგრამ ისინი სარწმუნოებისა და რელიგიური სასოების სიტყვებით გამოთქვამდნენ მხოლოდ საუკუნეების მანძილზე ეკონომიური და პოლიტიკური მდგომარეობით შექმნილ უკმაყოფილებას, რაც მონათმფლობელური საზოგადოების უღლით იყო გამოწვეული. მაგრამ რელიგიური პროტესტი არასოდეს არ გამოდიოდა კლასობრივი სტრუქტურის ჩარჩოებიდან, რომლებშიც ადამიანები ბუნების რაღაც გარდუვალი კანონით იყვნენ მომწყვდეული. ეს ჩვენი ეპოქისთვისაც სწორია: გავიხსენოთ, მაგალითად, უკანასკნელი ასი წლის განმავლობაში არაერთგზისი მოწოდება მორჩილებისა და თვინიერებისაკენ პაპის „სოციალურ ენციკლიკებში“. ამრიგად, რელიგიური პროტესტი მორწმუნეთა საქმიანობას წარმართავს წარმოსახვითი, მითიური, ზებუნებრივი გამოსავლისაკენ. მაგრამ ეს ფაქტი ეჭვის ქვეშ მაინც არ აყენებს მასების რელიგიური იმედების გულწრფელობასა და თავისთავადობას, მასებისა, რომლებიც განიხილება მათს თავდაპირველ ისტორიულ მდგომარეობაში.

პირველი ქრისტიანები სწორედ რელიგიური დოგმების, მორალისა და კულტის საფუძველზე იმუშავებდნენ წარმოდგენას თავიანთი როლის შესახებ სამყაროში. მათ რწმენაში გამოსახული იყო სამყაროს სხვაგვარად მოწყობისა და მთელი საზოგადოების ძირფესვიანად გადახალისების მოთხოვნილება.

„ღვთის სასუფეველმა“ იუდეველთა რელიგიაში საბოლოო ანგარიშით მიიღო საკმაოდ ნათელი აზრი „წმინდანთა“ ზეიმისა ცოდვიანებზე, „მსხვერპლად“ ქცეულთა — დამმონებლებზე, „ღატაკთა“ — მდიდრებზე, და ადრინდელ ქრისტიანთათვის ეს იყო მშვიდობიანი, მატერიალურად და სულიერად აყვავებული საზოგადოების მოწყობა, რაც უნდა განხორციელებული-

---

[1] კორინთელთა მიმართ, თავი მე-7, მუხლი 31: „... რამეთუ წარვალს ხატი ამის სოფლისა“.

ყო შედარებით არცთუ დიდი ხნის შემდეგ და ისიც დედამიწაზე ღვთაების პირდაპირი ჩარევის წყალობით. და მხოლოდ გვიან, როცა ქრისტიანები იძულებული გახდნენ უარი ეთქვათ ამ პერსპექტივაზე, რადგან ვითარება საზიანოდ შეტრიალდა (იერუსალიმის საბოლოოდ დაცემა ადრიანეს დროს ჩვ. წ. აღ.-ით 135 წელს, იმპერიის ხელისუფალთა მხრივ დევნა და საზოგადოების სხვა ფენებიდან გამოსულ ახალმოქცეულთა ქრისტიანთა წრეში შეღწევა), „ღვთის სასუფევლის“ იდეამ უფრო და უფრო მიიღო განყენებული ხასიათი, სანამ არ გადაიქცა ინდივიდუალურ საიქიო მისაგებლის ცნებად იმქვეყნიურ სამყაროში.

იგივე შეიძლება ითქვას სოციალური ხასიათის ამა თუ იმ გამონათქვამებზე, რომლებიც უძველეს ქრისტიანულ დოკუმენტებში გვხვდება და რომლებმაც თავიანთი წინააღმდეგობების გამო ამდენი დავა წარმოშვეს ისტორიკოსთა შორის.

გადავშალოთ ახალი აღთქმის წერილთა კრებული, ან ახალი წელთაღრიცხვის პირველი საუკუნეების თხზულებანი, — და ჩვენ იოლად ვიპოვით მათში მოსაზრებებს რომელიც გნებავთ დებულების დასასაბუთებლად. სახარების თვით მორალი ასახავს მონათმფლობელური საზოგადოების წიაღში არსებულ კონტრასტებს[1]. მაგალითისათვის ღირს, წავიკითხოთ ქადაგების ტექსტი, რომელიც მოყვანილია ლუკას სახარებაში (თავი მე-6, მუხლი მე-20) „...ნეტარ ხართ გლახაკნი სულითა, რამეთუ თქუენი არს სასუფეველი ღვთისა“, და ჩვენ მაშინვე მივხვდებით, რომ საქმე გვაქვს ნუგეშისა და იმედის სიტყვებთან, რომლებიც მიმართულია უბედურთა, დაბეჩავებულთა და დაჩაგრულთა მიმართ, რომელთა წრიდან განსაკუთრებით ხშირად გამოდიოდნენ ახალი სარწმუნოების მიმხრენი. ეს ფაქტი უფრო ნათელი გახდება, თუ ამ მიმართვას წყევლა-კრულვასაც დავუმატებთ, რომელიც მას მოსდევს: „...ვაი თქვენდა, მდიდარნო!“ (ლუკას სახარება, თავი მე-6, მუხლი 24-ე). მათეს სახარებაში კი (თავი მე-5, მუხლი მე-3), რომელიც უპირატესად დაკავშირებულია ებრაული წარმოშობის წრესთან იმ პე-

[1] იხ. Albert Bayet. Les morales de l'évangile. Paris, Rieder, 1927 („Christianisme“, გვ. 22).

რიოდში, როცა მესიანური თემები უკვე განვითარდნენ სხვადასხვა სოციალურ ფენებად და მეტად ვეღარ ითმენდნენ ღარიბისა და მდიდრის სკანდალურ დაპირისპირებას, ეს ფორმულა ასე შეიცვალა: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა, რამეთუ მათი არს სასუფეველი ცათა". მდიდრები არ არიან მოხსენიებულნი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ნეტარნი არიან მდიდრებიც, რომლებიც ფიქრობენ, რომ ისინიც ს უ ლ ი ე რ ი ცხოვრებით იცხოვრებდნენ ღატაკნი რომ ყოფილიყვნენ.

და როცა ჩვენ ვკითხულობთ ლუკას იმავე წერილში: „ნეტარ ხართ თქვენ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსჰძღეთ", ნათელია, რომ საუბარი ეხება ნამდვილად ღარიბ ადამიანებს, პურის უკმარობას, მასების ტანჯული და მძიმე ცხოვრების პირობებს. მაგრამ მათეს ვარიანტში ასახულია უკვე სხვა მდგომარეობა, შიმშილი მხოლოდ „სიმართლის წყურვილის" გამოხატულებაა.

მაშ რაზე მიუთითებს ყველაფერი ეს? იმაზე, რომ არაა საჭირო ქრისტიანულ ტექსტებში ვეძიოთ ის, რაც არ შეიძლება იქ აღმოჩნდეს, რამდენადაც იმ საზოგადოების ეკონომიური და პოლიტიკური პირობები სრულიად არ ემსგავსება კლასობრივი ბრძოლის თანამედროვე მდგომარეობას. უნაყოფოა, მაშასადამე, დავსვათ ასეთი კითხვა: „სოციალისტური" იდეებით ხომ არაა შთაგონებული სახარება ან ხომ არ ემორჩილება იგი ბურჟუაზიული მორალის მოთხოვნებს. ადრინდელი ქრისტიანული ლიტერატურა მხოლოდ იმ გარემოს ხასიათის გარკვევაში უნდა დაგვეხმაროს, რომელშიც წარმოებდა თ ა ვ დ ა პ ი რ ვ ე ლ ა დ ახალი რელიგიური პროპაგანდა.

წარმოების საშუალებათა თავმოყრა ადამიანთა უმნიშვნელო უმცირესობის ხელში, რომლებიც სწორედ ამით იღებდნენ შესაძლებლობას გადაექციათ ადამიანთა უდიდესი უმრავლესობა მორჩილ და ამ ქვეყნად იმედმოკლებულ მასად — აი, რა ახასიათებს საზოგადოებას ქრისტიანული რელიგიის ჩასახვის ეპოქაში.

გამოანგარიშებულია, რომ ავგუსტეს ეპოქაში მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში მხოლოდ რამდენიმე ასეული ათასი თავისუფალი ადამიანი იყო. ამ უმნიშვნელო უმცირესობის არსებობა რომ უზრუნველეყოთ (რომელთა თავისუფლება,

სიტყვამ მოიტანა და ვიტყვით, ძლიერ არათანაბარი იყო, მერყეობდა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორი პირობები იყო ამა თუ იმ ქვეყანაში), ურიცხვი მონები მოხმარებისა და გაცვლის საგნებს აწარმოებდნენ, აშენებდნენ, ვაჭრობდნენ, ომობდნენ და იხოცებოდნენ თავიანთი პატრონების ბრძანებით, ქმნიდნენ მათთვის აურაცხელ სიმდიდრეს, თვითონ კი ოდნავადაც არ იყვნენ უზრუნველყოფილი.

საზოგადოება არ იყო და არც შეიძლებოდა ყოფილიყო სოციალურად ერთგვაროვანი. საბერძნეთ-რომის საზოგადოების ორი ძირითადი კლასი დანაწევრებული იყო შუალედური ჯგუფებისა და ფენების მთელ სერიად, უმიწაწყლო მიწათმოქმედიდან დაწყებული და ვალებით დატვირთული ხელოსნით დამთავრებული, გაკოტრებული ვაჭრიდან დაწყებული და მეზღვაურ-ავანტურისტით, სკოლის მასწავლებლით, მისნითა და მოხეტიალე ექიმბაშით, მეკობრით, მეომრითა და მონით დამთავრებული, რომელთაც დიდის გაჭირვებით მიაღწიეს დამოუკიდებლობას და შევიდნენ „თავისუფალთა“ კატეგორიაში, მაგრამ საზოგადოებაში მაინც ჩნდებოდნენ უცხოებად, გადამთიელებად.

ყველა ამ ფენის მიერ გამოთქმული ერთმანეთის საწინააღმდეგო და სხვადასხვა სახის იდეები გამოხატავდნენ სხვადასხვა იმედსა და მოლოდინს. ქრისტიანობის წარმოშობის შესახებ კაუცკის ცნობილი წიგნის ერთ-ერთი ნაკლი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან არ გაითვალისწინა იმ დროის საზოგადოების სოციალური სტრუქტურის სირთულე და განუწყვეტლივ მოძრავი, მრავალფეროვანი სინამდვილე მშრალ იდეოლოგიურ სქემამდე დაიყვანა[1].

ამ შენიშვნათა გათვალისწინებით ქრისტიანობის გამოჩე-

[1] იხ. Карл Каутский. Происхождение христианства. Собр соч., т. 10, М., 1930. კაუცკის მეორე შეცდომა იყო თეოლოგიურ-დისციპლინარულ სფეროში ანტიკური ქრისტიანული საზოგადოების ტრადიციულ-მონოკრატიული ნიშნების მექანიკური გადმოტანა (ეპისკოპოსი საზოგადოების მეთაური ხდებოდა, რამდენადაც იგი ჯგუფის საერთო. სალაროს განაგებდა და ა. შ.). შედარებით თავშეკავებულია ერნსტ ტროელჩის თვალსაზრისი (Ernst Troeltsch. Die Soziallehre der christlichen Kirchen und Gruppen. Tübingen, 1923).

ნის პერიოდში კლასების ფენებად დაშლა საკმაოდ ნათლად გამოიყურება. ღარიბები და მდიდრები, ექსპლუატატორები და ექსპლუატირებულნი, ადამიანები, რომლებიც ყველა უფლებას ფლობენ, და სხვები, რომლებიც თითქმის მთლიანად არიან მოკლებული ყოველგვარ უფლებას, — აი, ორი პოლუსი შეუპოვარ კლასობრივ ბრძოლაში, რომელიც მონათმფლობელურ საზოგადოებაში მიმდინარეობდა. თავისთავად მაშინ არ არსებობდა ისეთი ობიექტური პირობები კლასობრივი ბრძოლის ორგანიზებული, გააზრებული და შეგნებული ფორმების შექმნისათვის, როგორიც ჩვენს დროში არსებობს; ღა მაინც იმ ეპოქაშიც არსებობდა იგი სხვადასხვაგვარი ფორმით და ხშირად იწვევდა ხოლმე უსასტიკეს აფეთქებებს.

ამ ბრძოლის გამოხატულებას წარმოადგენდა არა მარტო მონათა შეიარაღებული აჯანყებანი, არამედ აგრეთვე ისიც, რასაც შეიძლება ვუწოდოთ ოპოზიციური ლიტერატურა, და უწინარეს ყოვლისა, ის ხალხური აპოკალიფსური ხასიათის აღმოსავლური თხზულებანი, რომლებშიც გამოსახული იყო ანტიკური საზოგადოების ყველაზე უფრო დაბეჩავებული ფენებისა და მთელი ჩაგრული ხალხების იმედები და სიძულვილი, სასოება და პროტესტი. ანტიკური სამყაროს ისტორიის შესახებ უმეტესი შრომების ძირითადი ნაკლი ისაა, რომ ისინი მხოლოდ გაბატონებულ დაჯგუფებათა თვალსაზრისს გადმოსცემდნენ, ღარიბთა და ჩაგრულთა ფართო მასების ბრძოლასა და მოთხოვნებს კი აფუჩეჩდნენ. ეს იმ დროს, როცა ხალხთა მისწრაფებისა და იმედის გამოკვლევა არა თუ აუცილებელია, არამედ შესაძლებელიცაა: იმ დროს არ შეიძლებოდა მათი ცხოვრებაში განხორციელება, მაგრამ სწორედ ამიტომ გადაჰქონდათ ისინი რელიგიის სფეროში და აისახებოდნენ წესჩვეულებებში, კულტსა და ხალხურ ლიტერატურაში.

2. აპოკალიფსური ლიტერატურა

ძველი აღთქმის ეგრეთ წოდებული „წინასწარმეტყველთა წიგნები", რომლებიც ოთხ დიდ (ესაიას, იერემიას, ეზეკიელის და დანიელის) და თორმეტ პატარა (იოსიადან მალაქიამდე)

წინასწარმეტყველის წიგნად იყოფიან, — ერთ-ერთი ძირითადი წყაროა ასეთი გამოკვლევისათვის.

ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ საუბარია წინასწარმეტყველთა შესახებ ამ სიტყვის არა ხალხური გაგებით, ესე იგი არა მომავლის განმმარტებელთა და წინასწარმთქმელთა შესახებ. ამ წერილებში მოცემულ ისტორიულ მოვლენათა „განკვრეტა“ დამაჯერებლად გამოიყურება იმდენად, რამდენადაც წინასწარმეტყველთა წიგნების შედგენა ამ მოვლენებს მოჰყვა ათეული და ასეული წლის გასვლის შემდგომაც კი.

ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი, უწინარეს ყოვლისა, ეთიკურ-სოციალური ყაიდის წინასწარმთქმელნი და რეფორმატორები არიან, რომელთა მრწამსი და შეხედულებანი, რა თქმა უნდა, ეპოქის ჩარჩოებიდან არ გამოდიოდნენ. რამდენადაც საზოგადოებრივი წყობა ქრისტიანობის გავრცელების პირველ ხანებში არსებითად არ შეცვლილა, არ უნდა გაგვიკვირდეს წინასწარმეტყველთა და სახარების დოკუმენტთა მორალის უცვლელი მსგავსება.

„ვაი რომელნი შეაყოფენ სახლსა სახლისა მიმართ, და აგარაკსა აგარაკის მიმართ შეაახლებენ, რათა მოყვასსა მორაგე ჰხვეჭონ, ნუ მარტონი დაეკვიდრნეთა ქვეყანასა ზედა“, — ვკითხულობთ ესაიას წიგნში (თავი მე-5, მუხლი მე-8). „...ვაი... რომელნი მძინარნი მცხედართა ზედა სპილოი ძვალედთა, და მშვებელნი სარეცელთა ზედა მათთა, და მჭამელნი თიკანთანი სამწყსოთაგან, და ხბოებსა შორის სამრო წლისა მწვარებსა... მსმელნი წყურვილსა ღვინოსა...“, — ამბობს მეორე ძველი ისრაელი წინასწარმეტყველი.[1] მსგავსი აზრები, რომლებიც ცოტაოდენ დაცილებულია ახალი აღთქმის სიტყვებიდან, უხვადაა მთელ ებრაულ და თალმუდურ ლიტერატურაში.

მაგრამ თუ ჩვენ გვინდა უფრო ნათელი წარმოდგენა ვიქონიოთ ძალთა რთულ თამაშზე, რომელიც ამ პერიოდში გაიშალა რელიგიურ დოქტრინერობასა და სოციალურ პროტესტს შორის, უწინარეს ყოვლისა იმ ტექსტებს უნდა მივმართოთ, რომლებიც გაჩნდნენ იუდაიზმის ნიადაგზე და რომლებიც გამ-

---

[1] ამოსი, თავი მე-6, მუხლი 4-6.

სჭვალული არიან აღმოსავლეთის რელიგიური და კულტურული ტრადიციებიდან ნასესხები ელემენტებით. ეს წერილები ისტორიულად მოსდევს „წინასწარმეტყველთა“ წიგნებს და მათ მიიღეს „აპოკალიფსური“ ლიტერატურის სახელწოდება[1].

აპოკალიფსური ლიტერატურა მოწმობს ისრაელი ხალხის ძველისძველი ეროვნული იმედების გაცრუებასა და მესიის როგორც მეფისა და მთავარსარდლის შესახებ წარმოდგენის თანდათანობით გაქრობას, მესიისა, რომელმაც ღმერთისა და უმთავრესად იარაღის ძალით უნდა აღადგინოს ქვეყნის დამოუკიდებლობა. ებრაელი ხალხი ამ ეპოქაში საბოლოოდ მოექცა უცხოური უღლის ქვეშ, დამპყრობლები სცვლიდნენ ერთმანეთს რომაელთა დაპყრობამდე. კლასობრივ ჩაგვრას, რომლის წინააღმდეგ მოკრძალებულად აცხადებდნენ პროტესტს ძველი წინასწარმეტყველნი, ემატება უცხოელთა ბატონობის საშინელება და შეურაცხყოფა. აპოკალიფსები წარმოადგენენ მითოლოგიურ ნიადაგზე ებრაელი ხალხის ყველაზე უფრო ბრძოლისუნარიანი ფენების პასუხს ამ ახალ ამბებზე.

მაგრამ ნათქვამი მარტო ებრაელ ხალხს როდი ეხება. კონტრასტი ღარიბებსა და მდიდრებს შორის, მჩაგვრელებსა და ჩაგრულებს შორის თანდათან ავიწროებს აპოკალიფსურ ლიტერატურაში ძველ კონფლიქტს ისრაელებსა და უცხოელებს შორის. აპოკალიფტიკი ავტორი ეთანხმება იმას, რომ იერუსალიმის განთავისუფლება მსოფლიო ისტორიის ცენტრალური პრობლემაა, მაგრამ ამასთან ერთად, მისი აზრით, აქ ლაპარაკია „კოსმოსური რევოლუციის“ მხოლოდ ერთ მოვლენაზე, რომლის მეშვეობითაც ღმერთი გარდაქმნის დედამიწის სახეს, დაამხობს მქონებელი კლასის ძალაუფლებას და დაამყარებს თავის ბატონობას ადამიანებზე. სპარსულმა თეოლოგიამ კეთილ და ბოროტ დასაბამს შორის ბრძოლის თავის დუალისტურ კონცეფციასთან ერთად, და ბაბილონურმა ასტროლოგიამ, რომელიც მიწიერ მოვლენებს უკავშირებს ვარსკვლავთა

[1] ცნობები აპოკალიფსური ტექსტების შესახებ (ან როგორც ამბობენ კიდევ — აპოკრიფები — საიდუმლო წიგნები) შეკრებილია ნაშრომში: **Robert H. Pfeiffer. History of New Testament Times. New York. Harper and Brothers, 1949.**

მოძრაობასა და განლაგებას, უხვი მასალები მოგვცა ხსნის შესახებ ებრაული მოძღვრების „დენაციონალიზაციის“ ამ პროცესისათვის.

აპოკალიფსი ბერძნული სიტყვაა, რომელსაც ის წრეები იყენებდნენ, სადაც ჩაისახა ქრისტიანული წინასწარმეტყველება. მისი პირვანდელი მნიშვნელობაა „ზეშთაგონება“, მაგრამ ამ სიტყვისაგან წარმოებული აზრია გრანდიოზული სოციალური გადატრიალებებისა და დამაშინებელი ციური მოვლენების მისტიკური მაუწყებლობა. ასე, მილიონობით ღარიბი და მონა, რომელთაც უნარი არ შესწევდათ განთავისუფლებულიყვნენ მონობის ბორკილებისაგან, თავისთვის ჰქმნიდნენ ილუზიებს მომავალში გამოსყიდვის შესახებ.

ახალი აღთქმის წერილების ოფიციალური კრებულებიდან, რომლებიც შედეგნილ იქნენ საეკლესიო ისტორიის პირველი ორი საუკუნის განმავლობაში, დღეისათვის შემონახულია მხოლოდ ერთი ა პ ო კ ა ლ ი ფ ს ი, რომელსაც იოანეს მიაწერენ. მიუხედავად ამისა, მთლიანად ან ნაწყვეტების სახით ახლა ჩვენს განკარგულებაშია ასზე მეტი მსგავსი წერილი, მართალია, დედნის ენაზე იშვიათად, უფრო ხშირად ერთ-ერთ ძველ აღმოსავლურ ენაზე (სირიულ ან კოპტურ, სომხურ, ქართულ ან ეთიოპიურ ენებზე) თარგმანის სახით. მთელი ამ ლიტერატურის ისტორია უაღრესად ყურადსაღებია.

შემონახული ტექსტების თითქმის ყველა აპოკალიფსისათვის, მიუხედავად მათი სხვადასხვაგვარობისა, ერთი საერთო ნიშანია დამახასიათებელი: რწმენა იმისა, რომ მჩაგვრელთა ტრიუმფი საუკუნო არ იქნება და რომ მათი დღეები დათვლილია. სოციალურ და კოსმოსურ კატასტროფათა მთელი სერიის — ომების, ავადმყოფობათა, მიწისძვრების, უბედურებათა, ვარსკვლავთცვენის, ზებუნებრივი განადგურებისა და ხანძართა შედეგად დედამიწა საბოლოო ჯამში განახლდება. ბოროტნი დაისჯებიან და მოისპობიან მათ დამცველ სატანის ძალებთან ერთად. კეთილნი (ესენი კი მხოლოდ და მხოლოდ „საწყალნი“, „დამცირებულნი“ და „დაჩაგრულნი“ არიან) გაიმარჯვებენ დედამიწაზე და სულიერი ნეტარებითა და მატერიალური კმაყოფილებით აღსავსე ცხოვრებას დაამკვიდრებენ,

რომელიც გამოხატულია აპოკრიფებში როგორც „სასუფეველი ცათა“.

სამყაროსა და საზოგადოების განახლების ამ პროგრამის წვრილმანები სხვადასხვა ტექსტში სხვადასხვანაირია. არაერთგვიათად „სასუფეველი“ გამოხატულია როგორც დროის რაღაც განსაზღვრული პერიოდი ორ სეისმურ კატასტროფას შორის, რომელიც ბნელეთის ძალებზე ციური ძალების გამარჯვებით მთავრდება; ძლიერ სწრაფად იქნა დადგენილი ამ პერიოდის ზუსტი ხანგრძლიობა — ეს სიმბოლური რიცხვია „ათასი“, რომელიც პირველად იუბილეთა წიგნში გვხვდება და შემდეგ უშენიშვნოდაა შეთვისებული კანონიკური აპოკალიფსის ავტორის მიერ ახალ აღთქმაში (თავი მე-20). აქედან ჩვეულებრივი ტერმინი — „ათასწლეული“ წმიდანთა მეფობის გამოსახატავად და „მილენარის“[1] (ბერძნულად „ქილიასტები“) სახელწოდება იმათთვის, ვინც იღებს ამ ცრურწმენით გადმოცემას.

მაგრამ თუ მდგომარეობა იცვლება, წერილთა ავტორების შთამაგონებელი იდეა უცვლელი რჩება.

ლაპარაკია გაბატონებული კლასების უსამართლობისა და ყოვლისშემძლეობის მხილებაზე, რომელიც მოკლებული არ არის პოეტურ ძალასა და ჰუმანურ იდეებს; გაბატონებული კლასები რიგ შემთხვევებში გაიგივებული არიან ამა თუ იმ ერთან, რომელსაც დაპყრობილი აქვს ფართო ტერიტორიები და რომელმაც რიგ ქვეყნებს მოუსპო ეროვნული დამოუკიდებლობა. ეს, უწინარეს ყოვლისა, როგორც მოსალოდნელი იყო, რომის იმპერიაა — „ნომერ პირველი გაიძვერა“ აპოკალიფსების ავტორთა თვალში.

თავიანთი ნაწარმოებისათვის რომ მეტი მნიშვნელობა მიეცათ, ამ ლიტერატურის შემოქმედნი აქვეყნებდნენ მას ისეთი სახელებით, რომელთაც თაყვანს სცემდნენ ებრაულ და აღმოსავლურ წარსულში (დანიელი, ბარუქი, ენოქი, მოსე, ელია, ეზდრა, ადამი, სიბილა და ა. შ.). მაგრამ ეს წიგნები ანონიმურ და აპოკრიფულ ხასიათს იძენდნენ, ალბათ, იმის გამო, რომ თავიდან აეცდინათ რეპრესიები ყოვლისშემძლე მჩაგვრელები-

[1] Mille (ლათ.) — ათასი. — რ ე დ.

ია, რომელთა უსახელო აღსაკრული წერილებში იყო ნაწინასწარმეტყველები.

აპოკალიფსური ტექსტების შესწავლას, მაშასადამე, მნიშვნელობა აქვს არა მარტო ქრისტიანული იდეოლოგიის სათავეების გამოვლენისათვის, არამედ ძველი სამყაროს დაბალი ფენების შეხედულებათა გამომხატველების დახმარებით: იმ ერთი სერიოზული ხარვეზის შევსებისთვისაც, რაც საბერძნეთ-რომის ეპოქის ისტორიაშია.

8. მესიანობა და ქრისტიანობა

პალესტინის საზოგადოებაში შექმნილი აპოკალიფსური ლიტერატურა იდეოლოგიურად ემსგავსება საბერძნეთ-რომის სამყაროს საიდუმლოებათა რელიგიას.

ერთი მხრივ, ძიება ხსნისა წამებული, მომაკვდავი და მკვდრეთით აღმდგარი ღმერთის შესახებ მითთან ზიარებით. მეორე მხრივ — მოლოდინი რომელიღაც არაჩვეულებრივი პიროვნებისა, მესიისა, რომელიც აღადგენს სამართლიანობის სამეუფოს დედამიწაზე და ყველასათვის, პირველ რიგში საწყლებისა და დევნილთათვის, გზას ხსნის მისაგებლისაკენ.

ამ ორი ელემენტის შეჯახებიდან (და თანაც არა მარტო ებრაული იმიგრაციის თემებში ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში, არამედ კიდევ უფრო ადრე, თვით პალესტინაში — ამას ადასტურებს უკანასკნელი დროის აღმოჩენები) გაჩნდა ქრისტიანობა, ანუ ახალი ტიპის მესიანობა, რომელიც აღარ იყო დაკავშირებული მხოლოდ ისრაელი ხალხის ბედ-იღბალთან.

ადამიანები არასოდეს არ აყალიბებენ იდეებს, რომლებიც წინასწარ არ ყოფილა ამა თუ იმ სახით შემოწმებული მათ რეალურ ცხოვრებაში. არაერთხელ ყოფილა აღმოსავლეთის დესპოტიების ეპოქაში, რომ მესიანური მხსნელი გამოჩენილიყო მონარქის, მბრძანებლის, მეფის სახით. და არაერთხელ მომხდარა, რომ მისი ქადაგება მონანიებისა ხასიათდებოდა აღმოსავლეთის ხალხის მონარქიული წინამძღოლის განმათავისუფლებელი ზრახვების ყველა ნიშნით.

აპოკალიფსები გამოდიან იმ ეპოქაში გავრცელებული შე-

ხედულებიდან სამყაროს უმართებულო მოწყობის შესახებ. თავდაპირველად ასე ფიქრობდნენ იმიტომ, რომ ისრაელი ხალხი კორუპციისა და უცხოური ჩაგვრის მსხვერპლი იყო, მაგრამ შემდგომ აზრი სამყაროს უსამართლობის შესახებ განვითარდა იმის შედეგად, რომ თვით რჩეულ ხალხში დაიწყო რელიგიური განხეთქილება და გადასძლია სოციალურმა უთანასწორობამ. ამ დროიდან დაწყებული, ისტორიული ან ლეგენდარული მოვლენებისაგან დამოუკიდებლად, რომლის შესახებაც ლაპარაკია რელიგიურ ლიტერატურაში, გამოჩნდება ქრისტიანობა. ქრისტიანული წელთაღრიცხვის დაწყებამდე ასეული წლით ადრე დაწერილი, მკვდარი ზღვის ნაპირებზე უკანასკნელ წლებში აღმოჩენილი ებრაული და არაბული მანუსკრიპტები ამ ფაქტს საბოლოოდ ადასტურებენ.

აპოკალიფსებიდან უძველესია წიგნი, რომელსაც წინასწარმეტყველ დანიელს მიაწერენ, სადაც ლაპარაკია ჩვენს წელთაღრიცხვამდე VI საუკუნის მოვლენებზე, ამასთან ერთად წიგნი დაწერილია II საუკუნეში, ყუმრანში აღმოჩენილ ხელთნაწერებზე რამდენიმე წლით ადრე. ადრეული ქრისტიანობისათვის დამახასიათებელი თითქმის ყველა მითი აქედან იღებს სათავეს. ტიპიურია, სხვათა შორის, ლეგენდა „ძე კაცისას" შესახებ, რომელიც სახარებამ იესოს სახის შექმნისათვის გამოიყენა. არამეული სიტყვის „ადამიანის" — ჩვეულებრივი, მოკვდავი ადამიანის პირდაპირი მნიშვნელობიდან თანდათან გაჩნდა „განსაკუთრებული ადამიანის", ღვთიური მისიისათვის შერჩეული ადამიანის მნიშვნელობა — ზუსტად ისევე, როგორც გმირის ბერძნული ცნება ახლებურად იყო გააზრებული[1].

მესიანურ, ანუ ქრისტიანულ იდეოლოგიაში აისახა პალესტინისა და ებრაული იმიგრაციის მთელი ისტორია დაწყებული ჩვ. წ. აღ.-მდე 170 წლიდან, როცა სირიის მეფე ანტიოქე IV-მ დაიპყრო — უკვე მერამდენედ — იერუსალიმი, და დამთავრებული ჩვ. წ. აღ.-ით 135 წლით, როცა უკანასკნელი

---

[1] იხ. ახლახან გამოქვეყნებული ნაშრომი—A. Brelich. Gli eroi greci: un problema storico-religioso. Roma, Edizioni dell' Ateneo, 1958.

კეთილი მწყემსი.
ქრისტიანული სკულპტურა
III საუკ. ჩვ. წ. აღ.-ით

აჯანყება ჩააქრო იმპერატორმა ადრიანემ, რომელმაც დაანგრია ძველი ქალაქი და ხელახლა ააშენა იგი უკვე ელია კაპიტოლინას სახელწოდებით.

სირიის ძლიერი თვითმპყრობელი ისტორიაში ცნობილია აგრეთვე ეპიფანეს სახელით, რაც ნიშნავს „ღვთაებრივი ზეშთაგონებით გამორჩეულს" დედამიწაზე. ეს მეტსახელი მას მიენიჭა იმის წყალობით, რომ მისი პოლიტიკური იდეალები მნიშვნელოვნად ახლოს იყვნენ საიდუმლოებათა რელიგიის სულისკვეთებასთან. მან მიზნად დაისახა ჩაება იუდეველები ბერძნული კულტურისა და სოციალური წყობის სფეროში, რომელიც გაბატონებული იყო მსოფლიოში ალექსანდრე მაკედონელის იმპერიის დაშლის შემდეგ. ერთი ელინისტურად განწყობილი მღვდელმთავრის დახმარებით, რომელმაც ებრაული სახელი იესო იასონით შეცვალა, ანტიოქე IV-ემ იაჰვეს ტაძარი იერუსალიმში წარმართთა საკერპედ გარდაქმნა და მასზე ოლიმპოელი ზევსის ქანდაკება აღმართა. მაგრამ ამას დაუყოვნებლივ მოჰყვა მძვინვარე აჯანყება, რომელმაც ჩვ. წ. აღ.-მდე 167 წელს ებრაელთა დამოუკიდებლობის დროებითი აღდგენა გამოიწვია, რამაც დაახლოებით ას წელს გასტანა ძმების — მაკაბელთა და მათი მემკვიდრეების.— ასმონეების დროს: იოანე ჰირკანემ თავისი უმაღლესი ქურუმის ხარისხს მიუმატა აგრეთვე ისრა-

ელის მეთაურის ტიტული, ხოლო ალექსანდრე იანაემ ასევე მიიღო 103 წელს მეფის ტიტული. ერთი პიროვნების ხელში ძალაუფლების გაერთიანებამ ახალი წინააღმდეგობანი წარმოშვა; იერუსალიმს ბევრი ორთოდოქსალური შეხედულების ებრაელი ჩამოშორდა და დაბრუნდა უდაბნოში, მკვდარი ზღვის სანაპიროებზე, სადაც აგრძელებდნენ ოცნებას მესიანობის ან, რაც იგივეა, ქრისტიანობის სულისკვეთებით, ოცნებობდნენ ნამდვილ „პატრონზე" — რელიგიურ და არა პოლიტიკურ წინამძღოლზე, რომელიც აღადგენდა კიდეც წმიდა სარწმუნოებას. ასმონეებმა ისარგებლეს რომაელებთან სამოკავშირეო დამოკიდებულებით, რათა მოეცილებინათ თავიანთი შინაური და გარეშე მტრები. ისინი მსხვერპლნი გახდნენ საკუთარი თამაშისა: პომპეუსმა ისარგებლა ამით ჩვ. წ. აღ.-მდე 63 წელს, რათა დაეპყრო იუდეა და ამით დაედო სათავე მთელი პალესტინის რომის კოლონიად თანდათანობით გადაქცევისათვის[1].

ჩვ. წ.აღ.-მდე 47 წელს რომელიღაც იდუმეელმა არაებრაული წარმოშობის წვრილმა მთავარმა, ანტიპატრმა მიაღწია იმას, რომ კეისარმა იუდეის გუბერნატორად დანიშნა იგი. თავის შვილს — ეროდი დიდს მეფის ტიტული მოაპოვებინა; მაკრამ სინამდვილეში მბრძანებელი რომაელი დამპყრობელი იყო. ჩვ. წ. აღ.-მდე 4 წელს; ანტიპატრის სიკვდილის შემდეგ, სამეფო მისმა სამმა ვაჟიშვილმა გაიყო. მესიანური გამოსვლები რომაელთა წინააღმდეგ პარტიზანული ბრძოლისა და შეიარაღებული ამბოხების ხასიათს იღებდნენ; აჯანყებას ძლიერ სწრაფად მიემხრნენ პალესტინის შეძლებული ფენები. იუდეველთა პირველი დიდი ომი ჩვ. წ. აღ.-ით 66 — 67 წლებში იმით დამთავრდა, რომ იერუსალიმი ხელში ჩაიგდო იმპერატორმა ტიტემ. ჩვ. წ. აღ.-ით 132 — 135 წლების აჯანყებამ საბოლოოდ მოუღო ებრაელთა ეროვნული აღორძინების ყოველგვარ იმედს, და მესიანობამ მიმართა ახალ, სულ უფრო და უფრო განუხორციელებელ სარწმუნოებას, რომელმაც სა-

[1] ყველა ეს მოვლენა ბუნდოვნადაა ასახული დოკუმენტებში, რომლებიც ახლახან იპოვეს იუდეველთა უდაბნოს მღვიმეებში.

ოლოოდ მიიღო „ქრისტიანული“ სახე. თავისთავად არც ისე ნიშვნელოვანი ეს მოვლენები, ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროს უმნიშვნელო ნაწილს რომ ეხებოდნენ, არასოდეს არ დასტოვებდნენ ისე ღრმა კვალს იმ დროის რელიგიურ ცხოვრებაში, თუ ჩართულნი არ აღმოჩნდებოდნენ მონებსა და მონათმფლობელებს შორის არსებულ წინააღმდეგობათა უფრო ფართო სფეროში, რომლებიც რომის იმპერიის მთელი საზოგადოების წიაღში არსებითად მსგავს ფორმებში ვლინდებოდნენ. დისკუსია ახალი რელიგიის „დამფუძნებლის“ ისტორიულად არსებობის შესახებ, რომელიც ჯერ კიდევ რამდენიმე ათეული წლის წინათ აღაფრთოვანებდა და მკვეთრად თიშავდა სპეციალისტებს, არა გვგონია ასე მნიშვნელოვანი იყოს, თუ გავითვალისწინებთ მესიანური და აპოკალიფსური მოძრაობის უმძლავრეს ტალღებს, რომლებმაც მოიცვეს ელინისტური აღმოსავლეთი და პალესტინა ჩვ. წ. აღ.-მდე II და ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნეებს შორის.

4. ათასწლოვანი მეფობა და ანტიკური მსოფლიოს კრიზისი

უკანასკნელ დროს აღმოჩენილი ყველა ტექსტი, ხელნაწერი და დოკუმენტი ამტკიცებს ქრისტიანული იდეოლოგიის არსებობას ახალი კულტის ქადაგების დაწყების ოფიციალურ ვადამდე დიდი ხნით ადრე. მისი განვითარება, ბუნებრიკია, ხდებოდა არა პირდაპირი, უწყვეტი ხაზით, ნახტომების გარეშე, არამედ დიალექტიკურად, რაოდენობრივი ცვლილებების წინასწარ დაგროვების გზით.

ვამოსავალი, რომელსაც ქრისტიანობა. სთავაზობდა, უცილოლად ვარაუდობდა სინამდვილიდან წასვლას, ბრძოლის გადატანას ფაქტების სამყაროდან აბსტრაქტული იდეების სფეროში. მაშასადამე, ქრისტიანობა უნდა განვიხილოთ არა როგორც მიზეზი, არამედ მხოლოდ როგორც კრიზისის ერთ-ერთი გამოვლენა, რომელსაც უნდა გარდაექმნა ძველი ეკონომიური და სოციალური ურთიერთობანი. მარტო აპოკალიფსური ლიტერატურა როდი გამოხატავდა სამყაროს მოახლო-

ებულ აღსასრულს, გარდუვალ მსოფლიო კატასტროფას. ეს იდეა, რომელიც დროდადრო მოულოდნელ ფორმებს იღებდა, რაც ისტორიკოსთა მიერ დღემდე არასაკმაო ყურადღებითაა შესწავლილი[1], მთელ რომაულ სამყაროში ტრიალებდა რესპუბლიკის უკანასკნელ ათეულ წლებში. ამ იდეებითაა გამსჭვალული ისტორიკოსებისა და პოეტების ბევრი თხზულება კეისრისა და ავგუსტეს პრინციპატის ადრეული პერიოდის ეპოქაში.

წარმოდგენა ათასწლოვანი მეფობის შესახებ, რომელმაც ასე მტკიცე დაღი დააჩნია იუდაიზმსა და ქრისტიანობას და რომელიც გვხვდება აგრეთვე არაბულ ლიტერატურაში მისი გაჩენისთანავე,[2] უცხო არ არის თვით გაბატონებული კლასების შეხედულებებისათვის ანტიკური ცივილიზაციის ხრწნის საწყის პერიოდში. ეს აზრი ბერძნებსა და რომაელებში ღებულობს ოქროს საუკუნისაკენ დაბრუნების ხასიათს, რომლის შესახებაც ფანტაზიორობდნენ ჰესიოდეს დროიდან ვირგილიუსისა და ოვიდიუსის პერიოდამდე. იუდაურ-ქრისტიანულ მილენარიზმსა და რომის საზოგადოებასაც კი დაეტყო აგრეთვე სპარსული მოძღვრება ჰაზარის, ანუ წინასწარმეტყველთა მეთაურობით ათასწლოვანი მეფობის შესახებ, რომელთაც უნდა მოამზადონ ორმუზდის, ესე იგი კეთილი ღმერთის აჰურა მაზდას ტრიუმფალური დაბრუნება. ოვიდიუსის თანახმად, სიბილა ათას წელს ცხოვრობდა, და მისგან მოელოდნენ მისი მოვალეობის შესრულებას — შეეყვანა გმირები ჯოჯოხეთში და გადაეყვანა ისინი ათასი წლის შემდეგ ნეტარ ელისეს მინდვრებზე[3].

იმ ეპოქის წყაროები ლაპარაკობენ სამისნო წიგნების და ყოველგვარი სახის საღვთისმეტყველო ლიტერატურის დიდი გავრცელების, მისტიციზმის სიჭარბისა და დიდი ხნის წინათ მივიწყებული ცრურწმენითი თქმულებებისაკენ დაბრუნების შე-

---

[1] იხ С. Л. Утченко. Идейно-политическая борьба в Риме накануне падения республики. М., 1952. ამ მოვლენის სწორი გაშუქება მოცემულია ნ. ა. მაშკინის წიგნის „Принципат Августа"-ს ერთ-ერთ თავში „Социальные утопии времен Перузинской войны и Брундизийского мира".

[2] A. Donini. Chiese dissidenti e moti ereticali. in „Crepuscolo del colonialismo". Rinascita, nov.—dicembre 1958, გვ. 741 და შემდ.

[3] Овидий. Метаморфозы, XIV, 3.

სახებ. ადამიანისადმი ურწმუნოების ეს ტალღა და შებრუნება სასწაულებრივისა და ზებუნებრივისაკენ, რომელიც ტიპიურია ერთი საზოგადოებიდან მეორეში გარდამავალი ეპოქისათვის, სერიოზულად არასოდეს არ შლიდა გაბატონებული ფენების რიგებს, ხანდახან ხელს უწყობდა კიდეც გარკვეული დროით მათი ძალაუფლების შენარჩუნებას, თუმცა მისი აღსასრული შორს აღარ იყო.

გამორიცხული არაა, რომ სამყაროს განახლების იდეა „საყოველთაო კატასტროფის“ მოლოდინთან ერთად ეტრუსკებიდან გადავიდა რომაელებში; მაგრამ მან შემდგომ მკაფიო ფორმები შეიძინა პითაგორული სკოლის, სტოიციზმისა და სხვადასხვაგვარ ასტროლოგიურ მოძღვრებათა გავლენით, რომლებიც ორანაკლებ აბსურდული სიზუსტით, ვიდრე აპოკალიფსების იუდეველ-ქრისტიანი ავტორები, ცდილობდნენ განესაზღვრათ „ახალი საუკუნის“ დადგომა.

ამასთან ერთად, რომაელების მიერ შეთვისებული ელინისტური აზროვნების ცენტრალური თემა მათი ცივილიზაციის უმაღლესი გაფურჩქვნის პერიოდში სულ სხვა იყო. სამყარო, ეს სამყარო, უკეთესია ყველა შესაძლო სამყაროთა შორის; სამყაროს უშფოთველი განჭვრეტისას იკარგება და ქრება უსამართლობა; სიკეთისა და ბოროტების ჯამი მუდმივია და ნამდვილად არ მოითხოვს ღვთაების ჩარევას მისივე საკუთარი ქმნილების გამოსასწორებლად.[1] მაგრამ ავგუსტეს პრინციპატის წლებში მსგავსი შეხედულებანი ჰქრებიან, ჰკარგავენ თავიანთ ძალაუფლებას ადამიანთა გონებაზე და ხშირად საავსებით მოულოდნელად იქცევიან საწინააღმდეგო შეხედულებებად.

ასე მიუახლოვდა იდეოლოგიური კრიზისი თვით რომის იმპერიის გულს.

---

[1] სახელდობრ ამაში მდგომარეობდა, მმართველი ფენების თვალთახედვით, ჩვ. წ. აღ.-ით III—IV საუკუნეებში კერპთაყვანისმცემლობის მომხრეთა ერთ-ერთი ძლიერი საბუთი მათს პოლემიკაში ქრისტიანობის წინააღმდეგ — ცელსიუსიდან პორფირიუსამდე და იულიანე განდგომილამდე, რომელიც მანამდე გაგრძელდა, სანამ ახალმა რელიგიამ თვითონ სრულად არ გამოხატა გაბატონებული კლასის ინტერესები. .

შუა საუკუნეების ადამიანთა წარმოსახვამ ვირგილიუსი რაღაც გრძნეულად, ისეთ არსებად აქცია, რომელიც ქრისტიანული რელიგიის წინასწარმეტყველისა და წინამორბედის ზებუნებრივი თვისებებით იყო დაჯილდოებული. თვითონ დანტეს „ღვთაებრივ კომედიაში“ აღიქვა და განავითარა ეს ლეგენდა, ლათინი პოეტი აირჩია თავის მოძღვრად და შეგზურად ჯოჯოხეთსა და სალხინებელში მოგზაურობისას. მართლაც და, განა ვირგილიუსმა არ აღწერა „ენეიდას“ VI წიგნში როგორ ეწვია მისი გმირი მიწისქვეშა სამყაროს, მიცვალებულთა სამეფოს?

მითებისა და ხალხური თქმულებების საფუძველია სამყაროს არა მარტო ინტელექტუალური გაგება. ადამიანთა ცხოვრების პირობები, და პირველ რიგში ათასგვარი წინააღმდეგობა, რომელშიც გახლართულია კლასებად დაყოფილი საზოგადოება, გვეხმარებიან ბევრი ლეგენდისა და საიდუმლოების წარმოშობის გაშუქებაში. მაგრამ ნათელია, რომ მითი ვირგილიუსის შესახებ ვერასოდეს შეძლებდა ასე ფართოდ გავრცელებულიყო და მით უმეტეს, ასე მკვიდრად განმტკიცებულიყო ადამიანთა შეგნებაში შუა საუკუნეთა ეპოქაში, რომ ჩვ. წ. აღ.-ით IV საუკუნეში ფართო გავრცელება არ მიეღო ლათინი პოეტის ერთ-ერთი ყველაზე უფრო ცნობილი ნაწარმოების—„მეოთხე ეკლოგას“ ტენდენციურ და თვითნებურ განმარტებას; ეს ნაწარმოები დაიწერა ჩვ. წ. აღ.-მდე 40 წელს და კონსულ პოლიონს მიეძღვნა. იმავე წელს ბრინდიზიუმში დადებულმა ზავმა, თითქოსდა, ბოლო მოუღო სამოქალაქო ომის ხანგრძლივ პერიოდს და ავგუსტეს გზა გაუხსნა ძალაუფლებისაკენ. პოლიონს, ვირგილიუსის მფარველსა და მეგობარს, ვაჟიშვილი გაუჩნდა. პოეტი მიესალმება ვაჟის დაბადებას როგორც განსაკუთრებულ მოვლენას ადამიანის ცხოვრებაში და, სურს უთხრას რა მამას რაღაც მეტისმეტად სასიამოვნო, აცხადებს, რომ ამიერიდან დაიწყება უკანასკნელი და უბედნიერესი ეპოქა მსოფლიოს ისტორიაში, რომელიც აყვავებას მიაღწევს მაშინ, როცა მისი ვაჟიშვილი დავაჟკაცდებაო. ასე იწინასწარმეტყველა სიბილა კუმელმა: საუკუნეები უკან დაბრუნ-

დებიან, დაგვიბრუნდება სამართლიანობისა და სიუხვის საუკუნე, და ახალი მოდგმის ადამიანები ჩამოვლენ ზეციდან. ასეთი აზრია გატარებული ვირგილიუსის ამ პატარა პოემაში.

რა თქმა უნდა, ბუნებრივია, რომ ქრისტიანობის წარმოშობიდან რამდენიმე საუკუნის გავლის შემდეგ რომელიმე თეოლოგს წარმართული იდეოლოგიის უკანასკნელი დამცველების დარწმუნების მიზნით საბუთების ძებნის დროს შეიძლებოდა აზრად მოსვლოდა და განემარტა ვირგილიუსის ლექსები როგორც ახალი რელიგიის გამოცხადება და როგორც ქრისტეს დაბადების წინასწარმეტყველებაც კი.

მსგავსი, მხოლოდ დოგმის განვითარებისათვის უფრო არსებითი აღრევით მდიდარია ადრეული ქრისტიანობის ისტორია. ტიპიურია, მაგალითად, ესაიას ერთ-ერთი უძველესი ტექსტის თეოლოგიური მომარჯვება, რომელშიც ყრმის დაბადებაზე ლაპარაკია ვირგილიუსისებრი გამოთქმებით: „აჰა ქალწულმან მუცლად იღოს და შვას ძე, და უწოდონ სახელი მისი ემანუილ (რაც ნიშნავს „ჩვენთან არს ღმერთი". — ა. დ.).

ერბოსა და თაფლსა ჭამდეს, პირველ ანუ ცნობამდე მისსა ანუ წინა აღრჩევად ბოროტისა, გამოირჩიოს კეთილი"[1].

როგორც ამ ტექსტის ებრაული დედანი გვიჩვენებს, ავტორი ცდილობდა მხოლოდ დაემშვიდებინა რომელიღაც ღვთისმოსავი ისრაელი, რომელსაც უცხოელთა შემოსევა ემუქრება: ჰო, ახლა საქმეები ცუდად მიდის, მაგრამ სულ მალე რომელიღაც ახალგაზრდა ქალი გააჩენს შვილს და მანამ, სანამ ბიჭი მოწიფულობის ასაკს მიაღწევს, ისრაელის მტრები, ასურელები განადგურდებიან. კარგა ხნის გავლის შემდეგ. ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნეში, ალექსანდრიაში მომუშავე ბერძნულ ენაზე მიბლიის უცნობმა მთარგმნელებმა, შეიძლება ძველი ასტრალური და მზის მითების[2] გავლენით, გადმოსცეს ებრაული სიტ-

[1] ესაია, თავი მე-7, მუხლი 14—15.

[2] ლეგენდა მხსნელის სასწაულებრივად დაბადების შესახებ, რომელიც უმანკოდ მუცლადღებასთან არის დაკავშირებული, გვხვდება ბერძნულ რელიგიაში, აღმოსავლეთის ბევრ კულტსა და სპარსულ ლიტერატურაში, ინდურ ტექსტებსა და ბუდისტურ წმინდანთა ცხოვრებაში (K. Kerenyi. Das persische Millenium. Mahabharata bei der Sybille und Virgil. „Klio", 1936, XXIX, გვ. 135). იხ. აგრეთვე P. Saintyves. Les vierges mère et les naissances miraculeuses. Paris, 1908.

ყვა „ha-al-mâh“ — ახალგაზრდა ქალი“ ბერძნული პ ა რ თ ე ნ ო ს ი თ („ქალწული) და უნებლიეთ დაუდეს სათავე წარმოდგენას მესიის უბიწოდ მუცლადღების შესახებ მათეს სახარებაში (თავი 1, მუხლი 22—25); ეს იმ დროს, როცა ესაიას სასურველი პოეტური გამოსახვის აზრი დაიკარგა.

თუმცა, ვირგილიუსისა და ესაიას შეპირისპირება არაა შემთხვევითი.

თუ „მეოთხე ეკლოგის“ სტრიქონებში არაფერია განსაკუთრებული და მით უმეტეს წინასწარმეტყველური, მაინც ფაქტად რჩება, რომ სამართლიანობისა და სიუხვის უკანასკნელი ეპოქის აღწერისას პოეტი მიმართავს საბერძნეთ-რომის ოფიციალური საზოგადოებისთვის უჩვეულო ტერმინოლოგიას[1]. მმართველ კლასებს, რომლებიც კმაყოფილი არიან თავიანთი ცხოვრებით დედამიწაზე, არ ესაჭიროებათ უკეთესი სამყაროს ლოდინი. ვირგილიუსის სიბილა კუმელი კი ნამდვილად აპოკალიფსური ლიტერატურის ენით ლაპარაკობს ებრაული წყაროებიდან, რომლებიც გავრცელებულნი იყვნენ ბერძნულ ენაზე აღმოსავლეთის უღარიბეს და ყველაზე უფრო შევიწროებულ ფენებში.

რომის ოფიციალურ რელიგიას საქმე ჰქონდა ძველ სიბილასეულ, ალბათ, ეტრუსკული წარმოშობის წიგნებთან, რომლებიც ტარკვინიუსის დროიდან კაპიტოლიუმში ინახებოდნენ. მათ მიმართავდნენ ყოველი კრიზისის მომენტში. ჩვ. წ. აღ.-მდე 83 წელს ეს წიგნები ხანძრის დროს დაიღუპა, მაგრამ მალე სულას ბრძანებით აღმოსავლეთში გაიგზავნა კომისია სამი კაცის შემადგენლობით ახალი წინასწარმეტყველური წიგნების საძებრად. ალექსანდრიელმა ებრაელებმა, რომლებიც ისწრაფვოდნენ გაევრცელებინათ თავიანთი შეხედულებანი ელინისტურ სამყაროში, კიდევ უფრო ადრე შეიძინეს სიბილასეული წიგნების ერთ-ერთი აღმოსავლური თარგმანი. იმ დროს ისინი ბერძნული ჰეგზამეტრით დაწერილი აპოკა-

---

[1] **Th. Zielinski. La Sybille. Paris, 1924; Jean Carcopino. Virgile et le mystère de la IV-e Eclogue „Revue des Etudes Latines“. Paris, 1931.**

ლიფსური იერის ასეთი ტექსტების მთელ სერიას ფლობდნენ. მათი ნაწილი ჩვენს დრომდე შემორჩა[1]. აი, ამ ლიტერატურისათვის დამახასიათებელი რამდენიმე ფრაზა: „და იქნება მიწა საერთო, და მეტად აღარ იქნებიან არც კედლები, არც საზღვრები, არც ღარიბები, არც მდიდრები, არც ტირანები, არც მონები, არც დიდნი, არც მცირენი, არც მეფენი, არც ბატონები, მაგრამ იქნება ყველა თანასწორი"[2]. წიგნებში მრავალგზის და სრულიად გარკვეულადაა ნაწინასწარმეტყველები რომის მისაგებელი: „მაგრამ რამდენი სიმდიდრეც არ უნდა მოიპოვოს რომმა აზიაში, — სამჯერ მეტს აიღებს აზია რომისგან, აიძულებს მას ანგარიში გაასწოროს უკანონო შევიწროებისათვის[3]; და თუ აზიიდან ამდენი ადამიანი ბევრი იტალიკის მონა გახდა, ოცჯერ მეტი იტალიკი იმუშავებს აზიაში მონობასა და უბადრუკობაში... ო, რაოდენ ნეტარია ადამიანი, რომელიც იმ დროს იცხოვრებს"[4].

არაფერია დაუჯერებელი იმაში, რომ სენატის სამმა წარგზავნილმა — პ. გაბინიუსმა, მ. ოტაცილიუსმა და ლ. ვალერიუსმა, რომლებიც რომში დაბრუნდნენ თითქმის ორმოცი წლით ადრე ვირგილიუსის პოემის გამოჩენამდე, ჩამოიტანეს, ვარონის, ფენესტელის და დიონისე ჰალიკარნასელის ცნობით, აღმოსავლეთში შეკრებილი ათასამდე კარგი „სიბილასეული" ლექსი, და ამით უნებლიეთ გახდნენ, თანაც რომაული სამყაროს თვით ცენტრში, „მაუნებლური" ლიტერატურის გამავრცელებელნი. ამ ნაწარმოებებით გაძლიერებულმა ახალმა იდეებმა პოპულარობა მოიპოვეს დედაქალაქის განათლებულ წრეებში, და ვირგილიუსს შეეძლო ზოგი რამ ესესხნა ძლევამოსილი პოლიონის ახალშობილი შვილის გამოსახვისათვის.

---

[1] A. Pincherle. Gli oracoli sibillini giundaici. Roma, 1922.

[2] Ibid., II, 320.

[3] გავიხსენოთ მსჯელობა ქრისტიანულ აპოკალიფსში რომის როგორც დიდი მეძავის შესახებ: „და მიაგეთ მას, რომელთა იგი მოგაგონ თქვენ და შეკეცეთ ორ-კეცი იგი ვითარცა იგი მან ჰქმნა საქმეთა მისთაებრ" (გამოცხადება იოანესი, თავი მე-18, მუხლი მე-6).

[4] A. Pincherle. Op. cit., III, გვ. 950 და შემდეგ.

ცნობილია, რომ სიბილასეულმა ახალმა წიგნებმა ძლიერ მალე გამოიწვიეს სენატისა და იმპერიის ხელისუფალთა უნდობლობა. ავგუსტემ და ტიბერიუსმა აკრძალეს ისინი, შემდეგ კი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე წიგნები დაწვეს.

ამრიგად, „მეოთხე ეკლოგა", როგორც ლიტერატურული ნაწარმოები, მეტად ნაკლებადაა დაკავშირებული აპოკალიფსურ ნაწარმოებებთან. მაგრამ მასშიაც კი ყრუდ გაისმის ზოგიერთი ახალი სოციალური მოტივი, რომელიც ანტიკური საზოგადოების დაშლის პროცესში ჩნდებოდა და მიიღო თავისი ყველაზე უფრო მოწიფული გამოხატულება ჩასახვის პროცესში მყოფი ქრისტიანობის იდეოლოგიურ ზედნაშენში.

მკვდარი ზღვის მანუსკრიპტები

1947 წლის გაზაფხულზე, ინგლისის მიერ პალესტინის ოკუპაციის უკანასკნელ პერიოდში, ტა-ამირეს ტომის რამდენიმე ბედუინმა, რომლებიც თავიანთ გაძვალტყავებულ ცხვრებს აძოვებდნენ კლდოვან ფერდობებზე და ეშვებოდნენ იუდეველთა უდაბნოდან მკვდარი ზღვის ჩრდილო-დასავლეთ ნაპირებისაკენ, იერუსალიმიდან 25 კილომეტრზე აღმოსავლეთით, განაცხადეს, რომ რომელიღაც უცნობ გამოქვაბულში იპოვნეს ძველი ხელნაწერები.

ახალგაზრდა მესაქონლე მუჰამედ ედ-დიბი, რომელმაც პირველმა მოახდინა ეს აღმოჩენა, მის შესახებ ლაპარაკობდა სხვადასხვანაირად და ეტყობოდა არ შეეძლო სინამდვილე აღედგინა. ახლახან მან ფიცის ქვეშ განაცხადა, რომ პირველი აღმოჩენა 1945 წელს ეკუთვნის და რომ ხელნაწერთა გრაგნილის ტყავიდან მან და მისმა ორმა ამხანაგმა გამოჭრეს თასმები თავიანთი ძველი ქალამნების შესაკეთებლად, და მხოლოდ ორი წლის შემდეგ მისმა ერთ-ერთმა ბიძამ „ხელნაწერი ერთ ანტიკვარს აჩვენა ბეთლემში, რათა გაეგო, ხომ არ არის მათში რაიმე გამოსადეგი“[1].

---

[1] C. F. Potter. The lost years of Jesus revea led. Faw cett. Gold Medal Books, 1958, გვ. 15.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, შემდგომ თვეებში ანტიკვრებმა და ძველმანებით მოვაჭრეებმა ბეთლემსა და იერუსალიმს შორის მდებარე ოლქებში დაიწყეს ფრიად ზომიერ ფასებში ცუდად შენახული ებრაული დამწერლობით შესრულებული პერგამენტის ნაჭრების გაყიდვა და ამავე დროს გადაკვრით ამბობდნენ, რომ შეუძლიათ გასაყიდად მალე გამოიტანონ უფრო დაცული გრაგნილები. მართლაც, ოთხი გრაგნილი სულ მალე შეიძინა იერუსალიმის ებრაელთა უნივერსიტეტის პროფესორმა ე. ლ. სუკენიკმა, სამი სხვა გრაგნილი — სირიის მართლმადიდებლური წმ. მარკოზის მონასტრის წინამძღვარმა მარ ათანასემ. მაგრამ სანამ აღმოჩენის შესახებ პირველ ცნობას მსოფლიო შეიტყობდა, ერთი წელი კიდევ გავიდა[1].

ამასობაში გავიდა ბრიტანეთის მანდატის რწმუნებულება პალესტინასა და იუდეველთა უდაბნოს ტერიტორიაზე, რომლის გამო დავა ჰქონდათ ორ ახალ სახელმწიფოს—იორდანიასა და ისრაელს; დაიწყო შეუპოვარი ბრძოლა არაბებსა და ებრაელებს შორის, რომელსაც აღვივებდნენ ინგლისელები. ამის შედეგად ძიება და არქეოლოგიური გათხრები გაძნელდა, ზოგჯერ კი პირდაპირ საშიშიც გახდა.

უნდა ვაღიაროთ, რომ იორდანიის ახალგაზრდა სახელმწიფოს ხელისუფლებმა, რომლის ტერიტორიაზე 1948 წლის მაისიდან აღმოჩნდა გამოქვაბულთა ზონა, თავიდანვე გამოიჩინეს დიდი უანგარობა და იმ კვლევათა მეცნიერული მნიშ-

---

[1] იგი გამოჩნდა 1948 წლის 11 აპრილს „აღმოსავლეთის კვლევის ამერიკული სკოლის ბიულეტენში", ტ. CX, გვ. 2, უ. ფ. ოლბრაიტის სტატიაში „ხელნაწერთა უმნიშვნელოვანესი აღმოჩენა ჩვენს დროში". მომდევნო შემოდგომაზე იერუსალიმის პაპის ბიბლიური ინსტიტუტის დირექტორმა აღმოჩენათა შესახებ აცნობა რომში, მაგრამ პირველი ცნობა ამის შესახებ გამოჩნდა „Civiltà cattolica"-ში მხოლოდ 1950 წელს (I, გვ. 480—494 და 612—624). 1949 წლის 23 მარტს ძიებათა შესახებ მოკლე მიმოხილვა გამოქვეყნდა რომის გაზეთში „Quotidiano". უფრო დაწვრილებით ეს საკითხი გაშუქებულია კლასიკური ფილოლოგიის ნეაპოლის საუკეთესო ჟურნალში „La parola del passato" (1949 წ., გამ. XII, გვ. 267—283) ი. დე ფრენის სტატიაში „იუდეველთა უდაბნოში ნაპოვნი ებრაული მანუსკრიპტები".

ენელობის გაგება, რასაც იერუსალიმის სხვადასხვა რელიგიური დაწესებულებანი (კათოლიკური, პროტესტანტული, მართლმადიდებლური) ატარებდნენ. მეორე მხრივ, ებრაული უნივერსიტეტის მეცნიერთა მცირე ჯგუფმა არა მარტო პირველმა გამოაქვეყნა სრული ტექსტები[1], არამედ მოახერხა კიდეც თავი მოეყარა ერთ მაღალი კვალიფიკაციის სამეცნიერო ინსტიტუტში შვიდი უმნიშვნელოვანესი მანუსკრიპტისათვის; ისინი შეკრიბეს 1948 წელს პალესტინიდან მიტროპოლიტ ათანასეს გამგზავრების შემდეგ, რომელიც ამერიკულ ბაზარზე ეძებდა თავისი სამი გრაგნილის შესაფერ მყიდველს[2]. ამ ხელნაწერების უკანვე — ისრაელში გამოგზავნა და იერუსალიმის უნივერსიტეტის მიერ 250 ათას დოლარად მათი შესყიდვა ნამდვილად დეტექტიური რომანია ისევე, როგორც სხვა მოვლენები[3], ორი დანარჩენი, სპილენძის გრაგნილის, რომლებიც აღმოაჩინეს მანამდე ორი წლით ადრე სხვა გამოქვაბულში და რომლებიც შეიცავენ ებრაულ ხალხურ ენაზე შედგენილ მითითებებს დამალული ზღაპრული განძის შესახებ, ძიებით დაწყებული და 1956 წლის თებერვალში მათი გაშიფრვით დამთავრებული. ყველა ჯურის ავანტიურისტები მიაწყდნენ იმ ადგილებს, მათ დაავიწყდათ, რომ მსგავსი ისტორიებით სავსეა მთელი აღმოსავლური ფოლკლორი[4].

---

[1] Èlazar L. Sukenik. Megillot genuzot. Gerusalemme, I 1948; II, 1950.

[2] ათანასეს მანუსკრიპტთა პირველი გამოცემა შეერთებულ შტატებში გამოვიდა „იერუსალიმის ამერიკული სკოლის" სამი თანამშრომლის — მ. ბაროუზის, ჯ. ს. ტრევერისა და უ. გ. ბროუნლის რედაქციით წიგნში — M. Burrows, J. C. Trever and W. H. Brownlee. The Dead Sea Scrolls of St. Mark's Monastery; I, The Isaiah Manuscript and the Habakkuk Commentary; II, Plates and Transcription of the Manual of Discipline. New Haven, 1950—1951.

[3] უკანასკნელ მომენტამდე ათანასემ არ იცოდა, რომ მისი მანუსკრიპტების ყიდვა საიდუმლოდ მოხდა ისრაელის მთავრობის სახელით.

[4] „განძეულობის გრაგნილთა" შესახებ, გარდა გ. რაიტ ბეიკერის პირველი ცნობისა. (H. Wright Baker. Notes on the opening of the Bronze Scrolls from Qumrân. „Bulletin of the John Rylands Library in Manchester". 1956, გვ. 45—46) იხილეთ აგრეთვე სტატია

მეთოდური ძიებანი გამოქვაბულთა რაიონში და ახლო მდებარე ადგილებში მხოლოდ 1949 წელს დაიწყო. ისინი ახლაც გრძელდება. შემოწმებულია ასობით ბუნებრივი და ხელოვნური მღვიმე, თანაც გამოვლენილი ტექსტები და დოკუმენტები ხშირად არეულია და სულ სხვადასხვა ეპოქებს ეკუთვნიან: ქვის საუკუნიდან, ჩვ. წ. აღ.-მდე 4000 წლით დაწყებული და შუა საუკუნეების ბიზანტიური და არაბული პერიოდით დამთავრებული. მონაპოვართა ძირითადი ნაწილი შედგება ლიტერატურული, არქეოლოგიური და ნუმიზმატიკური მასალებისაგან, რომლებიც ქრისტიანული ლეგენდის ფორმირებისა და განმტკიცების პერიოდს ეკუთვნის — ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნესა და იუდეველთა მეორე ომის დამთავრებას(ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნის პირველ ნახევარში) შორის. ნაპოვნი მასალები ნახულია გამოქვაბულებსა და ნაგებობებზე, რომლებიც მიუტოვებიათ უმეტეს წილად უკვე პირველი აჯანყების ჩაქრობის პერიოდში, 68 და 70 წლებს შუა ჩვ. წ. აღ.-ით, როცა გააფთრებული პარტიზანული ომი გაჩაღდა რომაელთა წინააღმდეგ.

აი, საიდან წარმოდგება მეცნიერთა სამყაროს ის განსაკუთრებული ინტერესი ნაპოვნი მასალებისადმი, რასაც ადასტურებს აღნიშნულის გამო შექმნილი ლიტერატურა; ახლა მისი რაოდენობა სახელწოდებათა მიხედვით დაახლოებით 2 ათასია, თუ არ ჩავთვლით გაზეთებსა და პოპულარულ ჟურნალებში გამოქვეყნებულ სტატიებს. მოცულობითა და ღირებულებით განსხვავებული შრომები ათობით ქვეყნდება საფრანგეთში, ინგლისში, შეერთებულ შტატებში, ისრაელში, გერმანიაში, ბელგიაში, ჰოლანდიაში. საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა ნაპოვნ მასა-

---

A. Dupont-Sommer. Les rouleaux de cuivre trouvés à Qoumrân. „Revue de l'historie des religons". 1957, CLI, გვ. 22—36. გრაგნილებში აღწერილია 60 ადგილი ხევრონსა და გარიზიმს შორის, რომლებშიც, თითქოს, გადამალულია სხვადასხვაგვარი ფასეულობა—200 ტონა ოქრო და ვერცხლი.

ლებს რამდენიმე ინფორმაციული ცნობა მიუძღვნა[1], და მხოლოდ იტალიაში კულტურული წრეები, რამდენიმე სპეციალისტის გამოკლებით, ყრუდ შეხვდნენ და არ გამოეხმაურნენ აღნიშნულ მოვლენას. 1957 წლის ბოლოს მილარ ბაროუზის[2] კეთილსინდისიერ სამეცნიერო ბიბლიოგრაფიაში შეგროვილი 600 შრომიდან მხოლოდ ერთია იტალიელის მიერ დაწერილი. ეს რომის უნივერსიტეტის ებრაული ენისა და ლიტერატურის დოცენტის ს. მოსკატის ნარკვევებია.

ნაპოვნი მასალების შესწავლა მრავალი წლის მუშაობას მოითხოვს. მან უკვე წარმოშვა ახალი ისტორიული სპეციალიზაცია. ჩვენ საქმე გვაქვს პირველი ხელიდან გამოსული უდიდესი რაოდენობის დოკუმენტაციასთან, რომელიც პალესტინის ისტორიის ელინისტურ-რომაულ პერიოდს აშუქებს ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში. მისი წყალობით ის-

---

[1] К. Б. Старкова. Рукописи из окрестностей Мертвого моря, в „Вестнике древней истории", 1956, № 1, გვ. 87 — 102. მაგრამ ამ დოკუმენტების ქრისტიანობასთან კავშირის პრობლემას სტატია არ შეხებია. ამ თვალსაზრისით უფრო გვაკმაყოფილებს ა. ბ. კაჟდანის სტატია „Новые рукописи, открытые на побережье Мертвого моря", რომელიც გამოქვეყნებულია „Вопросы истории и атеизма"-ში, т. IV, М., 1956, გვ. 280—313 (უკანასკნელ ხანებში სსრ კავშირში გამოიცა ორი წიგნი: С. И. Ковалев, М. М. Кубланов. Находки в Иудейской пустыне. М., 1960, и И. Д. Амусин. Рукописи Мертвого моря. М; 1961— რ ე დ.).

[2] Millar Burrows. The Dead Sea Scrolls. New York, 1956, და More light on the Dead Sea Scrolls. New York, 1958. საკმარისია წავიკითხოთ ეს ორი ნაშრომი და დიუპონ-სომეს უფრო ადრინდელი პუბლიკაციები (A. Dupont-Sommer. Aperçus préliminaires და Nouveaux aperçus sur les Manyscripts de la mer Morte. Paris, 1950—53), რომ საკმაოდ სრული წარმოდგენა ვიქონიოთ ამ ტექსტების ისტორიაზე. სიტყვამ მოიტანა და პროფ. დიუპონ-სომემ პირველმა დაასაბუთა სერიოზულად ახალ დოკუმენტებსა და ადრეულ ქრისტიანულ მოძრაობას შორის ანაჯოგიის პრობლემა. ჟურნალ „Biblica"-ში, რომის პონტიფიკალური ბიბლიური ინსტიტუტის ორგანოში, წლიდან წლამდე ქვეყნდება ამ საკითხის ბიბლიოგრაფია.


პალესტინა
0 10 20 30 ვერსი
ფინიკეს ჯესარია
ზალილეა
ქალესტინის ჯესარია
ქალა
სამარია
ნაზარეთ
(ბაზა)
ბეთ-ზაბეი
ბეთლეემი
ბეთანია
ბეთ-ანანია
ბეთ-ზაქარია
ბეთ-ფაგე
ბეთ-ალეა
ბეთ-ალეა
ბეთ-ალეა

დაჟანგული სპილენძის გრაგნილები III გამოქვაბულიდან

ტორიულ სცენაზე ჩნდებიან მორწმუნეთა ჯგუფები, ტიპიური „ქრისტიანული“ ლეგენდების, წესჩვეულებათა და იდეოლოგიის მიმდევარნი, რომლებიც თქმულებით დადგენილი იესოს დაბადებამდე ასი და მეტი წლით ადრე ცხოვრობდნენ. ლაპარაკია მრავალი ათასი შემორჩენილი ხელნაწერის შესახებ პერგამენტზე, ტყავზე, პაპირუსზე და ბამბის ქაღალდზეც კი. უმეტეს შემთხვევაში ისინი ძალიან ცუდად არიან შენახული, გაურკვევლად დაწერილი და თანაც რვა, ერთმანეთისაგან განსხვავებულ (ძველ და ხალხურ ებრაულ, კლასიკურ და ქრისტიანულ არამეულ, ნაბათურ, ბერძნულ, ლათინურ და არაბულ) ენაზე არიან შედგენილი. ნაპოვნია აგრეთვე კერამიკის, მონეტების, იარაღის, სელის ქსოვილის ნაჭრების მნიშვნელოვანი რაოდენობა და, გარდა ამისა, ხიდან და ლელქაშიდან გამოჭრილი ზოგიერთი საგანი, რომლებიც, მიუხედავად სიმყიფისა და ამდენი საუკუნეების გავლისა, მაინც შემორჩენილან.

1. უუმრანის მღვიმეები და ნანგრევები

აღმოჩენათა რაიონი იწყება იუდეველთა უდაბნოს ზევანზე, უძველეს ქალაქ იერიქონთან ახლოს. აქედან იგი მიიმართება ციცაბო და კლდოვანი ფერდობების გაყოლებით მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროსა და მდ. იორდანეს ხეობის სამხრეთამდე, ხმელთაშუა ზღვის დონიდან 300 მეტრით დაბლა. სახარებათა თანახმად, ამ ადგილებში წინასწარმეტყველებას ეწეოდა იოანე ნათლისმცემელი, და თითქოს იესოც 40 დ ღ ი თ მისულა იქ სამარხულოდ. მანუსკრიპტები მოგვი-

თხრობენ, რომ მკვდარი ზღვის რელიგიური თემების დაპაარსებელი თავისი მომხრეებითურთ განშორდა იერუსალიმს და წავიდა უდაბნოში, რათა აღედგინა ცხოვრების ისეთი წესი, როგორსაც ეწეოდნენ ორმოცი წლის განმავლობაში ისრაელი მამები: მეორდება იგივე ლეგენდა.

მარილების შხამიანი ნალექების გამო მცენარეულობას მოკლებული უნაყოფო მიწა, რომელიც ოდესღაც ზღვის მთელ ამ ზონას ფარავდა, დაღარულია მრავალრიცხოვანი დამშრალი მდინარეების კალაპოტებით, რომლებიც გაჭირვებით ივსებიან წყლით წვიმების მოკლე სეზონის განმავლობაში. მათგან უმთავრესად აღსანიშნავია: ვადი ყუმრანი, ვადი-უნარი და ვადი მურაბა'ათი. ამ სახელების მიხედვით ხდება ნაპოვნი მასალების კლასიფიკაცია და დათარიღება.

ყუმრანის რაიონში რამდენიმე ასეული გამოქვაბულია, მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მასალები ნაპოვნია მხოლოდ მეთერთმეტეში (მათ მიიღეს პირობითი აღნიშვნა 1Q, 2Q, 3Q... 11Q).

ადგილობრივ მესაქონლეებს, რომლებმაც შემთხვევით აღმოაჩინეს პირველი გამოქვაბული, დიდხანს არ სურდათ ეცნობებინათ მისი ზუსტი ადგილმდებარეობა, იმედოვნებდნენ, რომ იქ გაცილებით უფრო ფასიანი საგნები იქნებოდა, ვიდრე თიხის ქოთნები და ხელნაწერთა ნაგლეჯები, რომლებიც მათ რამდენიმე გირვანქა სტერლინგად გაასაღეს. ამ გამოქვაბულში იყო უამრავი ელინისტურ-რომაული ფორმის ხუფით დახურული ამფორა. მათი უმეტესი ნაწილი დამტვრეული და ცარიელი იყო, მაგრამ ზოგიერთ მათგანში აღმოჩნდა გაცვეთილ ტილოში გახვეული ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი მანუსკრიპტები, ისინი, რომელთაც მიიღეს მკვდარი ზღვის, ანუ იუდეველთა უდაბნოს „შვიდი გრაგნილის" სახელწოდება (ესაიას ბიბლიური წიგნის ორი პირი — ერთი სრულად, მეორე კი—ნაწყვეტებად, მცირე წინასწარმეტყველის აბაკუმის წიგნის კომენტარები, საეკლესიო სამსახურის სახელმძღვანელო, რომელსაც „თემის წესდება" ეწოდა, საინტერესო აპოკალიფსური ტექსტი, რომელიც დაწვრილებით აღწერს მომავალ „სინათლის შვილთა ომს ბნელეთის შვილებ-

თან", ბიბლიური ფსალმუნის მსგავსი თითქმის სამი ათეული „ჰიმნი" და ძველი აღთქმის სამი პირველი თავის კომენტარები, რომელთაც თავდაპირველად შეცდომით უწოდეს „ლამეხის აპოკალიფსი").

პირველნი, ვინც მოახერხეს ბედუინთა ნაკვალევზე ბოლოს და ბოლოს შეეღწიათ გამოქვაბულში, იყვნენ ინგლისელი პოლკოვნიკი ეშტონი და მისი თანმხლები არაბული ლეგიონის კაპიტანი აკაშ-ელ-ზებნი. ეს მოხდა 1949 წლის თებერვლის დამდეგს, ესე იგი პირველი აღმოჩენებიდან, ყოველ შემთხვევაში, ორი წლის გასვლის შემდეგ. თითქმის ერთი თვე წარმოებდა მაშინ გამოკვლევა. ასეთივე ამფორების ახალი ნამსხვრევების გარდა (რომელიც ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნესა და ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნეს ეკუთვნოდა), აღმოაჩინეს დიდი რაოდენობით სანთლითა და ფისით გაჟღენთილი მჭიდროდ ნაქსოვი სელის ქსოვილის ნაჭრები, რომლებშიც გახვეული იყო (უკეთესად დაცვის მიზნით) მანუსკრიპტები, უმეტესწილად ცნობილი ტექსტების დაახლოებით 500 ფრაგმენტი (ბიბლიური წერილები, აპოკრიფები და ფსევდოეპიგრაფები იუდეველი ავტორებისა), აქედან ნაწილი ახალი იყო და ეხებოდა ებრაული თემის ერთობლივი ცხოვრების ჩვეულებებსა და წესებს. მათვე უნდა მიკუთვნებოდა სხვა გრაგნილებიც. არც ერთი მონეტა არ იქნა ნახული, მაგრამ ტექსტების შინაარსს მივყავართ დასკვნამდე, რომ ეს იყო იუდეველთა პირველ აჯანყებამდე, ჩვ. წ. აღ.-ით 70 წელს დაწერილი ტექსტები, რომლებიც ახლომდებარე რაიონების მცხოვრებლებმა გადამალეს საცავებში[1]. ეს ვარაუდი მთლიანად დადასტურდა იორდანიის არქეოლოგიური უწყების მთავარი ინტენდანტის დოქტორ ლენ-

---

[1] ამ ადგილის არაბული სახელწოდება, „ყუმრანი" („Qumrân"), თითქმის უეჭველი გადაკეთებაა ებრაული „ჰომორისა" — ბიბლიური ლეგენდით სახელგანთქმული ქალაქისა, რომლის ადგილმდებარეობა მკვდარი ზღვის ნაპირებზე ახლახან გახადეს საეჭვოდ არქეოლოგებმა. ი. ვან დერ პლუგმა წამოაყენა, მაგრამ მტკიცე რწმენის გარეშე, სხვა ეტიმოლოგია: სახელწოდება „ყუმრანს" იგი აწარმოებს სიტყვიდან „qamar" — „მთვარე" (იხ. J. van der Ploeg.The excavations of Qumrân. A. Survey of the Judaean Brotherhood and its Ideas. London, 1958, გვ. 62).

ყუმრანის ნანგრევები

კესტერ გარდინგისა და იერუსალიმის „ბიბლიური სკოლის“ არქეოლოგთა ჯგუფის მუშაობის წყალობით, რომლებმაც მკვდარი ზღვის ახლოს მარმარილოს მოედანზე, გამოქვაბულის მახლობლად, ადგილზე, რომლის არაბული სახელწოდებაა ხირბეტ ყუმრანი („ნაქცევი, ნანგრევები ყუმრანისა“), აღმოაჩინეს მართკუთხა ნაგებობის ნარჩენები (ზომით 30—40 მეტრისა) მრავალრიცხოვანი სათავსოებით, რომელთაგან ერთ-



სახელგანთქმული I ყუმრანის გამოქვაბულის შესასვლელი

ერთი (ზომით სხვებზე დიდი) სატრაპეზოს ან შეკრების ადგილის როლს ასრულებდა. გარდა სამსახურეობრივი სანიტარული შენობებისა, სამზარეულოებისა, ცისტერნების ასავსები წყალსადენებისა, მანუსკრიპტების გადასაწერი სკრიპტორიებისა, — იპოვეს საწესჩვეულებო განბანის აუზები და ამფორების თითქმის ათასამდე ნამტვრევი. ერთ-ერთი ამფორა შემონახულა დაუზიანებლად — ის ზუსტად იმათი მსგავსია, რომლებშიც დაცული იყო პირველი გამოქვაბულის გრაგნილები. დაბოლოს, აღმოსავლეთ ფერდობზე იპოვეს სასაფლაო ათასი სამარით; უმეტესად ეს იყო მამაკაცთა საფლავები და მხოლოდ რამდენიმეში დაუმარხავთ ქალები და ბავშვები.

აქ უხვადაა ნაპოვნი სხვადასხვა ეპოქის მონეტები, დაწყებული ავგუსტეს პირველი პროკურატორებით პალესტინაში და დამთავრებული იმ დროით, როდესაც იუდეველთა პირველმა აჯანყებამ იფეთქა, ე. ი. ჩვ. წ. აღ.-ით 6-დან 67 წლამდე.

1953 წლის 9 თებერვლიდან 24 აპრილამდე მთავარ ნაგებობაში არქეოლოგიური გათხრების ახალი სერია ჩატარდა. მომდევნო წლებში ასეთი გათხრები გამეორდა. ამის შედეგად

IV გამოქვაბულში შესაღწევად არქეოლოგთა
მიერ გაკეთებული ხელოვნური სასველელები

უფრო ღრმად განლაგებულ ფენებში იპოვეს იოანე ჰირკანე I-ის (ჩვ. წ. აღ.-მდე 135—104), დიდი ირროდის (ჩვ. წ. აღ.-მდე 4 წელი — ჩვ. წ. აღ.-ით 6 წელი) და 67—70 წლების ომის პერიოდის არანაკლებ 250 მონეტა, ჩანდა აგრეთვე ბრძოლების კვალი, რომაული ხელშუბები და სატევრები. როგორც ჩანს, ამის შემდგომ ებრაელებმა დასახლება მიატოვეს, რადგან შემორჩენილია რომაელთა მიერ მისი ოკუპაციის ნაკვალევი, რაც ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. შემდგომ, ახალი აღმოჩენები ადასტურებენ აქ ებრაელთა დაბრუნებას იუდეველთა მეორე ომის პერიოდში (ჩვ. წ. აღ.-ით 132—135 წლები). ამ დროიდან მოკიდებული ჩვენს დრომდე სიცოცხლის აღარავითარი ნიშანი აღარა ჩანს, ეს ადგილები სავსებით გაუდაბურდა.

1952 წლის გაზაფხულზე, 10-დან 20 მარტამდე, როცა სახსრები მიიღეს საძიებო სამუშაოებისათვის. არქეოლოგთა

შვიდმა ჯგუფმა ბელგიელი და ფრანგი სპეციალისტების ხელმძღვანელობით ყუმრანის რაიონში 230 გათხრა მოახდინა, რომელთაგან მხოლოდ 37-მა მიიყვანა ისინი შედარებით სრულფასოვან აღმოჩენამდე (უმეტესად კერამიკა). ორ გამოქვაბულში — II და III-ში — აღმოაჩინეს მანუსკრიპტების ახალი ნაჭრები, III-ში კი ის მთლიანად დაჟანგული სპილენძის გრაგნილები, რომლებიც მთელი ოთხი წლის განმავლობაში რჩებოდნენ გაუშიფრავნი („განძთა გრაგნილები").

ამასობაში ძველი დასახლებული პუნქტიდან რამდენიმე მეტრის დაცილებით სხვა ბედუინებმა — ისინი ძლიერ სწრაფად დახელოვნდნენ მსგავს ძიებაში — აღმოაჩინეს ხელოვნური გამოქვაბული. მისი შიგთავსი არ ჩამოუვარდებოდა პირველ გამოქვაბულში ნაპოვნ მასალებს, თუ არ აღემატებოდა კიდეც მათ, თუმცა ძლიერ იყო დაზარალებული უამინდობითა და მძარცველთა ხელით. ეს იყო სათემო ბიბლიოთეკა, რომლის გადარჩენა, ალბათ, ძვირად დაუჯდათ ჩვ. წ. აღ.-ით 70 წელს რომაელთა მძაფრი შემოსევების მომენტში; ხელნაწერთა ათასობით ფრაგმენტი ებრაულ და არამეულ ენებზე (თავდაპირველად ისინი შეადგენდნენ არანაკლებ 400 ნაწარმოებს, რომელთაგან ბევრი სრულიად უცნობი იყო მეცნიერთათვის) მოიცავდა დაახლოებით სამსაუკუნოვან პერიოდს — ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნის დასაწყისიდან და ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნით დამთავრებული.

1952 წლის 12 ნოემბერს ამ ტექსტების ერთი კვადრატული სანტიმეტრის ღირებულებამ გირვანქა სტერლინგს მიაღწია და კიდევ უფრო მაღლა იწევდა. კოლექციათა გაბნევა რომ თავიდან აეცდინათ, დახმარებისათვის მიმართეს სხვადასხვა უნივერსიტეტებსა და საეკლესიო დაწესებულებებს, რომელთაც შეაგროვეს აუცილებელი სახსრები მასალათა მთელი მასის შესყიდვისათვის[1]. იორდანიის მთავრობამ წახალისების მიზნით

---

[1] „ოსერვატორე რომანო" 1956 წლის 14 დეკემბერს იუწყებოდა, რომ ვატიკანის ბიბლიოთეკამაც შეიძინა 53 ფრაგმენტი (46 ებრაულ და 7 არამეულ ენებზე).

უფლება მისცა სხვადასხვა ორგანიზაციებს ქვეყნიდან გაეზიდათ მათი კუთვნილი კოლექციების ნაწილი და გამოეფინათ თავიანთ მუზეუმებში იმის შემდგომ, როცა ყველა დოკუმენტი ამოკითხული და დაბეჭდილი იქნებოდა. ჯერჯერობით კი ყველა მასალა თავმოყრილ იქნა არქეოლოგიურ მუზეუმში, იერუსალიმის არაბულ ნაწილში. მეოთხე გამოქვაბულში ნაპოვნი მასალების გაწმენდის, ამოკითხვისა და პუბლიკაციისთვის შეიქმნა შვიდი სპეციალისტისგან შემდგარი კომისია. ესენი იყვნენ ხუთი ეროვნების წარმომადგენელნი, სხვადასხვა შეხედულებებისა და სარწმუნოებისა, თუმცა, უმრავლესობას საეკლესიო მოღვაწენი შეადგენდნენ[1].

სამწუხაროდ, V და VI გამოქვაბული სპეციალისტებმა მხოლოდ შემთხვევითი მაძიებლების, რომელთაც გამორჩენის წყურვილი ამოძრავებდათ, შემდეგ ინახულეს. ასე რომ, თუ აქ ძიებამ შედეგი გამოიღო, იგი მეტად უმნიშვნელო იყო.

უფრო წარმატებითი აღმოჩნდა გათხრები, რომლებიც 1955 წლის გაზაფხულზე დაიწყო, —ისინი ამჟამადაც გრძელდება, მაგრამ ცნობები ამ სამუშაოთა შესახებ ბუნდოვანი და ერთმანეთის საწინააღმდეგოა. ოთხ გამოქვაბულში (VII—X), რომლებიც, როგორც ჩანს, თავშესაფრად იყო გამოყენებული

---

1 აი ამ კომისიის წევრთა სახელები: დოქტორი ფრენკ მ. კროსი მაკორმიკის სემინარიიდან და ეპისკოპოსი პატრიკ უ. სკეგენი ვაშინგტონის კათოლიკური უნივერსიტეტიდან (ბიბლიურ ტექსტებზე სამუშაოდ, რომლებიც ასახულია თითქმის ასამდე მანუსკრიპტში); აბატი ჟან სტარსკი პარიზის ეროვნული სამეცნიერო-კვლევითი ცენტრიდან და აბატი ჟ. ტ. მილიკი იმავე ორგანიზაციიდან (არამეულ ტექსტებზე, აპოკრიფებზე, ფსევდოეპიგრაფებზე, „სათემო წესების“ ნაწყვეტებზე და ქრისტიანული მოძრაობის სხვა ორიგინალურ ტექსტებზე სამუშაოდ); დოქტორი კლაუს ხუნსინგერი გეტინგენის უნივერსიტეტიდან („სამხედრო საქმის ტრაქტატის“ ორიგინალზე და პაპირუსებზე სამუშაოდ); პროფ. ჯონ სტრაგნელი ოქსფორდის უნივერსიტეტიდან (ჰიმნებსა და სხვა ლიტერატურულ თხზულებებზე სამუშაოდ) და პროფ. ჯ. მ. ალეგრო მანჩესტერის უნივერსიტეტიდან (ბიბლიისა და მეცნიერული ტექსტების კომენტარებზე სამუშაოდ).

ვადასხვა ეპოქაში, ნაპოვნია ტექსტების ზოგიერთი ფრაგ-ენტი და ნამტვრევები ძველი დაწერილობით. სამაგიეროდ, ნობა უკანასკნელ, XI გამოქვაბულში ნაპოვნი მასალის შე-ახებ პირდაპირ სენსაციური იყო. ლაპარაკობდნენ ყოველ ემთხვევაში ხუთი სხვა გრაგნილის აღმოჩენის შესახებ (ბიბ-ლიის — „ლევიტელთა წიგნის“ ნაწილი, ბიბლიის დავითნის რული ტექსტი, იობის წიგნის არამეული კომენტარები, „ზე-კიური იერუსალიმის“ აპოკალიფსური აღწერა და ა. შ.), რომ-ლებიც იმავე ხასიათისა იყვნენ, რაც პირველ გამოქვაბულში ნაპოვნნი. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა შეიცვალა იმის გამო, რომ გამოკვლევის ზოგიერთმა მონაწილემ მოისურვა სამუშა-ოებისთვის საიდუმლოების ფარდა ჩამოეფარებინა. ასე რომ, ბევრმა ეჭვიც კი შეიტანა ამ ცნობათა სიმართლეში და ივარა-უდა, რომ გამორიცხული არაა ახალი სიურპრიზები გათხრე-ბის ადგილიდან.

2. მურაბაათისა და ხირბეტ მირდის ძვაბულები

ეუმრანიდან სამხრეთით დაახლოებით 18 კილომეტრზე, მურაბა ათის კალაპოტის რაიონში, ორი საათის სავალ გზაზე მკვდარი ზღვის ნაპირებიდან, თითქმის იმავე დროს, 1952 წლის იანვრიდან, შემოწმებულ იქნა ოთხი გამოქვაბული, რომლებიც სულ სხვადასხვა ისტორიული ეპოქის ადამიანთა დასახლების ნაკვალევს ინახავდნენ: ჩვ. წ. აღ.-მდე IV ათას-წლეულის და ჰიქსოსთა ეპოქისას (რომლებიც, შესაძლებელია, ძველი სკვითები იყვნენ), რკინის საუკუნის პერიოდისას იუ-დეაში (ჩვ. წ. აღ.-მდე VIII—VI საუკუნეები) და რომაელთა დაპყრობების პერიოდისას. აქ ნაპოვნი მონეტების მნიშვნე-ლოვანი ნაწილი ნერონის, დომიციანესა და ადრიანეს მმართ-ველობის დროს ეკუთვნის (ჩვ. წ. აღ.-ით 66—135 წლები); ამავე ეპოქას ეკუთვნის კერამიკის ნამსხვრევები და სპილენ-ძის ნიშანი საძულველი ჯარის მეათე ლეგიონისა, რომელსაც დავალებული ჰქონდა ჩაეხშო იუდეაში დაწყებული შეიარა-

ღებული ბრძოლა რომაელების წინააღმდეგ. სახარების ერთ-ერთი უძველესი იგ-ვი ამ ჯარს ღორების კოლტს ადარებს[1].

ყურადსაღებია ებრაელთა ბიბლიური ტექსტების სიჭარბე ამ გამოქვაბულში აღმოჩენილ ნივთებს შორის. უძველესნი მათ შორის დაწერილია ფინიკიური ალფაბეტით, რომელიც ხმარებაში იყო არა-უგვიანეს V—IV საუკუნეებისა ჩვ. წ. აღ.-მდე. გარდა ამისა, მოპოვებულია ნაწყვეტები მცირე წინასწარმეტყველთა ბერძნული თარგმანებიდან, ჩვ. წ. აღ.-ით 124 წლის ორი ხელშეკრულება არამეულ ენაზე, პაპირუსები ნაბათურ ენაზე, რომელიც დღემდე ქვებზე წანაწერით იყო მხოლოდ ცნობილი, გარკვეული რაოდენობა ნამტვრევებისა ბერძნული წარწერებით და ლათინური და არაბული ტექსტების ფრაგმენტები.

მაგრამ ისტორიკოსებისათვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მეორე აჯანყებისდროინდელი (ჩვ. წ. აღ.-ით 132—135) ორი ებრაული პაპირუსის აღმოჩენა, რომელთაგან ერთ-ერთი ხელმოწერილია, შესაძლოა, თვით მეამბოხეთა მოძრაობის ლეგენდარული წინამძღოლის მიერ, რომელიც ცნობილია მხოლოდ თალმუდის, იუსტინეს, დიონ კასიუსისა და ევსევი კესარიელის თხზულებების ზოგიერთი ცნობით. ლაპარაკია სარდალ მესიაზე — სიმონ ბენ-კოსებაზე; როგორც ირკვევა, სა-

---

[1] „ლეგიონ არს სახელი ჩემი", — წამოიძახა უწმინდურმა სულმა, როცა იესომ დააპირა რომელიღაც გათანგულის სხეულიდან გაეძევებინა იგი გაბარინთა ქვეყანაში. ეშმაკებმა სთხოვეს იესოს ჩაესახლებინა ისინი ღორებში, რომლებიც ბალახს ძოვდნენ მთაზე (მარკოზი, თავი მე-5, მუხლი მე-9; ლუკა, თავი მე-8, მუხლი 26-ე; მათე, თავი მე-8, მუხლი 28—31; ამ უკანასკნელს, სიფრთხილისათვის გადაკრული სიტყვა ლეგიონის შესახებ მოუცილებია). ეს რომაული ლეგიონი გარნიზონად იდგა იერუსალიმში. რაზმის ემბლემა იყო ტახი, მაგრამ ებრაელი პატრიოტები სიძულვილით უწოდებდნენ მას ღორს — ცრურწმენით ერთ-ერთი ყველაზე უფრო ბინძური პირუტყვის სახელს (ყველაფერი ამ ეპიზოდის შესახებ იხ. არჩიბალდ რობერტსონის წიგნში «Происхождение христианства». М., 1959, გვ. 203).

ნამდვილეში მას ასე ეძახდნენ, მაშინ, როცა თანამოსაგრეებმა არამეული ყაიდის სახელი ბარ-კოჰება[1] შეარქვეს, რაც „ვარსკვლავთა შვილს“ ნიშნავს; რაბინებმა კი მას უწოდეს ბარ-კოზიბა, ანუ კოზბა, ესე იგი „სიყალბის შვილი“, რადგანაც ისინი ისრაელის მესიად არ ცნობდნენ მას.

ერთი ძველი გადმოცემის თანახმად, პალესტინელ ქრისტიანთა ჯგუფები თავდაპირველად რომაელთა წინააღმდეგ პარტიზანულ ბრძოლაში ბენ-კოსებასთან ერთად მოქმედებდნენ, სანამ უარი არ თქვეს ეცნოთ იგი მესიად და ამისთვის სასტიკი დევნა არ განიცადეს თავისი ყოფილი თანამებრძოლების მხრივ. ამ მოვლენის დამადასტურებელ საბუთს შეიცავს ერთ-ერთი ახლად აღმოჩენილი წერილი,[2] სადაც გადაკვრითაა ნათქვამი „გალილეველთა“ შესახებ. მაგრამ ეჭვები არ გაფანტულა, რამდენადაც იმ დროის გალილეას მკვიდრნი მთელი ორი საუკუნე ცხოვრობდნენ განცალკევებულად და დამოუკიდებლად და არ შეეძლოთ მიმხრობოდნენ ქრისტიანული ტიპის რომელიმე ორგანიზაციას. გაბატონებული წრეები მათ ეჭვით ეკიდებოდნენ ნაწილობრივ იმის გამო, რომ გალილეველნი მხოლოდ ახლახან იყვნენ მოქცეულნი იუდაიზმზე, ხოლო ნაწილობრივ კი იმის გამო, რომ მათი უმრავლესობა ღარიბი, დამშეული მიწათმოქმედი იყო.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, ახლა საყოველთაოდ აღიარებულია, რომ ამ გამოქვაბულებში ჩვ. წ. აღ.-ით 132—135 წლების ომში თავშეფარებული იყო ებრაელთა პარტიზანული რაზმი, სანამ რომაელებმა არ მოსპეს იგი. ესენი იყვნენ ძველი სარწმუნოების მიმდევარნი, რომელთაც საერთო არაფერი ჰქონდათ ყუმრანის თემთან. და აქ ადრიანეს მიერ აჯანყების

---

[1] რუსულ ისტორიულ მეცნიერებაში დამკვიდრდა დაწერილობა — ბარ-კობბა. — რ ე დ.

[2] „თუ არ გასწყვეტთ ყოველგვარ ურთიერთობას ყოველ გალილეველთან, მე რომ ვიხსენი, ფეხებზე ხუნდებს დაგადებთ“. ორივე წერილი თარგმნილი და გამოქვეყნებულია კომენტარებით „Revue Biblique“, LX, 1953, გვ. 276—294 და 268—275.

ჩაქრობისა და ასი ათასობით ებრაელის განდევნის შემდეგ სიცოცხლის ყოველგვარი ნიშნები ჰქრება.

1952 წლის ივლისში ვადი-ენ-ნარის ხეობის ერთ-ერთ გამოქვაბულში, ძველ სერდონში, ძველი ბიზანტიური მონასტრის მიდამოებში, სადაც ოდესღაც რომაელთა მიერ დანგრეული გამაგრებული ქალაქის — ჰირკანიის კედლები იყო, ბედუინებმა აღმოაჩინეს ჩვ. წ. აღ.-ით V—X საუკუნეების არამეული, ბერძნული და არაბული ხელნაწერების ფრაგმენტთა დიდი რაოდენობა, ესე იგი გაცილებით უფრო ნაკლებად ძველი, ვიდრე სხვა მანუსკრიპტები. ბელგიის არქეოლოგიური მისია შეუდგა ამ რაიონის შესწავლას, მაგრამ ჯერჯერობით ვერ შეძლო რაიმე არსებითი დაემატებინა პირვანდელი აღმოჩენისათვის, რომელიც უნციალური ასოებით დაწერილი ბერძნული მანუსკრიპტების ნაწყვეტებს მოიცავდა. ისინი შეიცავენ კლასიკურ ტექსტებს (ევრიპიდე), ნაწყვეტებს სიბრძნის წიგნიდან, მარკოზისა და იოვანეს სახარებებსა და „მოციქულთა საქმეს“, ბერძნული კურსივით დაწერილ არაკანონიკური ტექსტების ფრაგმენტებს, ახალი აღთქმის ზოგიერთ ადგილს სირიულ ენაზე (სალაპარაკო არამეული პალესტინის ტერიტორიაზე ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნიდან ბიზანტიურ ეპოქამდე), პაპირუსზე დაწერილ წერილს, აგრეთვე სირიულ ენაზე, და პრიმიტიული ბამბის ქაღალდზე დაწერილ IX—X საუკუნეების რამდენიმე არაბულ დოკუმენტს. უკანასკნელ ხანებში გათხრები განახლდა.

3. ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲬᲔᲠᲐ

დღემდე პრესაში პირველი გამოქვაბულიდან მხოლოდ შვიდი გრაგნილის კრიტიკული გამოცემა და დანარჩენი ვრცელი მასალის უმნიშვნელო ნაწილი გამოჩნდა. თუ საუბარი მკვდარი ზღვის ტექსტებზე მიდგება, უპირატესად ეს დოკუმენტები აქვთ მხედველობაში, თუმცალა, ესენიც საკმარისია იმისთვის, რომ წარმოდგენა ვიქონიოთ ამ აღმოჩენებთან და-

კავშირებულ ისტორიულ, ლინგვისტიკურ და იდეოლოგიურ პრობლემებზე[1].

ოვედაპირველად დოკუმენტთა უტყუარობა ზოგიერთმა კრიტიკოსმა სადავოდ გახადა. მათ ვერ შეძლეს მოულოდნელად გამომჟღავნებული, ჩვ. წ. აღ.-მდე 100 წლით ადრე დაწერილი. ქრისტიანობასთან განსაცვიფრებლად დაახლოებული აღმოჩენილი ძეგლების მსოფლმხედველობის გააზრება[2]. ახლა თითქმის აღარავის ეპარება ეჭვი ყუმრანის ტექსტთა უტყუარობაში. არქეოლოგიის მონაცემები, კერამიკის, მონეტებისა და სხვათა დათარიღებაც კი რომ გვერდზე გადავდოთ, მსოფლიოში მაინც არ გამოჩნდებოდა ისეთი მარჯვე ადამიანი, რომელიც შესძლებდა მსგავსი ტექსტების შეთხზვას, მაშინც კი, სემიტური ენების ყველა სპეციალისტის ცოდნაც რომ ჰქონოდა. ასე რომ, ყველა ამ ეჭვის საფუძველი იყო არა გონივრული მიზეზები, არამედ თითქმის

---

[1] ექვსი გრაგნილის პირველი გამოცემა, რომელიც სუკენიკის მოწაფეებმა და თანამშრომლებმა მოამზადეს (თვითონ სამუშაოს დასრულებამდე გარდაიცვალა), გამოვიდა ებრაულ ენაზე („ოშარ-ჰა-მეჰილოტ ჰა-ჰენუხოტ", იერუსალიმი, 1954), მაგრამ ამის კვალდაკვალ გამოქვეყნდა მისი ინგლისური თარგმანიც (The Dead Sea Scrolls of the Hebrew University", Gerusalem, 1955). მეშვიდე გრაგნილი გამოქვეყნდა მხოლოდ 1956 წელს: N. Avigad, Y. Yadin. A Genesis apocryhon. Gerusalem, 1956. პირველი გამოქვაბულის დანარჩენი ფრაგმენტები თავმოყრილია 1955 წლის ოქსფორდის მონუმენტურ გამოცემაში, რაც სპეციალისტთა მთელმა კოლექტივმა მოამზადა (Discoveries in the Judaean Desert", vol. I; „Qumrân cave I"). 1958 წლის ბოლოს პრესაში უნდა გამოჩენილიყო IV მღვიმისა და მურაბა'ათის გამოქვაბულთა ფრაგმენტები, მათი სრული გამოცემა დიდი ფორმატის ათ ან ცხრამეტ ტომს დაიკავებს.

[2] ყველაზე მეტი ურწმუნოება გ. რ. დრაივერმა გამოამჟღავნა (G. R Driver. The Hebrew scrolls from the Neighbourhood of Jericho and the Dead Sea. London, 1951). დოქტორი სოლომონ ცეიტლინი პირდაპირ თვლიდა მათ შუასაუკუნეობრივ სიყალბედ. კალე ამტკიცებს, რომ ისინი დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-ის III საუკუნეში დამალეს, თუმცა დასაშვებად მიიჩნია, რომ ისინი უფრო ადრეა დაწერილი. (Kahle. Die hebraischen Handschriften aus der Höhle. Stuttgart, 1951). ეს-ი სიტყვით, დავა აღმოჩენების უტყუარობის შესახებ საკმაოდ მალე შეწყდა.

მხოლოდ რელიგიური ხასიათის მოსაზრებანი, რომლებიც როგორც ებრაელთა, ასევე ქრისტიანთა საეკლესიო წრეებში ჩაისახა.

მართლაც, პალესტინის ისტორიაში ადგილი ჰქონდა რამდენიმე დიდ თაღლითობას არქეოლოგიისა და პალეოგრაფიის დარგში[1]. მაგრამ ნახშირბადის რადიოაქტიური იზოტოპების საშუალებით ჩატარებულმა ანალიზმა გვიჩვენა, რომ ყოველ შემთხვევაში სელის ქსოვილები, რომლებშიც გახვეული იყო გრაგნილები, ნამდვილად მოქსოვილია ჩვ. წ. აღ.-მდე I-სა და ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნეებს შორის[2]. ეს ვადები, როგორც უკვე დავინახეთ, დასტურდება დანარჩენი მონაცემებისა და ნაპოვნი მასალების საგრძნობი რაოდენობით.



თემის წესდების ფრაგმენტი ხიარებასთან დაკავშირებული ნადიმის აღწერილობით

მანუსკრიპტთა დამწერლობის შესწავლა გვიჩვენებს, რომ რიგი ხელნაწერებისა კიდევ უფრო ადრეულ პერიოდს უნდა მიეკუთვნოს. ბიბლიური პალეოგრაფიის ერთ-ერთმა ყველაზე უფრო კომპეტენტურმა სპეციალისტმა გარკვევით განაცხადა, რომ ყველა გრაფიკული ნიშნით ყუმრანის არც ერთი გრაგნი-

---

[1] იხ. Charles Clermont-Ganneau. Les fraudes archéologiques en Palestine. Paris, 1885.

[2] ზუსტი თარიღია ჩვ. წ. აღ.-ით 33 წელი, თუმცა ანგარიში უნდა გაეწიოს შესაძლებელ შეცდომას, რომელიც, სპეციალისტთა შეფასებით, დადგენილი დროის „ადრე" ან „გვიან" 40-დან 200-მდე წლის ფარგლებში მერყეობს (იხ. W. F. Libby. Radiocarbon dating. Chicago, 1952).

ლი არ შეიძლება დათარიღდეს ჩვ. წ. აღ.-მდე I საუკუნის შუახანებზე უფრო გვიან[1].

პირველ გამოქვაბულში აღმოჩენილი შვიდი მნიშვნელოვანი გრაგნილიდან ორში რეპროდუქცირებულია უკვე ცნობილი ბიბლიური ტექსტები, დანარჩენი ხუთი ახალ მასალებს შეიცავს. მოკლედ განვიხილოთ ყველა ეს გრაგნილი.

1. წინასწარმეტყველ ესაიას წიგნის სრულმა ტექსტმა მიიღო სახელწოდება — „ესაიას გრაგნილი წმ. მარკოზისა", მონასტრის სახელის მიხედვით, რომლის წინამძღვარმა პირველმა იყიდა ხელნაწერი. გრაგნილი სიგრძით 7 მეტრისაა, სიგანით 30 სანტიმეტრი და შეიცავს 54 სვეტს ეგრეთ წოდებული კვადრატული ებრაული დამწერლობისას, რომელმაც ჩვ. წ. აღ.-მდე V საუკუნიდან თანდათანობით შეავიწროვა ძველი ფინიკიური ალფაბეტი. გამოქვაბულის ხელსაყრელმა კლიმატურმა პირობებმა ხელი შეუწყვეს მანუსკრიპტის ტყავის საკმაოდ კარგად დაცვას, თუმცა იგი 19 საუკუნე იდო ერთ ადგილზე. ეს უეჭველად ყველაზე ძველია სრული გრაგნილებიდან. მის ტექსტში უაღრესად საინტერესო გადახვევაა ებრაული ბიბლიის თანამედროვე შინაარსიდან.

2. ესაიას არასრული მანუსკრიპტი ცნობილია აგრეთვე როგორც „ესაიას გრაგნილი ებრაული უნივერსიტეტისა", რამდენადაც იგი თავდაპირველად პროფ. სუკენიკმა იყიდა. შესაძლებელია, როცა მას მალავდნენ გამოქვაბულში, იგი უკვე ცუდ მდგომარეობაში იყო. ტყავი ძლიერ დაზიანებულა. იგი მრავალრიცხოვან ხარვეზებთან ერთად შეიცავს წინასწარმეტყველ ესაიასადმი მიწერილი წიგნების იმ ნაწილს, რომელსაც თანამედროვე კრიტიკა თვლის სულ სხვა ავტორის ნაწარმოებად: ეს ეგრეთ წოდებული „დეიტერო-ესაია", ანე „მეორე ესაიაა", თავი 40—56; მანუსკრიპტის 36—39-ე თავები მთლიანად შედიან ბიბლიის სხვა ნაწილში, მეფეთა წიგნში. ეს ტექსტი უფრო ახლოა ესაიას სრულ ხელნაწერთან ებრაულ ენაზე, ვიდრე თანამედროვე ბიბლიასთან.

3. ჰაბაკუკუს კომენტარებს ებრაული ტერმინოლოგიით ეწოდა აგრეთვე „მიდრაში აბაკუმის წიგნისა". ასე

[1] იხ. S. A. Birnbaum. Vetus Testamentum. 1951, გვ. 91—100.

დაიწყეს იმ ეპოქაში რაბინთა ლიტერატურაში საღვთო ტექსტების „ახსნისა“ და „განმარტების“ აღნიშვნა, რაც შემდგომში ქრისტიანი თეოლოგების მუდმივ საქმიანობად გადაიქცა. გრაგნილის სიგრძე მეტრნახევარია, სიგანე — 15 სანტიმეტრი. აკლია დასაწყისი, ტექსტი დაზიანებულია ტყავზე ნაჩვრეტების გამო.

წერილი, რომელსაც კომენტარები ეკუთვნის, შედის მცირე ბიბლიურ წინასწარმეტყველთა წიგნების რიცხვში, განეკუთვნება მაკედონელის დაპყრობათა ეპოქას და აშკარად გადაკვრით ლაპარაკობს ალექსანდრეს ლაშქრობებზე. „ახსნები“ კი მათ უფრო გვიანდელ მოვლენებს მიაკუთვნებენ — ალექსანდრეს სირიელი მემკვიდრეების ანტიოქე IV ეპიფანესა (ჩვ. წ. აღ.-მდე 175—164 წლები) და დემეტრეV სოტერეს (162—150) დროინდელ იუდეას ძალდატანებითი ელინიზაციის, ებრაელთა სახელმწიფოს აღდგენისა და პომპეუსის დროის რომაელთა პირველი შემოსევების პერიოდს. ამ კომენტარების ორ ძირითად თემას წარმოადგენს, ჯერ ერთი, დევნა „სამართლიანობის მასწავლებლად“ წოდებულ რომელიღაც განსაკუთრებული პიროვნებისა, რელიგიური ბელადისა, ერთი „მატყუარა“ ან „გაქირდულ უსამართლო კაცად“ წოდებული ბიწიერი ქურუმის მხრივ, და მეორე, გარდაუვალი სასჯელის წინასწარმეტყველება, დაკავშირებული ძლიერი უცხოური ჯარის მოსვლასთან, — ეს ის საიდუმლო „კოდიმია“, რომელიც ბიბლიის ენაზე, როგორც ჩანს, უცხოელებს აღნიშნავს, რომლებიც პალესტინაში ზღვის იქიდან, კვიპროსიდან ჩამოსულან არა მშვიდობიანი განზრახვით.

ყველა დანარჩენი გრაგნილისა და ფრაგმენტის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ლაპარაკი უეჭველად რომაელებს ეხება.

ზუსტად ეს თემა შეორდება და ვითარდება ყუმრანის გამოქვაბულში აღმოჩენილ ორიგინალური შინაარსის სამ სხვა მანუსკრიპტში.

4. თ ე მ ი ს წ ე ს დ ე ბ ა. ეს სახელწოდება ამასწინათ წამოაყენეს ნაკლებად შესაფერი თავდაპირველი სახელწოდების „დისციპლინარული დარიგების“ ნაცვლად. ჩვენამდე მან ორ ნაწილად მოაღწია; გრაგნილებთან ერთად სიგრძით თითქმის

2 მეტრს, ხოლო სიგანით 25 სანტიმეტრს შეადგენს. ტყავი ბარისხით უფრო ცუდია, ვიდრე სხვა მანუსკრიპტებისა, თუმცა ნაკლებადაა დაზიანებული. მასზე დაწერილია არც თუ ძლიერ გარკვეული ტექსტი მრავალრიცხოვანი შეცდომებითა და გადახვევებით, რაც კითხვას აძნელებს. დასაწყისი აკლია. უფრო გვიან იმავე გამოქვაბულის სხვა ნაწილში ტყავის ნაჭერი იპოვეს ხელნაწერის ორი არასრული სვეტით, რომელიც თავდაპირველად გრაგნილის გაგრძელებას წარმოადგენდა (ეს ფრაგმენტი ამჟამად პალესტინის მუზეუმშია). IV გამოქვაბულში ნახეს ამ დოკუმენტის დაახლოებით ცხრა ასლის ნაწყვეტები შედარებით გულმოდგინედ დაწერილი ტექსტით. ეს ამტკიცებს, რომ საქმე გვაქვს საკმაოდ მრავალრიცხოვანი თემის ცხოვრების წესებთან, თემისა, რომლის თითოეული წევრი საშიშოების მომენტში ცდილობდა დაემალა თავისი პირი იმ იმედით, რომ მიაგნებდა მას რომაელებზე გამარჯვების შემდეგ.

კრიტიკოსებმა ძლიერ სწრაფად შეამჩნიეს, რომ ამ მანუსკრიპტის ბევრი ადგილი ემთხვეოდა 1896—97 წლის ზამთარში ქაიროს ებრაული თემის ერთ „გენიზში" — სამალავში აღმოჩენილ ტექსტებს; ისინი პირველად 1910 წელს გამოქვეყნდა სახელწოდებით „დამასკოს დოკუმენტები" — სირიის ძველი დედაქალაქის სახელის მიხედვით, რომელიც მოხსენიებულია დოკუმენტში[1]. ამ წერილში ლაპარაკია პატივცემულ კანონმდებელზე, რომელსაც ხან „სამართლიანობის მასწავლებელს", ხან კი „ერთადერთ სჯულმდებელს" ეძახიან. ჩვეულებრივ ამ ტექსტს მიაწერდნენ სარწმუნოების თავგამოდებულ დამცველ ებრაულ თემს; ისინი ცხოვრობდნენ ჩვენი წელთაღრიცხვით პირველ საუკუნეში დამასკოს მიდამოებში (ამასთან ერთად გამორიცხული არ იყო, რომ ქალაქის სახელ-

[1] ახალი გამოცემა თარგმანითურთ, შენიშვნებითა და მკვდარი ზღვის ტექსტებთან შეპირისპირებით გამოვიდა ჰაიმ რებინის რედაქციით (Chaim Rabin. The Zadokite Documents. I The Admonition; II The Laws. Oxford University Press, 1958). სახელწოდება „სადოკის დოკუმენტები" გამომდინარეობს დამასკოს თემის ცხოვრებაში ეგრეთ წოდებული სადოკის შვილების განსაკუთრებული როლიდან; სადოკი იყო ლეგენდარული პერსონაჟი, რომლის სახელი ნამდვილ ქურუმს ნიშნავს ბიბლიაში. ეს ტერმინი გვხვდება ყუმრანის მანუსკრიპტებშიც.

წოდება შეიძლებოდა წმინდა სიმბოლურიც ყოფილიყო და საერთოდ განდევნის ადგილს აღნიშნავდა). მათ პრაქტიკაში ჰქონდათ ქრისტიანული ტიპის ზოგიერთი წესჩვეულება, მათ შორის — მონათვლა და საღვთო ტაბლა. მსგავსი ებრაული სექტების ნაკვალევი გვხვდება მესოპოტამიაში მთელი შუა საუკუნეების განმავლობაში და დღემდეა შენარჩუნებული სამხრეთ ერაყში მანდეელთა საინტერესო ტომში, რომელიც არამეული ენის დიალექტზე ლაპარაკობს და აქვს მონათვლისა და ზიარების ტიპის ნადიმების წესჩვეულებანი[1].

მაგრამ როგორადაც არ უნდა ყოფილიყო, ზუსტად იმავე ტექსტის ფრაგმენტები გამოვლენილია ყუმრანის მიდამოების სხვა გამოქვაბულებშიც. აღმოჩნდა, რომ მსგავს მოძრაობათა სათავეები გაცილებით უფრო ძველი იყო, ვიდრე ადრე ვარაუდობდნენ, და რომ მის ორ განშტოებას შორის მჭიდრო ნათესაობა არსებობდა. დამასკოსა და ჩვენი „წესდების" ტექსტები უკიდურესი რელიგიური შეუწყნარებლობის შთაბეჭდილებას ტოვებენ. თემის მთელი ცხოვრება წვრილმანებამდეა რეგლამენტირებული; მოყვანილია ლოცვები, რომლებიც თან სდევენ ყოველნაირ წესჩვეულებას, კურთხევით დაწყებული და მონათვლის დროს განბანვით დამთავრებული, პურითა და ღვინით ზიარებიდან დაწყებული და ცოდვილთა აღსარებით დამთავრებული. ყველა წესჩვეულება მუდმივად სრულდება განსვენებული მასწავლებლის ხსოვნისადმი თაყვანისცემისა და მესიის სახით აარონისა და ისრაელის მოსვლის მოლოდინის ატმოსფეროში — „ორი გზის" — ხსნისა და დაღუპვის ნიშნით[2].

5. ტ რ ა ქ ტ ა ტ ი ო მ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ. „დუალისტური" შეხედულებანი, თითქმის ყველა ადრეულ ქრისტიანულ თემს რომ სჩვეოდა და მრავალი შუასაუკუნოებრივი „ერესის" წყაროს

---

[1] E. S. D r o w e r. Scenes and Sacraments in a Mandaean Sanctuary. „Numen". III, 1, 1956, გვ. 72—76

[2] „წესდების გულმოდგინე ინგლისური აწყარედი თარგმანი კომენტარებითა და კრიტიკული ნარკვევით გამოვიდა რ. ვერნბერგ-მელერის რედაქციით (P. W e r n b e r g-M ö l l e r. The Manual of Discipline. Leiden, 1957).

რომ წარმოადგენდა, დამახასიათებელია ყველაზე ცნობილი მ ე-ხ უ.თ ე გრაგნილის ტექსტისათვის, რომელმაც ყველაზე მეტი კამათი გამოიწვია. თავდაპირველად მას ასეთი სახელწოდება მისცეს: „სინათლის შვილთა ომი ბნელეთის შვილებთან". ამ გრაგნილის სიგრძე 2 მეტრი და 70 სანტიმეტრია, სიგანე—15 სანტიმეტრი. უხეში ტილო, რომელშიც იგი გაუხვევიათ, კარგადაა შენახული. მანუსკრიპტში 19 სვეტია, რომელთა ქვედა ნაწილი გაფუჭებულია. იგივე შინაარსის ნაწყვეტები ნაპოვნია IV გამოქვაბულში, რაც ამ ტექსტის პოპულარობასაც მოწმობს. მასში ბიბლიის სიტყვებითა და სახეებითაა აღწერილი წარმოსახვითი ომი სიკეთისა ბოროტების წინააღმდეგ, რომლის მსვლელობაში თემი საწუთროს დასასრულის მოლოდინში მუდმივ მზადყოფნაში უნდა ყოფილიყო. მისი უმაღლესი ნიშანი იქნება ბრძოლა აშურისა კიტიმთა წინააღმდეგ. პატრიოტთა პირობით ენაზე, რომლებიც მუდმივი მზადყოფნისაკენ ისწრაფვოდნენ, რათა უკუეგდოთ ხელისუფალთა ყოველგვარი მოულოდნელი თავდასხმა, „აშური" ჯერ კიდევ ასურეთ-ბაბილონის პირველი შემოსევის დროიდან განყენებული ბიბლიური აზრით აღნიშნავდა რჩეული ხალხის ყოველგვარ მტერს, ხოლო „კიტიმი", მათი ნიშნებითა და არწივებით, რომლებიც რელიგიური კულტის საგანი იყო, აღნიშნავდა რომის ლეგიონებს. ტექსტი, რა თქმა უნდა, ფანტასტიკურია, მაგრამ რამდენადაც მონაგონის შეთხზვისათვის ადამიანები ყოველთვის უნდა ეყრდნობოდნენ თავიანთ ნამდვილ გამოცდილებას, ის ძლიერ გვეხმარება გავაღრმავოთ ჩვენი ცოდნა ჯარის გაშლისა და სამხედრო ტექნიკის ხელოვნების შესახებ გვიანდელი ელინიზმის ეპოქაში.[1]

ნ. ლ ი ტ ურ გ ი უ ლ ი ჰ ი მ ნ ე ბ ი. შეძენის მომენტში ეს გრაგნილი ოთხ ნაწილად გაიყო, რომელთაგან სამი მჭიდროდ იყო დაწყობილი ერთიმეორეზე, ხოლო მეოთხე ისე იყო დაგრეხილი, რომ მისი გასწორება შეუძლებელი აღმოჩნდა. ყო-

[1] იხ. J. G. F e v r i e r. La tactique hellenistique dans un texte de „Ayin Fashkha", „Semitica", 1950, III, გვ. 53 და შემდ. ვისაც სურვილი აქვს ტექსტის კომენტარებს გაეცნოს, მივუთითებთ დეტალურ შრომაზე: J e a n C a r m i g n a c. La régle de la Guerre des fils de la lumière contre les fils des ténébres. Paris, 1958.

ველი ნაჭერის სიგრძე საშუალოდ 35 სანტიმეტრია. გრაგნილი ბიბლიურ ფსალმუნთა მსგავს სახოტბო და სამადლობელი ჰიმნების ფორმის 32 პოეტურ ნაწარმოებს შეიცავს. მათი ჩვეულებრივი თემა ტანჯვა-წამებაა, რომლისთვისაც განწირულია „წმინდანი" თავისი სარწმუნოების გამო. პოემები თვით „წმინდანის" პირითაა დაწერილი, რომელშიაც შეიძლება შევამჩნიოთ თემის დამფუძნებლის, ჩვენთვის უკვე ცნობილი მასწავლებლის სახე. ტექსტი ცუდადაა შენახული, მაგრამ ადვილი გასაშიფრია[1].

7. ა პ ო კ რ ი ფ უ ლ ი შ ე ს ა ქ მ ე. არამეულ ენაზე შესრულებული ეს გრაგნილი ძალზე არახელსაყრელ პირობებში აღმოჩნდა, განსაკუთრებით დაზიანდა იგი სინესტისაგან. იგი დიდი ჯაფის ფასად აღმოაჩინა მეცნიერმა ჯეიმს ბიბერკრაუტმა 1955 წელს. მან მოახერხა სამი სრული სვეტისა და დანარჩენი ტექსტის საკმაოდ სრული ნაწყვეტების გადარჩენა. ეს არ იყო დაკარგული აპოკალიფსი, რომელიც მიეწერებოდა ლამეხს, როგორც თავდაპირველად გადაწყვიტეს მკვლევარებმა; ისინი შეცდომაში შეიყვანა სახელმა, რომელიც ტექსტის ზოგიერთ ნაწყვეტში ხვდებოდათ და რომელთაც ისინი გაეცვნენ დასაწყისშივე. გრაგნილი შეიცავს ბიბლიის პირველი წიგნის შემოკლებულ, ხალხურ გადმოცემას, რომელიც შედგენილია ჩვენს წელთაღრიცხვამდე უკანასკნელ საუკუნეში იუდეველთა თემის სულისკვეთებით (მათში ბევრი რამაა საერთო უკვე აღნიშნულ აპოკრიფებთან, ისეთებთან, როგორიცაა იუბილეთა წიგნი და წიგნი ენუქისა). მეტად არსებითია ის, რომ ტექსტი დაწერილია არამეულ დიალექტზე. პირველად ვხვდებით ჩვენ ტექსტს პალესტინაში გავრცელებულ ენაზე ქრისტიანობის ჩასახვის პერიოდში. ახალი აღთქმის ბერძნულ თარგმანში, პირველ რიგში კი მათეს სახარებაში ხშირად გამოსჩვივის დაკარგული არამეული დედნის სპეციფიკა. ამ ტექსტების შესწავლა ახლა მნიშვნელოვნად გაადვილდება.

---

[1] A. Dupont-Sommer. Les livres des Humnes découverts prés de la Mer Morte. Paris. „Semitica", 1957, VII. და Elio Piattelli. Gli Inni di ringraziamento. Firenze, 1958.

წარმოდგენა რომ ვიქონიოთ ბიბლიური წერილების გრაგნილთა ღირებულებაზე, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ისინი არანაკლებ 900 წლით ძველია ამჟამად ცნობილ ყველაზე ძველი აღთქმის ებრაულ ხელნაწერზე Codex Petropolitanus (ჩვ. წ. აღ.-ით 916 წ.), რომელიც ლენინგრადში ინახება. იმისათვის, რომ ეს შედარებით ადრინდელი ტექსტი წაეკითხათ, მიმართავდნენ ჩვ. წ. აღ.-ით IV — V საუკუნეების ბერძნულ, სირიულ და ლათინურ თარგმანებს ან ზოგიერთ ებრაულ პაპირუსს, რომლებიც წერილის მხოლოდ მოკლე ნაწყვეტებს შეიცავდნენ.

ნამდვილად კი სწორედ ძველი ტექსტია „ტრადიციული" (მასორეთული, სიტყვიდან „მ ა ს ო რ ა", რაც „ტრადიციას" ნიშნავს). მას არაჩვეულებრივი გულმოდგინებით გადასცემდნენ რაბინთა სკოლის თეოლოგები, რომელთაც სულ მალე ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისიდან თავი გადადეს ამ საქმისათვის და რომელთაც მასორეთები შეარქვეს. ამჟამად გამოვლენილი ტექსტები გამოირჩევიან თავიანთი კვადრატული დაწერილობით, რომელმაც ჩვ. წ. აღ.-მდე VI—V საუკუნეებში ფინიკიური დამწერლობა შესცვალა და რომლისგანაც განვითარდა გარეთვე ბერძნული და ლათინური ალფაბეტი. ტექსტებისათვის დამეხასიათებელია ეგრეთ წოდებული სრული დაწერილობა, რადგან იმ დროისათვის ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული ხმოვნების — წერტილებით, ხოლო თანხმოვნების ქვეშ და თავზე პირობითი ნიშნებით აღნიშვნის სისტემა.

ტექსტების შედარებითი შესწავლა მოწმობს ეგრეთ წოდებული „საღვთო წერილის" დამუშავებისა და გადასინჯვის ხანგრძლივ პროცესს; იგი ხელიდან ხელში გადადიოდა, გადამწერიდან გადამწერამდე მოძრაობდა. ასეთივე პროცესი, თუმცა ჩვენ თითქმის არ შეგვიძლია ტექსტუალურად მივყვეთ მას, განიცადა ახალმა აღთქმამ.

ახალი მანუსკრიპტების ვარიანტთა შესწავლა და მათი შედარება ბიბლიის ტრადიციულ ტექსტებთან ეს-ესაა დაიწყო. ამასთან, საკმარისია დაწერილობის შეუმჩნეველი შეცვლა, რომ ძირეულად შეიცვალოს სიტყვის ან წინადადების აზრი. ჩვენ დავკმაყოფილდებით მხოლოდ ორი მაგალითით, რათა

ცხადვყოთ, როგორ ჩნდება ამის შედეგად თეოლოგიური არევ-
დარევა და როგორ ვლინდებიან აშკარა სოციალური ტენდენ-
ციები.

მეორე სჯულისას ნაპოვნ ნუსხაში (თავი 32-ე, მუხლი 43-ე) მოცემულია მოწოდება „ყველა ღვთაებისადმი" თაყვანი სცენ ისრაელის ღმერთს, მაშინ, როცა ბერძენმა მთარგმნელებმა, მკაცრი ერთღმერთობის დაცვაზე რომ ზრუნავდნენ, დაწერეს „ღვთის ყველა ანგელოზისადმი"; მასორეთულ ტექსტში კი სულ გამოტოვებულია ეს წინადადება. სოციალური თვალსაზრისით ტექსტის ყალბად განმარტების მაგალითად გამოდგება ერთი საინტერესო ვარიანტი წინასწარმეტყველ აბაკუმის წიგნიდან (თავი V, მუხლი მე-5). არასოდეს ყოფილა საკმაოდ ნათელი, რას აღნიშნავს ებრაულ ტრადიციულ ტექსტში: „ქედმაღალი ადამიანი მაჭარივით არ მშვიდდება". ამის ახსნას იძლევა ახალი მონაპოვარი. თურმე საჭიროა წავიკითხოთ არა „მაჭარი", არამედ „მდიდარი"! საკმარისი იყო თავის დროზე შეეცვალათ სიტყვით „hyyn" — „ღვინო" სიტყვა „hwn" — „სიმდიდრე", რომ ღვთისმოსავ მესაკუთრეებს გადაერჩინათ თავი ძველი ბიბლიური წინასწარმეტყველის მკაცრი გაკიცხვისაგან.

საეჭვოა, რომ მსგავსი აღმოჩენები მოსწონებოდა ბევრ მდიდარ ბატონს, რომლებიც გათხრებს აფინანსებდნენ იუდეველთა უდაბნოში. სხვა მსგავს აღმოჩენებსაც უნდა მოველოდეთ!

ახალი აღთქმის თემი

ლიტერატურა იუდეველთა უდაბნოს მანუსკრიპტების შესახებ თვიდან თვემდე მართლაც რომ თავბრუდამხვევი ტემპებით იზრდება.

რელიგიის ისტორიის შემსწავლელი სპეციალური ბიბლიოთეკები უკვე იძულებულნი არიან გააფართოონ თავიანთი საცავები და მალე, ალბათ, ახალ განყოფილებებს გახსნიან აღმოჩენებისადმი მიძღვნილი ასობით ახალი გამოკვლევისათვის. 1955 წლის შუა რიცხვებში სტრასბურგში სპეციალისტთა ყრილობა მიმდინარეობდა, სადაც ახალ ტექსტებთან დაკავშირებით წამოჭრილ პრობლემებს იხილავდნენ.[1] 1958 წლის ივლისიდან საფრანგეთში მთლიანად ამ ტექსტებისადმი მიძღვნილი ახალი ჟურნალი გამოდის.[2]

---

[1] ამ ყრილობისადმი მიძღვნილი დოკუმენტები გამოქვეყნებულია მხოლოდ 1957 წელს პარიზში. (Les manuscrits de la Mer Morte, Colloques de la Mer Morte, Colloques de Strasbourg (25—27 mai 1955).

[2] „Revue de Qumrân", უშვებს „Editions Letouzey et Ané" პარიზში. ამ ჟურნალის გამოცემები, თითოეული 160 გვერდის მოცულობით ჯერჯერობით არარეგულარულად გამოდის. სტატიები იბეჭდება ფრანგულ, ინგლისურ, გერმანულ, იტალიურ, ესპანურ და ლათინურ ენებზე.

მართალია, მთელი აღმოჩენილი მასალიდან ჯერჯერობით მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია გამოქვეყნებული, მაგრამ უკვე გამოცემული გრაგნილებისა და ფრაგმენტების ღირებულება არაჩვეულებრივად დიდია. ჩვენ ხომ საქმე გვაქვს ძველი ხანის ლიტერატურული დოკუმენტების უდიდეს აღმოჩენასთან იმ დროიდან, როცა სიცოცხლე დაუბრუნეს ბევრი ბერძენი და ლათინი კლასიკოსის ზოგჯერ არასრულ და დაზიანებულ ხელნაწერებს.[1]

ამ აღმოჩენათა შესახებ გამოქვეყნებული წიგნებიდან უპირველეს ყოვლისა რეკომენდაცია უნდა გაეწიოს ვილსონის შრომას, რომელშიც საინტერესოდაა მოთხრობილი იმ შემთხვევებზე, რაც თან ახლდა ხელნაწერთა აღმოჩენას, მათს შესყიდვასა და გამოცემას. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ამ წიგნის ავტორს ხელი არ ეხლო არც ებრაელთა და არც ქრისტიანობის ისტორიისათვის. იგი იყო ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ლიტერატურული კრიტიკოსი. ერთ მშვენიერ დღეს მან მიაგდო თავისი საყვარელი ინგლისური ტექსტები და შეუდგა სემიტური ენების შესწავლას, შემდეგ კი ახალი აღმოჩენების შთაბეჭდილებათა ქვეშ წარმართთა თავისი განსაკუთრებული კვლევითი ნიჭი ძველი მსოფლიოს ცხოვრების ამ მოულოდნელი თავის შესწავლისაკენ. მისი ცოცხალი და მკვეთრი მანერით დაწერილი წიგნის ექვსივე ნარკვევი პირველად საკმაოდ გავრცელებულ ჟურნალ „New Yorker"-ში გამოჩნდა. ამ ნარკვევებმა საესე-

---

[1] ჰერკულანუმში პირველი გათხრების დროს (1752 წელს) ნაპოვნ ფილოდემის ბიბლიოთეკის პაპირუსის გრაგნილებისა და გასანთლულ ხის ტაბულების შესახებ, რომლებზედაც პომპეიში ბანკირ ლუციუს ცეციილიუს იუკუნდას მონები ქვითრებსა და სალაროს ანგარიშებს წერდნენ (ნაპოვნია 1871 წელს), იხ. საინტერესო წიგნი: Egon Corti, Ercolano e Pompei, morte e rinascita di due città. Torino, Einaudi. 1957. ეს ჩანაწერები მაინც და მაინც ძვირფასნი აღმოჩნდნენ, მათ ამოკითხვას კი დიდი შრომა დასჭირდა (იხ. Amedeo Maiuri. Pompei ed Ercolano tra case e abitanti. Milano, 1959).

ბით. დააკმაყოფილა მკითხველი, რომელმაც პირველად გაიგო ისეთი მოვლენების შესახებ, როგორიცაა ისრაელის სახელმწიფოსა და იორდანიის საზღვრებს შორის მდებარე „არავისი მიწის“ აოხრება 1947 წლის ომით, პირველი ბუნდოვანი ხმები აღმოჩენათა შესახებ, იმის შესახებ, თუ როგორ ეწეოდნენ სპეკულაციას ხელნაწერებით ბედუინები, ბერები და ანტიკვარნი, ამ საქმეში ხელისუფალთა და მეცნიერ-აღმოსავლეთმცოდნეთა ჩარევის, რამდენიმე მანუსკრიპტის ამერიკაში ფარულად გაზიდვის და, ბოლოს, იმ განსაცვიფრებელი ინტრიგების შესახებ, რომელთა წყალობით ისრაელის გენერალმა იპაელიუ იადინმა — თავისთავში საინტერესოდ რომ შეახამა ერუდიტისა და სამხედრო პირის რეპუტაცია — მოახერხა გრაგნილები პალესტინაში დაებრუნებინა[1]. იადინმა ისრაელსა და ეგვიპტეს შორის უკანასკნელი კონფლიქტის დამთავრებისას მიატოვა სამხედრო სამსახური და დაუბრუნდა თავის გამოკვლევებს. იგი ერთ-ერთი გამოჩენილი სპეციალისტი პალეოგრაფიის პროფესორ სუკენიკის შვილია. გარკვეული ზომით ერთიც და მეორეც ვილსონის წიგნის პერსონაჟები აღმოჩნდნენ. ვილსონი მიუდგომლად და ბრწყინვალედ მოგვითხრობს, თუ როგორ გაინასკვა კვანძი ამ მანუსკრიპტების ისტორიისა, რომელსაც ასე ხშირად ართულებდნენ ოფიციალური კულტურის მშიშარა წარმომადგენელნი, რომლებიც იდგნენ აღმოჩენილი დოკუმენტების ქრისტიანობასთან ურთიერთობისა და ებრაელთა სჯულისმიმდევარი რელიგიური მოძრაობისა და ქრისტიანული სარწმუნოებისადმი მიწერილი დოქტრინების ფაქტიური იდენტურობის პრობლემის წინაშე.

გადმოცემის მარტივი და გასაგები ფორმის წყალობით ვილსონის წიგნი ხელმისაწვდომია ამ საქმეში ჩაუხედავი ადამიანებისთვისაც. რაც შეეხება მკვდარი ზღვის მანუსკრიპტთა ამომწურავ და დოკუმენტირებულ გამოკვლევას, საჭირო იქ-

---

[1] ამ თავგადასავლის საინტერესო დეტალებს შეიცავს თვით იადინის ნარკვევი (Y. Yadin. The Message of the Scrolls. New York 1957).

ნება მივმართოთ მილარ ბაროუზის კლასიკურ ნაშრომს, რომელიც 1956 წელს გამოვიდა ამერიკაში.

აღმოჩენილი ხელნაწერების შესახებ სხვა მრავალ წიგნთა შორის ეს ერთ-ერთი, ყველაზე უფრო ყურადსაღები შრომაა. მასში ჩვენ ვიპოვით აღმოჩენათა თანამიმდევრულ კრიტიკულ აღწერასაც, მონაცემებს მანუსკრიპტების ხანისა და უტყუარობის შესახებ და მათთან დაკავშირებული არქეოლოგიური, პალეოგრაფიული, ლინგვისტიკური და ისტორიული პრობლემების გადმოცემასაც. ავტორი იელის უნივერსიტეტის ბიბლიური ლიტერატურის პროფესორია. და როგორც „აღმოსავლეთმცოდნეობის ამერიკული სკოლის" დირექტორი, 1947—1948 წლების აღმოჩენების დროს იერუსალიმში პირველად ნაპოვნი მასალების მოწმე გახდა. მან ერთ-ერთმა პირველმა ირწმუნა მანუსკრიპტთა უტყუარობა, მათი განსაკუთრებული ღირებულება და ისწრაფვოდა რაც შეიძლება სწრაფად მიეწოდებინა ინფორმაცია ამის შესახებ პრესისათვის, ძლევდა რა საეკლესიო წრეების შიშსა და ეჭვებს. ავტორმა თავის წიგნში შეიტანა ფართო ანთოლოგია ძირითადი ტექსტებისა, რომლებიც თარგმნილ იქნა ებრაული დედნიდან ინგლისურ და აგრეთვე იტალიურ ენებზე.

განსაკუთრებით საინტერესოა „თემის წესდებიდან" მონათვლასთან, ზიარებასთან და აღსარებასთან დაკავშირებული წესჩვეულებების აღწერის ნაწყვეტების შერჩევა, რომელთაც პრაქტიკულად იყენებდნენ პალესტინის ამ ნაწილში ქრისტიანული სარწმუნოების შემოღებამდე დიდი ხნით ადრე; საინტერესოა აგრეთვე ტექსტების შერჩევა გრაგნილიდან, ხელნაწერისა „სინათლის შვილთა ბნელეთის შვილებთან" შეჯახების შესახებ (როგორც ნათქვამია მანუსკრიპტის ფსევდომისტიკურ ენაზე), რომელმაც ასე ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. ბაროუზის წიგნის ყველაზე უფრო ძვირფასი ნაწილია ზუსტად ის, სადაც ავტორი გულმოდგინედ იკვლევს, რომელი ისტორიული პირები გამოდიან ამ მანუსკრიპტში ქარაგმული და საიდუმლო საფარველით. მხოლოდ ასეთი გამოკვლევა დაგვეხმარება ბნელი და ბუნდოვანი ფრაზეოლოგიის მიღმა აღმოვაჩინოთ ნამდვილი კონკრეტული ადამიანები მათივე ტანჯვი-

თა და იმედებით, ადამიანები ეკონომიური, სოციალური, პოლიტიკური და რელიგიური ურთიერთობის გამწვავების ეპოქისა, რომელიც თან სდევდა რომაელთა ბატონობის დამყარებას აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში, როცა მონათმფლობელური წყობილება განვითარების უმაღლეს დონეზე ავიდა.

ქვეყანა, რომლის გარდაქმნა სურდათ მკვდარი ზღვის ნაპირებზე გაქცეულ ებრაელ წინასწარმეტყველთ, რეალური იყო; მიწაზე ისინი ჯერ კიდევ ხედავდნენ ტანჯვისა და უსამართლობისაგან ხსნის შესაძლებლობას. მაგრამ როცა დაიმსხვრა მათი უკანასკნელი, თუნდაც ეპოქის პირობების გამო წინააღმდეგობრივი იმედები, ისინი სინამდვილისაგან „ჩამოშორების" გზას დაადგნენ, რაც ყოველგვარი რელიგიური იდეოლოგიისათვის არის დამახასიათებელი. ქრისტიანობამ შემდეგში გააღრმავა იგი; ამიერიდან აღარ იყო სხვა გამოსავალი, გარდა იმ ქვეყანაში, სხვა სამყაროში გაქცევისა; ასე ალაპარაკდებიან ქრისტიანი იდეოლოგები იერუსალიმის დაცემის შემდეგ, როცა ასეული საღვთო წიგნი მიტოვებულ იქნა იუდეველთა უდაბნოს გამოქვაბულებში.

1. იდეა „ალაშირისა"

გადავდოთ გვერდზე ლინგვისტიკური და ლიტერატურული ხასიათის ყოველგვარი მოსაზრება და დავსვათ კითხვა იმ თემის ხასიათის შესახებ, რომელსაც ეს მანუსკრიპტები ეკუთვნოდა.

უწინარეს ყოვლისა ხელნაწერი ტექსტები დამოუკიდებელი რელიგიური მოძრაობის შეხედულებებს ასახავენ, მოძრაობისა, რომელიც განსხვავებულია ოფიციალური იუდაიზმისაგან და ხშირად უპირისპირდება მას, მსგავსად იმისა, როგორც ეს ქრისტიანობაში იყო, როცა მან ლეგენდების ბურუსისაგან დაიწყო განთავისუფლება. თვით სახელწოდება „ახალი კავშირი", რომელიც დოკუმენტებში გვხვდება, ადასტურებს ძველი აღთქმის ძირითადი იდეის გადასინჯვას ღმერთსა და ისრაელის ხალხს შორის დადებული განსაკუთრებული კავში-

რის[1] შესახებ. მას სცვლის ახალი ხელშეკრულება, რომელიც გარანტირებულია ვიღაც ისტორიული პირის მიერ, რომელიც ჩვ. წ. აღ.-მდე დაახლოებით 100 წლით ადრე ცხოვრობდა და გააფთრებულ პოლემიკას ეწეოდა იმ მმართველი წრეების რელიგიურ შეხედულებებთან, რომლებიც სჯულის გარეგნულ დაცვაზე ზრუნავდნენ.

ამ „ახალ კავშირს", რომლის უკვდავყოფისაკენ ისწრაფვიან თემის წევრები მათი მასწავლებლის სიკვდილის შემდეგ, ეკედლება ყველა მსურველი, რომელნიც ამ ნაბიჯს დგამენ საკუთარი სურვილით და არა მხოლოდ სისხლით ნათესაობის გამო. ამასთან ერთად დაწესდა გარჯითა და ლოცვით აღსავსე ცხოვრება, რომელიც გულმოდგინედ იყო რეგლამენტირებული ღვთის რისხვის მოსვლის შიშისა და დარწმუნების შედეგად: „ამაოა სურვილი მოკვდავ ადამიანებზე ამაღლებისა შურისგების დღის დადგომამდე"; „საჭიროა ცოდვილთაგან განშორება და მათზე ღვთიური სამართლის გარდმოვლენის მოლოდინი" („წესდება", X, 17—20).

ამ ქვეყნისაგან განშორებული, „რისხვის დღისათვის" მზადებით გატაცებული „ახალი კავშირის" წევრები განიცდიდნენ ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმის საჭიროებას, რომელიც განჭვრეტდა ქვეყნის დასასრულის შემდგომ მათთვის და მათი ოჯახებისთვის გამზადებულ თავისუფალ და ბედნიერ ცხოვრებას. ეს, რასაკვირველია, რელიგიური ილუზია, სინამდვილისაგან სრული განრიდება იყო, ისევე როგორც უძველეს ქრისტიანულ თემებში.

„ახალი კავშირის" ორგანიზაცია შერეული იყო; მასში შედიოდნენ მამაკაცები და ქალები, თუმცა ეს უკანასკნელნი მეორეხარისხოვან როლს ასრულებდნენ, ქურუმები და ერისკაცები, ამასთან ერთად ეჭვს არ იწვევს, რომ ხელმძღვანელობაში ქურუმობა ჭარბობდა. ეს თემი, როგორც ჩანს, შემდეგნაირად იყო მოწყობილი: ერთი ქურუმი მოდიოდა ყოველ ათ ერისკაცზე; არსებობდა თემის საბჭო, რომელშიც, ქურუმთა

[1] ბიბლიის რუსულ თარგმანში ამ აზრით გამოყენებულია ტერმინი „завет" — აღთქმა და, იშვიათად, ტერმინი „заповедь". — რ ე დ.

გარდა, მაღალი წარმოშობის უფლებით შედიოდა „უხუცესთა“ მცირე რაოდენობა [„უხუცესის ცნებას შეესაბამება ბერძნული სიტყვა „პრესბიტეროი“ — „presbýteroi“, აქედან თანამედროვე სიტყვა „მღვდელი“; შემდეგ იყო ვიწრო საბჭო, რომელშიც შედიოდა 12 ერისკაცი, 3 ქურუმი და ერთი „ზედამხედველი“ უხუცესთაგან (ბერძნულად „ეპისკოპოს“ — „episcopos“, აქედან სიტყვა „ეპისკოპოსი“, იტალიურად „ვესკოვო“ — „vescovo“)].

კურთხევის პერიოდი მეტად ხანგრძლივი იყო. თემის წევრები ჯგუფებად ცხოვრობდნენ სხვადასხვა კვარტალში და ცენტრალურ შენობაში თავს იყრიდნენ მხოლოდ ყველაზე მნიშვნელოვანი წესჩვეულებების შესასრულებლად; ამ წესჩვეულებებს ეკუთვნოდა:

— წ ყ ლ ი თ გ ა წ მ ე ნ დ ა, ანუ განბანვა, რასაც ნათლობის აზრი ჰქონდა და რომლის ზემოქმედება თითქოს მაინც იკარგება, თუ მას თან არ ახლავს გულწრფელი შინაგანი მზადყოფნა წესჩვეულების შესრულებისათვის („წესდება“, III, 4—8);

— ც ო დ ვ ა თ ა მ ო ნ ა ნ ი ე ბ ა, რომელიც წარმოებს თემში შესვლის მომენტში მეთემეთა შეკრების წინ, ისევე როგორც ქრისტიანები აკეთებდნენ ამას ჩვ. წ. აღ.-ით II—III საუკუნეებში („წესდება“ — I, 24; II—1);

— ს ა ზ ი ა რ ე ბ ო ტ ა ბ ლ ა, რომელსაც მთელი სოფელი ასრულებდა ქურუმის თავმჯდომარეობით და რომელიც აკურთხებდა პურის პირველ ნაჭერსა და ღვინის პირველ ყლუპს („წესდება“, VI, 2—6), იმის მსგავსად, როგორც ეს აღწერილია ერთ-ერთ უძველეს ქრისტიანულ ტექსტში — „დიდახეში“, ანუ „ორი გზის მოძღვრებაში“ და პავლეს წერილებში.

კანონის საგანგებო დარღვევისათვის მკაცრი სასჯელი იყო გათვალისწინებული, მაგრამ უკვე საგრძნობი ხდება შესამჩნევი განსხვავება მოურჯულებელ ცოდვიანობასა და შემთხვევით დანაშაულს შორის, რომლის გამოსწორება ხდება თვით სასჯელით.

ახალი ცხოვრების მონაწილედ გახდომა მოითხოვს აგრეთვე კერძო საკუთრებაზე უარის თქმას, ისევე როგორც ეს ად-

რეულ ქრისტიანებში[1] იყო, მაგრამ არა ერთბაშად, არამედ თანდათანობით. პირველ წელიწადს „მორჩილი“ თავისი შემოსავლით ცხოვრობს და არ დაიშვება საერთო საკუთრებასთან; მეორე წელიწადს იგი ნაწილობრივ ინარჩუნებს თავის ქონებას, მაგრამ საერთო მაგიდასთან მაინც არ დაიშვება; მესამე წელიწადს იგი საბოლოოდ შედის თემში და მისი ავლადიდებაც საერთო სარგებლობაში გადადის.

ბოლოს, არსებობდა დღესასწაულების რთული სისტემა, რომელიც უფრო გვიან, ქრისტიანობის შემოსვლასთან ერთად, განვითარდა და რომელმაც წარმოშვა კიდევ უფრო მნიშვნელოვანი შეუთანხმებლობა ებრაულ კალენდართან, განსაკუთრებით სააღდგომო დღესასწაულების თარიღებში.

2. სამართლიანობის მასწავლებელი უუმრანის ხელნაწერებში

ახალი თემის განმსაზღვრელ ელემენტს წარმოადგენს რწმენა ვინმე რჩეულისა, სამართლიანობის მასწავლებლისა, მოძრაობის დამფუძნებლისა და ღმერთსა და ადამიანებს შორის შუამავლისადმი, „რომლისთვისაც ცნობილია ყველა საიდუმლოება“. მასწავლებელი აღჭურვილია „კურთხეულთა შვილებისადმი დამოკიდებულებაში განსაკუთრებული მისიით“. იმ დროს, როცა ძველ აღთქმაში ხსნა მხოლოდ ღმერთისადმი რწმენის შედეგი იყო, ამ დოკუმენტების თანახმად საკმარისია რწმენა „სამართლიანობის მასწავლებლისა“, რომ უზრუნველყოფილ იქნეს რჩეულის ახალი მდგომარეობა. ასე მოხდა თვისებრივი ნახტომი იუდაიზმის ისტორიაში. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჩვენ აღმოვაჩენთ მასში თვით ნამდვილ ქრისტიანულ იდეოლოგიას.

რის შესახებაა ლაპარაკი — ისტორიულ პიროვნებაზე თუ ზებუნებრივ არსებაზე?

---

1 საქმე წმიდათა მოციქულთა, თავი მე-2, მუხლი 44-ე, 45-ე („და ყოველნიეე მორწმუნენი იყუნეს ერთბაშად და აქუნდა ყოველივე ზოგად. და დაბნებსა და მონაგებსა განყიდდეს და განუყოფდეს მას ყოველთა, ვითარცა ვის რა უხმდა“).

დამაარსებლის ცხოვრება გაკვრით არის მოხაზული ხელნაწერებში, თუმცა საკმარისია იმის გასაგებად, რომ მოძრაობა მისი მეთაურობით უნდა აღმოცენებულიყო იუდეველთა მეორე სამეფოს ყველაზე მეტი გაფურჩქვნის მომენტში იოანე ჰირკანე პირველისა და ალექსანდრე იანაეს (ჩვ. წ. აღ.-მდე 134—76 წლები) დროს, როგორც რეაქცია ნაკლებ პრივილეგიური სამღვდელოების ნაწილისა პოლიტიკური და რელიგიური ძალაუფლების ერთი პირის, მეფე-მღვდელთმთავრის ხელში გაერთიანების წინააღმდეგ. ამ პერიოდში ეკონომიური და სოციალური ურთიერთობანი პალესტინაში, როგორც ჩანს, უკიდურესად დაძაბული ხდება. ამ პერიოდის ისტორიკოსები მოგვითხრობენ მასობრივი აჯანყების, მათი სისხლში ჩახშობისა და ასეულობით ჯვარზე გაკრულთა შესახებ.

მკვდარი ზღვის ნაპირებზე დღემდე აღმოჩენილი არც ერთი ტექსტი არ იძლევა ცნობას თაყვანსაცემი მასწავლებლის სახელის შესახებ, და, შესაძლოა, ეს მეტად აღარც კი აინტერესებდათ მის მიმდევრებს იმ პერიოდში, როცა მისი სიკვდილიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ თემი განვითარების გზას დაადგა. შემდგომში პირველმა ქრისტიანებმა ზუსტად ასევე გამოაცხადეს კორინთელთა მიმართ მეორე ეპისტოლეს ავტორის პირით, რომ ქრისტეს მიწიერი ცხოვრება მათ სრულიადაც არ ეხებათ[1].

„ახალი კავშირის" თემსა და ადრიან ქრისტიანულ თემებს შორის ურთიერთობის სერიოზული და მიუდგომელი შესწავლა დღემდე ძნელდება იმით, რომ ყველა ის მეცნიერი, ვინც ამ საკითხს ეხება, უფრთხის გამოვიდეს თეოლოგიის ჩარჩოებიდან — იქნება იგი ქრისტიანული თუ იუდეველთა.

იეზუიტები და რაბინები ტყუილად როდი სდებდნენ ერთმანეთს ბრალს დასაბეჭდად ხელნაწერების არასაკმაოდ გულმოდგინე მომზადებაში. ამ დოკუმენტების უფრო გვიანი და

---

[1] „ამისთვის ჩვენ ამიერითგან არღარავინ ვიცით ხორციელად; რამეთუ დაღათუ ვიცოდით ქრისტე ხორციელად, არამედ აწ არღარა ვიცით". (2 კორინთელთა მიმართ, თავი მე-5, მუხლი მე-16). ეს აზრი სხვადასხვა ფორმაში მეორდება თითქმის ყველა ეპისტოლეში და ახალ აღთქმაში მიწერილი აქვს პავლეს.

შუასაუკუნეობრივი წარმოშობის მცირერიცხოვან მომხრეთა შორის ტყუილუბრალოდ არ არიან მხოლოდ „კრიტიკოსები“ —წარმომადგენელნი კათოლიკური, პროტესტანტული ან იუდეველთა სარწმუნოებისა. დამახასიათებელია 1956 წლის გაზაფხულზე მომხდარი შეჯახება მანჩესტერის უნივერსიტეტის შედარებითი სემიტური ფილოლოგიის მასწავლებელს—პროფ. ჯ. მ. ალეგროსა და კომისიის სხვა წევრებს შორის; ისინი ერთად მუშაობდნენ ყუმრანის IV გამოქვაბულში ნაპოვნი ათასი ფრაგმენტის ახსნა-განმარტებასა და გამოქვეყნებაზე. ალეგრომ ლონდონის რადიოთი ერთ-ერთ თავის საუბარში განაცხადა, რომ ზოგიერთი გამოუქვეყნებელი ტექსტის შესწავლას მივყავართ იქამდე, რომ ტანჯვა სამართლიანობის მასწავლებელსაც გადაუტანია, იგი, როგორც ჩანს, ჯვარცმული იყო და შემდგომ რაღაცნაირად კვლავ გამოჩენილა თავის მომხრეებთან — ზუსტად ისევე, როგორც იესოს შესახებ ლეგენდაშია. ამისათვის ალეგროს მისმა კოლეგებმა კინაღამ საჯაროდ დასდეს ბრალი პროფესიონალური ეთიკის დარღვევაში. მათ „ტაიმსში“ გამოაქვეყნეს ღია წერილი, რომელშიც ალეგროსგან მოითხოვდნენ უარი ეთქვა თავის ვარაუდზე.

მაინც ვინ იყვნენ გრაგნილთა მფლობელნი, მიმდევარნი სამართლიანობის მასწავლებლისა, რომელმაც თავი დასდო თავისი მრწამსისათვის არანაკლებ ასი წლის წინათ ქრისტემდე? ვინ იყვნენ მგზნებარე შემოქმედნი ამდენი წინასწარმეტყველებისა ქვეყნის გარდუვალი აღსასრულის შესახებ, „ცოდვილთა“ მოსპობის შესახებ, ებრაელი ხალხის ეროვნულ და სოციალურ მტრებთან რომ იყვნენ გაიგივებულნი? ვინ იყვნენ ახალი „მესიანური“ სამყაროს მაუწყებელნი, მაუწყებელნი ბედნიერებისა და დედამიწაზე კეთილდღეობის ახალი ერისა?

3. ესენელნი, ფარისეველნი, საძუკეველნი და ზელოტნი

ქრისტიანული მქადაგებლობის აღმოცენების ეპოქაში პალესტინის ეკონომიური, პოლიტიკური და რელიგიური პირობების შესწავლა გვარწმუნებს მრავალრიცხოვანი სექტე-

ბისა და საზოგადოებების არსებობაში, რომლებადაც დაქუცმაცებული იყო იუდეველთა საზოგადოება. მათი ისტორია, განსაკუთრებით ისტორია იმ სექტებისა, რომლებმაც თავისი გავლენა ქვეყნის საზღვრებს გარეთ გაავრცელეს, ახალი ტიპის რელიგიურ ცენტრებად გადაიქცნენ და უფრო მეტად პასუხობდნენ საბერძნეთისა და რომის დაბალი ფენების მოთხოვნილებებს, ცოტაოდენ თუ განსხვავდება პირველი ქრისტიანული თემების ისტორიისაგან.

ფარისეველთ და სადუკეველთ, რომელთა შესახებ ხშირადაა საუბარი სახარებებში, არ შეიძლება სრული საფუძვლით საზოგადოებანი ეწოდოს. აქ ლაპარაკია, როგორც ჩანს, სარწმუნოების მიმდინარეობებსა და ტენდენციებზე, გაბატონებული ფენების წრეებიდან რომ გამომდინარეობდნენ და რომლებიც ძლიერ შორს იყვნენ საზოგადოების დაბალი ფენების უკმაყოფილებისა და გაღიზიანების გამოხატვისაგან. ფარისეველნი, ანუ „გამოყოფილნი" გამოჩნდნენ სირიის სამხედრო ოკუპაციის წინააღმდეგ ებრაელთა ეროვნული აჯანყების პერიოდში ჩვ. წ. აღ.-მდე II საუკუნეში. ბოლოს და ბოლოს ისინი შეეგუენ ახალ პირობებს და მშვიდობიანად თანამშრომლობდნენ რომაელ დამმონებლებთან. სადუკეველთ, ანუ სადოკის შთამომავალთ, ქურუმთა არისტოკრატიის წარმომადგენელთ, არ შეეძლოთ სხვა რამ დაეშვათ, გარდა მათივე საკუთარი განმარტება რელიგიისა, რომელზედაც მონოპოლია ჰქონდათ მოპოვებული. ისინი უკვალოდ გაჰქრნენ ეროვნული კატასტროფის მომენტში ჩვ. წ. აღ.-ით 70 წელს, როცა დაკარგეს ის პოლიტიკური და სოციალური საფუძველი, რასაც ისინი ეყრდნობოდნენ. სადუკეველნი უარყოფდნენ, მაგალითად, ხორციელი აღორძინების ხალხურ რწმენას, რომელმაც ამავე დროს დიდი გავლენა მოახდინა ადრიანი ქრისტიანობის ისტორიაზე.

შეუდარებლად საინტერესონი აღმოჩნდნენ საზოგადოებანი, რომელნიც თავიანთ საქმიანობასა და პროპაგანდას წინააღმდეგობის სულისკვეთებით აწარმოებდნენ, და, თანაც არა მარტო რელიგიის დარგში, არამედ პოლიტიკურ ბრძოლაშიც,

გაბატონებული კლასების ბრძოლაში ხელისუფლებისათვის. ამ ორგანიზაციათა შორის უნდა აღინიშნოს ზელოტნი და ესენელნი. ნაზარენთა, ანუ ნაზარეველთა სექტის არსებობის შესახებ (რომელსაც თითქოს-თვით იესო ეკუთვნოდა) ზუსტი ცნობები არაა, ხოლო შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვანი სექტის, მანდეელთა შესწავლა, შორს, პალესტინის საზოგადოების ნამდვილ საზღვრებს იქით წაგვიყვანდა.

იმ დროის ბერძნულ ხალხურ ენაზე ზელოტთ ეს სახელი დაერქვათ სჯულის დაცვაში მათი გულმოდგინებისათვის[1]. ისინი ფარისეველთა ტრადიციების ჩარჩოებში ჩნდებიან, ამასთან, რომაელი დამპყრობლების შეურიგებელ მოწინააღმდეგეთა სულისკვეთებას ინარჩუნებენ. საკმარისია გავიხსენოთ მათი მოქმედება სახალხო აღწერის მომენტში, რომელიც რომაელებმა გამოაცხადეს პალესტინაში ჩვ. წ. აღ.-ით 6 წელს ამ ქვეყნის იმპერიასთან შეერთების საქმესთან დაკავშირებით. მაშინ როდესაც ფარისეველნი დამორჩილდნენ ამ პროცედურას, რომელმაც ახალი, უფრო მკაცრი დაბეგვრა, ფულადი და სამხედრო ვალდებულებანი გამოიწვია, ზელოტნი აჯანყდნენ და ვინმე გამალელი იუდას ხელმძღვანელობით, რომელსაც მეტსახელად გალილეელს ეძახდნენ, ეწეოდნენ თავისებურ პარტიზანულ ომს რომაელთა გარნიზონების წინააღმდეგ, სანამ მათი ამბოხება სისხლში არ იქნა ჩახშობილი. ზელოტთა სხვა ჯგუფები აგრძელებდნენ წინააღმდეგობას, და რომაელებს შთაენერგათ შიში მოკლე ხანჯლისადმი, ეგრეთ წოდებული სიკასადმი, რასაც შეთქმულნი იყენებდნენ თავდასხმის დროს (აქედან წარმოსდგა სიტყვა „სიკარიო“ — „sicario“ — „დაქირავებული მკვლელი“).

ზელოტთა მოძრაობა ფართოდ განახლდა ჩვ. წ. აღ.-ით 67—70 წლების აჯანყების პერიოდში, მაგრამ იგი ჩააქრეს მასადის ციხე-სიმაგრის კაპიტულაციის შემდეგ მასობრივი ხო-

---

[1] ზელოსი“ — („zēlos“) ბერძნულად აღნიშნავს „გულმოდგინებას“, „თავგამოდებას“, „შეჯიბრებას“, აქედან რომანულ ენებში (ლათინურად) იგივე მნიშვნელობის სიტყვა „ძელო („zelo“) იტალიურად, „ზელ“ („zèle“) — ფრანგულად და ა. შ. — რ ე დ.

ცვა-ეულეტის დროს. იესოს ერთ-ერთ მოწაფეს პირველ ქრისტიანულ ტექსტებში მეტსახელად ეწოდა სიმონ-ზელოტი. როგორადაც არ უნდა განიმარტოს ეს მისი მეტსახელი, საფუძველი არა გვაქვს უარვყოთ, რომ მას შეეძლო მონაწილეობა მიეღო მეამბოხეთა მსგავს საზოგადოებებში.

ესეენელნი, ანუ ესეელნი[1], რომელთა შესახებ მოგვითხრობენ ფილონ ალექსანდრიელი და იოსებ ფლავიუსი, თუ არ ჩავთვლით პლინიუს უფროსის „ბუნებრივი ისტორიის" ნაჩქარევ გადაკრულ სიტყვას, უარს ამბობდნენ სამხედრო სამსახურზე და გმობდნენ იარაღის გამოყენებას ისევე, როგორც ეს სახარების ზოგიერთ გამონათქვამშია. მაგრამ ისინი არ ქადაგებდნენ ნამდვილ „წინააღუდგომლობას". ეს, სხვათა შორის, მტკიცდება იმ ფაქტით, რომ აჯანყების მომენტში იმათაც მიიღეს მონაწილეობა შეიარაღებულ ბრძოლაში, და თითქმის ყველა დაეცა ბრძოლის ველზე; ხოლო იმათ, ვინც ტყვედ ჩავარდა, მამაცურად ეჭირათ თავი და ამჯობინეს წამებით დახოცილიყვნენ, ვიდრე თავიანთი ორგანიზაციის საიდუმლოება გაეცათ.

პალესტინის დასახლებულ პუნქტებში დაქსაქსულმა ან მკვდარი ზღვის დასავლეთ ზონაში შეჯგუფებულმა ესეენელებმა ჩამოაყალიბეს რელიგიური ორდენის მსგავსი რამ, რომელიც შეიქმნა განსაკუთრებული საზოგადოებრივი და ასკეტური სათნოებით სრულყოფისათვის. კურთხევის პერიოდის შემდგომ, რომელიც მონათვლის წესჩვეულებით მთავრდებოდა, ესეენელნი შედიოდნენ დაუქორწინებელთა საზოგადოებაში, იძლეოდნენ აღთქმას მინდორზე მუშაობით მოეპოვებინათ საარსებო საშუალებანი და მთელ ქონებას თანაზიარად დაუფლებოდნენ. მათ წრეში ვაჭრობის ყოველგვარი ფორმა აკრძალული იყო; ისინი გმობდნენ მონობას და თავიანთ ყოფა-

[1] ფილონი თვლიდა, რომ ისინი მარეის ტბის რაიონში ალექსანდრიის ახლოს იყვნენ განლაგებულნი. მათთან დაკავშირებული ტექსტების შედარებითი კვლევა იხ. შრომაში D. Howlett. The Essenes and Christianity. New York, 1957. ახალი აღთქმის წერილებში ესეენელთა სახელი არსად არ გვხვდება.

ქცევაში იცავდნენ ნორმებს, რომლებიც რიგ შემთხვევებში ქრისტიანული დროის სამონასტრო წესებად იქცნენ. ესეენელნი ერთად ჭამდნენ საჭმელს და მზის ამოსვლას კოლექტიური ლოცვებით ხვდებოდნენ.

4. ქრისტიანთა „ახალი კავშირი"

ძნელია თავის დაღწევა იმ შთაბეჭდილებისაგან, რომ ყუმრანის „ახალი კავშირის" მეთემეთა გაიგივება ესეენელებთან ასეთი ენთუზიაზმით იქნა მიღებული მეცნიერთა უმრავლესობის მიერ სახელდობრ იმიტომ, რომ ეს იოლი გამოსავალი იხსნიდა მათ ყუმრანის თემისა და ადრინდელი ქრისტიანული მოძრაობის შემაწუხებელი და, რაც მთავარია, უდავო მსგავსებისაგან.

ადრეულ ქრისტიანთა მოძღვრება უეჭველად ადასტურებს მათ იდეოლოგიურ და საწესჩვეულებო სიახლოვეს იუდეველთა უდაბნოს თემთან, ისევე, როგორც, თითქმის ყველა მწვალებლურ ჯგუფთან, რომლებიც იუდეაში აღმოცენდნენ ჩვ. წ. აღ.-მდე 200 წელსა და ჩვ. წ. აღ.-ით 100 წელს შორის. მათ, მაინც, შესამჩნევად ჰყოფს ზოგიერთი არსებითი მოვლენა, ისეთი, როგორიცაა უ ქ ო რ წ ი ნ ო ბ ი ს ა და მ ზ ი ს კ ულ ტ ი ს დაცვა. რაც შეეხება ესეენელთა გავრცელების ადგილებს, ჩვენ გვაქვს პლინიუს უფროსის მოწმობა, რომელიც დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-ით 70 წელს წერდა, რომ ისინი თავს იყრიდნენ მკვდარი ზღვის დასავლეთ სანაპიროდან შორს, ეინაიდან იქ მავნე კლიმატი იყო[1]; ფილონი კი, როგორც ცნობილია, მათ სხვა ადგილზე ათავსებდა. ესეენელთა ერთი მნიშვნელოვანი განშტოება ეგვიპტეში გადასახლდა, ან, შეიძლება, იქვე, ადგილზევე ჩამოყალიბდა და მიიღო „თერაპევტთა" ელინიზირებული სახელწოდება.

ამ დაჯგუფების ნამდვილი ისტორია ლეგენდების ბურუსითაა მოცული.[2]

---

[1] „Historia Naturalis" („ბუნებრივი ისტორია"), V, 17, 70.

[2] იხ. H. E. del Medico. Le mythe des Esséniens des origines à la fin du Moyen Age. Paris, 1958.

თუმცა უდავოა ის, რომ თემის წევრები, რომელთაც ეკუთვნოდათ უკანასკნელ წლებში ნაპოვნი მანუსკრიპტები, თავის ორგანიზაციას ებრაულად „ახალ კავშირს“ უწოდებდნენ და რომ ეს გამოთქმა დიდი დროის გავლის შემდეგ ლათინურ ტერმინად „ახალ აღთქმად“ გადაიქცა.

პალესტინის ეროვნული აღორძინების შესახებ მესიანური იმედების გაცრუება ხელს უწყობდა მისაგებლის შესახებ მისტიკურ მოძღვრებათა გამოჩენას, რომლებიც უარს ამბობდნენ პოლიტიკური და სოციალური გამოსყიდვის იდეებზე, მაგრამ უფრო მეტ გამომგონებლობას იჩენდნენ საიქიო ილუზიათა სფეროში. ხმელთაშუაზღვისპირეთის ყველაზე შორეულ რაიონებში დაქსაქსული და ჩვ. წ. აღ.-მდე I საუკუნესა და ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნეს შორის აღმოცენებული მესიანური დაჯგუფებანი შეიძლება სრული უფლებით იქნან დახასიათებულნი როგორც ქრისტიანული, რადგან რამდენიმე საუკუნის განმავლობაში უკვე ტერმინი „მაშიაჰი“ („mashiáh“)—„მესია“ — ელინიზირებულ ებრაულ ცენტრებში ითარგმნებოდა ბერძნული სიტყვით „ქრისტოს“ („christós“), ქრისტე. ამ თვალსაზრისით გალილეელი მასწავლებლის ისტორიულად არსებობის პრობლემა ჰკარგავს თავისი აზრის მნიშვნელოვან ნაწილს, ისევე, როგორც სხვა მასწავლებლის, „სამართლიანობის მამის“ მიმართ[1].

სწორედ ამ მიმართულებით უნდა წარიმართოს მკვდარი ზღვის ხელნაწერთა გამოკვლევა, რომლებშიც უკვე გამოვლენილია სულ მცირე 500, ახალ აღთქმასთან საზიარო, საერთო ადგილი, რომლებიც ავსებენ იმ მოვლენათა ჯაჭვს, რომლებმაც ქრისტიანობის აღმოცენებასთან მიგვიყვანა.

არაფერია უცნაური მასში, რომ ბერძნულ-რომაული სამყაროს რელიგიურ და სოციალურ გარემოსთან შეხებისას თავისი უტოპიური ეროვნული განთავისუფლებისათვის მებრძოლ პა-

---

[1] პოლემიკა ამ საკითხის გამო იხ. J. Carmignac. Le Docteur de Justice et Jésus-Christ. Paris, 1958, და სტატია „Civiltà Cattolica“ 1958 წლის 20 დეკემბრისა (P. Boccaccio. Il cristianesimo e la comunità di Qumrân).

ტარა ხალხის ბედ-იღბალთან დაკავშირებულმა იუდეველთა უძველესმა მოძღვრებამ ხსნის შესახებ (ამასთან რომაელებს, ყველაფრის მიუხედავად, გარკვეული ზომით პროგრესი და ერთიანობა შეჰქონდათ ეკონომიურად ჩამორჩენილ, მრავალი პოლიტიკური და საზოგადოებრივი წინააღმდეგობით აღსავსე ძველ მსოფლიოში) გააფართოვა თავისი ჩარჩოები, გადაიქცა ბოლოს და ბოლოს მისტერიათა კულტების მსგავს უნივერსალური ტიპის მოძღვრებად მონანიების შესახებ.

უდავოა, ახალ დოკუმენტებში ვერ ნახავთ ყბადაღებული „ადამიანური მისაგებლის უნივერსალურ გაგებას"[1], რომელიც მოგვიანებით მესიანური იმედების გაკოტრების კვალდაკვალ „ახალი კავშირის" სხვადასხვა ჯგუფის მოძღვრებად გადაიქცევა. თუ ჩვენ აქ ჯერ კიდევ ვიმყოფებით იუდეველთა სჯულის სასტიკი დაცვის სფეროში (მაშინ როცა შემდეგში ქრისტიანობის მქადაგებელი მიმართავს საბერძნეთ-რომის საზოგადოების მასებს და უნივერსალურად აცხადებს მათთვის მოძღვრებას ხსნის შესახებ), მაშინ ეს ადასტურებს მხოლოდ იმას, რომ მოულოდნელი ადგილგადანაცვლების შემდეგ, 70 წლის კატასტროფის კვალდაკვალ, იუდეველთა უდაბნოსა და თვით პალესტინის ფარგლებს გარეთ გადარჩენილი ყოფილი მესიანური მოძრაობის მიმდევარნი ესწრაფვოდნენ უფრო ფართო მნიშვნელობა მიეცათ თავიანთი იდეოლოგიისათვის, რომელიც უწინ რიტუალურად და კულტურულად ებრაელი ერის ჩარჩოებით იყო განსაზღვრული. ეს იყო არა ორი საწინააღმდეგო სახე ქრისტიანობისა, არამედ ერთი და იგივე მოძრაობა მისი განვითარების ორ თანამიმდევრულად მონაცვლე ფაზაზე.

მკვდარი ზღვის მანუსკრიპტთა აღმოჩენით ზუსტად დასტურდება ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიის მარქსისტული დებულება, რომელიც ფორმულირებულ იქნა ჯერ კიდევ გასული საუკუნის მეორე ნახევარში. ჯერჯერობით გამოუქვეყნებელი ტექსტების პუბლიკაცია აღნიშნული დებულების სისწორის ახალი დადასტურება იქნება.

---

[1] ჯუზეპე რიჩოტის გამონათქვამი. იხ. Giuseppe Ricciotti. La Biblia e le scoperte moderne. Firenze, 1957, გვ. 79.

იესო ქრისტე. მითი და სინამდვილე

პუდეველთა უდაბნოს მანუსკრიპტთა აღმოჩენამ ხელახლა დააყენა იესოს პიროვნების პრობლემა. იმ დროის ებრაელთა ან რომაელთა წრეების თუნდაც რაიმე საიმედო ისტორიული საბუთის უქონლობის გამო საკითხი იესოს ისტორიულობის შესახებ ჰაერში აღმოჩნდა გამოკიდებული; იგი არ შეეძლოთ შეევსოთ სახარების თქმულებებს, რომლებიც ყველაფერზე მოგვითხრობენ, მაგრამ არა ნამდვილ, ისტორიულ მოვლენებზე, რომლებთანაც თვითონვე არიან დაკავშირებულნი.[1]

ათეული წლების განმავლობაში კათოლიკე და პროტეს-

---

[1] ტაციტის, სვეტონიუსის, პლინიუს უმცროსის, იოსებ ფლავიუსი. და რაბინთა მოწმობანი უფრო მოგვიანო პერიოდს ეხებიან, ძლიერ ბუნდოვანი და, საერთოდ, საეჭვო ღირსებისა არიან. ამ პრობლემის უფრო დაწვრილებითი და სერიოზული გამოკვლევა (მანუსკრიპტების აღმოჩენამდე) მოცემულია შარლ გინებერის ორტომეულ ნაშრომში (Charles Guignebert. Jesus. Paris, 1933; Le Christ, 1934). იტალიელი ავტორების წიგნებიდან დავასახელოთ Piero Martinetti, Gesù Cristo e il cristianesimo. Milano, 1934 (მე-2 გამოცემა გამოვიდა 2 ტომად 1949 წელს). ამ წიგნის მიმართულება უფრო ფილოსოფიურია, ვიდრე ისტორიული, მაგრამ ინტერესს მოკლებული მაინც არაა. უნდა გავიხსენოთ აგრეთვე თეოლოგიურ-რომანტიკული „ბიოგრაფია“ Giuseppe Ricciotti. Vita di Gesù Cristo. Milano, 1943.

ანტ. განმმარტებელთა მთელი არმია თავს იმტვრევს უიმედო საბოლოოდ ამოწყვეტის გამო, ამაოდ რომ ცდილობს დაამტკიცოს: მკვდარი ზღვის ნაპირებზე აღმოცენებულ მოძრაობასა და ადრინდელ ქრისტიანობას შორის არსებობს რაღაც ძირეული განსხვავება, რომ შეუძლებელია ყუმრანის სამართლიანობის მასწავლებლისა და ახალი ქრისტიანული ერთობის მასწავლებლის შედარებაც კი და რომ ახალი ტექსტების „ერთადერთი აწორი" განმარტება კვლავ დააბრუნებს სახარების მოძღვრებას ზეშთაგონების კალაპოტში.[1]

ეკლესიის მსახურთა შეშფოთება საფუძველს მოკლებული არაა. მართლაც, საუბარი ეხება ქრისტიანულ ლეგენდაზე ყველაზე საშიშ შეტევას. იმ შეტევათა შორის, რომელიც დღემდე უწარმოებიათ ისტორიული ფაქტების ნიადაგზე.

რომ გადაარჩინონ სახარების ზღაპარი, რომ თუნდაც როგორმე მაინც დაამტკიცონ მისი ისტორიულობა, იქამდეც კი მივიდნენ, რომ ამტკიცებდნენ, თითქოს თავისი სიცოცხლის მეთორმეტე და ოცდამეათე წლებს შორის, ყბადაღებული „თვრამეტი წლის დუმილის" განმავლობაში, რომლის შესახებ ახალი აღთქმა არაფერს იტყობინება, იესომ თითქოს იპოვა თავშესაფარი ყუმრანის თემის წევრებთან და ამგვარად შეისწავლა მათი მოძღვრებისა და მათი საწესჩვეულებო პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილი. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ადგილი აქვს ცდას ერთი ლეგენდით დაამტკიცონ მეორე. იესოს „დაკარგული წლები" სინამდვილეში ადრინდელი ქრისტიანული თემის კიდევ ერთი ღვთისსაამებელი გამონაგონი აღმოჩნდა.

ყოველ შემთხვევაში შეიძლება დარწმუნებით ვამტკიცოთ,

---

[1] ამ თემას ეძღვნება მკვდარი ზღვის ტექსტების შესახებ ბიბლიოგრაფიის საკმაო ნაწილი (განსაკუთრებით ო. კულმანის, ა. ბ. დევისის, გ. გრეისტოუნის, ე. დანიელუს, ე. კარმინიაკის და სხვათა შრომები). უფრო დაწვრილებითი ცნობებისათვის ვურჩევთ C. Burchard. Bibliographie zu den Handschriften vom Toten Meer. „Beihefte zur Zeitschrift für die Alttestamentliche Wissenschaft", № 76. Berlin, 1957. იხ. აგრეთვე კაპიტალური ნაშრომები W. Brant. Wer war Jesus Christus? Stuttgart, 1957.

რომ თქმულებაშიც „წინამორბედის", იოანე ნათლისმცემლის შესახებ, რომელიც უმთავრესად მათეს სახარებიდანაა ცნობილი, ეღერენ ყუმრანის სამართლიანობის მასწავლებლის[1] ძირითადი მოტივები და რომ იესოს ცხოვრების ბედის ტრიალი, რომელიც თავისთავად დამაჯერებლობას არ არის მოკლებული, წარმოადგენს ხალხურ წარმოდგენაში იმ თქმულების ახლებურად გააზრებას, რომელიც გადმოცემულია ჩვ. წ. აღ.-ით 70 და 135 წლებში კატასტროფის შემდეგ მკვდარი ზღვის გამქრალ ხელნაწერებში.

ძველი მსოფლიოს ისტორიის შესწავლაზე მომუშავე უფრო სერიოზულ ისტორიკოსებს ესმით იმის აუცილებლობა, რომ გადასინჯონ ბევრი საერთო ადგილი ქრისტიანობის წარმოშობის საკითხში, და მიმართავენ, თუმცა ჯერ კიდევ არც თუ ისე გულდაჯერებულად, ახალი ტექსტების ანალიზს. მათ შორის უპირველეს ყოვლისა საჭიროა დავასახელოთ კატანიის უნივერსიტეტში საბერძნეთისა და რომის ისტორიის მასწავლებელი მაძარინო, რომელმაც ჯულიო ჯანელისთან ერთად დაწერილ „რომის ისტორიის გამოკვლევის" დამატებაში 1956 წელს ამ ანალიზს მიუძღვნა საყურადღებო ნარკვევი[2].

იესოს პიროვნების შესწავლა ახალი დოკუმენტების შუქზე კიდევ მრავალი წლის კვლევას მოითხოვს. ქვემოთ ჩვენ მხოლოდ შევეცდებით ზოგადად ავსახოთ ის მოვლენები, რომელთა შესახებ ასეული წლობით დაობენ — შეთხზულნი არიან ისინი თუ რეალურნი.

---

[1] ასე, ესაიადან მოწოდება (თავი მე-40, მუხლი მე-3): „ხმა ღაღადებისა უდაბნოსა ზედა: განმზადენით გზანი უფლისანი, და ნრფელ ჰყუენით ალაგნი მისნი", რაც მათეს სახარებაშია მოყვანილი როგორც იოანეს მისიის წინასწარმეტყველება (თავი მე-3, მუხლი 1—3), ორჯერ გვხვდება „თემის წესდებაში" (VII, 12—14; IX, 22). არანაკლებ ზუსტია სხვა შესაბამისობანიც (იხ. J. Daniélou. Les manuscrits de la Mer Morte et les origines du Christianisme. Paris, 1957, გვ. 15—24.

[2] Mazzarino e Giulio Giannelli. I manoscritti del Mar Morto: l'origine degli zeloti ei problemi del primitivo cristianesimo. „Trattato di storia romana", Roma, vol. II, 1957.

შუა საუკუნეებში გავრცელებული იესოს ერთ-ერთი გაშოსახულება მას წარმოგვიდგენს საშუალოზე უფრო მაღალი ტანის ადამიანად, კარგი აღნაგობით, კეთილშობილური სახით, კეფაზე გადავარცხნილი, მწიფე კაკლისფერი ლამაზი გრძელი თმებით; თმები შემდგომ რგოლისებურად ხუჭუჭდებიან და ტალღებად ეშვებიან მხრებზე; მათ საუცხოო ცისფერი დაჰკრავთ; უზადო პროპორციები ცხვირპირისა, უნაოჭო, გადატკეცილი მშვიდი შუბლი, ოდნავ მოვარდისფრო ღაწვები, ნიკაპთან გაყოფილი თმისფერი ხშირი გაუპარსავი წვერი, თვალები— ცოცხალი და ბრწყინვალე, სახეს რომ აგვირგვინებენ; ყოველივე ეს მთლიანად შეესაბამება ბიბლიურ წინასწარმეტყველებას: „იქნები შენ უმშვენიერესი ადამიანის ძეთა შორის, შენს ბაგეებზე მადლი დაღვრილა".[1]

მაგრამ ეს სახე მხოლოდ მორწმუნეთა სულში ჩაისახა, ისტორიული საბუთები კი, რომლებზედაც თითქოსდა იგი დამყარებულია, სინამდვილეში ვერაფრით ვერ დასტურდებიან. ასე, ჩვ. წ. აღ.-ით IV—V საუკუნემდე თეოლოგები კამათობდნენ — საჭიროა თუ არა იესოს მიმზიდველი გარეგნობა და საზეიმო წარმოსადეგობა მიეცეს, თუ, პირიქით, მას შეჰფერის გამოისახოს ულამაზო და პატარა ტანის ადამიანად, ანდა სხვის ძონა-მორჩილ და სნეულ ადამიანადაც კი, რასაც სხვა რამისათვის, ბიბლიის წინასწარმეტყველებს სრულიად საწინააღმდეგო ამბისათვის უნდა გაეცა პასუხი, ბიბლიისა, რომელიც მესიას წინასწარმეტყველებდა როგორც ტანჯულ მონას იაჰვეს.

ამრიგად, იესოს გარეგნობა ფანტასტიკურია და შემუშავებულია დროის ხანგრძლივ პერიოდში. მაგრამ განა იგივე არაა დამახასიათებელი მისი პიროვნების ყველა სხვა მხარისათვის, ყველა მისი საქციელისა და ყოველი მისი დოგმატური მტკიცებისათვის! ქრისტიანული ლეგენდა გარდაქმნებითა და შეგუებით აღსავსე ხანგრძლივი, რთული „შემოქმედებითი" პროცესის შედეგია. იესო ქრისტეს არსებამ, რომელიც თქმუ-

---

[1] იხ. L. Brehier. L'art chrétien, son développement iconographique. Paris, 1928.

ბერძნულ-ლათინური საფლავის ქვის წარწერა ვინმე ლიცინიუს ამიაციუსისა ქრისტიანული სიმბოლოებით—ღუზითა და თევზებით

ლების თანახმად ზეციურ სიმაღლემდე ავიდა, სადაც მან ღვთის მარჯვნივ დაიკავა ადგილი, ისტორიული სინამდვილის ყოველგვარი ზომა დაჰკარგა. არავითარი შედეგი არ გამოიღო გულმოდგინე კვლევა-ძიებამ, რაც დიდი ხანია წამოიწყეს მისი არსებობის ნიშნების გამონახვის მიზნით, მაშინაც კი, როცა მათ კვლევის უახლესი მეთოდებით აწარმოებდნენ.

თავიდანვე ნათლად ჩანს ქრისტეს სახის შექმნაში კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი. სახარების ტექსტის საბოლოო დადგენა, რომელიც ახალი სარწმუნოების — ახალი აღთქმის საყოველთაო სახელმძღვანელოდაა მიღებული; ხდება მხოლოდ ჩვ. წ. აღ.-ით II საუკუნის ბოლოს. მანამდე მოძღვრების გადაცემა უმთავრესად სიტყვიერად, ზეპირად ხდებოდა, ამასთან მრავლდებოდა ადრეული ტექსტების სხვადასხვა ურთიერთსაწინააღმდეგო ვარიანტი, რომელიც განიხილებოდა არა როგორც მათი შემდგენლების პირადი შემოქმედება, არამედ, რა თქმა უნდა, როგორც თემთა საკუთრება, რომელსაც ისინი თავიანთი ნებით გადააკეთებდნენ ხოლმე[1].

უძველესი ამ მანუსკრიპტებიდან, რომელიც ჩვენს განკარ-

---

[1] ადრინდელ ქრისტიანულ თემებში არსებული სახარებები ასობით თაა. მთელი ამ მასის ოთხ ვარიანტამდე დაყვანა ფრიად საცოდვილი საქმე უნდა ყოფილიყო (იხ. E. Buonaiuti. Detti extracanonici di Gesú. Roma, Libreria di Cultura, 1925). ჩვ. წ. აღ.-ით V საუკუნის შუახანებში ერთმა აღმოსავლეთელმა ეპისკოპოსმა, სახელად თეოდორე სირიელმა, დაადგინა, რომ მის დიოცეზში ჯერაც გამოიყენება ოთხზე მეტი არაკანონიკური წიგნი. მან ბრძანა ჩამოერთვათ ეს წიგნები და შეეცვალათ ისინი ოთხი სახარებით.

გულებაშია, ჩვ. წ. აღ.-ის IV საუკუნეს მიეკუთვნება. იგი შედგენილია, მაშასადამე, კანონიკური ტექსტის დადგენიდან ორი საუკუნის შემდეგ. ხელნაწერის ფილოლოგიურმა ანალიზმა მასში ბევრი ჩანართი და თავდაპირველი ტექსტის შესწორებანი აღმოაჩინა. ამასთანავე, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენთვის ცნობილი ყველაზე ძველი სახარება უსათუოდ შეიქმნა ჩვ. წ. აღ.-ით 70 წლის შემდეგ (სხვები, ყველა ნიშნის მიხედვით, შედგენილია II საუკუნის მეორე ნახევარში) და რომ ამ წლების განმავლობაში ქრისტეს პიროვნებისადმი რწმენამ განიცადა ღრმა გარდაქმნები, ჩვენთვის გასაგები გახდება, თუ რატომ ითვლება ეს დოკუმენტები ისტორიული თვალთახედვით ნაკლებად უტყუარ, ანდა ყოველგვარ დამაჯერებლობას სავსებით მოკლებულ დოკუმენტებად. ამ გაგებით არც პავლეს წერილებს უნდა მიენიჭოს მეტი უპირატესობა, და არა მარტო იმის გამო, რომ მისი საკუთარი არსებობაა გახვეული მითების ბურუსში, არამედ უმთავრესად ქრისტიანული მოძრაობის ახალი ტიპის სისტემად გარდაქმნის გამო, რასაც თვით პავლე გადაჭრით უწყობდა ხელს.

—თავიანთი მოძღვრების გასავრცელებლად მახარობლებს განსაკუთრებით სჭირდებოდათ იმის დამტკიცება, რომ სწორედ იესო იყო ის მესია, რომელსაც ებრაელები ელოდნენ. მათ უნდა მოემარჯვებინათ ქრისტეს სახე მსგავსი წარმოდგენისათვის. ამისათვის მახარობლებმა თავიანთი ყურადღება მიაპყრეს ჯვარცმით წამების ტრაგედიასა და აღდგომას და ისწრაფვოდნენ ხელახლა შეექმნათ ქრისტეს ბიოგრაფია, რომელიც შექცეული გზით მიდიოდა მკვდრეთით აღდგომიდან შობისაკენ; ამასთან, ისინი გადაამუშავებდნენ ზეპირ ტრადიციათა გადმოცემებს ბიბლიური ზღაპრებისა და წინასწარმეტყველების სულისკვეთებით.

2. მითოლოგიური ცნობების შეზღუდული ხასიათი

თუ ვაღიარებთ სახარების ამგვარ შეზღუდულობას და თანაც მხედველობაში მივიღებთ, რომ სხვა, წარმართული ან ებრაული წარმოშობის წყაროები მათი მეცნიერული გამოკვ-

ლევისას ან სრულიად არასარწმუნონი, ან ქრისტიანების მიერ ხელახლა არიან გადაკეთებულნი, გასაგები გახდება თუ როგორ ჩამოყალიბდა აზრი, ჯერ კიდევ საღვთო წერილის ისტორიული კრიტიკის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე, 700-იანი წლების ბოლოსა და 800-იანი წლების დამდეგს, იმის შესახებ, რომ იესო არასოდეს არსებულა, რომ ეს ახალი სარწმუნოების მიმდევართა უბრალო გამონაგონია და არავითარი კავშირი არა აქვს რომელიმე ისტორიულ პიროვნებასთან.

პირველად ეს დებულება მეცნიერულად დაასაბუთა ბრუნო ბაუერმა. მისი ყველაზე უფრო თანამიმდევრული მომხრე იყო არტურ დრევსი. ცდილობდა რა დაემტკიცებინა ქრისტეს არაისტორიულობა და თავიდან მოეცილებინა ყველაფერი, რასაც თვლიდა კულტის მითოლოგიურ დამახინჯებად, დრევსი აპირებდა აღედგინა ქრისტიანული სარწმუნოების პირვანდელი რელიგიური შინაარსი. დრევსის თანახმად, იესო ისრაელთა ღმერთის — იაჰვეს მხოლოდ მეტსახელია და მეტი არაფერი, რომელიც მრავალი ებრაული რელიგიური თემიდან ერთის — ნაზარეველთა სექტის მიერ იყო მიცემული[1].

საღვთო წერილის მითიურობის შესწავლისადმია აგრეთვე მიძღვნილი ჯ. მ. რობერტსონისა და ტ. ვიტეკერის შრომები ინგლისში, უ. ბ. სმიტისა — ამერიკის შეერთებულ შტატებში, ვ. ბუსესი — გერმანიაში, ე. დიუჟარდენის, პ. ალფარიკისა და პ. ლ. კუშუსი — საფრანგეთში; ამ უკანასკნელმა აღნიშნულ პრობლემას გამოკვლევების მთელი სერია მიუძღვნა. მათზე გარკვეული გამოხმაურება იყო იტალიაში[2].

მათი მოსაზრებანი ჭეშმარიტების არსებით ელემენტებს შეიცავენ და არ შეიძლება მოუფიქრებლად იქნენ უარყოფი-

---

[1] А. Древс. Миф о Христе. М., изд-во, „Атеист". ვ. ი. ლენინი, მიუხედავად ამ წიგნის რეაქციული განხრახვისა, წიგნისა, რომელიც გამოდიოდა მისწრაფებებიდან, დაეფუძნებინა მითის ნანგრევებზე სულ სხვა რელიგიური ცრურწმენანი, რჩევას იძლეოდა მის წასაკითხად (იხ. ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 33, გვ. 267—268).

[2] Поль Лурие Кушу. Загадка Иисуса. М., 1930; მისივე Jésus, le Dieu fait homme. Paris, 1937 და Le Dieu Jésus. Paris, 1951. ამ საკითხის გარშემო დისკუსიის შესახებ იხ. გინებერისა და მარტინე ეის წიგნები.

ლნი. და მაინც ისტორიული მეცნიერების მოწინავე მიმდინარეობანი, აღიარებენ რა იმ მიმართულებათა საშიშროებას, რომლებიც მხედველობაში არ იღებენ ქრისტიანულ თქმულებათა წარმოშობის ისტორიულ და სოციალურ პროცესს. გრძნობენ ზღაპრული ცნებების გადაფასების აუცილებლობას. უთუოდ აბსტრაქტულ და დოგმატურ ინტელექტუალიზმში ჩავარდება ყველა, ვინც რელიგიურ გამონაგონში ნამდვილ ადამიანებს არ დაინახავს მათი სარწმუნოებითა და ჭირ-ვარამით, ვინც არ დაინახავს ამ ადამიანთა ნამდვილი ცხოვრებიდან არარეალური სამყაროსაკენ „განკერძოების“ ყველა ისტორიულ მიზეზს.

სახარებებსა და პავლეს წერილებში ქრისტე თუმცა ღვთიურ არსებად გვევლინება, მაგრამ არასოდეს არაა შერეული ისრაელის ღმერთთან, იაჰვესთან. იგი ყოველთვის გამოსახულია როგორც კაცი ანდა, უკიდურეს შემთხვევაში, როგორც ღმერთი, რომელიც იყო ადამიანი. წინასწარმეტყველნი, რომელნიც მესიის როლზე აცხადებდნენ პრეტენზიებს, იმ დროს ძალიან ხშირად გამოჩნდებოდნენ ხოლმე და ასევე ხშირად იწვევდნენ რისხვას მქონებელ ხელისუფალთა მხრივ; მათ სიკვდილით სჯიდნენ იმისათვის, რომ ბედავდნენ ექადაგნათ ღვთიური სასუფეველი, რომელშიც დაჩაგრული მასები თავიანთი სულიერი სასოების ან სოციალური ნაცვალგებისა და ეროვნული დამოუკიდებლობის ძველი იმედების განსახიერებას ხედავდნენ[1].

ყველა ეს მოვლენა იქმნებოდა ტექნიკურად წინწასული რომის ძლიერებით დაჩაგრული ძველი ცივილიზაციის უმწეო და ტექნიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში. გრამში ლაპარაკობს ელინისტური ქრისტიანობისა და რომის იმპერიის კავშირურთიერთობაზე და შეგვახსენებს: „ფართო მასების მიერ თავისი მატერიალური უსუსურობის შეცნობას ერთი მუჭა მჩაგვ-

---

1 რ. აისლერმა, იოსებ ფლავიუსის ერთი სლავური თარგმანის საინტერესო ჩანართზე დაყრდნობით, პირდაპირ გამოაცხადა იესო მეამბოხეთა წინამძღოლად, რომელიც იარაღით ხელში დაეცა მებრძოლთა ჯგუფთან ერთად რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროს (იხ. R. Eisler. Jesoûs Basiléus ou Basiléusas, 2 vol. Heidelberg, 1929—1930).

რელების წინაშე მივყავართ სულის განდიდებისაკენ და ა. შ., პასიურობისაკენ, წინააღუდგომლობისაკენ, უთანამშრომლობისაკენ, რომლებიც, რაც არ უნდა იყოს, მაინც დამცველს წარმოადგენენ, მაგრამ დამცველს, სუსტსა და ძნელს, ტყვისაგან ლეიბის მსგავს დამცველს"[1].

რწმენა მხსნელი ღვთისადმი მისტერიათა რელიგიიდან ქრისტიანობაში გადაიტანა ტარსელმა პავლემ, რომლისაგან ჩვენ დავალებული ვართ, უპირველეს ყოვლისა, იესოს მაცხოვარის სახით გამოსახვის გამო[2].

8. ბეთლემი თუ ნაზარეთი?

საკმარისი იყო გარედან უმნიშვნელო შეგულიანება, რომ ამა თუ იმ ადამიანში მომწიფებულიყო და განმტკიცებულიყო მესიანური მოწოდების გადაულახავი რწმენა. რომის ტრიბუნმა, რომელსაც პავლე დილეგში მიჰყავდა, ჰკითხა მას: „ანუ არამე შენ ხარა მეგვიპტელ იგი, რომელმან უწინარეს დღეთა ამათ აღჰსძარ და განიყუანენ უდაბნოდ ოთხ-ათასნი იგი კაცნი სიკარელნი?"[3] მსგავსი შემთხვევები ჩვეულებრივი მოვლენა იყო. უდაბნო წინასწარმეტყველთა და მათი მოწაფეების თავშესაფრის ტრადიციული ადგილის როლს ასრულებდა. გალილეაში, სადაც, თქმულების მიხედვით, იესო ცხოვრობდა, ხშირად იწყებოდა მეამბოხეთა მოძრაობა, რომელიც რომაელ დამპყრობლებს ბევრ უსიამოვნებას აყენებდა.

თავისთავად გასაგებია, რომ სახარების ტექსტებით შეუძლებელია იესოს ნამდვილი ბიოგრაფიის შედგენა, შეიძლება მხოლოდ შევეცადოთ მისი რომელიღაც ზოგადი ნიშნების დადგენას, რომლებიც ვარაუდებზე და მიხვედრაზე იქნება დაფუძნებული.

მისი დაბადების წელი განსაზღვრული არაა. ამჟამად მი-

---

[1] А. Грамши. Избранные произведения, т. 3. М., 1959, გვ. 312.

[2] ქალაქი ტარსი ბევრი მისტერიოსოფიული კულტისა და ღრმა სოციალური კონტრასტების ცენტრი იყო. როგორც ჩანს, ამ ქალაქის მდგომარეობამ ძლიერი გავლენა მოახდინა პავლეს იდეოლოგიურ შეხედულებებზე (იხ. Р. Ю. Виппер. Возникновение христианской литературы. М.—Л., 1946).

[3] საქმე წმიდათა მოციქულთა, თავი 21-ე, მუხლი 38-ე.

ღებული წელი, რომლითაც ჩვენი წელთაღრიცხვა იწყება, ხუთი საუკუნის შემდეგ წამოაყენა რომელიდაც ბერმა, რომელმაც საფუძვლად უმთავრესად ლუკას სახარების მონაცემები გამოიყენა, დარწმუნებული იყო რა, რომ იგი წინააღმდეგობებს არ შეიცავდა, რაც მრავალი საუკუნის შემდეგ ბიბლიის კრიტიკამ გამოავლინა.

ლუკას თანახმად, იესო თურმე მუცლად იქნა ღებული იოანე ნათლისმცემელზე ექვსი თვით გვიან, რომელიც თავის მხრივ იუდეველთა მეფის დიდი ირودის დროს იქნა ჩასახული. მაგრამ ცნობილია, რომ ირودი რომაული წელთაღრიცხვით 750 წლის გაზაფხულზე მოკვდა, ე. ი. ოთხი წლით ადრე ჩვენს წელთაღრიცხვამდე. ცნობები რომაელთა მიერ ჩატარებული აღწერის შესახებ, რომელმაც, ლუკას მოთხრობის თანახმად, აიძულა წმიდა ოჯახი გამგზავრებულიყო ბეთლემში, სადაც იესო დაიბადა კიდეც, ისტორიამ არ შემოინახა; მაგრამ თუ ეს აღწერა ნამდვილად იყო, მაშინ იგი უნდა ვივარაუდოთ დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-ით 6—7 წელს. არც ქრისტეს შობის დღეა უფრო სარწმუნო, რომელიც 25 დეკემბერს დაწესდა მხოლოდ IV საუკუნის დასაწყისში, ამასთან ეს თარიღი ემთხვევა ზამთრის ნაბუნიობის მითრას დღესასწაულს. უფრო ადრე სხვა რიცხვებს გვთავაზობდნენ — 28 მარტს, 18 თუ 19 აპრილს, 29 მაისს, აღმოსავლეთში კი ქრისტეს დაბადების დღედ დიდხანს თვლიდნენ 6 იანვარს (უფრო გვიან ეს დღე აღინიშნებოდა როგორც ეპიფანეს დღესასწაული).

ურთიერთსაწინააღმდეგოა ოთხივე სახარების ცნობები ადგილის შესახებ, სადაც, გადმოცემით, დაიბადა იესო. განსაკუთრებით დაუჯერებელია მითითება ბეთლემზე, „დავითის ქალაქზე". იმ ადგილას, რომელსაც დღემდე უკავშირებენ იესოს დაბადებას, IV საუკუნემდე იმყოფებოდა მისტიკური კულტების ადგილობრივი ღვთაების, ადონას დაბადებისადმი მიძღვნილი წარმართთა სამლოცველო. მითითება ნაზარეთზე, როგორც იესოს ოჯახის საცხოვრებელ ადგილზე ეგვიპტიდან „დაბრუნების" შემდეგ, უპასუხებს მისწრაფებას, გამოეხმაურონ ბიბლიის წინასწარმეტყველებას: „...ვითარმედ ნაზა-

რეველ ეწოდოს"[1]. მაგრამ კავშირი მეტსახელ ნაზარეველის, ნაზორიანელის ან ნაზარიანელისა ნაზარეთთან საკმაოდ საეჭვოა.

არც ერთი ძველი ტექსტი, არც ებრაული, არც წარმართული, მსგავს ადგილს არ იხსენიებს. კრიტიკა ნაზარეველის სახელში, როგორც ჩანს, ხედავს ბერძნული თარგმანით დამახინჯებულ სიტყვას — ნეზირს, რომელიც არამეულ ენაზე აღნიშნავს მას, ვინაც რაღაც „აღთქმის მიღების" მსგავსად „ბერად აღსაკვეცად" თუ „ღვთისადმი განდობის" მიზნით საკუთარი თავი განსაკუთრებული აღთქმით ღვთისმსახურებას მიუძღვნა. გარდა ამისა, იესოს სახელი, როგორც დავინახეთ, აღნიშნავს „ღვთის შემწეობას" ან „იაჰვეს წარგზავნილს". გამოთქმა „იესო ნაზარიანელი" შეიძლება ზუსტად იქნეს გადმოცემული ტერმინით „იაჰვეს წარგზავნილი, ღვთისადმი განდობილი".

4. ღვთის სასუფევლის გამოცხადება

მაშ ასე, გვრჩება მხოლოდ ვივარაუდოთ, რომ იესო დაიბადა და გარკვეული დროის მანძილზე, მაგრამ არა-უგვიანეს 70 წლისა ჩვ. წ. აღ.-ით ცხოვრობდა გალილეას უცნობ ადგილზე და ბავშვობაში შეესისხლხორცა იმ საამო პეიზაჟს, დაბლობს, სადაც მუდმივად ჰქროდა ნელი სიო, იმ დიდებულ სივრცეებთან ერთად, რომელთაც ასე ლამაზად აღწერს რენანი თავის „იესოს ცხოვრება"-ში. მამამისი თავმდაბალი კაცი უნდა ყოფილიყო, გადმოცემით — ფურგალი. იესოს მხარდამხარ ცხოვრობდა მისი ექვსი და-ძმა. მარკოზის სახარება გვამცნობს მისი ოთხი ძმის სახელს. აი ისინი — იაკობი, იოსეები, იუდა, სიმონი. იესოს დედა ეკლესიამ ჭეშმარიტი კულტის საგნად აქცია, რომელიც საუკუნიდან საუკუნემდე სულ უფრო ფართოვდება და მშვენდება. ლეგენდა მარიამის ქალწულობის შესახებ II საუკუნეში გაჩნდა და მას უნდა მიეცა ხალხისათვის მისაწვდომი ახსნა-განმარტება წმიდა სულით ჩასახული

---

[1] მათე, თავი მე-2, მუხლი 23-ე.

იესო როგორ იყო ერთდროულად ნამდვილი ადამიანი და ნამდვილი შვილი ღვთისა.

იესოს მთელი კულტურული განათლება ბიბლიური და აპოკალიფსური სწავლებით უნდა ამოწურულიყო. საღვთო წერილის თანახმად, გასაგები ხდება, რომ იგი იოანეს უდაბნოში შეხვდა, და მან პირველად განაწყო იესო წინასწარმეტყველებისათვის, შეასრულა რა ერთდროულად განწმენდის წესი, იმის მსგავსად, როგორც ეს მკვდარი ზღვის თემის პრაქტიკაში იყო მიღებული. შესაძლებელია, ჭეშმარიტების რაღაც ნაწილი არსებობს სახარებებში მოთხრობილ ეპიზოდში, რომელიც მისი წინასწარმეტყველების დაწყებასთან არის დაკავშირებული, როცა დედა და ძმები კაპერნაუმში გამოცხადდნენ, რათა წაეყვანათ იგი და ძალით დაებრუნებინათ სახლში, რადგან ეჭვი ეპარებოდათ მისი გონების სისაღეში.

იესოს წინასწარმეტყველებაში მთავარი იყო ქვეყნისათვის ეხარებინა ღვთის სასუფევლის შესახებ, რომელმაც, შესაძლოა, მასთან უფრო „სულიერი" აზრი მიიღო, ვიდრე იმ ეპოქის სხვა ნაწარმოებებში[1], რაც, შესაძლოა აგრეთვე, განმარტავს უმნიშვნელო მხარდაჭერას, რომელსაც იგი პალესტინის მასებში შეხვდა, ვინაიდან მათ იგი მოქმედების არავითარ პერსპექტივებს არ უჩვენებდა. მას მტკიცედ სწამდა სასწაულისა, როგორც საერთოდ სწამდათ მის წრეში, და თვლიდა, რომ შეიძლება აღმოაჩინოს თავისი საკუთარი ძალა, რადგან თავს თვლიდა „ღვთის რჩეულად".

---

[1] ცნობილია მისი წარმონათქვამი ლუკას სახარებიდან (თავი მე-7, მუხლი 20—21): „სასუფეველი ღუთისა შორის თქუენსა არს" (და არა „თქვენს შორის", როგორც მას განმარტავენ თეოლოგები და ფილოსოფოსი იდეალისტები; იხ. Adolto Omodeo. Gesú il Nasareo. Il cristianesimo nel secondo secolo (nuova ed.). Napoli, E. S. I., 1958. იგი მაინც არ შეიძლება იესოს მივაწეროთ, რადგან II საუკუნის ქრისტიანული თემის აზროვნების ხასიათს შეესატყვისება, რომელიც ძველი მესიანური იმედების გაცრუებას აშკარად წააწყდა. ამასთან დაკავშირებით ისინი მივიდნენ იმ აზრამდე, რომ სასუფეველი უკვე დაიწყო, უკვე შევიდა თავის უფლებებში იესოს მისიასთან ერთად და დღეიდან ზორციელდება თვით ეკლესიაში ან „რჩეულთა" საზოგადოებაში, რომლებიც მეფობისათვის არიან „მოწოდებულნი".

იესოს მოღვაწეობა, როგორც ჩანს, ერთ წელზე ნაკლები ხანს გაგრძელდა, შესაძლებელია მხოლოდ სამ ან ოთხ თვეს. გალილეას უღარიბეს მცხოვრებთა რიცხვიდან რამდენიმე თანამოსაგრე, ალბათ, მიემხრო მას. მაგრამ გალილეაში მას წარმატება არ ჰქონია. ბუნებრივია, რომ მას შეეძლო განეცადა კლასობრივი დევნა გაბატონებული ებრაული წრეების მხრიდან. მაგრამ სახარების ახსნა-განმარტება, რომელიც პასუხისმგებლობას აკისრებს იუდეველებს მისი დაგმობისათვის, ისტორიულად არ არის დასაბუთებული და უპასუხებს პოლემიკის მხოლოდ მოგვიანო მოთხოვნებს. გაცილებით უფრო დამაჯერებელია რომაელ ხელისუფალთა ჩარევის გადამწყვეტი როლი. მითიურია თორმეტი მოციქულის არსებობა, თუმცა შეიძლება, რომ მოწაფეთა ჯგუფი, კაცები და ქალები, მიაცილებდა მას სამოგზაუროდ კაპერნაუმის გარეუბნებში, ტიბერიადის ტბაზე, გალილეასა და, ბოლოს, იუდეაში, იერუსალიმის მიმართულებით, სადაც მას სიკვდილი მიუსაჯეს.

6. სიკვდილი და აღდგომა

იმის გასაგებად, თუ რას წარმოადგენდა ჩვ. წ. აღ.-ით პირველი საუკუნის პალესტინის საზოგადოებაში იესოს პიროვნების მსგავსი მესიანობა, არაა აუცილებელი სამართლიანობის მასწავლებლის „წამებისა და სიკვდილის“ შესახებ მივმართოთ მხოლოდ ყუმრანის მანუსკრიპტთა საბუთებს ან შუა საუკუნეების მწვალებელთა ისტორიას, იოაჰიმ და ფიორეს ეპოქის აპოკალიფსურ მოძრაობას, XIII საუკუნის ბერ-მონაზვნებსა და ლუთერანული რეფორმის დასაწყისში „ღვთიური სასუფევლისათვის“ ამბოხებულ გერმანელ მოქალაქეებს[1].

შეიძლება ავიღოთ ჩვენს დროსთან გაცილებით უფრო ახლოს მდგომი მაგალითი, რომელსაც თითქმის არ დაუტოვებია კვალი თანამედროვე საზოგადოების ამა თუ იმ პირობების გამო, მაგრამ განსხვავებულია რელიგიური თვალთახედვით ქრისტეს ლეგენდარული ისტრრიის ყველა ძირითადი ნიშნით. ჩვენ ვლაპარაკობთ დავით ლაძარეტის დრამის შესახებ.

---

[1] იხ. ფრ. ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში.

ასზე უფრო ნაკლები წლის წინათ, იტალიის გაერთიანებული სახელმწიფოს შექმნის შემდეგ მალე მონტე ამიატის შეშისმჭრელთა და მოჯამაგირეთა უკიდურესი სიღატაკის მოწმე ეს თავმდაბალი ტოსკანელი ტვირთმზიდავი გამოვიდა ახალი დროების მქადაგებლად, ღვთისაგან გარდმოვლენილ მესიად, რათა „მოიტანოს მშვიდობა და გარდაქმნას კანონები“. მან საჯაროდ გაწყვიტა კავშირი საეკლესიო და სამოქალაქო ხელისუფლებთან.

მთელი ეს ხანმოკლე (1868-დან 1878 წლამდე) და დამახასიათებელი მოვლენები ტრაგიკულად დამთავრდა.

მსგავსად იმისა, როგორც რწმენა ღვთის სასუფეველისადმი ქარაგმული ფორმით გამოხატავდა იმ ეპოქის მთელ აღმოსავლეთში გაბატონებული მმართველობის მონარქიულ ფორმას, ასევე ლაძარეტმაც, რომელმაც რამდენიმე წელიწადი გაატარა ემიგრანტად საფრანგეთში, იქ გაეცნო სენ-სიმონური ტიპის უტოპიური სოციალიზმის ზოგიერთ მიმდინარეობასა და რესპუბლიკურ ტენდენციებს, „წმინდა ჯვაროსნული მხედრობის“ თავის დროშაზე დააწერა: „რესპუბლიკა ღვთის სასუფეველია“, რამაც შიშის ძრწოლა მოგვარა მარემის შეძლებულ ფენებს და საფოიის მონარქიის მხდალ დამცველთ. ეს საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ „წინასწარმეტყველი“, რომელიც თავის მომხრე ანგელოზთა და მოციქულთა პროცესიას ედგა სათავეში და მონტე ლაბროდან და არჩიდოსოდან მოდიოდა, საზოგადოებრივი უშიშროების მოხელის ბრძანებით გულგრილად შოეკლათ კარაბინერებს.

ოფიციალური ისტორიული მეცნიერება მასზე ლაპარაკობდა, როგორც „პარანოიკზე“, მის მოძრაობაზე კი, როგორც „კოლექტიური ფსიქოზის“ მოვლენაზე, თავს არ იწუხებდა რა იმისათვის, რომ ფანტასტიკური სახეების მიღმა საჭირბოროტო სოციალური მოთხოვნილებების ოდინდელი ნიშნები გამოეკვლინა. ამიატის გორაკებზე მცხოვრები უკანასკნელი ლაძარეტისტები ახლაც ლაპარაკობენ მოწამებრივად დაღუპულ თავიანთ მესიაზე, როგორც „მეორე ქრისტეზე“, ხოლო ამ ადგილების კომუნისტ და სოციალისტ გლეხთა წარმატებით ბრძოლაში. ისინი მის ზებუნებრივ ჩარევას ხედავენ.

ლეგენდარული ხსოვნა იესოს ვნების კვირის შესახებ აგრეთვე ქრისტიანობის სხვა ამაღლებულ ქმნილებას წარმოადგენს.

შესაძლებელია, იყო კიდეც ეს უკანასკნელი პურის ჭამა, უკანასკნელი სერობა, რომელზედაც, მოვლენების ხელახლა შექმნის ცდის თანახმად, იესომ თითქოს თავის თანამოძმეებს უბრძანა ხელუხლებლად შეენახათ, შფოთიანი დროის უკუღმართობის მიუხედავად, რწმენა ახლა უკვე ახლოს მყოფი ღვთის სასუფევლისა[1]. რომაელი მეომრების მიერ იესოს დაპატიმრებამ დააშინა მისი მცირერიცხოვანი მოწაფეები. საიმპერიო ხელისუფალთა განაჩენი შეიძლებოდა დაესაბუთებინათ მისივე პრეტენზიებით — ყოფილიყო მესია, ე. ი. იუდეველთა მეფე[2]. მისი ქადაგების მხოლოდ ამ მომენტს შეეძლო შეეშფოთებინა რომაელები, და, ბუნებრივია, ამან მიიყვანა იგი ჯვარცმამდე. დანარჩენი ყველაფერი რწმენას ეხებოდა.

ბიბლიის კრიტიკა იესოს აღდგომის პრობლემით იყო დაკავებული, იგი ცდილობდა გამოეძებნა მკვდრეთით აღდგომის შესახებ ძველად გავრცელებული რწმენის წარმოშობა, და დაადგინა, რომ ამბავი იერუსალიმში ცარიელი საფლავის აღმოჩენისა გაჩნდა მეორე „გალილეანური“ აღდგომის აპოლოგეტიკური მტკიცების შემდეგ, რომლის თანახმად მკვდრეთით აღმდგარი ქრისტე ხალხს პირველად გამოეცხადა პალესტინის ჩრდილოეთ რაიონებში. ყველა მსგავსი ამბავი გაჩნდა თავდაპირველი სახარების ლეგენდის ჩამოყალიბებიდან მრავალი ათეული წლის შემდეგ[3].

---

[1] იხ. განმაზოგადებელი ნარკვევი A. Loisy. La naissance du christianisme. Paris, 1933.

[2] O. Cullmann. Der Staat im neuen Testament, 1955.

[3] თვითონ პავლე იესოს მკვდრეთით აღდგომას არ თვლიდა ისტორიულ ფაქტად; იგი მას აღიარებდა მხოლოდ როგორც სარწმუნოების მოთხოვნას, მით უფრო, რომ ბევრი მისი თანამორწმუნე ეპვის ქვეშ აყენებდა აღნიშნულ ამბავს: „უკეთუ აღდგომა მკუდართა არა არს, არცა ქრისტე აღდგომილ-არს; უკეთუ ქრისტე არა აღდგომილ-არს, ცუდად სამე არს ქადაგება ესე ჩუენი, და ცუდად არს სარწმუნოება ეგე თქუენი“ (1 კორინთელთა მიმართ, თავი მე-15, მუხლი მე-13 და მე-14).

ხსნის რელიგიები, დაფუძნებულნი ღვთაებრივ ან ნახევრად ღვთაებრივ არსებათა კულტზე, რომლებიც კვდებიან და აღდგებიან, არა მარტო გავლენას ახდენდნენ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის ამბის დეტალებზე, არამედ მათ განაპირობეს კიდეც მითის უფრო იოლი აღქმა, სანამ ბოლოს და ბოლოს ამ თქმულებამ გადამწყვეტი როლი არ შეასრულა ახალი რელიგიის წარმატების საქმეში.

6. „ნეტარნი და ღატაკნი"

ისრაელის ღარიბებს, სამართლიანობის სამეფოს გამოჩენას რომ ელოდებოდნენ, სახარებანი იესოს პირით უპასუხებდნენ: „და ეტყოდა, მათ: ამინ გეტყვი თქუენ, რამეთუ არიან ვინმე აქა მდგომარეთაგანი, რომელთა არა იხილონ გემოი სიკუდილისაი, ვიდრემდე იხილონ სასუფეველი ღუთისა, მომავალი ძალითა"[1].

მსგავსი იმედები არ გამართლდნენ და სულიერ სიკეთედ არ იქცნენ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სასუფეველის იდეა არ შედის როგორც ქრისტიანობის გამარჯვების მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი და არ წარმოადგენს ანტიკური საზოგადოების გახრწნის ერთ-ერთ იდეოლოგიურ გამოხატულებას.

„და მერმე გეტყვი თქუენ: უადვილეს არს აქლემი[2] განსლუად ხუერელსა ნემსისასა, ვიდრე მდიდარი შესლუად სასუფეველსა ცათასა" — რჩევა-დარიგებას იძლევა იესო სინოპტიკურ სახარებებში.[3] ყოველივე ამას იესო უმატებს: „ხოლო მრავალნი იყუნენ პირველნი უკანა, და უკანანი წინა"[4] და კ-

---

1 მარკოზი, თავი მე-9, მუხლი 1 და სხვ.

2 ორიგინალურ ბერძნულ ტექსტში ირის სიტყვა „კამილოსი" — „ბაგირი" — მსხვილი გვარლი გემების ნაპირზე დამაგრებისათვის, — და არა „კამელოსი" — „აქლემი". მსგავსი შეცდომები, რომლებიც დროთა განმავლობაში დამკვიდრდნენ ტექსტში, არაიშვიათად გვხვდება ძველ ტექსტებში.

3 მათე, თავი მე-19, მუხლი 24-ე; მარკოზი, თავი მე-10, მუხლი 25-ე; ლუკა, თავი მე-18, მუხლი 25-ე.

4 მათე, თავი მე-19, მუხლი 30-ე; მარკოზი, თავი მე-10, მუხლი 31-ე; ლუკა, თავი მე-13, მუხლი 30-ე.

დევ ქადაგება: „ნეტარ ხართ თქუენ, რომელთა გშიის აწ, რამეთუ განსჰძღეთ ნეტარ-ხართ, რომელნი ჰსტირთ აწ, რამეთუ იცინოდეთ... ვაი თქუენდა, განმძღარნო აწ, რამეთუ გშიოდეს. ვაი თქუენდა რომელნი იცინით აწ, რამეთუ იგლოვდეთ და ჰსტიროდეთ“[1].

ამ სიტყვებს საეკლესიო სარწმუნოება ამჟამად განმარტავს მხოლოდ როგორც მოწოდებას ძორჩილებისა და მონანიებისაკენ, მაგრამ მათ ჯერ კიდევ შეუძლიათ ბევრ დაჩაგრულსა და გაუბედურებულ ადამიანს გამოხსნის დაპირება აღუთქვან.

აი, რატომ შეეძლო ფრიდრიხ ენგელსს შეედარებინა ადრინდელი ქრისტიანობისა და თანამედროვე მუშათა მოძრაობის მსგავსი ელემენტები: „როგორც ქრისტიანობა, ასევე მუშათა სოციალიზმიც ქადაგებენ სიღატაკისა და მონობისაგან მომავალ ხსნას; ქრისტიანობა ამ ხსნას საიქიო ცხოვრებაში დაეძებს, სიკვდილის შემდეგ, ზეცაში, სოციალიზმი კი — ამ ქვეყნად, საზოგადოების გარდაქმნაში“[2].

მსგავსი მსჯელობა მკაფიოდ, ყოველგვარი მიკიბ-მოკიბვის გარეშე, ჰყოფს ამ ორ მოძრაობას და გვეხმარება იმის გაგებაში, თუ რატომაა, რომ სახარების წერილის ბევრი ძველი იდეა ჯერ კიდევ ჰპოვებს გამოძახილს ქრისტიან მუშებს, კაპიტალისტური საზოგადოების ამ თანამედროვე მონებს შორის.

---

[1] ლუკა, თავი მე-6, მუხლი 21—25.

[2] К. Маркс и Ф. Энгельс. Соч., т. XVI, ч. II. გვ. 409.

ქრისტიანობის ნამდვილი ისტორიის ზოგიერთი საკითხი

ქრისტიანობის ისტორიის კვლევა იმ საზოგადოებაში, რომელიც თან გაჰყვა დანგრეულ ძველ სამყაროს, მოცემული წიგნის ფარგლებს სცილდება; მათი თავდაპირველი პერიოდის კვალდაკვალ სხვა რელიგიების განვითარებისთვისაც კი ჩვენ შევძელით მხოლოდ რამდენიმე სიტყვის მიძღვნა.

ანტიკური ქრისტიანული თემების თვით ისტორია ჯერ კიდევ შექმნასა და არსებითად გარდაქმნას საჭიროებს. ამ გაგებით ახალი მეცნიერული მონაცემების ბაზაზე გაკეთებულმა პირველმა ცდებმა მხოლოდ ნაწილობრივ მოგვცა კარგი შედეგი, რაც ამ საქმის სირთულეს მოწმობს[1]. ერთ-ერთ წერილში სორელისადმი ანტონიო ლაბრიოლამ გონებამახვილურად შენიშნა, რომ ქრისტიანობა ვერ შეძლებს თავი დააღწიოს ისტორიის „მატერიალისტურ გაგებას", მაგრამ ამასთანავე სა-

[1] ჩვენ ვლაპარაკობთ არა მარტო ზოგიერთი ფრანგი და ინგლისელი მეცნიერის შრომებზე, რომლებიც უკვე ვახსენეთ (შარლ ენშლენი, არჩიბალდ რობერტსონი), არამედ საბჭოთა ისტორიულ სკოლაზედაც (იხ. Р. Ю. Виппер. Возникновение христианства. М., 1921; Возникновение христианской литературы. М—Л., 1946; А. Б. Ранович. Первоисточники по истории раннего христианства. М., 1933; Античные критики христианства. М., 1935; Очерк истории раннехристианской церкви. М., 1941).

ჭიროა კვლევის ჩვენი მეთოდების ღრმა გადასინჯვა და უარის თქმა წმინდა სოციოლოგიურ წარმოდგენებზე[1]. ამასთან, პირველ რიგში საჭიროა დადგინდეს როგორ აისახებიან გარკვეული ეკონომიური და სოციალური პირობები ადამიანთა აზროვნებაში; ყველა ადამიანის და არა მხოლოდ ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული კლასის წარმომადგენლების აზროვნებაში, რომელთა ბრძოლას წინ მიჰყავს საზოგადოების ისტორია.

მიზანი ჩვენი შემდგომი თხრობისა, რომელმაც უნდა დააბოლოოს მთელი ეს გამოკვლევა, ამ დარგში მომუშავე ზოგიერთი მიმართულების ისტორიკოსის შრომების მხოლოდ მიმოხილვაში მდგომარეობს[2].

1. ქრონოლოგიის პროგლემა

სამართლიანი იქნებოდა დაგვეწყო ერთი მომენტიდან, რომელსაც ხშირად უგულებელყოფენ — ვლაპარაკობთ ახალი, ქრისტიანული წელთაღრიცხვის ქრონოლოგიური საზღვრების შესახებ.

ყოველი ხალხი, ყოველი ცივილიზაცია თავისი წელთაღრიცხვის განსაზღვრისათვის ყოველთვის მიმართავდა რომელიმე შესამჩნევ მოვლენას, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა მათს ისტორიაში, რელიგიურ წარმოდგენებში.

ებრაელები დროის ანგარიშს სამყაროს შექმნიდან იწყებენ, რომელიც ლეგენდარული ბიბლიური გენეალოგიის მიხედვით განისაზღვრება. მუსლიმანები წელთაღრიცხვას ითვ-

---

[1] Исторический материализм и философия." Спб., 1900 (письмо IX, от 2 июля 1897 г.).

[2] ერნესტო ბუონაიუტის „ქრისტიანობის ისტორია" (E. Buonaiuti. La Storia del cristianesimo, 3 voll. Milano, 1943) სინამდვილეში ტრადიციული დოკმატიკის წინააღმდეგ (ამასთანავე ცხოვრების რელიგიური განმარტების ფარგლებში) მოდერნისტული პოლემიკის დოკუმენტს წარმოადგენს (შდრ. L. Salvatorelli. Gli studi di Storia del cristianesimo, „Cinquant'anni di vita italiana, 1896—1946. Scritti in onore di Benedetto Croce", Napoli, 1950, vol. II).

ლიან ჩვ. წ. აღ.-ით 622 წლიდან—ჰიჯრის პირველი წლიდან. ბერძნები, როგორც ცნობილია, დროის ანგარიშს ეწეოდნენ, ოლიმპიადების მიხედვით (თითოეულში ოთხი წელი) ჩვ. წ. აღ.-მდე 776 წლიდან. რომაელებმა დროის გამოთვლის საფუძვლად რომის დაარსების თარიღი გამოიყენეს, რომელიც ისტორიკოსმა ვარონმა VI ოლიმპიადის მესამე წელს მიაკუთვნა (ე. ი. ჩვ. წ. აღ.-მდე 754 წელს). ეს თარიღი ტრადიციულ ისტორიოგრაფიაში შევიდა როგორც რომაული კალენდრის დასაწყისი.

მაგრამ რანაირად დაადგინეს, რომ ჩვენი წელთაღრიცხვის პირველი წელი, როცა თითქოს იესო დაიბადა, რომის დაარსების მომენტიდან სწორედ 754 წელი იყო?

აქ ჩვენ შევდივართ ლეგენდისა და თვითნებობის არეში. მრავალი საუკუნის მანძილზე, ანტიკურ კულტურებზე ქრისტიანული მოძრაობის გამარჯვების შემდეგაც კი ადამიანები ძველი მეთოდით აგრძელებდნენ თავიანთ წელთაღრიცხვას. მხოლოდ VI საუკუნეში ბერ დიონისე უმცროსს (წარმოშობით სკვითების ქვეყნიდან, ცხოვრობდა რომში), თავის მოწაფე კასიოდორასთან ერთად აზრად მოუვიდა ახალი ქრონოლოგიის დაწესება.

მათ მიერ გამოგონილ გამოანგარიშებათა დახმარებით იგი მივიდა დასკვნამდე, რომ რომის დაარსებიდან 1285 წელი, ესე იგი ის წელი, როცა იგი თვითონ წერდა, შეიძლება 532 წლად ჩავთვალოთ ქრისტეს დაბადებიდან. ამრიგად, პირველი წლის ბოლო რომის დაარსების მომენტიდან 754 წლის 25 დეკემბერზე მოდიოდა. ისტორიკოსებს უყვართ ლაპარაკი, რომ იგი შეცდა რამდენიმე წელიწადში, მაგრამ ეს საყვედური საფუძველს მოკლებულია, რამდენადაც ყველა ცნობა სახარებიდან, რომელთაც ბერი ემყარებოდა, თავისთავად სხვა არაფერია, გარდა ადრინდელი ქრისტიანების მისტიკური გამონაგონისა.

კიდევ ორ საუკუნეს არავინ იღებდა სერიოზულად დიონისეს გამოანგარიშებას. კაროლინგების სამეფო კარმა არაფერი იცოდა მის შესახებ 876 წლამდე. რომში ახალმა ქრონოლოგიამ ოფიციალური აღიარება ჰპოვა 1000 წლამდე სულ რაღაც რამდენიმე ათეული წლით ადრე. რაც შეეხება 25 დეკემბერს,

ამის შესახებ ჩვენ უკვე მრავალჯერ ვთქვით: სინამდვილეში ეს მზის კულტთან დაკავშირებული ერთ-ერთი წარმართული დღესასწაულია. საჭირო იქნება აღნიშნულს დავუმატოთ, რომ ჩვეულება ქრისტიანული კულტის დღესასწაულისათვის კვირა დღის დანიშვნისა ახალი რელიგიის ისტორიაში მაშინვე არ განმტკიცებულა.

იმპერიის პირველ საუკუნეებში, როცა ქრისტიანობა ჯერ კიდევ არ იყო გამოსული დამცირებულობის მდგომარეობიდან სახელმწიფოსა და საზოგადოებაში, კვირის პირველი დღე[1] მზის ძველი კულტისათვის იყო განკუთვნილი, რომელიც გარკვეული დროის შემდეგ მსოფლიოს ხსნის მისტერიად გადაიქცა. ეს იყო მზის დღე, რომლის კვალი დარჩენილა არა მარტო ჩვენს საკვირაო წირვაში, არამედ ანგლოსაქსურ კალენდარშიც, რომელიც უფრო ერთგულად, ვიდრე ჩვენი, ინახავს ევროპის უძველეს ხალხთა რელიგიურ ტრადიციებს.

III საუკუნეში იმპერიის ხელისუფალნი შეეცადნენ კიდეც მზე-ღმერთის კულტის ირგვლივ შეეკავშირებინათ ყველა ქვეშევრდომი, შესაძლოა იმისათვის, რათა დაეპირისპირებინათ იგი იმ მზარდი წარმატებისათვის, რომლითაც მეორე ღმერთი —ქრისტე სარგებლობდა. მზის პატივსაცემი ცერემონიებისადმი მიძღვნილი დღე „dies dominica"-დ („დიეს დომინიკად"), ესე იგი „ღვთის დღედ" იწოდებოდა; შემდეგ მას ერთ სიტყვას—„dominica"-ს უწოდებდნენ[2]. ქრისტიანობის გამარჯვების შემდეგ იმპერატორმა კონსტანტინემ მისი შეგუების პროცესი დაიწყო, რის შედეგადაც „მზის ღმერთისათვის" განკუთვნილი დღე „ქრისტე ღმერთის" მორწმუნეთა დღესასწაულად იქცა.

და თუმცა პირველ ქრისტიანებს ჰქონდათ თავისი „ღვთის დღე", ჩვენს კვირაასთან მისი დამსგავსება ჯერ კიდევ საკვლევით არ იყო დასრულებული.

---

[1] ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში კვირა დღე. კვირის პირველ დღედ ითვლება. — რ ე დ.

[2] რომანულ ენებში შემორჩენილია კვირის აღნიშვნა სიტყვებით ამ ძირიდან: იტალიურად domenica, ფრანგულად dimanche, ესპანურად domingo — რ ე დ.

ერთი მხრივ, „ღვთის დღე“ ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შეხსენებას ემსახურებოდა, აღდგომისა, რომელიც, ლეგენდის თანახმად, მაცხოვრის სიკვდილის მესამე დღეს მოხდა, უცბად, შაბათის მეორე დღესვე. ამ საბაბით მორწმუნენი იკრიბებოდნენ სხვადასხვა სულის მოსახსენიებელ ჩვეულებათა შესრულების დროს და, შესაძლებელია, აგრეთვე „წმინდა სუფრაზეც“, რომელიც მთელი რელიგიური სამსახურის დამამთავრებელ აქტს (აღაპს, ანუ ძმურ ნადიმს) წარმოადგენდა. მაგრამ ღვთის დღის წარმოდგენას ჯერ კიდევ არ უკავშირდებოდა ჩვეულება საკვირაო დასვენების შესახებ. ქრისტიანთა ერთი ნაწილი კვლავაც თავს იკავებდა ყოველგვარი სამუშაოსაგან ებრაელთა დასვენების დღეს — შაბათობით, სანამ ყოყმანის შემდეგ არ მივიდნენ იმ აზრამდე, რომ გაეერთიანებინათ ორივე ჩვეულება ერთ დღეში, ჩვენს კვირა დღეში, და ამით ხაზი გაესვათ იუდაიზმის ძველ ტრადიციასთან განხეთქილებისათვის.

მეორე მხრივ, „ღვთის დღე“, ადრინდელი ქრისტიანების გულუბრყვილო გადმოცემით, სიმბოლურად გამოხატავდა აგრეთვე გამარჯვებული მესიის დაბრუნების მომენტს, ესე იგი ქრისტეს მეორედ მოსვლას, რომელიც გადაარჩენს ქვეყნიერებას ტანჯვისაგან, შემუსრავს მქონებელთა ძალაუფლებას და დასაბამს მისცემს ახალ, სამართლიან სასუფეველს დედამიწაზე.

კვირა დღის სავალდებულო დაცვა დიდი დაგვიანებით იქნა შემოღებული, ბევრ ადგილას არა-უადრეს VI საუკუნისა.

საეკლესიო სამართლის ნორმებით (კანონი 1244—1249) კვირა დღე ამჟამად სავალდებულო საეკლესიო უქმე დღეა საკვირაო ღვთისმსახურების წესჩვეულებაზე დასწრებით და საღღესასწაულო დასვენებით. თუმცა საჭიროა ითქვას, რომ კათოლიკები ამ დანაწესს ნაკლები გულმოდგინებით ასრულებენ, ვიდრე პროტესტანტები, რომლებმაც ძველად გაიგივებული კვირა და ებრაელთა შაბათი მიიყვანეს იქამდე, რომ კრძალავენ კვირაობით არა მარტო შრომას, არამედ სანახაობასაც

კი, ცეკვებს, და კიდევ მეტი — სპორტულ თამაშობებსა და ზეიმს. მკაცრი კანონები, რომლებიც ამის თაობაზე გამოსცეს ინგლისელმა პურიტანებმა XVII საუკუნის სამოქალაქო ომების პერიოდში, ჯერ კიდევ სულ ცოტა ხნის წინ იყვნენ ძალაში დიდი ბრიტანეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების ზოგიერთ ადგილას.

თეორიულად რომ ვთქვათ, ბრიტანეთის კანონმდებლობაში ახლაც არის რიგი აკრძალვები იმისა, რომ კვირაობით უჩვენონ თეატრალური წარმოდგენები, მოაწყონ სპორტული შეჯიბრებანი, კიდევ მეტი, შოტლანდიაში კრძალავენ რესტორნებისა და სავაჭროების გაღებას, კანონით პოლიციას ახლაც შეუძლია დასაჯოს ის, ვინც ამ დღეს ეკლესიას არ ეწვევა. უნდა აღინიშნოს, რომ იტალიაში უკანასკნელ წლებში კონსტიტუციურ თავისუფლებათა დარღვევის მრავალრიცხოვანი შემთხვევები იყო; ზოგიერთი კატეგორიის მოქალაქეს, განსაკუთრებით კი არმიაში, სკოლებში და, ასე განსაჯეთ, სახელმწიფო დაწესებულებებშიც კი თითქმის აშკარად აიძულებენ კვირაობით წირვაზე დასწრებას.

მაგრამ დავუბრუნდეთ ქრისტიანული წელთაღრიცხვისა და მისი მცდარი ქრონოლოგიის პრობლემას. ყველა შემთხვევაში აშკარაა, რომ იმ მნიშვნელობას, რასაც რელიგიური ტრადიცია ანიჭებს ღვთის დაბადებას (იგი ისე დიდია, რომ ისტორია ჯერ კიდევ ორ წელთაღრიცხვად იყოფა—ქ რ ი ს ტ ე მ დ ე და ქ რ ი ს ტ ე ს შ ე მ დ ე გ, არაფერი აქვს საერთო იესოს რეალურ არსებობასთან.

მეცნიერების ამგვარმა დასკვნებმა, რა თქმა უნდა, საგონებელში უნდა ჩააგდოს მორწმუნე ადამიანი. მაგრამ ისინი არ ამცირებენ ქრისტიანული მოძრაობის მნიშვნელობას.

სწორია, რომ ქრისტიანობის მიერ შემოთავაზებული დამცირებულთა განთავისუფლების მოთხოვნათა დაკმაყოფილება გადატანილ იქნა იმ ქვეყნად, ხოლო დათრგუნვისა და ექსპლუატაციის ურთიერთობა დედამიწაზე ხელუხლებელი რჩებოდა. სწორია აგრეთვე, რომ დანარჩენ მსოფლიოში, პატარა რაიონის ფარგლებს გარეთ, რაიონისა, რომელსაც აკრავს ხმელთაშუა ზღვა, ზუსტად იგივე პრობლემა ზუსტად იმავე

პერიოდში სულ სხვანაირად წყდებოდა, მაგრამ ყოველთვის რელიგიურ ილუზიათა საფუძველზე (კონფუციანობა, ჯაინიზმი, ბუდიზმი, ისლამი და ა. შ.). და მაინც ისტორიამ თადარიგი ისე დაიჭირა, რომ ჯერ ფეოდალური, ხოლო შემდგომ ბურჟუაზიული საზოგადოება აიგივებდა თავის პრინციპებს უპირატესად ქრისტიანული იდეოლოგიის პრინციპებთან, რომლებიც ჯერ კიდევ ახდენენ ზემოქმედებას დედამიწის მოსახლეობის ფართო ფენების რწმენაზე. ჩვენს დროში არავინ არ გრძნობს წელთაღრიცხვის შეცვლის საჭიროებას. ადამიანთა ურთიერთობის შეცვლა, მისი შესაბამისობა თანასწორობის, თავისუფლებისა და კულტურის იდეალებთან, რომელთა შესახებ ოცნებობდნენ სხვადასხვა საზოგადოებანი, — აი რა სურთ ადამიანებს.

2. ბერძნული და ლათინური ენები

ქრისტიანობის ძველისძველი კავშირი რომის იდეებთან და მთელ რომაულ ან ეგრეთ წოდებულ „ლათინურ სულისკვეთებასთან" — ნაყოფია წმინდა გამონაგონისა და თანაც დახავსებულ განწყობილებათა სამსახურში ჩაყენებული გამონაგონისა. ბრძოლისა და დევნის სამმა საუკუნემ განვლო, სანამ რომის საზოგადოება შეეჩვეოდა ქრისტიანულ მოძღვრებას, რომელიც კონსტანტინეს ჩვ. წ. აღ.-ით 313 წლის ედიქტამდეც კი აღიარებული იყო ანტიკური მსოფლიოს ნაკლებ რომანიზებული მოსახლეობის ნაწილის გამოვლენად. ეკლესიის რომანიზაციის პროცესს, რომელმაც კათოლიკობის წარმოშობა გამოიწვია, არასოდეს არ შეეძლო მთლიანად დაეფარა ადრიანი ქრისტიანობის ეს განსაკუთრებული, არალათინური და ხშირად პირდაპირ ანტირომაული ხასიათი.

მთელ ხმელთაშუაზღვისპირეთში, რომის ბატონობის გავრცელების მიუხედავად, რომმა შეძლო თავისი ენა თავზე მოეხვია მხოლოდ ეკონომიურად და სოციალურად ნაკლებ განვითარებული ქვეყნებისათვის, რომლებიც მოკლებული იყვნენ მნიშვნელოვან კულტურულ და ლიტერატურულ ტრადიციებს, როგორც, მაგალითად, ესპანეთი, გალია, ჩრდილოეთი

აფრიკა, დანია. იმპერიის პირველ საუკუნეებში უფრო მეტად გავრცელებული ენა იყო არა ლათინური, არამედ ბერძნული; არა კლასიკური ბერძნული, ესქილეს, პინდარისა და დემოსთენის დროისა, არამედ ის ხალხური დიალექტი, რომელსაც ალექსანდრე მაკედონელის მეომრები ავრცელებდნენ ლაშქრობების დროს და რომელიც, ამასთან ერთად, სწორედ აღმოსავლეთის სხვადასხვა ხალხის კულტურისა და კილოს გამოთქმებითა და ცნებებით გამდიდრდა.

არამეული, ებრაულის ხალხური დიალექტი, და ბერძნული პირველი ქრისტიანული თემების სალაპარაკო ენად იქცნენ არა მარტო პალესტინაში, მცირე აზიასა და ეგვიპტეში, არამედ თვით იმპერიის დედაქალაქშიც. ისტორიკოსს შესაძლებლობა არა აქვს ზუსტად მიუთითოს რომში ქრისტიანობის გამოჩენის პერიოდზე, მაგრამ იგი გარკვეულად იტყვის, რომ ზუსტად II საუკუნის ბოლომდე დედაქალაქის ქრისტიანულ თემებში ლაპარაკობდნენ არა ლათინურ ენაზე, არამედ ბერძნულად. III საუკუნის რომის კატაკომბებში დაცული კედლისა და საფლავის ყველა წარწერა ბერძნულია. ახალი კულტის აღიარება, რომელიც თან მოჰქონდათ უცხოელებს, ხდებოდა თითქმის მარტოოდენ აღმოსავლური წარმოშობის წრეებში, მონათა და თავდახსნილთა, ვაჭართა და ღატაკ ხელოსანთა შორის, რომლებიც დასახლებულნი იყვნენ რომის ყველაზე უბადრუკ და ბნელ კვარტალებში. ეს იყო „უცხოური“ კულტი, და იმპერატორის ხელისუფალნი ქრისტიანული თემების ხელმძღვანელებს უყურებდნენ როგორც ნამდვილ „უცხოეთის აგენტებს“, როგორც მმართველი წრეების ზნეობის, კანონისა და რელიგიის მტრებს. ამისთვის სდევნიდნენ და ყოველნაირად ცდილობდნენ მათ მოსპობას.

ქრისტიანული ლიტერატურის პირველი ლ ა თ ი ნ უ რ ი ნაწერები გამოჩნდნენ არა რომში და, საერთოდ, არა იტალიაში, არამედ ჩრდილოეთ აფრიკაში, რომელიც კართაგენის დაცემის შემდეგ რომაელებმა კოლონიად აქციეს. უძველესი ქრისტიანული ძეგლები ლათინურ ენაზე დაკავშირებულია ჩრდილო აფრიკელ ემიგრანტთა სწორედ იმ ჯგუფებთან — მონებთან და გაღარიბებულ კოლონებთან, მეზღვაურებთან და ჯარისკაცებ-

თან, ვაჭრებთან და ყოველგვარ არამზადებთან, რომლებიც განცალკევებულად ცხოვრობდნენ ცალკეულ კვარტალებში, როგორც ზოგჯერ ცხოვრობენ ემიგრანტები ამერიკის შეერთებული შტატების დიდ ქალაქებში. ძველი რომის ზოგიერთი ქუჩა, მაგალითად ვია კარო დ'აფრიკა (მიუხედავად იმისა, რომ მისი ახლანდელი ადგილმდებარეობა არ ემთხვევა ძველ შესახვევს, რომელიც იმავე სახელწოდებას ატარებს), ინახავს ამ ახალმოშენეთა ხსოვნას, რომლებიც ცელიასა და სუბურს შორის ცხოვრობდნენ, სადაც ჩრდილოაფრიკული ლათინურის მსგავს, საკმაოდ დამახინჯებულ ლათინურ კილოზე ლაპარაკობდნენ.

გადმოცემით, პირველი რომაელი ეპისკოპოსი, რომელსაც ლათინური სახელი ვიქტორი ერქვა (II საუკუნის ბოლო), „წარმოშობით აგრეთვე აფრიკიდან იყო". კონფლიქტი ეპისკოპოს კალისტრატესა (III საუკუნის დამდეგს) და მის მეტოქეს იპოლიტეს შორის (ეს უკანასკნელი ისტორიაში ცნობილია როგორც პირველი „ანტიპაპი") სინამდვილეში სოციალური და რელიგიური ხასიათის წინააღმდეგობებს გამოხატავდა, ერთი მხრივ, ლათინური წარმოშობისა და ენის დაჯგუფებებს და, მეორე მხრივ, ახალმოშენეთა თემებს შორის, რომელთაც შენარჩუნებული ჰქონდათ ბერძნული ენა და ზნე-ჩვეულებანი[1].

სარწმუნოების, ორგანიზაციისა და კულტის დარგში ადრინდელი ქრისტიანობის მთელი ტერმინოლოგია ბერძნულია. სახარება, ეკლესია, ეპისკოპოსი, მღვდელი, მონათვლა, ზიარება, ეპისტოლე, აპოკალიფსისი, კატაკომბი, ქრისტიანი და ა. შ. — ყველა ეს სიტყვა ბერძნული ენიდანაა, თუმცა ზოგიერთი მათგანის ფორმა, მაგალითად, „კატაკომბი" (იტალიურად „catacomba") და „ქრისტიანი" (იტალიურად „cristiano"), ადასტურებენ ლათინური ენის გავლენას. ამიტომ ქრისტიანობის წარმოშობის ისტორიის შესასწავლად სწორედ რომ აუცილე-

[1] იხ. A. Donini. Ippolit o di Roma. Polemiche teologiche e controversie disciplinari nella chiesa di Roma agli inizi del III secolo. Roma, 1925.

ბელია ელინისტური სამყაროს, მისი ეკონომიური, იურიდიული და სოციალური საფუძვლების, მისთვის დამახასიათებელი მხატვრული და რელიგიური მიმდინარეობის ცოდნა[1].

ელინიზმის კვლევის მნიშვნელობა საბჭოთა ისტორიულ სკოლას მხედველობიდან არ გამორჩენია. ერთ-ერთმა მისმა მნიშვნელოვანმა წარმომადგენელმა იმათ რიცხვიდან, ვინც კლასიკურ სიძველეთა შესწავლაზე მუშაობს, ელინისტური საზოგადოების პრობლემებსა და მის როლს ქრისტიანობამდელ მსოფლიოში მიუძღვნა პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ნაშრომი[2].

8. ქრისტიანობა და მონობა

ძველი მსოფლიოს მსხვრევა და საზოგადოების ახალ, ფეოდალურ-ეკონომიურ, პოლიტიკურ და სოციალურ წყობაზე გადასვლა მონათმფლობელობის თანდათანობითი და დაჩქარებული რღვევით ხასიათდებოდა.

რელიგიურ და მორალურ ურთიერთობათა დარგში ქრისტიანობა ამ ცვლილებათა ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი იდეოლოგიური გამოხატულება იყო, მაგრამ უაზრობა იქნებოდა გვემტკიცებინა,—მაგრამ ხშირად სწორედ ასე იქცევიან, — რომ ქრისტიანობამ მონობის მოსპობასთან მიგვიყვანა. ქრისტიანულ რელიგიას არავითარი საფუძველი

---

[1] ეგვიპტეში ადგილობრივი სამართლისა და ბერძნულ-რომაული კანონმდებლობის მუდმივი ურთიერთგავლენის კვლევას, ელინიზმიდან დაწყებული და არაბთა დაპყრობით დამთავრებული, მიეძღვნა დიდი ნაშრომი: P. Taubenschlag. The Law of Graeco-Roman Egypt in the light of the Papyri, 332 B .C. — 640 A. D. Varsavia, 1955. ახლახან გარდაცვლილი ავტორი ვარშავის უნივერსიტეტის პაპიროლოგიის ინსტიტუტის დირექტორი იყო. ამ გამოკვლევას შესწირა მან თავისი მოღვაწეობის ნახევარი საუკუნე.

[2] იხ. А. Ранович. Эллинизм и его историческая роль. М.—Л., 1950. მეტად საყურადღებოა მ. ი. როსტოვცევის ვრცელი ნაშრომი, თუმცა მასში შეინიშნება ტრადიციული ისტორიოგრაფიის იდეები (M. I. Rostovzev. The social and economic history of the hellenistic world, vol. I—III. Oxford, 1941).

არ გააჩნია საკუთარ თავს მიაწეროს მონათმფლობელური წყობილების თანდათანობითი დაშლის საქმეში დამსახურება. მონობამ ამოსწურა საკუთარი თავი, რამდენადაც მან უკვე მოჰყმა თავისი დრო, უკვე აღარ შეესაბამებოდა წარმოების ახალ საშუალებათა განვითარებას, აღარ იყო შემოსავლიანი. რა თქმა უნდა, ქრისტიანობაში გამოიხატა უნუგეშო სასოწარკვეთილება მონებისა, რომლებიც ვერ პოულობდნენ გამოსავალს თავიანთი გაჭირვებული მდგომარეობიდან და აჯანყების ყველა ცდის ულმობლად ჩაქრობის შემდეგ კიდევ უფრო დამორჩილებულნი აღმოჩნდნენ. მაგრამ გამოსავალს, რომელსაც მათ ქრისტიანული რელიგია სთავაზობდა, არ შეეძლო გავლენა მოეხდინა საზოგადოების პირდაპირ გარდაქმნაზე.

„ხოლო მორაიწია სარწმუნოება, —ვკითხულობთ ქრისტიანული ლიტერატურის ერთ-ერთ უძველეს ძეგლში, რომელიც მოციქულ პავლეს მიეწერება, — ... არა არს მონება, არცა აზნაურება"[1]. მაგრამ ეს თავისუფლება „ქრისტეში" არსებითად არაფრით განსხვავდებოდა იმ თავისუფლებისაგან, რომელსაც ათასობით გაუბედურებული ეძებდა ამა თუ იმ ხალხურ კულტში ხმელთაშუაზღვისპირეთის სამყაროში და რომელიც უპირისპირდებოდა გაბატონებული წრეების კულტს. და როცა ბერძენმა მონამ, სახელად ონისიმემ, რომელიც მცირე აზიის მდიდარ მესაკუთრეს ეკუთვნოდა ქალაქ კოლოსიდან, სერიოზულად შიიღო სახარების მოძღვრების ზოგიერთი მხარე, გაიქცა სახლიდან და შეეცადა დამალულიყო თვით პავლესთან (როგორც ამას მოუთხრობდნენ ქრისტიანთა პირველ თაობებს); მან ლტოლვილს უბრძანა დაბრუნებოდა თავის პატრონს, რომელსაც შემდეგ უნდა გადაეწყვიტა, როგორ მოქცეოდა მას, ვინაიდან თვითონაც მორწმუნე იყო[2].

ამრიგად, ქრისტიანული სარწმუნოების არც თეორიაში და არც პრაქტიკაში არაა მონათმფლობელური წყობილების პრობლემათა არავითარი რევოლუციური გადაწყვეტა. მასების განწყობილება —აი, რა იყო რევოლუციური. მასები თავიანთ

---

[1] გალატელთა მიმართ, თავი მე-3, მუხლი 25—28.
[2] ფილიპელთა მიმართ, მუხლი 13—20.

სხვადასხვაგვარ და ზოგჯერ საპირისპირო ინტერესებზე მაღლა აყენებდნენ თავიანთი არსებობის მძიმე პირობების შეცვლისათვის გზების ძიებას.

ქრისტიანობის თავდაპირველ ძეგლებში განსაკუთრებით ხშირად გვხვდება სიტყვა „პტოხოს“ („ptochós“) — „ღარიბი“, „საცოდავი“, საიდანაც წარმოიშვა იტალიური სიტყვა „პიტოკო“ („pitocco“) — „მათხოვარი“. ქრისტიანული რელიგია თავის პირველ მიმდევრებს სწორედ ღარიბთა წრეში აგროვებდა. ასეთ ჭრელ მასას არ შეიძლებოდა ჰქონოდა განთავისუფლების საერთო გზა. რომაელთა დაპყრობებმა გააერთიანეს ხმელთაშუა ზღვის აუზის თითქმის ყველა რაიონი, რომლებიც მანამდე გარკვეული დამოუკიდებლობით სარგებლობდნენ, მაგრამ ამან თან მოიტანა მიზეზებიც, რომელთაც ანტიკური საზოგადოება დაშლამდე უნდა მიეყვანა. მონობა ეკონომიურად არამწარმოებლური ხდებოდა, ხოლო თავისუფალთა შრომა საზოგადოებაში კვლავაც საზიზღარ საქმედ ითვლებოდა.

მონის კოლონად, ხოლო შემდეგ ყმად გადაქცევა გამოწვეულია ადამიანებს შორის არა ახალი იდეალური ურთიერთობების დამყარებით, არამედ ახალი რეალური პირობების გამოჩენით, რომელთაც ძირეულად გარდაქმნეს საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურა.

4. ბანგრძენდი და ნათვლის წესჩვეულებანი

ტერმინი მ ო ნ ა თ ვ ლ ა, რომელიც ბერძნული ენიდან არის წარმოშობილი, დაკავშირებულია ძველ ინდოევროპულ ძირთან „ბაფ“ („ვაფ“) ან „ბატჰ“ („bath“), რომელიც აღნიშნავს ჩაძირვის, წყალში ჩაშვების, დაბანის ან ღებვის ცნებას.

ხანგრძლივი ისტორიული განვითარების შედეგად მისი თავდაპირველი მნიშვნელობა შესამჩნევად გაქრა. ახლა, როცა ნათვლის შესახებ ვლაპარაკობთ, ჩვენ გვესმის იგი არა როგორც ჩაძირვა ან განბანვა, არამედ როგორც შვიდიდან მხოლოდ ერთ-ერთი საღვთო წესჩვეულება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ მოწმეთა თანდასწრებით ახალდაბადებუ-

ლის თავზე ცოტა წყალს გადაასხამენ, რათა გარანტირებული იყოს ქრისტიანულ ოჯახში მისი ოფიციალური შესვლა.

საწესჩვეულებო განწმენდის საშუალებად წყლის გამოყენება საზოგადოებრივი ცხოვრების თვით სათავეებიდან მომდინარეობს. ამის არქეოლოგიური დადასტურება ელინდება აზიასა და ევროპაში ჯერ კიდევ ახალი ქვის ხანაში და, განსაკუთრებით, ბრინჯაოს საუკუნის დასაწყისში. არაა გამორიცხული, რომ ტბების, ჭაობების, ზღვების ნაპირებზე პირველი დასახლებული პუნქტების იძულებითი გამართვისა და ხიმინჯებზე სოფლების აგების გამო ისტორიამდელი ადამიანის ყურადღება მიპყრობილი იყო წყლისაკენ. უეჭველად, წყალი, რომელიც განსაზღვრავდა მისი ცხოვრების ყაიდას, ბოლოს და ბოლოს ხელს უწყობდა ნამდვილი კულტის შექმნას, რომლისგანაც შემონახულია ბევრი საინტერესო გადმონაშთი (წყაროს, მდინარის, სამკურნალო წყლებისა და სხვათა თაყვანისცემა).

მაგრამ, ძალიან ადრე წყლის მაგიური გამოყენება სხვა მიმართულებას იღებს და მივყავართ იმ წარმოდგენამდე, რასაც შეიცავს მონათვლის თანამედროვე წესჩვეულება, ესე იგი განსაკუთრებული ვნების მომტანი ზემოქმედებისაგან ადგილის, ადამიანის ან ადამიანთა მთელი ჯგუფის განთავისუფლებისათვის განკუთვნილი განწმენდის სპეციალური ცერემონია. ეს წესჩვეულება თითქმის ყველგან გვხვდება.

მიაქციეთ ყურადღება, რომ საწესჩვეულებო განწმენდისათვის არა მარტო წყალი იხმარება. ხშირად იმავე მიზნით გამოიყენება ცეცხლი და კვამლი (სამკურნალო ბალახის, საკმეველის კმევა), მანამდე კი ახალგაზრდა და ჯანმრთელი ადამიანების სისხლსაც იყენებდნენ, რომლებიც მსხვერპლად მიჰქონდათ იმგვარად, რომ სისხლის გამოდენას შესაძლებლობა შეექმნა სხვადასხვაგვარი გამოსასყიდი ცერემონიის განხორციელებისათვის (ასე იყო, მაგალითად, მექსიკაში, სანამ მას ესპანეთი დაიპყრობდა). ადამიანის არსების მსხვერპლად მიტანა შემდეგ ცხოველთა მსხვერპლად შეწირვით შეიცვალა, იმავე დროს რიგ შემთხვევებში სისხლის სუროგატად, მისთვის

დამახასიათებელი წითელი ფერის გამო, ჟანგმიწას იყენებდნენ.

განმწმენდ წესჩვეულებათა ისტორიას ვხედავთ ბაბილონის, ასურეთის, ეგვიპტისა და პალესტინის რელიგიებში. საბერძნეთში სპეციალური ჭურჭელი ჰქონდათ ნაკურთხი წყლით, რომელსაც ცერემონიის მსვლელობისას აპკურებდნენ მსხვერპლს და მორწმუნეთა შეკრებას. რომში განბანვა დროდადრო ნამდვილი „მასობრივი მონათვლის" ხასიათს იღებდა ხალხისა და ჯარის კოლექტიური განწმენდის წესჩვეულების სახით. ტიბეტის ბუდიზმში, ანუ ლამაიზმში, ვხვდებით მსგავს წესჩვეულებებს, რომლებიც სრულდება არა მარტო წყლის დახმარებით, არამედ ღვინის, კარაქის, თაფლისა და გარკვეული წმინდა ცხოველის (იაკის) სისხლისა და შარდის გამოყენებითაც კი.

განსაზღვრულ მომენტამდე წყალს მიაწერდნენ უპირატესად განმწმენდ (რომელიმე საზოგადოებრივი თანამდებობის დაკავებასთან დაკავშირებით) ან მოსანანიებელ თვისებას (გარკვეული განსაცდელისა და ჯადოსნობის განდევნა). ჯერ კიდევ არ არსებობდა წარმოდგენა მორალურ გადახალისებაზე, რომელიც ათავისუფლებს ადამიანს ცოდვისაგან და საშუალებას აძლევს მას აღორძინდეს ახალი ცხოვრებისათვის.

ეს წარმოდგენა ისტორიაში შევიდა მისტერიათა რელიგიებიდან. სხვადასხვა ფორმებში — დაპკურებიდან წყალში სრულ ჩაყვინთვამდე, შელოცვით განწმენდიდან ახლადმოქცეულის სხეულზე მოზვრის სისხლის შესხურებით განწმენდამდე — თვალყურს ვადევნებთ მონათვლის წესჩვეულებას ორფეევსისა და ელევსინის მისტერიებში, იზიდას მისტერიებსა და ადონისის მისტიკურ კულტში და, განსაკუთრებით, ატისისა და მითრას მისტერიებში, რომლებმაც ხელი შეუწყვეს რომის იმპერიის ყველაზე შორეულ კუთხეებშიც კი მოზვრის სისხლით განბანვის — „ტაურობოლიოს" გავრცელებას.

ქრისტიანული მონათვლა ორი წარმოდგენის შეერთებიდან წარმოიშვა: ერთი — განსაკუთრებით , მაგიურ-შეწყალებითი, რაც ებრაელთა რელიგიაშიც იყო ცნობილი, და მეორე — მისაძღვნელი, რომელსაც იმ ახალ რელიგიურ სამყაროში შევ-

ყავართ, რომელიც ტანჯვისა და ბნელეთისაგან ადამიანის განთავისუფლების გარანტიას იძლევა და რომელიც იუდეველთა და ქრისტიანულ მითოლოგიაში ავი სულებისა და დემონის[1] სამეფოდ გარდაქცეულა.

ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინათ ვარაუდობდნენ, რომ ამ შეერთების პროცესი დასრულდა მხოლოდ ქრისტიანული წინასწარმეტყველების დასაწყისში. სწორედ ამასთან დაკავშირებით ნათლისმცემლად წოდებულმა იოანემ თითქოს პირველმა მოუწოდა თავის მიმდევრებს თავიდან მოიშორონ და იორდანეს წყალში ჩარეცხონ ყოველივე უწმინდური მონათელის მოლოდინში, რომელიც „ცეცხლითა და სულით“ მივა მათთან ესოდენ სასურველი მესიისაგან.

მაგრამ იუდეველთა უდაბნოს მანუსკრიპტებმა გვიჩვენეს, რომ მონათვლით განწმენდას იყენებდნენ მკვდარი ზღვის ნაპირებზე, იორდანედან რამდენიმე კილომეტრით სამხრეთისაკენ, მესიანური ტიპის რომელიღაც თემში ჩვენს წელთაღრიცხვამდე ჯერ კიდევ ასეული წლობით ადრე. სწორედ ასეთი თემის ატმოსფეროში მოხდა უბრალო სულიერი განწმენდი-

---

[1] სიტყვა „დემონი“ ბერძნული ენიდან წარმოიქმნა; იგი თავდაპირველად „სულს“, „ზებუნებრივ სულს“ აღნიშნავდა, ხანდახან — „გმირსაც“. ამ პირველ ეტაპზე დემონი არ ყოფილა თავისი „ბუნებით“ არც კეთილი, არც ბოროტი, მას მიაწერდნენ მორალური თვალთახედვით ნეიტრალურ ძალაუფლებას. დემონი „ენების მომტანი“ ხდებოდა საზოგადოების კლასებად დაყოფისა და ერთი მუჭა ადამიანების ხალხზე განუსაზღვრელი ძალაუფლების განვითარების კვალობაზე. სწორედ მაშინ წარმოიშვა წარმოდგენა ეშმაკის შესახებ (ბერძნულად — „diabolos“, ებრაული სიტყვის ჰას-სატანის“, „has-satan“ ზუსტი თარგმანი — სატანა, ტარტაროზი). ეს მტერი და ცილისმწამებელია. მაგრამ სანამ უხილავ ძალად გადაიქცეოდეს, რომელიც ებრაული, შემდეგ კი ქრისტიანული სარწმუნოების თანახმად ბოროტ ძალებს ხელმძღვანელობს ღმერთის წინასწარდასახულობის საწინააღმდეგოდ და ადამიანისადმი საზიანოდ მოქმედებს, ეშმაკმა თავისი თვისებები შეიძინა აღმოსავლეთის (სპარსეთიდან დაწყებული და შუამდინარეთით დამთავრებული) სოციალური და პოლიტიკური დუალიზმიდან. ანტიკური ეპოქიდან შუა საუკუნეებში გადასვლისას და შემდეგ, ჩვენს დროში, წარმოდგენა ეშმაკზე უცვლელად რჩება პოლიტიკურ და რელიგიურ შეხედულებათა კონტაქტის გავლენაში.

დან „განბანვის“ გზით მონათვლაზე, როგორც ახალი ქრისტიანული რელიგიის „კურთხევის“ საშუალებაზე, გადასვლა.

იმისაგან განსხვავებით, რაც ჩვენს დღეებში ხდება, ქრისტიანობის ისტორიის პირველ საუკუნეებში ნათლავდნენ მხოლოდ მოზრდილ მორწმუნეებს, რომელთაც უნარი შესწევდათ შეგნებულად მიდგომოდნენ ახალ სარწმუნოებას. იგი კოლექტიურადაც ხდებოდა. ვისაც სურვილი ჰქონდა ახალ რელიგიას ზიარებოდა, ნათლის მთელი ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, საზეიმო რიტუალის მოლოდინში, რომელიც, ალბათ, აღდგომის ღამეს სრულდებოდა, სწავლობდა მის მისტიკურ რელიგიურ წესჩვეულებებს. ასეთი იყო რომაული ეკლესიის ადათი. აღმოსავლურ ეკლესიებში კი კოლექტიური მონათვლისათვის ირჩევდნენ ეპიფანეს[1] ღამეს. თუმცა, პირველსა და მეორე შემთხვევაშიც ჩვ. წ. აღ.-ით V—VI საუკუნეებამდე მხოლოდ მოზრდილ ადამიანებს ნათლავდნენ.

ბავშვების მონათვლის ჩვეულება, რომელიც აღმოცენდა წესჩვეულების მექანიკური და თითქმის ცრურწმენითი გავრცელებისაგან (პირველ საუკუნეებში იყო შემთხვევები, როცა მორწმუნენი გარდაცვლილთა მაგივრად ინათლებოდნენ), მხოლოდ ხანგრძლივი დავის შემდეგ ვრცელდება. როგორც ცნობილია, მას ახლაც უარყოფს ბევრი არაკათოლიკური ქრისტიანული სარწმუნოება, რომელთაც ეკუთვნიან ბაპტისტებიც, რისთვისაც მათ ასეთი სახელწოდება მიიღეს. ისინი პრაქტიკაში წყალში სრულ ჩაშვებას იყენებენ, ისევე როგორც ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესიის მორწმუნენი, მაშინ, როცა კათოლიკები კმაყოფილდებიან ეგრეთ წოდებული ინფუზიის წესჩვეულებით (ახალშობილთათვის ცოტა წყალი უნდა დაესხათ თავზე), ანგლიკანები და პროტესტანტთა სხვა ჯგუფები კი იყენებდნენ მიპკურების წესჩვეულებას — ასპერზიას (წყლის წინწკლებს ტანზე აშხეფებენ, ისევე როგორც განწმენდის დროს საბერძნეთსა და რომში).

ბოლოს, საინტერესოა გავიხსენოთ ებრაული წარმოშობის ერთი ეთნიკური ჯგუფი „მანდეელთა“ სახელწოდებით, რომ-

---

[1] ე. ი. 6 იანვრის ღამეს. — რ ე დ.

ელიც ახლაც ცხოვრობს ერაყში, ბაღდადის ახლოს, და სა
კულტო საჭიროებისათვის სარგებლობს განვლილ პერიოდ
ში შესაბამისად შეცვლილი და შებღალული არამეული ენით
მათ შემორჩათ წმიდა ტექსტები, რომლებიც ძალიან ჰგვანან
მკვდარი ზღვის ნაპირებზე აღმოჩენილ ტექსტებს. მანდეელნ
ნათვლას ევფრატის გამდინარე წყლებში ასრულებენ, რო-
მელსაც ისინი იორდანეს უწოდებენ. ეს იმ რწმენათა და წეს-
ჩვეულებათა ძლიერ ზუსტი ასახვაა, რომლებიც ოდესღაც არ-
სებობდნენ პალესტინაში ჯერ კიდევ ახალი ქრისტიანული თე-
მების გამოჩენამდე.

5. ცოდვების აღსარება

მღვდელთან განმარტოებულად ცოდვების მონანიების ჩვე-
ულება გაჩნდა მხოლოდ შუა საუკუნეებში და თეოლოგიური
და საწესდებო კურთხევა მიიღო არა-უადრეს 1215 წლისა,
ლატერანის IV კრების შემდეგ.

კურთხევის მსგავსი ფორმები ქრისტიანობამ პირველ საუ-
კუნეებში სრულებით არ იცოდა. მაგრამ ყველაზე შორეული
დროის ყველა რელიგია წარმოგვიდგენს მონანიებისა და შე-
წყალების ცერემონიათა ნიმუშებს, რომელთა შორის ყოველ-
თვის მთავარია საკუთარი ცოდვების ს ა ჯ ა რ ო მონანიება.

პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოდგენა აღსარების
შესახებ განუყრელად არის დაკავშირებული თვით დანაშაუ-
ლის გაგებასთან. ცოდვაა ყველაფერი ის, რაც კლანის ან ტო-
მის კანონის დარღვევას წარმოადგენს დანაშაულის ყოველ-
გვარი მორალური შეფასების გარეშე. კოლექტივის ცხოვრე-
ბის მარეგულირებელი რთული აკრძალვების, ანუ ტ ა ბ უ ს,
დაუცველობას ცალკეული ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი
მიჰყავს დანაშაულის მდგომარეობამდე. წმინდა ცხოველის
ხორცის საჭმელად გამოყენება, რომელსაც კლანი თავის წინა-
პრად თვლის, ჯგუფის ერთ-ერთი წევრის მკვლელობა, წარუ-
მატებლობა ნადირობის ან თევზის ჭერის დროს, გამოუცნობი
ან სერიოზული სენით დაავადება, საკუთარი კლანის ქალთან
დაკავშირება და სხვ. — ყველაფერი ეს ცოდვად ითვლებოდა.

„შეცოდებას“ წარმოადგენს დანაშაულის არა მორალური აზრი, არამედ მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა.

ამ წარმოდგენათა ნაკვალევს ჩვენ ვააშკარავებთ ათ მცნებაში, რომელთაც ებრაელთა რელიგია მოსეს მიაწერდა. დანაშაული — ეს ეთიკური ნორმების დარღვევა კი არ არის, არამედ საკუთრების უფლებისა.

ცოდვილიანობის ასეთი გაგებისას სულ უფრო აუცილებელი ხდებოდა საჯარო ცერემონია, რომლის დროსაც მაგიური შელოცვების დახმარებით და ზოგჯერ სასტიკი წესჩვეულებით „ცოდვა“ იდევნებოდა დამნაშავის სხეულიდან ან ერთიანად მთელი კოლექტივიდან (კენიაში და გაბონის პიგმეებს შორის ახლაც ლაპარაკობენ, რომ ცოდვა „დაბერტყილიაო“). ასეთი ცერემონია განსაკუთრებით საჭირო იყო საზოგადოებრივი ან პირადი უბედურების, ეპიდემიის ან რომელიმე დასახული წამოწყების (ნადირობა ან ომი) დროს. ცოდვა რომ განდევნილიყო, საჭირო იყო იგი ცოდვების ჩამდენს წინასწარ ყველას გასაგონად ეღიარებინა ან გვარის ბელადს გამოეცხადებინა. მსგავსი წესჩვეულებანი შენარჩუნებულია აფრიკის, ცენტრალური და სამხრეთ ამერიკის, აზიის, არქტიკის, მელანეზიისა და ოკეანიის ბევრ ხალხში[1].

პირველყოფილი საზოგადოების დაშლასთან და კლასების გაჩენასთან ერთად აზრი „ცოდვის“ ცნებისა იცვლება და აღსარების წესჩვეულება სულ სხვა ხასიათს იღებს. ერთი მხრივ, ჩნდება გულმოდგინედ შემუშავებული კოდექსი, რომელიც საკუთრების კანონებზეა დამყარებული; მეორე მხრივ, დამორჩილებულ ფენებს შორის ცოდვა სიმბოლო ხდება ყველაფრისა, რაც გზას უხშობს ადამიანებს იდეალური ნეტარი მდგომარეობისაკენ. სწრაფად იცვლება აღსარების წესჩვეულება.

ბაბილონში მომნანიებელი წარსდგებოდა ქურუმი შემლოცველის წინაშე, აღიარებდა ჩადენილ ცოდვებს, ან იმ ცოდვებს, რომლებიც შეეძლო მას ჩაედინა. ქურუმი უკითხავ-

---

[1] R. Pettazzoni. La confessione dei peccati, 3 voll., 1929—1936, op. cit.

და მას დანაშაულთა გრძელ სიას. განწმენდის წესჩვეულება ცერემონიით მთავრდებოდა. ახალი წლის დღეს მთელი ხალხის ცოდვები მაგიის დახმარებით გადადიოდა ბებერ თხაში (ხეთებში — ცხვარსა ან ბატკანში), რომელიც შემდეგ ცოდვების ტვირთთან ერთად დასაკლავად მიჰყავდათ დაშორებულ ადგილზე. ეს წესი გადავიდა ებრაელებში. მისთვის დანიშნეს ებრაელთა ახალი წლის შემდეგ მეათე დღე, რაც შემოდგომის დასაწყისს ემთხვეოდა (ეს იყო ეგრეთ წოდებული კიპურის დღე, ე. ი. ცოდვების საზეიმო გამოსყიდვის დღე). ქრისტიანთა წარმოდგენა ღვთის კრავზე, რომელიც თავისთავზე ღებულობს ქვეყნის ცოდვებს, ამ წესჩვეულებიდან წარმოდგება.

ეგვიპტელებთან ვხვდებით სპეციალურ საალმსარებლო წესჩვეულების აღწერას მიცვალებულთათვის. ოზირისის მეთაურობით ღმერთების მნიშვნელოვანი შეკრების წინ, 42 მოსამართლის თანდასწრებით, რაც შეესაბამებოდა ძველი ეგვიპტის ადმინისტრაციული ოლქების რიცხვს, მომაკვდავს უნდა წარმოეთქვა გრძელი განცხადება: „მე ცოდვა არ ჩამიდენია, არ ვაიძულე ეტირნა და ეშიმშილნა, არ მომიკლავს“ და ა. შ. დასასრულ სასწორზე წონიდნენ მის გულს. თუ თქმული ყველაფერი მართალი იყო, მიცვალებულს გაამართლებდნენ, და ის შედიოდა ოზირისის სამეფოში, თუ არა — მას ღმერთების სასჯელი ელოდა.

სპარსეთში აღსარება მომაკვდავს უნდა წარმოეთქვა განსაკუთრებით წმინდა თუ არაწმინდა კანონის დარღვევის შემთხვევაში. წესჩვეულების დასასრულს აღსარების მიმღები ქურუმი სასიკვდილოდ გამზადებულ ადამიანს ტუჩებზე რამდენიმე წვეთ ჰაომას, წმიდა სასმელს დააფრქვევდა, რაც დამამთავრებელ მირონცხებას ნიშნავდა. ეს ინდო-ირანული სასმელი სანსკრიტულ ენაზე სომად იწოდებოდა. მას ამზადებდნენ წყალში, რძეში ან თაფლში ნარევი ერთ-ერთი მათრობელა მცენარის წვნით. ბერძნები ამ სასმელს „უკვდავების წამალს“ ეძახდნენ.

ბუდისტებთან ცოდვების საჯაროდ მონანიება ყველასთვის სავალდებულოა, ვინც კი ბერ-მონაზონური ცხოვრება ამოირჩია. ეს ცერემონია თვით ბუდას მიეწერება, მაგრამ ამის

შესახებ ლაპარაკია მხოლოდ ძველ ლიტურგიულ ტრაქტატებში, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-ით I—II საუკუნეების მიჯნას არ სცილდებიან. წესჩვეულება თვეში ორჯერ სრულდება, სავსე და ახალი მთვარის დროს, და მასში მთელი თემი მონაწილეობს. უხუცესი ხმამაღლა კითხულობს შეცოდებათა გრძელ სიას, სამგზის მოუწოდებს თითოეულ დამსწრეს დაფიქრდეს და ცოდვები მოინანიოს. დუმილი წმინდა სინდისის ნიშანია. ის, ვინც ჩირქმოცხებულია ოთხიდან ერთ-ერთი ადამიანური შეცოდებით (თავშეუკავებლობა, კაცისმკვლელობა, ქურდობა და მედიდურობა), დაუყოვნებლივ იქნება გაძევებული ორდენიდან.

რაღაც ამის მსგავსი გვხვდება თემური ცხოვრების წესების კანონში, რომელიც მკვდარი ზღვის მანუსკრიპტებშია აღწერილი. ცოტად თუ განსხვავდებოდნენ წესჩვეულებანი პირველი სამი-ოთხი საუკუნის ქრისტიანულ თემებშიც. ცერემონია საჯარო იყო და სარწმუნოების განდობისა და განახლების წინაპირობას წარმოადგენდა. მიუტევებლად ითვლებოდა სამი დანაშაული: მკვლელობა, სიმრუშე და რჯულგანდგომილობა. მაგრამ, თანდათანობით ეს დანაშაულობანიც მისატევებელი შეიქნა საზეიმო საჯარო მონანიებისა და ერთხელ შეცოდების პირობებით[1].

იმპერატორის ხელისუფლების მიერ ქრისტიანობის ცნობის შემდეგ საჯარო აღსარების შესრულება გადატანილ იქნა მონასტრებში, ამასთანავე ბერ-მონაზვნებს ებრძანათ მათი ცოდვების გამოსასყიდად ელოცნათ და ემარხულათ, თუ მათი დანაშაული ძმათა სრულ შეკრებაზე იქნა აღიარებული.

მსგავსი პრაქტიკის გავრცელება ერისკაცებზე და საჯარო აღსარების გარდაქმნა ინდივიდუალურ ან „აურიკოლიარულ" აღსარებად (ე. ი. მღვდელს ეუბნებოდნენ), ალბათ, VI—VII საუკუნეებში მოხდა კელტური ეკლესიის წიაღში, ირლანდიასა და ინგლისში, სადაც სამღვდელოებას მხოლოდ და მხო-

---

[1] სახარების ტერმინი „მეტანოია" („metánoia" — „ცხოვრების შეცვლა", „გარდაქმნა") ლათინურში გადატანილ იქნა სიტყვით „პენიტენციია" („poenitentia — „მონანიება"), მაგრამ ცოდვების მონანიებასთან მას არაფერი აქვს საერთო.

ლოდ ბერებისგან აგროვებდნენ. 789 წელს კარლოს დიდი შეეცადა თავისი იმპერიის მორწმუნეთა შორის ისეთი აღსარება შემოეღო, რომ ყველა მღვდელს მიეღო აღსარება თავისი მრევლისაგან. მაგრამ კიდევ რამდენიმე საუკუნე გახდა საჭირო, ვიდრე ეკლესია გადაწყვეტდა, რომ აღსარება სავალდებულოდ გაეხადა, ყოველ შემთხვევაში, წელიწადში ერთხელ მაინც, როგორც რაღაც საიდუმლოება, რომლის შემოღება თითქოსდა თვით ქრისტეს მიეწერება. შემუშავებულ იქნა წარმოდგენა აღსარების „საიდუმლოების“ შესახებ. ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის შეთანხმების მე-7 მუხლი იტალიაში აღმსარებლებს უკრძალავს „მისცეს ცნობები“ ადგილობრივ ადმინისტრაციას ან სხვა ხელისუფალთ იმ „პირების ან შემთხვევების შესახებ, რაც ცნობილი გახდა მათთვის მათი წმიდა მოვალეობის წყალობით“.

არავინ არ უნდა გაამჟღავნოს აღსარების დროს მოსმენილი საიდუმლოება, თუ „ამას არ მოითხოვს ეკლესიის უმაღლესი ინტერესები“. ეს ისეთი ფორმულირებაა, რომელიც სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს გაგებული და ყოველგვარი ბოროტმოქმედების ჩადენის საშუალებას იძლევა.

6. საეკლესიო უპირწინობა

ქრისტიანობის ისტორიის პირველ საუკუნეებში სამღვდელოებას უშუალოდ მორწმუნენი ირჩევდნენ პირდაპირი დემოკრატიული წესით (ხელის აწევით). დასავლეთის ძირითად ადმინისტრაციულ ცენტრებში ეპისკოპოსს ირჩევდნენ სამღვდელოებისა და ხალხის გაერთიანებული კრების საერთო თანხმობით. იმ დროს რომის ეპისკოპოსის არჩევა არსებითად არ განსხვავდებოდა საეკლესიო თანამდებობის პირთა არჩევნებისაგან სხვა ეპარქიებში.

თავდაპირველად ქრისტიანობა ბერძნულ ტერმინებს ხმარობდა იმ პირთა აღსანიშნავად, რომლებიც სხვადასხვა საეკლესიო მოვალეობას ასრულებდნენ: პრესბიტეროს Presbýte-

ros) — მღვდელი[1], ეპისკოპოს (episcopos) — ეპისკოპოსი და ა. შ. ეს ტერმინები იმ ებრაული ტერმინების სიტყვასიტყვით თარგმანს წარმოადგენენ, რომლებიც მკვდარი ზღვის მანუსკრიპტებში ნახეს.

სხვა წარმოშობისაა ტიტული „პაპა", რომელიც დიდი მღვდელთმთავრის (sommo pontefice)[2] სინონიმი გახდა. ამ ტერმინმა განიცადა განვითარება, რომელიც მნიშვნელობას არაა მოკლებული.

პაპი — ეს ხალხური ბერძნული სიტყვის „პაპას" (pápos) ლათინიზებული ფორმაა, რომელიც წარმოდგება „პაპპასისაგან" páppas)—საიდანაც შეიქმნა სიტყვა „პაპპოსი" (páppos) —პაპა მამის მხრივ, წინაპარი, უხუცესი. იუვენალი ხმარობდა მას აგრეთვე „ბავშვური ქცევის მოყვარული მოხუცის" აზრით. არ შეიძლება უცილობლად ვამტკიცოთ, რომ იგივე წარმოშობა ჰქონდა ეპითეტ პ ა პ ა ს, რომელიც თანდართული ჰქონდა ფრიგიაში ღმერთ ატისს, რომლის სადიდებლად ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ჰყვაოდა ხსნის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კულტი, მაგრამ ეს კიდევ დასაჯერებელია.

პაპის სახელი თავდაპირველად ყველა მღვდელს ენიჭებოდა, შემდეგ კი მხოლოდ ეპისკოპოსებს აძლევდნენ. ბერძნულ ეკლესიაში იგი ბოლოს და ბოლოს დარჩათ ალექსანდრიის, ანტიოქიის, იერუსალიმისა და კონსტანტინოპოლის პატრიარქებს, მაგრამ ხალხში უბრალო მღვდლებისადმი მიმართვის დროსაც ხშირად იხმარება. სამხრეთ იტალიის ზოგიერთ სოფელში ეს ძველებური ბიზანტიური ჩვეულება — დიდი პატი-

---

[1] აქედან მღვდლის სახელწოდება დასავლეთის ინდოევროპულ ენებში: „პრეზბიტე" („presbyter") ინგლისურად, „პრისტერ" („Priester") გერმანულად, „პრეტრ" („prêtre") ფრანგულად, „პრეტე" („prete") იტალიურად და ა. შ. — რ ე დ.

[2] ასეთი იყო რომაელთა ძველი ჭურუმების ტიტული, რომელსაც იმპერატორები ისაკუთრებდნენ იმპერატორ იუსტინე I-მდე (გარდაიცვალა 527 წელს). კათოლიკური ეკლესიის მეთაურმა ოფიციალურად პირველად მიიღო იგი აღორძინების დასაწყისში. ეს იყო პიუს II (1464—1471 წლები).

ვისცემის ნიშნად — ბოლომდე ჯერაც არ გამქრალა. ცნობილია, რომ რუსულად მღვდლები ჩვეულებრივ იწოდებიან „პოპებად“ (п о п) თუმცა, ამ სიტყვამ ფამილიარული ელფერი შეიძინა.

დასავლეთში IV—V საუკუნეებამდე პაპის ტიტული უცვლელად იყო გამოყენებული ყველა ეპისკოპოსის მიმართ, შემდეგ კი იგი თანდათანობით მხოლოდ რომის ეპისკოპოსს მიენიჭა. მაგრამ მაინც კიდევ მრავალი ასეული წლის განმავლობაში პაპს სხვა ადგილების ეპისკოპოსებსაც ეძახდნენ. VII საუკუნეში წმ. გალი იყენებს ამ ტერმინს დეზიდერ კაგორელზე ლაპარაკისას. და, ბოლოს, გრიგოლ VII-ემ 1073 წელს რომის სინოდში გამოაცხადა, რომ მხოლოდ რომის ეპისკოპოსს (და სხვას არავის) შეუძლია იწოდებოდეს ასეთი ტიტულით. მაგრამ გამოთქმა პ ა პ ა ტ უ ს ი XII საუკუნეზე ადრე არ გვხვდება (ამ ტიტულით პირველად მოიხსენიეს ლევ ოსტენზე).

ესოდენ მალალი პოსტის კანდიდატი ჩვეულებრივ ა რ ქ ი დ ი ა კ ო ნ ი იყო, ქალაქ რომის საეკლესიო ადმინისტრაციის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი პირი. თეორიულად ყოველ მორწმუნე მამაკაცს შეეძლო ეპისკოპოსის ხარისხისა და, მაშასადამე, რომის ეპისკოპოსის თანამდებობის მიღების იმედი ჰქონოდა, მაგრამ სინამდვილეში მაშინვე წარმოიშვა მრავალრიცხოვანი შეზღუდვები.

უკვე 769 წელს რომის სინოდმა გზა გადაუღობა საეპისკოპოსო ტახტისაკენ ყველას, ვინც კ ა რ დ ი ნ ა ლ უ რ ი მ ღ ვ დ ე ლ ი ან დ ი ა კ ო ნ ი მაინც არ იყო. მაგრამ მაშინაც კი ამორჩევა უნდა მოეხდინა ქალაქის სამღვდელოებას ხალხისა და თავადაზნაურობის თანხმობით. გავიდა კიდევ რამდენიმე საუკუნე და არჩევის უფლება მთლიანად გადავიდა კარდინალთა კოლეგიის ხელში. IX საუკუნის ბოლოს არჩევნებს ჯერ კიდევ ეპისკოპოს-კარდინალებსა და რომის სამღვდელოებას ევალებოდა სენატისა და ხალხის თანდასწრებით. 1059 წელს ნიკოლოზ II-ემ ხალხისა და სამღვდელოების მონაწილეობა დაიყვანა მათ მიერ არჩევნების უბრალო მოწონებამ-

დე. ასე გამოვლინდა მთელი ფეოდალური წყობის საზოგადოებისათვის დამახასიათებელი ცენტრალიზაციის პროცესი.

მღვდლების დაქორწინების აკრძალვა არც ისე ძველი დაწესებულია და, დიდი-დიდი, XII საუკუნეს ეკუთვნის. მხოლოდ 1123 წელს, პაპ კალისტე IX-ის დროს მსოფლიო საეკლესიო კრებამ (I ლატერანის) დააკანონა იგი მთელი სამღვდელოებისათვის.

ათას წელზე მეტი ხნის მანძილზე და, განსაკუთრებით, ქრისტიანობის ისტორიის პირველ ხანებში მღვდლებსა და ეპისკოპოსებს ცოლის შერთვისა და ოჯახის შექმნის სრული თავისუფლება ეძლეოდათ. სამღვდელოების მხოლოდ ყველაზე უფრო წარჩინებულ ფენებს შორის თანდათანობით გამომუშავდა მეუღლის სიკვდილის შემდეგ ხელმეორედ დაქორწინების აკრძალვა.

ახალი აღთქმის ზოგიერთ ტექსტში ქორწინება სამღვდლო ღირსებამდე აყვანის პირობადაც კი ითვლება[1]. მხოლოდ IV საუკუნიდან ბერ-მონაზონთა მოძრაობისა და ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განდგომის განწყობილებათა გავლენით, რომელიც ანტიკური მსოფლიოს ეკონომიური და იდეოლოგიური დაცემის შედეგი იყო, საეჭვო ხდება სამღვდელოების უფლება ცოლქმრობაზე. ამ საკითხის გადაწყვეტისას დასავლეთის ეკლესია გაეთიშა აღმოსავლეთის ეკლესიას. ბერძნულ-მართლმადიდებლური ეკლესიის, რუსული, კოპტური და ეთიოპური ეკლესიების მღვდლები ქორწინდებიან. იშვიათად ხდება დაქორწინება ეპისკოპოსად კურთხევის შემდეგ. ქორწინება ასევე არავითარ დაბრკოლებას არ წარმოადგენს საეკლესიო თანამდებობის დაკავების საქმეში პროტესტანტულ ეკლესიებში.

საეკლესიო დაუქორწინებლობა დასავლეთშიც წინააღმდეგობის გარეშე როდი იქნა მიღებული. პაპმა სირიციუსმა, რომელმაც 386 წელს სინოდზე დააწესა იგი აფრიკასა და ესპანეთში, ვერ გაბედა ოფიციალურად გაევრცელებია რომზე და იტალიაზე. ეკლესიის, საეპისკოპოსო და სამონასტრო ქონების

---

[1] ტიტეს მიმართ, თავი 1, მუხლი 5—6.

განუყოფლობაზე ზრუნვამ შემდეგ არანაკლებ ხელი შეუწყო ამ აკრძალვის გავრცელებას, ვიდრე მორალურმა და საწესდებო მოსაზრებებმა. დაუშვებლობა იმისა, რომ მღვდელს გაეჩინა ოჯახი და კანონიერი ბავშვები, აძნელებდა საეკლესიო ფეოდის დანაწევრებას.

ქალებთან მღვდლების „თანაცხოვრებას" განსაკუთრებით აუმხედრდნენ ბენედიქტეს ორდენის ბერები, კლუნის რეფორმის შემდეგ კი მათი შემოტევა დაუძლეველი შეიქმნა.

7. თავშეკავების მაგიური ფარმოშობა

პრაქტიკულად როგორ განხორციელდა თავშეკავება, რომელიც ძველი მსოფლიოს თითქმის არც ერთ რელიგიაში არაა ცნობილი, ამჟამად კი შენარჩუნებულია მხოლოდ კათოლიკური ეკლესიის წიაღში და ზოგიერთ მუსლიმანურ სექტებში, როგორც, მაგალითად, დერვიშებში?

უქორწინობის, როგორც მუდმივი ცხოვრებისეული ნორმის, იდეა არა მარტო უცხოა პირველყოფილი ხალხებისათვის და მონათმფლობელური ურთიერთობის საფუძველზე შექმნილი საზოგადოებისათვის, არამედ პირდაპირ წინააღმდეგობაში იმყოფება ძველი ღვთისმოსავობის ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ გამოვლენასთან, წინაპართა კულტთან.

მიცვალებული საიქიო ცხოვრებაში რომ მშვიდად ყოფილიყო, აუცილებელი იყო, ცრურწმენითი გადმოცემით, მისი შთამომავლებით უზრუნველყოფა. კრეტასა და სპარტაში კანონით მკაცრად იყო ნაბრძანები დაქორწინების აუცილებლობა. ათენში ქორწინება თითქმის სავალდებულო იყო, და მხოლოდ პლატონის დროიდან, ჩვ. წ. აღ.-მდე V საუკუნიდან განადიდებენ უქორწინო ცხოვრებას. თავი იჩინა სპარსული წარმოშობის დუალისტურმა და ზოგჯერ ორაზროვანი მოძღვრების გავლენამ (მათ შორის ჰომოსექსუალიზმის ჩვეულებამ); რომი ყოველთვის განიცდიდა ზიზღს უქორწინობისადმი. ავგუსტეს დროს ამის თაობაზე მიღებულ იქნა სასტიკი კანონები, რომლებიც ძალაში კონსტანტინეს შემდეგაც რჩებოდნენ.

თუ ყველაფერი ეს მთლიანად სამართლიანია, მართალია

ისიც, რომ პირველყოფილ საზოგადოებაში არსებობდა მრავალრიცხოვანი წესები და აკრძალვები განეხორციელებინათ ცხოვრების გარკვეულ პერიოდებში სქესობრივი კავშირი (მაგალითად, ნადირობის ან ომის დროს, ანდა ზეიმის მსვლელობაში). აი აქედან წარმოდგება ადამიანთა შეგნებაში ფესვგადგმული წარმოდგენა, რომ საქორწინო თანაცხოვრება დროდადრო შეიძლება საშიში იყოს ან ცოდვად ითვლებოდეს.

თავშეკავებამ თავიდან აშკარა მაგიური ხასიათი მიიღო; თვლიდნენ, რომ ადამიანი მთელ თავის ენერგიას უნდა წარმართავდეს საზოგადოებრივი ცხოვრების გარკვეული აქტების მოსახდენად (კურთხევა ტომსა და გვარში, მხედრული წესჩვეულებანი, ყოველგვარი სახის თავისშემწყალებლური რიტუალები), ამიტომაც წარმოიშვა დროებითი და მუდმივი ტაბუ, ანუ აკრძალვები მამაკაცებისა და ქალების სქესობრივ დამოკიდებულებაში.

შემდეგ პერიოდში ვითარდება წარმოდგენა იმის შესახებ, რომ ყველა, ვინც ღვთაებასთან არის დაახლოებული, უნდა იყოს, დროებით მაინც, წმიდა მდგომარეობაში, რასაც რომაელები კასტიმონიას (castimónia) ეძახდნენ, ესე იგი საწესჩვეულებო უბიწოებას. ასეთივე წარმოშობისაა ქურუმი ქალებისათვის სავალდებულო უმანკოება, რასაც ისინი ყოველთვის როდი იცავდნენ და რომელმაც გამოხატულება ჰპოვა ლეგენდებში.

თავდაპირველმა ქრისტიანობამ, თავის მხრივ, უბიწოებისა თუ ცოლ-ქმრობისაგან თავშეკავების არავითარი საერთო წესები არ იცის.

ამის გამო რჩევა-დარიგება, რომელიც აქა-იქ გვხვდება პავლეს ეპისტოლეებში, გამოწვეულია არა მორალური ხასიათის განზრახვებით, არამედ ქვეყნის გარდუვალი აღსასრულისადმი რწმენით. იმ საფრთხის თავიდან ასაცილებლად, რომელიც ადამიანს დაემუქრება სულ ცოტა ხნის შემდეგ, დამამთავრებელი აპოკალიფსური ტრაგედიის დღეებში, იგი რჩევას აძლევდა მშობლებს დაეცვათ ბავშვები ქორწინებისაგან და მორწმუნეთ ოჯახის ტვირთის გარეშე უცხოვრათ. ასე ადა-

მიანებს შეუძლიათ გულარხეინად და დაუბრკოლებლად გა-
დაიტანონ „გარდუვალი ტანჯვის“ გამოცდა[1].

IV საუკუნის ბერ-მონაზონთა ცხოვრებამ თეოლოგიური თვალსაზრისით მოგვცა სულსა და ხორცს შორის არსებული ძველი წინააღმდეგობის უფრო გარკვეული მორალური შინაარსი, რომელიც ახალ აღთქმაში ძირითადად კიდევ არ განშორებია სოციალური ფაქტორების დუალისტურ ზემოქმედებას. ამ აზრით უეჭველად გადამწყვეტი იყო ავგუსტინეს მოძღვრების მიერ აღთქმული მანიქეური წარმოშობის მითის გავლენა სექსუალური ნორმების დარღვევის გამო პირველშობილი შეცოდების შესახებ. უბიწოებას მაშინ განიხილავდნენ როგორც ხსნის უპირატეს პირობას. აქედან მოძრაობა ცოლქმრობის წინააღმდეგ, ყოველ შემთხვევაში იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც სურვილი ჰქონდათ საკუთარი თავი მიეძღვნათ ღვთის სამსახურისათვის.

მაგრამ როცა მორწმუნენი მსგავს შეხედულებამდე მივიდნენ, უკვე აღარ არსებობდნენ ეკონომიური და სოციალური პირობები, რომელთა შემწეობით ეკლესიის თავდაპირველი ორგანიზაციული სტრუქტურა ჩამოყალიბდა, ქრისტიანობა კი სულ სხვა რელიგიად გარდაიქმნა, ვიდრე უწინ იყო იგი.

---

[1] კორინთელთა მიმართ, თავი მე-7, მუხლი 26-ე.

ბუდა, კონფუცი და მუჰამედი

ბუდიზმი ქრისტიანობასთან და ისლამთან ერთად დღემდე ყველაზე უფრო გავრცელებული სამი რელიგიის რიცხვში შედის. თუმცა, ანალოგია ამით არ ამოიწურება.

ქრისტიანობისა და ისლამის მსგავსად, ბუდიზმი მოძღვრებაა ტანჯვის გამოსყიდვისა და საყოველთაო ხსნის შესახებ. ბუდიზმი, ისევე როგორც ქრისტიანობა და ისლამი, ჩაისახა და ვითარდებოდა ხანგრძლივი დროის განმავლობაში, ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნესა და ჩვ. წ. აღ.-ით VIII საუკუნეს. შორის, როცა შეიქმნა, განმტკიცდა და შემდეგ დაიშალა საზოგადოების მონათმფლობელური ფორმაცია. მან გამოიარა თითქმის ათას ხუთასი წელი სოციალური ევოლუციისა და სარწმუნოების დამუშავებისა, რომელიც სხვადასხვაგვარ ხასიათს იღებდა ამა თუ იმ გარემოს სპეციფიკური ეკონომიური და სულიერი პირობების გამო.

თავდაპირველად ბუდიზმი გავრცელებული იყო ჩრდილოეთ ინდოეთში, ჰიმალაის მთებთან, ნეპალის სამხრეთით, პატარა სახელმწიფოში. ბუდიზმი, ისევე როგორც ქრისტიანობა და ისლამი, აღმოცენების რაიონში შედარებით ცოტა ხანს დარჩა. თავის ყველაზე უფრო დიდ წარმატებებს ბუდიზმმა მიაღწია „მისიის მიწაზე" აზიის აღმოსავლეთ ნაწილში, სადაც

სხვადასხვა ფორმით იგი არანაკლებ 500 მილიონი ადამიანისათვის კვლავ გაბატონებულ კულტად რჩება.

დაბოლოს, ბუდიზმიც „დიდი ერესის“ სახით გაჩნდა, ვინაიდან გარკვეულ მომენტში ეს რელიგიური მოძრაობა გამოეყო უფრო ადრინდელ ტრადიციას და განვითარდა დამოუკიდებლად, მაგრამ ინდოეთის სხვა რჯულის ფილოსოფიურ-რელიგიურ მოძრაობასთან, ჯაინიზმთან ერთად[1].

ურთიერთობა ინდოეთში ძველ ვედურ რელიგიასა და ბუდას მოძღვრებას შორის არსებითად ქრისტიანობისა და ებრაელთა რელიგიას შორის დამოკიდებულების მსგავსია. ბუდიზმი აგრეთვე არ ყოფილა შექმნილი რომელიმე ერთი პიროვნების მიერ და წარმოიშვა იმ სოციალურ და სულიერ პირობებში, რომელთაც შექმნეს წანამძღვრები მისი თავდაპირველი იდეოლოგიური და ორგანიზაციული განვითარებისათვის[2].

1. პრინცი გაუტამა

სავსებით ბუნებრივია, რომ ბუდისტური ლიტერატურა მოძრაობის დაარსებას მიაწერს ლეგენდარულ პერსონაჟს, საკია-მუნს თუ სიდარტას, რომელიც თითქოს ხუთი თუ ექვსი საუკუნის წინ ჩვ. წ. აღ.-მდე განსახიერდა ინდოეთის პრინცის გაუტამას (სანსკრიტის ენაზე), ანუ გოტამას (პალის ენაზე) სახით.

ამ ლეგენდას, უეჭველად, გააჩნია რაღაც ფაქტიური საფუძველი. მაგრამ სანსკრიტისა და პალის ენებზე არსებული საღვთო ბუდისტური ტექსტების გამოკვლევამ, აგრეთვე შესატყვისი არქეოლოგიური მასალების შესწავლამ დაგვანახა, რომ მითი რელიგიის ფუძემდებლის ცხოვრების შესახებ დამუშავებულ იქნა შედარებით გვიან, მორალური აღზრდისა და

---

[1] იხ. ძველი, მაგრამ ჯერ კიდევ მაინც საინტერესო მონოგრაფია: A. Ballini. Il Jainismo. Venezia, 1915 (2 ed., 1922).

[2] იხ. P. Masson-Oursel, H. De Willmann-Grabowska, Ph. Stern. L'Inde ancienne et la civilisation indienne. Paris, 1951 („L'évolution de l'humanité“, XXVI).

სხვა მორწმუნეთა შორის რელიგიის გავრცელების მიზნით. ყოველ შემთხვევაში, ეს მოხდა მისი ნავარაუდევი ისტორიული არსებობის ხუთი თუ ექვსი, თუ მეტი არა, საუკუნის შემდეგ.

ბუდიზმის ფუძემდებლის უძველესი ბიოგრაფია, რომელიც ჩვენს ხელთაა, ჩვ. წ. აღ.-ით I საუკუნეს ეკუთვნის, იგი ჩვენს სახარებაზე რამდენადმე ახალგაზრდაა. სხვა წყაროები, თუმცა მათ განსაკუთრებით ძველ წყაროებად თვლიან, ჩვ. წ. აღ.-ით II—IV საუკუნეებზე უფრო ადრეულ პერიოდს არ ეკუთვნიან[1].

მეორე მხრივ, სახელი ბუდა „გასხივოსნებულს" აღნიშნავს. იგივე ტიტული აქვს მიცემული ასეულობით სხვა, ამა თუ იმ სახით გამოგონილ პერსონაჟს, რომლებიც რაღაც „შინაგანი გაბრწყინების" საშუალებით „უმაღლესი ნეტარების მდგომარეობას" აღწევენ, რაც ყველა შესაძლებელი სურვილის ჩახშობისა და ადამიანური ინდივიდუალობის მოსპობით გამოიხატება. ბუდისტურ თეოლოგიაში ათასზე მეტი ასეთი ზებუნებრივი არსებანი ითვლებიან, რომლებიც თანდათანობით პატარა კერპებად, ხალხის თაყვანისცემისა და პატივისცემის საგნებად გადაიქცნენ. ისინი მოხვდნენ აგრეთვე ბუდიზმის მიერ გავრცელებულ ახალ მსოფლშეცნობაში.

ყველაფერი, რაც შეიძლება ითქვას „ისტორიულ" ბუდაზე, სულ რამდენიმე სტრიქონში თავსდება.

იგი დაიბადა ჩვ. წ. აღ.-მდე VI საუკუნის შუახანებში მაღალი წრის ოჯახში, რომელიც ფლობდა პატარა მამულს ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის ყველაზე დაშორებულ ნაწილში, სადაც მუდმივად ჩნდებოდნენ ურიცხვი სამთავროები, ეს სამთავროები მონობის ფორმირებისა და ინდოეთის პირველყოფილი თემის დაშლის პირობებში ყალიბდებოდნენ, თემისა, რომელიც დაქუცმაცებული იყო ურიცხვ მესაქონლე და მიწათმოქმედ ტომებად. დაშლის პროცესში მყოფი ეს თემი

[1] წყაროების შესახებ ცნობებისათვის შეიძლება გამოვიყენოთ „Bibliographie bouddhique", I—VII. Paris, 1930—1937 („Documents et travaux pour l'étude du Bouddhisme, publiés sous la direction de Jean Przyluski").

ინდუისტური ღვთაებანი და წმინდანნი კამბოჯის ტაძარში.
ცენტრში — ცოლ-ქმარი შივა და პარვატი

ლიგიის სფეროში ადგილობრივ ღვთაებათა და წესჩვეულ
ია სიუხვით გამოირჩეოდა, რაც ბრაჰმანთა კასტის წევრებ
ციალობა იყო.
რიგვედას ჰიმნებში აღბეჭდილი ბრაჰმანიზმი თავის საწ

ყის ფაზაში რწმენათა ჯამის სახით წარმოგვიდგება, რომელიც ძველი ბერძნებისა და რომაელების რწმენასთან საკმაოდ ახლოს დგას. ბრაჰმანიზმი ბუნების ძალთა ანთროპომორფულ ღმერთებად გარდაქმნასთანაა დაკავშირებული (აგნი — ცეცხლის ღმერთი, ადიტი—ღმერთების დედა, ვარუნა—წყლის ღმერთი, დიაუს-პიტარი, — იგივეა, რაც ზევს-პატერი ან იუპიტერი, ესე იგი მამა-ღმერთი და ა. შ.). ინდოეთში შეჭრამდე არიელი ხალხები უკვე შეეიდნენ განვითარებულ მონათმფლობელურ ფორმაციაში და ზეცაში გადაიტანეს მათი ადათ-წესები და კლასობრივი ურთიერთობანი[1]. ამ ხალხებისთვის დამახასიათებელი იყო ხელშეუვალი და ყოვლადძლიერი, კარჩაკეტილი ქურუმთა კასტების არსებობა, რომლებიც დღემდეა შემორჩენილი ბრაჰმანების ან ბრამინების სახელწოდებით[2].

ბრაჰმანიზმის მოძღვრება იმდენად გამდიდრდა ფილოსოფიური და მეტაფიზიკური ელემენტებით უპანიშადიდან, რომ არსებითად განსხვავებული გახდა თავდაპირველი არიული რელიგიისაგან. ამ რელიგიაშიც რაღაც უმაღლესი მსოფლიო სულის — („ბრაჰმანის") შესახებ წარმოდგენაში, რომელთანაც ხელახლა შეერთებისაკენ მიისწრაფვის ყოველგვარი ტანჯვა-

---

1 ანტიკური ეპოქიდან დაწყებული ამტკიცებდნენ, რომ ინდოეთში მონობა არ არსებობდა. ამასთანავე დიოდორე სიცილიელისა (II, 35—42) და სტრაბონის (XV, I, 53—60, 58, 60) ზოგიერთ ადგილს ეყრდნობოდნენ. ამ დებულების გაბათილებას, რომელსაც ჯერ კიდევ გასაკვალი აქვს ძველი ყაიდის აღმოსავლეთმცოდნეთა შორის, შეიცავს, უკვე ციტირებული შრომა: Дев Радж. Рабство в древней Индии აღნიშნულია, რომ ცნება „მონა" სანსკრიტში აღინიშნება სიტყვით — „დასა" („dâsa"), მდედრობით სქესში (რუსულად) — „даси", „рабыня". მაგრამ მონები სწორედ ამ სიტყვით იყვნენ სახელდებული ჩრდილო-დასავლეთ ინდოეთის ხალხთა მიერ, სანამ არიელმა ტომებმა არ მოაქციეს ასინი მონობაში ჩვ. წ. აღ.-მდე თითქმის 1400 წლით ადრე.

2 ეს სახელი ვედურ რელიგიაში აღნიშნავდა შემლოცველთ, ანუ შამანებს, რომლებიც თავიანთი შელოცვებით უზრუნველყოფდნენ მსხვერპლად შეწირვას. შემდეგში ბრამინებმა მიწის საკუთრებასთან ერთად მონოპოლიზაცია უყვეს ღვთის სამსახურისა და საზოგადოების აღზრდის ყოველგვარ ფორმას და გაავრცელეს თავიანთი გაელენა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სხვა გამოვლენაზე.

ბუდას აცდუნებს ეშმაკი.
კედლის ძველი მხატვრობა

წამების სათავესთან — ადამიანის სხეულთან („კარმანი") შერწყმული და ვალდებულებათა მძიმე წრესთან და შრომასთან მიჯაჭვული თვით ადამიანის სული, გამოხატულებას პოულობს იმედი მილიონობით ადამიანისა ბედნიერებისაკენ. მორწმუნეს იმედი ჰქონდა, რომ განთავისუფლდებოდა ტანჯვისა და უსამართლობისაგან და შეუერთდებოდა აბსოლუტს, რომელსაც იგი მიაღწევს ხან ჯოჯოხეთში, ხან ზეცაში მონაცვლეობითი ყოფნის შემდეგ, არსებობის მრავალგზისი შეცვლისა და სხვადასხვა განსახიერების შემდეგ.

უფიქრდებოდა რა ამ პრობლემებს, რომლებიც ვედური რელიგიის მორწმუნეებს მანამდეც აწუხებდნენ და რომლებაც ჯერ კიდევ არ შეეძლოთ ასახულიყვნენ რომელიმე მოძღვრებაში, რომელიც მასებში გავრცელებას შეძლებდა, 29 წლის ახალგაზრდა მთავარმა მიატოვა მამის სახლი და ღარი-

ბულ, ფრანცისკანული ორდენის ღატაკი ბერების მსგავს ასკეტურ ცხოვრებას ეზიარა.

რიგი წარუმატებელი ძიების შემდეგ გაუტამამ წმინდა ხის ძირში მიიღო ბოლოს და ბოლოს დიდი „ზეშთაგონება" („ბოდჰი" — „ნათელჰვრეტა"). ამ ლეგენდარული ხის ძირკვს დღესაც უჩვენებენ მორწმუნეებს. ამ ზეშთაგონების, გამოცხადების არსი, უძველესი წყაროების თანახმად, გამოიხატებოდა ქვეყნის ტანჯვა-წამების მიზეზებისა და გზის „აღმოჩენაში". რომლითაც საჭიროა, სოციალური მდგომარეობის მიუხედავად, ნირვანას აბსოლუტური ნეტარებისაკენ ადამიანების წაყვანა. ნირვანა გაგებულ უნდა იქნეს, როგორც შეწყვეტა, შობისა და აღორძინების ხანგრძლივად შენაცვლების შემდეგ, ყოველგვარი შეგრძნებისა და ყველა სურვილისა და, მაშასადამე, ყოველგვარი ტანჯვისა და ყოველნაირი იმედის გაცრუებისა[1].

ბუდიზმი წინაღუდგომლობისა და ყოველგვარი საზიარო და ინდივიდუალურ საქმიანობაზე უარისთქმის თეორიაა. რომლის გამო ინდოეთი შემდეგ ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე, თვით ახლანდელი ეროვნული აღმავლობის დაწყებამდეც კი, სხვისგან დამოკიდებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა.

ყველა დანარჩენი ცნობა ბუდას ცხოვრების შესახებ — მისი უბიწო მუცლად ღება (როგორც ეს ქრისტეს შესახებ მითშია), ცთუნება ეშმაკის მხრივ (მარა — სიკვდილის ეშმაკი — სთავაზობს მას ძალაუფლებასა და ცხოვრების მთელ სიხარულს, ზუსტად ისევე, როგორც სახარების ლეგენდაში სატანა — იესოს), მრავალრიცხოვანი სასწაულები, მისი სიკვდილის თანმხლები სეისმური მოვლენები — ყველაფერი ეს ბუდასადმი თაყვანისცემის გამოვლენაა, ასეული წლების მანძილზე რომ გროვდებოდა და ასე ძლიერ რომ ემსგავსებიან სხვა დიდი რელიგიების ფუძემდებელთა შესახებ ლეგენდებს.

---

[1] იხ. Giusseppe Tucci. Il buddhismo. Foligno, 1926 („Biblioteca di critica religiosa diretta da Ernesto Buonaiuti", I). კლასიკურ შრომად რჩება: Г. Ольденберг, „Будда, его жизнь, учение и община". М., 1905. ცნობებისათვის სასარგებლო წიგნია აგრეთვე E. Couze. Le bouddhisme dans son essence et son développement, Paris, 1952.

შუა საუკუნეებში მონასტრებსა და ქრისტიანულ ეკლესიებში დიდი გავრცელება ჰპოვა ორი „წმიდანის“, სახელგანთქმული ვარლაამისა და იოსაფატის ცხოვრებამ, რომელთა ბიოგრაფია სხვა არა არის რა, თუ არა ქრისტიანულ ყაიდაზე მოთხრობილი ბუდას ერთ-ერთი ბიოგრაფია, დამახასიათებელი და არც ისე იშვიათი მოვლენა რელიგიური იდეოლოგიის ისტორიაში[1]

2. მორჩილების დოქტრინა

ბუდას მოძღვრების ძირითადი ბირთვი შეიცავს ოთხ ჭეშმარიტებას: ჭეშმარიტებას ტანჯვის შესახებ, მისი წარმოშობის, ტანჯვის ჩახშობისა და ტანჯვის თავიდან აცილების საშუალებათა შესახებ. ასეთია გამოხატულება იმ დროის ადამიანთა უძლურების, უილაჯობის, უუნარობისა მიეღწიათ თავიანთი ძალებით ბედნიერებისა და სოციალური და კულტურული თანასწორობისათვის.

როგორც ჩანს, ამგვარი მოძღვრება, რომელიც მორჩილებასა და თავის დამდაბლებას ქადაგებდა, უპასუხებდა არა მარტო სასოწარკვეთილი მოსახლეობის დაბალი ფენების სულიერ მოთხოვნილებებს, არამედ აგრეთვე პრივილეგიური კლასების საჭიროებებსაც, რომელთაც ეს მოძღვრება საკუთარ დამაკმაყოფილებელი იდეოლოგიური ბაზით უზრუნველყოფდა. არაფერია საკვირველი იმაში, რომ ჩვ. წ. აღ.-მდე III საუკუნეში მეფე აშოკმა, დინასტიის მეთაურმა, რომელიც იბრძოდა თავისი სკიპტრის ქვეშ ინდოეთის დიდი ნაწილის გაერთიანებისათვის, მიიღო ბუდიზმი და თავგამოდებით უწყობდა ხელს ახალი მოძღვრების წარმატებასა და გავრცელებას მისი ორი ძირითადი ნაირსახეობით: „პატარა ეტლი“ — უფრო ძველი და „დიდი ეტლი“ — უფრო გვიანი და უფრო გავრცელებული მიმდინარეობა ბუდიზმისა თავის ქვეყანასა და

[1] თვით კათოლიკე მკვლევარები იძულებულნი არიან ეს სიამოვნება არ შეიმჩნიონ და უკვირთ ეს „განსაცვიფრებელი ისტორია... ნამდვილი ინტერნაციონალური ლეგენდისა“, როგორც ეს ამას წინათ განაცხადა ანრი დე ლიუბაკმა (იხ. Henri De Lubac. La rencontre du Bouddhisme et de l'occident. Paris, 1952, გვ. 28.

მის ფარგლებს გარეთ[1]. ბუდიზმი, რომელიც ვრცელდებოდა აღმოსავლეთ აზიის რაიონებში, სადაც სოციალური პირობები განსხვავებული იყო ჰიმალაის მთების ძირში მდებარე პატარა სამთავროს ვითარებისაგან, სულ უფრო მეტ აღიარებას პოულობდა მანამ, სანამ მთელ რიგ ხალხებში არ შეავიწროვა წინანდელი კულტები. ბუდიზმი შეუცნობად, ციურ ღვთაებათა და სულთა რელიგიად გადაიქცა; მთავარი ადგილი მასში დაიკავეს წესჩვეულებებმა, სახვითმა ხელოვნებამ, მუსიკამ, საღვთო ცეკვებმა და საზეიმო მსვლელობამ.

რელიგიური ცხოვრების დამახასიათებელ წარმომადგენლად ამ რაიონებში — ცეილონიდან ბირმამდე და ტაილანდამდე, ვიეტნამამდე და ჩინეთამდე, კორეამდე და იაპონიამდე, ტიბეტამდე და მონღოლეთამდე ახლაც რჩება თავგაპარსული ბუდისტი მღვდელი („ბონზა"), შემოსილი განიერი ყვითელი ტანსაცმლითა და ქამარზე მიბმული შეწირულებისათვის განკუთვნილი ჯამით.

ინტერესმოკლებული არაა ბუდისტური კულტის სპეციფიკური ნაირსახეობა, რომელიც ტიბეტში ცნობილია ლამაიზმის სახელწოდებით, ტიბეტური ტიტულიდან — ლამა (მასწავლებელი, მოძღვარი), რომელიც ადგილობრივი იერარქიის ყველაზე წარჩინებულ ბერებს ენიჭებათ. ლამაიზმი არა მარტო ტიბეტშია გავრცელებული, არამედ მონღოლეთისა და ციმბირის ზოგიერთ რაიონშიც.

მიღებულია, რომ ლამაიზმი ბუდიზმისაგან არსებითად არაფრით განსხვავდება; მაგრამ ასეთი მოსაზრება სამართლიანია სიტყვის მხოლოდ ფართო მნიშვნელობით, რამდენადაც ბუდას თავდაპირველი მოძღვრება ტიბეტში უძველესი ანიმიზმისა და შამანობის ფორმებს შეერწყა, რასაც ტიბეტელნი ბონს ან ბონ-პას უწოდებენ. ამის შედეგად ბუდიზმმა სერიოზული ცვლილებანი განიცადა. მან ტიბეტში შედარებით გვიან შეაღწია, მიიღო რა თავისებური თეოლოგიური და საწესჩვე-

---

[1] მკითხველს ვურჩევთ წაიკითხოს რ. პეტაცონის მიერ გამოცემული და კომენტირებული ბუდისტური ტექსტების მოკლე ანთოლოგია (R. Pettazzoni. Letture religiose. Firenze, 1959, გვ. 188—257).

ულებო ფორმა, რომელსაც ორიენტაცია ეგრეთ წოდებულ ტანტრასკენ, ანუ „წმინდა წიგნებისკენ“ ჰქონდა. ისინი შედგენილი იყო სანსკრიტის ენაზე ინდოეთში ჩვ. წ. აღ.-ით VII და IX საუკუნეებს შორის. მათში შეხამებული იყო ინდოეთის რელიგიისათვის დამახასიათებელი ძველი წარმოდგენები მისტიკური ცოდნისა და მაგიური შელოცვების საშუალებით ღვთაებასთან შეერთების შესახებ და უფრო სპეციფიკური ბუდისტური მოძღვრება სულის გარდასახვის შესახებ (მეტამპსიქოზი), სამყაროს შექმნისა და დანგრევის, ზეადამიანური ძლევამოსილების დაუფლებისა და მარადიული ნეტარების მიღწევის საშუალებათა შესახებ.

ლამაიზმის ერთ-ერთ პირველ ფუძემდებლად ითვლება ბუდისტი მისიონერი პადმა სამბჰავა, რომელმაც, გადმოცემით, გადაიარა ჰიმალაი და დაახლოებით ჩვ. წ. აღ.-ით 750 წელს დასახლდა ტიბეტის ზეგანზე და თითქოს იქვე დააარსა ეგრეთ წოდებული „წითელი ქუდების“ სექტა. მსგავსი ჯგუფები ახლაც არსებობენ, მაგრამ მათ დაკარგეს თითქმის მთელი თავდაპირველი თვითმყოფობა. ახალი მიმდინარეობის სასტიკი დევნის შემდეგ წარმოიშვა მეორე რეფორმა, რომლის შთამაგონებელი იყო ცზონკავა (1355—1491), ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვარი ლხასის მიდამოებში, იქ, სადაც ჩვ. წ. აღ.-ით VII საუკუნიდან თავმოყრილი იყო უმნიშვნელოვანესი ბუდისტური მონასტრები. კულტის რეორგანიზაციის გზით იგი ესწრაფვოდა აღედგინა წინანდელი წესდება, საკალდებულოდ გაეხადა უქორწინობა, ჩვეულებად ექცია ზოგიერთი დამახასიათებელი ტანსაცმელი და მოწყალების შეგროვება. მსგავსმა რელიგიურმა დაჯგუფებებმა მიიღეს „ყვითელი ქუდების“ სახელწოდება; VIII საუკუნის „წითლებისაგან“ განსხვავებით, ისინი თვითონვე უწოდებენ საკუთარ თავს „უბიწო სექტას“. სექტის მეთაური დალაი-ლამად იწოდება. ეს სასულიერო და საერო თვითმპყრობელია. ტიბეტს თეოკრატიული მთავრობა მართავს. მთელი ძალაუფლება ბერებს ეკუთვნით, მათ ხელმძღვანელებს კი ირჩევენ გარშემომდებარე მთიანი რაიონების ფეოდალური ოჯახებიდან.

ტიბეტის ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ პირველი და-

ლაი-ლამა ცზონკავას ძმისწული იყო, მაგრამ არის ცნობა, რომ თვით ეს ტიტული მხოლოდ 1568 წელს გამოჩნდა, მისი მესამე მემკვიდრის დროს, რომელმაც ბუდიზმზე მოაქცია მონღოლთა დიდი ხანი, რისთვისაც დაჯილდოვდა დალაის ტიტულით (რაც მონღოლურად „ოკეანეს“ ნიშნავს და ჩვეულებრივ იხმარება როგორც საპატიო ეპითეტი). დიდი ლამა პოტალას უზარმაზარ სასახლეში ცხოვრობს, ლხასაში. იგი ითვლება ბოდჰისატვის ცოცხალ განსახიერებად, ბუდას ერთ-ერთ, თუმცა არც ისე დიდ, გამოვლენად. ტიბეტის სახელმწიფოში მეორე კაცს წარმოადგენს პანჩენ-ლამა, რომელიც ბუდას ერთ-ერთ ყველაზე უფრო მაღალ გამოსახულებად, ამიტაბჰას განსახიერებად ითვლება. სულ ბოლო დრომდე მისი რანგი, არსებითად, დალაი-ლამაზე დაბალი იყო. 1663 წლიდან იგი ცხოვრობს ცალკე მონასტერში და ტიბეტელნი მას „დიდ და ძვირფას პანდიტს“ უწოდებენ.

ლამაიზმის მოძღვრების თანახმად, ქურუმები და უფრო მნიშვნელოვანი მონასტრების წინამძღვრებიც კი — ეს სხვადასხვაგვარ ადგილობრივ ღვთაებათა და ბუდიზმის მთავარ წმინდანთა გარდასახვაა. ქვეყნის ჩამორჩენილობამ და დასამუშავებლად ვარგისი მიწების ან თევზსაჭერი ადგილების მეტისმეტმა დაქუცმაცებულობამ, ხშირად მიუვალ ადგილებზე, ზღვის დონიდან 4000 მეტრ სიმაღლეზე რომ მდებარეობენ, ბერ-მონაზონების განსაკუთრებული ზრდა გამოიწვია. ხუთიდან ერთი ტიბეტელი რომელიმე რელიგიურ ორდენს ეკუთვნის. ლხასის მახლობლად სამ დიდ მონასტერში არანაკლებ 20 ათასი ბერი ცხოვრობს. მარტო დრეპუნგის სამწყსოში 10 ათასი ბერია, რისთვისაც სამართლიანად თვლიან მას მსოფლიოში ყველაზე დიდ მონასტრად.

ბუდისტური მოძღვრების სპეციფიკური ცენტრალურაზიური ფორმის თანახმად, როცა დალაი-ლამა კვდება, ის დაუყოვნებლივ ხელახლა სახიერდება. მომდევნო წლებში წარმოებს ყველა იმ ბიჭის საგულდაგულო ძებნა, რომლებიც რაიმე შესაბამისი ნიშნით გამოირჩევიან (მაგალითად, ხალით, წაგრძელებული თვალებით, უჩვეულო დიდი ყურებით და ა. შ.). ბერათებს მათი სახელებით ჩაუშვებენ ოქროს ლარნაკში, და რთუ-

ლი და საოცარი ცერემონიალის შემდეგ ერთ-ერთს ამოიღებენ. განსვენებული დიდი ლამას გარდმოსახვა ხორციელდება. ამ მომენტიდან ახალი „ცოცხალი ბუდა" მოექცევა მკაცრი აღზრდელების — ქურუმების ხელში; მას უფლება აღარა აქვს შეხვდეს ქალებს, საკუთარ დედასაც კი. XIII დალაი-ლამა 1933 წელს გარდაიცვალა, ახლანდელი, XIV, „აღმოაჩინეს" და აიყვანეს ტახტზე ლხასში 1939 წელს[1].

ლხასის მსხვილ მონასტრებს აქვთ თეოლოგიური ფაკულტეტები და ისინი კათოლიკურ და პროტესტანტულ სემინარიებზე უფრო ცუდად როდი არიან ორგანიზებული. მათში თავმოყრილია ბუდიზმის, განსაკუთრებით მისი ყველაზე ძველი ფორმების შესასწავლად აუცილებელი წმიდა ტექსტები. ლამაისტური ლიტერატურა წიგნების დიდძალ რაოდენობას ითვლის. მხოლოდ ერთი კანონიკური სამართალი ას ტომში მაინც არის გადმოცემული, რომელთაც ემატება 250-ზე მეტი კრებული კომენტარებითა და ახსნა-განმარტებებით.

რაც შეეხება ინდოეთს, იქ მუსლიმანური ხალხების შემოსევათა შედეგად ბუდიზმი პრაქტიკულად ჩვ. წ. აღ.-ით XI—XII საუკუნეებში აღარ იყო. მორწმუნეთა პატარა ჯგუფი, დაახლოებით 250 ათასი კაცი, შემორჩა ნეპალში და მის მომიჯნავე ოლქებში. ინდოეთის უზარმაზარი ნახევარკუნძულის დანარჩენი მცხოვრებნი ან ძალით არიან მოქცეულნი მუსლიმანობაზე (დაახლოებით 100 მილიონი; ისინი ახლა თითქმის ყველა თავმოყრილია ახალ სახელმწიფოში — პაკისტანში), ან დაუბრუნდნენ ადგილობრივი მოსახლეობის სარწმუნოების ძველისძველ ფორმებს (ინდუიზმი, ანუ ნეობრაჰმანიზმი, რომელიც თითქმის 300 მილიონ მორწმუნეს მოიცავს).

[1] ამჟამად ტიბეტში, ჩინეთის ამ ძველისძველ ტერიტორიაზე, ტიბეტის ავტონომიური რაიონის შესაქმნელად მოსამზადებელი კომიტეტი შეიქმნა, რომელმაც მთავრობის ფუნქციები უნდა შეასრულოს და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს უნდა დაექვემდებაროს. ლამები უკვე ვეღარ სარგებლობენ საერო ხელისუფლების სრული უფლებით; დალაი-ლამა ჩინეთის საზღვრებს გარეთ იმყოფება. ტიბეტელი ხალხის წინაშე ახალი, დემოკრატიული და სოციალისტური ტიბეტის აშენების პერსპექტივა გადაიშალა — რ ე დ. (1962 წლის რუსული გამოცემის შენიშვნა).

რელიგიის ისტორია ჯეროვნად აფასებს თავმდაბალი სახელმწიფო მოღვაწის კონფუცის პიროვნებას, რომელიც 600 წლით ადრე ცხოვრობდა ქრისტიანობის წარმოშობამდე, ამასთან, არ ამცირებს ამ პირველი და ყველაზე სახელგანთქმული ჩინელი ფილოსოფოსის მნიშვნელობას.

ძველი ფეოდალური ჩინეთის გაბატონებული კლასები იცავდნენ ლეგენდას კონფუცის შესახებ, რომელშიც იგი თაეისებურ წმინდანად, უზარმაზარ ქვეყანაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო გავრცელებული რელიგიის ნახევრად ღვთაებრივ დამფუძნებლად გამოიყურება. მათ შეუქმნეს მას რთული კულტი, რაც ოფიციალურად 1914 წლამდე არსებობდა, მაგრამ ფართო მასებში დღემდეა შემორჩენილი. სინამდვილეში კი კონფუცი, რომელსაც მაო ძე-დუნიც კი თავის პოემებში მოკრძალებით „მასწავლებელს“ უწოდებს, არ იყო რელიგიის დამაარსებელი.

კონფუცის ყველაზე მეტად აინტერესებდა შეეგროვებინა და სკოლის საშუალებით გაეერცელებინა ჩინელ კლასიკოსთა მოძღვრებანი—ჩინელი კლასიკოსები კი შედიან მათ რიცხვში, რომლებიც ცნობილნი არიან კაცობრიობის უძველესი ისტორიით — და არ ეწეოდა საიქიო და ზებუნებრივ ფანტაზიორობას. მას იზიდავდა ადამიანის მორალი და არა მეტაფიზიკური და თეოლოგიური გამონაგონი. ყველაფერი ეს, ბუნებრივია, არ ნიშნავს, როგორც ზოგჯერ ამტკიცებენ, რომ კონფუცის არ სწამდა ჩინეთის ხალხთა მიერ საუკუნეებით თაყვანცემული ღვთაებანი, რომლებიც როგორც ოჯახში, ისე სახელმწიფოში დაკავშირებულნი არიან ღვთისმოსავობის ერთ-ერთ უძველეს ფორმასთან — წინაპართა კულტთან.

კონფუცის თხზულებებში, რომლებიც თითქმის დანამდვილებით მის მიერ კი არაა გამოცემული, არამედ შეგროვებულია მისი მოწაფეებისა და საქმის განმგრძობთა მიერ მისი სიკვდილიდან მრავალი წლის შემდეგ, თანდათანობით მეღავნდება რწმენა „ზეცისადმი“. ეს, რასაკვირველია, ბუნების გასულიერებაა, თუმცა, ისეთივე, როგორც მითოლოგიური მსჯელობანი, საზო-

ბადოებრივი და რელიგიური განვითარების გარკვეულ ფაზებში რომ გვხვდება აზიაში, აფრიკასა და ევროპაში (სპარსელებთან, ინდოელებთან, ბერძნებთან, ებრაელებთან, რომაელებთან, არაბებთან და კიდევ ბევრ სხვასთან). მართლაც, უძველეს ჩინურ იდეოგრამას, „ზეცას“ რომ აღნიშნავს, ხატავენ ადამიანის სახით — ღვთაება აშკარადაა გამოსახული ადამიანის მსგავსად, რაც პირველყოფილი საზოგადოებიდან ტომთა ბელადებისა და მონათმფლობელების პირად ხელისუფლებაზე გადასვლის გარდამავალი პერიოდისთვისაა დამახასიათებელი. თვით ტერმინიც კი — „შანდი“, ესე იგი „ზეცა“, აღნიშნავს „ადამიანს მიწაზე უფრო მაღლა, მიწის ზემოთ“ ან „უფალი იქაა, მაღლა“, რაც მკაფიო გამოხატულებაა რელიგიური წარმოდგენისა „ჩვენი ღმერთის“ შესახებ, „რომელიც ზეცაში იმყოფება“.

შესაძლოა, რომ თვითონ კონფუცი არაშემთხვევით, არასოდეს არ ხმარობს ამ ტერმინს, რომელსაც იგი აშკარად მეტისმეტად ახლოს თვლის ხალხურ რწმენასთან, და იყენებს უფრო აბსტრაქტულ და იდეალიზებულ სიტყვას „ტიან“, რომელიც ახლოა იუდეველთა, ქრისტიანული და ისლამის სარწმუნოების „ბედისწერის“ ცნებასთან. მაგრამ ცდება ის, ვინც მოისურვებს კონფუციდან ათეისტი და მოაზროვნე რაციონალისტი გამოიყვანოს, რადგან რელიგია მდგომარეობს არა მარტო ადამიანის სახით ზებუნებრივი არსების რწმენაში, არამედ ჩვენთვის უცხო ძალების, ცრუ შეხედულებათა რწმენაშიც, რომელსაც სახეშეცვლილი საზოგადოება აჩვევს ადამიანს, რათა დატოვოს იგი დათრგუნვის გარკვეული ურთიერთობის ბორკილებში.

ყოველივე ამასთან ყურადსაღები რჩება ის ფაქტი, რომ უფრო გვიანი პერიოდის მოძღვრებისა და რელიგიების სხვა მინარევებისაგან, განსაკუთრებით ბუდიზმისაგან, გათავისუფლებული კონფუციანობის დედააზრი ძირითადად მიმართულია ამქვეყნიური ცხოვრებისაკენ და მოკლებულია იმ მისტიციზმს, რომელსაც მეორე ფილოსოფოსის, მისივე თანამედროვის — ლაო ცზის მიერ დაფუძნებული კულტი და, ანუ „წინასწარდასახულობა“ ატარებდა; ლაო ცზიმ საფუძვე-

ლი ჩაუყარა ახალ რელიგიას — დაოსიზმს. დაოსიზმი დიდხანს უწევდა მეტოქეობას კონფუციანურ მოძღვრებას, ზოგჯერ კი პირდაპირ ავიწროებდა მას[1].

ლაო ცზი ლეგენდარული ფიგურაა, ნაწილობრივ ბუდასა და ქრისტეს მოგვაგონებს, და მის ისტორიულ არსებობაში დეჭვევენ დასაშვებია (ლაო ცზის თავგადასავალში შედის უბიწო მუცლად ღება, სასწაულებით აღსავსე ცხოვრება, არაჩვეულებრივი სიკვდილი და ა. შ.). ამავე დროს კონფუცის პიროვნება ისტორიულად საკმაოდ რეალურადაა დახატული ჩინეთის შუასაუკუნეობრიობის დასაწყისისათვის დამახასიათებელი სოციალური პირობების ფონზე: აურაცხელი ფეოდალები, მთელი ძალაუფლების თავმოყრის ცდები ერთი მბრძანებლის ხელში, რომელიც უფრო გვიან იმპერატორი გახდება და იმეფებს 1911 წლის რევოლუციამდე, კულტურის ხელმისაწვდომობა მარტოოდენ დიდებულთა და ჩინოვნიკთა ბავშვებისათვის და აუცილებლობა გამოინახოს ქცევის რაღაც ხაზი, რომელიც სამუდამოდ განამტკიცებდა ყველა ამ ურთიერთობას და მისცემდა მათ სამართლიანობისა და მორალურობის მოჩვენებით სახეს[2].

კონფუცის სახელის ზუსტი ტრანსკრიპციაა კუნ ფუ-ცზე, ე. ი. „მასწავლებელი კუნი", იმ კლანის სახელწოდების მიხედვით, რომელსაც იგი ეკუთვნოდა. კონფუცის ლათინიზებული ფორმისათვის ჩვენ დავალებული ვართ იეზუიტ მათეო რიჩისგან, რომელიც დაახლოებით 1600 წელს ყოფილა ჩინეთში და ერთ-ერთმა პირველმა გააცნო დასავლეთს ბრძენის სახელი. თვლიან, რომ კონფუცი ჩვ. წ. აღ.-მდე 551 წელს დაიბადა, გარდაცვალების წლად მიღებულია 479, მაგრამ ეს თარიღი სწორი არაა. იგი წვრილი მოხელის, ყოფილი ჯარისკაცის ვაჟიშვილი იყო, და ახალგაზრდობიდანვე მასწავლებ-

---

[1] იხ. G. Tucci. Storia della filosofia cinese antica. Bologna, 1921; Fung Ju-lan. A history of Chinese philosophy. Princeton University Press, 1953, vol. I—II.

[2] იხ. Marcel Granet. La civilisation chinoise. La vie publique et la vie privée. Paris, 1948 („L'évolution de l'Humanité", XXV).

კონფუცი, ბუდა და ლაო ცზი. ძველებური ესტამპი

ლობას მიჰყო ხელი, რათა ამ ხელობით ოჯახს დახმარებოდა. ᲗᲘᲡᲘ კარიერა ზოგიერთი საზოგადოებრივი წოდებით დაგვირ-ᲒᲕᲘᲜᲓᲐ: საზოგადოებრივ სამუშაოთა ზედამხედველი, ქალაქის ᲙᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ და ადგილობრივ მმართველთა იუსტიციის მი-ᲜᲘᲡᲢᲠᲘ.

ოცდაორი წლის კონფუციმ შეძლო კერძო სკოლის შექ-ᲛᲜᲐ, რომელშიც, გადმოცემით, 3 ათასი მოწაფე სწავლობდა;

მათგან 72, რომელთაც განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი, მოგვიანებით კონფუციანობის „წმინდანნი“ გახდნენ.

თავის მოწაფეთა თანხლებით კონფუცი მოგზაურობდა ქალაქიდან ქალაქში და პირველ რიგში სწორი ყოფაქცევისა და კარგი მმართველობის საკუთარ პრინციპებს ქადაგებდა. სწავლება უფასო არ იყო. დღემდე ჩინური იეროგლიფი, რომელიც „ანაზღაურებას“ აღნიშნავს, გამოიხატება ათი ნაჭერი კახაჯის სახით, რასაც მოსწავლეები კონფუცის უხდიდნენ მისი ლექციებისათვის. ისინი, რომელთაც ეს არ შეეძლოთ გაეკეთებინათ ან ჯერ კიდევ მეტისმეტად უვიცნი იყვნენ, იკრიბებოდნენ შიდა ეზოში, სადაც მასწავლებელი მეცადინეობას ატარებდა მათთან, რისთვისაც მათ ასე უწოდებდნენ: „მოწაფეები კარზე“ (ისინი მოქცეულ წარმართებს მოგვაგონებენ, რომლებიც განმარტოებით ესწრებიან წირვას ებრაელთა სინაგოგაში, ან ძველი ქრისტიანული თემის მორჩილთ).

კონფუცი, რომელსაც გული გაუტეხა ფეოდალთა წინააღმდეგობამ, რომლებიც ერთმანეთს მტრობდნენ, და თავისი, როგორც პოლიტიკური რეფორმატორის, გამოსვლის წარუმატებლობამ, სიბერის ჟამს წავიდა შანდუნის პროვინციის დაბა ლიუში, სადაც ის დაიბადა, და მთლიანად ჩაეფლო ჩინელ კლასიკოსთა გადასინჯვის საქმეში. მას ხელნაწერები არ დაუტოვებია, მაგრამ არსებობენ რიგი ტექსტები, რომლებიც მისი მოწაფეებისა და ოჯახის ზოგიერთი წევრის მიერ არის დაწერილი. ამ ტექსტებიდან ყველაზე უფრო ცნობილია „საუბრები და დასკვნები“, რომელთაც იეზუიტმა რიჩიმ „ანალექტა“, „ისტორიის წიგნები“ („ქრონიკები“) უწოდა, რომლებიც ჩვ. წ. აღ.-მდე 722 წლიდან 481 წლამდე პერიოდს მოიცავენ, და „ლექსების წიგნი“ — ძველი ხალხური ჩინური სიმღერების ძვირფასი კრებული კომენტარებით[1].

კონფუცის მოძღვრებაში მთავარია კანონთა გამოკვლევა, რომელთაც უნდა მოაწესრიგონ ოჯახსა და საზოგადოებაში

---

[1] იხ. „Il fiore della litteratura cinese, dal libro del Tao agli epi grammi di Lu-Sin“. Milano, 1953. იხ. აგრეთვე A. Doeblin Confucio. Milano, 1949, და il libro delle sentenze di Confucio. Parma, 1927.

კონფუცი თაეის მოწაფეთა წრეში.
ძველებური ესტამპი

ურთიერთობა ადამიანებს შორის, რაც დამყარებულია უფროსებისადმი პატივისცემასა და სახელმწიფოს ხელმძღვანელთა თაყვანისცემაზე. რომ მართო, მიუთითებდა კონფუცი, ეს ნიშნავს ყველაზ მოუნახო საზოგადოებაში შესაფერი, მისი წარმოშობისა და ღირსების შესატყვისი ადგილი. ყველა ადამიანი

ვალდებულია, რამდენადაც ეს მის ძალასა და ღონეს შესწევს, მორალურად სრულყოფილი ხდებოდეს; სახელმწიფოს მეთაური თავის ქვეშევრდომთ უნდა ხელმძღვანელობდეს სამართლიანობისა და ჭეშმარიტების გარკვეული ნორმების შესაბამისად, მაგრამ ამასთან უნდა ხელმძღვანელობდეს ზეცის ბრძანებებით.

თავაშვებული ექსპლუატაციისა და ბარბაროსული ფეოდალური ბატონყმობის ეპოქაში მსგავსი პრინციპები, რასაკვირველია, პროგრესული იყო. მაგრამ არანაკლებ სწორია ისიც, რომ მის მოძღვრებას ჩინეთის მმართველი კლასები იყენებდნენ თავიანთი ეგოისტური ინტერესებისათვის, იმისათვის, რათა ხალხი დამორჩილებული ჰყოლოდათ და გულმოდგინედ შემუშავებულ წესჩვეულებათა სისტემის დახმარებით უკვდავეყოთ ქვეყნის ფეოდალური სტრუქტურა ერთ წერტილზე გაყინული იერარქიითა და საზოგადოებრივი ურთიერთობის მკაცრი რეგლამენტაციით. ამ პირობებში კონფუციანობა ფრიად სწრაფად გარდაიქმნა რელიგიად, ამით კი იგი მმართველი კლასების იარაღად იქცა, და უკანასკნელ ათწლეულებამდე გამოყენებული იყო უზარმაზარი ჩინეთის ასეული მილიონობით მამაკაცსა და ქალზე ეკონომიური და სულიერი ზემოქმედებისათვის.

4. არაბეთის ნახევარკუნძული მუჰამედამდე

რომის იმპერიის პირველ საუკუნეებში სამხრეთ არაბეთი ჯერ კიდევ განიცდიდა შედარებითი აყვავების პერიოდს.

სემიტური ხალხების აკვანი (უხსოვარი დროიდან დასახლებული მომთაბარე ბედუინთა ტომებით, რომელთაც ჩვ. წ. აღ.-მდე მეორე ათასწლეულის ბოლოს გამოეყვნენ ებრაელები), — ვრცელი და უნაყოფო ნახევარკუნძულის ხმელთაშუაზღვის ზონა, დღევანდელი საუდის არაბეთისა და იემენის ტერიტორია ცივილიზაციის თავშესაფარი გახდა, რომელიც თავისი პოლიტიკური და სოციალური წყობით ძლიერ ახლოს

იყო ბაბილონის, ასურეთის ან ეგვიპტის იმპერიის თავდაპირველ მდგომარეობასთან[1].

ნაკლებად ქვიან და უდაბურ ადგილებში მორწყვის განვითარება და ინდოეთიდან მეწამული ზღვის რაიონით ხმელთაშუა ზღვის აუზში სანელებლების, ქსოვილების, ნედლეულისა და იაფი მონების ჩამოზიდვასთან დაკავშირებით სავაჭრო გაცვლა-გამოცვლის გაფართოება ხელს უწყობდა შემდგომ აზიიდან ევროპისაკენ მიმავალი დიდი საქარავნო გზის გასწვრივ განლაგებულ რამდენიმე მსხვილ ცენტრში (ისეთებში, როგორიც მექაა და იატრიბი, მომავალი მედინა, ანუ წინასწარმეტყველის ქალაქი) ბინადარი მოსახლეობის გაჩენას.

ამ მოსახლეობის რელიგია შეესაბამებოდა ტომობრივი საზოგადოების დაშლიდან და დაქუცმაცებიდან უფრო სრულყოფილი ქალაქური ცივილიზაციის კერების შექმნაზე გარდამავალ პერიოდს. ბუნების, ხეებისა და წმიდა ქვების კულტი ადგილს უთმობდა ადგილობრივი ღმერთების თაყვანისცემას ქალაქელთათვის დამახასიათებელი მონოთეიზმის ფორმირების ტენდენციით. იუდეველთა მრავალრიცხოვანი კოლონიები არაბეთში და ქრისტიანთა ცალკეული ჯგუფების გავლენა, რომლებიც ჩამოშორდნენ რომისა და ბიზანტიის ეკლესიას, რელიგიური განვითარების ამ პროცესს კიდევ უფრო დიდ ინტენსივობას ანიჭებდნენ.

უძველეს ტომობრივ ღმერთთაგან ერთ-ერთი იყო ჰუბალა (Hubal), რომელსაც მექაში აუშენეს ტაძარი; ტაძარი დიდი პოპულარობით სარგებლობდა. აქ თავს იყრიდა სალოცავად მოსული მრავალი ადამიანი, რომლებიც ამ ღმერთს თანდათანობით უწოდებენ ალაჰს (Allah), მაგრამ ეს საკუთარ სახელს კი არ წარმოადგენს, არამედ გარდაქმნილ არაბულ გამონათქვამს ალ-ილაჰს (Al-Ilah), ესე იგი „ყოვლადძლიერს". ასე უწოდებდნენ ღვთაებას, რომელიც ყველაფრით (სახელის ფორმითაც კი) ემსგავსება ბიბლიის ჰა-ელოჰიმს (Ha-Elohim).

ჩვ. წ. აღ.-ით VII საუკუნის დასაწყისში მდგომარეობა არა-

---

[1] იხ. F. Gabrieli. Gli Arabi. Firenze, 1957; P. K. Hitti, History of the Arabs from the earliest times to the present. London, 1953.

ბეთში ძირეულად შეიცვალა. ეკონომიურმა და სულიერმა კრიზისმა აამოძრავა მთელი საზოგადოება. ასეული წლების განმავლობაში შეხლა-შემოხლამ და გამაჩანაგებელმა ომებმა, განსაკუთრებით ეთიოპიელთა თავდასხმებმა სამხრეთიდან, აიძულეს მოსახლეობა თავი მიენებებინა მიწათმოქმედებისათვის. მეწამული ზღვის სანაპიროს გასწვრივ მდებარე ძველი საქარავნო გზა დაცარიელდა და სავაჭრო გზებმა ირანის ზეგანზე გადაინაცვლეს, სადაც სასანიდთა იმპერიის დესპოტური წესრიგი ვაჭრებისათვის უზრუნველყოფდა უსაფრთხოებას. არაბი ტომების ცხოვრება სულ უფრო ნაკლებ უზრუნველყოფილი ხდებოდა, დაჩქარდა ქალაქებისა და ოლქების დაცემა, რომლებიც რომის ეპოქაში შეუდარებლად უკეთეს მდგომარეობაში იმყოფებოდნენ (მებსიერებას შემორჩა სახელი „ბედნიერი არაბეთისა" — „Aravia felix", რომელიც ანტიკურმა გეოგრაფებმა უწოდეს ამ ქვეყანას).

როგორც ხშირად ხდება ერთი საზოგადოებიდან მეორეში გადასვლის პერიოდში, ეკონომიური და ქონებრივი დაცემა და აქედან გამომდინარე უკმაყოფილება რელიგიური კრიზისით გამოიხატა. მარქსი და ენგელსი თავიანთ მიმოწერაში 1853 წელს ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ თითქმის ყოველთვის აღმოსავლეთის ისტორია რელიგიის ისტორიის ფორმას იღებს: ეს განსაკუთრებით სამართლიანია ებრაელთა და არაბთა, რამდენადმე ნაკლებად სამართლიანი — ინდოელებისა და ჩინელების მიმართ. მარქსი და ენგელსი ამ მოვლენის მიზეზს მიწის მსხვილი საკუთრების არარსებობასა და აქედან გამომდინარე საზოგადოების განსაკუთრებულ წყობაში ხედავდნენ, სადაც არ იყვნენ მსხვილი მიწათმფლობელნი, მიწებისა და ადამიანების მფლობელნი, ამ მოვლენის მიზეზს ხედავდნენ აგრეთვე საზოგადოების დაბალი ფენების დიდ დაქსაქსულობასა და დანაწევრებაში[1].

არაბული სამყაროს რელიგიური კრიზისი უმაღლესი ზომით გამოვლინდა მუჰამედის პიროვნებაში. მისი დაბადება

---

1 კ. მარქსი და ფრ. ენგელსი, რჩეული წერილები. სახელგამი, 1949. კ. მარქსის წერილი ფრ. ენგელსს, 1853 წ. 2 ივნისი, გვ. 73—74. იხ. აგრეთვე ფრ. ენგელსის წერილი მარქსს, 1853 წ. 18 მაისი, გვ. 71—72.



შავი ქვა ქაბა მექაში.
ნახატი შუა საუკუნეების არაბული ხელნაწერიდან

(570 ან 571) დაემთხვა ეთიოპიელი დამპყრობლების საბოლოო განდევნას იემენიდან და არაბი მესაქონლეებისა და მექელ ბედუინი ტომების წარუმატებელ ცდას ხელახლა, ნაწილობრივ მაინც, საკუთარ ხელში აეღოთ აღმოსავლეთთან ვაჭრობა და დაებრუნებინათ მეწამული ზღვის გასწვრივ მდებარე ძველი საქარავნო გზისათვის მისი ადრინდელი უსაფრთხოება, რასაც ხელს უწყობდა ყოველწლიურად სალოცავად სიარული ტაძარში, სადაც მორწმუნეთათვის დადგმული იყო დიდი შავი ქვა — ქაბა, რომელიც ამ დროიდან ადგილობრივ ღმერთ ჰუბალასთან იყო გაიგივებული. სალოცავად სიარული მუჰამედმა შემდეგ შეცვალა, ძირითადი ნიშნები კი დაუტოვა, და იგი ამ გარდაქმნილი სახით ჩვენს დროშიც ხდება[1].

[1] იხ. M. Guidi. Storia e cultura degli Arabi fino alla morte di Maometto. Firenze. Sansoni, 1951. ამ შრომას უნდა მოეცვა არაბი ხალხების მთელი პოლიტიკური და რელიგიის ისტორია, მაგრამ იგი ავტორის სიკვდილის გამო დაუმთავრებელი დარჩა. მუჰამედის ბიოგრაფიის წყაროები შეკრებილი და კომენტირებულია იტალიაში ნახევარი საუკუნეზე მეტი ხნის წინათ (L. Caetani. Annali dell'Islam voll. I—II. Milano, 1905—1907). იხ. აგრეთვე (M. Gaudefroy-Demombynes. Mahomet. Paris, 1956.

თქმულებამ მუჰამედის პიროვნების რთული თავგადასავალი შექმნა, რომლითაც მტკიცდება, რომ იგი თავიდანვე აღიარებდა თავის როლს არაბი ტომების ერთიანი სარწმუნოების ქვეშ გაერთიანების საქმეში, სარწმუნოებისა, რომელსაც უნარი შესწევდა ცხოვრების ყველა მხარეს მისწვდომოდა — პოლიტიკით დაწყებული და მორალით დამთავრებული, ოჯახური ადათ-წესებით დაწყებული და მართლმსაჯულებით, ეკონომიკითა და რელიგიით დამთავრებული. სინამდვილეში კი საქმის ვითარება სულ სხვანაირი იყო.

622 წელს მედინაში „გაქცევამდე", რომელიც მოგვიანებით მუსლიმანური წელთაღრიცხვის (ჰიჯრის) პირველი წელი გახდა, ყოფილი დაჭირავებული მწყემსი მუჰამედი მდიდარ ქვრივს ხატიჯეს ემსახურებოდა; ეს უკანასკნელი კი ვაჭრობას ეწეოდა. ხატიჯე შემდეგ მისი პირველი ცოლი გახდა. მუჰამედი საკუთარ თავზე მუდმივად განიცდიდა ბედუინთა მომთაბარე ცხოვრების უკულმართობას, სწამდა, რომ თავისი ხალხის დაცემის მიზეზს ქალაქური ცხოვრების უზნეობაში, ძველი სატომო ღმერთის კულტის დავიწყებასა და კერპთაყვანისმცემლობის გავრცელებაში მიაგნო, რომელიც დამახასიათებელია საზოგადოებისათვის, სადაც ფულის მიმოქცევა და ვაჭრობა იყო. ამასვე ქადაგებდნენ ისრაელის პირველი წინასწარმეტყველნი, რომლებიც ქვეყნის გაკოტრების მიზეზებს იაჰვეს კულტის უარყოფაში ხედავდნენ, და თვით იესოც კი, სახარებებში რეფორმატორად რომ არის გამოსახული, მოუწოდებდა მიემართნათ ჭეშმარიტი სარწმუნოებისათვის, სანამ ქვეყანას ღვთის დამსჯელი ხელი თავს არ დასტყდომია.

ნ. ყურანი

„შეცვალეთ თქვენი ცხოვრების წესი, რამდენადაც ღვთის სასუფეველი უნდა დადგეს". უკმაყოფილოთა და ჩაგრულთადმი ამ მოწოდებით იწყებს ქრისტიანული ლეგენდა იესოს მოღვაწეობის ისტორიას. „განკითხვის დღე გარდუვალია, უკუაგდეთ ყალბი კერპები და დაუბრუნდით მამათა რელიგიას, უკან ნუ

დაიხევთ ჰეშმარიტი ღმერთის სამსახურისგან, სანამ არ დამ-
დგარა ქვეყნის აღსასრული". ასეთია მოწოდება ყურანის უძ-
ველესი ნაწილისა, რომელსაც მუჰამედს, ალაჰის წინასწარმე-
ტყველს მიაწერენ და რომელიც იმ დრომდე აგრძელებდა ძველ
იუდაურ-ქრისტიანულ ტრადიციებს.

უნდა ითქვას, რომ დედამიწაზე სამართლიანობისა და მშვი-
დობის „ოქროს სასუფევლის" მოლოდინი, ისტორიულად
ქრისტიანული წინასწარმეტყველების „სასუფეველი ცათას"
რომ შეესატყვისება, დამახასიათებელია ისლამის მთელი ის-
ტორიისათვის. მის გვერდითაა რწმენა ურიცხვი ზებუნებრივი
გმირების, იმამთა და მაჰდის დაბრუნების შესახებ, რომლებიც
საუკუნეების განმავლობაში იბრძოდნენ თავიანთი ხალხების-
თვის და ბოლოს და ბოლოს გათანაბრებულ იქნენ „არაბთა
მესიასთან", რომლის შესახებ ამდენი ფანტასტიკური ლეგენ-
დაა შეთხზული მუსლიმანურ სამყაროში მუჰამედის გარდა-
ცვალების შემდგომი დროიდან.

მუსლიმანური რელიგიური რეფორმა, რომელმაც ასე დი-
დი გავლენა მოახდინა მსოფლიოს მნიშვნელოვან ნაწილზე
აზიაში, აფრიკაში და თვით ევროპაშიც კი, თავისი წარმოშო-
ბით მომთაბარის პასუხს წარმოადგენდა საქალაქო ცხოვრების
დაშლაზე, წარმოადგენდა კულტის ფორმებისკენ მოჩვენე-
ბით დაბრუნებას ხალხთა მასების იმედებთან უფრო ახლოს
რომ იდგა.

ამ „ზეშთაგონების" პირველი გამოვლენა დაკავშირებულია
მუსლიმანური სამყაროს საღვთო წიგნთან — ყურანთან, რო-
მელიც 40-ზე მეტ ენაზეა თარგმნილი. ამ წიგნს მართლაც რომ
მეტი მკითხველი ჰყავდა, ვიდრე ყველა სხვა თხზულებას, რო-
მელსაც კი დღის სინათლე უხილავს სოციალისტური ლიტე-
რატურის გავრცელებამდე. ყურანი მჭიდროდაა დაკავშირებუ-
ლი არაბი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროსთან.

იმ ფორმით, რომლითაც ყურანმა ჩვენამდე მოაღწია, იგი
შედგება განსხვავებული ზომისა და სხვადასხვაგვარი ლიტე-
რატურული სტილის 114 სურისგან (ანუ თავისგან). მათგან
ყველაზე დიდი ზომის სურა შედგება 286 ოსტატურად გარი-
თმული და პოეტურად ეღერადი ლექსისგან. ეს მეორე სუ-

მთავარანგელოზ ჯებრაილის „გამოცხადება“ მუჰამედთან.
ნახატი შუა საუკუნეების არაბული ხელნაწერიდან.

რაა, რომელიც ლიტურგიულ და სარიტუალო შესავალს მოსდევს. ყველაზე მოკლე სურები — 103-ე, 108-ე და 110-ე — მხოლოდ სამ-სამი ლექსისგან შედგებიან და მუჰამედის წინასწარმეტყველების ყველაზე უფრო ძველ პერიოდს ეკუთვნიან. ყურანის საბოლოო ტექსტი სამჯერ არის რედაქტირებული: 632 წელს, მუჰამედის სიკვდილიდან რამდენიმე თვის შემდეგ. ყურანს რედაქცია გაუკეთა აბუ-ბექრმა, წინასწარმეტყველის პირველმა ხალიფამ (ანუ მოადგილემ). შემდეგ იგი გადასინჯეს ოსმანის, მისი მესამე მემკვიდრის დროს, 644-დან 665 წლამდე და, ბოლოს, VIII საუკუნის დამდეგს, როცა ახალი რელიგია უკვე ორ დიდ მიმდინარეობად გაიყო — შიიზმის და სუნიზმის მიმდევრებად (ე. ი. ტრადიციონალისტებად და ნოვატორებად), რომლებიც დღემდე არსებობენ. ყველა იმ დრომდე არსებული ყურანის პირი განადგურებულ იქნა, ზუსტად ისევე, როგორც ბიბლია და სახარებები.

სახელწოდება ყურანი ხმამაღლა „კითხვას", დეკლამაციას ნიშნავს. იგი წარმოიშვა ცრურწმენითი გადმოცემით, რომ ანგელოზი ჯებრაილი გამოეცხადებოდა ხოლმე მუჰამედს რომელიღაც გამოქვაბულში თუ ჰორიზონტზე, უდაბნოში, და ყოველთვის უკითხავდა მას ზეცაში მოხაზული მარადიული ორიგინალით „ზეშთაგონებას", რომელიც მუჰამედს თავის მბრივ უნდა წაეკითხა თავისი მიმდევრებისათვის. სუფთა არაბულ ენაზე შედგენილი ტექსტი (ხალხური ცრურწმენით „ღმერთის ენა") ქაოსური და ერთმანეთის საწინააღმდეგოა. აქაა მითოლოგია, პოლიტიკა და მორალი, მართლმსაჯულებისა და საკანონმდებლო საკითხები, საწესჩვეულებო მითითებანი და წინასწარმეტყველის პირადი საქმეებიც კი.

ყურანის მთავარი შინაარსი — ესაა მოძღვრება მორჩილების შესახებ, „მორჩილება" ღვთის ნებისადმი, ანუ ისლამისადმი, საიდანაც წარმოიშვა ტერმინი მუსლიმი ან მუსლიმანი, რომელიც ახალი სარწმუნოების მომხრეებს აღნიშნავს. ისლამის ცენტრალურ იდეად შეიძლება ჩაითვალოს — და სინამდვილეშიც სწორედ ასეა — არაბთა სამყაროს რელიგიური და პოლიტიკური გაერთიანების პროგრამა. მუსლიმანობა, როგორც რეაქციული სამღვდელოებისა და გაბატონებული კლასების იარაღი, საუკეთესოდ ემსახურებოდა და ემსახურება ხალხის დაბალი ფენების დათრგუნვის საქმეს, ისევე როგორც კეთილი ამბავი ზიარებისა ქრისტეს რწმენისადმი ან ბუდას ქადაგება ცხოვრებისგან განდგომის შესახებ.

შინაარსი[1]

შეთოდოლოგიის ზოგიერთი საკითხი	3
1. მარქსიზმი და რელიგია	5
2. თანამედროვე სტატისტიკური მონაცემები	7
3. ყალბი ისტორიიდან ჭეშმარიტი ისტორიისაკენ	14
როგორ წარმოიშვება რელიგია	19
1. პირველყოფილი ურდო	19
2. პირველყოფილი თემი და ტოტემიზმი	21
3. მიცვალებულთა კულტი	24
4. მაგია და რელიგია	28
5. ზებუნებრივის წარმოშობა	30
6. სასწაულის წარმოდგენის კლასობრივი ხასიათი	33
7. სიმაკი და წმ. ამბროჯიო	35
8. სასწაულის წარმოდგენის ევოლუცია	37
ტოტემი და ტაბუ	40
1. ცხოველი-ნათესავი	42
2. განდობის წესჩვეულებანი	44
3. ცხოველი-წინაპარი	46
4. საქორწინო და სასურსათო აკრძალვები	48
5. პერსონიფიცირებული ღმერთის წარმოშობა	51
6. ცხოველ-ტოტემიდან ცხოველ-ღმერთამდე	53
ანიმიზმი და ფეტიშიზმი	56
1. მანის თეორია	61
2. სული-ორეული და სული-სუნთქვა	63
3. ანიმიზმის კრიტიკა	66
4. ტოტემიდან ფეტიშამდე	68

[1] თარგმანი 3-დან 236 გვ.-მდე ეკუთვნის ჭ. სვანიძეს, 237-დან ბოლომდე — ჯ. ჩიქოვანს.

5. ტერმინის წარმატება 72
ავსტრალიელი ტომების წესჩვეულებები და კულტები 75
1. ცივილიზატორები 76
2. ავსტრალიური ტოტემიზმი 78
3. წინაპართა კულტი 80
ძველი ეგვიპტის რელიგია 84
1. ნილოსის ველი 85
2. მონარქები და ქურუმები 88
3. ეხნატონის მიერ ჩატარებული მზის კულტის რეფორმა 93
4. ხალხური მითები და ოფიციალური კულტი 97
5. ნაყოფიერების კულტებიდან სამიწათმოქმედო კულტებისაკენ 100
6. პირამიდები და მიცვალებულთა წიგნი 103
7. იზიდას მისტერიები და შობის წარმოშობა 112
ასურეთი და ბაბილონი 118
1. გადმონაშთური ენობრივი მოელენები რელიგიაში 119
2. მითი პირველი ადამიანის შექმნასა და შეცოდებაზე 125
3. ღმერთი-უფალი 129
4. პოლითეიზმი და მონოთეიზმი 133
5. გილგამეში და წარღვნის ლეგენდა 136
6. ბაბილონური ტაძრები-გოდოლები 140
7. მარდუკის პატივსაცემი საადგომო მისტერიები 143
საბერძნეთის ორი რელიგია 146
1. ოლიმპოს ღმერთების ქრისტიანიზაცია 147
2. სოციალური დუალიზმი — რელიგიური დუალიზმი 151
3. ცხოველები ბერძნულ მითოლოგიაში 159
4. მატრიარქატის მითოლოგიური გამოხატულებანი 162
5. მონათა კულტები. დემეტრე და დიონისე 168
ადრინდელი იუდაიზმი 172
1. პალესტინა 173
2. ბედუინები და მომთაბარენი 177
3. ებრაული მონოთეიზმი 179
4. წინასწარმეტყველნი ისრაელისანი 188
5. მესიის მოლოდინი 199
6. ბიბლიის მოკლე ისტორია 205
მონათა დიდი აჯანყებების რელიგიური ასპექტები 211
1. აჯანყებები აზიაში, სიცილიასა და იტალიაში 212
2. მესიის მეუფება 216
3. „და მომიტევენ ჩვენ თანანა მდებნი ჩუენნი" 219
4. არისტონიკეს მზის სახელმწიფო 223
5. ჯვარი — დასჯა და განდიდება 228

მითი ხსნის შესახებ 237
1. მისაგებელი—კლასობრივი ცნება 240
2. ტიპიური ტერმინოლოგია 242
3. მისტერიათა რელიგიები 246
4. „მონა ღვთისა“ . 253
ქრისტიანობის ზღურბლთან 258
1. მდიდრები და ღარიბები . 260
2. აპოკალიფსური ლიტერატურა 265
3. მესიანობა და ქრისტიანობა . . 270
4. ათასწლოვანი მეფობა და ანტიკური მსოფლიოს კრიზისი 274
5. ვირგილიუსი და სიბილა 277
შკედარი ზღვის მანუსკრიპტები 282
1. ყუმრანის მღვიმეები და ნანგრევები . 288
2. მურაბა' ათისა და ხირბერტ მირდის ქვაბულები 296
3. ძირითადი ტექსტების აღწერა 299
ახალი აღთქმის თემი 310
1. იდეა „კავშირისა“ . . . 314
2. სამართლიანობის მასწავლებელი ყუმრანის ხელნაწერებში 317
3. ესეენელნი, ფარისეველნი, სადუკეველნი და ზელოტნი 319
4. ქრისტიანთა „ახალი კავშირი“ 323
ოესო ქრისტე. მითი და სინამდვილე 326
1. სახარების ლეგენდა . . 329
2. მითოლოგიური ცნობების შეზღუდული ხასიათი 331
3. ბეთლემი თუ ნაზარეთი? 334
4. ღვთის სასუფევლის გამოცხადება 336
5. სიკვდილი და აღდგომა 338
6. „ნეტარნი და ღატაკნი“ . 341
ქრისტიანობის ნამდვილი ისტორიის ზოგიერთი საკითხი 343
1. ქრონოლოგიის პრობლემა . 344
2. ბერძნული და ლათინური ენები 349
3. ქრისტიანობა და მონობა 352
4. განმწმენდი და ნათვლის წესჩვეულებანი 354
5. ცოდვების აღსარება 359
6. საეკლესიო უქორწინობა 363
7. თავშეკავების მაგიური წარმოშობა 367
ბუდა, კონფუცი და მუჰამედი 370
1. პრინცი გაუტამა 371
2. მორჩილების დოქტრინა . 377
3. კონფუცი და ლაო ცზი 382
4. არაბეთის ნახევარკუნძული მუჰამედამდე 388
5. ყურანი 392

მთარგმნელები { ქ. სვანიძე
ჯ. ჩიქოვანი

რედაქტორი დ. კაციტაძე
გამომც. რედაქტორი მ. ძიმისტარიშვილი
მხატვრული რედაქტორი შ. ნიორაძე
ტექრედაქტორი მ. ასათიანი
კორექტორი ა. სტურუა

ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/XI-65 წ. ქაღალდის ზომა 60×90.
ნაბეჭდი თაბახი 25. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 18,14

შეკვ. № 945. ტირაჟი 4.000

ფასი 77 კაპ.

გამომცემლობა „განათლება", თბილისი, კამოს ქ. № 18..
Издательство «Ганатлеба», Тбилиси, ул. Камо, 18.

Типография № 4, Тбилиси, Медгородок
მე-4 სტამბა, თბილისი, მედქალაქი